

## საქართველოს ეროვნული მუზეუმის

# მოამბე

## VI
## (51-B)

თბილისი
2015

# საქართველოს მუზეუმის

# მოამბე

ტომი I.

(1920—1922).

---

# BULLETIN DU MUSÉUM DE GÉORGIE

t. I.

(1920—1922).

---

ტფილისი.
ტ. ს. ს. ს. პოლიგრაფიულ-განყოფილების მე 3 სტამბა.
1922.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის

# მ ო ა მ ბ ე

VI
(51-B)

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია

გამოდის 1920 წლიდან

# BULLETIN

of the

Georgian National Museum

VI
(51-B)

Series of Social Science

Issued since 1920

თბილისი 2015 Tbilisi

უაკ(UDC)069(479.22)(051.2)
902+903+737+736.2+39+904+93/94+930.27+7
ს-323
G-37

**სარედაქციო კოლეგია:** დავით ლორთქიფანიძე, ზურაბ თვალჭრელიძე, ნოდარ ბახტაძე, †თეიმურაზ ბერიძე, ნანა ბურჭულაძე, იულონ გაგოშიძე, დარეჯან კაჭარავა, დავით ლომიტაშვილი, გიორგი მარსაგიშვილი, დავით მინდორაშვილი, ელდარ ნადირაძე, ზაზა სხირტლაძე, ნოდარ შოშიტაშვილი, მედეა წოწელია, ოთარ ჯაფარიძე

**Editorial Board:** David Lordkipanidze, Zurab Tvalchrelidze, Nodar Bakhtadze, †Teimuraz Beridze, Nana Burchuladze, Iulon Gagoshidze, Darejan Kacharava, David Lomitashvili, Giorgi Marsagishvili, David Mindorashvili, Eldar Nadiradze, Zaza Skhirtladze, Nodar Shoshitashvili, Medea Tsotselia, Otar Japaridze

**სარეცენზიო საბჭო:** დიმიტრი ახვლედიანი, გულნარა ბარათაშვილი, ნანა ხაზარაძე, მარინე ბოკუჩავა, ნანა გოგელია, რევაზ დავლიანიძე, ნათია დემურიშვილი, თამილა კაპანაძე, ეკატერინე კიკნაძე, ირინა კოშორიძე, იზოლდა მელიქიშვილი, მამუკა ქაფიანიძე, თემურ შარიქაძე, მედეა შეროზია, ოთარ ჩიქოვანი, ციალა ღვაბერიძე, ვახტანგ ცინცაძე

**Review Committee:** Dimitri Akhvlediani, Gulnara Baratashvili, Nana Khazaradze, Marine Bokuchava, Nana Gogelia, Revaz Davlianidze, Natia Demurishvili, Tamila Kapanadze, Ekaterine Kiknadze, Irina Koshoridze, Izolda Meliqishvili, Mamuka Qapianidze, Temur Shariqadze, Medea Sherozia, Otar Chiqovani, Tsiala Ghvaberidze, Vakhtang Cincadze

**რედაქტორი:** ზურაბ თვალჭრელიძე
**Editor-in-chief:** Zurab Tvalchrelidze

**პასუხისმგებელი მდივანი:** მედეა წოწელია
**Executive secretary:** Medea Tsotselia

**ISSN** 1512-1895

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2015
**Georgian National Museum, 2015**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბის წინამდებარე ტომი წარმოადგენს საქართველოს მუზეუმის მოამბის (1920-1935 წწ), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბის (საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია – B, 1936-1944 წწ) და სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბის (საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია – B, 1947-2004 წწ) ტრადიციული, სერიული გამოცემების გაგრძელებას – საზოგადოებრივი მეცნიერების მიმართულებით.

ტომში წარმოდგენილია ნაშრომები ისტორიის, არქეოლოგიის, ნუმიზმატიკის, გლიპტიკის, ეთნოგრაფია/ეთნოლოგიის, ხელოვნების ისტორიისა და სამუზეუმო საქმის შესახებ, რომლებშიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი საკითხებია განხილული.

ტომს ერთვის საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2015 წლის ქრონიკა.

The present volume of the Bulletin of the Georgian National Museum is continuation of the traditional, social sciences serial, publications of the Bulletin of the Georgian Museum (1920-1935), the Bulletin of the Georgian State Museum (series of social sciences – B, 1936-1944) and the Bulletin of the Simon Janashia Georgian State Museum (series of social sciences – B, 1947-2004).

The volume presents papers dealing with history, archaeology, numismatics, gliptics, ethnography/ethnology, art history and about Museum activities issues in which the main aspects of Georgian cultural heritage are discussed.

The issue is supplied with 2015 year chronicle of the Georgian National Museum.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 6-13
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 6-13

**არქეოლოგია**

**ნინო სულავა**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის კვლევის ცენტრი
დ. უზნაძის 14, 0102, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nino_sulava@yahoo.com

# ბრინჯაოს ქანდაკების ფრაგმენტი გონიო-აფსაროსიდან

ანტიკურ ტრადიციასა და რომაულ-ბიზანტიურ წყაროებში კარგად ცნობილი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი - პონტოს აფსაროსი, გონიო-აფსაროსის ციხესიმაგრე, რამდენიმე არქეოლოგიური პერიოდითაა წარმოდგენილი - ძვ.წ. VIII-VII სს-ის დიუნური ნამოსახლარით, კლასიკური ხანისა და შუა საუკუნეების ძეგლებით. ძეგლის არსებობის ბოლო პერიოდი XVI ს-დან თურქების ბატონობასთანაა დაკავშირებული [კახიძე ა., მამულაძე შ. 2004].

გონიო-აფსაროსის ციხესიმაგრის მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ არტეფაქტთაგან ცნობილ ბრინჯაოს მონუმენტურ - თითი, ხელის მტევანი [ხალვაში მ. 2002: 134-168] და მცირე პლასტიკის ნიმუშებს - სერაპისის ქანდაკება [მამულაძე შ. 2009: 131-147] 2007 წლის არქეოლოგიურმა გათხრებმა შემატა ე.წ. აბანოთუბანზე აღმოჩენილი მცირე ზომის ბრინჯაოს ქანდაკების მკლავის ფრაგმენტი [სულავა ნ., მამულაძე შ. 2009: 92-93, 202]. ამ არტეფაქტის აღმოჩენა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ძეგლის მნიშვნელოვნებასა და მის კავშირს გარე სამყაროსთან.

ნიმუში იდაყვში მოხრილი მარცხენა მკლავის - ხელისა და ხელის მტევნის გამოსახულებაა შეტყუპებული ოთხი თითითა და აშვერილი ცერა თითით; მკლავი გადაჭრილია იდაყვს ზემოთ და გადაჭრის ადგილას ოდნავ ემჩნევა მრგვალი შვერილის (მორჩი) ფრაგმენტი[1]; მკლავი მასიურია, დაფარულია მწვანე პატინით, მისი ზომებია: L - 62 მმ, H - 35 მმ (ტაბ. I).

რა ინფორმაციის მიღება შეიძლება ამ ნივთის, უფრო სწორად, ნივთის ფრაგმენტის საშუალებით?

1 ანალოგიური მორჩი აქვს მარცხენა მკლავის გადანაჭერზე, ზოგადად, ბერძნულ-რომაული ხანით დათარიღებულ ღვთაება იზისის რომაულ-ეგვიპტურ სტატუეტს [Comstock M., Vermeule C. 1971: 132. kat. # 150].

მისი ინტერპრეტაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოჩენის ადგილისა და ვითარების კონტექსტის გაანალიზებას.

ბრინჯაოს მკლავი აღმოჩნდა (გონიო-აფსაროსის ციხის იმ ერთადერთ, ყველაზე შემაღლებულ უბანზე (აბანოთუბანი), სადაც შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ორი ნაგებობა – ჯამე და აბანო, რომლებიც, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად განიცდიდა სამშენებლო ზემოქმედებას. ამის მოწმობაა სხვადასხვა პერიოდის ნაგებობათა ნაშთები, დარღვეული ფენები და არეული მასალა. ამჟამად ამ უბანზე ამ ორ ნაგებობას (ჯამე და აბანო) დარღვეული აქვს ადრეშუასაუკუნეებისა და რომაული ხანის ფენები. ადრეშუასაუკუნეების ფენები წარმოდგენილია ნაგებობების ნაშთებითა და შესაბამისი არქეოლოგიური მასალით. რომაული ხანის ფენები კი ნაგებობათა მცირე ნაშთებითა და შესატყვისი მასალით.ეს უბანი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ, ციხის სხვა უბნებისგან განსხვავებით, აქ ის უძველესი ფენებიცაა დადასტურებული, რომლებიც თავს არ იჩენს დღეისათვის შესწავლილ სხვა უბნებზე. მხედველობაში გვაქვს ე.წ. დიუნური ნამოსახლარის ნაშთები (ძვ. წ. VIII-VII სს.), დამახასიათებელი აბაზანისებური უხეში კერამიკით [კახიძე ა., მამულაძე შ. 2004: 35).

ამგვარად, ბრინჯაოს მკლავი აღმოჩნდა [მამულაძე შ., ებრალიძე ტ., მინდორაშვილი დ., სულავა ნ. 2010: 58] გონიო-აფსაროსის ციხის SW V სექტორის 45-ე კვადრატის ცენტრალურ ნაწილში, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 80-90 სმ-ის სიღრმეზე, წრიული ქვაყრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. იქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ღრუ მილაკი და მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტი. თუ 45-ე კვადრატის მიმდებარე კვადრატების (კვ. №№ 35, 36 - 46) სიტუაციას გადავავლებთ თვალს, ნათლად ჩანს, რომ აქ რამდენიმე მოზრდილი ნაგებობის ნაშთების [სულავა 2009: 71, 72] დიდი ნაწილი მიეკუთვნება ადრეშუასაუკუნეებს შესაბამისი მასალით, კონკრეტულად, სხვადასხვა ტიპის ბიზანტიური ამფორების (წითელკეციანი და ტანდაღარული, ძაბრისებრპირიანი და სინოპური, ყავისფერკეციანი ადგილობრივი) მრავალი ნატეხით, სამზარეულო და სამშენებლო კერამიკით. რომაული ხანის მასალა წარმოდგენილია ნაგებობათა მცირე ნაშთებითა და მრავალფეროვანი მასალით. უწინარესად, აღსანიშნავია იმპორტული, როგორც კერამიკის ნიმუშები - წითელლაკიანი კერამიკა (ჯამები, თასები, ჭრაქები), სინოპური ლუთერიები, ასევე მინის ნაწარმი – ჯამები, თასები, სასმისები. აღნიშნული კვადრატების ადრეშუასაუკუნეების ნაგებობებს ზედ ადევს გვიანი შუა საუკუნეების (თურქული ხანის) წყალგაყვანილობის მილი, რომელიც სამხრეთიდან მოემართება და საკვლევ სექტორში განსაკუთრებით კარგადაა შემონახული [სულავა 2009: 71, 72]. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მთელ ამ ფართობზე, სხვადასხვა

დონეზე და ფენაში, გვხვდება თურქული პერიოდის არქეოლოგიური მასა-ლა – სხვადასხვაგვარად მოჭიქული კერამიკისა და სამზარეულო ჭურჭ-ლის ფრაგმენტები, ჩიბუხები, შანდლები, ფაიანსისა და ფაიფურის ფრაგ-მენტები [მამულაძე შ., ებრალიძე ტ., მინდორაშვილი დ., სულავა ნ. 2010: 57-66], რაც იმის მოწმობაა, რომ თურქების ბატონობის დროს ეს ტერიტო-რია მნიშვნელოვან სამშენებლო ზემოქმედებას განიცდიდა.

ამგვარად, მიმოხილული საველე სიტუაციიდან გამომდინარე, ბრინჯა-ოს მკლავის დაკავშირება რომელიმე არქეოლოგიურ კომპლექსთან (ნაგე-ბობა, მკაცრად განსაზღვრული ფენა) გაგვიჭირდება.

რაც შეეხება თავად ნივთს, ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ნიმუშს, ეს ფრაგმენტი შესაძლოა ეკუთვნოდეს როგორც სტატუეტებს, რომლებიც მონუმენტური ქანდაკებების მცირე ზომის ასლებია და პრივატულ ვი-თარებაში [Fischer T. 2002: სურ. 183] თაყვანისცემის საგნები იყვნენ, ასევე საყოფაცხოვრებო-ფუფუნების ნივთებს (მაგ., ბრინჯაოს სარკეებს, რომელთა სახელურებიც ხშირად შემკულია ასეთივე სტატუეტებით).

ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ნიმუშებს ბერძნულ ხელოვნებაში ღრმა ფესვები ჰქონდა [Mitten D., Doeringer S. 1968: 28-119]. ეს ტრადიცია ელინ-ისტურ ხანაშიც გრძელდებოდა [Mitten D., Doeringer S. 1968: 125-145] და გარკვეული თვალსაზრისით დამახასიათებელიც კი იყო ეპოქისთ-ვის [Comstock M., Vermeule C. 1971: კატ. №№ 67, 71, 74, 76]. ბერძნულ-რო-მაულ ხანაშიც ფართოდ იყო გავრცელებული მცირე ზომის ბრინჯაოს სტატუეტები როგორც დამოუკიდებელი ნივთი, და როგორც სხვადასხვა დანიშნულების საგნის დამატებითი შემამკობელი ელემენტი: აფროდიტე-სა და ეროტების სტატუეტები სარკეებზე[2] [Comstock D., Vermeule C. 1971: კატ. № 352 (ძვ.წ. 500 წ.); კატ. №№ 353, 354 (ძვ.წ. 480 წ.)], ასევე ჭურჭლის (ქვაბების, პატერების) სახელურებზე [Comstock D., Vermeule C. 1971: კატ. № 462 (ბერძნულ-რომაული ხანა); კატ. №№ 512, 520, 521 (ძვ.წ. 400 წ.)].

მცირე პლასტიკის მსგავსი ნიმუშები გავრცელებული იყო მთელ რო-მაულ სამყაროში და დღეისათვის შესწავლილ თითქმის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ყველა ძეგლზეა აღმოჩენილი [Weber G. 2000; Fischer T. 2002; Gudea N., Lobüscher T. 2006].

ანტიკური ხანის ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ნიმუშები საქართველოს არქეოლოგიური მასალიდანაცაა ცნობილი:

მცხეთის სადგურის აკლდამაში 1951 წელს აღმოჩნდა „მომღერალ-დამ-კვრელი“ [ლომთათიძე გ. 1955: 312], ხოლო უფრო ადრე, ძეგვთან - ღვთაების ოქროს პატარა ქანდაკება [აფაქიძე ან. 1955: 4; Апакидзе Ан. 1989: 425].

---

2 საყურადღებოა, რომ სწორედ ამ უბანზე (კვ. № 59) აღმოჩენილია ბრინჯაოს სარკის დისკოს მცირე ნაწილები.

განსაკუთრებით საინტერესოა ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნივთები:

**ჭურჭლის შემამკობელი ფიგურა**, 18 სმ სიმაღლის ფრთოსან ქალღმერთ ნიკეს ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც, ოთ. ლორთქიფანიძის განსაზღვრით, ანალოგებს პოულობს ნიკეს იმ ტიპთან, რომელიც ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევარში შეიქმნა მცირე აზიის ქ. მირინში [ლორთქიფანიძე ოთ. 1972: 30-33. ტაბ. 143. იქვე იხ. მით. ლიტ.; ლორთქიფანიძე ოთ. 2002: 224. სურ. 199; Kacharava D., Kvirkvelia G. 2008 b: Fig. 10 a, b].

**ტანშიშველი ჭაბუკების** (აპოლონი) 8,5 სმ და 7 სმ სიმაღლის ვერცხლის ქანდაკებები, რომლებიც მცირე აზიის ბერძნულ სახელოსნოებსა და ბერძენი მოქანდაკის - პოლიკლეტის სკოლას მიეკუთვნება. ისინი აღმოჩნდა თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის სამხრეთით, განძსაცავში, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნივთების კომპლექსთან ერთად და ძვ.წ. II-I სს-ითაა დათარიღებული [ფირცხალავა მ., ყიფიანი გ. 1986: 77. ტაბ. 57/2; ლორთქიფანიძე ოთ. 2002: 229-230. სურ. 207; ლორთქიფანიძე ოთ. 2004: 198-210].

**სატირის ბრინჯაოს ქანდაკება,** შემკული ოქროს გვერგვითა და სამაჯურებით. ქანდაკება ძვ. წ. III ს-თაა დათარიღებული [კვირკველია გ. 2005: 187-188. სურ. 3; Kacharava G., Kvirkvelia G. 2008a: 96-112. Fig. 1].

განსაკუთრებით აღსანიშნავია 2007 წელს ვანში აღმოჩენილი **რკინისა და ბრინჯაოს ნივთების განძი**, რომელიც გვიანელინისტური ხანით თარიღდება (ხოლო განძის ჩაფლვა ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებში ივარაუდება). აქ აღმოჩენილ სასაკმევლეებსა და ჭრაქებს ამკობს სირენისა დაეროსის ბრინჯაოს მცირე ფიგურები [ახვლედიანი დ. 2008: 129].

და ბოლოს, თვით გონიოში, ქედზე, რომელიც სამხრეთიდან აკრავს ციხეს, 1974 წელს საავტომობილო გზის გაფართოებისას, მოზრდილი ლოდის ძირას, ლითონის ჭურჭელში, აღმოჩნდა ოქროს ნივთების კომპლექსი. კომპლექსიდან ჩვენთვის საინტერესოა ჭაბუკის ოქროს სტატუეტი (H — 7,6 სმ), რომელიც იდენტიფიცირებულია დიოსკური=კაბირი=კორიბანტთან და ახ. წ. I სს-ებს ეკუთვნის [ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ, . . . 1980: 11, 24-25. ტაბ. VII-X].

ბრინჯაოს სტატუეტის მკლავის აღმოჩენა კიდევ ერთხელ ადასტურებს გონიო-აფსაროსში შესაბამისი დონის მომხმარებელი საზოგადოების არსებობას. ამასთან დაკავშირებით თავის დროზე „გონიოს განძის“ ავტორები (ოთ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, დ. ხახუტაიშვილი) წერდნენ: „გონიოს განძის შემადგენელი ნივთები ეკუთვნოდნენ ახ.წ. I საუკუნეების საქართველოს მმართველი საზოგადოების კიდევ ერთ უცნობ წრეს, რომელიც განაგებდა ძველი საქართველოს კიდევ ერთ

ადმინისტრაციულ ქვეყანას, ცენტრით ციხე-ქალაქ აფსარში და ახალ შინაარსს სძენენ იმ მკრთალ ცნობებს, აფსარ-ქალაქის შესახებ ძველ მატიანეებში რომაა მიმოფანტული“ [ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., . . . 1980: 27].

**ARCHAEOLOGY**


## Nino Sulava

The Georgian National Museum
Otar Lordkipanidze Arcaeological Research Centre
14 D. Uznadze St., 1002, Tbilisi, Georgia
nino_sulava@yahoo.com


# The Fragment of Bronze Statuette from Gonio-Apsaros


### Summary

Pontic Apsaros (castle of Gonio-Apsaros) – one of the most important sites of the eastern Black Sea area - is well-known in Classical and Romano-Byzantine literary sources. A that period of time many artifacts are known are well-preserved from that period of time.

Collection of bronze sculpture is noteworthy from various archaeological findings. In 2007 a bronze arm, which was found in the so–called“ baths area“ (Gonio-Apsaros - SW, section V) was added to this collection. It represents a left arm (l – 62 mm, h – 35 mm) bent at the elbow,with an outturned thumb.The arm is massive and is covered with green patina.

This detail of minor plastic might have belonged to either a statuette, representing a small-scale copy of a monumental sculpture which was worshipped in private situation or to a kind of luxurious items (such as bronze mirrors, the handles of which were often decorated with such statuettes).

Analogous specimens of small plastic were well-spread in the Roman world and were found at almost all more or less important sites.

The above-mentioned finding (together with the Gonio hoard of golden items) once more attests existence in Gonio-Apsaros the society which used luxurious items.

**ბიბლიოგრაფია:**


**აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. 1955:** არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. *მცხეთა. I.* თბილისი (რედ. გ. ჩუბინაშვილი).

**ახვლედიანი დ. 2008:** განძი ვანიდან. *იბერია-კოლხეთი.* № 4. გვ. 129. თბილისი (რედ. გ. გამყრელიძე).

**კახიძე ა., მამულაძე შ. 2004:** სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. *გონიო-აფსაროსი. IV.* გვ. 4-108. ბათუმი (რედ. ა. კახიძე).

**კვირკველია გ. 2005:** ბრინჯაოს ახალი ქანდაკება ვანიდან. *იბერია-კოლხეთი. № 2.* გვ. 187-188. თბილისი (რედ. გ. გამყრელიძე).

**ლომთათიძე გ. 1955:** გვიანანტიკური ხანა. *საქართველოს არქეოლოგია.* გვ. 301 – 330. თბილისი (რედ. ან. აფაქიძე).

**ლორთქიფანიძე ნ. 2004:** აპოლონის ორი ვერცხლის ქანდაკება ვანიდან. *ლოგოსი. 2..* გვ. 199-210. თბილისი (რედ. ვ. ასათიანი).

**ლორთქიფანიძე ოთ. 1972:** ვანის ნაქალაქარი. *ვანი I.* გვ. 7 – 80. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

**ლორთქიფანიძე ოთ. 2002:** *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან.* თბილისი.

**ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., ხახუტაიშვილი დ. 1980:** *გონიოს განძი.* თბილისი.

**მამულაძე შ., ებრალიძე ტ., სულავა ნ., მინდორაშვილი დ. 2010:** გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 2007 წლის კვლევა-ძიების შედეგები. *ძიებანი. № 19.* გვ. 57-66. თბილისი (რედ. გ. კვირკველია).

**მამულაძე შ. 2009:** სერაპისის ქანდაკება გონიო-აფსაროსიდან. *გონიო-აფსაროსი. VIII.* გვ. 131-147. ბათუმი (რედ. შ. მამულაძე).

**სულავა ნ. 2009:** გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 2004-2005 წლების კვლევა-ძიების შედეგები SW V სექტორში („აბანოთუბანი“). *გონიო-აფსაროსი. VIII.* გვ. 59-89. ბათუმი (რედ. შ. მამულაძე).

**სულავა ნ., მამულაძე შ. 2009:** ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ახლადაღმოჩენილი ნიმუში გონიო-აფსაროსიდან. საერთაშორისო კონფერენცია *„ბიზანტინოლოგია საქართველოში – 3“* (მოხსენებათა თეზისები). გვ. 92-93, 202. თბილისი (რედ.-ები: ა. ხარანაული, ო. ბერიძე).

**ფირცხალავა მ., ყიფიანი გ. 1986:** ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-1981 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები (თორმეტ-საფეხურიანი საკურთხევლის არე). *ვანი. VIII.* გვ. 52 – 79. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

**ხალვაში მ. 2002:** გონიო-აფსაროსის შიდაციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. *გონიო-აფსაროსი. III.* გვ. 134-168. ბათუმი (რედ.-ები: ა. კახიძე, ა. პლონტკე-ლუნინგი).

Апакидзе А.М**. 1989:** Иберия. Очерки истории Грузии. *т. I.* Тбилиси. сс. 393-448 (ред.-ры: Г.А. Меликишвили, О.Д. Лордкипанидзе).

Лордкипанидзе О.Д. 1989: Колхида. Очерки истории Грузии. *т. I.* Тбилиси. сс. 448-485 (ред.-ры: Г.А. Меликишвили, О.Д. Лордкипанидзе).

**Comstock M., Vermeule C. 1971:** *Greek, Etruscan and Roman bronzes* (in the Museum of Fine Arts Boston). Greenwich, Connecticut.

**Fischer T. 2002:** *Noricum.* Mainz.

**Gudea N., Lobüscher T. 2006:** *Dacia* (Eine römische Provinz zwischen Karpaten und Schwarzen Meer). Mainz.

**Kacharava D., Kvirkvelia G. 2008ა:** Religious Ritual: Bronze and Iron Figurines from Vani (in: Wine, Worship, and Sacrifice: The Golden Graves of Ancient Vani). pp. 96-112. New York.

**Kacharava D., Kvirkvelia G. 2008b:** Viticulture and Dionysos in Hellenistic Vani (in: Wine, Worship, and Sacrifice: The Golden Graves of Ancient Vani). pp. 114-125. New York.

**Mitten D. G., Doeringer S. F. 1968:** *Master Bronzes from the Classical World.* Mainz.

**Sulava N. 2011:** Bronzenstatue bei Gonio-Apsaros (Georgien). XVIIth INTERNATIONAL CONGRESS OF ANCIENT BRONZES (May 20 – 25, 2011). pp. 1-7. Izmir, TURKEY.

**Weber G. (Hrsg.) 2000:** *Cambodunum – Kempten* (Erste Hauptstadt der römischen Provinz Raetien?). Mainz.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. I.** – ბრინჯაოს მკლავის ფოტო და გრაფიკული გამოსახულება სხვადასხვა ხედიდან.

## LIST OF ILLUSTRATION

**TAB. 1**. – Arm photo and graphic image from different views



**არქეოლოგია**

**ნინო ოთხვანი*, ირინე ღამბაშიძე*,
თომას შტოლნერი**, მორის იანსენი****

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის კვლევის ცენტრი
დ. უზნაძის 14, 0102, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: ninootchwani@yahoo.com
irgambashidze@hotmail.com
** რურის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ინსტიტუტი,
გერმანია, 44791, ბოხუმი 31,
ელფოსტა: thomas.stoellner@rub.de
** სამთო-არქეოლოგიური მუზეუმი,
გერმანია, 44791, ბოხუმი 45
ელფოსტა: thomas.stoellner@bergbaumuseum.de
ელფოსტა: moritzc.jansen@bergbaumuseum.de

# ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა საყდრისის მაღაროსა და ძეძვების ნამოსახლარიდან

საყდრისის სამთო გამონამუშევრებში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი კერამიკა სამ ისტორიულ პერიოდს მოიცავს: ძვ. წ. IV-III ათასწლეულს, ანტიკურ ხანასა და ფეოდალურ ეპოქას. კერამიკის მასალის 80%-ზე მეტი მტკვარ-არაქსის კულტურის კუთვნილებაა. სამთო ობიექტზე აღმოჩენილი ქვის იარაღის მრავალფეროვნება და რაოდენობა კი აქ საზოგადოების ეტაპობრივ კონცენტრაციაზე მიგვითითებს. საყდრისში როგორც ჩანს, ერთდროულად მოიპოვებდნენ მადანს, ასევე ფქვავდენ და პირველადად ამუშავებდნენ მას. შრომა კომბინირებული და მოწესრიგებული უნდა ყოფილიყო, სხვადასხვა ასაკისა და შესაძლებლობების ადამიანების შესაბამისი. საყდრისიდან 2 კილომეტრის დაშორებით, სოფელ ბალიჭთან, ადგილ ძეძვებში, გამოვლინდა მტკვარარაქსული ნამოსახლარი, რომელსაც ძეძვების ნამოსახლარი ეწოდა. ნამოსახლარის ყველა სამუშაო უბანზე, ასეთი აქ სადღეისოდ ოთხია, დაფიქსირდა საყდრისის სამთო ობიექტზე აღმოჩენილის იდენტური ქვის იარაღი. ნამოსახლარზე ჭარბობს ქვის საფხვნელები, ამბოსები, ამასთან, გვაქვს მადნის წიდები და მადნის გროვები, ქურები, ტიგელები და მათს სიახლოვეს გამოვლენილი მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის მასალა. ეს ფაქტი განასხვავებს ძეძვების ნამოსახლარს რეგიონში არსებული მტკვარარაქსული სხვა ძეგლებისაგან და გვაძლევს საშუალებას, გამოვთქვათ ვარაუდი ამ ორი ობიექტის ერთ კომპლექსად მოაზრების შესახებ. როგორც ჩანს, მადანი საბოლოოდ მუშავდებოდა ძეძვების ნამოსახლარზე. სხვაგვარად შეუძლებელია სამთო საქმისათვის აუცილებელი ინვენტარის ასეთი ოდენობით ნამოსახლარზე არსებობა. საყდრისში მოძიებული მასალა

ქმნის შესაძებლობას, როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად შეედაროს იგი საქართველოს და მის მეზობლად არსებულ მტკვარარაქსულ სხვა ცნობილ ძეგლებზე მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალას. ძეძვების ნამოსახლარზე მიკვლეული ყორღანული, ქვაყრილიანი და ქვაყუთის ტიპის სამარხები და მათი შემცველი კერამიკა გახდა ჩვენთვის ამოსავალი საყდრისისა და ძეძვების თიხის ჭურჭლის ტიპებად და სახეობებად დასაჯგუფებლად. ესაა სპეციფიკური, მტკვარ-არაქსის კულტურისათვის ტიპური კერამიკა ფერით, ფორმით, კეცით, ზედაპირის დამუშავების წესით, ანგობირებით, რომლის ამოცნობა კულტურის გავრცელების მთელ სივრცეზე არაა ძნელი, მას კი, როგორც ცნობილია, განფენის საკმაოდ დიდი გეოგრაფიული არეალი უკავია – ამიერკავკასია, იმიერკავკასაია, ირანი, წინა აზია, ისრაელ-პალესტინა, ერაყი, პარალელები ეძებნება ევროპის ტერიტორიაზეც - სწორედ ამ მსგავსების მიხედვით ვასკვნით, რომ საყდრისსა და ძეძვებში გამოვლენილი კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ ეტაპს უნდა მიეკუთვნებოდეს. გამოიკვეთა ჭურჭლის ყველაზე გავრცელებული ფორმები, რომლებიც დაიყო შემდეგ სახეობებად და ტიპებად:

სახეობა I. კათხა-სასმისების ჯგუფი (ტაბ. I-1,2,3,4)

ტიპი I.A. სფერულმუცლიანი, ცალყურა;

I.B. კიდეებგამობერილი, ცალყურა, ცილინდრული ყელით;

I.C. ძაბრისებურყელიანი, გვერდებაწეული, სწორკედლა, ცალყურა;

I.D. სამნაწილადტანიანი, პირიდან მხარზე მიძერწილი ყურით;

სახეობა II. ორყურა ქოთანი (ტაბ. II-1)

ტიპი II.A. კვერცხისებურტანიანი;

II.B. სამნაწილადტანიანი;

II.C. მუცელგამობერილი ქოთანი ფართო, ბრტყელი ძირით;

II.D. სწორკედლა, ორყურა.

სახეობა III. ბადია (ტაბ. II-1,2)

ტიპი III.A. სფერულმუცლიანი ბადია ცრუ ყურით;

III.B. გვერდებგამობერილი, ძირისაკენ მკვეთრი შევიწროებითა და წყვილი, ცრუ ყურით;

III.C. სამნაწილადტანიანი ბადია, ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიძერწილი წყვილი ყურით;

სახეობა IV. ჯამი (ტაბ. II-4)

ტიპი IV.A. სწორკედლა, უყურო, ბრტყელი ჯამი;

IV.B. ცალყურა, ნახევარსფერული ჯამი;

სახეობა V. ხუფი – სახურავი (ტაბ. III-1,2,3 );

სახეობა VI. ტაფისებური ჭურჭელი.

საყდრისის მასალაში I და II სახეობის I.A და II.A. ტიპების კერამიკა (საინვ. №№10983; 10423; 3604; 11131-1; 14350-1; 6800-9) ჭარბობს (ტაბ. IV-1).

აღსანიშნავია, რომ როგორც საყდრისში, ასევე ძეძვების ნამოსახლარზე აღმოჩენილია ჭურჭლის ტიპიური (საინვ. №№11517; 8689-1; 11176) მტკვარ-არაქსული ყურები (ტაბ. IV-2), რომლებიც დამოუკიდებლადაც მტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთი გამოკვეთილი სახასიათო ელემენტია [Stölner T., Graddock B. 2014:86].

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საყდრისის A ჩასასვლელის გაწმენდისას ნაპოვნი კოჭისებური სადგარი. მას მეცნიერთა ერთი ნაწილი საკულტო, ხოლო მეორე საყოფაცხოვრებო ნივთად მიიჩნევს. ანალოგიური მთელი სადგარი აღმოჩენდა ძეძვები II,8 ობიექტზე. სიახლე და მნიშვნელოვანი იყო ამავე ჩასასვლელის გაწმენდისას საქშენი მილის პოვნა, რომელიც მელითონეობის აუცილებელი ატრიბუტია (ტაბ. IV-3).

საყდრისის მაღაროების კერამიკა შეიცავს ორნამენტირებულ ფრაგმენტებსაც. მათ შორის ისეთებსაც, როგორებიცაა კონცენტრული წრეები (ღრმახევისთავი III-ის მსგავსი). ასეთი შემკულობა მტკვარარაქსული კერამიკის მოზრდილი ჭურჭლისთვისაა დამახასიათებელი და ძირითადად მუცლის ყველაზე გამობერილ ადგილზე ან ყელის არეში დაიტანება [Кушнарева К., Чубинишвили Т. 1970:150] საყდრისის მასალაში ისინი ფრაგმენტებია (საინვ. №№10612; 8379; 11129; 9525-3; 11081). მართალია, ძეძვების მასალა გაცილებით მრავალფეროვანია, თუნდაც ორნამენტის თვალსაზრისით, მაგრამ ეს არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან საყდრისში ჭურჭლის ყველა ტიპი არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, და ამასთან, საპარადო, შემკული ჭურჭელი არც უნდა ჭარბობდეს. საყდრისში როგორც წითლად გაპრიალებულ, ასევე შავპრიალა, წითელსარჩულიან კერამიკაზე ჩაღარულ-ამოღარული წესით შესრულებული კონცენტრული წრეები გვხვდება (ტაბ. V-3). ორნამენტის ამ სახეობას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. მას „კონკრეტული საკრალიზებული გამოსახულების სტილიზაციას" უწოდებენ [ჩოლოყაშვილი ბ. 1987:68]. მეცნიერთა ერთი ნაწილი ვერძის სტილიზებულ გამოსახულებად მიიჩნევს [შანშაშვილი ნ. 1997:3-4]. სხვათა მოსაზრებით, ის მზის სიმბოლოა [Урушадзе Е. 1988:34-35], სიცოცხლის ხის განსახიერებაა [Раевский Д. 1985:201]. მსგავსი სინთეზი არაა უცხო მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა რელიგიური მეხსიერებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საკითხის ირგვლივ შეთანხმებული პოზიცია არ არსებობს, სტილიზაციის უტყუარობაში ყველა მეცნიერი თანხმდება. კიკეთის, ამირანის გორის, საჩხერის, ოზნის, შენგავითის, ურბნისისა და ძეძვების ნამოსახლართა სპირალური ორნამენტი ბევრნაირი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა. (ტაბ. V-1,2). ვფიქრობთ, საყურადღებოა მისი ერთ ადგილზე ასეთი კონცენტრაცია, რაც არ უნდა გამორიცხავდეს ადრე გამოთქმულ ვარაუდს ნამოსახლარზე სამლოცველოების მოწყობის თაობაზე. მით უფრო, თუ გავიზიარებთ მოსაზრებას სპირალური ორნამენტის გამორჩეულობის შესახებ და იმასაც, რომ მის მიღმა „ყველაფრის შემქმნელი და დამბადებელი უზენაესი მამა ღვთაება" იდგა, ასევე „სპირალური ორნამენტი უზენაესი მამა ღმერთის სტილიზებულ განსახიერებად უნდა მივიჩნიოთ და მისი ფიზიკური მატარებელი ამქვეყნიურ ყოფაში ქურუმები და ბელადები უნდა ყოფილიყვნენ" [შანშაშვილი ნ. 1997:10]. შეწყვილებული სპირალის ორამენტის - „სათვალისებურ სპირალის", გამოჩენას გარკვეული კულტურული სიახლის შემოსვლა-დამკვიდრებასაც უკავშირებენ [საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1970:199]. ამ ორნამენტის მოგვიანო, ჩაღარულ-ამოღარული მანერით შესრულებული, ვერსია არარატის ველზე შექმნილ-ჩამოყალიბებულად მიიჩნევა და მისი გავრცელებაც სწორედ აქედანაა ნავარაუდევი [ორჯონიკიძე ალ. 2002:15]. ამასთან, ჩაღარულ-ამოღარული წესით დატანილი რთული სათვალისებური ორნამენტი, ძირითადად, სამნაწილადტანიანი კერამიკისთვისაა დამახასიათებელი. ჯერ კიდევ ბ. კუფტინი ბეშთაშენის მასალის გაანალიზების საფუძველზე

კერამიკის მსგავს პროდუქციას შრეშ-ბლურისა და შენგავითის კერამიკასთან აახლოებდა [Куфтин Б. 1941:116]. სათვალისებური ორნამენტი არც მტკვარ-არაქსის კულტურის შედარებით ადრეული ეტაპისთვისაა უცხო, მაგრამ ჩაღარულ-ამოღარული ორნამენტი ტექნოლოგიური სიახლეა და მხოლოდ მოგვიანო, განვითარებული საფეხურისთვისაა დამახასიათებელი. მას გავრცელების მკაცრად შემოსაზღვრული არეალი გააჩნია: სომხეთი, აზერბაიჯანი, აღმოსავლეთი ანატოლია, საქართველოში - ქვემო ქართლი, შიდა ქართლის ვაკის მიდამოები, ჯავახეთის ზეგანი და თრიალეთის პლატო. ჩრდილოეთ კავკასიაში მისი გადასვლა-გავრცელების ფაქტები თითქმის არაა [Gönül-Yalçin H., 2012:117, Abb.10]. დასავლეთ საქართველოსათვის მსგავსი ელემენტი უცხოა. აქ მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების უკიდურესი საზღვარი ქარელი-ახალქალაქის შემაერთებელ ზოლზე გადის [ორჯონიკიძე ალ. 2002:16]. საქართველოს ძეგლთაგან აღსანიშნავია დმანისის ნაქალაქარი [Куфтин Б. 1944:71], ოზნი, ქვაცხელა B1 [ჯაფარიძე ოთ. 1976:60,142], ბდაძორი, სადახლო, ქერიფლური [ფხაკაძე გ. 1963:93], აქ მიკვლეული კერამიკა ქიულ-თეფეს და ეჩმიაძინის მასალის მსგავსია [გრიგოლია გ., ტატიშვილი თ. 1960:67-70]. მიჩნეულია, რომ თბილისში, საბურთალოზე, 1960 წელს გამოვლენილი წითელპრიალა სასმისები მსგავსია, ასევე, შრეშ-ბლურისა და შენგავითის მასალისა [ჯაფარიძე ოთ. 1976:142]. გავრცელების ვექტორი და არარატის ველის სიახლოვე ქვემო ქართლის ძეგლებზე კარგად აისახა – შულავერი 2-ის, ლაითმაზისა და დანგრეული გორის კერამიკა როგორც ფორმით, ასევე შემკობის წესით არარატის ველის კერამიკის ანალოგიურია [ორჯონიკიძე ალ. 2002:15]. ძეძვების ნამოსახლარის II,7 და II,8 მონაკვეთის გამოვლენილი მასალაც მკვეთრი ჩაღარულ-ამოღარული ორნამენტითაა წარმოდგენილი. არ იქნება აზრს მოკლებული, რომ ძეძვების მტკვარარაქსული ნამოსახლარი სწორედ ამ გავრცელების არეალში ვივარაუდოთ როგორც ტერიტორიულად, ასევე კულტურულ-ქრონოლოგიურად. გარდა ამისა, აღსანიშნავია სათხის, ჯიგრაშენის, ბარალეთის გორანამოსახლარები კასპის ციხიაგორის B2 ფენასთან ერთად, რომელთაც კიროვაკანის ჯგუფს მიაკუთვნებენ [ორჯონიკიძე ალ. 1989:172]. ამით ამოიწურება სადღეისოდ აღმოჩენილი ღრმა, ჩაღარულ-ამოღარული, სათვალისებური ორნამენტის გავრცელების არეალი. არის კი ეს კერამიკა უშუალოდ არარატის ველიდან გავრცობილი თუ მას ცალკე არტერია გააჩნია? დამოუკიდებლად, მხოლოდ იმპორტის სახით, შემოსულად უნდა ვივარაუდოთ თუ რამე განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე? ეს ის კითხვებია, რომლებიც ჩვენს შემთხვევაშიც, უდაოდ, აქტუალურია. ციხიაგორის მასალაზე დაყრდნობით, მტკვრის ხეობაში, უფრო დაზუსტებით, ქვემო ქართლის ვაკეზე, კერამიკის შემოსვლასთან ერთად მოსახლეობის მიგრაციაც იგულისხმება [მახარაძე ზ. 1984:65], ხოლო ჯავახეთში არარატული კერამიკა შიდა ქართლის გავლით უნდა მოხვედრილიყო [ორჯონიკიძე ალ. 1998:20]. ის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ეტაპობრივად უნდა შემოსულიყო – ჯერ ქვაცხელა B1-ში, შემდეგ ციხიაგორა B2-ში. ამავდროულად, იგი ადგილობრივ ნაწარმთან თანაარსებობს მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ ეტაპამდე, თანაც ისე, რომ არ ცვლის ადგილობრივი კულტურის ძირითად მახასიათებლებს. საინტერესოა სპირალების კომპოზიციური გაერთიანება ფრინველებსა და ცხოველებთან. მსგავსი დეტალების შემთხვევითობად, მხოლოდ დეკორატიულ ელემენტად, მიჩნევა არ იქნება სწორი. ერთი ვარაუდით, საქმე შესაწირი ცხოველებისა თუ ფრინველების სტილიზაციასთან უნდა გვქონდეს [ჩუბინიშვილი ტ. 1965:93], მეორე თვალსაზრისით კი, ისინი

ღმერთებთან შუამავლებს განასახიერებენ [ცანავა რ. 1984:98]. მოსაზრება, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სადავო, რადგან საზოგადოებას, როგორც ისტორიული პრაქტიკა გვიჩვენებს, სწორედ ყოფის იმ ელემენტების სტილიზაცია ახასიათებს, რომელიც მისთვის არსებითი და სასიცოცხლოა. ამით ის, გარკვეულ წილად, ინფორმაციას იმახსოვრებს და გადასცემს, ამავდროულად, წმინდა რიტუალსაც ასრულებს. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ კერამიკა ხანგრძლივი ისტორიული დროის განმავლობაში ახერხებს ტრადიციების შენარჩუნებას და მასზე დატანილი ინფორმაცია, უდავოდ, განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო. იმ ეპოქაში კი, როდესაც საზოგადოების კულტურულ ყოფაში დამწერლობის მოთხოვნა ჩნდება, კერამიკის მხატვრული კომპოზიციები კოსმოგონიური შეხედულებებისა და ყოფის ელემენტების ერთობლიობაა. ანუ, კერამიკა ხანგრძლივი დროის განმავლობაში რჩება ინფორმაციის გადატანის ერთ-ერთ უპირობო წყაროდ.

ცალკე კვლევის ინტერესია ნედლეული, რომლისგანაც პროდუქცია მზადდება. თიხის, როგორც სამეთუნეო ნედლეულის ოთხი ჯგუფიდან (კაოლინიტი, გალუაზიტი, ჰიდროსლუიდები და მონტმორილონიტი) თითოეული მეთუნისაგან სასურველი შედეგის მისაღწევად განსხვავებულ ტექნოლოგიურ მიდგომებსა და საგანგებო უნარებს ითხოვს [Глушков И. 1996:46]. კერამიკის მასალის ნედლეულის ძირითადი ხასიათის გასარკვევად, მათი თვისებრივი მსგავსებისა და სახეობების დასაზუსტებლად ამ ორი ობიექტიდან აღებულ კერამიკის მასალას გერმანიის ქალაქ რურის უნივერსიტეტის მინერალოგიისა და გეოლოგიის ინსტიტუტში ჩატარდა ქიმიური ანალიზი და მეტი სიცხადისათვის პარალელურად გაანალიზდა გუდაბერტყის ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალიდან აღებული რამდენიმე ეგზემპლარი. საერთო ჯამში – ძეძვების ნამოსახლარიდან 10, საყდრისის ადრებრინჯაოს ხანით დათარიღებული ოქროს მაღაროდან - 13, გუდაბერტყის ნამოსახლარიდან - 7. ანალიზი მიზნად ისახავდა მიგველო პასუხები ისეთ კითხვებზე, რომელსაც ჩვენ კვლევისას ვსვამდით. მათ შორის როგორიცაა როგორია კერამიკის წარმოების წესი, რა ნედლეულია გამოყენებული, როგორია გამოწვის ხარისხი, არის თუ არა ნედლეულის თანაფარდობა, რა ადგილობრივი რესურსია გამოყენებული კერამიკის პროდუქციის დამზადებისას, აქვთ თუ არა საყდრისის მაღაროების ძეძვების ნამოსახლარის კერამიკას საერთო წარმომავლობა, არის თუ არა შესაძლებელი, გარდა არქეოლოგიურ-ტიპოლოგიური მეთოდისა, სხვა სამეცნიერო დისციპლინების ჩართვით, მოეძებნოს პირდაპირი კონტაქტები. ეგზემპლარების ქიმიური თავისებურება დადგინდა რენტგენის ტალღის ფლუროსცენციული სიგრძის (რფა) Pilips PW 2404 აპარატის მეშვეობით. ამ მეთოდით შესაძლებელია, ატომის მეცხრედის დონეზე დადგინდეს საკვლევი მასალის შემადგენელი მცირე და მიკროელემენტები (ცხრ. 1). კერამიკის კლასიფიცირების შესაძლებლობას იძლევა მათი ძირითადი კომპონენტების გამოყოფა და ანალიზი. გამოიკვეთა, რომ ძეძვებ-საყდრისის თიხებს SiO2-ის, Al2O3-ისა და CaO+MaO-ის შემადგენლობა ახასიათებს, ხოლო გუდაბერტყას მასალაში კვარცის, ანორტიტისა და დიოფსიდის სიჭარბეა. ეს პირდაპირ მიუთითებს საკვლევ ერთეულებში გამოყენებული ნედლეულის სხვაობაზე. გუდაბერტყის მასალა შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც კირქვანარევი, ხოლო საყდრისისა და ძეძვების კერამიკა ნაწილობრივ ერთმანეთის მსგავსია და მათი ზოგადი დახასიათება შეიძლება როგორც კალციუმით ღარიბი კერამიკისა. გუდაბერტყის კერამიკა, ძეძვების კერამიკის ნიმუშების მსგავსად, ერთგვაროვანია. საყდრისის კერამიკა კი შეგვიძლია ორ ჯგუფად დავყოთ: ერთი, რომელიც ემთხვევა ძეძვების ნამოსახლარის მასალას

და მეორე, რომელსაც SiO-ის გაცილებით მაღალი და Al2O3-ის დაბალი შემცველობა ახასიათებს. ასევე ნიშანდობლივია ისიც, რომ გუდაბერტყის მასალაში მეტია კვარცის, ბარიუმისა და ტუტე ნიადაგისეული ჩანართები. ეს სხვაობა კი უშუალოდ დაკავშირებულია განსხვავებულ გეოლოგიასთან, რადგან, როგორც ცნობილია, თიხების გამოსავალი დამოკიდებულია ქანების გამოფიტვის ინდივიდუალობაზე. მიუხედავად გადაფარვის მაღალი ხარისხისა, ყველა ეგზემპლარს მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ზედაპირული ბზარები აღენიშნება. ამასთან, საყდრისის სამთო ობიექტისა და ძეძვების ნამოსახლარის ნიმუშებში ქრომი და ნიკელი კორელაციაშია ალუმინთან და ორ დამოუკიდებელ ჯგუფს წარმოქმნის, რაც ასევე მათი ნიადაგების განსხვავებული ორგანული შემადგენლობით უნდა იყოს განპირობებული. საინტერესოა მეორეული კომპონენტების (MgO, MnO, CaO) კვლევების შედეგად მიღებული ბინარული დიაგრამა, რომლის მიხედვითაც საყდრისის კერამიკის ორი ჯგუფიდან ერთი, იდენტურია ძეძვების ნამოსახლარის კერამიკისა. მეორე კი, რომელშიც MgO-ის და CaO-ის დაბალი შემცველობაა და ცალკე დამოუკიდებელ ჯგუფს ქმნის. საკვლევი მასალის მინერალოგიური შემადგენლობა დადგინდა დ. კირშნერის რენტგენულ-დიფრაქტომეტრული მეთოდით. თიხის პროდუქციის გამოწვის შემდეგ მასში არსებული მინერალები მოწმობს, რომ ყველა შემთხვევაში მეთუნე ტემპერატურისადმი მდგრადი ამტანობით გამორჩეულ თიხას იყენებს, რადგან გარკვეული მინერალები წვის მაღალ ტემპერატურაზე ან გარდაიქმნება, ან საერთოდ ქრება. მაგალითად, მონტმორილიტი (Geo 117/1) $700^{0}$C-ის გადაჭარბებისას იშლება. ასევე, შემადგენლობაში შპატების გამოვლენაც საერთოდ გამორიცხავს წვის მაღალ ტემპერატურას, რადგან $950^{0}$C-დან იწყება მათი დაშლა-გარდაქმნა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ: ზოგადად, კომპონენტების განსხვავებული შემადგენლობა, მიკროელემენტებისა და მინერალოგიური ფაზების სხვაობა ამ სამივე შემთხვევაში რეგიონებს შორის არსებულ ბუნებრივ მინერალოგიურ თავისებურებას უნდა აღნიშნავდეს. ამ შემთხვევაში კერამიკის გამოწვის შემდგომ მიღებულ ფერსაც მინერალების ბუნებრივი შემადგენლობა და ერთსართულიან ქურებში ან ღია წესით გამოწვისას წარმოქმნილი თავისებურებანი განსაზღვრავს. ის, რომ საყდრისის კერამიკის ერთი ჯგუფი თიხის შემადგენლობით სრულად თანხვდება ძეძვების ნამოსახლარის მასალას, ჩვენი აზრით, კიდევ ერთხელ ადასტურებს ძეძვების ნამოსახლარზე მცხოვრები და საყდრისის სამთო ობიექტზე მომუშავე ადამიანების საერთო ინტერესებს. რაც შეეხება განსხვავებულ ჯგუფს, მათი საცხოვრებლის ახლომახლოდ აღმოჩენა მომავლის საქმე გვგონია – საჭირო ნედლეულისათვის მტკვარ-არაქსელი შორს არ უნდა მიდიოდეს. მეთუნეობისათვის, ზოგადად, ტრადიციული, კონსერვატული მეთოდებია სახასიათო. მათი საშუალებით ნარჩუნდება რეგიონის ნედლეულის სპეციფიკა. ამდენად, თიხის ყველა კარიერში ლოკალური სამეთუნეო წესის, ჩვევის, მიმართულების არსებობა შეგვიძლია ვივარაუდოთ [ოთხვანი ნ. 2012: 94-95]. თანამედროვე მეთუნე საყდრის-ძეძვებსა და გუდაბერტყაშიც ადგილობრივ ნედლეულს იყენებს. გამომდინარე აქედან, თვით კულტურის შიგნით ლოკალური ერთეულების არსებობა არ უნდა გამოირიცხოს. კერამიკის დათარიღების პერიოდს კი გვიზუსტებს შესაბამისი შრეებიდან აღებული 14C ანალიზის პასუხები. მათი შექმნის დრო ძვ.წ. IV ათასწლეულის მიწურულსა და III ათასწლეულის დასაწყისს (ძვ.წ. 3360-2580წწ.) შორის მერყეობს (ცხრ.II). ფრაგმენტები სტრუქტურით, კეცით, გამოწვის თავისებურებებით წააგავს სამშვილდის, კიკეთის, ღრმახევისთავისა და დიდუბის მასალას.

P.S. სტატიის ავტორები დიდ მადლობას უხდიან ბატონ გიორგი მინდიაშვილს გუდაბერტყის ნამოსახლარის მასალის უშურველად მოწოდებისათვის.

**Nino Otkhvani*, Ir. Gambashidze*,**
**Thomas Stöllner**, Moritz Jansen****

**Nino Otkhvani*, Ir. Gambashidze***
*The Georgian National Museum
OtarLortkipanidzeCentre of Archaeology
14. Uznadze St, 0102, Tbilisi, Georgia
E-mail: ninootchwani@yahoo.com
igambashidze@hotmail.com
**Thomas Stöllner**, Moritz Jansen****
Institute for Archaeological Studies
Ruhr-University of Bochum
Am Bergbaumuseum Bochum 31
D-44791
thomas.stoellner@rub.de
Deutsches Bergbau-Museum Bochum
Forschungsstelle Archaeologie und Materialwissenschaften
Herner Str. 45
moritzc.jansen@bergbaumuseum.de
thomas.stoellner@bergbaumuseum.de

# Early Bronze Age Pottery from Sakdrisi Mine and Dzedzvebi Settlement

## Summary

Pottery of three historical periods was discovered during the archaeological excavation of the Sakdrisi minewaste: Kura-Arax Culture of the $4^{th}$-$3^{rd}$ millennia, Classical period, Feudal epoch. More than 80 per cent of the ceramic material belongs to Kura-Arax culture. Stone tools characteristic to the Sakdrisi mine waste were identified at Dzedzvebi settlement of the Kura-Arax culture located near Sakdrisi. Besides these objects ore slags, ore heaps, kilns, crucibles were discovered too.. This fact distinguishes Sakdrisi and Dzedzvebi settlements from other Kura-Arax monuments which are located in the region and supports the supposition according to which they are considered to belong to one complex. Grave goods revealed at the settlement allow grouping of the fragmentary ceramics of Sakdrisi and Dzedzvebi settlements into species and to separate subtypes. Based on this approach six species with subsequent types were separated (fig. I-IV). A spool-like stand is of a particular interest. It was discovered while cleaning the entry A in Sakdrisi and is of particular interest. One group of scientists believe it to have cult purposes,

while the other group supposes it to be an item of household usage. The similar damaged stand was discovered in Dzedzvebi in 2013 and two whole ones were identified at the place II, 8 in 2014. Ceramic material of Sakdrisi mine contains ornamented fragments including concentric circles (like Ghrmakhevistavi III). Which were specified as "stylization of specific sacralized image ". The emergence of a paired spiral ornament so-called an "eyeglasses spiral" is considered as establishment of definite cultural novelty. The later version of this ornament, made by grooving and incisions, is supposed to be created, and formed in Ararat Valley and being spread from that place. The single cases of Sakdrisi mine and the material revealed lately in the sections II,7 and II, 8 of Dzedzvebi settlement are presented with grooved and incised ornaments. It would not be meaningless to suppose affiliation of Kura-Arax Dzedzvebi settlements to this extension area as in terms of territory so culturally and chronologically. Raw material used for production is a matter of separate interest. The question of common provenance of pottery from Sakdrisi mines and Dzedzvebi settlement was based on the results of analysis confirming that clay composition of one group of Sakdrisi ceramics is fully consistent to the material of Dzedzvebi settlement (table 1). In our opinion, this fact once again proves that people who lived at Dzedzvebi settlement and worked in Sakdrisi-mining sites had common interests. For comparison purposes the items from Gudabertka settlement were also studied. In general, analysis of different components of the composition, variety of microelements and mineralogical phases in these three cases indicate to the natural mineralogical peculiarities existing in regions. Thus, the existence of local units within culture should not be excluded. The results of radiocarbon analysis performed on samples from relevant cultural strata, allow dating of ceramic material that suggests the period between the end of the 4$^{th}$ millennium and the beginning of the 3$^{rd}$ millennium –3360-2580 BC (table2). Fragments with their structure, fabric, baking characteristics are alike to the materials from Samshvilde, Kiketi, Ghrmakhevistavi and Didube.

## ბიბლიოგრაფია


**გრიგოლია გ., ტატიშვილი თ. 1960**: ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები,*სიგკ.* თბილისი.

**მახარაძე ზ. 1984**: ციხიაგორას მტკვარარაქსული ნამოსახლარი, თბილისი.

**ოთხვანი ნ. 2012:** თიხის, როგორც სამეთუნეო მასალის დახასიათება და დიაგნოსტიკის საკითხი, *კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები* XXVII. თბილისი.

**ორჯონიკიძე ალ. 1998:** ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი დიგაშენი I, *ძიებანი*№1, თბილისი

**ორჯონიკიძე ალ. 1989:** მტკვარ-არაქსის კულტურის ახალი მასალები ჯავახეთის პლატოდან, *მაცნე* №2, თბილისი.

**ორჯონიკიძე ალ. 2002:** *ძიებანი,* №10,

***საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* 1970:.** №2 ჩუბინიშვილი ტ. ენეოლითური და ადრე ბრინჯაოს კულტურა საქართველოში, თბილისი.

**ფხაკაძე გ. 1963:** *ქვემო ქართლის ენეოლითი.* თბილისი.

**შანშაშვილი ნ. 1997:** *მტკვარ-არაქსის კულტურის ერთი ორნამენტის ინტერპრეტაციისათვის.* თბილისი.

**ჩოლოყაშვილი ბ. 1987:** ე.წ "სათვალისებური სპირალის" ინტერპრეტაციისათვის. *ძეგლის მეგობარი* №2. თბილისი.

**ჩუბინიშვილი ტ. 1965:** *მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა*, თბილისი.

**ცანავა რ. 1984:** ოქროს საწმისი, მუხა და გველეშაპი არგონავტების მითსა და ქართულ ფოლკლორში. *ქართული ფოლკლორი* XV, თბილისი.

**ჯაფარიძე ო. 1976:** *ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის*, თბილისი.

**Глушков И. 1996:** Керамика как археологический источник, Новосибирск.

**Куфтин Б. 1941:** Археологические раскопки в Триалети, Тб.

**Куфтин Б. 1944:** Урартский Колумбарий у подошвы Арарата и куро-аракский Энеолит, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, ტ. XIII, რუსულ ენაზე.

**Кушнарева К., Чубинишвили Т. 1970:** Древные культуры Южного Кавказа, Л.

**Раевский Д. 1985:** Модель мира Скифской культуры, М.

**Урушадзе Е. 1988:** Древнегрузинское Пластическое искусство, Тб.

**H. Gönül-Yalçin**. **2012:** Die Karaz – Keramik von Tepecik in Ostanatolien.

**Stölner T, B. Graddock**… **2014:** Gold in the Caucasus. New reserch of gold extachion in the Kura-Araxs culture of the BC and early 3rd milenium BC.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. I Tab.**

**სურ 1,2,3,4 Fig –** სახეობა - კათხა-სასმისების ჯგუფი

**ტაბ II Tab.**

**სურ 1 Fig.** სახეობა - ორყურა ქოთანი

**სურ 2,3,4 Fig.** სახეობა ბადია

**სურ 5 Fig.** სახეობა ცალყურა ჯამი

**ტაბ III Tab.**

**სურ ,2.3 Fig.** სახეობა - ხუფი

**ტაბ IV Tab.**

**სურ 1 Fig.** მტკვარარაქსული კერამიკის ფრაგმენტები საყდრისიდან

**სურ 2 Fig.** წრიული ყურები 2,4,6,7 საყდრისის მაღაროდან; 1,3,5 ძეძვების ნამოსახლარიდან

**სურ 3 Fig.** საქშენი მილი საყდრისის მაღაროს A ჩასასვლელიდან

**ტაბ V Tab.**

**სურ 1,2 Fig.** ჩაღარულ-ამოღარული წესით შესრულებული მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ფრაგმენტები ძეძვების ნამოსახლარიდან

**სურ 3 Fig.** მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ორნამენტირებული ფრაგმენტები საყდრისის მაღაროდან

**ცხრილი 1 Table** – საყდრისის მაღაროს, ძეძვების, გუდაბერტყას ნამოსახლარების მტკვარარაქსული კერამიკის ქიმიური ანალიზის შედეგები

**ცხრილი 2 Table** 14C შედეგები საყდრისის მაღაროდან

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. I.**

**Pic.1,2,3,4–**Tipe - group of mugs and drinking vessels

**Fig.II.**

**Pic.1.**Tipe **–** Double- handled pot

**Pic.2,3,4.** Tipe **-** bucket

**Pic.5.**Tipe –One- handled bowl

**Fig.III.**

**Pic.2.3.**Tipe –lid

**Fig.IV.**

**Pic.1.** Fragments of Kura-Arax ceramics from Sakdrisi

**Pic.2.** Circular handles of Kura-Arax culture from Sakdrisi mines 2, 4, 6, 7; Dzedzvebi settlement 1, 3, 5

**Pic.3.** Scavenging pipe from entry A of Sakdrisi mine.

**Fig.V.**

**Pic.1,2.** Fragments of grooved and incised ceramics of Kura-Arax culture from Dzedzvebi settlement

**Pic.3.** Fragments of ornamented ceramics of Kura-Arax culture from Sakdrisi mine

**Table1**– Results of chemical analysis on the ceramics of Kura-Arax culture from Sakdrisi mine, Dzedzvebi and Gudabertka settlements

**Table2 -** Results of radiocarbon analysis 14C from Sakdrisi mine.

**ტაბ. I Tab.**



**სურ. 1. Fig.**



**სურ. 2. Fig.**




**სურ. 3. Fig.**



I. D - [illegible]



**სურ. 4. Fig.**

ტაბ. II Tab.



სურ. 1. Fig.



სურ. 2. Fig.



**სურ. 3. Fig.**



**სურ. 4. Fig.**

ტაბ. III Tab.



სურ. 1. Fig.



სურ. 2. Fig.



სურ. 3. Fig.




სურ. 1. Fig.




სურ. **2. Fig.**




5.

**სურ. 3. Fig.**

**ტაბ. V Tab.**



1.



2.



| Sample | Konz. | SiO2 | TiO2 | Al2O3 | Fe2O3 | CaO | MgO | MnO | K2O | Na2O | P2O5 | Ba | Cr | Ni | Probename | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | (%) | (%) | (%) | (%) | (%) | (%) | (%) | (%) | (%) | (%) | (%) | (ppm) | (ppm) | (ppm) | | |
| 1728 | 77.59 | 53.58 | 0.87 | 10.53 | 6.67 | 1.44 | 0.74 | 0.03 | 2.73 | 1.00 | 10,90 | 663 | 91 | 19 | 4345/11 | Geo-117/1 |
| 1729 | 89.02 | 59.05 | 0.76 | 14.11 | 6.53 | 2.05 | 1.47 | 0.09 | 2.71 | 1.17 | 1.08 | 948 | 105 | 37 | 4346/11 | Geo-117/2 |
| 1730 | 90.62 | 65.85 | 0.75 | 8.98 | 6.19 | 0.55 | 0.58 | 0.03 | 2.47 | 0.83 | 4.39 | 1238 | 77 | 30 | 4347/11 | Geo-117/3 |
| 1731 | 87.76 | 62.13 | 0.89 | 8.73 | 7.11 | 0.85 | 0.46 | 0.02 | 2.18 | 1.06 | 4.33 | 1289 | 84 | 29 | 4348/11 | Geo-117/4 |
| 1732 | 90.74 | 60.17 | 0.76 | 15.11 | 6.66 | 1.30 | 1.96 | 0.07 | 3.15 | 1.33 | 0.23 | 1510 | 83 | 50 | 4349/11 | Geo-117/5 |
| 1733 | 95.06 | 60.68 | 0.77 | 16.35 | 7.11 | 3.13 | 2.28 | 0.12 | 2.98 | 1.37 | 0.27 | 860 | 111 | 52 | 4350/11 | Geo-117/6 |
| 1734 | 98.93 | 62.05 | 0.80 | 17.40 | 7.30 | 3.47 | 2.67 | 0.14 | 2.80 | 1.80 | 0.50 | 1326 | 121 | 80 | 4351/11 | Geo-117/7 |
| 1735 | 92.61 | 58.14 | 0.82 | 16.64 | 6.92 | 2.71 | 2.42 | 0.12 | 2.88 | 1.53 | 0.43 | 987 | 116 | 56 | 4352/11 | Geo-117/8 |
| 1736 | 87.46 | 63.53 | 0.86 | 10.11 | 5.86 | 0.66 | 0.78 | 0.02 | 2.43 | 1.13 | 2.08 | 852 | 91 | 29 | 4353/11 | Geo-117/9 |
| 1737 | 90.20 | 64.62 | 0.82 | 9.45 | 5.76 | 1.34 | 0.61 | 0.02 | 2.42 | 1.03 | 4.13 | 1744 | 82 | 24 | 4354/11 | Geo-117/10 |
| 1738 | 92.28 | 61.42 | 0.66 | 15.03 | 5.00 | 2.39 | 2.20 | 0.06 | 3.65 | 1.53 | 0.34 | 955 | 77 | 31 | 4355/11 | Geo-117/11 |
| 1739 | 89.17 | 61.64 | 0.76 | 9.60 | 5.92 | 3.04 | 0.84 | 0.03 | 2.23 | 0.96 | 4.15 | 1096 | 81 | 25 | 4356/11 | Geo-117/12 |
| 1740 | 91.85 | 59.99 | 0.84 | 14.78 | 6.46 | 2.67 | 2.06 | 0.07 | 2.82 | 1.61 | 0.55 | 1910 | 105 | 46 | 4357/11 | Geo-117/13 |
| 1741 | 93.69 | 57.57 | 0.77 | 16.11 | 6.80 | 5.81 | 2.42 | 0.12 | 2.57 | 1.31 | 0.21 | 1472 | 116 | 59 | 4358/11 | Geo-118/1 |
| 1742 | 97.95 | 60.81 | 0.84 | 17.87 | 7.78 | 2.65 | 2.79 | 0.14 | 3.27 | 1.53 | 0.27 | 895 | 138 | 74 | 4359/11 | Geo-118/2 |
| 1743 | 94.11 | 59.79 | 0.82 | 16.34 | 7.03 | 3.11 | 2.36 | 0.13 | 2.72 | 1.52 | 0.29 | 784 | 101 | 42 | 4360/11 | Geo-118/3 |
| 1744 | 96.14 | 61.06 | 0.79 | 16.75 | 7.10 | 3.11 | 2.31 | 0.13 | 2.69 | 1.59 | 0.61 | 1042 | 101 | 55 | 4361/11 | Geo-118/4 |
| 1745 | 93.21 | 58.94 | 0.79 | 16.44 | 7.16 | 2.75 | 2.30 | 0.13 | 2.86 | 1.59 | 0.25 | 1287 | 117 | 55 | 4362/11 | Geo-118/5 |
| 1746 | 91.50 | 56.48 | 0.80 | 16.41 | 7.16 | 4.63 | 2.24 | 0.13 | 2.20 | 1.22 | 0.23 | 1083 | 96 | 51 | 4363/11 | Geo-118/6 |
| 1747 | 94.92 | 59.06 | 0.80 | 16.41 | 6.96 | 5.05 | 2.50 | 0.14 | 2.45 | 1.34 | 0.21 | 1014 | 112 | 55 | 4364/11 | Geo-118/7 |
| 1748 | 95.55 | 61.22 | 0.65 | 15.72 | 5.74 | 4.52 | 2.27 | 0.08 | 3.58 | 1.50 | 0.27 | 1074 | 77 | 34 | 4365/11 | Geo-118/8 |
| 1749 | 94.72 | 59.74 | 0.75 | 16.30 | 6.87 | 3.30 | 2.44 | 0.14 | 3.42 | 1.44 | 0.32 | 1236 | 102 | 58 | 4366/11 | Geo-118/9 |
| 1750 | 88.61 | 55.82 | 0.72 | 15.02 | 6.38 | 4.68 | 2.34 | 0.10 | 2.18 | 1.18 | 0.19 | 1846 | 114 | 53 | 4367/11 | Geo-118/10 |
| 1751 | 93.27 | 54.01 | 0.61 | 14.09 | 5.62 | 11.76 | 2.18 | 0.21 | 3.35 | 1.06 | 0.38 | 420 | 83 | 46 | 4368/11 | Geo-119/1 |
| 1752 | 97.02 | 57.37 | 0.66 | 15.39 | 5.99 | 10.54 | 2.24 | 0.14 | 3.39 | 0.87 | 0.43 | 506 | 94 | 50 | 4369/11 | geo-119/2 |
| 1753 | 93.51 | 52.54 | 0.59 | 13.17 | 5.18 | 15.29 | 2.25 | 0.15 | 3.03 | 0.98 | 0.33 | 457 | 84 | 37 | 4370/11 | Geo-119/3 |
| 1754 | 93.66 | 53.92 | 0.63 | 13.36 | 5.25 | 14.07 | 1.99 | 0.21 | 2.94 | 0.94 | 0.35 | 457 | 84 | 47 | 4371/11 | Geo-119/4 |
| 1755 | 94.20 | 57.21 | 0.65 | 14.08 | 5.72 | 9.19 | 2.16 | 0.15 | 3.13 | 1.47 | 0.44 | 491 | 94 | 44 | 4372/11 | Geo-119/5 |
| 1756 | 95.71 | 56.26 | 0.62 | 14.03 | 5.34 | 12.81 | 2.04 | 0.17 | 3.18 | 0.88 | 0.38 | 497 | 88 | 46 | 4373/11 | Geo-119/6 |
| 1757 | 91.43 | 53.32 | 0.56 | 12.39 | 4.75 | 14.08 | 1.97 | 0.15 | 2.92 | 0.82 | 0.47 | 548 | 79 | 36 | 4374/11 | Geo-119/7 |

**ცხრილი I Table**




**ცხრილი II Table**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 38-61
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 38-61

**ნუმიზმატიკა**

**მედეა შეროზია**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: m.sherozia@yahoo.com

# რომაული აურეუსები და მათი მინაბაძები იბერიის ფულად მიმოქცევაში

რომაული ხანა იბერიის სამეფოში, ფულადი მიმოქცევის თვალსაზრისით, ძირითადად, ემთხვევა საიმპერატორო პერიოდს.

ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევაში რომაული ფული სტაბილურად ძვ.წ. I ს–ის მიწურულიდან ერთვება და მას შემდგომ თითქმის ყველა რომაელი იმპერატორის სახელით მოჭრილი ოქროს, ვერცხლისა და, შედარებით ნაკლებად, სპილენძის ფულს ვხედავთ მიმოქცევაში.

აურეუსი რომაული ოქროს საფასეა, რომლის მოჭრა ეპიზოდურად დაიწყო წარმატებული ლაშქრობების შემდგომ იულიუს ცეზარმა (ძვ.წ.†44 წ.). ამ პროცესს სისტემატური ხასიათი ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ.14 წწ.) ეპოქიდან მიეცა [Зограф А:1951:52-53; Казаманова Л., Кропоткин В. 1964:52,96-97]. ეს ვითარება უმალ აისახა ქართლის სამეფოს ფულად მეურნეობაზე. მაღალი მხატვრული ღირებულებისა და წონის ოქროს საფასე თანდათან დევნის ალექსანდრე მაკედონელისა (ძვ.წ. 336-323 წწ.) და მისი მხედართმთავრის, თრაქიის მმართველის, ლისიმაქეს (ძვ.წ. 306 – 282 წწ.) სტატერებსა და მათ ადგილობრივ ოქროს მინაბაძებს სამონეტო მიმოქცევიდან და III ს-ის ბოლომდეა გაბატონებული.

ოქროს საფასეები აღმოჩენილია ქ. მცხეთაში, არმაზისხევის მდიდრულ სარკოფაგებში; ქ. გორში; ქარელის რაიონის სოფელ ზღუდერში, სოფელ რუისში; კასპის რაიონის სოფელ აღაიანში, სოფელ ხოვლეში; დაბა ცხინვალში; დუშეთის რაიონის დაბა ჟინვალში; თიანეთის რაიონის სოფელ მაგრანეთში (თრანში), სოფელ სიმონიანთხევში; საჩხერის რაიონის ადგილ მოდინახეზე; ოზურგეთის რაიონის დაბა ურეკში; ბიჭვინთაში; ქალაქ გაგრაში [Капанадзе Д. 1957:159; Капанадзе Д., Голенко К. 1968:160; რამიშვილი რ. 1979:98; ნადირაძე ჯ. 1975:72; ნიკოლაიშვილი ვ., შეროზია მ. 2012].

როგორც მოსალოდნელია, რაოდენობითა და მრავალფეროვნებით პირველობს ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთასა და მის შემოგარენში აღმოჩენილი საფასეები (იხ. დანართი №1, 2).

მცხეთაში სხვადასხვა დროს აღმოჩენილია 44 რომაული საიმპერატორო აურეუსი და 2 ოქროს კვინარიუსი, გადაკეთებული გულსაკიდებად (გარდა

ამისა არსებობს კიდევ ინფორმაცია 3 აურეუსის აღმოჩენის შესახებ)[1].

სულ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია რომის საიმპერატორო ოქროს ფულის 88 ეგზემპლარი, რომლებიც საუკუნეების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

I ს-ის: 1. ოქტავიანე ავგუსტუსის – 2 ც. (ორივე მინაბაძი); 2. ტიბერიუსის (14-37 წწ.) -1 ც.; 3. ნერონის (54-69 წწ.) – 6 ც.; 4. გალბას (68-69 წწ.) – 1 ც.; 5. ვიტელიუსის (69 წ.) – 1 ც.; 6. ვესპასიანეს (69-79 წწ.) – 4 ც.; 7. ტიტეს (79-81 წწ.) – 2 ც.; 8. დომიციანეს (81-96 წწ.) – 2 ც. სულ – 19 ც.

II ს-ის: 1. ტრაიანეს (98-117 წწ.) – 2 ც.; 2. ადრიანეს (117-138 წწ.) – 8 ც.; 3. ანტონინე პიუსის (138-161 წწ.) – 4 ც.; 4. ფაუსტინა უფროსის (†141 წ.) – 3 ც.; 5. მარკუს ავრელიუსის (161-180 წწ.) – 3 ც.; 6. ფაუსტინა უმცროსის (†175წ.) – 2 ც. (აქედან 1 კვინარიუსია, ყუნწიანი); 7. იულია დომნასი (193-217 წწ.) – 1 ც.; 8. კომოდის (176-192 წწ.) – 1 ც.; 9. ლუცილასი – 2 ც. და 1 ც. კვინარიუსი, ყუნწიანი. მეორე ჰიბრიდული მინაბაძი - ლუცილასი (†183 წ.) + ალექსანდრე სევერუსის (229-235 წწ.) + გორდიანე III-ის (?) (238-244 წწ.). სულ 26 ც.

III ს-ის: 1. სეპტიმი სევერუსის (193-211 წწ.) – 2 ც.; 2. კარაკალასი (211-217 წწ.) – 2 ც.; 3. კარაკალასი და გეტასი (211-212 წწ.) – 1 ც.; 4. ელაგაბალუსის (218-222 წწ.) – 4 ც.; 5. ალექსანდრე სევერუსის (222-235 წწ.) – 3 ც.; 6. გორდიანე III-ის (238-244 წწ.) – 5 ც.; 7. ფილიპე I-ის (არაბის) (244-249 წწ.) – 4 ც; 8. ფილიპე II-ის (უმცროსის) – 1 ც; 9. ტრაიანე დეციუსის (249-251 წწ.) – 1 ც. (იმიტაცია); 10. ჰოსტილიანეს (251 წ.) – 1 ც. (იმიტაცია); 11. ვალერიანუსის (253-260 წწ.) – 4 ც. (2ც. იმიტაცია); 12. კლავდიუსის (გოთის) (268-270 წწ.) – 1 ც.; 13. კარუსის (282-283 წწ.) – 1 ც.; 14. ნუმერიანეს (283-284 წწ.) – 2 ც. (იმიტაციები); 15. დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) – 2 ც. სულ – 34 ც.

IV ს-ის: 1. კონსტანტინე დიდის (306-337 წწ.) – 3 ც. (1 ც. სუბერატი); 2. კონსტანციუს II-ის (337-361 წწ.) – 6 ც. (2 ც. სუბერატი). სულ – 9 ც.

რომაული ოქროს საფასეებისა და მათი იმიტაციების საკითხის შესწავლას იბერიის ფულად ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნეს დ. კაპანაძემ [Капанадзе Д. 1955; 1957; 1959; 1968; 1970], კ. გოლენკომ [Голенко К. 1971], ვ. კროპოტკინმა [Кропоткин В. 1961], ლ. კაზამანოვამ (კროპოტკინთან თანაავტორობით) [Казаманова Л., Кропоткин В. 1964], გ. და თ. დუნდუებმა [დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006:122-132], მ. შეროზიამ [შეროზია მ. 2011; 2012].

დ. კაპანაძემ საქართველოში აღმოჩენილი რომაული აურეუსების ბარბაროსული მინაბაძები იმთავითვე ადგილობრივ ემისიად მიიჩნია და მათ „იბერიული აურეუსები" შეარქვა [კაპანაძე დ. 1969:47]. მას მიაჩნდა, რომ ჩვენს ხელთ უკვე საკმაო მასალაა, რათა მონეტების ამ ჯგუფის ქართული წარმოშობა ვივარაუდოთ, ამასთან, „...ანალოგიური ნიმუშების აღმოჩენის შემთხვევებს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ და უფრო დაკვირვებით შევისწავლოთ როგორც უშუალოდ მონეტები, ისე მათი აღმოჩენის პირობები" [კაპანაძე დ. 1968: 47]. ამავე აზრისაა ა. ზოგრაფი.

1 XX ს-ის 30-იან წლებში მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისში ნაპოვნია ალექსანდრე სევერუსის (ძვ.წ. 222-235 წწ.) ოქროს აურეუსი [Капанадзе Д. 1957:173]; XX ს-ის 30-იან წლებში მცხეთასთან ახლოს ნაპოვნია ვესპასიანეს (ძვ.წ.69-79 წწ.) აურეუსი [Капанадзе Д. 1957:171]; 1902 წელს, ნავთობსადენის გაყვანის დროს, შემთხვევით იპოვეს ოქტავიანე ავგუსტუსის აურეუსი [Пахомов Е. 1926:38] .

მას მიაჩნია, რომ “Тщательное исследование всей этой группы подражаний с конечной целью определения района их происхождения и распространения – назревшая задача“ [Зограф А. 1945:32].

ლ. კაზამანოვასა და ვ. კროპოტკინს გადაჭარბებულად მიაჩნიათ დ. კაპანაძის მოსაზრება ოქროს მინაბაძების ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ. უფრო მეტიც, ისინი თვლიდნენ, რომ, ზოგადად, მოთხოვნა ოქროს საფასეებზე არ არსებობდა: «...при отсутствии реалной потребности в обращении золота на рассматриваемой территории заставляет считать эти монеты скорее сокровищем или украшением, чем средством обращения» [Казаманова Л., Кропоткин В. 1964:146]. მკვლევართა ეს მოსაზრება სათავეშივე მცდარია ბევრი არგუმენტის გამო. «Для Закавказья этот вопрос следует признать нерешенным, так как не исключена возможность завоза подражаний ауреусам в.н.э. вместе с римскими золотыми монетами, поскольку последние по технике выполнения и типу представляют собой только раннюю стадию деградации и очень близки к прототипу) [Казаманова Л., Кропоткин В. 1964: 145]. ეს რომ ასე არაა, ამის მაგალითია თუნდაც ვალერიანეს მონეტათა მინაბაძები, რომელთაგან ორი ახლოსაა ორიგინალთან. ერთი კი, სოფელ ვაშლოვანში აღმოჩენილი, უკიდურესად სქემატურია. ერთ საკითხში უნდა დავეთანხმოთ მკვლევრებს, რომ კავკასიაში, უკრაინასა (შუადნეპრისპირეთი) და დასავლეთ ევროპაში აღმოჩენილი ეგზემპლარები ტიპოლოგიურად, ასევე წონითი მონაცემებით, განსხვავებულია [Казаманова Л., Кропоткин В. 1964:141].

კ. გოლენკო არ ეთანხმება ზემოხსენებულ მეცნიერებს და იზიარებს დ. კაპანაძის მოსაზრებას ოქროს მინაბაძთა იბერიული წარმომავლობის შესახებ: «Но помимо серебра, в денежном обращении Закавказья участвовали и ауреусы – практически единственный вид золота в это время. Обнаружение ауреусов в комплексах, содержащих и серебряные монеты, снимает, как нам кажется, вопрос о каком-то «особом назначении» золота, ставящем под сомнение его участие в денежном обращении. Участившиеся находки ауреусов в Грузии позволяют со всей очевидностью констатировать, что золото было достаточно прывычным платежным средством не толко на столичном рынке (Мцхета), но и во всей области долины Куры - наиболее населенной части страны, через которую проходил основной торговый путь Иберии, связывающий ее с Колхидой, с одной стороны, и Арменией и Албанией, с другой» [Голенко К. 1971: 55]. ერთადერთი, რაშიც არ ვეთანხმებით ავტორს, რომ ვითარება არაა ერთგვაროვანი მთელი ამიერკავკასიისათვის. მიმოქცევის შინაარსი განსხვავებულია იბერიის სამეფოში ზოგადად და ეს ეხება, კერძოდ, აურეუსების მიმოქცევასაც.

გ. დუნდუას მიაჩნია, რომ რომაული აურეუსების საკმაოდ ინტენსიური ცირკულაცია იბერიის ტერიტორიაზე უცილობელი ფაქტია [დუნდუა გ. 2005:127] და რომ „აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი რომაული აურეუსების მინაბაძების კვლევა, მასალის სიმცირის გამო, დღესდღეობით არ შეიძლება გასცდეს იმ სამუშაოების ფარგლებს, რაც ბრწყინვალედ ჩაატარა კ. გოლენკომ“ [დუნდუა გ. 2005:129].

დღეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რომაული აურეუსები მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იბერიის ფულად მიმოქცევაში, როგორც შიდა,

ასევე საერთაშორისო ვაჭრობაში.

თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რომის იმპერიის საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა არ იყო მასშტაბური. „ბედნიერ დროსაც“ კი რომის იმპერია ინარჩუნებდა ნატურალური მეურნეობის ბევრ ელემენტს. სავაჭრო მიმოცვლაში ჩართული იყო, უპირატესად, ზღვისპირა რაიონები, საგარეო ვაჭრობა კი იყო პასიური და შემოიფარგლებოდა ფუფუნების საგნებით [Сергеев В. 2012:62].

III ს-ის მეორე ნახევრიდან რომის იმპერიაში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი უაღრესად გამწვავდა. ამის გამომწვევი მიზეზები იყო საერთაშორისო და სამოქალაქო ომები, ბარბაროსების თავდასხმები. III ს-ის დასაწყისიდან პროვინციებს შორის ირღვევა კავშირები. იმპერიას უკვე უჭირს, დაიცვას საზღვრები გარე თავდასხმებისაგან. I და II სს-ში მიღწეული სავაჭრო გზების უსაფრთხოება III ს-ში მოიშალა, რაც ხელს უშლიდა პროვინციებს შორის ნორმალურ ურთიერთკავშირებს [Машкин Н. 1950: 584]. ასეთ ვითარებაში რომაულმა ფულის ნიშნებმა დევალვაცია განიცადა. III ს-ის მეორე ნახევარში ოქროს მონეტები იჭრებოდა ცოტა, ამასთან, მათი წონა სულ უფრო და უფრო მცირდებოდა.

ამ დროისათვის ქართლი დამოუკიდებელი, ძლიერი სახელმწიფოა [საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1970:568; გამყრელიძე გ. 2011:87; ლორთქიფანიძე ოთ. 1968:]. მას განვითარებული ფულადი მეურნეობა აქვს. ოქროს საფასეების დეფიციტმა ადგილობრივი იმიტაციების დამზადება გაახშირა. ისინი მზადდება არასრულყოფილი საშუალებებით იმ ნიმუშების მიხედვით, რომლებიც დამკვიდრებული იყო ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევაში.

დ. კაპანაძის მიერ შესწავლილი ნიმუშების გამოქვეყნების შემდგომ [Капанадзе Д. 1970:81-92] სამეცნიერო საზოგადოებისთვის ცნობილ საფასეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. უკანასკნელ წლებში გამოვლენილი 5 ახალი ნიმუში ჩვენ გამოვაქვეყნეთ 2011 წელს [შეროზია მ. 2011:247].

2014-2015 წლებში გამოვლინდა მეცნიერთათვის აქამდე უცნობი კიდევ სამი ნიმუში.

2014 წლის სექტემბერში შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში პატრონმა წარმოადგინა საინტერესო, უკიდურესად სქემატური ეგზემპლარი, ნაპოვნი XX ს-ის სამოცდაათიან წლებში დუშეთის რაიონის სოფელ ქვემო არანისში.

იმიტაცია დამზადებულია არაერთგვაროვანი ოქროსგან. მისი ზედაპირი აჭრელებულია.

Av: ადამიანის მკერდზემოთა, უკიდურესად სქემატური გამოსახულება მიმართულია მარცხნივ. თავზე ერთი წერტილიდან გამომავალი სამი ხაზი მუზარადის დამამშვენებელი დეტალი უნდა იყოს. თავს უკან, მარჯვნივ, წარწერის იმიტაციაა . . I XO ... გამოსახულებას შემოუყვება ხაზოვანი რკალის ფრაგმენტი.

Rv: ადამიანის გამოსახულება მთელი ტანით, ფეხები განზე აქვს გადგმული. ხელებში გაურკვეველი საგნები უჭირავს. მარცხნივ, ზემოთ, მხართან, ჯვარია (?), მარცხენა ფეხთან - ვარსკვლავი (?). ფიგურის მარჯვნივ და მარცხნივ წარწერების გამოსახვის მცდელობაა. მარცხნივ, ქვემოთ,

ხელთან, გამოსახულია ასო, რომელიცჰგავს ქართულ ასომთავრულ ან-ს (Ⴀ). გამოსახულებას ირგვლივ შემოუყვება ხაზოვანი რკალი (ტაბ. II- 23).

მონეტა, სავარაუდოდ, აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის) მმართველის ფეოდოს II-ის (408-450 წწ.) სოლიდის (აბრამიშვილი თ. 1966:30. №10; Толстой H. 1912:67.№13. tab.5-13)იმიტაციაა. ნიშანდობლივია, რომ მინაბაძი უკიდურესად სქემატურია და აღმოჩენილია საქართველოს მთიან ზოლში. ამ რეგიონში იმიტაციების გამოვლენა იშვიათი არაა.

2015 წლის თებერვალში გამოვლინდა ფილიპე უფროსის (244-249 წწ.) აურეუსის 2 მინაბაძი. მონეტები სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში მოიტანა ლალი ჩადუნელმა, რომელმაც 2009 წლის 12 თებერვალს გვიჩვენა რომაული აურეუსის იმიტაცია და რომელიც ჩვენ მიერ განისაზღვრა როგორც III ს-ის II ნახევრის, შესაძლებელია, ავრელიანეს (270-275 წწ.) აურეუსის იმიტაციად (ტაბ. II-18). პატრონის თქმით, სამივე იმიტაცია ერთდროულადაა ნაპოვნი შიდა ქართლის ტერიტორიაზე. სავარაუდოდ, საქმე გვაქვს სამარხეული კომპლექსიდან მომდინარე მასალასთან (თავად ლ. ჩადუნელი ამჟამად ცხოვრობს ქალაქ კასპში. შესაძლებელია, მონეტები სადღაც იქვე გამოვლინდა. ადგილს პატრონი არ აკონკრეტებს).

ნიშანდობლივია, რომ ფილიპე არაბის აურეუსის ეს ორი მინაბაძი იდენტურია (ერთი სიქაა). ამავე დროს, ანალოგიურია 1940 წელს არმაზისხევის №3 სამარხში (ზურსუმა პიტიახშის სამარხი) აღმოჩენილი ორი (გ.ფ. საინვ. № 9155,9156) და 1966 წელს თიანეთის რაიონის სოფელ მაგრანეთში აღმოჩენილი (გ.ფ. საინვ. № 12181) ცალებისა. ხუთივეჯერ ერთი სიქაა. სხვაობა უმნიშვნელო დეტალებშია, რაც გამოწვეულია ჭედვის თავისებურებებით. ეს ყოველივე გვაძლევს გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას.

მონეტები ასე გამოიყურება:

ფილიპე უფროსის მონეტა (244-249 წწ.). წონა - 3,75 გრ, ზომა - 20 მმ (ტაბ. II-8).

Av: ფილიპე უფროსის დრაპირებული ბიუსტი დაფნის გვირგვინით მარჯვნივ. ირგვლივ დამახინჯებული ლათინური ზედწერილი, რომლის დასაწყისი გაურკვეველია, შემდეგ კი იკითხება . . . ILIPPUS AVG (უნდა იყოს: IMP M IVL PHILIPPUS AVG). გამოსახულების ირგვლივ წერტილოვან-ხაზოვანი რკალია.

Rv: მარსის გამოსახულება მთელი ტანით, მიმართული მარცხნივ. მარჯვენა გაწვდილი ხელით შუბი უჭირავს. მარცხენათი ფარს ეყრდნობა, რომელიც მის ფეხებთან ძევს. ირგვლივ დამახინჯებული ლათინური წარწერაა, რომლის პირველ ნაწილში თითქოს იკითხება -ANNO. . . (ANNONA AUGG). შემდეგ გაურკვეველია. გამოსახულების ირგვლივ წერტილოვან-ხაზოვანი რკალია.

მეორე ნიმუში ფილიპე უფროსის (244-249 წწ.) მონეტისა. წონა - 3,6 გრ, ზომა - 20 მმ (ტაბ. I-9), აღწერილის ანალოგიურია. რევერსის წარწერა უფრო სქემატურია. პირველისაგან განასხვავებს ისიც, რომ კარგად ჩანს მიწის გამყოფი ხაზი, რომელზეც დგას მარსი.

სავსებით ნათელია, რომ ხუთივე ნიმუში ერთი სიქითაა ნაკრავი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ერთდროულად და ერთსა და იმავე სახელოსნოშია მოჭრილი. ამავე დროს, მათ სხვადასხვა წონა აქვს: 4,01; 3,87; 3,75; 3,6; 3,45

გრ. მონეტები კარგადაა დაცული, მხატვრული თვალსაზრისით, ბევრად არ ჩამორჩება დედნებს.

ამგვარად, დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია საქართველოს ტერიტორიაზე 23 რომაული აურეუსის იმიტაციის აღმოჩენა. აქედან 14 დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ნუმიზმატიკურ კოლექციაში (4 სუბერატული იმიტაცია დაცულია შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში). უკანასკნელ წლებში აღმოჩენილი 9 ეგზემპლარი კერძო პირების კუთვნილებაა. მოსკოვის საისტორო მუზეუმსა და პეტერბურგის ერმიტაჟში დაცულია რომაული აურეუსის დაახლოებით 15 მინაბაძი, რომელთა წარმომავლობა გაურკვეველია [Зограф А. 1945: 32; Капанадзе Д. 1970: 83]. ერთი ეგზემპლარი (საინვ. №565. წონა - 4,1 გრ), რომელიც, ჩვენი ვარაუდით, ამ ჯგუფს უნდა მიეკუთვნებოდეს, დაცულია ბაქოს მუზეუმში [Раджабли А. 1997: 28]. ეს ნიმუში, შესაძლებელია, ვალერიანეს აურეუსის მინაბაძად მივიჩნიოთ.

სხვადასხვა დროს აღმოჩენილია მონეტათა იმიტაციები: ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ.14 წწ.) - 2ც.; მარკუს ავრელიუსის (161-180 წწ.); კომოდის (180–192 წ.წ.), ოქტავიანე ავგუსტუსის ჰიბრიდული; ფილიპე არაბის (244-249 წწ.) - 5 ც; ჰოსტილიანეს (252 წ.); ტრაიანე დეციუსის (251-253 წწ.); ვალერიანეს (253-260 წწ.) - 3 ც; ნუმერიანეს (283-284 წწ.) - 2 ც; ჰოსტილიანეს (251 წ.); დიოკლეტიანეს (284-305 წწ.); ამოუცნობი იმპერატორის – 2 ც. ასევე არსებობს უკიდურესად სქემატური ეგზემპლარები, რომელთა იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

დღევანდელი მონაცემებით, შეიძლება ითქვას, რომ იმიტაციები არ იჭრებოდა ეპიზოდურად. ოთხჯერ საქმე გვაქვს სერიულ წარმოებასთან. დადასტურებულია მონეტათა იმიტაციები: ოქტავიანე ავგუსტუსის 2 ც. (თიანეთის რაიონის სოფელი სიმონიანთხევი, დუშეთის რაიონის დაბა ჟინვალი), ფილიპე არაბის აურეუსის მინაბაძის - 5 ც. (მცხეთა-არმაზი, სოფელი მაგრანეთი (თრანი), შიდა ქართლი). გამოყენებულია ერთი და იგივე სიქები; ასევე ვალერიანეს მონეტის იმიტაცია – 3 ც. (დაბა ჟინვალი, ქართლი, ფრონეს ხეობა და თეთრიწყაროს სოფელი ვაშლოვანი). გამოყენებულია კარდინალურად განსხვავებული სიქები; ნუმერიანეს მონეტის იმიტაცია - 2 ც (კასპის რაიონის სოფელი ალაიანი, დაბა ცხინვალი). ცალები იდენტურია; დაუდგენელი იმპერატორის - 2 ც. სიქა ერთი და იგივეა.

აღნიშნული იმიტაციები, ძირითადად, თარიღდება III ს-ის II ნახევრითა და IV და V სს-ით. ჩვენი აზრით, ეს პროცესი იმ დრომდე გრძელდებოდა, ვიდრე ბიზანტიის იმპერიის მიერ განხორციელებულმა ოქროს მონეტების დიდმა ემისიამ და მათმა შემოდინებამ ადგილობრივ სამონეტო ბაზარზე არ აღმოფხვრა ოქროს საფასეების დეფიციტი. იმიტაციების ადრეული ნიმუშები, როგორებიც იყო ფილიპე არაბის აურეუსები, ახლოს დგას ორიგინალებთან მხატვრული ღირებულებით. მოგვიანო - IV და V სს-ით დათარიღებული ცალები უკიდურესად სქემატურია (ტაბ. II-20, 22, 23).

2001 წლის 21 მაისს მოქალაქე მანანა შანავამ ნუმიზმატიკის კაბინეტში წარმოადგინა ქარელის რაიონის სოფელ რუისში ნაპოვნი ოქროს მონეტა, რომელიც ასევე რომაული აურეუსის უკიდურესად უხეში იმიტაციაა (წონა - 3,62 გრ, ზომა - 20 მმ. სამწუხაროდ, მოვახერხეთ მხოლოდ ფანქრით ანაბეჭდის გაკეთება და პუბლიკაცია [შეროზია მ. 2011: 253. სურ. №7].

შემდგომ ამ საფასის კვალი დაიკარგა. მონეტა ასე გამოიყურებოდა:

Av: მარჯვნივ მიმართული წვერიანი მამაკაცის პორტრეტი, რომელსაც თავზე თითქოს გვირგვინი ახურავს. სახის წინ წარწერის იმიტაციაა. ირგვლივ - წერტილოვანი რკალი.

Rv: მამაკაცის ფიგურა პირდაპირ, თავი თითქოს მარჯვნივ აქვს მიბრუნებული. მარჯვენა ხელი დაბლა აქვს დაშვებული და პალმის რტო (?) უჭირავს. გამოსახულების ქვემოთ და ირგვლივ წარწერის იმიტაციაა. ყველაფერ ამას შემოუყვება წერტილოვანი რკალი.

საბედნიეროდ, ამ მონეტამ (ან მისმა ანალოგიურმა) კვლავ იჩინა თავი: 2012 წლის 13 იანვარს მოქალაქე ამირან ხულელიძემ საექსპერტოდ წარმოადგინა რომაული აურეუსის მინაბაძი, რომელიც უნდა იყოს 2001 წელს მოქალაქე მ. შანავას მიერ მუზეუმში მოტანილი ოქროს იმიტაცია (ტაბ. II-21). ა. ხულელიძის ინფორმაციით, მონეტა ოჯახური რელიკვიაა და, სავარაუდოდ, ნაპოვნია აღმოსავლეთ საქართველოში.

ჯერ კიდევ XX ს-ის შუა წლებში ა. ზოგრაფის [Зограф А. 1945:32; Зограф А. 1951:101] და დ. კაპანაძის [კაპანაძე დ. 1969:46; Капанадзе Д. 1970:87] მიერ გამოთქმულ მოსაზრებას მონეტების ამ ჯგუფის ქართული წარმომავლობის შესახებ, უდავოდ, ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილი ახალი აღმოჩენები.

ამის მნიშვნელოვანი საბუთია ისიც, რომ მსგავსი ტიპის საფასეების აღმოჩენის ფაქტები კავკასიის რეგიონში მხოლოდ იბერიის სამეფოს ისტორიულ საზღვრებშია [ბერძენიშვილი ნ. 1964; გაგოშიძე ი. 2007. 20] დადასტურებული. მათი აღმოჩენის შესახებ მეზობელი ალბანეთისა და სომხეთის ტერიტორიებზე ჩვენთვის ცნობილი არაა. ამის დასტურია აზერბაიჯანელი მეცნიერის, ა. რაჯაბლის, შემდეგი მოსაზრება იმის შესახებ, რომ იბერიის მეზობელი ქვეყნის - ალბანეთის (დღევანდელი აზერბაიჯანი) ტერიტორიაზე არ გამოვლენილა რომაული ოქროს საფასეების მიმოქცევაში ყოფნა: “Одна медная монета, наиденная в Газахе археологом М. Гусейновым и просмотренная мною, и беспаспортное подражание золотым ауреусам Рима – единственные исключения находки в Азербайджане медных и золотых монет Рима“ [Раджабли А. 1997:27].

ყურადსაღებია ცნობილი სომეხი ნუმიზმატის, ხ. მუშეგიანის, მოსაზრებაც, რომ რომაული ოქროს ფული არ იყო დამახასიათებელი სომხეთის ქალაქების სამონეტო მიმოქცევისათვის: «Римские ауреусы не имели хождения в городах Армении и потому встречаются редко» [ Мушегян Х. 1997:72].

რომაული საიმპერატორო ოქროს მონეტების ემისია ძველი სომხეთის ტერიტორიაზე, დღევანდელი მონაცემებით, წარმოდგენილია 5 აურეუსით. აქედან ორი დაცულია სომხეთის ისტორიული მუზეუმის ნუმიზმატიკურ კოლექციაში. სამის ადგილსამყოფელი უცნობია:

1. ტიბერიუსის (14-37 წწ.) სახელით მოჭრილი აურეუსი (წონა - 7,78გრ, ზომა - 18მმ) ნაპოვნია 1973 წელს გარნის ტერიტორიაზე, ანტიკური პერიოდის სამარხში. დაცულია სომხეთის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ნუმიზმატიკურ (საინვ. №13658) კოლექციაში [Саркисян Г. 1986:144].

2. ნერონის (54-69 წწ.) აურეუსი, მოჭრილი 66-68 წლებში რომში. წონა -

7,22 გრ, ზომა - 18 მმ. აღმოჩენილია 1981 წელს არტაშატის ტერიტორიაზე საველე სამუშაოების დროს. დაცულია სომხეთის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ნუმიზმატიკურ კოლექციაში, №15260 [Саркисян Г. 1986:145].

3. ნერონისა და მისი დედის - აგრიპინა უმცროსის (16-59 წწ.) სახელით 54 წელს რომში მოჭრილი აურეუსი (წონა -7, 65გრ, ზომა - 19მმ) აღმოჩენილია არტაშატის ტერიტორიაზე. 1985 წელს ის წარმოდგენილ იქნა სომხეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. დღევანდელი ადგილსამყოფელი უცნობია [Саркисян Г. 1986:145].

4. ტრაიანეს (98-117 წწ.) აურეუსი (წონა - 6,74გრ, ზომა - 19მმ) აღმოჩენილია სოფელ გარნის მახლობლად, II ს-ის სამარხში, რომლის ინვენტარი მოსახლეობამ დაიტაცა. სომხეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში მონეტა წარმოდგენილ იქნა 1982 წელს. მასთან ერთად აღმოჩნდა ანტონინე პიუსის აურეუსი. მონეტის ადგილსამყოფელი უცნობია [Саркисян Г. 1986:146].

5. ანტონინე პიუსის (138-161 წწ.) აურეუსი აღმოჩენილია სოფელ გარნის მახლობლად, II ს-ის სამარხში, რომლის ინვენტარი მოსახლეობამ დაიტაცა. სომხეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ეს აურეუსი წარმოდგენილ იქნა 1982 წელს. მასთან ერთად აღმოჩნდა ტრაიანეს აურეუსი. მონეტის ადგილსამყოფელი უცნობია [Саркисян Г . 1986:146].

როგორც აღინიშნა, იმიტაციის აღმოჩენა სომხეთის ტერიტორიაზე არ დასტურდება.

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი რომაული აურეუსების იმიტაციების სინჯს, იგი მაღალია. თუმცაღა, ლითონის ხარისხით ჩამორჩება ორიგინალებს. მაგალითისათვის შესაძლებელია განვიხილოთ 1974 წელს ჟინვალის ტერიტორიაზე, არაგვისპირის სამაროვანზე, №13 სამარხში, გამოვლენილი სამი რომაული აურეუსი, რომელთაგან ორი მინაბაძია.

1. იმპერატორ ვალერიანეს აურეუსი (გ.ფ. საინვ. №14594); ოქრო - 97,163%, ვერცხლი - 2,703%; 2. ვალერიანეს ანალოგიური მონეტის იმიტაცია (გ.ფ. საინვ. №14595): ოქრო-83,159%, ვერცხლი -15,858%, სპილენძი-0,983%; 3. ოქტავიანე ავგუსტუსის აურეუსის იმიტაცია (გ.ფ. საინვ. №14596). ოქრო-83,822%, ვერცხლი- 15,476%, სპილენძი –7,02%.

შემოწმებულ იმიტაციებს შორის ყველაზე დაბალი სინჯი აქვს კასპის რაიონის სოფელ ოკამში აღმოჩენილ მარკუს ავრელიუსის (161-180 წწ.) მონეტის უკიდურესად უხეშ ჰიბრიდულ იმიტაციას (გ.ფ. საინვ. №14592): ოქრო–75,077%, ვერცხლი –21,572%, სპილენძი – 3,351%.

ეს მომენტი განასხვავებს იბერიის ტერიტორიაზე გამოვლენილ იმიტაციებსმათიწინამორბედების-ალექსანდრემაკედონელისადათრაქიის მმართველ ლისიმაქეს სტატერების ადგილობრივი იმიტაციებისაგან. მათში ოქროს შემცველობა ლითონში მრავალფეროვანია, ბაჯაღლოდან ელექტრუმამდე, ზოგჯერ ვერცხლისგან დამზადებულებიც გვხვდება, რაც გამოწვეული უნდა იყოს მათი ემისიის მეტი ხანგრძლივობით და ასევე ჭედვის მასშტაბურობით. ოქროს აურეუსების უმეტესობა დროის გარკვეულ პერიოდში - III ს-ის II ნახევარშია დამზადებული. მანამდე და შემდგომ ამას ეპიზოდური ხასიათი აქვს.

1979 წელს ქალაქ მცხეთაში, სამთავროს ველზე, არქეოლოგიური

სამუშაოების დროს 445-ე ქვაყუთში აღმოჩნდა ოქროს მედალიონი (საინვ. №1537. ტაბ I-24), რომლის დასამზადებლად, ჩვენი აზრით, გამოყენებული უნდა იყოს აღმოსავლეთ რომის მმართველ თეოდოს II-ის (408-450 წწ.) მიერ კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში მოჭრილი ოქროს სოლიდის ბარბაროსული იმიტაციის დასამზადებლად გამზადებული რევერსის სიქა [შეროზია მ. 2012:133].

ყოველივე ეს, ვფიქრობთ, საშუალებას გვაძლევს, გამოვთქვათ ვარაუდი, რომ III–IV სს-ის იბერიის სამეფოში რომაული აურეუსების იმიტაციების მოჭრის არსებული ტრადიციები [Капанадзе Д. 1970: 81; შეროზია მ. 2011: 247] ეპიზოდურად გრძელდება შემდგომაც, V ს-ში. ამის დამადასტურებელი საბუთია სოფელ ქვემო არანისში აღმოჩენილი ნიმუში და მედალიონი სამთავროს სამაროვნიდან, ასევე შემდეგი ინფორმაცია: 1903 წელს სოფელ გლდანში (თბილისის მიმდებარე ტერიტორია), მარილიანი ტბების ახლოს, ე. ა. რესლერის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს №1 სამარხში სხვადასხვა ნივთთან ერთად აღმოჩნდა V ს-ის რომაული სოლიდის ბარბაროსული იმიტაცია [Казаманова Л., Кропоткин В. 1964:143. №8; Пахомов Е. 1940:31; Капанадзе Д. 1970:84. №12], რომელიც, როგორც ჩანს, ქართული მონეტების ძირითად ფონდში დაცული ეგზემპლარია (ქ.ძ. საინვ.№1706. ტაბ. I-20) ეს მინაბაძი გამოირჩევა უკიდურესი სქემატურობით.

დღევანდელი გადასახედიდან მეტი დამაჯერებლობით შესაძლებელია ითქვას, რომ რომაული აურეუსების იმიტაციები საკმაოდ ხშირად იხმარებოდა იბერიის სამეფოში. მისი ემისია, ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, ინტენსიურდება III ს-ის მეორე ნახევარში. მინაბაძების უმეტესობა (ფილიპე უფროსის, ტრაიანე დეციუსის, ჰოსტილიანეს, ვალერიანეს, ნუმერიანეს) დროის მოკლე ინტერვალში უნდა განხორციელებულიყო, სავარაუდოდ, სამეფო ხელისუფლების მიერ ოქროს მონეტებზე არსებული დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ აურეუსების უმეტესი იმიტაციები, რომლებიც მხატვრული თვალსაზრისით მცირედ ჩამორჩება დედნებს, გამოვლენილია საზოგადოების ზედა, შეძლებული, ფენების წარმომადგენელთა სამარხებში: არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანში, ბურსუმა პიტიახშის №3 სამარხში, ჟინვალის არაგვისპირის, თიანეთის რაიონის სოფელ მაგრანეთის მაღალი წრეების სამაროვნებში.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ იმიტაციებს შორის ცალკე ჯგუფს ქმნის დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი სუბერატული ნიმუშები: 1942 წელს დაბა ურეკში, სამარხში, აღმოჩენილი (გ.ფ. საინვ. №9333) ლუცილას (164-168/169 წწ.), ალექსანდრე სევერუსის (229-235 წწ.), გორდიანე III-ის (238-244 წწ.) ჰიბრიდული მინაბაძი, რომელიც დამზადებულია ვერცხლისაგან და ზემოდან დაფარულია ოქროს თხელი ფენით (ტაბ II-1.). ანალოგიური მონეტა აღმოჩნდა 1997 წელს ქალაქ ფოთის მიდამოებში [ვაშალომიძე ი. 2000:52].

1968 წელს საჩხერის რაიონის სოფელ საირხესთან, ადგილ მოდინახეს სამხრეთ ფერდობზე, გვიანანტიკური ხანის ნეკროპოლის მიდამოებში, შემთხვევით ნაპოვნია კონსტანტინე დიდის (306-337 წწ.) ოქროს მონეტა, მოჭრილი კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში, სუბერატი (სხმ. საინვ. №10801. ტაბ. III-2).

იქვე, №9-სამარხში, კონსტანციუს II-ის (337-361 წწ.) ოქროს მონეტა, სუბერატია აღმოჩენილი (საინვ. №10909. ტაბ. III-3).

№10-სამარხში გამოვლინდა კონსტანციუს II-ის (337-361 წწ.) ოქროს სოლიდი, სუბერატი, მოჭრილი ანტიოქიის ზარაფხანაში (სხმ. საინვ. №10783.) [ნადირაძე ჯ. 1975:72,73].

სამივე მონეტა დამზადებულია სპილენძისაგან და დაფარულია ოქროს ფენით. როგორც დავით კაპანაძე აღნიშნავს, იმიტაციებია ეს ნიმუშები თუ ყალბი ცალები, დამზადებულია ადგილზე თუ შემოტანილია, ამის გარკვევა მოითხოვს შემდეგ კვლევას [Капанадзе Д. 1970:85].

ერთი რამ ცხადია, რომ ურეკში, ფოთთან, ასევე საჩხერის რაიონის ადგილ მოდინახეზე აღმოჩენილი ცალები ქმნიან განსხვავებულ ჯგუფს, რომელთა წარმომავლობა გაურკვეველია, დამზადების ტექნოლოგია - განსხვავებული. დღეისათვის, მასალის სიმცირის გამო, ჭირს დასკვნების გაკეთება.

ზემოთ ჩამოთვლილი ოქროს საფასეების გარდა, სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის კლასიკური მონეტების ფონდში დაცულია 12 ცალი უპასპორტო ოქროს საფასე, 7 აურეუსი და 5 სოლიდი, რომელთა უმეტესობა, ჩვენი აზრით, ასევე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა იყოს აღმოჩენილი. მათი ჩამონათვალი ასეთია:

1. ვესპასიანე (69-79 წწ.) – 2 ც. (კლ.მ.ფ. საინვ. №742, №1603); 2. ალექსანდრე სევერუსის (222-235 წწ.) – 2 ც. (კლ.მ.ფ. საინვ. № 1683. და №1993); 3. ვალერიანეს (253-260 წწ.) – 3 ც. (კლ.მ.ფ. საინვ. №743, 1684, 1994); 4. კონსტანციუს II-ის (337-361 წწ.) – 2 ც. (კლ.მ.ფ. საინვ. №1548, 1595); 5. ვალენტინიანე II-ის (375-392 წწ.) - (კლ.მ.ფ. საინვ. № 744); 6. ჰონორიუსის (395-423 წწ.) – 2 ც. (კლ.მ.ფ. საინვ. №745, 1596).

**Medea Sherozia**

The Georgian National Museum
Simon Janashia Georgian Museum
N3 Rustaveli Av. 0105 Tbilisi, Georgia
email: m.sherozia@yahoo.com

# Roman Aurei and Their Imitations in Money Circulation of Iberia

## Summary

Roman era in the Kingdom of Iberia, in terms of money circulation, on the whole, coincides with the imperial period.Roman coins became the established part of the local coin circulation from the epoch of Octavian Augustus and since then, gold, silver and relatively small numbers of copper coins, stuck in the name of Roman emperors, were the part of money circulation.

It can be said with certainty that Roman aureus played a very important role in the money relations of Iberia in local and international trade.

In total, 88 golden coins of the Roman Empire have been discovered on the territory of Georgia. 19 out of total number date back to the 1$^{st}$ c., 26 are from the 2$^{nd}$ century; 34 - from the 3$^{rd}$; 9 - come from the 4$^{th}$ cc.

Starting from the second part of the 3$^{rd}$ century, political and economic crisis was exceptionally strained in Roman Empire. As a result Roman money was devalued.

At that period Kartli was an independent, strong state. It had a well-developed money circulation system. The lack of gold coins resulted in increased number of local imitations. Today we have information about 23 facts about discovery of imitations of Roman aurei on the Georgian territory. 14 out of 23 are preserved in the numismatic collection of Simon Janashia Georgian Museum (4 "suberatus" imitations are preserved in Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts). 9 coins, discovered within the last few years belong to private owners.

The imitations mostly date back to the second part of the 3$^{rd}$ century and 4$^{th}$ and 5$^{th}$ centuries. We consider that mentioned situation lasted until a big emission of golden coins minted in the Byzantian Empire and their entrance in the local coin market eliminated the deficit of golden coins.

Facts of discovering imitations of the Roman aurei in the Caucasian region have only been confirmed within the historical borders of Iberian Kingdom.

# ბიბლიოგრაფია

**აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. 1955:** *მცხეთა* I. თბილისი.

**აფაქიძე ა., ყიფიანი გ., ნიკოლეიშვილი ვ., მანჯგალაძე გ., კაპანაძე მ. 2003:** სვეტიცხოვლის ეზოში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები. *მცხეთა.* 2001. VI სამეცნიერო სესია – 2001 და 2002 წლების საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ანგარიშები. თბილისი.

**ბოხოჩაძე ა. 1981:** *არქეოლოგიური გათხრები აღაიანსა და ძალისაში.* თბილისი.

**გამყრელიძე გ. 2011:** რომანიზაციის გლობალური პროცესი და იბერია-კოლხეთი (ზოგადი მიმოხილვა). *სემძ.* II. გვ. 76–91. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**დუნდუა გ. 2005:** სამონეტო მიმოქცევა იბერიაში I-IV სს. (ზოგადი მიმოხილვა). *იბერია –კოლხეთი*, №2. გვ. 170-181. თბილისი (რედ. გ. გამყრელიძე).

**დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006:** *ქართული ნუმიზმატიკა*. თბილისი.

**ვაშალომიძე ი. 2000:** რომაული აურეუსების მინაბაძი კოლხეთიდან. *ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები.* I. გვ. 52-55. ბათუმი (რედ. ა. კახიძე).

**კაპანაძე დ. 1969**: *ქართული ნუმიზმატიკა*. თბილისი.

**კაპანაძე დ. 1955**: მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937-1951 წწ. ნუმიზმატიკური მონაპოვარი. *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის.* ტ. I. თბილისი.

**ლორთქიფანიძე ოთ. 1968:** *ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია).* თბილისი.

**მირიანაშვილი ნ. 1983**: *შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან.* თბილისი.

**მცხეთა II. 1978:** *დიდი მცხეთის ადრერკინის, ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები.* რედ. ა. აფაქიძე. თბილისი.

**ნადირაძე ჯ. 1990:** *საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი (კოლხეთის აღმოსავლეთ პროვინციების ისტორიისთვის ძვ.წ. I ათასწლეულში)* წიგნი I. თბილისი.

**ნადირაძე ჯ. 1975:** *ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი.

**ნიკოლაიშვილი ვ., შეროზია მ. 2012:** ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე 1967 წ. აღმოჩენილი საინტერესო სამარხეული კომპლექსი. *სემძ.* III. გვ. 67–81. თბილისი (რედ.ზ. თვალჭრელიძე).

**რამიშვილი რ. 1979:** *ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში.* თბილისი.

***საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* 1970**: ტ.I. თბილისი.

**შატბერაშვილი ვ. 2007**: მდიდრული სამარხი სოფელ ხოვლედან. *იბერია –კოლხეთი.* №3. *საქართველოს კლასიკური და ადრემედიეიური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი.* გვ.87-96. თბილისი (რედ. გ. გამყრელიძე).

**შეროზია მ. 2011:** რომაული აურეუსების ადგილობრივი (იბერიული) იმიტაციების ახალი ნიმუშები. *სემმ.* II. გვ.247–359, თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**შეროზია მ. 2012:** ოქროს მედალიონი სამთავროს სამაროვნიდან. *სემმ* III, გვ.133-138. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**ჯავახიშვილი ქ., შეროზია მ. 2010:** ახალი აღმოჩენა დაბა ახალგორში. *სემმ* I. გვ. 257–263. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**Голенко К. В.1971:** Денежное обращение Колхиды в Римское время. Ленинград.

**Голенко К. В.1971:** Заметки об обращении Римской монеты в Закавказье. ВДИ. №4 (118). с. 47-73. Москва.

**Дундуа Г.Ф.1987 :** Нумизматика античной Грузии. Тбилиси.

**Зограф А. Н. 1935:** Античные золотые монеты Кавказа. Известия ГАИМК. вып. 110. с. 189-190.

**Зограф А. Н. 1945:** Распространение находок античных монет на Кавказе. ТОНГЭ. Ленинград.

**Зограф А. Н. 1951:** Античные монеты. МИА. №16, Москва-Ленинград.

**Иващенко М. 1980:** Мцхета III. Тбилиси. ред. Апакидзе А.

**Казаманова Л.Н. 1969:** Введение в античную нумизматику. Москва.

**Казаманова Л. Н., Кропоткин В. В. 1964:** Подражания Римским золотым монетам II-III в.в.н.э. ВДИ. №1 (87), с. 140-148**.** Москва.

**Капанадзе Д. Г. 1953:** О назначении монет так называемой «варваризованной чеканки, находимых на территории Грузии. ВДИ. №1. с. 210-214. Москва.

**Капанадзе Д. Г. 1957:** Ауреусы Армазского некрополя. СА №3. с. 159-175, Москва.

**Капанадзе Д. Г. 1970:** Новые находки подражаний Римским ауреусам в Грузии. ВДИ. №4. с. 81-92. Москва.

**Капанадзе Д. Г. 1955:** Монетные находки Мцхетской экспедиций (1937-1948 и 1951г). ВДИ. №1. с. 160-173. Москва.

**Капанадзе Д. Г., Голенко К. В.1968 :** Монеты, найденные в селении Згудери (Грузнская ССР) в 1964-1965 гг**.** ВДИ. №1. с. 160-166. Москва.

**Кропоткин В. В. 1961:** Клады Римских монет на територии СССР. Археология СССР. Свод Археологических источников. выпуск Г 4-4. Москва.

**Машкин Н.А.1950:** История Древнего Рима. Москва.

**Мушегян Х.А. 1997:** История нумизматики Армении**.** Ереван.

**Пахомов Е. А. 1926:** Монетные клады Азербайджана и Закавказья. №16. Баку.

**Раджабли А. 1997:** Нумизматика Азербаиджана. Баку.

**Саркисян Г . В. 1986:** Римские монеты в Армении в I в. начале II в. Вестник архивов Армении. №2. Ереван.

**Сергеев А. Я. 2012:** Монеты варварского чекана на територии от Балкан до Средней Азии. Каталог коллекции А.Я. Сергеева в ГИМ. Москва.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. I.**

**სურ. 1**. ტიბერიუსის აურეუსი. მცხეთა, აკლდამა რკინიგზის სადგურთან. 1951 წ.

**სურ. 2.** ნერონის აურეუსი. მცხეთა, აკლდამა რკინიგზის სადგურთან. 1951 წ.

**სურ. 3.** ვიტელიუსის აურეუსი. მცხეთა, აკლდამა რკინიგზის სადგურთან.1951 წ.

**სურ. 4.** ვესპასიანეს აურეუსი. მცხეთა, აკლდამა რკინიგზის სადგურთან.1951წ.

**სურ. 5.** ადრიანეს აურეუსი. მცხეთა, არმაზისხევი, სამარხი №1. 1940 წ.

**სურ. 6.** ადრიანეს აურეუსი. მცხეთა, სამთავრო, აკლდამა №905. 1985 წ.

**სურ. 7.** ფაუსტინას (უფროსის) აურეუსი. მცხეთა, არმაზისხევი, სამარხი №9. 1940 წ.

**სურ. 8.** ოქროს კვინარიუსი. ფაუსტინა (უმცროსი) ავგუსტა. მცხეთა, სვეტიცხოვლის უბანი. 2001წ.

**სურ. 9.** ოქროს კვინარიუსი. ლუცილა. მცხეთა, სვეტიცხოვლის უბანი, 2001 წ.

**სურ. 10.** იულია დომნა ავგუსტას აურეუსი, მოჭრილი რომში 198-209 წწ. დაბა ჟინვალი, ზანდუკლიანთ ნავენახარი, 4-ე ქვაბულის სამარხი №5. 1977 წ.

**სურ. 11.** კარაკალას მიერ ანტონინე პიუსის სახელით მოჭრილი აურეუსი. სოფელი რუისი (გორის რაიონი), 1939 წ.

**სურ. 12.** გორდიანე III-ის აურეუსი. სოფელი მაგრანეთი, ქუშანაანთგორა (თიანეთის რაიონი), 1966 წ.

**სურ. 13.** ვალერიანეს აურეუსი. დაბა ჟინვალი (დუშეთის რაიონი), სამარხი №13. 1974 წ.

**სურ. 14.** დიოკლეტიანეს აურეუსი. სოფელი ოკამი (კასპის რაიონი), 1974 წ.

**ტაბ. II**

**სურ. 1.** ოქტავიანე ავგუსტუსის აურეუსის მინაბაძი. სოფელი სიმონიანთხევი (თიანეთის რაიონი), გაძარცული სამარხი. 1967 წ.

**სურ. 2.** ოქტავიანე ავგუსტუსის აურეუსის მინაბაძი. დაბა ჟინვალი (დუშეთის რაიონი), სამარხი №13,

**სურ. 3.** მარკუს ავრელიუსის აურეუსის მინაბაძი. სოფელი ოკამი (კასპის რაიონი).

**სურ. 4.** კომოდი+ოქტავიანე ავგუსტუსის აურეუსის ჰიბრიდული მინაბაძი. სოფელი მაგრანეთი (თიანეთის რაიონი). სამარხი №1. 1966წ.

**სურ. 5.** ფილიპე უფროსის აურეუსის მინაბაძი. მცხეთა, არმაზი, სამარხი №3. 1937 წ

**სურ. 6.** ფილიპე უფროსის აურეუსის მინაბაძი. მცხეთა, არმაზი, სამარხი №3. 1937 წ.

**სურ. 7.** ფილიპე უფროსის აურეუსის მინაბაძი. სოფელი თრანი (თიანეთის რაიონი),1966 წ.

**სურ. 8.** ფილიპე უფროსის აურეუსის მინაბაძი. შიდა ქართლი. კერძო პირის კუთვნილი.

**სურ. 9.** ფილიპე უფროსის აურეუსის მინაბაძი. შიდა ქართლი. კერძო პირის.

**სურ. 10.** ჰოსტილიანეს აურეუსის მინაბაძი. მცხეთა, არმაზი, სამარხი №3. 1940 წ.

**სურ. 11.** ტრაიანე დეციუსის აურეუსის მინაბაძი. მცხეთა, არმაზი, სამარხი №3. 1940 წ.

**სურ. 12.** ვალერიანეს აურეუსის მინაბაძი. დაბა ჟინვალი (დუშეთის რაიონი), სამარხი №13, 1974 წ. გ.ფ.№14595

**სურ. 13**. ვალერიანეს აურეუსის მინაბაძი. ქართლი, ფრონეს ხეობა. კერძო პირის კუთვნილი.

**სურ. 14.** ვალერიანეს აურეუსის მინაბაძი. სოფელი ვაშლოვანი (თეთრიწყაროს რაიონი), 1934 წ.

**სურ. 15.** ნუმერიანეს აურეუსის მინაბაძი. სოფელი აღაიანი (კასპის რაიონი),1930 წ.

**სურ. 16.** ნუმერიანეს აურეუსის მინაბაძი. დაბა ცხინვალი. 1936წ.

**სურ. 17.** უცნობი იმპერატორის აურეუსის მინაბაძი. შიდა ქართლი. კერძო პირის კუთვნილი.

**სურ. 18.** უცნობი იმპერატორის აურეუსის მინაბაძი. შიდა ქართლი. კერძო პირის კუთვნილი.

**სურ. 19.** ლუციუს ვერუსის (?) აურეუსის მინაბაძი. კერძო პირის კუთვნილი.

**სურ. 20.** უცნობი იმპერატორის აურეუსის მინაბაძი. სოფელი რუისი (ქარელის რაიონი). კერძო პირის კუთვნილება.

**სურ. 21.** დიოკლეტიანეს (?) აურეუსის მინაბაძი. დაბა ახალგორი. კეძო პირის.

**სურ. 22.** V ს-ის რომაული სოლიდის მინაბაძი. სოფელი გლდანი (?). სამარხი №1. 1903 წ.

**სურ. 23.** ფეოდოს II (?) ოქროს სოლიდის მინაბაძი. სოფელი ქვემო არანისი (დუშეთის რაიონი).

**სურ. 24**. მედალიონი, ფეოდოს II-ის სოლიდის მიბაძვით დამზადებული. მცხეთა, სამთავრო, სამარხი №445, 1979 წ.

**ტაბ. III**

**სურ. 1.** ლუცილა+ალექსანდრე სევერუსი+გორდიანე III-ის ჰიბრიდული, სუბერატული მინაბაძი. დაბა ურეკი (ოზურგეთის რაიონი). 1942 წ.

**სურ. 2.** კონსტანტინე დიდის სუბერატული მინაბაძი. შემთხვევითი აღმოჩენა, სოფელი საირხე, მოდინახეს ფერდობზე (საჩხერის რაიონი). 1968 წ.

**სურ. 3.** კონსტანციუს II-ის სუბერატული მინაბაძი. სოფელი საირხე, ადგილი მოდინახე (საჩხერის რაიონი), სამარხი №10.1968 წ. №10783

## LIST OF ILLUSTRATIONS

**I. Tab**

**Fig. 1.** Aureus. Tiberius. Mtskheta, tomb near the train station. 1951. N9214

**Fig. 2**. Aureus. Nero. Mtskheta, tomb near the train station. 1951 N9217

**Fig. 3.** Aureus. Vitellius. Mtskheta, tomb near the train station. 1951. N9216

**Fig. 4**. Aureus. Vespasian. Mtskheta, tomb near the train station. 1951. N9217

**Fig. 5**. Aureus. Hadrian. Mtskheta, Armaziskhevi, grave N 1. 1940. N9143

**Fig. 6.** Aureus. Hadrian. Mtskheta, Samtavro, tomb N 905. 1985. N26235

**Fig. 7.** Aureus. Faustina (senior ). Mtskheta, Armaziskhevi, grave N9. 1940. 9192

**Fig. 8.** Gold quinarius. Faustina (Junior) Augustus . Mtskheta, Svetitskhoveli neighbourhood. 2001 N16-2002:14

**Fig. 9.** Gold quinarius. Lucius . Mtskheta, Svetitskhoveli neighbourhood. 2001 N 16-2002:15.

**Fig. 10.** Aureus. Julia Domna Augusta . Minted in Rome 198-209. Jinvali borough, former vineyard of Zandukeli family. grave N 5. 1977. N14605

**Fig. 11.** Aureus. Minted by Caracalla in the name of Antoninus Pius. Village Ruisi (Gori region) 1939. N2231

**Fig. 12**. Aureus. Gordian III. Village Magraneti, Qushaantgora (Tianeti region). 1966. N12180

**Fig. 13**. Aureus. Valerian. Jinvali borough (Dusheti region), grave N13. 1974. N1459

**Fig. 14.** Aureus. Diocletian. Village Okami (Kaspi region), 1974. N14593

**II Tab**

**Fig. 1.** Imitation of Octavian Augustus's aureus. Village Simoniantkhevi. (Tianeti region). Robbed grave. 1967. N12215

**Fig. 2.** Imitation of Octavian - Augustus's aureus. Jinvali borough (Dusheti region), grave N13, N14596

**Fig. 3**. Imitation of Marcus Aurelius's aureus. Village Okami (Kaspi region), N14592

**Fig. 4.** Hybrid imitation of Commodus + Octavian Augustus, aureus. Village Magraneti (Tianeti region). Grave N1. 1966. N 12179

**Fig. 5.** Imitation of Philippus Senior's aureus. Mtskheta, Armazi, grave N3. 1937. N9155

**Fig**. **6**. Imitation of Philippus Senior's aureus. Mtskheta, Armazi, grave N 3. 1937. N9156

**Fig. 7.** Imitation of Philippus Senior's aureus. Village Trani (Tianeti region).) 1966. N12181

**Fig. 8.** Imitation of Philippus Senior's aureus. Shida Kartli. Private owner

**Fig. 9.** Imitation of Philippus Senior's aureus. Shida Kartli. Private owner

**Fig. 10.** Imitation of Hostilianus's aureus. Mtskheta, Armazi, grave N3. 1940. N 9157

**Fig. 11.** Imitation of Trajan Decius's aureus. Mtskheta, Armazi, grave N3. 1940. N

9158

**Fig. 12.** Imitation of Valerian's aureus. Jinvali borough (Dusheti region). grave N13, 1974. N14595

**Fig. 13.** Imitation of Valerian's aureus. Kartli, Frone valley. Private owner.

**Fig. 14.** Imitation of Valerian's aureus. Village Vashlovani (Tetritskaro region). 1934. N9735

**Fig. 15**. Imitation of Numerian's aureus. Village Agaiani (Kaspi region),1930. N9340

**Fig. 16.** Imitation of Numerian's aureus. Tskhinvali borough. 1936. N9336

**Fig. 17.** Imitation of unknown emperor's aureus. Shida Kartli. Private owner.

**Fig. 18.** Imitation of unknown emperor's aureus.. Shida Kartli. Private owner.

**Fig. 19.** Second half of the 2nd century, Lucius Verus (?) imitation. Private owner.

**Fig. 20.** Imitation of unknown emperor. Village Ruisi (Qareli region) Private owner

**Fig. 21.** Diocletian's (?) aureus. Imitation. Akhalgori borough. Private owner.

**Fig. 22.** The 5th c. Roman solid imitation. Village Gldani (?), grave N1. 1903. N1706

**Fig. 23.** Theodosius II's (?) solid imitation. Village Kvemo Aranisi (Dusheti region)

**Fig. 24.** Medalion, produced as a replica to Theodosius II's solid. Mtskheta, Samtavro, grave N445, 1979. (N1537)

**III Tab**

**Fig.1.** "Suberatus" imitation of Lucius + Severus Alexander + Gordian III's coin. Hybrid, Ureki borough (Ozurgeti region). 1942. N9333

**Fig. 2.** "Suberatus" imitation of Constantine the Great's coin. Accidental discovery. Village Sairkhe, place Modinakhe (Sachkhere region). 1968. N10772

**Fig. 3.** "Suberatus" imitation of Constantius II's coin .Village Sairkhe, place Modinakhe (Sachkhere region), grave N10.1968. N10783

**Fig. 4.** "Suberatus" imitation of Constantius II's coin. Village Sairkhe, place Modinakhe (Sachkhere region), grave N9.1968. N10909

ტაბ. I **Tab.**



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**



სურ. 8 **Fig.**



სურ. 9 **Fig.**



სურ. 10 **Fig.**



სურ. 11 **Fig.**



სურ. 12 **Fig.**



სურ. 13 **Fig.**



სურ. 14 **Fig.**

ტაბ. II **Tab.**



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



**სურ. 4 Fig.**



**სურ. 5 Fig.**



**სურ. 6 Fig.**



**სურ. 7 Fig.**



**სურ. 8 Fig.**



**სურ. 9 Fig.**



**სურ. 10 Fig.**



**სურ. 11 Fig.**



**სურ. 12 Fig.**



**სურ. 13 Fig.**



**სურ. 14 Fig.**



**სურ. 15 Fig.**



**სურ. 16 Fig.**



**სურ. 17 Fig.**



**სურ. 18 Fig.**



**სურ. 19 Fig.**



**სურ. 20 Fig.**



**სურ. 21 Fig.**



**სურ. 22 Fig.**



სურ. 23 **Fig.**



სურ. 24 **Fig.**

ტაბ. II **Tab.**



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**

**დანართი №1**

## საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი და მუზეუმების ფონდებში დაცული რომაული აურეუსები და მათი იმიტაციები

| № | იმპერატორი | რაოდ | ს. ჯანაშიას სახ. მუზ. | შ. ამირა-ნანაშვი-ლის სახ მუზ. | მხარეთ. მუზ. | იმიტაცია |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ავგუსტუსი (ძვ.წ.27-ახ.წ. 14წ.წ.) | 2 | გ.ფ. 12215, 14596. | | | გ.ფ.12215, 14596. |
| 2 | ტიბერიუსი (14-37წ.წ.) | 1 | გ.ფ. 9214 | | | |
| 3 | ნერონი (54-69წწ.) | 6 | გ.ფ. 9163, 9185, 9186, 9215, 26236, 26237 | | | |
| 4 | გალბა (68-69წ.წ.) | 1 | გ.ფ. 9164 | | | |
| 5 | ვიტელიუსი (69წ.) | 1 | გ.ფ. 9216 | | | |
| 6 | ვესპასიანე (69-79წწ.) | 6 | გ.ფ. 9200, 9217, 14583<br>კლ.მ.ფ.742, 1603 | | მცხ.მუზ.<br>№3703 | |
| 7 | ტიტუსი (79-81წწ.) | 2 | გ.ფ. 9141. 9201 | | | |
| 8 | დომიციანე (81-96წწ.) | 2 | გ.ფ. 11524, 9140 | | | |
| 9 | ტრაიანე (98-117წწ.) | 2 | გ.ფ. 9142 | | მცხ. მუზ.<br>№3704 | |
| 10 | ადრიანე (117-138წწ.) | 7 | გ.ფ. 9143, 9144, 9145, 9202, 9203, 9165, 26235. | | | |
| 11 | ანტონინე პიუსი (138-161წწ.) | 3 | გ.ფ. 9166, 9187, 11522 | | | |
| 12 | ფაუსტინა უფროსი (+141წ.) | 3 | გ.ფ. 9188, 9192, 11525 | | | |
| 13 | მარკუს ავრელიუსი (161-189წწ.) | 3 | გ.ფ. 9189, 9190, 14592 | | | 14592 |
| 14 | ფაუსტინა II უმცრო-სი (+175წ.) | 2 | გ.ფ. 9191,<br>საგ.№16-2002:14კვი-ნარიუსი | | | |
| 15 | იულია დომნა (193-217წწ.) | 1 | გ.ფ. 14605 | | | |
| 16 | ლუცილა 164-168/69წწ. | 1 | საგ.№16-2002:15 კვინარიუსი | | | |

**დანართი 2**

| № | განსაზღვრა | თარიღი | ჯგუფური აღმოჩენები | | | | | ცალკეული აღმოჩენები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მცხეთა | | | | | ზღუდ-ერი | მაგრანე-თი | |
| | | | არ-მაზი | მავზო-ლეუმი | ბაგინე-თი | სამთავრო | ქა-ლაქი | | | |
| 1 | ტიბერიუსი | 1951 | | 9214 | | | | | | |
| 2 | ნერონი | 1940 | 9163 | | | | | | | |
| 3 | “ | | 9185 | | | | | | | |
| 4 | “ | 1940 | 9186 | | | | | | | |
| 5 | “ | | | 9215 | | | | | | |
| 6 | “ | 1940 | | | | 26236 | | | | |
| 7 | “ | 1951 | | | | 26237 | | | | |
| 8 | გალბა | 1940 | 9164 | | | | | | | |
| 9 | ვიტელიუსი | 1951 | | 9216 | | | | | | |
| 10 | ვესპასიანე | 1946 | | | 9200 | | | | | |
| 11 | „ | 1951 | | 9217 | | | | | | |
| 12 | „ | 1967 | | | | | 3703 | | | |
| 13 | ტიტუსი | 1940 | 9141 | | | | | | | |
| 14 | „ | 1945 | | | 14583 | | | | | |
| 15 | „ | 1946 | | | 9201 | | | | | |
| 16 | დომიციანე | 1941 | | | | | 9140 | | | |

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი და მუზეუმებში დაცული რომაული ოქროს მონეტები

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17 | დომიციანე | 1964 | | | | | | 11524 | | |
| 18 | ტრაიანე | 1940 | 1941 | | | | | | | |
| 19 | „ | 1967 | | | | | 3704 | | | |
| 20 | ადრიანე | 1940 | 9143 | | | | | | | |
| 21 | „ | 1940 | 9144 | | | | | | | |
| 22 | „ | 1940 | 9145 | | | | | | | |
| 23 | „ | 1940 | 9146 | | | | | | | |
| 24 | „ | 1940 | 9165 | | | | | | | |
| 25 | „ | 1946 | | | 9202 | | | | | |
| 26 | „ | 1946 | | | 9203 | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| 27 | „ | 1985 | | | | 26235 | | | | |
| 28 | ანტონინე პიუსი | 1940 | 9166 | | | | | | | |
| 29 | „ | 1940 | 9187 | | | | | | | |
| 30 | „ | 1964 | | | | | | 11525 | | |
| 31 | ფაუსტინა უფროსი | 1940 | 9188 | | | | | | | |
| 32 | „ | 1940 | 9192 | | | | | | | |
| 33 | „ | 1964 | | | | | | 11522 | | |
| 34 | მარკუს ავრელიუსი | 1940 | 9189 | | | | | | | |
| 35 | „ | 1940 | 9190 | | | | | | | |
| 36 | ფაუსტინა უმცროსი | 1940 | 9191 | | | | | | | |
| 37 | “ | 2001 | | | | | №16-2002:14 | | | |
| 38 | ლუცილა | 2001 | | | | | №16-2002:15 | | | |
| 39 | კომოდი | 1940 | 9167 | | | | | | | |
| 40 | „ | 1964 | | | | | | 11470 | | |
| 41 | „ | 1964 | | | | | | 11523 | | |
| 42 | სეპტიმუს სევერუსი | 1940 | 9148 | | | | | | | |
| 43 | „ | 1940 | 9149 | | | | | | | |
| 44 | იულია დომნა | 1971 | | | | | | | | 14605 ჟინვალი |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 45 | კარაკალა | 1939 | | | | | | | | 2231 ს.რუისი ქარელის რ-ი. |
| 46 | “ | 1964 | | | | | | 11471 | | |
| 47 | კარაკალა და გეტა | 1964 | | | | | | 11474 | | |
| 48 | ელაგაბალუსი | 1964 | | | | | | 11467 | | |
| 49 | “ | 1964 | | | | | | 11472 | | |
| 50 | „ | 1964 | | | | | | 11473 | | |
| 51 | “ | 2004 | | | | | | | | 32090 ხოვლე, კასპის რ–ი. |
| 52 | ალექსანდრე სევერუსი | 1964 | | | | | | 11495 | | |
| 53 | “ | 1964 | | | | | | 11521 | | |
| 54 | “ | 1966 | | | | | | | 12177 | |
| 55 | გორდიან III | 1940 | 9152 | | | | | | | |
| 56 | “ | 1940 | 9153 | | | | | | | |
| 57 | “ | 1964 | | | | | | 11520 | | |
| 58 | ‘ | 1966 | | | | | | | 12180 | |
| 59 | “ | 1966 | | | | | | | 12188 | |
| 60 | ფილიპე უფროსი | 1940 | 9154 | | | | | | | |
| 61 | ფილიპე უმცროსი | 1940 | 9250 | | | | | | | |
| 62 | ვალერიანე | 1940 | 9151 | | | | | | | |
| 63 | “ | 1974 | | | | | | | | 14594 ჟინვალი |
| 64 | ტაციტუსი | 1942 | | | | | | | | 9332 ურეკი |
| 65 | კარუსი | 1966 | | | | | | | 12178 | |
| 66 | დიოკლეტიანე | 1966 | | | | | | | 12198 | |
| 67 | “ | 1974 | | | | | | | | 14593 ს.ოკამი კასპის რ-ი. |
| 68 | კონსტანციუსი | 1967 | | | | | | | | 12097 ჯავახეთის ახალქალაქი |
| 68 | კონსტანტინე დიდი | 1930 | | | | | | | | 9339 ს.აღაიანი კასპის რ-ი. |
| 70 | “ | 1968 | | | | | | | | მოდინახე საჩხერის რ-ი. |
| 71 | კონსტანციუს II | 1943 | 9199 | | | | | | | |
| 72 | “ | 1968 | | | | | | | | მოდინახე საჩხერის რ-ი. |
| 73 | “ | 1968 | | | | | | | | მოდინახე საჩხერის რ-ი. |

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 62-81
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 62-81

**ნუმიზმატიკა**

**მედეა შეროზია*, მარიამ ქორიძე***

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: m.sherozia@yahoo.com
ელფოსტა: mariam–qoridze@yahoo.com

# XII - XIII საუკუნეების სპილენძის მონეტების წითელი ხიდის განძი

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა 1998 წელს მოქალაქე ჯუმბერ გუჩუასაგან შეიძინა XII-XIII სს-ის სპილენძის მონეტების განძი (სურ 1). პატრონის თქმით, მან ეს განძი სხვა პირისაგან შეისყიდა როგორც ლითონი. განძი აღმოჩენილა წითელი ხიდის მიდამოებში (ხრამის ხეობა). მონათხრობიდან ჩანს, რომ, თავდაპირველად, განძი უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. წარმოდგენილი ნაწილი შედგება 387 ერთეულისაგან. საერთო წონაა 2, 95 კგ. მონეტები დაფარული იყო მძიმე პატინით. გაწმენდის შემდგომ აღმოჩნდა, რომ საფასეების უმრავლესობა ძალზე გაცვეთილი იყო მიმოქცევაში ხანგრძლივად ყოფნის გამო. განძი ინახება ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდში (საინვ. №№ 25835 – 26221).

განძი, ძირითადად, შედგება XII ს-ისა და XIII ს-ის პირველი ნახევრის ე.წ. არასწორი ჭედვის ქართული მონეტებისაგან. უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს არაბულ, აღმოსავლურსა (ილდეგიზიდურს, შირვანულს, დერბენდულს) და ბიზანტიურ საფასეებსაც. მონეტების მნიშვნელოვანი ნაწილი (40%) დადამღულია.

განძის ყველაზე ადრეული მონეტა არაბული ფელსია, რომელიც იმდენადაა გაცვეთილი მიმოქცევაში ხანგრძლივად ყოფნის გამო, რომ მისი ატრიბუცია ვერ ხერხდება. ყველაზე ადრეული ქართული საფასე ეკუთვნის გიორგი III-ს (1156-1184 წწ.). განძი დაფლული უნდა იყოს ჯალალ ედ დინ მანგუბერტის შემოსევის ჟამს (1226 წ.) [კიკნაძე რ. 1979 : 538]. ცნობილია, რომ მან თბილისის აღების შემდგომ (მარტის თვეში), ქართული მონეტები გადაჭედა და მასზე თავისი სახელი მოათავსა [Пахомов Е.1970:104]. განძში შემავალი მონეტები ბრუნვაში უნდა ყოფილიყო რუსუდანის (1222–1247 წწ.) მეფობის პირველ წლებში, რადგან დადამღული მონეტების უმეტესობაზე რუსუდანის დამღაა მოთავსებული.

განძის შესწავლამ ცხადყო, რომ მონეტები მოჭრილია შემდეგი მმართველების სახელით:

I ჯგუფი. არაბული სპილენძის მონეტა, უკიდურესად გაცვეთილი; II

ჯგუფი. ბიზანტიის იმპერია. მანუელ I (1143-1180 წწ.) კომნენოსის მონეტა; III ჯგუფი. საქართველო: 1.გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) – 74 მონეტა, აქედან, I ტიპი – 13 ც; II ტიპი 61 ც. მათგან 1 ც. დადამღულია რუსუდანის დამღით: 2. გიორგი III-ისა და თამარის მონეტა – 1 ც; 3. თამარის (1184-1210 წწ.) – 103 ც. აქედან 89 დადამღულია, 12 - დაუდამღავი; მონეტების უმეტესობა ორჯერაა დადამღული, ორ შემთხვევაში სამჯერაა დადამღული, ორჯერ - ერთნაირად. 4. თამარისა და დავით სოსლანის სპილენძის დირჰემის 1/4 ნაწილი; 5. გიორგი IV ლაშას (1210-1222 წწ.) – 112 ეგზემპლარი. აქედან, 83 დადამღული, 29 – დაუდამღავი; IV. აღმოსავლურია 33 ეგზემპლარი: აზერბაიჯანის ათაბაგ აბუ-ბაქრის (591-607 ჰიჯრის = 1195-1210 წწ.) ილდეგიზიდური მონეტა – 5ც; დერბენდის მალიქის შაჰანშაჰის (1197-1204 წწ.) მონეტა – 1ც ; შირვანშაჰ ფარიბურზის (1200-1209 წწ.) მონეტა – 1ც; შირვანშაჰ გერშასბ I-ის (1204-1225 წწ.) მონეტა – 2ც. დანარჩენი 61 მონეტა ძალზე გაცვეთილია, თუმცა, ფაქტურით თამარს ან გიორგი IV ლაშას უნდა ეკუთვნოდეს.

## გიორგი III-ის (1156 -1184 წწ.) მონეტები

**I ტიპი.** უწესოდ მოჭრილი (8 ც.). თარიღი არ აწერია.

აღწერილობა: Av. რვაკუთხა, ფიგურიანი ჩარჩოს ცენტრში ქართული ზედწერილი, გიორგის სახელის ინიციალი „გ“. არაბული ზედწერილი: *الملك الملوك كيوركى حسام المسيح* „მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი“.

Rv. არაბული ზედწერილი ხალიფას სახელით: *المقفى لامر الله امير المومنين* „ალ-მუქთაფი-ლიამრ ალაჰი, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი“.

1. საინვ. № 25835. ყველაზე დიდი ზომისაა. სამჯერ სიქანაკრავი. წონა - 22,6 გრ, ზომა - 6,0-2,7-2,3 მმ

2. საინვ. № 25836. გიორგი III-ის მონეტა. გაცვეთილი. წონა - 15,87 გრ, ზომა - 12/30 მმ

3. საინვ. № 25837. წონა - 14,38 გრ, ზომა - 19/22 მმ

4. საინვ. № 25838. წონა - 9,29 გრ, ზომა - 11/27 მმ

5. საინვ. № 25839. ცუდად დაცული წონა - 7,58 გრ, ზომა - 13/18 მმ

6. საინვ. № 25840. წონა - 7,32 გრ, ზომა - 0,8/27 მმ

7. საინვ. № 25841. გაცვეთილი. წონა - 6,98 გრ, ზომა - 19/20 მმ

8. საინვ. № 25842. წონა - 5,88 გრ, ზომა - 5/19 მმ

9. საინვ. № 25843. ცუდად დაცული. წონა - 5,7 გრ, ზომა - 22/25 მმ

10. საინვ. № 25844. წონა - 3,2 გრ, ზომა - 14/18 მმ

11. საინვ. № 25845. წონა - 3,19 გრ, ზომა - 21/23 მმ

12. საინვ. № 25846. ცუდად დაცული. წონა - 2,16 გრ, ზომა - 10/13 მმ

13. საინვ. № 25847. ცუდად დაცული. წონა - 7,27 გრ, ზომა - 13/20 მმ

**II ტიპი**

აღწერილობა: Av. ქართული ზედწერილი, გიორგის სახელის ინიციალი „გ“. არაბული ზედწერილი: *الملك الملوك كيوركى حسام المسيح* “მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი“.

Rv. არაბული ზედწერილი, ხალიფას სახელით: المقفى لامر الله امير المومنين "ალ-მუქთაფი-ლიამრ ალაჰი, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი" (სურ. 2).

1. საინვ. № 25848. წონა - 20,1 გრ, ზომა - 25/33 მმ
2. საინვ. № 25849. წონა - 12,04 გრ, ზომა - 17/37 მმ
3. საინვ. № 25850. წონა - 11 გრ, ზომა - 18/28 მმ
4. საინვ. № 25851. წონა - 11,55 გრ, ზომა - 21/22 მმ
5. საინვ. № 25852. წონა - 9,64 გრ, ზომა - 20/22 მმ
6. საინვ. № 25853. წონა - 9,27 გრ, ზომა - 17/26 მმ
7. საინვ. № 25854. გაცვეთილი. წონა - 7,87 გრ, ზომა - 19/22 მმ
8. საინვ. № 25855. წონა - 7,07 გრ, ზომა - 16/30 მმ
9. საინვ. № 25856. წონა - 6,7 გრ, ზომა - 12/34 მმ
10. საინვ. № 25857. გაცვეთილი. წონა - 6,5 გრ, ზომა - 10/26 მმ
11. საინვ. № 25858. წონა - 7,44 გრ, ზომა - 17/32 მმ
12. საინვ. № 25859. წონა - 6,44 გრ, ზომა - 14/22 მმ
13. საინვ. № 25860. წონა - 6,08 გრ, ზომა - 10/26 მმ
14. საინვ. № 25861. გაცვეთილი. წონა - 6,05 გრ, ზომა - 23/24 მმ
15. საინვ. № 25862. წონა - 5,95 გრ, ზომა - 19/27 მმ
16. საინვ. № 25863. წონა - 5,85 გრ, ზომა - 15/22 მმ
17. საინვ. № 25864. წონა - 5,65 გრ, ზომა - 18 მმ
18. საინვ. № 25865. წონა - 5,36 გრ, ზომა - 18/20 მმ. დამღა 
19. საინვ. № 25866. წონა - 5,2 გრ, ზომა - 15/18 მმ
20. საინვ. № 25867. წონა - 5,15 გრ, ზომა - 12/19 მმ
21. საინვ. № 25868. წონა - 5,12 გრ, ზომა - 14/16 მმ
22. საინვ. № 25869. წონა - 5,09 გრ, ზომა - 8/21 მმ
23. საინვ. № 25870. წონა - 4,92 გრ, ზომა - 17/22 მმ
24. საინვ. № 25871. გაცვეთილი. წონა - 4,75 გრ, ზომა - 14/21 მმ
25. საინვ. № 25872. წონა - 4,7 გრ, ზომა - 20/22 მმ
26. საინვ. № 25873. წონა - 4,67 გრ, ზომა - 15/16 მმ
27. საინვ. № 25874. წონა - 4,4 გრ, ზომა - 18 მმ
28. საინვ. № 25875. წონა - 4,35 გრ, ზომა - 21/25 მმ
29. საინვ. № 25876. წონა - 4,28 გრ, ზომა - 22/24 მმ
30. საინვ. № 25877. წონა - 4,2 გრ, ზომა - 16/20 მმ
31. საინვ. № 25878. წონა - 4,2 გრ, ზომა - 16/17 მმ
32. საინვ. № 25879. წონა - 4,18 გრ, ზომა - 20/24 მმ
33. საინვ. № 25880. წონა - 4,08 გრ, ზომა - 13/16 მმ
34. საინვ. № 25881. წონა - 4,0 გრ, ზომა - 12/18 მმ
35. საინვ. № 25882. წონა - 3,98 გრ, ზომა - 17/18 მმ

36. საინვ. № 25883. წონა - 3,9 გრ, ზომა - 15/17 მმ

37. საინვ. № 25884. წონა - 3,87 გრ, ზომა - 12/23 მმ

38. საინვ. № 25885. წონა - 3,85 გრ, ზომა - 15/20 მმ

39. საინვ. № 25886. ცუდად დაცული. წონა - 3,81 გრ, ზომა - 17 მმ

40. საინვ. № 25887. წონა - 3,8 გრ, ზომა - 14/23 მმ

41. საინვ. № 25888. წონა - 3,72 გრ, ზომა - 16/20 მმ

42. საინვ. № 25889. წონა - 3,71 გრ, ზომა - 0,8/20 მმ

43. საინვ. № 25890. წონა - 3,7 გრ, ზომა - 20/21 მმ

44. საინვ. № 25891. წონა - 3,65 გრ, ზომა - 15/19 მმ

45. საინვ. № 25892. ცუდად დაცული. წონა - 3,63 გრ, ზომა - 14/16 მმ

46. საინვ. № 25893. გაცვეთილი. წონა - 3,55 გრ, ზომა - 16/18 მმ

47. საინვ. № 25894. წონა - 3,52 გრ, ზომა - 17/18 მმ

48. საინვ. № 25895. წონა - 3,41 გრ, ზომა - 20 მმ

49. საინვ. № 25896. წონა - 3,2 გრ, ზომა - 19 მმ

50. საინვ. № 25897. წონა - 3,1 გრ, ზომა - 11/16 მმ

51. საინვ. № 25898. წონა - 3,07 გრ, ზომა - 13/18 მმ

52. საინვ. № 25899. წონა - 2,92 გრ, ზომა - 16/19 მმ

53. საინვ. № 25900. წონა - 2,85 გრ, ზომა - 18 მმ

54. საინვ. № 25901. გაცვეთილი. წონა - 2,85 გრ, ზომა - 09/23 მმ

55. საინვ. № 25902. წონა - 2,72 გრ, ზომა - 18 მმ

56. საინვ. № 25903. წონა - 2,65 გრ, ზომა - 19/22 მმ

57. საინვ. № 25904. წონა - 2,5 გრ, ზომა - 13/25 მმ

58. საინვ. № 25905. წონა - 2,4 გრ, ზომა - 19/21 მმ

59. საინვ. № 25906. წონა - 2,28 გრ, ზომა - 11/12 მმ

60. საინვ. № 25907. წონა - 2,14 გრ, ზომა - 16/17 მმ

61. საინვ. № 25908. წონა - 1,18 გრ, ზომა - 10/15 მმ

**გიორგი III-ისა და თამარის მონეტა, უწესოდ მოჭრილი 1178-1184 წწ-ში**

აღწერილობა: Av. ქართული ზედწერილი: „გიორგი. ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე“.

Rv. ქართული ზედწერილი: „თამარ. ადიდენ ღმერთმან მეფე და დედოფალი“.

1. საინვ. № 25909. წონა - 2,55 გრ, ზომა - 11/20 მმ

## თამარის მონეტა (1184-1210 წწ.)

აღწერილობა: Av. თამარის ხელრთვა: „თამარ“ და ქართული ზედწერილი: „სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვერცხლისი ამის ქორონიკონსა 407“ (= 1187 წ.).

Rv. არაბული ზედწერილი: *الملكة المعظمة جلال الدنيا و الدين تامار بنت كيوركى ظهير المسيح اعز الله انصاره ضاعف الله جلالها و مد ظلالها وايد اقبالها* „დედოფალი დიდებული, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემე-

ლი. განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი, განადიდოს ღმერთმან დიდე-ბა მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი“ (სურ. 3,4,5).

1. საინვ. № 25910. გაცვეთილი. წონა - 20,35 გრ, ზომა - 20/31 მმ. Av-ზე დამღა 

2. საინვ. № 25911. წონა - 16,13 გრ, ზომა - 20/28 მმ. Av-ზე დამღა 

3. საინვ. № 25912. წონა - 15,4 გრ, ზომა - 26/27 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და 

4. საინვ. № 25913. გაცვეთილი. წონა - 15,07 გრ, ზომა - 16/28 მმ

5. საინვ. № 25914. წონა - 14,55 გრ, ზომა - 21/35 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და ;

6. საინვ. № 25915. წონა - 14,4 გრ, ზომა - 20/28 მმ. Av-ზე ორი დამღა ერთმანეთზე:  და 

7. საინვ. № 25916. წონა - 13,75 გრ, ზომა - 24/35 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და 

8. საინვ. № 25917. წონა - 11,82 გრ, ზომა - 17/27 მმ. Av-ზე დამღა 

9. საინვ. № 25918. წონა - 11,3 გრ, ზომა - 20/26 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და 

10. საინვ. № 25919. წონა - 11,24 გრ, ზომა - 22 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და 

11. საინვ. № 25920. წონა - 11,2 გრ, ზომა - 13/30 მმ. Av-ზე დამღა 

12. საინვ. № 25921. წონა - 10,85 გრ, ზომა - 22/23 მმ. ორი დამღა: Av-სა  და Rv-ზე 

13. საინვ. № 25922. წონა - 10,75 გრ, ზომა - 18/26 მმ. Av-ზე დამღა 

14. საინვ. № 25923. წონა - 10,15 გრ, ზომა - 21/24 მმ. Av-ზე დამღა 

15. საინვ. № 25924. წონა - 9,65 გრ, ზომა - 22/25 მმ. ორი დამღა: Av-სა  და Rv-ზე 

16. საინვ. № 25925. წონა - 9,6 გრ, ზომა - 19/20 მმ

17. საინვ. № 25926. წონა - 9,4 გრ, ზომა - 14/25 მმ. Av-ზე დამღა 

18. საინვ. № 25927. წონა - 9,32 გრ, ზომა - 11/32 მმ. Av-ზე დამღა 

19. საინვ. № 25928. წონა - 9 გრ, ზომა - 20/21 მმ. Av-ზე დამღა 

20. საინვ. № 25929. წონა - 8,75 გრ, ზომა - 0,6/3 მმ. ორი დამღა: Av-სა  და Rv-ზე 

21. საინვ. № 25830. წონა - 8,67 გრ, ზომა - 24/16 მმ. ორი დამღა: Av-სა  და Rv-ზე 

22. საინვ. № 25931. წონა - 8,55 გრ, ზომა - 0,6/27 მმ. ორი დამღა: Av-ზე , Rv-ზე 

23. საინვ. № 25932. წონა - 8,25 გრ, ზომა - 20 მმ. Av-ზე ორი დამღა  და ;

24. საინვ. № 25933. წონა - 08 გრ, ზომა - 20/23 მმ. ნაკლული, გვერდზე ჩამოტეხილი. Av-ზე გაურკვეველი დამღა .

25. საინვ. № 25934. წონა - 7,85 გრ, ზომა - 19/18 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და ;

26. საინვ. № 25935. წონა - 7,83 გრ, ზომა – 20 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და ;

27. საინვ. № 25936. წონა - 7,6 გრ, ზომა - 16/20 მმ

28. საინვ. № 25937. წონა - 7,45 გრ, ზომა - 11/39 მმ. Av-ზე სამი დამღა: ,  და ? (მესამე ნაწილობრივ არის მოხვედრილი)

29. საინვ. № 25938. წონა - 7,4 გრ, ზომა - 18/19 მმ. ორი დამღა: Av-სა  და Rv-ზე 

30. საინვ. № 25939. წონა - 7,25 გრ, ზომა - 12/26 მმ. Av-ზე დამღა 

31. საინვ. № 25940. წონა - 7,15 გრ, ზომა - 21/15 მმ. Av-ზე სამი დამღა: ,  და ;

32. საინვ. № 25941. წონა - 7,05 გრ, ზომა - 10/26 მმ. ირკვევა ერთი დამღა 

33. საინვ. № 25942. წონა - 7 გრ, ზომა - 12/23 მმ. Rv-ზე გაურკვეველი აღმოსავლური დამღა

34. საინვ. № 25943. წონა - 6,98 გრ, ზომა - 19/20 მმ. Av-ზე ბუნდოვანი დამღა ?

35. საინვ. № 25944. გაცვეთილია. წონა - 6,85 გრ, ზომა - 15/17 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და ;

36. საინვ. № 25945. წონა - 6,65 გრ, ზომა - 17/20 მმ. ორი დამღა: Av-სა  და Rv-ზე 

37. საინვ. № 25946. წონა - 6,55 გრ, ზომა – 18 მმ. ორი დამღა: Av-ზე გაურკვეველია, Rv-ზე 

38. საინვ. № 25947. წონა - 6,53 გრ, ზომა – 18 მმ. Av-ზე ორი დამღა,  და 

39. საინვ. № 25948. წონა - 6,22 გრ, ზომა - 19/20 მმ. Av-ზე ორი დამღა  და 

40. საინვ. № 25949. წონა - 6,15 გრ, ზომა - 10/24 მმ. Rv-ზე დამღა 

41. საინვ. № 25950. წონა - 6,05 გრ, ზომა - 18/19 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და 

42. საინვ. № 25951. წონა - 70,77 გრ, ზომა - 18/63 მმ. ორჯერ სიქანაკრავი. Av-სა და Rv-ზე სიქა, იგივე მეორე მხარეს. ორი დამღა ზის ერთმანეთზე: ზემოდან , ქვემოდან .

43. საინვ. № 25952. წონა - 40,48 გრ, ზომა - 14/44 მმ. დამღა 

44. საინვ. № 25953. წონა - 37 გრ, ზომა - 32/47 მმ. ორჯერ სიქანაკრავი. (Av და Rv სიქები), ცალ მხარეს დამღა , მეორე მხარეს (ორჯერ სიქანაკრავი), დამღა 

45. საინვ. № 25954. წონა - 27,45 გრ, ზომა - 23/48 მმ. ორჯერ სიქანაკრავი, ნაპირჩამოტეხილი, ცალ მხარეს ორი დამღა:  და .

46. საინვ. № 25955. წონა - 26,3 გრ, ზომა - 1,0/42 მმ. ორჯერ სიქანაკრავი (Av და Rv სიქები). ცალ მხარეს ორი დამღა:  და .

47. საინვ. № 25956. წონა - 5,64 გრ, ზომა - 16/18 მმ. Av-ზე დამღა 

48. საინვ. № 25957. წონა - 5,58 გრ, ზომა - 17/18 მმ. Rv-ზე დამღა 

49. საინვ. № 25958. წონა - 5,5 გრ, ზომა - 18/19 მმ. Av-ზე დამღა 

50. საინვ. № 25959. წონა - 5,5 გრ, ზომა - 16/18 მმ. Av-ზე დამღა 

51. საინვ. № 25960. წონა - 5,33 გრ, ზომა - 16/17 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და 

52. საინვ. № 25962. წონა - 5,08 გრ, ზომა - 16/20 მმ. Av-ზე დამღა 

53. საინვ. № 25963. წონა - 5 გრ, ზომა - 16/23 მმ. ორი დამღა: Av-სა  და Rv-ზე 

54. საინვ. № 25964. წონა - 5 გრ, ზომა - 15/16 მმ. ორი დამღა: Av-სა  და Rv-ზე 

55. საინვ. № 25965. წონა - 4,7 გრ, ზომა - 15/16 მმ. ორი დამღა: Av-სა  და Rv-ზე 

56. საინვ. № 25966. წონა - 4,65 გრ, ზომა - 16/20 მმ. Rv-ზე დამღა 

57. საინვ. № 25967. წონა - 4,63 გრ, ზომა - 12/18 მმ. Av-ზე დამღა 

58. საინვ. № 25968. წონა - 4,6 გრ, ზომა - 16/17 მმ. Av-ზე დამღა 

59. საინვ. № 25969. წონა - 4,4 გრ, ზომა - 16/17 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და 

60. საინვ. № 25971. წონა - 4,35 გრ, ზომა - 15/16 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და 

61. საინვ. № 25971. წონა - 4,35 გრ, ზომა - 15/16 მმ. ორი დამღა: Av-სა  და Rv-ზე 

62. საინვ. № 25972. წონა - 4,28 გრ, ზომა - 15/17 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და 

63. საინვ. № 25973. წონა - 4,22 გრ, ზომა - 15/16 მმ. Av-ზე დამღა 

64. საინვ. № 25974. წონა - 4,22 გრ, ზომა - 15/16 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და 

65. საინვ. № 25975. წონა - 4,17 გრ, ზომა – 16 მმ. Av-ზე დამღა 

66. საინვ. № 25976. წონა - 4 გრ, ზომა - 13/15 მმ

67. საინვ. № 25977. წონა - 3,9 გრ, ზომა – 15 მმ. Rv-ზე დამღა 

68. საინვ. № 25978. წონა - 3,85 გრ, ზომა - 11/19 მმ. Rv-ზე დამღა 

69. საინვ. № 25979. წონა - 3,83 გრ, ზომა - 14/15 მმ. Av-ზე დამღა 

70. საინვ. № 25980. წონა - 3,83 გრ, ზომა - 14/16 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და 

71. საინვ. № 25981. წონა - 3,73 გრ, ზომა - 15/16 მმ. Rv-ზე დამღა 

72. საინვ. № 25982. წონა - 3,78 გრ, ზომა - 15/17 მმ. ორი დამღა: Av-სა  და Rv-ზე 

73. საინვ. № 25983. წონა - 3,51 გრ, ზომა - 10/17 მმ. Rv-ზე დამღა 

74. საინვ. № 25984. წონა - 3,48 გრ, ზომა - 16/17 მმ. Av-ზე დამღა 

75. საინვ. № 25985. წონა - 3,46 გრ, ზომა - 14/15 მმ. Rv-ზე ორი დამღა ერთმანეთზე:  და 

76. საინვ. № 25986. წონა - 3,41 გრ, ზომა - 13/19 მმ. Av-ზე დამღა 

77. საინვ. № 25987. წონა - 3,38 გრ, ზომა - 15/16 მმ. Rv-ზე დამღა 

78. საინვ. № 25988. წონა - 3,2 გრ, ზომა - 15/17 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და 

79. საინვ. № 25989. წონა - 3,15 გრ, ზომა – 14 მმ. Rv-ზე დამღა 

80. საინვ. № 25990. წონა - 3,15 გრ, ზომა - 14/15 მმ. Rv-ზე დამღა 

81. საინვ. № 25991. წონა - 3,07 გრ, ზომა - 12/15 მმ. Av-ზე დამღა 

82. საინვ. № 25992. წონა - 3,85 გრ, ზომა - 16/15 მმ. Rv-ზე დამღა 

83. საინვ. № 25993. წონა - 2,83 გრ, ზომა - 13/14 მმ.

84. საინვ. № 25994. წონა - 2,7 გრ, ზომა – 14 მმ. ორი დამღა: Av-სა  და Rv-ზე 

85. საინვ. № 25995. წონა - 2,63 გრ, ზომა - 12/14 მმ. Av-ზე დამღა 

86. საინვ. № 25996. წონა - 2,62 გრ, ზომა - 14/16 მმ. ორი დამღა: Av-სა  და Rv-ზე 

87. საინვ. № 25997. წონა - 2,6 გრ, ზომა - 12/13 მმ. Av-ზე დამღა 

88. საინვ. № 25998. წონა - 2,6 გრ, ზომა - 11/12 მმ

89. საინვ. № 25999. წონა - 2,58 გრ, ზომა - 17/18 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და 

90. საინვ. № 26000. წონა - 2,56 გრ, ზომა - 12/15 მმ. Av-ზე დამღა გაურკვევ-ელია

91. საინვ. № 26001. წონა - 2,41 გრ, ზომა – 13 მმ. Av-ზე დამღა 

92. საინვ. № 26002. წონა - 2,37 გრ, ზომა - 13/20 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და 

93. საინვ. № 26003. წონა - 2,35 გრ, ზომა - 11/12 მმ

94. საინვ. № 26004. წონა - 2,2 გრ, ზომა - 10/12 მმ

95. საინვ. № 26005. წონა - 2,1 გრ, ზომა - 11/12 მმ

96. საინვ. № 26006. წონა - 1,94 გრ, ზომა - 11/12 მმ

97. საინვ. № 26007. წონა - 1,8 გრ, ზომა - 10/12 მმ

98. საინვ. № 26008. წონა - 1,34 გრ, ზომა - 10/11 მმ. Av-ზე ორი დამღა:  და 

99. საინვ. № 26009. წონა -: 1,1 გრ, ზომა - 11/12 მმ

100. საინვ. № 26120. ლაშასი თუ თამარის მონეტა, მინაბაძი. წონა - 30,13გრ, ზომა - 14/50 მმ

101. საინვ. № 26121. ორივე მხარეს სქემატური წარწერები. წონა - 17,33 გრ, ზომა - 20/28 მმ. Av-ზე დამღა .

102. მინაბაძი, ძალზე სქემატური. წონა - 66,08 გრ, ზომა - 30/50 მმ. სამჯერ სიქანაკრავი.

103. **თამარისა და დავითის მონეტა.** Av. სიმბოლური ნიშანი და ქართული ზედწერილი: „თამარ-დავით, ქორონიკონი 420“ (= 1200 წ.). ნიშნის ქვემოთ დამღა არაბული ზედწერილით: თამარისა და დავითის სახელების ინიციალებით.

Rv. არაბული ზედწერილი: ملكة الملكات جلال الدنيا و الدين تامار ابنة كيوركى ظهير المسيح „დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარი ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი“. სახეზეა მონეტის 1/4 ნაწილი, რომელზეც გამოსახულია დამღა არაბული ზედწერილით (თამარისა და დავითის ინიციალები) (სურ.6).

## გიორგი IV ლაშას მონეტა (1210-1222 წწ.)

აღწერილობა: Av. ქართული ზედწერილი: „გიორგი, ძე თამარისი. სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვერცხლისა ამის ქორონიკონსა 430“ (= 1210 წ.).

Rv. არაბული ზედწერილი: “მეფე მეფეთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი, ძე თამარისა, მესიის მახვილი“. გარშემო სპარსული ზედწერილი: “სახელითა უწმინდესის ღვთისა იჭედა ესე ვერცხლი წელსა 430“ (სურ. 7,8).

1. საინვ. № 26010. გაცვეთილი. წონა - 59,75 გრ, ზომა - 46/36-49 მმ. სამჯერ სიქანაკრავი დამღა 

2. საინვ. № 26011. წონა - 37,75 გრ, ზომა - 15/62 მმ. ორჯერ სიქანაკრავი. დამღა 

3. საინვ. № 26012. ორი სიქა. წონა - 30,71 გრ, ზომა - 16/48 მმ. Av-ზე დამღა 

4. საინვ. № 26013. წონა - 30,32 გრ, ზომა - /43 მმ. ორი სიქა. Av-ზე დამღა 

5. საინვ. № 26014. წონა - 30,07 გრ, ზომა - 24/45 მმ. Av-ზე დამღა 

6. საინვ. № 26015. წონა - 30,06 გრ, ზომა - 11/49 მმ. ორჯერ სიქანაკრავი, Av-ზე დამღა 

7. საინვ. № 26016. წონა - 23,21 გრ, ზომა - 31/27 მმ. Rv-ზე დამღა 

8. საინვ. № 26017. წონა - 19,94 გრ, ზომა - 18/34 მმ. Av-ზე დამღა 

9. საინვ. № 26018. წონა - 18,2 გრ, ზომა - 25/26 მმ.

10. საინვ. № 26019. წონა - 17,25 გრ, ზომა - 19/30 მმ. Rv-ზე დამღა 

11. საინვ. № 26020. წონა - 16,3 გრ, ზომა - 20/30 მმ. Av-ზე დამღა 

12. საინვ. № 26021. წონა - 15,75 გრ, ზომა - 21/28 მმ. Rv-ზე დამღა 

14. საინვ. № 26023. წონა - 15,48 გრ, ზომა - 26/31 მმ. Rv-ზე დამღა 

15. საინვ. № 26024. წონა - 14,27 გრ, ზომა - 6/36 მმ. Rv-ზე დამღა 

16. საინვ. № 26025. წონა - 13,19 გრ, ზომა - 31 მმ. Rv-ზე დამღა 

17. საინვ. № 26026. წონა - 12,45 გრ, ზომა - 21/22 მმ. Av-ზე დამღა 

18. საინვ. № 26027. წონა - 11,89 გრ, ზომა - 21 მმ. Rv-ზე დამღა 

19. საინვ. № 26028. წონა - 11,36 გრ, ზომა - 0,8/41 მმ. Av-ზე დამღა 

20. საინვ. № 26029. წონა - 10,8 გრ, ზომა - 26/31 მმ. Rv-ზე დამღა 

21. საინვ. № 26030. წონა - 10,31 გრ, ზომა - 20/21 მმ. Rv-ზე დამღა 

22. საინვ. № 26031. წონა - 9,8 გრ, ზომა - 16/29 მმ

23. საინვ. № 26032. წონა - 9,75 გრ, ზომა - 11/25 მმ. Av-ზე დამღა 

24. საინვ. № 26033. წონა - 9,7 გრ, ზომა - 09/34 მმ. Rv-ზე დამღა 

25. საინვ. № 26034. წონა - 9,61 გრ, ზომა - 11/31 მმ

26. საინვ. № 26035. წონა - 9,51 გრ, ზომა - 16/21 მმ. Av-ზე დამღა 

27. საინვ. № 26036. წონა - 8,8 გრ, ზომა - 25/31 მმ. Av-ზე დამღა 

28. საინვ. № 26037. წონა - 8,98 გრ, ზომა - 18/21 მმ

29. საინვ. № 26038. წონა - 8,8 გრ, ზომა - 24/27 მმ. Av-ზე დამღა 

30. საინვ. № 26039. წონა - 8,81 გრ, ზომა - 18/20 მმ. Av-ზე დამღა 

31. საინვ. № 26040. წონა - 8,77 გრ, ზომა - 20/21 მმ. Rv-ზე დამღა 

32. საინვ. № 26041. მინაბაძი. წონა - 8,62 გრ, ზომა - 16/21 მმ. Av-ზე დამღა 

33. საინვ. № 26042. წონა - 8,5 გრ, ზომა - 20/27 მმ. Rv-ზე დამღა 

34. საინვ. № 26043. წონა - 8,48 გრ, ზომა - 17/19 მმ. Rv-ზე დამღა 

35. საინვ. № 26044. წონა - 8,32 გრ, ზომა - 04/33 მმ. Rv-ზე დამღა 

36. საინვ. № 26045. ცუდად დაცული. წონა - 8,1 გრ, ზომა - 0,7/30 მმ. Av-ზე დამღა 

37. საინვ. № 26046. წონა - 8,13 გრ, ზომა - 17/21 მმ

38. საინვ. № 26047. წონა - 7,91 გრ, ზომა - 14/24 მმ. Av-ზე დამღა 

39. საინვ. № 26048. წონა - 7,7 გრ, ზომა - 17/23 მმ

40. საინვ. № 26049. წონა - 7,52 გრ, ზომა - 23/29 მმ Rv-ზე დამღა

41. საინვ. № 26050. წონა: 7,47 გრ, ზომა – 17 მმ. Av-ზე დამღა

42. საინვ. № 26051. წონა: 7,35 გრ, ზომა - 16/27 მმ

43. საინვ. № 26052. წონა - 7,27 გრ, ზომა - 22/31 მმ. Rv-ზე დამღა

44. საინვ. № 26053. წონა - 7,32 გრ, ზომა - 16/19 მმ. Av-ზე დამღა

45. საინვ. № 26054. წონა - 7,27 გრ, ზომა - 15/22 მმ. Av-ზე დამღა

46. საინვ. № 26055. წონა - 7,12 გრ, ზომა – 19 მმ (მრგვალი ფორმის) ასო გ-ს წინ ორი წერტილი (:)

47. საინვ. № 26056. წონა - 7,12 გრ, ზომა - 14/20 მმ. Av-ზე დამღა

48. საინვ. № 26057. წონა - 7,1 გრ, ზომა - 17/19 მმ. Av-ზე დამღა

49. საინვ. № 26058. წონა - 7,08 გრ, ზომა - 18/19 მმ

50. საინვ. № 26059. წონა - 6,95 გრ, ზომა - 11/24 მმ. Av-ზე დამღა

51. საინვ. № 26060. წონა - 6,59 გრ, ზომა - 1/29 მმ. Av-ზე დამღა

52. საინვ. № 26061. წონა - 6,5 გრ, ზომა - 16/19 მმ. Av-ზე დამღა

53. საინვ. № 26062. წონა - 6,43 გრ, ზომა - 16/ 27 მმ. Av-ზე დამღა

54. საინვ. № 26063. წონა - 6,41 გრ, ზომა - 08/29 მმ. Rv-ზე დამღა . წარწერის დასაწყისში ორი წერტილი (:)

55. საინვ. № 26064. წონა - 6,36 გრ, ზომა - 16/18 მმ. Av-ზე დამღა

56. საინვ. № 26065. წონა - 6,3 გრ, ზომა - 17/23 მმ. Rv-ზე დამღა

57. საინვ. № 26066. წონა - 6,22 გრ, ზომა - 0,8/23 მმ. Rv-ზე დამღა

58. საინვ. №26067. წონა - 6,01 გრ, ზომა - 14/22 მმ. Av-ზე დამღა . წარწერის დასაწყისში ორი წერტილი (:)

59. საინვ. № 26068. წონა - 5,95 გრ, ზომა - 12/25 მმ. Av-ზე დამღა

60. საინვ. № 26069. ცუდად დაცული. წონა - 5,82 გრ, ზომა - 18 მმ. Rv-ზე

დამღა

61. საინვ. № 26070. წონა - 5,4 გრ, ზომა - 13/18 მმ. Av-ზე დამღა
62. საინვ. № 26071. წონა - 5,15 გრ, ზომა - 15/17 მმ
63. საინვ. № 26072. წონა - 5,08 გრ, ზომა - 16/17 მმ
64. საინვ. № 26073. წონა - 5,06 გრ, ზომა - 16/17 მმ. დამღა
65. საინვ. № 26074. წონა - 4,9 გრ, ზომა – 15 მმ. დამღა
66. საინვ. № 26075. წონა - 4,82 გრ, ზომა – 16 მმ. წარწერის წინ ორი წერტილი (:). გი-ს თავზე ხაზი.
67. საინვ. № 26076. წონა - 4,78 გრ, ზომა - 12/22 მმ. Rv-ზე დამღა
68. საინვ. № 26077. წონა - 4,68 გრ, ზომა - 15/16 მმ. Av-ზე დამღა
69. საინვ. № 26078. წონა - 4,5 გრ, ზომა - 14/18 მმ. Av-ზე დამღა
70. საინვ. № 26079. წონა - 4,45 გრ, ზომა - 12/20 მმ. Av-ზე დამღა
71. საინვ. № 26080. წონა - 4,45 გრ, ზომა - 14/15 მმ
72. საინვ. № 26081. წონა - 4,38 გრ, ზომა - 15/16 მმ. Av-ზე დამღა
73. საინვ. № 26082. წონა - 4,26 გრ, ზომა - 11/20 მმ
74. საინვ. № 26083. გაცვეთილი. წონა - 4,25 გრ, ზომა - 15/16 მმ. Rv-ზე დამღა
75. საინვ. № 26084. წონა - 4,08 გრ, ზომა - 13/18 მმ
76. საინვ. № 26085. წონა - 4,03 გრ, ზომა – 14 მმ. Rv-ზე დამღა
77. საინვ. № 26086. წონა - 3,97 გრ, ზომა - 14 მმ
78. საინვ. № 26087. წონა - 3,8 გრ, ზომა - 13/20 მმ. Rv-ზე დამღა
79. საინვ. № 26088. წონა - 3,8 გრ, ზომა - 12/14 მმ
80. საინვ. № 26089. წონა - 3,78 გრ, ზომა - 13/15 მმ. დამღა გაურკვეველია
81. საინვ. № 26090. წონა - 3,7 გრ, ზომა - 14/15 მმ. Av-ზე დამღა
82. საინვ. № 26091. წონა - 3,66 გრ, ზომა - 22/24 მმ
83. საინვ. № 26092. წონა - 3,57 გრ, ზომა - 17/19 მმ
84. საინვ. № 26093. წონა - 3,37 გრ, ზომა - 14 მმ. Av-ზე დამღა
85. საინვ. № 26094. წონა - 3,36 გრ, ზომა - 13/14 მმ

86. საინვ. № 26096. წონა - 3,3 გრ, ზომა - 13/15 მმ. Rv-ზე დამღა 
87. საინვ. № 26097. წონა - 3,25 გრ, ზომა - 11/12 მმ

88. საინვ. № 26098. წონა - 3,18 გრ, ზომა - 0,5/20 მმ. Rv-ზე დამღა 

89. საინვ. № 26099. წონა - 3,18 გრ, ზომა – 16 მმ. Av-ზე დამღა 

90. საინვ. № 26100. წონა - 3,12 გრ, ზომა - 11/18 მმ. Rv-ზე დამღა 
91. საინვ. № 26101. წონა - 3,12 გრ, ზომა - 12/13 მმ

92. საინვ. № 26102. წონა - 2,95 გრ, ზომა - 11/20 მმ Av-ზე დამღა 
93. საინვ. № 26103. წონა - 2,92 გრ, ზომა - 0,9/18 მმ გაურკვეველი დამღა

94. საინვ. № 26105. წონა - 2,77 გრ, ზომა - 14/16 მმ. Av-ზე დამღა 

95. საინვ. № 26106. წონა - 2,68 გრ, ზომა - 0,6/15 მმ. Rv-ზე დამღა 
96. საინვ. № 26107. წონა - 2,62 გრ, ზომა - 12/13 მმ
97. საინვ. № 26108. წონა - 2,6 გრ, ზომა – 12 მმ

98. საინვ. № 26109. წონა - 2,48 გრ, ზომა - 0,8/20 მმ Rv-ზე დამღა 
99. საინვ. № 26110. წონა - 2,45 გრ, ზომა - 11/13 მმ
100. საინვ. № 26111. წონა - 2,45 გრ, ზომა – 10 მმ
101. საინვ. № 26113. წონა - 2,4 გრ, ზომა - 13 მმ
102. საინვ. № 26114. წონა - 2,4 გრ, ზომა - 11 მმ
103. საინვ. № 26115. წონა - 2,35 გრ, ზომა - 11/12 მმ
104. საინვ. № 26116. წონა - 2,15 გრ, ზომა - 11/12 მმ
105. საინვ. № 26117. წონა - 2,12 გრ, ზომა - 11/16 მმ. გაურკვეველი დამღა
106. საინვ. № 26118. წონა - 1,23 გრ, ზომა – 11 მმ. გაურკვეველი დამღა
107. საინვ. № 26122. წარწერა სქემატურია, შესაძლებელია, იმდროინდელი ნაყალბევია. წონა - 9,62 გრ, ზომა - 21/22 მმ. დადამღული ყოფილა, არ ჩანს, რომელი დამღაა.

108. საინვ. № 26123. მინაბაძი. წონა - 6,57გრ, ზომა: 17/18მმ. დამღა .
109. საინვ. № 26124. მინაბაძი. წარწერა არასწორადაა ამოკვეთილი. წონა - 3,28 გრ, ზომა - 13/14 მმ
110. საინვ. № 26125. წონა - 2,78 გრ, ზომა - 10/11 მმ

111. საინვ. № 26126. წონა - 3,35 გრ, ზომა - 12/18 მმ. Av-ზე დამღა 

112. საინვ. № 26127. წონა - 22,51 გრ. ზომა - 26/31 მმ. Av-ზე დამღა 

## არაბული მონეტა

1. არაბული ფელსი. გაცვეთილი (სურ. 9).

## ბიზანტიის იმპერიის მონეტა

1. საინვ. №26129. მანუელ I კომნენოსის (1143-1180 წწ.) მონეტა. წონა - 1,65 გრ, ზომა – 17 მმ. ნახევარი ტეტარტერონი. მსუბუქი სტანდარტი. ტიპი B. Av. მანუელ I-ის წვერულვაშიანი ბიუსტი პირდაპირ; თავზე ახურავს ჯვრის გამოსახულებიანი გვირგვინი; მარჯვენა ხელში - ლაბარუმი, მარცხენა ხელში ჯვრიანი სფერო უჭირავს. შემოსილია თვლებით მორთული სამოსით.

Rv. შეწიაღებულად აღბეჭდილი ზედწერილი : Μαυοηλ Δεσποτης Κομυτυος Πορφιρογευυητος - კეისარი მანუელ კომნენი, პროფიროგენეტი; ხაზოვანი რკალი. [Michael F. Hendy Washington BMC 1969: vol. II p. 121 pl. 18(2)]; [Warwick W. 1908: pl. 580, tab.LXX N18] (სურ. 10).

2. მეორე ასეთივე ფაქტურის სრულიად გაცვეთილი საფასე.

### აღმოსავლური მონეტები

1. **ილდეგიზიდური.** აბუ ბაქრის მონეტა (1195-1210 წწ.), 5ც. აღწერილობა: Av. რაბული ზედწერილი: *الناصر الدين الله امر المونين* - ,,ან-ნასერ ად-დინ ალაჰი მართლმორწმუნეთა მბრძანებელი''. წარწერის ქვემოთ სამკაპა.

Rv. არაბული ზედწერილი: *جهان فهلوان الاعظم اتابك* . მონეტაზე გამოსახულია მშვილდი და მის ქვეშ *جهان فهلوان*. (სურ. 11).

2. საინვ. №26130. **დერბენდული.** შაჰანშაჰის მონეტა (1197-1204 წწ.). Av. არაბული ზედწერილი: *لا اله الا الله محمد رسول الله الناصر الدين الله امير المومنين* - ,,არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქული ალაჰისა, ან-ნასერ ად-დინ მართლმორწმუნეთა მბრძანებელი''. Rv. არაბული ზედწერილი: *محمد رسول الله الملك المعظم شاهان شاه بن منو چهر* - ,,მუჰამადი მოციქული ალაჰისა, ამაღლებული მალიქი, შაჰან შაჰი ძე მანუჩეჰრის'' (სურ. 12).

3. საინვ. № 26131. **შირვანშაჰ-ქესრანიდის,** ფარიბურზის მონეტა (1200-1209 წწ.)
Av. არაბული ზედწერილი: *لا اله الا الله محمد رسول الله الناصر الدين الله* - ,,არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქული ალაჰისა, ან-ნასერ ად-დინ''.
Rv. არაბული ზედწერილი: *الملك العادل جلال الدنيا و الدين فريبوز بن افريدون بن منو چهر شروان شاه* - ,,სამართლიანი მალიქი, ჯალალ ად-დინია ვად-დინ ფარიბურზი ძე აფრიდუნის ძე მანუჩეჰრის, შირვან შაჰი''. (სურ. 13).

**Medea Sherozia*, Mariam Koridze***

The Georgian National Museum. Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Av., 0105, Tbilisi, Georgia
email: m.sherozia@yahoo.com
mariam–qoridze@yahoo.com

# The 12th-13th cc Hoard of Silver Coins from Tsiteli Khidi

## Summary

In 1998 Simon Janashia Georgian State Museum purchased hoard of silver coins from Jumber Guchua which was minted in the 12th-13th cc. The hoard was discovered in the neighborhood of Tsiteli Khidi, Khrami valley. It consists of 387 coins and its total weight is 2 ,95 kg. The hoard was covered with patina. Most of the coins are worn out by being in circulation for a long time. The hoard is preserved in the numismatic collections fund of Simon Janashia Georgian Museum (inventory NN 25835 – 26221).

The hoard mostly consists of Georgian coins of the so-called irregular mint and dates back to the 12th- the first half of the 13th cc. There is also insignificant amount of Arabic, Oriental (Eldiguzid, Shirvan and Derbend) and Byzantine coins. Significant part of the coins (40 percent) has hallmarks.

The earliest coin from the hoard is Arabic fals which is so worn out that it is impossible to attribute it. The earliest coin belongs to Georgian king Giorgi III (1156 -1184). The hoard must have been buried during Jalal ad din Mangubert's invasion (1226) of Georgia. It is known that after concurring Tbilisi (in March), he minted Georgian coins and placed his name on them. The coins from the hoard were in circulation in the first years of Queen Rusudan's reign (1222 – 1247) as most of the marked coins bear her hallmark.

The study of the hoard indicated that the coins were minted in the names of the following rulers:

I. Arabic copper coins;

II. Byzantine coins: Manuel I (1143- 1180) Comnenos. Half tetarteroni. Light standard. Type B.

III. The second coin of the same texture is completely worn-out;

IV. Georgian coins: 1. Giorgi III (1156-1184) - 74, 13 of type I, 61 – of type II. One is marked with Rusudan's mark. 2. Giorgi III and Tamar – 1. 3. Tamar (1156-1184) – 103 , 89 marked, 12 – unmarked; 4. Tamar and David Soslan. ¼ part of the silver dirham; 5. Giorgi IV Lasha (1210-1222) – 112, 83 marked, 29 unmarked.

V. 33 Oriental coins : 5 - Aseri Atabag, Ildegidiz Abu-Baqr (591-607 AH.

= 1195-1210); 1. Maliq of Derbend Shahinshah (1197-1204) 1; 1 Shirvanshah Fariburz (1200-1209); 2 . Shirvanshah Gershasb I (1204-1225).

The rest of the coins are too worn-out but they are identical in texture.

## ბიბლიოგრაფია

**აბრამიშვილი თ. 1961:** საქართველოს მუზეუმის ქართულ და ბიზანტიურ მონეტებზე მოთავსებული დამღები. *სსმმ. XXII-B.* გვ. 107-118. თბილისი (რედ. ან. აფაქიძე).

**კაპანაძე დ. 1969**: *ქართული ნუმიზმატიკა.* თბილისი.

**კიკნაძე რ. 1979**: *ხორეზმელები საქართველოში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტ. III. გვ. 538-545. თბილისი (რედ-ბი.: ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა)

**ლომოური თ. 1938:** *ფული* შოთა რუსთაველის ეპოქაში. კრ.: *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა.* თბილისი.

**ღვაბერიძე ც. 2012:** ნახიდურის განძი. *სემმ.* III (48-B). გვ.139-146. თბილისი.

**Баратаев М. 1844:** *Нумизматические факты грузинского царства.* Санкт - Петербург.

**Пахомов Е. 1970:** *Монетны Грузии.* Тбилиси.

Капанадзе д. 1969: Клад монет XII-XIII вв. Из сел. Ничбиси. სსმმ. XXVIII-B. გვ 80-97. თბილისი.

**Michael F. Hendy: 1969:** *Coinage and Money in the Byzantine Empire.* p.121, pl.18 (2). Washington

**W. Wroth 1908:** *Imperial Byzantine coins in the British Museum.* vol. II., p.580 tab. LXX N18. London.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1**. წითელი ხიდის განძი

**სურ. 2**. გიორგი III

**სურ. 3**. თამარი. 1187 წ.

**სურ. 4**. თამარი. 1187 წ.

**სურ. 5**. თამარი. 1187 წ.

**სურ. 6**. თამარი და დავითი. 1/4 ნაწილი. 1200წ.

**სურ. 7.** ლაშა-გიორგის

**სურ. 8.** ლაშა-გიორგის

**სურ. 9.** არაბული ფელსი

**სურ. 10**. მანუელ I კომნენოსი. ბიზანტიის იმპერია

**სურ. 11.** აბუ-ბაქრ ილდეგიზიდი

**სურ. 12**. შირვანშაჰ–ქესრანიდი, ფარიბურზი

**სურ. 13.** დერბენდის მელიქი შაჰანშაჰი

## LIST OF ILLUSTRATION


**Fig.1.** Hoard from Tsiteli Khidi
**Fig.2**. Giorgi III
**Fig.3**. Tamar 1187
**Fig.4**. Tamar 1187
**Fig.5.** Tamar 1187
**Fig.6.** Tamar and David, part ¼ part 1200.
**Fig.7**. Lasha-Giorgi
**Fig.8**. Lasha-Giorgi
**Fig.9.** Arabic coin
**Fig.10.** Manuel I Comnenos. Bizantine Empire
**Fig.11.** Abu-Baqr Eldeguzid
**Fig.12**. Fariburzi. Shirvanshah - Qesranid
**Fig.13.** Shahinshah. Meliq of Derbend




სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**



სურ. 8 **Fig.**



სურ. 9 **Fig.**



სურ. 10 **Fig.**



სურ. 11 **Fig.**



სურ. 12 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 82-95
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 82-95

**ნუმიზმატიკა**

**მაია პატარიძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: mpataridze@hotmail.com

# არაეკონომიკური დანიშნულების მონეტები
## (მესტიისა და უშგულის მუზეუმებში დაცული ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით)

ნუმიზმატიკური მეცნიერების ძირითადი ამოცანა მონეტა და სამონეტო განძების შესწავლაა. მონეტა, პირველ ყოვლისა, ფულია, რაც ნიშნავს იმას, რომ ის ქვეყნის სახელმწიფოებრიობის საფუძველია და, ამასთანავე, პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ხელოვნების ნიმუში. აქედან გამომდინარე, მონეტა პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროა ქვეყნის პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის ისტორიის გასაშუქებლად. იმავდროულად, მონეტა ტრადიციული ყოფისა და კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ამიტომ ის განსაკუთრებულ როლს ასრულებს საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

იმ დღიდან, რაც კაცობრიობამ დაიწყო ფულის მოჭრა, ყოფითი საჭიროების გამო იწყება მასთან ადამიანების მიჯაჭვა. უფრო მეტიც, ხალხის ცნობიერებაში ფული საკრალურ ნივთად იქცა, რომელსაც მაგიური ძალა მიეწერებოდა. ამიტომ ფული სხვადასხვა რიტუალისა თუ ტრადიციული წეს-ჩვეულების თანმდევი ატრიბუტი გახდა. ლოგიკურია, რომ მისი შესწავლა ხალხის ყოფისა და კულტურის შემსწავლელი მეცნიერების – ეთნოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანიცაა. სამწუხაროდ, ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში მონეტებთან დაკავშირებული ტრადიციები და რიტუალები საფუძვლიანად დღემდე არ გამოუკვლევიათ.. მეცნიერები შემოიფარგლებიან მხოლოდ მონეტების დანიშნულებისა და გამოყენების ფაქტების აღნიშვნით.[1] იგივე შეიძლება ითქვას ამ საკითხის ნუმიზმატიკური კუთხით შესწავლის თვალსაზრისითაც.

წლების განმავლობაში მონეტებისა და სამონეტო განძების შესწავლის მეთოდოლოგია ქართველსა და უცხოელ ნუმიზმატებს სპეციფიკური ჰქონდათ, კერძოდ, სარიტუალო მიზნით გამოყენებული მონეტები – სამკაული, საეკლესიო შეწირულობა და ა. შ. აღიქმებოდა მხოლოდ ეთნოლოგიური დანიშნულების ნივთებად და ამ მონეტების "ამეტყველება", ასე ვთქვათ, პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმართულებით არ ხდებოდა. თუმცა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ, ტრადიციული ნუმიზმატიკური მეთოდების გარდა, ეთნოლოგიური კვლევის შედეგად ამ სახის მონეტებს ბევრი სხვა ინფორმაციის მიწოდება შეუძლია მეცნიერთათვის. მაგალითისთვის შეგ-

1 მადლობას ვუხდით ეთნოლოგ მანანა ხიზანიშვილს ეთნოლოგიური საკითხების კვლევაში გაწეული დახმარებისთვის.

ვიძლია მოვიხმოთ სვანეთის ნუმიზმატიკური განძები, რომელთა საფუძვლიანმა შესწავლამ აჩვენა, რომ აქაურ განძებს ახასიათებს გარკვეული სპეციფიკა: ერთი და იგივე საეკლესიო განძი ერთდროულად საკულტოცაა, ეკონომიკურიც და ეთნოლოგიურიც [პატარიძე მ. 2013-2014:189].

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, სწორედ კომპლექსური, ეთნოლოგიურ-ნუმიზმატიკური კვლევის შედეგადაა შესაძლებელი, ბოლომდე სრულყოფილად იქნეს შესწავლილი მონეტის – მნიშვნელოვანი არტეფაქტის როლი.

ჩვენი კვლევის მიზანი ამ ეტაპზე ნუმიზმატიკური მასალის ეთნოლოგიური ასპექტების გამოვლენაა. ამისათვის აუცილებლად მივიჩნიეთ, მიგვემართა კვლევის ეთნოლოგიური, ზოგადი – ისტორიულ-არქეოლოგიური და ვიწრო - ნუმიზმატიკური მეთოდებისთვის. საკვლევ მასალად გადავწყვიტეთ, გამოვიყენოთ ის მონეტები, რომელთაც არაეკონომიკური (არაფულადი) დანიშნულების მკვეთრად გამოხატული ნიშნები აქვთ.

ამ თვალსაზრისით შევარჩიეთ სვანეთის რეგიონში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა, რომელიც თავისი ბუნებით, გარკვეულწილად, ეთნოლოგიურიცაა.

ნუმიზმატიკური განძების სისტემატიზაციისას [პატარიძე მ. 2013-2014:186] ცალკე გამოიყოფა ეთნოლოგიური განძები. თავის მხრივ, ეს განძები კლასიფიცირდება შემდეგ ჯგუფებად.

1. სარიტუალო მონეტები.

2. მაგიური დანიშნულების მონეტები, ავგაროზები, ამულეტები.

3. ტანისამოსის მოსართავი და სამკაულ-სამშვენისად გამოყენებული მონეტები.

4. საგანგებოდ მოჭრილი მონეტის მინაბაძები, უმეტესწილად, ცალმხრივი, რომლებსაც აქსესუარად და სამკაულად იყენებდნენ.

5. ეკლესია-სალოცავებისა და ხატისთვის შეწირული ძღვენი და საგანგებოდ ხატისთვის დამზადებული მონეტის გამოსახულების ე.წ. შანა – ხატი.

უძველესი დროიდან ადამიანები თვლიან, რომ ფული საჭიროა როგორც ამქვეყნიურ, ისე იმიერ ცხოვრებაში [ Потин В. 1971: 54]. ამიტომ მიცვალებულს სამარხში ფულს ჩააყოლებდნენ და სწამდათ, რომ საიქიო ცხოვრებაში ფული იმავე ფუნქციას ასრულებდა, რასაც ცოცხალი ადამიანების ყოველდღიურ ყოფაში.აქედან გამომდინარე, დაკრძალვის რიტუალის დროს სამარხში ფულის ჩატანების წესიც არაერთგვაროვანია. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა სამარხში მონეტის ჩაყოლების რამდენიმე შემთხვევა:

1. მონეტის, როგორც ფულის ჩაყოლება – ე. წ. ქარონის ობოლი.

2. მონეტის (მონეტების) ჩაყოლება, როგორც გარდაცვლილის არასანქცირებული სოციალური პრესტიჟის განმსაზღვრელი ნიშანი, ანუ სიმდიდრის სიმბოლო.

3. მონეტა ან მონეტის მინაბაძი, როგორც სამკაული ან ამულეტი.

სამარხში მონეტის მოხვედრის ყველაზე არქაული ტრადიცია ქარონის ობოლის სახელითაა ცნობილი.

ბერძნული წეს-ჩვეულების მიხედვით, მიცვალებულს პირზე აფარებდნენ ან ხელში უდებდნენ ვერცხლის მონეტის მცირე ნომინალს. ელინების წარმოდგენით, გარდაცვლილის სული მენავე ქარონს უნდა გადაეყვანა მდინარე აქერონზე ან სტიქსზე. ის ამ სამსახურისთვის ფულს – ობოლს ღებულობდა. ამიტომ ამ მონეტას ქარონის ობოლს უწოდებდნენ. უად-

რესი შემთხვევები მონეტის ჩატანებისა (კორინთო) ძვ. წ. V ს-ის მეორე მეოთხედს მიეკუთვნება და სპორადულად გვხვდება ახ. წ. V ს-ის დასასრულამდე.[2] ქარონისობოლის შემთხვევაში მონეტა ორგზის გამოიყენება ფულის დანიშნულებით. ის ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც ფულია და იმიერშიც ფულის ფუნქცია უნდა შეასრულოს. აქედან გამომდინარე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეული ქარონის ობოლი უკვე დიდ ინფორმაციას აწვდის მეცნიერებს გარკვეული ისტორიული პერიოდის ეკონომიკური და ფულადი მიმოქცევის სურათის აღსადგენად. ამავდროულად, ის არქეოლოგიური ფენისა თუ სამარხის სანდო დამათარიღებელია [პატარიძე მ. 2013-2014:187]. ქარონის ობოლი საკმაოდ ბევრ არქეოლოგიურ ძეგლზეა აღმოჩენილი, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. სამარხში მონეტის ან მონეტების მოხვედრა, ქარონის ობოლის გარდაც, ხშირია, თუმცა მათი ფუნქციის განსაზღვრას ართულებს სხვადასხვა ფაქტორი, კერძოდ, ეს შეიძლება იყოს რთული ბუნებრივი პირობები, რამაც ძვლოვანი მასის ჩაშლა და სამარხეული ინვენტარის აღრევა გამოიწვია. ასეთ დროს ძნელია დაბეჯითებით მტკიცება, ესა თუ ის მონეტა ქარონის ობოლია, სამკაული თუ ქონებრივი სიძლიერის განმსაზღვრელი ატრიბუტი.

სვანეთში, ჭუბერის თემში, ლარილარის სამაროვნის ტერიტორიაზე, აღმოჩენილია ალექსანდრე მაკედონელის სტატერი. სამწუხაროდ, მონეტის ზუსტი მდებარეობა სამარხში ცნობილი არაა. გვაქვს ალექსანდრეს სტატერის ქარონის ობოლად აღმოჩენის შემთხვევა ტახტიძირის სამარხში. ამიტომ შესაძლებელია, აქაც იმავე ფაქტთან გვქონდეს საქმე, თუმცა, ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ოქროს მონეტააქ გარდაცვლილის ქონებრივი პრესტიჟის განმსაზღვრელი იყო. არსებული მონეტის სამარხეულ ინვენტართან ერთად ყოველი აღმოჩენა მეცნიერთათვის უმნიშვნელოვანესია იმ აზრის განსამტკიცებლად, რომ სვანეთის რეგიონი ელინისტურ პერიოდში ჩართულია საერთაშორისო ფულად მიმოქცევაში და არანაირად არაა კარჩაკეტილი რეგიონი [პატარიძე მ. 2011 c :32]. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ წარმართობის დროინდელ საკულტო ადგილებში დაიწყეს ეკლესიების აგება და წარმართული რწმენა-წარმოდგენების სასტიკად დევნა. ამ ბრძოლის მიუხედავად, ქრისტიანობამ მაინც ვერ შეძლო ხალხის ცნობიერებაში ძველი იდეოლოგიის მოსპობა, ის ახალ რელიგიას შეერწყა და შეეგუა. ქრისტიანულმა რელიგიამ ზოგიერთი არქაული მაგიური წესი თუ სიმბოლო მიიღო და ახალი შინაარსი შესძინა მათ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შეწირვის ტრადიცია, რომელსაც ეთნოლოგები მსხვერპლად შეწირვის სიმბოლურ ქმედებად მიიჩნევენ.ქრისტიანული სიმბოლოების (ხატები, ჯვრები) გარდა, ეკლესიებს სწირავდნენ წინაქრისტიანული იდეის მატარებელ შესაწირავებს. ამჯერად ჩვენ განვიხილავთ ფულის შეწირვის ტრადიციას, რომელიც მთელ საქართველოშია გავრცელებული. ეთნოლოგიური ცნობებით, სალოცავში მონეტის შეწირვა სხვადასხვა მიზნით ხდებოდა: ავი თვალისა და ავი სულის აცილების, კეთილდღეობის, ავადმყოფის გამოჯანმრთელებისთვის და სხვ. ეთნოლოგიური მონაცემების მიხედვით,

2 საქართველო (იბერია-კოლხეთი) და გარე სამყარო ჩვ.წ. აღ. მდე IV - III საუკუნეებში. 2008 წლის რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ანგარიში. სტატიის ავტორი დარეჯან კაჭარავა.

ფულის შეწირვა ყველაზე ხშირად ავადმყოფობის დროს იცოდნენ.

სალოცავისთვის ფულის შეწირვის ტრადიცია სვანეთში უძველესი დროიდან იღებს სათავეს და დღესაც ცოცხალია. ამ ტრადიციის შესწავლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად, თუ რატომ შემოინახა სვანურმა ეკლესიებმა არც თუ მცირე რაოდენობით უძველესი მონეტა, მათ შორის, იშვიათი და უნიკალური?! აქვე გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ არსებობდა გარემოება, რომელიც მონეტების უფრო მეტად დაგროვებას ხელს უშლიდა. ასე რომ არა, ეკლესიაში დაცული ურიცხვი მონეტა გვექნებოდა.

ეთნოლოგიური ჩანაწერებით ცნობილია ისიც, რომ ტაძრისთვის შეწირული ფული ხშირად იხარჯებოდა, თუ რატომ, ამის შესახებ მოგვითხრობს სვანეთის მკვიდრი სები გულედანი, რომელმაც 1940 წელს ჩაიწერა ამბავი მთხრობლისგან, მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერის მცხოვრებ დავით გულედანისგან. ინფორმაცია მოგვაწოდა ეთნოლოგმა მადონა ჩამგელიანმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

„იფრარის ჯგრააგის ხატი ძალიან სასწაულმოქმედი ყოფილა, მლოცველი ბლომად მიდიოდა და ბევრი სწირავდა „კეთილ-ქონებას“. ამ ხატის (ეკლესიის) მოლზვენები (მსახურები) ხაჭვანები ყოფილან, მაშინ ყველაზე კარგად მოლზვენები ცხოვრობდნენ, რადგან უამრავი ფული და ქონება უგროვდებოდათ. ხაჭვანები ამით ვერ დაკმაყოფილებულან და გაუყიდიათ ხატი ჩოლურში. სოფელს დაუწყია ძებნა და მიუგნიათ. დიდი „სახსარი“ გადაუხდია სოფელს ხატის დასაბრუნებლად. ხაჭვანებისთვის ჩამოურთმევიათ „მოლზვენობა“ და იმის მერე ვერ მოუშორებიათ სიღარიბე“.

ეთნოლოგი მადონა ჩამგელიანი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ბალსზემოთ სვანეთში „ფეოდალები“ თვითონ ტაძრები იყო და მათი ბეგარაც ემართა ყველას, მაგალითად თანღილში, ვისაც ლოცვა „ემართა“, აუცილებლად სწირავდა ფულს. ამ ფულით ტაძრის „მოლზვენები“ ყიდულობდნენ საკლავს. თუ შესაწირი „ვალი“ მეტი იყო, ტაძარში ინახავდნენ ამ ფულს.[3] ლოგიკურია, ეკლესიის საჭიროებისთვის თანხა უნდა დახარჯულიყო. ამ მოსაზრებას ჩვენ სავსებით ვიზიარებთ და, ვფიქრობთ, რომ ერთ- ერთი პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არ შემორჩა ტაძრებს დიდი რაოდენობით მონეტები, სწორედ მათი ხარჯვაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკლესია-სალოცავებისთვის ფულის შეწირვა უკავშირდებოდა ოჯახის ბედს, სიუხვესა და კეთილდღეობას. ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სვანეთშიც განსაკუთრებით ხშირი იყო ავადმყოფობის გამო მონეტის, სამკაულისა და ძვირფასი ან ნახევრად ძვირფასი ქვების შეწირვა. ეს ტრადიცია დღემდეა ამ რეგიონში შემორჩენილი. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიხმოთ 2012 წლის ეთნოლოგიური ჩანაწერი. ინფორმაცია ჩაიწერა მადონა ჩამგელიანმა მესტიის რაიონის სოფელ ლატალში, მთხრობელი იყო 1937 წელს დაბადებული დარიკო გვიჩიანი. აი, რა ისტორიას ჰყვება ის: „ჩემი ნესტანი იყო ერთი წლის და უცებ გალურჯდა, ვერაფერმა ვერ უშველა, ექიმიც მოვიყვანეთ და ვერავინ ვერ ხვდებოდა, რა სჭირდა. ჩემმა დედამთილმა მითხრა: ეგ ხატის ამბავი იქნებაო და სასწრაფოდ გააგზავნა გიორგი (ქმარი) გულის თარინგზელში, თან მისცა კებზაარ, ძველი ვარჩხილ (ვარჩხილ-ვერცხლის ფული) ეკიდა ამ კებზაარს. ის დრო იქნებოდა, გიორგიმ რომ ილოცა და ბავშვს სახლში ფერი დაუბრუნდა, გონზე მოვიდა.ასეთი ძალა აქვს, დიდე-

3 ეს მოსაზრება მან კერძო საუბრისას მოგვახსენა.

ბა მისვლოდეს გულს".

სალოცავი – გულის თარინგზელი, რომელიც ამ მონათხრობშია მოხსენიებული, ზემო სვანეთში, სოფელ ბეჩოში, მდებარეობს და გულა-გაბრიელსაც ეძახიან. ეს ეკლესია დღესაც ავადმყოფების შემწედ ითვლება, ძირითადად, სულიერად დაავადებულები მიჰყავთ იქ საბელმობმულნი. დღემდეა შემორჩენილი ფულის შეწირვა უშგულშიც, კალას თემში. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე იშვიათი მონეტა კალადან, კერძოდ, კვირიკე და ივლიტეს ეკლესიიდან [პატარიძე მ. 2011 b: 276].

სვანეთში იყო კიდევ ერთი ტრადიცია, რომელიც დღემდე არსებობს – ვინც პირველად მოხვდებოდა ეკლესიაში, ფული აუცილებლად უნდა დაეტოვებინა. სვანეთის ეკლესიებისთვის მონეტის შეწირვა ყოველთვის არ ნიშნავდა ფულის შეწირვას, რადგან მიმოქცევიდან დიდი ხნის წინ გამქრალი მონეტაც შეიწირებოდა. ამაზე ზემოთ მოხმობილი ისტორიაც მეტყველებს, როდესაც XX ს-ში თეთრიანს, ვერცხლის ფულს, სწირავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მომლოცველს ის როგორც ლამაზი და ძვირფასი ნივთი მიაქვს სალოცავში. ხშირად ასეთ ნივთს შემთხვევითაც პოულობდნენ. ამ გზით მოხვდა უშგულის ლამარიას ეკლესიაში ალექსანდრე მაკედონელის მინაბაძი [პატარიძე მ. 2013-2014:198]. უშგულის სამონეტო განძების შესწავლისას არაერთხელ წავაწყდით მონეტებს მძივების აცმასთან ერთად, როდესა მონეტები მძივების ასხმასთან ერთად ფიგურირებდა. (სურ.1).

სვანეთის მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდებში დაცულია ორი მნიშვნელოვანი არტეფაქტი, რომელიც, ერთი შეხედვით, მონეტის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ცალმხრივია. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შემთხვევები არცთუ ხშირია. უფრო მეტიც, ისეთ მნიშვნელოვან ნუმიზმატიკურ საცავში, როგორიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის ნუმიზმატიკური ფონდია, აქ 100 000-მდე მონეტაა დაცული, მსგავსი მასალა არ მოგვეპოვება. ამდენად, ვფიქრობთ, საინეტერესოა მათი შესწავლა და პუბლიკაცია:

აღწერილობა (სურ. 3-4)

წონა – 1, 14 გრ., ზომა – 21 მმ. მასალა – ვერცხლი.

Av. მაცხოვრის გამოსახულება წელს ზემოთ, ირგვლივ ქართული ასომთავრული წარწერა: სახე (ლითა) ღ(ვ)თისაითა იჭედა ქნ (ქორონიკონსა) ვნ (450=1230)

Rv. მხოლოდ ლითონის გლუვი ზედაპირია. არც წარწერისა და არც გამოსახულების არანაირი ნიშანწყალი არაა. ზედაპირული დათვალიერებით ის ნაჭედია.

როგორც აღწერილობიდან ჩანს, ეს ნივთი, ერთი შეხედვით, რუსუდან დედოფლის ვერცხლის მონეტის შთაბეჭდილებას ტოვებს. მასზე გამოსახულია მაცხოვარი და ირგვლივ ასომთავრული ზედწერილი, რაც, ძირითადად, გვხვდება რუსუდანის დრამაზე. დიამეტრიც იგივეა, ხოლო წონა დიამეტრთან შეუსაბამოა და ნახევარდრამიანს უტოლდება.

ამ არტეფაქტთან დაკავშირებით შემდეგი კითხვები ჩნდება: ეს ყალბი მონეტის მოჭრის მცდელობაა თუ მონეტაზე არსებული რელიგიური სიუჟეტი–მაცხოვრის გამოსახულება გამოიყენა ხელოსანმა, რათა შანა-ხატი შეექმნა და ეკლესიისთვის შეეწირა?

პირველი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ დიამეტრიც და გამოსახულებაც ზუსტად იმეორებს რუსუდანის დრამის ავერსის გამოსახულებასა და დიამეტრს. შესაძლებელია, ყალბის მქმნელმა, იმის

გამო, რომ წონაში აცდენა მოხდა, ის ცალმხრივი დატოვა. საბოლოოდ მონეტა ეკლესიაში მოხვდა როგორც ძვირფასი ლითონი და რელიგიურმა სიუჟეტმაც დიდი როლი შეასრულა. შესაძლებელია, სულაც არაა ყალბი, ჩვეულებრივ ზარაფხანაშია მოჭრილი და მხოლოდ საწარმოო წუნია.

შესაძლებელია, სხვა ვერსიაც განვიხილოთ. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო წმინდანის გამოსახულებიანი მონეტების საგანგებოდ ეკლესიებისთვის დამზადება. როგორც ჩანს, რუსუდანის მონეტიდან მხოლოდ ის მხარე აიღეს, სადაც მაცხოვრის გამოსახულება იყო და შექმნეს შანა-ხატი, რომელიც სალოცავს შესწირეს. ვერსიების სიუხვიდან გამომდინარე, ამ ნივთის დანიშნულება და ფენომენი ბოლომდე შეუცნობელი რჩება. სამწუხაროდ, ეს ერთადერთი ეგზემპლარია და საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მომავალში აღმოჩენილმა ახალმა ეგზემპლარმა შეძლოს.

წმინდანის გამოსახულებიანი მონეტების მიბაძვა და მისი ამულეტად გამოყენების უშუალო მაგალითი უნდა იყოს მესტიის მუზეუმშივე დაცული ლითონის მრგვალი ფირფიტა საკიდით (სურ.4), რომელზეც ცხენზე ამხედრებული, შარავანდიანი, გველეშაპის მლახვრავი წმინდა გიორგია გამოსახული. ცნობილია, რომ წმინდა გიორგის გამოსახულებიანი გეორგსტალერები იჭრებოდა ინგლისში, შვედეთში, რუსეთში [Фенглер Х., Гироу Г., Унгер В. 1982: 47]. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წმინდანის გამოსახულების გამო მალევე გაჩნდა იმიტაციაც, რომელსაც მიარჩილავდნენ ყუნწს და ატარებდნენ ამულეტად. ნივთი რომ ამულეტის დანიშნულებისა ყოფილიყო, იკონოგრაფიულად შეირჩეოდა რელიგიური სიუჟეტი ან ცნობილი ადამიანის პორტრეტი. ამულეტი ადამიანებს იცავდა ავადმყოფობისაგან, ავი თვალისაგან, საშიშროებისა და სხვადასხვა უბედურებისაგან [Фенглер Х., Гироу Г., Унгер В. 1982: 159].

სავარაუდოდ, ეს ნივთიც გეორგსტალერის მიხედვით დამზადებული ამულეტია, რომელსაც ყელზე ატარებდნენ, შესაძლოა, მას, ამავდროულად, სამკაულის დანიშნულებაც ჰქონდა._

სვანეთის მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში დაცულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეგზემპლარი – ვერცხლის მრგვალი, ცალმხრივი ფირფიტა, რომლის ერთ მხარეს სიქაა დარტყმული. აღწერილობის მიხედვით, ის ირანული ტიპის, კერძოდ, მუჰამედ შაჰ ყაჯარის (ჰიჯრით 1250-1264 =1835-1848. მონეტაა [Catalogue of Coins Of The Shahs Of Persia in the British Museum.1887: 177]..

(სურ.6-7)

აღწერილობა

محمد انبیا شاهنشه

წინასწარმეტყველთა შაჰინშაჰი მოჰამმადი.

წონა – 0,75გრ; ზომა – 19/19მმ. მასალა-ვერცხლი

ამ მონეტაზე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაჭედია, რაზეც რევერსზე გამოჩენილი რელიეფიც მეტყველებს. გარდა ამისა, მონეტის უზადო გამოსახულება აშკარად მეტყველებს, რომ არანაირ სიყალბესთან და, მით უმეტეს, არც მიმბაძველობასთან არ უნდა გვქონდეს საქმე და ის ნამდვილი, ორიგინალი სიქითაა მოჭრილი. საინტერესოა მხოლოდ ის გარემოება, რომ აღნიშნული შაჰის ორმხრივი მონეტის რემედიუმი თუ მერყეობს 3,6 გრ-დან 5,5 გრამამდე, ეს მონეტა 0,75 გრამს იწონის. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უფრო საწარმოო წუნთან გვაქვს საქმე. როგორ უნდა

მოხვედრილიყო ის საქართველოში? არაა გამორიცხული, რომ მონეტა მუჰამედ შაჰის მონეტებს შემოჰყვა. მისი დანიშნულება გასარკვევია: გამოიყენებოდა როგორც ვერცხლი თუ, შესაძლოა, ცალმხრივ მონეტებსაც ჰქონდა რომელიმე, ვთქვათ, უკნინესი ნომინალის დანიშნულება?! თუკი არსებობდა მონეტების გაჭრისა და წვრილ ნომინალებად გამოყენების ტრადიცია, რატომ არ შეიძლება, რომ ცალმხრივ მონეტებსაც ჰქონოდა მსგავსი ფუნქცია? სხვაგვარად თავისსავე ქვეყანაში – ირანში აღმოჩენა ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ საქართველოში მისი მოხვედრა, ცოტა არ იყოს, უცნაურია. შესაძლოა, დროთა განმავლობაში მან მაინც მხოლოდ ლითონის ღირებულება შეიძინა და ის მპოვნელმა ის, როგორც ვერცხლი შესწირა ეკლესიას. მონეტა გახვრეტილი არაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის სამკაული არ იყო.

ორივე ეგზემპლარი ტექნოლოგიურადაც და წარმომავლობითაც განსხვავებულია. რუსუდანის მონეტის მიხედვით დამზადებული ნივთი (გაგვიჭირდება, მას მონეტა ვუწოდოთ) ადგილობრივია, ხოლო მუჰამედ შაჰის მონეტა ზუსტი სიქითაა მოჭრილი და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ირანშია დამზადებული. მათ საერთო ეთნოლოგიური კონტექსტი აქვთ– ორივე შეწირულია სვანეთის სალოცავისთვის.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მონეტას, როგორც ეთნოლოგიურ არტეფაქტს, სარიტუალო ფუნქციის გარდა, უტილიტარული დანიშნულებაც გააჩნია, კერძოდ კი, მას იყენებენ სამკაულად და სამოსის მოსართავ სამშვენისად. მონეტებს იყენებდნენ საიუველირო და გამოყენებით ხელოვნებაში სხვადასხვა ეპოქაში. საქართველოში ამის უამრავი მაგალითია.

ერთეული მონეტების სამკაულად გამოყენების უამრავი შემთხვევა დასტურდება სვანეთში, მაგ., სელჩუკი სულთნის – ღიას ად-დინ ქაი-ხუსრაუ I-ის (1192-1200) ფელსი ამჟამად მუდმივ ექსპოზიციაზეა გატანილი. ამ მონეტის არსებობა არა მარტო სვანეთის რეგიონისთვის, სრულიად საქართველოს ფულადი მიმოქცევის ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესია. ამ სულთნის მიერ მოჭრილი სპილენძის ფული სიმონ ჯანაშიას საქართველოს მუზეუმის ფონდებში მხოლოდ ერთი ეგზემპლარია. სვანეთმა ის სამკაულის სახით შემოინახა.

აღწერილობა (სურ.8-9):

მონეტაზე მირჩილულია ყუნწი.

წონა– 4, 65გრ; ზომა – 25/29მმ. მასალა – სპილენძი.

თარიღი არ იკითხება

ზარაფხანა მალათია ملطيه

Av.

ცხენზე ამხედრებული მეფე მიიმართება მარჯვნივ. ცხენი ჩანს მთლიანად, ყალყზე შემდგარი. მეფის გამოსახულების უკან ვარსკვლავია.

Rv.

السلطان المعظم

كيخسرو بن

قلج ارسلان

صرب ملطيه

როგორც აღწერილობიდან ჩანს, მონეტაზე მხედარია გამოსახული. არაა გამორიცხული, რომ საქართველოში ის იკონოგრაფიულად წმინდა გიორგის დაუკავშირეს და ამულეტად გამოიყენეს, როგორც ეს ზემოთ განხილული გეორგსტალერების მინაბაძთან მიმართებით მოხდა.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში (მესტია) დაცულია სამკაული, სასაფეთქლე, ე.წ. ყოჩ-ბოინუზი, რომელიც საქართველოში ზილფისა და კავის სახელწოდებითაა ცნობილი (სურ.2.), ესაა ვერცხლის ვოლუტისებური ფირფიტა, რომელსაც თავსაბურავზე – ლეჩაქზე ამაგრებდნენ მარჯვენა და მარცხენა საფეთქელთან საკიდით [სოსელია ლ. 2003:151]. ფირფიტის სიგანე – 10 მმ. ბოლოებისკენ ფართოვდება, სისქე – 1 მმ, ვოლუტის D – 40 მმ, H – 60 მმ, შემკულია ზედნადები გრეხილით, თვალბუდეებით, რომლებშიც ფერადი თვლებია მოთავსებული. ვოლუტს ირგვლივ მოვლებული აქვს გრეხილი მავთული. ქვემოდან ვოლუტზე მიჯრით მოვლებული აქვს შვიდი ცალი თურქული მონეტის (აყჩის) იმიტაცია. საკიდზეც დამაგრებულია ერთი თურქული მონეტის იმიტაცია, რომელზეც რგოლია მირჩილული.

ყოჩ-ბოინუზს სარიტუალო დატვირთვა აქვს. საქმროს ოჯახს პატარძლისთვის აუცილებლად უნდა გაეგზავნა შემდეგი ძღვენი – ვერცხლის მონეტებით გაწყობილი განიერი ქამარი (წინათ ქართული ფული იცოდნენ) განიერი ბალთებით (ყაშებით), აგრეთვე ღილები, ჟინჟირები (ძეწკვები), ჩაფრასტები და ყოჩ-ბოინუზი. თუ ბაზარში ვერ იშოვნიდნენ სამკაულს, ოქრომჭედელს შინ მიიწვევდნენ. ოქრომჭედლებად წახურელი (დაღესტნელი) ლეკები იყვნენ [ ჯანაშვილი მ. 1913:139]. საინტერესოა ამ სამშვენისის შემადგენელი მონეტების წარმომავლობა და ტექნოლოგია. არა მხოლოდ ყოჩ-ბოინუზში, არამედ მონეტებით შედგენილ ბევრ სამკაულში, ცალმხრივად სიქადარტყმული მონეტების იმიტაცია გვხვდება. რაც შეეხება სიქას, ის არ იმეორებს ორიგინალი მონეტის გამოსახულებას და რელიეფიც დაბალია. უფრო მეტიც, სამკაულად გამოყენებულ იმიტაციებზე წარწერები იმდენად დაშორებულია ორიგინალს, რომ უკვე დეკორის სახითაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ხელოსნები იღებდნენ მონეტებს, თურქულ აყჩებსაც და მათი მიხედვით ამზადებდნენ სიქას. დროთა განმავლობაში ხანგრძლივი გამოყენებისას ეს სიქა ძალიან შორდებოდა რეალურ გამოსახულებას და უფრო იმიტაციას ემსგავსებოდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი მინაბაძებიც გვხვდება. როგორც ჩანს, იმდენად ხშირი იყო მონეტების სამკაულად გამოყენება, რომ ორიგინალი მონეტები ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. ამიტომ შესაძლებელია, დავუშვათ, რომ ზარაფხანაში ჰყავდათ ხელოსანი, რომელიც საგანგებოდ ჭრიდა სამკაულისთვის ცალმხრივ მონეტებს. ზუსტი მინაბაძები ალბათ ზარაფხანაში მზადდებოდა, ხოლო ის ეგზემპლარები, რომლებიდანაც აღებულია მოტივი, ადგილობრივი, ამ შემთხვევაში, დაღესტნელი ხელოსნის გამოჭედილი იყო.

ზემოთ აღნიშნული სამკაულის გარდა, ქართველ და კავკასიელ სხვა ხალხთა ეთნოლოგიურ ყოფაში მრავლად დასტურდება მონეტებითა და მათი მინაბაძებით შემკული სამშვენისები, მკერდის სამკაული, სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები, თავსამკაული, ჭურჭელი.

ჩვენი აზრით, მათი შესწავლა უნდა მოხდეს კომპლექსურად როგორც ეთნოლოგების, ასევე ნუმიზმატების მიერ. ეს მნიშვნელოვნად წაადგება ორივე მეცნიერებას. ტრადიციული ყოფის ელემენტების შესწავლა შეუ-

ძლებელია ყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი ატრიბუტის – ფულის შესწავლის გარეშე. ხშირად არაეკონომიკური, ამ შემთხვევაში, რიტუალისთვის განკუთვნილი მონეტა სრულიად მოულოდნელად იქცევა ერთ–ერთ მნიშველოვან მონაპოვრად ნუმიზმატიკური მეცნიერებისთვის. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც მთათუშეთში, ნიშტაყოს ბორცვზე, სალოცავში,აღმოჩენილიდახატისათვისშეწირულიბაგრატIVნოველისიმოსისმონეტა, რომელიც საქართველოში ერთადერთია, მსოფლიოში კი მესამე [პატარიძე მ. 2011 a: 283].

**NUMISMATICS**

**Maia Pataridze**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: mpataridze@hotmail.com

# Coins with Non-Monetary Functions (According to Mestia and Ushguli Museum Numismatic Materials)

## Summary

As soon as humankind started to mint coins with economic purposes, they had become inseparable attribute of everyday life. Moreover, from the very beginning coins acquired status of a ritual object and were believed to have magic powers. This is why money had appeared as significant element of various rituals and various ancient traditions. Naturally, the study of the aforementioned function of coins is considered one of the branches of ethnological research.

Latest observations have demonstrated that numismatic hoards of Svaneti offer a promising evidence for further studies of ethnology, economics and religious beliefs.

The present paper is an attempt of survey of ethnographic aspects of coins with explicitly non-monetary value obtained in Svaneti. This historical province is especially interesting because it provides many hoards of mixed objects (jewels, adornment of clothing and temple donations) as well as coins bearing every single cultic function.

From the ancient times people believed money to be the necessity of the afterlife and used to place coins in burials. Money would have the same value and function as it had in everyday life of a deceased. Obviously, the purpose and concept of placing coins in graves differed - archaeological excavations have revealed various occasions of placing coins in graves. According to these finds, coins in burials can be classified as following:

1. coins as money – the so-called Charon's obol
2. coins as markers of social status/wealth of the deceased
3. coin or its imitation as a jewel or amulet

In case of Charon's obol, we deal solely with monetary function of coins – they served as money both while a person was alive and in afterlife. After advent of Christianity, old shrines were replaced with churches and clergy did their best to exterminate pagan traditions and persecute their followers. Despite these efforts, ancient cultic beliefs eventually got adapted and merged with new religion. On the other hand, Christianity accepted some archaic magic rituals and symbols by fitting them to new context. In this regard the tradition of church donations is especially noteworthy. Ethnologists suggest it to be a symbolic substitute for ancient custom of sacrifice. Coins, among other sacrificial objects bearing explicitly archaic concepts, were donated along with typically Christian ones (icons, crosses). Ethnographic evidence points to the custom of donating coins to shrines with various purposes – to avert evil eye or spirits, to plea for wellbeing, recovery of the sick, etc.

The above tradition originated in remote times and still exists today in Svaneti. . It seems that coins were donated to shrines mostly for recovery from illnesses. Ethnographic sources indicate that despite the taboo on spending this money, coins were used for the needs of a church. Whoever "owed" a prayer to a church in the community of Tanghili would donate certain amount of money and administration of a temple would purchase sacrificial animals. In case this sum exceeded a "debt", extra money was stored in church.

One more custom, that has survived into present day, was to donate money in case a person visited church for the first time. This money did not necessarily mean money per se, because it was permitted to donate ancient coins that had circulated long ago. This conclusion is corroborated by custom of donating ancient silver coins even in the 21$^{st}$ century. It is clear that coins are presented to church as beautiful and valuable items. Occasionally, donated coins were found by chance. This is how imitation of Alexander's stater got to Ushguli St. Lamaria (St. Mary) church.

Besides cultic significance, coins in Svaneti had utilitarian functions, they were

used as jewelry or adornment of clothes. There are many cases of single coins used as adornment. It will suffice to bring the example of a coin minted in the name of Seljuk sultan Ghiyas al-Din Kai-Khusrau (1192-1200). There is only one specimen of this emission in the fonds of Simon Janashia Georgian Museum in Tbilisi, another served as jewelry in Svaneti.

The so-called Koch-Boinuz - a hook with imitations of Turkish coins soldered on both pieces is preserved in Svaneti museum. A hook was a significant element of rituals. According to a local marital tradition groom had to present his bride's family with a hook and silver coins. The origin and manufacturing technique of these coins are especially noteworthy. In many cases when coins are used as adornment we find an imitation of coins stamped only on one side. Stamps do not replicate representations on original coins and are crafted in base relief. Moreover, legends on these imitations are so distorted that serve only as decorations. Craftsmen apparently took original coins (Turkish akhches in the above case) as a model and drafted stamps. Gradually, a stamp would become even less similar to the original model. Though, it should be noted that occasionally precise imitations were mastered. Perhaps the fashion of using coins as adornment was so strong that amount of circulating coins was not enough to satisfy demands. It seems likely that craftsmen of mints manufactured coins with stamps on only one side exclusively for jewelry and decoration.

Still another Medieval tradition was to make imitations of coins with representations of saints. They were used as amulets. One example of this trend is an artifact preserved at Mestia museum – equestrian St. George with a halo slaying a dragon. It is well-known that the so-called Georgstallers (St. George talleres) depicting St. George were minted in England, Sweden and Germany. Religious scenes or portraits were the best choice for representations on amulets that protected a person from illness, evil eye, dangers and catastrophes.

Study of traditional mode of life is incomplete without analysis of currency – coins. Complex study of ethnographic and numismatic sources will deepen our understanding of traditional societies of the past. Often coins with non-monetary functions appear as invaluable source for numismatics. The coin of Bagrat IV Nobilissimus – a unique one in Georgia and one of the three found in the world was an object donated to shrine in Tusheti and can serve as a vivid example of interdisciplinary approach.

## ბიბლიოგრაფია

**პატარიძე მ. 2013-2014:** სვანეთის ნუმიზმატიკური განძების სპეციფიკა. *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები,* VIII. გვ. 184-208. თბილისი (რედ-ები: თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი)

**პატარიძე მ. 2011 a:** ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა სოფელ შენაქოდან. *საისტორიო კრებული.* 1. გვ. 283-291. თბილისი (რედ. მ. წურწუმია)

**პატარიძე მ. 2011 b:** დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა მესტიის მუზეუმიდან. *სსმმ.* №II (47-B). გვ. 276-285. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე)

**პატარიძე მ. 2011 c:** სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები. *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები,* III. გვ. 17-36. თბილისი (რედ-ები: თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი)

**სოსელია ლ. 2003:** ტრადიციული სამკაულის ზოგიერთი სახეობის სიმბოლიკისათვის. *ეთნოლოგიური ძიებანი.* II. გვ. 151- 168. თბილისი (რედ. ელ. ნადირაძე)

**ჯანაშვილი მ. 1913:** *საინგილო. ძველი საქართველო, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული.* ტომი II. გვ. 139-238. ტფილისი. (რედ. ექ. თაყაიშვილი)

**Глазунова Е.В., Ширяков И.В.2007:** Русские монеты XIV-XV вв. с признаками внеэкопомического использования (по материалам собрания ГИМ). *Нумизматический сборник ГИМ.* т. XVIII, Москва. стр. 108-123 (Отв. Ред. В.В. Зайцев).

**Потин В.М. 1971:** Монеты в погребениях древней Руси и их значение для археологии и этнографии. Труды Государственного Эрмитажа XII. стр. 49-75. Ленинград.

**Фенглер Х., Гироу Г., Унгер В. 1982:** Словарь Нумизмата. Москва (Отв. Ред. В.Потин).

***Catalogue of Coins of The Shahs of Persia in the British Museum*.** London. By Reginald Stuart Poole, LL.D. Correspondent of the institute of France. 1887. PL. XV

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** მძივების აცმა (ქვა, მინა, ლითონი) მონეტასთან ერთად. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, უშგული

**სურ. 2.** რუსუდან დედოფლის ვერცხლის მონეტის მიხედვით დამზადებული მინაბაძი (?). ვერცხლი. ავერსი. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, მესტია

**სურ. 3.** რუსუდან დედოფლის ვერცხლის მონეტის მიხედვით დამზადებული მინაბაძი (?). ვერცხლი. რევერსი. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, მესტია

**სურ. 4.** გეორგსტალერის მიხედვით დამზადებული ამულეტი. სვანეთის

ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, მესტია

**სურ. 5.** მუჰამედ შაჰ ყაჯარის (1835-1848) ცალმხრივი მონეტა. ვერცხლი. ირანი. ავერსი. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, მესტია

**სურ. 6.** მუჰამედ შაჰ ყაჯარის (1835-1848) ცალმხრივი მონეტა. ვერცხლი. ირანი. რევერსი სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, მესტია

**სურ. 7.** ღიას ად-დინ ქაი-ხუსრაუ (1192-1200). სელჩუკური მონეტა. სპილენძი. ავერსი. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, მესტია

**სურ. 8.** ღიას ად-დინ ქაი-ხუსრაუ (1192-1200). სელჩუკური მონეტა. სპილენძი. რევერსი. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, მესტია

**სურ. 9.** ზილფი (ყოჩ ბოინუზი). XIX საუკუნე. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, მესტია

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Necklace made of stones, glass, metal and coins. Svaneti museum of History and Ethnography (Ushguli)

**Fig. 2.** Imitation of silver coins in the name of Queen Rusudan. Obv. Svaneti Museum of History and Ethnography

**Fig. 3.** Imitation of silver coins in the name of Queen Rusudan. Rev. Svaneti Museum of History and Ethnography

**Fig. 4.** Amulet modeled according to saint George's taller. Copper. Svaneti Museum of History and Ethnography

**Fig. 5.** One-sided coin of Shah Mohammed Qajar (1835-1848). Silver. Persia. Obv. Svaneti Museum of History and Ethnography

**Fig. 6.** One-sided coin of Shah Mohammed Qajar (1835-1848). Silver Persia. Rev. Svaneti museum of History and Ethnography

**Fig. 7.** Seljuk coin Sultan Rhias Ad-Din Kaikhusrau I (1192-1200) Copper.4.65 gm; 25/29 mm. Svaneti Museum of History and Ethnography

**Fig. 8.** Seljuk coin Sultan Rhias Ad-Din Kaikhusrau I (1192-1200) Copper.4.65 gm; 25/29 mm. Svaneti Museum of History and Ethnography

**Fig. 9.** Zilpi woman's temple ornament.19th c. Silver, glass. Svaneti Museum of History and Ethnography



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**



სურ. 8 **Fig.**



სურ. 9 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 96-100
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 96-100

## ნუმიზმატიკა

**ციალა ღვაბერიძე***

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: cgvaberidze@yahoo.com

# სოფელ ჯანდარის განძი

1979 წელს სოფ. ჯანდარაში (მარნეულის რ-ნი) მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ჰულაგუიდური ვერცხლის მონეტების მოზრდილი განძი. მისი ერთი ნაწილი დაიკარგა, დანარჩენი კი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში (გ.ფ. №№ 20285–20294.).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ჯანდარი ძველი დროიდან დასახლებული პუნქტი იყო: „ჯანდარს არს მონასტერი და აწ ცარიელი" [ქართლის ცხოვრება. 1973: 316]. იგი მდებარეობდა იმ დიდ საქარავნო გზაზე, რომლის ერთი განაყოფი მარნეულიდან განჯისკენ, მდ. ქციის მარცხენა მხარეს, მიემართებოდა, ხოლო მეორე – სამხრეთ- აღმოსავლეთით–ლორეს მიმართულებით. ლორედან კი, ერევნის მთების გადალახვით, უერთდებოდა ერევან-ეჩმიაძინის სატრანზიტო გზას [ბერძენიშვილი ნ. 1966: 78,115; ცინცაძე ზ. 1973:56-71].

XIII–XIV სს-ის საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო საქართველოს სამეფოს ურთიერთობა ილხანთა სახელმწიფოსთან. მასთან საქართველოს არა მარტო პოლიტიკური, არამედ სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კონტაქტებიც აკავშირებდა. ყველაზე რელიეფურად ეს ურთიერთობანი საქართველოს ფულის მიმოქცევაში აისახა.

XIII–XIV სს-ის საქართველოს სამონეტო განძებმა ილხანების სახელით გამოშვებული საფასეები შემოგვინახა.

XIII ს-ის პირველ ნახევარში მონღოლებმა მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფო შექმნეს. 30-იანი წლების მიწურულს კი მათ საქართველოც დაიპყრეს და ხანგრძლივად გაბატონდნენ აქ. XIII ს-ის 60-იანი წლებისთვის მონღოლთა ერთიანი იმპერია დაიშალა. ჰულაგუ ხანმა (1256-1265) შექმნა მონღოლთა იმპერიის მეხუთე ულუსი, ე.წ. ილხანთა სახელმწიფო. ჰულაგუ ხანი და მისი მემკვიდრეები ატარებდნენ ილხანის ტიტულს–ტომის (ულუსის) ხანის მნიშვნელობით [Петрушевский И. 1970: 229].

ილხანთა სახელმწიფო მოიცავდა მთელ ირანსა და დღევანდელი ავღანეთის ტერიტორიას (ბალხის ოლქის გამოკლებით), აზერბაიჯანს, ერაყს ბაღდადითურთ, ირანსა და შირვანს, ქურთისტანს, ჯეზირესა (მესოპოტამიის ზემო ნაწილს) და რუმის (მცირე აზიის) დასავლეთ ნაწილს. ჰულაგუიდების ვასალებად ითვლებოდნენ: კონიის რუმის სელჩუკთა სასულთნო, საქართველო, ტრაპიზონის ბერძნული სამეფო, კილიკია და კვიპროსის სამეფო, [Петрушевский И. 1970: 229. 233]. სამხრეთში, ირანის ტერიტორიაზე, ახლად ჩამოყალიბებულმა ილხანთა სახელმწიფომ აზერბაიჯანი თავის პოლიტიკურ–ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია. მისი ქა-

ლაქი–რეზიდენციები დროგამოშვებით იყო: მარაღა, უჯანი, თავრიზი, სულთანიე.

1296 წელს ილხანთა სახელმწიფოში სამონეტო რეფორმა განხორციელდა, რომელიც ყაზან ყაენის (1295-1304) რეფორმის სახელითაა ცნობილი. შემოიღეს ახალი ფულადი სისტემა, რასაც საფუძვლად დაედო ვერცხლის დირჰემი. დირჰემის წონითი სტანდარტი 2,13 გრამით განისაზღვრა. XIII–XIV სს-ის პირველ ნახევარში საქართველოში დირჰემები, იგივე დრამები, ამ სისტემით იჭრებოდა. ამ ძირითად ერთეულზე დაყრდნობით ილხანთა სამფლობელოში ვერცხლის ფულის სხვადასხვა ნომინალს აწარმოებდნენ: ნახევარ დირჰემს, ორ დირჰემსა და ექვს დირჰემს, ანუ დინარს. ყაზან ყაენის მიერ შემოღებული სამონეტო სისტემა ილხანთა სახელმწიფოში შემავალი ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოს სამეფოსთვის, რომელიც ილხანთა ვასალად ითვლებოდა, სავალდებულო იყო. ყაზანის ფულადი რეფორმით დაკანონებული დირჰემის წონამ განსაზღვრა საქართველოს ზარაფხანებში (თბილისი, ახალციხე, ყარაღაჯი, ანისი) მოჭრილი ვერცხლის მონეტების წონაც. საქართველოს ზარაფხანებში ილხანების სახელით გამოშვებული მონეტების ემისია არ შეწყვეტილა და იგი ილხანთა სახელმწიფოს ზარაფხანების პროდუქციისაგან მხოლოდ ქალაქის სახელწოდებით განსხვავდებოდა.

ყაზან ყაენის ფულადი რეფორმით დადგენილმა სტანდარტმა დიდხანს ვერ გაძლო და მომდევნო ილხანების მმართველობის დროს მონეტის წონამ სისტემატური კლება იწყო. აბუ საიდ ილხანის მმართველობის დასასრულ დირჰემის წონა 1,4 გრამამდე დაეცა. წონაში კლებულობდა და ანალოგიურ ცვლილებას განიცდიდა ილხანების სახელით საქართველოს ზარაფხანებში გამოშვებული ფულიც. დირჰემის წონის კლება–გაუფასურება ილხანთა სახელმწიფოს პოლიტიკურსა და ეკონომიკურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ამან კი ქვეყნის ფინანსური კრიზისი და ილხანთა სახელმწიფოს დაცემა გამოიწვია.

ჰულაგუიდური მონეტების გამოშვება საქართველოს ზარაფხანებში გრძელდებოდა ჰულაგუიდების დაცემამდე. ილხანთა სახელმწიფოს მსგავსად, ამ დროს ქართლის სამეფოს ფულად ბაზარზეც ძირითადი ვალუტა ილხანების უნიფიცირებული დირჰემი გახდა. ეს ფული აღმოსავლეთ საქართველოში მიმოქცევაში იყო დავით VIII-ის (1293–1311), ვახტანგ III-ის (1297–1308), გიორგი V ბრწყინვალისა (1318–1346) და დავით IX-ის (1346–1360) მეფობის დროს. იგი გადახდის ძირითადი და კანონიერი საშუალება გახდა.

სოფ.ჯანდარის განძი შედგება ილხანების - ოლჯაითუსა (1304–1317) და აბუ საიდის (1317–1336) სახელით გამოშვებული ორდირჰემიანი ნომინალისაგან (ერთის გამოკლებით).

ოლჯაითუ სულთნის ფული მოჭრილია ჰიჯრის 714 წელს (1314–1315), აბუ საიდის კი – ჰიჯრის 723 (1323) და 727 (1326–1327) წლებში ეპითეტით „გამარჯვებული ხანი“[1]. ამ სამონეტო ტიპის მონეტების ემისია ილხანთა სახელმწიფოში ხორციელდება ჰიჯრის 728 წლამდე (1327–1328). ჰიჯრის 728 წლიდან აბუსაიდის სახელით სხვა სამონეტო ტიპი მტკიცდება [ Пахомов E. 1970: 184–185].

ილჯაითუ სულთნის დირჰემის წონა მერყეობს 1,95–დან 1,86 გრამამდე. აბუსაიდის –1,77-დან 1,46 გრამამდე. განძში შემავალი მონეტები მოჭრილია

1 აბუ საიდ სულთნის მმართველობა ცენტრალურ ხელისუფლებასა და სამხედრო-მომთაბარე არისტოკრატიას შორის პერმანენტული დაპირისპირებით აღინიშნა [Сеифеддини M. 1981: 9-10]. აჯანყებულებთან ერთ-ერთი შეტაკების შემდეგ, რომელიც ილხანისა და მის კარზე დაწინაურებულ ემირ ჩობანის გამარჯვებით დასრულდა, ჰიჯრის 722 წელს (1322/1323) აბუ საიდმა „გამარჯვებული ხანის“ ტიტული მიიღო [Пахомов E. 1970:180].

შემდეგ ზარაფხანებში. ოლჯაითუს: თბილისში (3 ცალი), აბუ სადის: თბილისში (5 ცალი), ანისში (1 ცალი), სულტანიაში (1 ცალი).

სოფ. ჯანდარის განძის ქრონოლოგიური დიაპაზონი 15 წლით განისაზღვრება. იგი, სავარაუდოდ, დაფლული უნდა იყოს 1328 წლის შემდეგ.

ვიძლევით ძირითადი სამონეტო ტიპების აღწერილობებს.

ოლჯაითუ სულთნის მონეტა საინ.№ 20285. თბილისი. მოიჭრა ჰიჯრის 714 წელს (1314/15). ორი დირჰემი. წონა - 3,91 გრ, ზომა – 22 მმ. (სურ. 1).

Av. ექვსი რკალისგან შედგენილი ჩარჩო მოთავსებულია არშიაში. შუაში შიიტური რწმენის ფორმულა: لا اله الا الله/محمد/رسول الله/على ولى الله - „არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი, მოციქული ალაჰისა, ალი არის ვალი ალაჰისა“[2]. გარშემო მოწოდება 12 იმამისადმი:

- اللهم صل محمد و على و حسن و حسين و على و محمد و جعفر و موسى و على و محمد و على و حسن „ღმერთო შეიწყალე მუჰამედი ალი, ჰასანი, ჰუსეინი, ალი, მუჰამედი, ჯაფარი, მუსა, ალი, მუჰამედი, ალი ჰასანი“.

Rv. შვიდ-ნახევარი რკალისგან შედგენილ ჩარჩოში, რომლის ამოზნექილი მხარეები არშიასთან დაკავშირებულია რგოლებით, შუაში ექვს სტრიქონზე არაბული ზედწერილი: ضرب/في دولة المولى السلطان/الاعظم ملك رقاب/الامام غياث الدنيا و الدين/اولجايتو سلطان محمد/خلد الله ملكه – „მოიჭრა უზენაესი სულთნის მმართველობის დროს, სამყაროსა და სარწმუნოების მხსნელის, ოლჯაითუ სულთან მუჰამედის დროს, ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი“. გარშემოწერილში: ضرب تفليس في سنة اربع و عشر و سبعماية – „მოიჭრა თბილისში 714 წ.“.

სულთან აბუ საიდის მონეტა საინვ.№ 20293. სულტანია. მოიჭრა ჰიჯრის 723 წელს (=1323). ორი დირჰემი. წონა - 3,55 გრ, ზომა – 22 მმ. (სურ. 2)

Av. არშიაში მოთავსებულ კვადრატში რწმენის სუნიტური ფორმულა: لا اله الا الله/محمد/رسول الله - „არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა მუჰამედი მოციქულია მისი“. სეგმენტებში ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი : ابو بكر عمر عثمان على - „აბუ ბაქრი, ომარი, ოსმანი, ალი“.

Rv. ორმაგ არშიაში მოთავსებული წრის შუაში: - „იჭედა, სულთანი აბუ საიდი გამარჯვებული ხანის მიერ, ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი, სულტანია“. გარშემო თარიღი: في سنة ثلاث و عشرين و سبعماية – „723 წელს“

სულთან აბუ საიდის მონეტა საინვ.№ 20288. თბილისი. მოიჭრა ჰიჯრის 727 წელს (=1326/27). ორი დირჰემი. წონა - 3,45 გრ. ზომა – 22 მმ. (სურ. 3).

Av. არშიაში მოთავსებული რვა რკალისაგან შედგენილი ფიგურული ჩარჩო. შუაში რწმენის სუნიტური ფორმულა: لا اله الا الله/محمد/رسول الله - „არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა მუჰამედი მოციქულია მისი“. გარშემო ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი : ابو بكر عمر عثمان على - „აბუ ბაქრი, ომარი, ოსმანი, ალი“.

Rv. რვა ურთიერთგადამკვეთი რკალი ბოლოებით ებჯინება წრეს. შუაში:

السلطان الاعظم/ ابو سعيد بهادر خان/ خلد الله ملكه - „სულთანი უზენაესი, აბუ საიდი, გამარჯვებული ხანი, ხანგრძლივჰყოს ღმერთმა მეფობა მისი“. სეგმენტში ზარაფხანა და თარიღი:

ضرب تفليس في سنة سبع و عشرين و سبعماية – „იჭედა თბილისში 727 წელს“. იგივე სამონეტო ტიპებია განძში შემავალი ორი მონეტა საინ. №20289 და №20292 (სურ. 4 და 5).

2 ისლამური წარმოდგენით, ვალი ის პიროვნებაა, რომელიც ახლოს დგას ალაჰთან.

**Tsiala Gvaberidze**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Muzeum
3,Rustaveli Ave., 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: cgvaberidze@yahoo.com

# Djandari Hoard

## Summary

In 1979 a big hoard of Hulaguid coins was found in village Djandari (Marneuli district). A large part of the hoard was lost, only 10 coins are preserved from the hoard. The coins are kept in the Georgian National Museum.

Djandari hoard consists of two-dirham coins minted in the names of Uljaitu Sultan (1304-1317) and Abu Said Il-khan (1317-1336). The weight standart, which was accepted by Khazan Khan's money reforms did not last for a long time and the weight of dirhams was diminishing systematically during the reign of the following rulers. The type of the Hulaguid coins was changing from time to time too.

The coins of this hoard were minted in the following mints: Oljaitu Sultan-Tbilisi 93), Abu said-Tbilisi (5), Sultania (1), Ani (1).

Djandari hoard should have been buried after 1328 year.

### ბიბლიოგრაფია

**ბერძენიშვილი ნ. 1966:** *გ ზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში.* თბილისი.

**კაპანაძე დ. 1969:** *ქართული ნუმი ზმატიკა.* თბილისი.

**ვახუშტი ბატონიშვილი 1973:** *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი

**ღვაბერიძე ც. 1986:** *საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან.* თბილისი.

**ცინცაძე ზ. 1973:** გვიანფეოდალური ხანის ქართლ-კახეთის ადმინის-ტრაციულ-ტერიტორული დაყოფის რუკა. „*მაცნე*" ისტორიის სერია. №2. თბილისი.

**Пахомов Е. 1970:** *Монеты Грузии.* Тбилиси.

**Петрушевский И. 1970:** *Иран и Азербайджан, под властью хулагуидов.* Сборник, *Татаро-монголы в Азии и Европе* . Москва.

**Сеифеддини М. 1981:** *Монетное дело и денежное обрашение в Азербайджане XII-XV вв.* кн.2. Баку.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ.1.** ოლჯაითუ სულთნის მონეტა (1304-1317) ორი დირჰემი. თბილისი
**სურ.2.** აბუ საიდი სულთნის მონეტა (1317-1336) ორი დირჰემი. სულტანია
**სურ.3.** აბუ საიდი სულთნის მონეტა ორი დირჰემი. თბილისი
**სურ.4.** აბუ საიდი სულთნის მონეტა ორი დირჰემი. თბილისი
**სურ.5.** აბუ საიდი სულთნის მონეტა ორი დირჰემი. ანისი

## LIST OF ILLUSTRATION

**Fig.1.** Uljaitu (1304-1317). Two dirham. Tbilisi.
**Fig.2.** Abu Said (1317-1336). Two dirham. Sultania.
**Fig.3.** Abu Said . Two dirham. Tbilisi.
**Fig.4.** Abu Said . Two dirham. Tbilisi.
**Fig.5.** Abu Said . Two dirham. Anisi.

**ტაბ. I Tab.**



**სურ. 1 Fig. სურ. 2 Fig.**



**სურ. 3 Fig. სურ. 4 Fig.**



**სურ. 5 Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 101-106
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 101-106



**ანა გაბუნია**
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: annagabunia@gmail.com

# ელინისტური პორტრეტის ისტორიისათვის

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში ინახება ბრინჯაოს ფარაკიანი ორი ბეჭედი, რომლებზეც მანდილოსანთა ბიუსტებია პროფილით გამოსახული. ორივე ბეჭედი შეძენილია 1951 წელს.

**საბეჭდავი ბეჭედი ბრინჯაოსი** (საინვ.№750. სურ.1), ფარაკიანი. ინტალიო ოვალურია და ვიწრო რკალში გადადის. რკალს გარედან, სიგრძივ, დაუყვება მკრთალი წახნაგი. შიდაპირი ბრტყელია. ბეჭდის ფარაკი სქელია, ზურგი ოდნავ ჩადრეკილი აქვს და დაუყვება წახნაგი.

პირზე გამოსახულია ქალის თავი პროფილით, მარჯვნივ (სურ.2). ინტალიოს ზედაპირი დაზიანებულია. ამიტომ სახის ნაკვთების გარკვევა რთულია. განირჩევა შებერილი ლოყა და მაღალი შუბლი. ქალს საკმაოდ დამახასიათებელი ვარცხნილობა აქვს. ტალღოვანი თმა, თავს ირგვლივ ჩახვეული და უკან გადავარცხნილი, კისერზე პატარა, ჩახვეული შინიონით მთავრდება. თავს უმკობს სადა დიადემა, რომლის ბოლოები ძირსაა ჩამოშვებული.

დაცულობა: ლითონი პატინითაა დაფარული. ინტალიოს ზედაპირი ადგილ-ადგილ ამოჭმულია. ზომა: რკალის D-17 მმ, ინტალიოს L-23, B-17 მმ

ბეჭდის ფორმა (სურ. 3) ტიპურია ძვ.წ. III-II სს-სთვის [Richter G. 1968: 134 n; Неверов О. 1974: 113. рис. 11б]. წარმოდგენილი გამოსახულება ეგვიპტის დედოფლის- არსინოე III-ის პორტრეტულ გამოსახულებად მივიჩნიეთ დედოფლისთვის დამახასიათებელი ტიპური ვარცხნილობის გამო. მასთან ახლოს დგას ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდების ჯგუფი. მათზე დედოფალი დიადემითაა წარმოდგენილი [Неверов О. 1974: 113. рис. 17а, 19а, 20а].

აღსანიშნავია გრანატის რამდენიმე ინტალიო არსინოე III-ის გამოსახულებებით. ისინი ახლოს დგას ჩვენ მიერ განხილული ფარაკიანი ბეჭდის გამოსახულებასთან. მათგან საგულისხმოა ინტალიო ტრაპიზონიდან, სადაც დედოფალი დიადემითაა წარმოდგენილი [Middleton S. 2001: 14. fig.4], ინტალიო კუნძულ კოსიდან [Zwierlein-Diehe E. 1973: 43. fig. 32] და ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ინტალიო [Richter G. 1968: fig. 383; Walters H.B. 1962: fig. 1186].

**ბეჭედი ბრინჯაოსი** (საინვ. №741. სურ. 4), ფარაკიანი. ოვალური, ფართო ფარაკი გადადის რკალში, რომელიც გადასვლის ადგილას ფართოა, ხოლო შემდეგ ოდნავ ვიწროვდება.

ფარაკზე გამოსახულება მაღალი რელიეფითაა მოცემული, კამეოა. გამოსახულია ქალის ბიუსტი პროფილით, მარჯვნივ. ბეჭედი ჩამოსხმულია და დეტალები საჭრისით არაა დამუშავებული. ამიტომ გამოსახულებას სიმკვეთრე აკლია და ზოგიერთი დეტალის გარჩევა რთულდება.

მანდილოსანს თავი ოდნავ აწეული აქვს. განირჩევა შებერილი ლოყა, ფართოდ გახელილი თვალი, ოდნავ კეხიანი ცხვირი, მრგვალი ნიკაპი და სქელი კისერი. მხარი ქიტონით უნდა ჰქონდეს შემოსილი. სავარაუდოდ, თმა თავს ირგვლივაა ჩახვეული. თავს თითქოს დიადემა უმკობს, რომლის ერთი ბოლო ძირსაა ჩამოშვებული.

დაცულობა: ბეჭდის რკალის დიდი ნაწილი დაკარგულია. შერჩენილი რკალის გარე D-25 მმ, ფარაკის L-28, B-23 მმ

ბეჭდის ფორმა (სურ. 5) ტიპურია ძვ.წ. III-II სს-სთვის [Неверов О. 1974: 113. рис №12 6; Spier J. 1992: 49. fig. 90].

ბეჭედზე, ჩვენი აზრით, გამოსახულია არსინოე III. სახის ნაკვთებით: შებერილი ლოყით, ფართო კისრით, კეხიანი ცხვირით, ასევე თმის ვარცხნილობით ემსგავსება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მოპოვებული ფარაკიანი ბეჭდის გამოსახულებას [Неверов О.Я. 1974: 113. рис. 17а], ასევე ბრინჯაოს ქანდაკებას (სურ. 6). ქ. მანტუიდან [Sharrar B.B. 1985:692. pl.83.Ffig. 8, 9]. საინტერესოა დედოფლის გორაზე გამოვლენილი და არსინოე III-ის პორტრეტად მიჩნეული ბულა, რომლის სახის ნაკვთები მსგავსია გამოსახულებისა ჩვენს ბეჭედზე [ჯავახიშვილი ქ. 2003: სურ. 6]. როგორც ბეჭდის ფორმით, ისე გამოსახულებით ჩვენ მიერ განხილული ბეჭედი ძალიან ემსგავსება მცირე აზიაში აღმოჩენილ, ძვ.წ. III-II სს-ით დათარიღებულსა და არსინოე II-ის სავარაუდო პორტრეტით (სურ. 7) შემკულ ბეჭედს [Spier J. 1992: 49. fig.90]. თუმცა, ვფიქრობთ, რომ გამოსახულების ნაკვთებისა თუ თმის ვარცხნილობის დიდი მსგავსება გვაძლევს საფუძველს, რომ ის სწორედ არსინოე III-ის პორტრეტად მივიჩნიოთ.

მსგავსი ვითარება გვაქვს ფ.მარშალის მიერ გამოქვეყნებულ მცირეაზიურ ბეჭედთან დაკავშირებითაც [Marshall F. 1926: fig.1266]. ბეჭედი კამეოა. მასზე მოცემული გამოსახულება კი მკვლევარს ალექსანდრე მაკედონელის პორტრეტულ გამოსახულებად მიაჩნია. თუმცა, იგი ამ მოსაზრებას მაინც საეჭვოდ თვლის. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც ფარაკზე გამოსახულება არსინოე III-ისა უნდა იყოს.

ჩვენ მიერ განხილული ბეჭდები ერთიანდება ე.წ. პტოლემაიოსების ბეჭდების ჯგუფში. მათში შედის უამრავი ნიმუში ლითონის ფარაკიანი ბეჭდებისა, რომელთა ერთი ნაწილი ინტალიოებია, ხოლო მეორე–კამეოები [Spier J. 1992: 48].

ფარაკიან ბეჭდებზე გამოსახულია მამაკაცებისა და მანდილოსნების

პორტრეტები პროფილით. მათგან ჩვენთვის მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნის ქალის პორტრეტები ე.წ. melonefisu-ის ვარცხნილობით.

მსგავსი ფარაკიანი ბეჭდები ჯერჯერობით დეტალურად შეუსწავლელია. ფარაკიანი ბეჭდების ეს ტიპი ყველაზე უკეთ განხილულია ო.ნევეროვის ნაშრომში. მან გამოაქვეყნა მსგავსი ბეჭდების სხვადასხვა ტიპი, მოპოვებული ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროებიდან [Неверов О.Я. 1974: 106-115].

ნევეროვს მიაჩნია, რომ შავიზღვისპირეთის სამაროვანზე გამოვლენილი ძვ.წ. III-II სს-ბის ფარაკიანი ბეჭდები პტოლემაიოსების მმართველთა გამოსახულებებით გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ ეგვიპტური კულტურის გავრცელება ამ რეგიონში ადრეული ელინისტური პერიოდიდან, რაც, შესაძლოა, დაკავშირებული იყო ვაჭრობასა და ზღვაოსნობასთან  [Middleton S. 2006: 15].

პტოლემაიოსების სამეფო ერთადერთი ელინისტური სამეფოა, საიდანაც დიდი რაოდენობით მოაღწია ჩვენამდე მანდილოსანთა სამეფო პორტრეტებმა. ამის მიზეზი კი აქ დედოფალთა მნიშვნელოვანი როლი და ძალაუფლება გახლდათ.

არსინოე III-ის ცხოვრების შესახებ, პტოლემაიოსების სხვა დედოფლებთან შედარებით, მცირე ინფორმაცია მოგვეპოვება. ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი მისი პორტრეტული გამოსახულებანიც.

არსინოე III ფილოპატორი (ძვ.წ. 246/245-204 წწ.) იყო შვილი პტოლემაიოს ევერგეტისა და ბერენიკა II-სი. ის ცოლად გაჰყვა თავის ძმას, პტოლემაიოს IV ფილოპატორს (ძვ.წ. 221/220 წწ.) და გახდა ეგვიპტის დედოფალი. არსინოე იყო გავლენიანი პიროვნება სამეფოში და აქტიურად მონაწილეობდა სამეფოს მართვაში.

პტოლემაიოს IV-ისა და მისი მეუღლის–არსინოე III-ის სიკვდილის შესახებ ლეგენდები დადიოდა. სამეფოს ფაქტობრივი მმართველები გარკვეული დროის განმავლობაში მალავდნენ მეფის სიკვდილს და მხოლოდ მაშინ გაამხილეს, როდესაც მოწამლეს დედოფალი. ძვ.წ. 205/204 წლის ნომბერში მათ ხალხს წარუდგინეს მეფე-დედოფლის ფერფლით სავსე ურნები და მეფედ გამოაცხადეს მათი მცირეწლოვანი ვაჟი პტოლემაიოს V ეპიფანე (ძვ.წ. 203-181 წწ.).

პტოლემაიოს ეპიფანეს დროს, ძვ.წ. III ს-ის დასასრულ, არსინოე III გააღმერთეს. მალევე, ძვ.წ.204-203 წწ-ში, გაჩნდა მონეტები მისი გამოსახულებებით [Morkholm O. 1991: 110]. მათგან ჩვენთვის საინტერესოა ოქტოდრაქმები ალექსანდრიიდან, სადაც დედოფალი ვუალის (სურ. 8). გარეშეა წარმოდგენილი, ისე, როგორც ჩვენს ბეჭდებზე [Morkholm O. taf. XX. fig. 322; Kyrieleis H. 1975: 102-103, tab. 88(3)].

ჩვენ მიერ განხილული ფარაკიანი ორი ბეჭდის გამოსახულებანი ელინისტურ პორტრეტთა ნიმუშებია და ერთგვარად ავსებს პტოლემაიოსების დედოფლის–არსინოე III-ის ჩვენამდე მოღწეულ პორტრეტულ გამოსახულებათა მცირე ჯგუფს.

**Ana Gabunia**

The Georgian National Museum. Simon Janashia Georgian Museum

3 Rustaveli Av., 0105 Tbilisi, Georgia

email: annagabunia@gmail.com

# To the History of Hellenistic Portrait

## Summary

Gliptics department of S.Janashia Georgian National Museum preserves two bronze bezel-rings (№750; №741); one of them is an intaglio and the other – a cameo. They depict a female bust in profile. Both rings were obtained by the museum in November 1951.

The shape of the rings is typical to the $3^{rd}$ -$2^{nd}$ cc BC. In our opinion, depicted on the rings persons are portraits of Arsinoe III, the Ptolemaic queen, as the facial features and hairstyle is characteristic to this queen. The rings under discussion belong to the group of the so called 'Ptolemaic rings', which unite a number of bronze bezel-rings with male and female portraits displayed in profile. Bezel-rings of this type have not been studied in detail so far. They are best discussed in the work of O. Neverov, who published various types of similar rings obtained from the northern coast of the Black Sea.

The two bezel-rings considered by us are samples of the Hellenistic portrait and they somehow make up a small group of portrayals of Arsinoe III, the Ptolemaic queen.

## ბიბლიოგრაფია

**ჯავახიშვილი ქ. 2003:** ქართლის სამეფოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან რომაულ ხანაში (გლიპტიკური მასალის მიხედვით). *ძიებანი. №12.* გვ. 75-88. თბილისი (რედ. ვ. ჯაფარიძე).

**Неверов О.Я. 1974:** Группа еллинистических бронзовых перстней в собрании Эрмитажа. ВДИ, *№*1. С. 106-115. Москва.

**Ранович А.Б. 1950:** Елинизм и его историческая роль. Москва.

**Kyrieleis H. 1975:** *Bildnisse der Ptolemaer*. Berlin.

**Marshall F. 1926:** Catalogue of the Finger Rings. *Greeks, Etruscans and Roman*. London.

**Middleton S.E.H. 2001:** Classical Engraved Gems from Turkey and Elswhere. *The Wright Collection*. *BAR.S957*. Oxford, England.

**Morkholm O. 1991:** *Hellenistic Coinage from the Accession of Alexander to the Peace of Apamea (336-186 B.C.).* United Kingdom, Cambridge

**Richter G.M.A. 1968:** *Engraved Gems of the Greeks and Etruscans*. I. London.

**Sharrar B.B. 1985:** The Anticythera Fulcrum Bust:A portrait of Arsinoe III. *American Journal of Archaeology. vol. 89. №4. pp.689-692.* New York.

**Spier J. 1992:** Ancient Gems and Finger Rings. *Catalogue of the collections. The J.Paul Getty Museum*. Malibu-California.

**Walters H.B. 1962:** Catalogue of the Engraved Gems and Cameos. *Greek, Etruscans and Roman*. London.

**Zwierlein-Diehe E. 1973:** *Die antiken Gemmen des Kunsthistorischen Museum in Wien*. Band I. Munchen.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** არსინოე III. პორტრეტული გამოსახულება. ინტალიო

**სურ. 2.** არსინოე III. პორტრეტული გამოსახულება. ინტალიო, ანაბეჭდი

**სურ. 3.** საბეჭდავი ბეჭედი

**სურ. 4.** არსინოე III. პორტრეტული გამოსახულება. კამეო

**სურ. 5.** ბეჭედი ბრინჯაოსი. კამეო

**სურ. 6.** ბრინჯაოს ქანდაკება ქ.მანტუიდან. არსინოე III

**სურ. 7.** არსინოე III (?). კამეო

**სურ. 8.** ოქროს ოქტადრაქმა ალექსანდრიიდან. არსინოე III

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Portrait of Arsinoe III. Intaglio. (№750)

**Fig. 2.** Portrait of Arsinoe III. Intaglio. Imprint (№750)

**Fig. 3.** Finger ring. (№750)

**Fig. 4.** Portrait of Arsinoe III. Cameo. (№741)

**Fig. 5.** Bronze Relief Ring. (№741)

**Fig. 6.** Bronze head of Arsinoe III. Mantua

**Fig. 7.** Portrait of Arsinoe III (?) Cameo

**Fig. 8.** Gold octadrachms with portrait of Arsinoe III. Alexandria



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**




სურ. 7 **Fig.**



სურ. 8 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 107-120
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 107-120

**გლიპტიკა**

**ქეთევან რამიშვილი**
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3,0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: ketramishvili@yahoo.com

# ალექსანდრე მეფის გუმბათისებური საბეჭდავი

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდში დაცულია ერთი მეტად საინტერესო და საყურადღებო საბეჭდავი-ინტალიო (საინვ. № 685). საბეჭდავი თეთრი, გაუმჭვირვალე ქალცედონისაგანაა გაკეთებული, მრგვალია და ორფერდა გუმბათისებური დანამატი აქვს (ტაბ. I - 1, 2). ინტალიოც და „გუმბათიც“ორმხრივია. საბეჭდავის ცალ მხარეს, ოდნავ ამობურცული ზედაპირის ცენტრში, ამოკვეთილია სპარსული წარწერა: ز اولاد پعمبر داوود الکسندره خان ابن بگراد ۷۹۰۱ – „დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი ალექსანდრე-ხანი ძე ბაგრატისა“ და თარიღი ჰიჯრით (*1097 წ. = 1685 წ.)*. წარწერას წრიულად გარს უვლის ორი ძალიან წვრილი, ერთმანეთის პარალელური ღარი. ასეთივე ორმაგი ღარი უვლის გარშემო ინტალიოს პირის კიდესაც. ღარებს შორის არეზე წრიულად ამოჭრილია მხედრულით შესრულებული წარწერა. მასში თითოეული სიტყვის შემდეგ განყოფის ნიშანი - წერტილია დასმული: „ქ . ალექსანდრე . მონა . მღთისა . ძეა . მეფის . ბაგრატისა“. „გუმბათზე“, ორივე მხრიდან, ამოკვეთილია არაბული წარწერა: الله بامدد – „ღმერთი შემწეა“. „გუმბათიც“ ორი წვრილი და პარალელური ღარითაა შემოსაზღვრული (ტაბ. I - 3). ინტალიოს მეორე პირზე, ცენტრში, არაბული წარწერაა: المجد للاب و الابن الروح القدس . لمن سجد لهذا الدهر الداهر من اعی عبد الله الکسندره خان احق باش – „მამისა და ძისა და წმინდისა სულისა. ის, ვინც თაყვანს სცემს მრავალჟამ, ვინც კეთილსინდისიერად მონაა ღვთისა, ალექსანდრე-ხანი მეტად სამართლიანი მთავარი“, ხოლო ინტალიოს ქვედა კიდეს ნახევარწრიულად, ოდნავ უფრო მკრთალად, სპარსული წარწერა შემოუყვება: ز اولاد داود و سلیمان تعهد است – „დავითის შთამომავალი და სულეიმანის ერთგული“. პირისა და „გუმბათის“ ეს მხარეც ორი წვრილი ღარითაა შემოსაზღვრული (ტაბ. I - 4). წარწერები ინტალიოს ორივე პირზე ნეგატივურია და სტრიქონებს შორის ყვავილოვანი და ვარსკვლავისებური ორნამენტითაა შემკული. საბეჭდავი მცირედაა დაზიანებული: ერთგან გაბზარულია სისქეში და ცერად ატკეცილი. (ზომები: L - 47 მმ, D - 32 მმ, გუმბათის L - 10 მმ, B - 15 მმ). არაბული და სპარსული წარწერები წაიკითხეს აღმოსავლეთმცოდნეებმა, მარიამ ქორიძემ და მალხაზ არჩვაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ მათ.

საბეჭდავი როგორც ფორმით, ისე შემკულობით მეტად დახვეწილი ნამუშევარია და შესრულებულია მაღალმხატვრულად. მრგვალ ფუძესთან მომგებიანადაა შეხამებული ორფერდა სახურავის მსგავსი „გუმბათი“, რაც თავისებურ იერსახესა და გამორჩეულ მნიშვნელოვნებას ანიჭებს ნივთს. ინტალიოს ზედაპირი კარგადაა დამუშავებული და გაპრიალებული. წარწერები ძალიან ღრმად არაა ამოჭრილი, თუმცა

ანაბეჭდზე საკმაოდ მკვეთრ გამოსახულებას იძლევა. გარდა იმისა, რომ წარწერები ინფორმაციული ხასიათისაა, ცალ პირზე ორმაგი ღარებით შემოსაზღვრული არაბული და ქართული წარწერების წრიულად რიტმული მონაცვლეობა და მეორე პირის მთლიანად არაბული დამწერლობით ხალიჩისებურად შევსება დეკორატიულ ხასიათს ანიჭებს და მეტად გამომსახველს ხდის მას. წარწერები შესრულებულია გამართული და მოხდენილი კალიგრაფიით. აღსანიშნავია, რომ ქართული ლეგენდის ზოგიერთი ასო მეორის თავზეა მოცემული, გადაბმულია და ჩახვეული. ეს კი კარგად ეხამება არაბული ასოების მოხაზულობას და სტრიქონებს შორის გაბნეულ ყვავილოვანსა თუ ვარსკვლავისებურ ორნამენტებთან ერთად დეკორატიულობას აძლიერებს, ამასთან, განუმეორებელ აღმოსავლურ ელფერს ანიჭებს ნივთს. მთლიანად საბეჭდავი მეტად შთამბეჭდავი და თვალისათვის სასიამოვნო აღსაქმელია, რაც განპირობებულია ასევე ქალცედონის ლამაზი, ნატიფად დამუშავებული ფაქტურითა და ნათელი - თეთრი ფერით.

საბეჭდავი, ფორმის მიხედვით, მიეკუთვნება ე. წ. გუმბათისებური საბეჭდავების ჯგუფს, თარიღდება 1685 წლით, სამეფო საბეჭდავია და ეკუთვნის იმერეთის მეფე ალექსანდრე IV-ს, რომელიც 1683 წელს გამეფდა და ორჯერ ეკავა იმერეთის ტახტი, პირველად - 1683-1690, ხოლო შემდეგ - 1691-1695 წლებში [ჯამბურია გ. 1973: 353]. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ, საერთოდ, თარიღიანი ლეგენდები ქართულ დოკუმენტებში დაცულ ანაბეჭდებზე მცირე რაოდენობით გვხვდება და მათზე დასმული თარიღი საბეჭდავის მოჭრის წელს აღნიშნავს და არა მისი მფლობელის ზეობის დასაწყისს. ყოველი მოღვაწე თავისი ზეობის საწყისშივე ცდილობდა, ჰქონოდა საკუთარი საბეჭდავი. ამიტომ ხშირად საბეჭდავის შექმნის თარიღი მისი მფლობელის მოღვაწეობის საწყის წელს ემთხვევა [ბაქრაძე ა. 1978: 15]. ალექსანდრე IV-ის საბეჭდავი კი, როგორც ჩანს, მისი ზეობის საწყის წლებში, მეფობის დასაწყისიდან 2 წლის შემდეგ, დაუმზადებიათ.

გვიანი შუა საუკუნეების ქართული სამეფო საბეჭდავების შესახებ, ძირითადად, ქართულ საბუთებში დაცული ანაბეჭდების მიხედვით შეგვიძლია მსჯელობა. თვით საბეჭდავების უმეტესი ნაწილი კი დაკარგულია. ამდენად, ალექსანდრე IV-ის გუმბათისებური საბეჭდავი მეტად მნიშვნელოვანი ეგზემპლარია XVII ს-ის ქართული გლიპტიკის ნიმუშების შესასწავლად. XV-XVI სს-ში ქართული სამეფო საბეჭდავების ანაბეჭდების რაოდენობა მეტად მცირეა, ხოლო მათი ლეგენდები – მოკლე. XVII ს-დან შემორჩენილი ანაბეჭდების რიცხვი იზრდება, ლეგენდები კი შედარებით გრძელი და ხვეული ხდება [ბაქრაძე ა. 1978: 13-14]. ფორმის მიხედვით, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფო საბეჭდავები განსხვავდება. XVII ს-თვის აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად, სწორკუთხა ან რვაკუთხა საბეჭდავებია გავრცელებული, გვხვდება მრგვალი და ოვალურიც [ბაქრაძე ა. 1978: 12]. ასევე გამოიყენება საბეჭდავის პირის ერთ მხარეს მომრგვალებული, ხოლო საწინააღმდეგო მხარეს - წაწვეტებული, ე. წ. მსხლისებური ფორმაც [ბარნაველი ს. 1965: 82; ბაქრაძე ა. 1978: ტაბ. IV - 25]. XVII ს-ის მეორე ნახევრიდან კი, ზემოჩამოთვლილ ფორმებთან ერთად, დოკუმენტებში ჩნდება გუმბათისებური საბეჭდავების ანაბეჭდები, რომლებსაც მრგვალი ფუძე და გუმბათისებური დანამატი აქვთ. აღსანიშნავია, რომ მრგვალი, გუმბათისებური საბეჭდავები მხოლოდ ამ

გარკვეული პერიოდისთვისაა დამახასიათებელი და ირანული გავლენის ხანაში ეკუთვნოდა სამეფო პირებს, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ ირანის სახელმწიფოსთან და გარკვეულად დამოკიდებულნი იყვნენ მასზე [ბაქრაძე ა. 1978: 12. ტაბ. IV - 27; ტაბ. V - 3, 22, 23].

დასავლეთ საქართველოში XVII ს-ზე ადრე სამეფო საბეჭდავები არ ჩანს, XVII ს-ში კი ისინი, როგორც წესი, ნუშის ფორმისაა [ბაქრაძე ა. 1978: 12], მაგალითად, ალექსანდრე IV-ის მამის, ბაგრატ IV-ის ნუშისებური საბეჭდავი (ტაბ. I - 8) შუაში ჯვრის გამოსახულებითა და გარშემო მხედრული ლეგენდით: „მონა ღთისა მეფე ბაგრატ“ [ბაქრაძე ა. 1978: ტაბ. IV - 8]. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, ალექსანდრე IV-ის მრგვალი, გუმბათისებური საბეჭდავი ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი და უადრესი ეგზემპლარია დასავლეთ საქართველოდან, მაშინ, როცა აღმოსავლეთ საქართველოში როსტომ მეფის (ტაბ. I - 5), შაჰნავაზისა (ტაბ. I - 6) და ნაზარალი ხანის (ტაბ. I - 7) 11 სამეფო საბეჭდავთა ანაბეჭდებს შორის 6 მრგვალი და გუმბათისებურია [ბაქრაძე ა. 1978: 14. ტაბ. IV - 27: ტაბ. V - 3, 22, 23].

XVIII ს-ში საქართველოში გავრცელებული საბეჭდავების ქვედა პირები, ძირითადად, ოთხკუთხა და რვაკუთხაა [ბარნაველი ს. 1965: 82]. ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოში მრგვალი, გუმბათისებური საბეჭდავები აღარ ჩანს, ხოლო დასავლეთ საქართველოში კვლავ გვხვდება მეფეთა გუმბათისებური საბეჭდავები, თუმცა მათ ფუძე უკვე სწორკუთხა აქვთ, მაგალითად, ალექსანდრე V-ის გუმბათისებური საბეჭდავი (ტაბ. II - 1), რომლის ამაღლებულსა და ფიგურულ გუმბათზე გვირგვინის გამოსახულებაა ამოკვეთილი [ბაქრაძე ა. 1978: ტაბ. VI - 7]. ასეთივეა თამარ დედოფლის სწორკუთხა და გუმბათისებური საბეჭდავი (ტაბ. II - 2), რომლის ამოზიდულსა და მორკალულ ნაწილზე გვირგვინის გამოსახულებაა ამოჭრილი (ბაქრაძე ა. 1978: ტაბ. VII - 13). აღსანიშნავია აგრეთვე სოლომონ მეფის ოთხკუთხა და გუმბათისებური საბეჭდავი, რომლის „გუმბათზე“ სამყურა ორნამენტია გამოსახული [ბაქრაძე ა. 1978: ტაბ. VII - 28]. ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა გუმბათისებური საბეჭდავი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში სამეფო საგვარეულო პირებს – მეფეებსა და დედოფლებს ეკუთვნის. გამონაკლისია XVIII -ში მოღვაწე კათალიკოს ბესიკის (რაჭის ერისთავის ძის) სწორკუთხა და გუმბათისებური საბეჭდავი (ტაბ. II - 3) გვირგვინზე ჯვრის გამოსახულებით [ბაქრაძე ა. 1978: 114. ტაბ. XXXIII - 4], რაც თავის სფეროში მისი სრული სუვერენობის აღმნიშვნელად მიგვაჩნია.

საქართველოში გუმბათისებური საბეჭდავების ფორმა XVII ს-ში სპარსული მანერითაა შესრულებული (ირანის სეფიანი შაჰ სულეიმანის მთის ბროლის საბეჭდავი. ტაბ. III – 3 და აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების გუმბათისებური საბეჭდავების ანაბეჭდები. ტაბ. I - 5, 6, 7), რასაც საქართველოშივე დაცულ სპარსულ ფირმანებსა და ოქმებზე დასმული შაჰის საბეჭდავების ანაბეჭდები (ტაბ. II - 4, 5, 6, 7, 8, 9) ადასტურებს [ხუბუა მ. 1949: 133 - 1; 135 - 8, 9; 142 - 41 და სხვ.]. აღმოსავლეთ საქართველოში XVII ს-ის მეორე ნახევარში გავრცელებული გუმბათისებური და მსხლისებური სამეფო საბეჭდავები ირანულს ემსგავსება როგორც საბეჭდავის ფუძის, ისე „გუმბათის“ ფორმით. ის მოყვანილობით ირანული ტაძრების გუმბათებისა თუ სხვა ხუროთმოძღვრული ელემენტების, ასევე შაჰების თავსაბურავებისა და გვირგვინების მსგავსია, რაც, ვფიქრობთ, აღმოსავ-

ლეთ საქართველოს მეფეების ირანულ პოლიტიკურ, სარწმუნოებრივსა თუ კულტურულ ორიენტაციაზე მიუთითებს. ალექსანდრე IV-ის საბეჭდავის „გუმბათი“ კი, ქრისტიანული ტაძრების გუმბათების მსგავსად, ორფერდაა (ტაბ. I - 1, 2), რაც მეფის ქრისტიანული მრწამსის აღმნიშვნელად მიგვაჩნია და რაც ასევე საბეჭდავის ორივე პირზე მოცემული ქართული და არაბული წარწერებითაც დასტურდება. ქართული წარწერა იწყება ქანწილით (ქ), რაც ქრისტეს აღმნიშვნელია „ქ (ქრისტე) . ალექსანდრე . მნა . მღთისა . ძეა . მეფის . ბაგრატისა“, ხოლო საბეჭდავის მეორე პირზე არაბული წარწერა გვამცნობს: „მამისა და ძისა და წმინდისა სულისა. ის ვინც თაყვანს სცემს მრავალჟამ, ვინც კეთილსინდისიერად მონაა ღვთისა, ალექსანდრე-ხანი მეტად სამართლიანი მთავარი“. არაბული დამწერლობითაა შესრულებული აგრეთვე „გუმბათის“ ორივე მხარეს ამოკვეთილი წარწერა: „ღმერთი შემწეა“. არაბული ანბანით ქრისტიანული შინაარსის წარწერების შესრულების ტრადიცია მომდინარეობს ჯერ კიდევ განვითარებული შუა საუკუნეებიდან – მონღოლების ბატონობის ხანიდან, როცა ჩამოყალიბდა მონეტების ე. წ. ქრისტიანულ-მუსლიმური ტიპი [Пахомов Е. 1970: 160], მაგალითად, ჟინვალის ხერთვისთან აღმოჩენილი მონეტების განძის შემადგენლობაში დაცულია ილხან აბაღას (1265-1282) სახელზე მოჭრილი ვერცხლის ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები. მათს ზურგზე ამოჭრილია ქრისტიანული ქართული ლოცვა არაბული ასოებით და ბოლოში ჯვარი უზის. მონეტები თბილისში იჭრებოდა [ჯალაღანია ირ. 1983: 170]. როგორც ჩანს, აღნიშნული ტრადიცია XVII ს-ში შემოინახა არა მონეტებმა, არამედ საბეჭდავებმა, რისი დადასტურებაც ალექსანდრე IV-ის საბეჭდავია.

მეფე ალექსანდრე IV-ის საბეჭდავი სამენოვანია: ქართული, სპარსული და არაბული. ქართული წარწერა გალექსილია და ჩახვეული ასოებითაა შესრულებული. აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე პირი, შესაძლოა, რამდენიმე საბეჭდავის მფლობელი ყოფილიყო. ამათგან ზოგი ქართულენოვანი იყო, ზოგიც – სპარსულენოვანი. სპარსულენოვანი საბეჭდავების ანაბეჭდები, საერთოდ, ქართულ დოკუმენტებში XV საუკუნიდან ჩნდება, ე. ი. იმ პერიოდიდან, როდესაც საქართველო ირანის გავლენის სფეროში ექცევა. სპარსულენოვანი საბეჭდავები, ძირითადად, ქართველ მეფეებსა და ფეოდალებს ჰქონდათ, მაგალითად, სვიმონ I-ისა და სვიმონ II-ის მრგვალი საბეჭდავები, როსტომ მეფის მართკუთხა საბეჭდავი [ბაქრაძე ა. 1978: 12], მაგრამ ორი ან მრავალენოვანი ლეგენდები ქართულ სამეფო საბეჭდავთა ანაბეჭდებზე ძალზე იშვიათია და ასეთი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არ გვხვდება [ბაქრაძე ა. 1978: 13]. აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილია ერეკლე მეფის რვაკუთხა, ხუთენოვანი (ასომთავრული, ბერძნული, სომხური, სპარსული, ლათინური) და დავით მემკვიდრის ოთხკუთხა, ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბეჭდავების ანაბეჭდები [ბაქრაძე ა. 1978: 13. ტაბ. II – 11, 24]. დასავლეთ საქართველოში მხოლოდ ერთი – გიორგი მეფის ნუშისებური, ორენოვანი (ქართულ-თურქული) სამეფო საბეჭდავის ანაბეჭდია ცნობილი [ბაქრაძე ა. 1978: 13. ტაბ. VI - 15]. რაც შეეხება გუმბათისებურ საბეჭდავებს, საინტერესოა, რომ XVII ს-ის აღმოსავლეთ საქართველოს მაჰმადიანი მეფეების – როსტომის, შაჰნავაზისა და ნაზარალი ხანის მრგვალი, გუმბათისებური საბეჭდავებისა და XVIII ს-ის დასავლეთ საქართველოს მეფეთა და დედოფალთა სწორკუთხა, გუმბათისებური საბეჭდავების ანაბეჭდებზე შემონახული ყველა ლეგ-

ენდა ქართულენოვანია. იმერეთის ქრისტიანი მეფე ალექსანდრე IV-ის მრგვალი და გუმბათისებური საბეჭდავი გამონაკლისია და ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი საბეჭდავია, რომლის ერთ პირზე წარწერები ქართულ-სპარსულია, ხოლო მეორეზე - არაბულ-სპარსული. ზემოაღნიშნულიდან, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების გუმბათისებური საბეჭდავების მეორე, ჩვენთვის უცნობ, პირზე ამოკვეთილი ლეგენდებიც სპარსულენოვანი იყო, მაგრამ აქ მაშინვე ჩნდება კითხვა, მაშინ, როცა დასავლეთ საქართველოს მეფეთა ყველა საბეჭდავი ნუშის ფორმისაა და თითქმის ყველა ლეგენდა ქართულენოვანი, რატომაა ალექსანდრე მეფის საბეჭდავი მრგვალი და გუმბათისებური, ხოლო ლეგენდა – ქართულ-სპარსულენოვანი?

XVII ს-ის მეორე ნახევარში იმერეთში პოლიტიკური ვითარება განსაკუთრებით მძიმეა. არეულობა, შფოთი და შინააშლილობა, რაც დამახასიათებელი იყო ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოსათვის, გრძელდება და ღრმავდება. ფეოდალურმა ანარქიამ სრულად დასცა და დააუძლურა ქვეყანა. მოსახლეობა გარბოდა და აღმოსავლეთ საქართველოში სახლდებოდა, სადაც ამ დროს როსტომ ხანისა და შაჰ-ნავაზის ირანთან წარმოებული „ზომიერი“ პოლიტიკის წყალობით შედარებით სიმშვიდე სუფევდა [ბერძენიშვილი ნ. 1973: 274]. ამ პერიოდისათვის გაძლიერდა დასავლეთ საქართველოს მიმართ ოსმალეთის აგრესია, რის შესაძლებლობასაც ოსმალეთს აძლევდა ირანთან 1639 წელს დადებული საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმად სადავო ქართლი საბოლოოდ ირანის სამფლობელოდ იქნა აღიარებული. 1639 წლამდე ოსმალეთსა და ირანს შორის სადავო ქვეყანა სწორედ ქართლი იყო. საცილო ტერიტორიაზე ოსმალეთმა ირანი გადაძლია მესხეთში და მის ანექსიას ჯერ კიდევ XVI-XVII ს-ის მიჯნაზე მიაღწია. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ირანი მას ოსმალეთის სამფლობელოდ უკვე 1555 წლის ზავით ცნობდა, მაგრამ, ვიდრე ქართლი ირან-ოსმალეთის სადავო ქვეყანა იყო, დასავლეთი საქართველო ვერ გახდებოდა ოსმალეთის აგრესიის მთავარი რეგიონი, რადგან მისი დაპყრობით ოსმალეთს მხოლოდ გაუძნელდებოდა ამერ-იმერეთის დაპირისპირება და, შესაძლოა, მათი ერთგვარი დაახლოებაც კი გამოეწვია. ამრიგად, 1639 წლიდან ბოლო მოეღო ამიერკავკასიაში ოსმალეთსა და ირანს შორის ომებს. ამიერიდან ოსმალეთისათვის მიუღებელი ხდება იმერეთის სამეფოს მთლიანობა და სულთნები თანმიმდევრულად ხელს უწყობენ დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური პარტიკულარიზმის გაღრმავებას [ჩოჩიევი ვ. 1985: 108-110].

ოსმალეთის ძალიან დიდ შეშფოთებას იწვევდა 1854 წელს უკრაინის შეერთება რუსეთთან და რუსეთის მიახლოება შავ ზღვასთან. ეს კი რეალურ საფუძველს უქმნიდა რუსეთის გასვლას შავ ზღვაზე, რაც ოსმალეთისა და მისი პარტნიორის – ყირიმის სახანოს მხრიდან წინააღმდეგობის დაძლევის გზით უნდა განხორციელებულიყო. ოსმალეთის მმართველები შიშობდნენ, რომ დასავლეთ საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის რუსეთს გაუადვილებდა შავ ზღვაზე დამკვიდრების ამოცანის გადაწყვეტას, რის გამოც რუსეთი გააძლიერებდა დახმარებას საქართველოსადმი. არანაკლებ აშინებდათ მათ რუსეთ-ირანის თანამშრომლობა ანტიოსმალური პოლიტიკის ფონზე, თუმცა მოვლენების ამგვარ განვითარებას ზღუდავდა რუსეთ-ირანის წინააღმდეგობანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ახალი ძალის - რუსეთის გამოჩენას ყურადღება მიაქციეს

არა მარტო იმერეთის მეფემ, არამედ გურიისა და სამეგრელოს მთავრებმაც. მათ მოსკოვის ხელმწიფეს XVII -ის პირველ ნახევარში წერილები გაუგზავნეს და მფარველობა სთხოვეს. რუსეთმა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის თხოვნა თავისი პოლიტიკური ზრახვებისათვის სასარგებლოდ მიიჩნია და ის 1651 წლის 14 სექტემბერს ყმად მიიღო [ჩოჩიევი ვ. 1985: 105-112]. XVII ს-ის მეორე ნახევარში რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები ღრმავდება და, აქედან გამომდინარე, მიმოწერა ხშირდება. აღსანიშნავია იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი 1677 წელს მიწერილი წერილი [ჩოჩიევი ვ. 1985: 118]. ასეთ ვითარებაში ცხადი ხდება საბეჭდავებისათვის მიკუთვნებული მნიშვნელოვანი ადგილი სახელმწიფოს ცხოვრებაში. წერილში, რომელიც გაიგზავნა ალექსანდრე IV-ის მამის - ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის მეფის მოხელესთან 1669 წელს, ხსენებულია „სახელმწიფოს დიდი ბეჭედი“ და „ხელმწიფის ბეჭედი“ [ბარნაველი ს. 1965: 73]. თუ როგორი იყო ეს ბეჭდები, გაურკვეველია [ბაქრაძე ა. 1978: 9], მაგრამ რუსეთი იმერეთის სამეფო კარზე მეფედ ერეკლე I-ს (ნაზარალი ხანს) ამზადებდა. სწორედ ამიტომ იმერეთიდან 1669 წელს წასული 26 კაციანი ელჩობა, ერეკლე I-ის გადაწყვეტილებითა და საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევით, რუსეთის შორეულ მონასტრებში პატიმრობაში გააგზავნეს. ამ აქტით რუსეთის სამეფო კარმა აღიარა, რომ იმერეთის მეფედ არ ცნობდა ბაგრატ IV-ს და გზას ერეკლე I-ს უკაფავდა, მაგრამ ნაზარალი ხანის იმერეთში გამეფება ვერ მოხერხდა. სულთან სულეიმან II-ის ბრძანებით 1683 წელს იმერეთში ბაგრატ IV-ის უკანონო ვაჟი ალექსანდრე IV გამეფდა [ქართლის ცხოვრება. 1959: 442]. უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთი საქართველო არასდროს წყვეტდა ფიქრს იმერეთის შემოერთებაზე და, საერთოდ, საქართველოს გაერთიანების იდეა მუდმივად იდგა XVII ს-ის ქართველი სახელმწიფო მოღვაწეების წინაშე. ამ მიზნით, მეფე არჩილი ხუთჯერ გამეფდა იმერეთში, მაგრამ ხუთჯერვე წარუმატებლად. იმერეთის შემოერთებას ხელს უშლიდა ირანსა და თურქეთს შორის 1639 წელს დადებული საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ოსმალეთმა ხუთჯერვე აღკვეთა არჩილის იმერეთში გამეფების მცდელობა. აღსანიშნავია, რომ არჩილი ალექსანდრე IV-ის ერთწლიანი გაძევების შემდეგ, 1690-91 წლებში, მესამედ გამეფდა იმერეთში, მაგრამ ალექსანდრე კვლავ დაბრუნდა იმერეთის ტახტზე 1691 წელს ირანის სეფიანი შაჰის, სულეიმან I-ის, დახმარებით, რომელმაც ოსმალეთის სულთან სულეიმან II-ეს თხოვნით მიმართა, რათა არჩილი გაეძევებინა და იმერეთში კვლავ ალექსანდრე გაემეფებინა. სულეიმან II შაჰის ელჩს გარდაცვლილი დახვდა, მაგრამ მისი თხოვნა ოსმალეთის სულთანმა, აჰმედ II-ემ, სიამოვნებით შეასრულა [გორგიჯანიძე ფარ. 1925: 95]. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ გარდა ოსმალეთის სულთნის ქვეშევრდომობისა, ალექსანდრე IV ეცდებოდა, ირანის შაჰთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონოდა, უფრო მეტიც: 1. ოსმალეთს აღარ აინტერესებდა იმერეთის სამეფოში მეფის არსებობა და მას რანგით ოდიშისა და გურიის მთავრებს უტოლებდა [ჩოჩიევი ვ. 1985: 116]. ამაზე კი საბეჭდავის მეორე პირზე ამოჭრილი არაბული წარწერაც მიგვითითებს: „მამისა და ძისა და წმინდისა სულისა. ის ვინც თაყვანს სცემს მრავალჟამ, ვინც კეთილსინდისიერად მონაა ღვთისა, ალექსანდრე-ხანი მეტად სამართლიანი მთავარი“; 2. იმერეთში შინააშლილობა კულმინაციას აღწევდა, აღმოსავლეთი საქართველო კი გამუდ-

მებით იბრძოდა იმერეთის შემოსაერთებლად; 3. რუსეთს არ შეიძლებოდა, სურვებოდა ბაგრატ IV-ის ვაჟი იმერეთის მეფედ. დიდი ალბათობით, ალექსანდრე თავის მფარველად და მოკავშირედ სწორედ ირანის შაჰს მოიაზრებდა. ოსმალეთს ხელს არ აძლევდა აღმოსავლეთ საქართველოს გამუდმებული ბრძოლა იმერეთის შემოსაერთებლად და ამას ირანის მიერ ოსმალეთის საშინაო საქმეებში ჩარევად თვლიდა. საფიქრებელია, რომ ამ დროს ირანი თავისი მარადიული მეტოქის - ოსმალეთის საწინააღმდეგოდ შეეცდებოდა, სულთნის ქვეშევრდომთან კარგი ურთიერთობა დაემყარებინა. არაა გამორიცხული, რომ, როდესაც ალექსანდრეს დასახმარებლად ერეკლე I-მა (ნაზარალი ხანმა) ირანის შაჰ სულეიმან I-ს ალექსანდრეს მეფობის აღდგენის თაობაზე სააჯო წერილი გაუგზავნა, ბარათი ერეკლე I-ის გუმბათისებურ საბეჭდავთან ერთად ალექსანდრე IV-ის გუმბათისებური საბეჭდავითაც დაბეჭდილიყო. ალექსანდრეს საბეჭდავის პირზე კი სპარსულად წერია: „დავითის შთამომავალი და სულეიმანის ერთგული“. ცხადია, აქ იგულისხმება ოსმალეთის სულთანი სულეიმან II, მაგრამ წარწერაზე არაა აღნიშნული, რომელი სულეიმანია - ირანის შაჰი თუ ოსმალეთის სულთანი. ირანული სტილით ნაკეთები საბეჭდავის ანაბეჭდს, სპარსულ (და არა თურქულ) წარწერას, ასევე სულთნისა და შაჰის ერთი და იმავე სახელის - სულეიმანის ხსენებას შეუძლებელია, რომ შაჰზე დადებითი შთაბეჭდილება არ მოეხდინა, არ განეწყო კეთილად ალექსანდრეს მიმართ და ხელი არ შეეწყო იმერეთში ხელმეორედ მისი გამეფებისათვის.

ალექსანდრე IV-ის გუმბათისებური საბეჭდავის ირანულ სტილს განაპირობებდა ისიც, რომ მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებთან. გამეფებამდე ალექსანდრე ქართლში ცხოვრობდა. ის ტყვედ ჰყავდა ქართლის მეფე გიორგი XI-ს. ალექსანდრე ქართლში გადავიდა და თავი შეაფარა ერეკლე I-ს თბილისში, როცა გოდოგანში ბრძოლისას არჩილმა ის დაამარცხა და განდევნა იმერეთიდან [ქართლის ცხოვრება. 1973: 853-854]. აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებსა და, მათ შორის, ერეკლე I-ს (ნაზარალი ხანს) კი სწორედ ირანული მანერით მოჭრილი მრგვალი გუმბათისებური საბეჭდავები ჰქონდათ.

გალექსილი ქართული წარწერები საბეჭდავებზე არცთუ იშვიათია. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ათავსებდნენ ბეჭდებზე ლირიკული ხასიათის წარწერებს. ასევე მიღებული ყოფილა წარწერები ლექსების სახით ბეჭდებზე განვითარებულ შუა საუკუნეებშიც. XVII-XVIII ს-ში ლექსები ბეჭდებზე ძალზე გავრცელებული იყო. „კალმასობაში“ ისინი პოეზიის ცალკე „გვარადაა“ გამოყოფილი [ბარნაველი ს. 1965: 86]. ადგილობრივ ტრადიციას ემატებოდა ისიც, რომ, გარდა საბეჭდავებისა, გალექსილი წარწერები ხშირად ჩანს XVII ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწე სეფიანი შაჰების სახელზე მოჭრილ ირანულ მონეტებზეც (ტაბ. III- 1) [Reginald S. P. 1887: ტაბ. II- 50; ტაბ. III- 58, 68], რომელთა მსგავსი ეგზემპლარები თბილისის ზარაფხანაშიც [გაგოშიძე ი., ... 2000: 88- 196, 198] იჭრებოდა (ტაბ. III- 2). ამგვარ მონეტებზე დატანილი სპარსული წარწერები არა მარტო შესრულების სტილით, არამედ კომპოზიციითაც (წარწერის ზედაპირზე წრიულად განთავსების მანერით) ჰგავს ალექსანდრეს საბეჭდავისას, რაც გვავარაუდებინებს, რომ საბეჭდავი ქართლში, შესაძლოა, თბილისის ერთ-ერთ სახელოსნოშიც დაემზადებინათ და შემდეგ გაეფორმებინა მეტად გამოცდილ ყალამდარს. ცნობილია, რომ XVII-XVIII ს-ში ხელოსნური წარმოების ყველაზე მსხვილი ცენტრი თბილისია, სადაც განვითარებული იყო იმ დროისათვის ცნობილი ხელოსნობის თითქმის ყველა

დარგი [საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1973: 180]. აღსანიშნავია, რომ საბეჭდავებზე კვეთა ხორციელდებოდა დაზგის საშუალებით და საბეჭდავის გაპრიალების ხელოვნებაც მაღალ დონეზე იდგა [ბარნაველი ს. 1965: 81].

ალექსანდრეს საბეჭდავზე ამოკვეთილი წარწერები ასოების მოხაზულობითა და ერთმანეთის ზემოთ გადაბმული და ჩახვეული ასოებით ძალიან ჰგავს ნაზარალი ხანის საბეჭდავის ანაბეჭდზე მოცემულ წარწერას (ტაბ I- 3 და 7), ასევე წარწერებს აღმოსავლეთ ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში, როგორებიცაა 1680 წელს, გიორგი XI-თვის გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერსა და 1703 წლის „ბასილისა და თეოდორას ცხოვრებაში" გამოყენებული წარწერები [აბულაძე ი. 1949: ტაბ. 129, 130], აგრეთვე 1692 წლის დოკუმენტში (ტაბ. IV-5) - მეფე გიორგი XI-ის მიერ გივი ამილახორისადმი მიცემულ წყალობის წიგნში - მოცემული წარწერები [ქართული ისტორიული დოკუმენტები. 2014: 83]. ზოგიერთი დოკუმენტი, მაგალითად, 1558 წლის „კონსტანტინე ბატონიშვილის მიერ მიცემული შეწირულობის წიგნი მაცხოვრის საფლავისადმი" როგორც ხელნაწერის გუმბათისებური ფორმით, ისე წარწერებით მსგავსია ნაზარალი ხანისა და ალექსანდრე IV-ის გუმბათისებური საბეჭდავებისა (ტაბ. I- 3, 7; ტაბ. IV- 4). აღნიშნული ფაქტები კიდევ უფრო გვიმყარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საბეჭდავი აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისში, დამზადდა. ქართული ისტორიული დოკუმენტები, ალექსანდრეს საბეჭდავის მსგავსად, იწყება ასო ქანით – ქანწილით, ხოლო ერთმანეთის ზემოთ მოცემული გადაბმული და ჩახვეული ასოები და ასო ონის წაგრძელებული ხაზით გადმოცემა (ტაბ. IV- 1, 2, 3) ჩვეული იყო ჯერ კიდევ განვითარებული შუა საუკუნეებიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით [ქართული ისტორიული დოკუმენტები. 2014: 23, 28, 29; მოხატული ისტორიული დოკუმენტები. 2011: 74-146]. ჩვენი მოსაზრებით, ეს გახლდათ მხატვრული ხერხი, რომელიც, ერთი მხრივ, დეკორატიულობას მატებდა ხელნაწერს და, ამავე დროს, დოკუმენტში ადგილს ზოგავდა (ტაბ. IV- 1, 2, 3, 4, 5).

შარდენის ცნობით, საბეჭდავზე წასასმელად სქელ მელანს იყენებდნენ და შემდეგ ქაღალდს ენით ასველებდნენ იმ ადგილას, სადაც ბეჭედი უნდა დასმულიყო [ბარნაველი ს. 1965: 85]. რაბინო დე ბორგომალეს ცნობით, ირანში ბეჭედს სვამდნენ შეკვამლით ან ჩინური მელნის (ტუშის) საშუალებით [Rabino di Borgomale H.L. 1951: 195]. ეს ცნობა უნდა ეხებოდეს საქართველოსაც, რის დადასტურებადაც ალექსანდრე IV–ის გუმბათისებური საბეჭდავიც მიგვაჩნია, რადგან მის ზედაპირზე ამოკვეთილი წარწერების სიღრმეში შავი მასის ნაშთი დღესაც შემორჩენილია (ტაბ. I- 1, 2).

თეთრი ქალცედონი ოდითგანვე გამოიყენებოდა საიუველირო საქმეში. მისი სახელწოდება მომდინარეობს ადგილ ქალკედონუდან, რომელიც მცირე აზიაში, მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, მდებარეობს. ქალცედონის საბადოები დადასტურებულია ახალციხეში, ყარაგადეში (ყირიმი) და სხვა [ქსე. 1996: 450]. საფიქრებელია, რომ ალექსანდრეს საბეჭდავი ახალციხეში მოპოვებული ქალცედონით დამზადდა. XVII ს-ის მეორე ნახევრისთვის ახალციხე თურქეთის შემადგენლობაშია. ამის მიუხედავად, საქართველოს ამ ნაწილს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს დანარჩენ ნაწილებთან [ჯამბურია გ. 1973 b: 182]. ალექსანდრე IV-ს ახალციხის ფაშასთან რომ მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობები ჰქონდა, იქიდანაც ჩანს, რომ სწორედ ახალციხის ფაშის დახმარებითა და სულთან სულეიმან II-სთან მისი შუამდგომლობით გამეფდა ალექსანდრე IV იმერეთში პირველად, ჯერ კიდევ 1683 წელს. გარდა პოლიტიკურისა, იმერეთის სამეფოს ოსმალეთსა და ახ-

ალციხის საფაშოსთან სავაჭრო ურთიერთობებიც ჰქონდა. საერთოდ, საქართველოს სამეფო-სამთავროები საგარეო ვაჭრობას, უმეტესად, ირანსა და თურქეთთან აწარმოებდნენ. ვაჭრობის უმთავრესი ცენტრი თბილისი იყო, სადაც ვაჭრები თავს იყრიდნენ ყოველი მხრიდან – ირანის ქალაქებიდან, ალეპოდან, კონსტანტინოპოლიდან, საქართველოს ყველა კუთხიდან [ჯამბურია გ. 1973 b: 180-181]. თბილისის შემდეგ შედარებით მსხვილი სავაჭრო ცენტრი იყო ქუთაისი. ლამბერტის ცნობით, ქართლიდან მოდიოდნენ ქართლელი და ირანელი ვაჭრები და მოჰქონდათ სხვადასხვა საქონელი. თურქები სამცხედან მოდიოდნენ და ბლომად მოჰქონდათ თავიანთი სავაჭრო საქონელი. ყველაზე მეტნი იყვნენ სომეხი ვაჭრები, რომლებსაც ქუთაისში თავიანთი სახლები ჰქონდათ. ისინი დადიოდნენ თურქეთში, ირანსა და ქართლში და ბლომად მოჰქონდათ იშვიათი საქონელი [ჯამბურია გ. 1973 b: 181].

დასავლეთ საქართველოს საექსპორტო საგანთაგან მნიშვნელოვანი იყო ბზის ხე, რომელსაც საქართველოსთვის მეტად წამგებიანად, ხოლო თურქი ვაჭრებისათვის მომგებიანად ცვლიდნენ მარილში. მაგრამ ყველაზე სარფიანი მაინც ტყვეთა გაყიდვა გახლდათ, რასაც ოსმალეთი ყოველმხრივ ხელს უწყობდა და აქეზებდა საქართველოში [ჯამბურია გ. 1973 b: 219]. XVII ს-ის მიწურულს ტყვეებით ვაჭრობდა ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი, მეფე თუ გააზატებული გლეხი. ალექსანდრე IV პირადად ყოფილა ჩართული ტყვეთა გაყიდვაში და სწორედ ამგვარი, მეფისათვის უღირსი, „სარფიანი ვაჭრობით“ იძენდა ფუფუნების ძვირფას ნივთებს, მათ შორის, ალბათ, ქალცედონსაც. აკი წერს ბერი ეგნატაშვილი მის შესახებ, რომ ის „იყო კაცი ესე შეუგვარი და უღირსი ბატონობისა“ [ბერი ეგნატაშვილი. 1959: 442]. გარკვეულწილად, არჩილ მეფესთან ალექსანდრეს გამუდმებული ბრძოლის შედეგი იყო სწორედ ის, რომ 1691 წელს თურქებმა ბაგრატის ტაძარი დაანგრიეს და „იქმნა საგლოველი, რამეთუ გამოვიდნენ ციხიდამ ოსმალნი და შემუსრეს ქუთაისის ეკლესია ყოვლად წმიდისა, დიდ შვენიერად გებული“ [ქართლის ცხოვრება. 1973: 854], რის შემდეგ მაშინვე გადმოვიდა ალექსანდრე IV ახალციხიდან ოსმალთა ჯარის თანხლებით დასავლეთ საქართველოში და კვლავ დაიჭირა იმერეთის ტახტი. მრავალი პირადი მანკიერი თვისების გამო ალექსანდრე შეიძულა ყველამ - ხალხმა, თავადებმა და საკუთარმა ოჯახმაც კი. 1695 წელს სკანდის ციხეში მყოფი ალექსანდრე IV თავადებმა შეიპყრეს და გადასცეს გიორგი XI-ს, მიიყვანეს რუისში, მოკლეს და იქვე დაასაფლავეს [ქართლის ცხოვრება. 1973: 857].

ამრიგად, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა იმერეთის მეფე ალექსანდრე IV-ის აქამდე უცნობი მრგვალი, გუმბათისებური საბეჭდავი, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია. გვიანი შუა საუკუნეების ქართული გუმბათისებური საბეჭდავების შესახებ მსჯელობა შეგვეძლო მხოლოდ ქართულ საბუთებში დაცული ანაბეჭდების მიხედვით, რადგან თვით საბეჭდავები დაკარგულია. აღსანიშნავია, რომ გუმბათისებური საბეჭდავები ეკუთვნოდა ქართველ სამეფო პირებს, რომლებიც გარკვეულად დამოკიდებულნი იყვნენ ირანსა და ოსმალეთზე. ამდენად, ალექსანდრე მეფის გუმბათისებურ საბეჭდავს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო გვიანი შუა საუკუნეების ქართული გლიპტიკის ისტორიის შესასწავლად, არამედ საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სავაჭრო ურთიერთობების გასარკვევადაც.

**Ketevan Ramishvili**

The Georgian National Muzeum, Simon Janashia Georgian Muzeum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
ketramishvili@yahoo.com

# Cupola-shaped Seal of King Alexander

## Summary

An interesting and significant seal-intaglio is kept in the glyptic depository of Simon Janashia Georgian Museum. The seal is made of white chalcedony. It has two-sided adjunct. According to its form it belongs to the group of so-called cupola-shaped seals and dates back to 1685 years. It is a royal seal and it belonged to Alexander IV - king of Imereti. The seal with its form and ornamentation is a highly artistic glyptic work which is made of refined taste. It has a trilingual inscription on it: in Georgian, Arabic and Persian languages. The inscriptions are carried out with correct and elegant calligraphy. It is significant that this unknown, till today, round, cupola-shaped seal of king Alexander IV, which became known to a scientific world recently, is the only one for today.

We could talk over about the late Middle Ages Georgian cupola-shaped seals only according to imprints preserved in Georgian documents, as seals were lost.

It should be mentioned that cupola-like seals belonged to Georgian royals who subordinated to Iran as politically so culturally.

Thus, king Alexander IV's cupola-shaped seal is significant not only for studding of the late Middle ages history of Georgian glyptic but for elucidation of political, economic and trade relations of Georgia with neighboring countries too.

## ბიბლიოგრაფია

**აბულაძე ი. 1949:** *ქართული წერის ნიმუშები* (პალეოგრაფიული ალბომი). თბილისი.

**ბარნაველი ს. 1965:** *საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები.* თბილისი.

**ბაქრაძე ა. 1978:** *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. I.* თბილისი.

**ბერი ეგნატაშვილი. 1959:** ახალი ქართლის ცხოვრება. *ქართლის ცხოვრება. ტ. II.* თბილისი (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

**ბერძენიშვილი ნ. 1973:** *საქართველოს ისტორიის საკითხები.* VI. თბილისი (რედ. ე. ხოშტარია).

**გაგოშიძე ი. ანთაძე მ. ღვაბერიძე ც. წოწელია მ. ქუთელია თ. შეროზია მ. 2000:** *ფული საქართველოში.* თბილისი.

**გორგიჯანიძე ფ. 1925:** საქართველოს ისტორია. *„საისტორიო მოამბე". ტ. 2.* თბილისი (რედ. ს. კაკაბაძე).

**მოხატული ისტორიული დოკუმენტები. 2011:** საქართველოს სიძველეთსაცავებიდან. თბილისი (რედ. დ. კლდიაშვილი).

**რეხვიაშვილი მ. 1989:** *იმერეთის სამეფო 1462-1810 წლებში.* თბილისი.

***ქართული საისტორიო დოკუმენტები.* 2014**: თბილისი.

***ქართლის ცხოვრება.* 1973:** ტ. IV. თბილისი.

**ქსე. 1996:** ტ. 10. თბილისი.

**ჩოჩიევი ვ. 1985:** იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნის მეორე ნახევარში. *თბილისის უნივერსიტეტის შრომები. აღმოსავლეთმცოდნეობა. ტ. 250. გვ. 105-124.* თბილისი (რედ. კ. ფაღავა).

**ხუბუა მ. 1949**: *საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები.* თბილისი.

**ჯამბურია გ. 1973 a:** საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30-90-იან წლებში. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. გვ. 342-356.* თბილისი. (რედ. მ. დუმბაძე).

**ჯამბურია გ. 1973 b:** სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVII სს. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. გვ. 187-224.* თბილისი. (რედ. მ. დუმბაძე).

**ჯალაღანია ირ. 1983:** XIII საუკუნის მეორე ნახევრის მონღოლური ფულის განძი ჟინვალის ხერთვისიდან. არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში. *ჟინვალი. I.* თბილისი. (რედ. რ. რამიშვილი).

Пахомов Е. А. **1970**: Монеты Грузии. Тбилиси.

**Reginald S. P. 1887**: *The coins of the Shahs of Persia.* London.

**Rabino di Borgomale H. L. 1951**: La sigillographie Iranienne moderne. *journal Asiatique.* 239. (2). pp.193-207. Paris.

### ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. I**

**სურ. 1, 2.** იმერეთის მეფე ალექსანდრე IV-ის ქალცედონის გუმბათისებური საბეჭდავი ორივე მხრიდან.

**სურ. 3, 4.** იმერეთის მეფე ალექსანდრე IV-ის გუმბათისებური საბეჭდავის ანაბეჭდი ორივე მხრიდან.

**სურ. 5.** როსტომ მეფის გუმბათისებური საბეჭდავის ანაბეჭდი.

**სურ. 6.** შაჰნავაზის გუმბათისებური საბეჭდავის ანაბეჭდი.

**სურ. 7.** ნაზარალი ხანის გუმბათისებური საბეჭდავის ანაბეჭდი.

**სურ. 8.** იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ის ნუშისებური საბეჭდავის ანაბეჭდი.

**ტაბ. II**

**სურ. 1.** იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის გუმბათისებური საბეჭდავის ანაბეჭდი.

**სურ. 2.** იმერეთის დედოფალ თამარის გუმბათისებური საბეჭდავის ანაბეჭდი.

**სურ. 3.** ბესარიონ კათოლისოსის გუმბათისებური საბეჭდავის ანაბეჭდი.

**სურ. 4, 5, 6, 7, 8, 9.** ირანის სეფიანი შაჰების გუმბათისებური საბეჭდავების ანაბეჭდები ფირმანებსა და ოქმებზე.

**ტაბ. III**

**სურ. 1.** შაჰ სულეიმან I-ის სახელზე ირანში მოჭრილი მონეტა.

**სურ**. **2.** შაჰ სულეიმან I-ის სახელზე თბილისში მოჭრილი მონეტა.

**სურ**. **3.** შაჰ სულეიმან I-ის გუმბათისებური საბეჭდავი.

**ტაბ. IV**

**სურ. 1, 2, 3.** მეფე გიორგი VIII-ის წიგნი სვეტიცხოვლის მამულების სათათრო გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ, 1468 წ.

**სურ**. **4.** კონსტანტინე ბატონიშვილის მიერ მიცემული შეწირულობის წიგნი მაცხოვრის საფლავისადმი. 1558 წ.

**სურ. 5.** მეფე გიორგი XI-ის მიერ გივი ამილახორისადმი მიცემული წყალობის წიგნი. 1692 წ.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Tab. I**

**Fig. 1, 2.** Cupola-shaped seal of King Alexander IV, both sides.

**Fig. 3, 4.** Imprints of Cupola-shaped seal of King Alexander IV, both sides.

**Fig. 5.** Imprint of cupola-shaped seal of King Rostom.

**Fig. 6.** Imprint of cupola-shaped seal of King Shahnavaz.

**Fig. 7.** Imprint of cupola-shaped seal of King Nazar ali Khan.

**Fig. 8.** Imprint of almond-shaped seal of King Bagrat IV.

**Tab. II**

**Fig. 1.** Imprint of Cupola-shaped seal of King Alexander V.

**Fig. 2.** Imprint of Cupola-shaped seal of Queen Tamar.

**Fig. 3.** Imprint of cupola-shaped seal of Catholicos Besarion.

**Fig. 4**. Imprints of cupola-shaped seals on Iranian Shah's documents.

**Tab. III**

**Fig. 1.** Shah Suleiman's coin minted in Iran.

**Fig. 2.** Shah Suleiman's coin minted in Tbilisi.

**Fig. 3.** Cupola-shaped seal of Shah Suleiman.

**Tab. IV**

**Fig.1,2,3.** King Giorgi VIII's book about releasing of Svetitskhoveli lands from Tatars taxes. 1468.

**Fig.4.** Prince Constantine's donated book to Our Savior's grave. 1558.

**Fig.5.** Mercy book of King Giorgi XI given to Givi Amilakhori.

ტაბ. I **Tab.**



სურ. 1, 2 **Fig.**



სურ. 3,4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**



სურ. 8 **Fig.**

ტაბ. II **Tab.**



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**



სურ. 8 **Fig.**



სურ. 9 **Fig.**

**ტაბ. III Tab.**



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**

**ტაბ. IV Tab.**



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



ურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 121-137
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 121-137

## ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

**მარინა ბოკუჩავა**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: marinaboku@yahoo.com

# ირანული კერამიკა
## (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ფაიფურის ფონდის მასალის მიხედვით)

კერამიკის წარმოება ირანის ტრადიციული ხელოვნების ერთ-ერთი გავრცელებული და განვითარებული დარგია. მასში ასახულია ირანელი ხალხის როგორც მატერიალური, ასევე სულიერი კულტურა. კერამიკა, ერთი მხრივ ყოფითი დანიშნულებისაა, მეორე მხრივ კი, საკრალურია, ერთგვარი ავგაროზია, რომელიც აერთიანებს სკულპტურისა და ფერწერის ელემენტებს. ირანში მიმდინარე ყველა ისტორიული თუ რელიგიური პროცესი კერამიკაზეც აისახებოდა, იქნებოდა ეს მხატვრული სტილი თუ კერამიკის წარმოების მეთოდები.

ირანის ისტორია და კულტურა იყოფა ისლამამდელსა და ისლამურ პერიოდებად. ეს ეხება კერამიკასაც. ირანული ისლამური კერამიკის წარმოებაში გამოიყოფა ოთხი პერიოდი; პოსტსასანიდური, ანუ ადრეისლამური (IX-X სს.), შუაისლამური (XI-XV სს.), გვიან ისლამური (XVI-XVIII სს.) და თანამედროვე (XIX-XX სს.). ადრეისლამური კერამიკის ცენტრები იყო ნიშაპურსა და აფრასიაბში, შემდგომ პერიოდებში კი - ქაშანში, რეიში, იეზდში, ქერმანში, მეშხედსა და სხვ. [Lane A. 1956: 22-33].

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ფაიფურის ფონდში ინახება ირანული კერამიკის ნიმუშები - სხვადასხვა ფორმის ლარნაკები, ნელსურნელებისა და ყალიონის ჭურჭელი, ბადიები, ფიალები, თეფშები, დერვიშის ჭურჭელი და სხვ. ისინი მუზეუმში 1866–1960 წლებშია შემოსული შესყიდვის ან შემოწირულობის გზით. მათი უმეტესობა სხვადასხვა დროს მუზეუმის მიერ კერძო პირებისაგანაა შეძენილი, ძირითადად, თბილისში. არის არდებილის ბაზარში, თავრიზსა და დაღესტანში ნაყიდი ნივთებიც. ეს ექსპონატები დამზადებულია თიხის, ნახევრად ფაიანსისა და ფაიანსისაგან.

მრავალი წლის განმავლობაში ირანელი კერამიკოსები ცდილობდნენ, ამოეცნოთ ჩინური ფაიფურის დამზადების საიდუმლო. უამრავი ცდის შემდეგ, XVI ს-ში, მათ შექმნეს ფაიფურის მსგავსი მასა, რომელიც მთლად ფაიფური არ იყო, მაგრამ ძალიან წააგავდა მას. ეს იყო ფაიანსი. ფაიფურისა და ფაიანსის შემადგენლობა, კომპონენტების მხრივ, დიდად

არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. განსხვავებაა ამ კომპონენტების თანაფარდობაში, კერძოდ, ფაიანსის შემადგენლობაში თიხის შემცველობა სხვა შემადგენლებთან შეფარდებით გაცილებით მეტია - 85%. გამოწვის ტემპერატურული რეჟიმიც განსხვავდება ფაიფურის გამოწვის ტემპერატურული რეჟიმისაგან. ფაიანსი შეიძლება იყოს მაგარი და რბილი. იგი კერემიკული მასაა, რომელიც შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებ ფოროვანიც. ეს დამოკიდებულია მის შემადგენლობაზე.ფაიფურის ცომის მისაღებად ირანელები იყენებდნენ თიხას, კაჟმიწასა და მინას. როდესაც მინის შემცველობა მეტი იყო მზა ნაწარმის კეცი ნაკლებ ფოროვანი გამოდიოდა. კერამიკის ამ სახეობას ევროპელები ზოგჯერ "ირანულ ფაიფურსაც" კი უწოდებდნენ.[Арапова Т., Рапопорт И. 1971: 25].

ფაიანსის წარმოებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქერმანი, მეშხედი და იეზდი. ისლამური კერამიკის აყვავების ხანად ირანში XII–XVI სს. ითვლება. ამ პერიოდის დაწინაურებული ცენტრებია ქაშანი და რეი [Allan J. 1991: 39-43].

ფაიფურის ფონდში დაცული ირანული კერამიკა თარიღდება XII–XX სს-ით.(ექსპონატების წარმომავლობისა და ასაკის დადგენაში სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად ძალიან დაგვეხმარა ინტერნეტკატალოგები და ალბომები). ჭურჭელი დავაჯგუფეთ მასალისა და დეკორის მიხედვით. აქაა თიხის, ნახევრად ფაიანსისა და ფაიანსის ნაკეთობები. დეკორის მიხედვით გამოიყოფა: ლურჯი, მწვანე ან ფირუზისფერი ჭიქურით დაფარული, ფირუზისფერი ჭიქურის ფონზე შავად ან ლურჯად მოხატული, ან ლუსტრით დაფარულია. სევე ლურჯი კობალტით, ლუსტრით ან ფერადი საღებავებით მოხატული და რელიეფური გამოსახულებებით შემკული ჭურჭელი. მოხატულობის თემატიკა მრავალფეროვანია - გეომეტრიული ორნამენტი (სამკუთხედები, რომბები, კვადრატები, შტრიხები და სხვ.), მცენარეული ორნამენტი, არაბული გრაფიკა, ფრინველები, ცხოველები და ადამიანები, ნადირობისა და მოგზაურობის სიუჟეტები, არაბესკები და სხვ.

ირანული ჭურჭელი ფონდში საკმაოდ ბევრია, მაგრამ, სტატიის მოცულობის სიმცირის გამო, ყოველი ჯგუფიდან წარმოვადგენთ მხოლოდ რამდენიმეს.

ლარნაკი (საინვ. №1-10/252), თიხის (სურ.1), ლურჯად მოჭიქული, სამი სახელურით. შემკულია დიაგონალური ღარებით. ზომა: H - 16 სმ, პირის D - 8 სმ, ძირის D – 7 სმ .დაცულობა - დაზიანებული. დამზადებულია ქაშანში, სავარაუდოდ, XIII – XIV სს-ში.

ჭრაქი (საინვ. №17-42/54),თიხის. (სურ.2), დაბალქუსლიანი, ყურიანი და გრძელტუჩიანი.დაფარულია მწვანე ჭიქურით, რომელზეც შავი საღებავით მანები და სტილიზებული ფრინველებია გამოსახული. ზომა: H – 9,5 სმ, პირის D - 5 სმ, ძირის D – 6 სმ. დაცულობა -კარგი. დამზადებულია ქაშანში, სავარაუდოდ, XIII – XIV სს-ში.

ქოთანი (ლარნაკი) (საინვ. № 27-26/91), თიხის, (სურ.3), ექვსი ყურით. დაფარულია ფირუზისფერი ჭიქურით. მუცელზე გამოსახულია დიაგონალური რელიეფური ხაზები და სტილიზებული გეომეტრიული ორნამენტი. დაფარულია კრაკლეთი. ზომა: H – 30 სმ, პირის D – 19 სმ, ძირის D – 12

სმ. დაცულობა - დაზიანებული. დამზადებულია ქაშანში სავარაუდოდ, XIII ს-ში.

სურა (საინვ. №33-1866/3), თიხის, (სურ.4). დაფარული ფირუზისფერი ჭიქურით. მრგვალი, დაბალი მუცლით, მაღალი ყელით. შემკულია რელიეფური რგოლებით. ზომა: H – 37 სმ, პირის D – 4,5 სმ, ძირის D – 13 სმ. დაცულობა -კარგი. დამზადებულია ქაშანში, სავარაუდოდ, XVIII – XIX სს-ში. შეძენილია ვ. სოლოგუბისაგან.

ნელსურნელების ჭურჭელი (საინვ. № 17-42/55), თიხის. (სურ.5), შესაძლოა, სარიტუალო დანიშნულების. დაფარული ფირუზისფერი ჭიქურით, აქვს ბევრი ხვრელი, სამი პატარა ფეხი. ზომა: H – 7,5 სმ, ძირის D – 7 სმ. დაცულობა - კარგი. დამზადებულია ნიშაპურში XII ს-ში. .ანალოგიური ჭურჭელია ინტერნეტკატალოგში [http://www.mpm.edu/research-collections/artifacts/iranian-ceramics/collection].

ჭრაქი (საინვ. № 7-42/14), თიხის, (სურ.6), ფირუზისფრად მოჭიქული. ზომა: H – 8 სმ, პირის D – 19 სმ, ძირის D – 12 სმ. დაცულობა - დაზიანებული. დამზადებულია ქაშანში, სავარაუდოდ, XII – XIII სს-ში.

ქოთანი ოპიუმის (საინვ. № 1-10/278), პატარა, თიხის (სურ.7), ნახევრად, ფირუზისფერი ჭიქურით არის დაფარული. ზომა: H – 5,5 სმ, პირის D – 2,5 სმ, ძირის D – 2,5 სმ. დაცულობა - დაზიანებული. დამზადებულია ქაშანში, სავარაუდოდ, XII – XIII სს-ში. შეძენილია ა. კაზნაკოვისა და ა.შელკოვნიკოვის მიერ არდებილში.

ქოთანი (საინვ. № 7-42/12), თიხის (სურ.8), ქუსლიანი, განათხარი. დაფარულია ფირუზისფერი ჭიქურითა და მოოქროსფრო-მოვარდისფრო ლუსტრით. ზომა: H – 12 სმ, პირის D – 9 სმ, ძირის D – 7,5 სმ. დაცულობა - დაზიანებული. დამზადებულია, სავარაუდოდ, ნიშაპურში, XII – XIII სს-ში. შეძენილია ა. კაზნაკოვისა და ა.შელკოვნიკოვის მიერ არდებილში.

სურა (საინვ. № 49-1881), თიხის (სურ.9), შემკული ფერადი ჭიქურით. გამოსახულია წერტილოვანი ორნამენტი, კარტუშებში ჩასმული მცენარეები, ფრინველები და მანები. ზომა: H –28 სმ, პირის D – 4,5 სმ, ძირის D –7 სმ. დაცულობა - კარგი. დამზადებულია ქაშანში, სავარაუდოდ, XVIII - XIX სს-ში.

ყალიონის ჭურჭელი (საინვ. № 1-10/171), თიხის (სურ.10), ლურჯ ფონზე ფერადი მოხატულობა – ოთხ კარტუშში ლომი, ადამიანი, ფრინველები და მცენარეებია. ზომა: H – 27 სმ, პირის D – 6,5 სმ, ძირის D – 13 სმ. დაცულობა - კარგი. დამზადებულია, სავარაუდოდ, XVIII – XIX სს-ში. შეძენილია ა. კაზნაკოვისა და ა.შელკოვნიკოვის მიერ არდებილში.

ყალიონის ჭურჭელი (საინვ. № 1-10/169), თიხის (სურ.11), განიერი ყელით, დაფარული ფირუზისფერი ჭიქურით, რელიეფური ზოლებით. ზომა: H – 23,5 სმ, პირის D – 6,5 სმ, ძირის D – 11 სმ. დაცულობა - დაზიანებული. დამზადებულია, სავარაუდოდ, XVII – XVIII სს-ში. შეძენილია ა. კაზნაკოვისა და ა.შელკოვნიკოვის მიერ არდებილში.

ყალიონის ჭურჭელი (საინვ. № 36-81/6), თიხის (სურ.12). მოუჭიქავი თიხის ფონზე ფერადი ჭიქურით წერტილოვანი ორნამენტია გამოსახული: სამკუთხედები, მანები და სხვა სტილიზებული ორნამენტი. ზომა: H – 25 სმ, პირის D – 6 სმ, ძირის D – 12 სმ. დაცულობა - კარგი. დამზადებულია,

სავარაუდოდ, ქაშანში XVIII– XIX სს-ში. ნაყიდია არდებილის ბაზრობაზე.

ლარნაკი (საინვ. № 57-09), თიხის (სურ.13), მოხატული თეთრი და ყავისფერი მცენარეული ორნამენტით. ზომა: H – 11 სმ, პირის D – 9 სმ, ძირის D – 9 სმ. დაცულობა -კარგი. დამზადებულია ქაშანში, XV-XVI სს-ში. ნაყიდია ჰაჯი ნაბისაგან თავრიზში. ანალოგიური ჭურჭელია ინტერნეტკატალოგში [https://www.google.ge/search?q=Rietz+Collection+of+Persian+Ceramics].

ლარნაკი (საინვ. № 1-26/27), თიხის (სურ.14), ოთხყურა, რძისფერ ფონზე შავი და ლურჯი სტილიზებული მცენარეული ორნამენტით. ზომა: H – 18 სმ, პირის D – 13,5 სმ, ძირის D – 13 სმ. დაცულობა - ოდნავ დაზიანებული. დამზადებულია ქაშანში, სავარაუდოდ, XV – XVI სს-ში.

თეფში (საინვ. № 25-85/2), ნახევრად ფაიანსის (სურ.15), ფირუზისფერ ფონზე შავი მცენარეული ორნამენტია გამოსახული.დაფარულია დეკორატიული ბზარებით. ზომა: პირის D – 21 სმ. ძირის D – 12 სმ. დაცულობა - დაზიანებული.დამზადებულია ირანში, სავარაუდოდ ქაშანში, XVIII - XIX სს-ში. ჩამოტანილია ხუნძახიდან (დაღესტანი).

თეფში (საინვ. № 1-10/265), ნახევრად ფაიანსის (სურ. 16), ფირუზისფერი ჭიქურის ფონზე შავი სტილიზებული მცენარეული ორნამენტია. ზომა: პირის D – 16 სმ. დაცულობა – კარგი. დამზადებულია ქაშანში, სავარაუდოდ, XVII - XVIII სს-ში. შეძენილია ა. კაზნაკოვისა და ა.შელკოვნიკოვის მიერ არდებილში.

თეფში (საინვ. № 8-34/3), ნახევრად ფაიანსის (სურ.17). ფირუზისფერი ჭიქურის ფონზე შავი საღებავით მცენარეებია გამოსახული. ზომა: პირის D – 20 სმ. დაცულობა - დაზიანებული.დამზადებულია ქაშანში, სავარაუდოდ, XVII - XVIII სს-ში. ჩამოტანილია ყუბაჩიდან. ნაყიდია ჯალილ იბრაგიმოვისაგან.

ბადია (საინვ.№ 57-09/1), ფაიანსის (სურ. 18), ქუსლიანი. მოხატულია რძისფერი, ყავისფერი, ლურჯი და სალათისფერი საღებავებით. ნაპირს შიდა მხრიდან სალტედ შემოსდევს არაბესკა მაიმუნებისა და ჩიტების გამოსახულებებით. მის ქვემოთ, რძისფერ ფონზე, ნახევრად გამჭვირვალე ჯვრებია გამოყვანილი. ბადიის ცენტრში, ლურჯ ფონზე, თეთრი სტილიზებული მცენარეა. ბადიის კედლებზე, როგორც შიდა მხრიდან, ისე გარედან, კვადრატებია გამოსახული, ზოგი რომბებადაა დაშტრიხული, დანარჩენ კვადრატებში კი შიდა მხარეს - ყვავილები, გარედან კი ფრინველთა გამოსახულებებია. ბადიის გარეთა ნაპირი მოხატულია ფრინველთა, ცხოველთა და მცენარეთა ფიგურებით. ბადიის ძირზე ყვავილია მოცემული. ზომა: H – 12 სმ, პირის D – 20 სმ, ძირის D – 10,5 სმ. დაცულობა – დაზიანებული. სავარაუდოდ, ბადია ქაშანშია დამზადებული XVII – XVIII სს-ში. ნაყიდია ხაჯი ნაბისაგან თავრიზში.

აღსანიშნავია, რომ ირანული კერამიკის დეკორში ხშირია ჯვრის, კვადრატის, რომბისა და სამკუთხედების გამოსახულებები. ჯერ კიდევ არქაულ პერიოდში ცენტრალური და წინა აზიის ხალხების, მათ შორის, ირანელების რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ჯვარი და კვადრატი (კვადრატი ჯვრის სიმბოლური ანალოგია), ოთხი სტიქიის - მზის, ცეცხლის, ქარისა და წყლის სიმბოლოებად ითვლებოდა, რომბი და სამკუთხედი

კი ვულვის გრაფიკული გამოსახულება იყო. ცნობილია, რომ ვულვა ნაყოფიერებას, გამრავლებას უკავშირდება [Юнг К. 1991: 55]. შემდგომ პერიოდში ამ სიმბოლოებს თუმცა გამოსახავდნენ, მაგრამ არა ძველებური დატვირთვით, რადგან ისინი თანდათან მიივიწყეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუზეუმში დაცულ ბადიას არაბესკაც ამშვენებს. არაბესკა ეფუძნება ორნამენტის ერთი ან რამდენიმე ფრაგმენტის გამეორება-გამრავლებას. ეს ჯაჭვი ნებისმიერ წერტილში შეიძლება შეწყდეს ან გაგრძელდეს. არაბესკა გამორიცხავს ფონს, რადგან ერთი ორნამენტი ისეა ჩაქსოვილი მეორესთან, რომ სიცარიელე აღარ რჩება. არაბესკას მუსლიმურ ორნამენტსაც უწოდებენ.

ლარნაკი (საინვ. № 1-10/250), ნახევრად ფაიანსი (სურ.19), მუცელგანიერი. რძისფერ ფონზე ლურჯი და შავი საღებავებით მთები და ხეებია გამოსახული. ნაწილობრივ კრაკლეთია დაფარული. ზომა: H – 23,5 სმ, პირის D – 10 სმ, ძირის D – 10,5 სმ. დაცულობა -კარგი. დამზადებულია, სავარაუდოდ, XVIII – XIX სს-ში. შეძენილია ა. კაზნაკოვისა და ა.შელკოვნიკოვის მიერ არდებილში.

ლარნაკი (საინვ. № 17-42/38), ფაიანსის (სურ.20), სტილიზებული ყურებით, მუცელგანიერი. მოხატულია პოლიქრომული საღებავებით. ლარნაკზე გამოსახულია ყვავილები და მცენარეები, აგრეთვე სტილიზებული მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტი. მუცელი ლურჯი ვერტიკალური ზოლებით ოთხ სეგმენტადაა გაყოფილი. ორ სეგმენტში, ყვავილების ფონზე, ახალგაზრდა ქალისა და ჭაბუკის გამოსახულებებია, დანარჩენ ორში კი – მხოლოდ ყვავილების. ლარნაკის ყურებზე მზის სტილიზებული გამოსახულებაა. ზომა: H – 24 სმ, პირის D – 7,5 სმ, ძირის D – 9 სმ. დაცულობა -კარგი. დამზადებულია, სავარაუდოდ, XVIII – XIX სს-ში.

ლამფის ტანი (საინვ. № 30-1999/16), ფაიანსის (სურ. 21). მოხატულობა ჭიქურქვედაა. ლურჯ ფონზე, პოლიქრომული საღებავებით ერთმანეთის პირისპირ ორი მხედარია გამოსახული. მათი პოზითა და სახის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი შებრძოლებას აპირებენ. ზომა: H – 12 სმ, პირის D – 11 სმ, ძირის D – 9 სმ. დაცულობა - გაბზარული. დამზადებულია, სავარაუდოდ, XVIII სს-ში.

დოქი (საინვ.№ 1-10/256), ნახევრად ფაიანსის (სურ.22), მაღალი ყელით, რელიეფური რგოლებით. დოქზე ფერადი ყვავილებია გამოსახული. მოხატულობა პოლიქრომულია, ნაწილობრივ ჭიქურქვედა (ლურჯი კობალტი), ნაწილობრივ – ჭიქურზედა. ზომა: H – 34 სმ, პირის D – 2 სმ, ძირის D – 8 სმ. დაცულობა -კარგი. დამზადებულია, სავარაუდოდ, XVIII – XIX სს-ში. შეძენილია ა. კაზნაკოვისა და ა.შელკოვნიკოვის მიერ არდებილში.

ყალიონის ჭურჭელი (საინვ. № 33-26/7), ფაიანსის (სურ.23). ყელი ბოლოვდება თითბრის დეტალით, რომელიც წამოცმულია მასზე. თეთრ ფონზე ვარდისფერი საღებავით მცენარეული ორნამენტია გამოსახული. მრგვალ, მცენარეული ორნამენტით შემკულ ჩარჩოებში კი შენობები ან სპარსულენოვანი წარწერებია: "დამზადებულია საფარის თვეში 1282 წელს... ოსტატი ალის ნამუშევარი" (არაბული მთვარის კალენდრის მიხედვით საფარის თვე მეორე თვეა. ჰიჯრის 1282 წელი კი ქრისტიანული წელთაღრიცხვის 1867 – 1868 წლებს შეესაბამება. - მ.ა.). ზომა: H – 23 სმ, პირის D – 5,6 სმ,

ძირის D – 11,5 სმ. დაცულობა -კარგი. მირზოევის კოლექციიდან. (*წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი ყველა სპარსული წარწერა წაიკითხა ირანისტმა, ეროვნული მუზეუმის თანამშრომელმა მალხაზ არჩვაძემ).*

დერვიშის ჭურჭელი (საინვ. № 73-11/4), ფაიანსის (სურ.24), ოვალური, მრგვალი ძირით. თეთრ ფონზე ფერადი საღებავებით ადამიანები და სპარსული წარწერაა გამოსახული. გაყრილი აქვს ჯაჭვი, როგორც ჩანს ხელზე ჩამოსაკიდებლად. დერვიშები – მოხეტიალე, უპოვარი მუსლიმი ბერები, ხალხის მოწყალებით ცხოვრობდნენ. იყვნენ სუფიზმის მიმდევრები. ჭურჭელზე არსებული სპარსული წარწერა ცნობილი ირანელი პოეტის, შეიხ ბაჰაის (1547-1621) ორი ბეითია (აღმოსავლური სალექსო ფორმა, ორსტრიქონედი), რომლებიც ქართულად ასე ჟღერს: 1.“სელი და სიასამურის ბეწვი მეჯავრება, კვლავ დერვიშის ტანისამოსისკენ მიმიწევს გული“ 2. “ჩემი გული ქონებაზე ფიქრით დაიღალა, ძალიან კარგია *ხერყე* (დერვიშის სამოსი). ზომა: H – 9 სმ, პირის L – 11 სმ, ძირის W – 6 სმ. დაცულობა - კარგი. დამზადებულია, სავარაუდოდ, XVIII - XIX სს–ში. კავკასიის მუზეუმში მიღებულია ვინმე დიტერიხსისაგან.

ჯამი ხუფით (საინვ. № 33-26/137), ფაიანსის (სურ.25). ჯამი რამდენიმე განყოფილებისგან შედგება. ყავისფერ ფონზე ლურჯი ყვავილებია გამოსახული. მოხატულობა ჭიქურქვედაა. სავარაუდოდ, ეს ჭურჭელი, სუფრაზე სხვადასხვა საკმაზის მისატანად იყო განკუთვნილი. ძირზე სპარსულენოვანი წარწერა აქვს. დამზადების თარიღია ჰიჯრით 1286 წელს, რაც ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1869 –1870 წლებს შეესატყვისება. ზომა: H ხუფიანად – 9,5 სმ, H უხუფოდ 4,5 სმ, პირის D – 16,5 სმ, ძირის D – 11 სმ. დაცულობა - კარგი. დამზადებულია, სავარაუდოდ, ნიშაპურში. (ანალოგიური ჭურჭელია ინტერნეტკატალოგში). [http://www.ebay.com/sch/i.html?–nkw=persian+pottery].

ბადია ხუფით (საინვ. № 73-11/1), ფაიანსის (სურ.26). მოხატულია შავი, ყავისფერი და ლურჯი საღებავებით. შიდა მხარეს, ბადიის ცენტრში, კაცის გამოსახულებაა, რომელსაც ხელში წერაქვის მსგავსი იარაღი უჭირავს. ასევე გამოსახულია რამდენიმე ჯიხვი, ყვავები, წერო და მცენარეული ორნამენტი. ბადიის გარეთა მხარე რელიეფური დეკორითაა შემკული. მონაცრისფრო ფონზე გამოსახულია კარტუშებში ჩასმული ლარნაკები ყვავილებით. ზომა: H – 10,5 სმ, პირის D – 21 სმ, ძირის D – 10,5 სმ. დაცულობა - ბადია დაზიანებულია, ნაპირი აქვს ჩამომტვრეული.

ბადიას გუმბათისებური ხუფი აქვს, რომელიც გარეთა მხრიდან, მონაცრისფრო ჭიქურის ფონზე, მთლიანად რელიეფური დეკორითაა დაფარული. გამოსახულია მოგზაურობის სცენა – ქალი და მამაკაცი ხის ქვეშ ისვენებენ. მამაკაცს ხელში მჯდომარე აქლემის აღვირი უჭირავს. აქვეა გამოსახული მაიმუნი, დედალ-მამალი შველი, ფოცხვერი, აფთარი, კურდღელი, ფარშევანგი და სხვა ფრინველები. ხუფი დაზიანებულია. დამზადებულია ირანში, სავარაუდოდ, XVII – XVIII სს-ში. ბადია კავკასიის მუზეუმში ვინმე დიტერიხსისაგანაა მიღებული.

ლარნაკი (საინვ. № 1-10, 27-26/64), ფაიანსის (სურ.27), ოთხყურა (ერთი ყური მოტეხილი აქვს). ნაცრისფერ ფონზე ლურჯი რელიეფური ყვავილოვანი ორნამენტია გამოყვანილი. ლარნაკის პირი გადმოწეული და დაკ-

ბილულია. ლარნაკის ძირზე, დამლის ადგილზე, ლურჯი მცენარეული ორნამენტია გამოსახული. ზომა: H – 19 სმ, პირის D –15 სმ, ძირის D – 13,5 სმ. დაცულობა - დაზიანებული. დამზადებულია, სავარაუდოდ, XVII – XVIII სს- ში.

ფაიფურის ფონდში ინახება გვიანი ფეოდალური ხანის ირანული ლუსტრიანი კერამიკის ნიმუშები. ლუსტრი ეწოდება ჭიქურს ან პიგმენტს, რომელიც გოგირდის, კალის, ტყვიის, სპილენძისა და ვერცხლის ოქსიდების გამოყენებით მზადდება. ლუსტრი ეგვიპტეში გამოიგონეს IX ს–ში. ირანში ლუსტრიანი კერამიკის წარმოება იწყება XII ს–დან. ამ პერიოდში ლუსტრიანი კერამიკის ცენტრები იყო ქაშანსა და რეიში, შემდეგ, XIII – XIX სს–ში ლუსტრიანი კერამიკის დამზადება დაიწყეს ისპაჰანში, ქერმანში, თავრიზში, გორგანსა და სხვ. [Квирквелиа Г. 1971: 154 – 156].

ლუსტრის საღებავი ფუნჯის საშუალებით გადაჰქონდათ უკვე მოჭიქული და გამომწვარი კერამიკის ზედაპირზე და შემდეგ ხელმეორედ გამოწვავდნენ. ფიქრობენ, რომ ლუსტრის გამოგონება და მისი გამოყენება კერამიკის ნაკეთობების დეკორში გამოწვეული იყო იმით, რომ ისლამური რელიგია კრძალავდა ძვირფასი ლითონისაგან (ოქრო, ვერცხლი) დამზადებული ჭურჭლის მოხმარებას. ლუსტრით დაფარული ან მოხატული ჭურჭელი კი ლითონისას წააგავს და თანაც სადაფივით ბზინავს. [Watson O. 1974: 37].

ფაიფურის ფონდში წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმის ლუსტრიანი ლარნაკები, ნელსურნელებისა და ყალიონის ჭურჭელი, ასევე თასი. ჭურჭლის უმრავლესობა დაფარულია თეთრი, რძისფერი და ლურჯი ჭიქურით. მოხატულია მცენარეული მოტივებით – ასკილის, იასამნისა და მიხაკის ფოთლებითა და ყვავილებით. ჭურჭელზე გამოსახულია აგრეთვე ცხოველები და ფრინველებიც: ლომი, ტახი, შველი, კურდღელი, თხა, წერო, არწივი, იხვი, ფარშევანგი, ყანჩა და პელიკანი. ორნამენტული მოტივებით და ლუსტრის ფერით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ნივთები დამზადებულია ისპაჰანში, ქაშანსა და თავრიზში. ისინი ფაიანსის ან ნახევრად ფაიანსისაა. მათზე გამოსახული ორნამენტული მოტივები კი სხვადასხვა ფერის ლუსტრითაა მოხატული. მათი უმრავლესობა XVIII ს–შია დამზადებული, დანარჩენი კი XIX ს–ის ნიმუშებია [Квирквелиа Г. 1971: 158 – 160].

ლარნაკი (საინვ.№ 57-09, 5-09/422), ნახევრად ფაიანსის (სურ.28), მუცელგანიერი, ნაცრისფერ ფონზე ყავისფერი ლუსტრის საღებავით მოხატული. გამოსახულია ყვავილები, მცენარეები, ლომი და შველი. ზომა: H – 15 სმ, პირის D – 9 სმ, ძირის D – 10 სმ. დაცულობა - დაზიანებული. დამზადებულია ქაშანში, სავარაუდოდ, XVIII – XIX სს–ში. შემოწირულია ა. კაზნაკოვის მიერ.

ლარნაკი–სურა (საინვ. № 88-11/1), ფაიანსის (სურ.29), ოქროსფერი ლუსტრით დაფარული. ზომა: H – 16,5 სმ, პირის D – 2,5 სმ, ძირის D – 6,5 სმ. დაცულობა - ოდნავ დაზიანებული. დამზადებულია, სავარაუდოდ, ქაშანში, XVIII–XIX სს–ში. შემოწირულია ა. კაზნაკოვის მიერ.

ლარნაკი (საინვ.№ 88-11/2), ფაიანსის(სურ.30), მრგვალი მუცლით, მაღალი ყელით, გადაშლილი პირით. ლურჯ ფონზე ყავისფერი ლუსტრით გამოსახულია მცენარეები, ყვავილები, მელია და პელიკანი. ზომა: H – 19,5

სმ, პირის D – 6,5 სმ, ძირის D – 7 სმ. დაცულობა – კარგი. ლურჯი ჭიქურით დაფარული და მწვანე და ყავისფერი ლუსტრით მოხატული ჭურჭელი დამახასიათებელია ისპაჰანური კერამიკისთვის, ვფიქრობთ ჩვენი ლარნაკიც ისპაჰანში უნდა იყოს დამზადებული, სავარაუდოდ, XIX ს–ში.

ლარნაკი (საინვ.№ 98-11/2), ფაიანსი (სურ.31), მუცელგანიერი. თეთრ ფონზე ყავისფერი ლუსტრით მცენარეები და აქლემებია გამოსახული. ზომა: H – 12 სმ, პირის D – 5,5 სმ, ძირის D – 6,5 სმ. დაცულობა – ოდნავ დაზიანებული. დამზადებულია ქაშანში XIX ს-ში. შეძენილია ა. კაზნაკოვის მიერ.

ლარნაკი (საინვ. № 1-26/28), ფაიანსის (სურ.32), მაღალყელიანი, მუცელგანიერი, თეთრ ფონზე მოოქროსფრო–ხაკისფერი ლუსტრით, ყელზე გამოსახულია ვერტიკალური ზოლები და წერტილები, მუცელზე კი – მცენარეები, შველი და პელიკანი. ზომა: H – 16,5 სმ, პირის D – 3,5 სმ, ძირის D – 6,5 სმ. დაცულობა – კარგი.დამზადებულია ქაშანში XVIII ს–ში.

ფაიფურის ფონდშივეა ფაიანსის ჭურჭელი, რომელიც დეკორით ჩინურ ფაიფურს წააგავს. ირანში ურიცხვი ჩინური საქონელი შემოდიოდა სახმელეთო საქარავნო „დიდი აბრეშუმის გზით“, რომელიც თავრიზის გავლით ჩინეთს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან აკავშირდებდა. XIII ს–ში ჩინეთიდან ირანში ათასობით მეფაიფურე გადასახლდა. შაჰ-აბასიც (1585-1627) იმდენად იყო დაინტერესებული ჩინური ფაიფურით, რომ ისპაჰანში კომპაქტურად ჩაასახლა ფაიფურის ჩინელი ოსტატები, 1611 წელს კი ქალაქ არდებილში, სპეციალურ შენობაში, რომელსაც "ჩინე-ხანე" (ჩინური სახლი) დაარქვეს, შეგროვდა ჩინური ფაიფურის უზარმაზარი კოლექცია. ჩინური ფაიფური ირანში ძალინ მოსწონდათ და ძალიან ძვირიც ღირდა. ამიტომ ირანელი კერამიკოსები ცდილობდნენ, თავიანთი ნაწარმი ჩინურისთვის მიემსგავსებინათ. ჩინური ფაიფურის ზეგავლენა ირანულ ფაიანსზე განსაკუთრებით ნათლად ჩანს XVI – XVIII სს–ში. ამ პერიოდში ირანული ფაიანსის დეკორირების ერთ-ერთი მიმართულება ჩინური ფაიფურის მოხატულობის მიბაძვაში გამოიხატებოდა. XVII ს–ის 40–იან წლებში ჩინეთში სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი იყო, რამაც გამოიწვია ჩინეთსა და დასავლეთ ევროპას შორის ვაჭრობის შემცირება. ამ პერიოდში ჰოლანდიელი და ინგლისელი ვაჭრები ირანელ ხელოსნებს უკვეთავდნენ და ყიდულობდნენ მათგან ჩინურის მიბაძვით დამზადებულ ჭურჭელს, რომელიც ევროპაში გაჰქონდათ და ჩინურად ასაღებდნენ. ამ ტიპის „ფაიფურით“ გამოიირჩეოდა კერამიკის ცენტრები – იეზდი, მეშხედი და ქერმანი. ჩინური ტიპის ირანული ფაიანსის მოხატულობის თემატიკა მრავალფეროვანია. აქაა ჩინური ნაწარმიდან გადმოღებული მცენარეული და გეომეტრიული მოტივები (განსაკუთრებით, *მეანდრი*), პეიზაჟები, ადამიანთა, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებები, ვხვდებით დრაკონსაც. ძალიან ხშირად ირანული ფაიფურისა და ფაიანსის ნივთებს ძირზე აქვს ჩინური იეროგლიფის მსგავსი დამღა, რომელიც წრეში ან კვადრატშია ჩასმული [Арапова Т., Рапопорт И. 1971: 25-30].

ჩინური ტიპისაა ფაიფურის ფონდში დაცული ირანული ფაიანსის ჭურჭლის ერთი ჯგუფი. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

ბადია (საინვ. № 51-10/6), ნახევრად ფაიანსის (სურ.33), მომწვანო-ცის-

ფერ ფონზე ლურჯი წერტილებითა და ყავისფერი ყვავილებით შემკული. შიდა მხრიდან დეკორატიული ბზარებით – კრაკლეთია დაფარული. ძირზე ლურჯი საღებავით იეროგლიფის მსგავსი დამღაა გამოსახული. ზომა: H – 7,5 სმ, პირის D – 17,5 სმ, ძირის D – 7 სმ. დაცულობა - კარგი. დამზადებულია ქაშანში, სავარაუდოდ, XVIII - XIX სს-ში. ნაყიდია ისა გაჯიევისაგან.

ბადია (საინვ. № 30-1999/20), ფაიანსის, (სურ.34), ქუსლიანი, შიგნით - თეთრი, გარედან – თეთრზე ლურჯი ორნამენტით, ძირზე დამღით – დაშტრიხული კვადრატით. ესაა ჩინურს მიმსგავსებული ირანული ნაწარმი. ზომა: H – 8 სმ, პირის D –16 სმ, ძირის D – 8,5 სმ. დაცულობა - კარგი. დამზადებულია ირანში, სავარაუდოდ, XIX ს-ში.

ლარნაკი (საინვ. № 1-10/249), ნახევრად ფაიანსის (სურ.35). ფირუზისფრად მოჭიქული. ლარნაკზე ნადირობის სცენაა წარმოდგენილი – მონადირე მშვილდს ესვრის დრაკონს. აქვეა გამოსახული სხვადასხვა მცენარე. დეკორი რელიეფურია. ამასთანავე, ყოველი გამოსახულების კონტურები შავი საღებავითაა გაკეთებული, თვითონ გამოსახულებები კი ნაწილობრივ თეთრია. ზომა: H – 27,5 სმ, პირის D – 11 სმ, ძირის D – 12 სმ. დაცულობა -კარგი. დამზადებულია, სავარაუდოდ, XVIII – XIX სს-ში. შეძენილია ა. კაზნაკოვისა და ა.შელკოვნიკოვის მიერ არდებილში.

ბადია (საინვ. № 33-26/51), ფაიანსის (სურ.36). გარედან მთლიანად და შიგნიდან ნაწილობრივ ფერადი საღებავებით მოხატული. მოხატულობა ჭიქურზედაა. შიდა მხარეს, ცენტრში, კაცის პორტრეტია, გარედან კედლებზე, ყვავილების ფონზე, ჩინელი ქალები არიან გამოსახულნი. ესაა ჩინურს მიმსგავსებული ირანული ნაწარმი. ამაზე მეტყველებს მისი ჩინურ ნაკეთობასთან შედარებით დაბალი ხარისხიც. ზომა: H – 8,5 სმ, პირის D – 20სმ, ძირის D –9,5 სმ. დაცულობა - ოდნავ დაზიანებული. დამზადებულია სავარაუდოდ XIX ს-ში.

თეფში (საინვ. .№ 8-34/4), ღრმა, ფაიანსის (სურ.37), თეთრ ფონზე შავი და ნაცრისფერი საღებავებით მცენარეების ფონზე, შველია გამოსახული. ზომა: D – 23 სმ. დაცულობა - დაზიანებული. დამზადებულია ირანში, სავარაუდოდ, XVII - XVIII სს-ში. ჩამოტანილია ყუბაჩიდან. ნაყიდია ჯალილ იბრაგიმოვისაგან.

თეფში (საინვ. № 1-10/268), ფაიფურის (სურ.38), თეთრ ფონზე ფერადი ყვავილებია გამოსახული. მოხატულობა ჭიქურზედაა. ზომა: D – 24 სმ. თეფშის მოხატულობაში აშკარად ჩანს ჩინური ზეგავლენა. დაცულობა - დაზიანებული. დამზადებულია, სავარაუდოდ, XVIII – XIX სს-ში. შეძენილია ა. კაზნაკოვისა და ა.შელკოვნიკოვის მიერ არდებილში.

ბადია (საინვ. № 33-26/82), ფაიანსის (სურ.39). ჭიქურქვედა მოხატულობით. თეთრ ფონზე ლურჯი კობალტის საღებავით გამოსახულია მცენარეები, ყვავები, პელიკანები, პაგოდას (ჩინური სახლი) ტიპის შენობები და კარტუშებში ჩასმული გამჭვირვალე ჯვრები. ბადიის დეკორი ჩინური სტილითაა შესრულებული – ჰგავს ჩინურ ე.წ. ლურჯ-თეთრ ფაიფურს, პაგოდაც ჩინურიდანაა გადმოსული. ძირზე აქვს სპარსულენოვანი წარწერა. მასში აღნიშნულია თარიღი ჰიჯრის 1244 წელი რაც ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1828 – 1829 წლებს შეესაბამება. აქვე ნახსენებია ვინმე ალი. ზომა: H – 9,5 სმ, პირის D –23 სმ, ძირის D – 11 სმ.

დაცულობა - კარგი. სავარაუდოდ, XVIII – XIX სს-შია დამზადებული.

ფარშევანგის ფიგურა (საინვ. № 55-02), ფაიანსის (სურ.40). დგას სამ ფეხზე და ლურჯად, შავად და თეთრადაა მოხატული. ზომა: H - 21,5სმ, L – 14 სმ. დაცულობა – დაზიანებული. გვირგვინი და ნისკარტი მომტვრეულია. დამზადებულია, სავარაუდოდ, ქაშანში XVIII – XIX სს-ში.

ცხვრის ფიგურა (საინვ. № 7-1880), ფაიანსის (სურ.41). თეთრ ფონზე ლურჯად და შავად მოხატული. ზომა:H – 13 სმ, L – 15 სმ. დაცულობა - დაზიანებული. დამზადებულია, სავარაუდოდ, ქაშანში, XVIII – XIX სს-ში. ნაყიდია გ. რადეს მოგზაურობის დროს ენზელსა და რეშტში.

როგორც კვლევამ აჩვენა, ფაიფურის ფონდში შუაისლამური (XII – XV სს.), გვიანისლამური (XVI – XVIIIს ს.) და თანამედროვე (XIX-XX სს-ის) კერამიკაა. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმის ლარნაკები, ნელსურნელებისა და ყალიონის ჭურჭელი, ჭრაქები, სურები, თეფშები, ბადიები, ლარნაკები, დერვიშის ჭურჭელი და სხვ. ისინი დამზადებულია თიხის, ნახევრად ფაიანსის, ფაიანსისა და ფაიფურისაგან. დეკორის მიხედვით გამოიყოფა: ფირუზისფერი ჭიქურით დაფარული, ფირუზისფერი ჭიქურის ფონზე შავად ან ლურჯად მოხატული, ლუსტრით დაფარული, ლურჯი კობალტით, ლუსტრით ან ფერადი საღებავებით მოხატული, ასევე რელიეფური გამოსახულებებით შემკული ჭურჭელი. ცალკე ჯგუფად გამოიყო ჩინური ტიპის ირანული ფაიანსები.

ეს ექსპონატები მუზეუმში შემოსულია შესყიდვის ან შემოწირულობის გზით. ნივთების ნაწილი თბილისშია ნაყიდი ან უსასყიდლოდ მიღებული კერძო პირებისაგან. საკმაოდ ბევრი ნივთი ირანშია შეძენილი ალექსანდრე კაზნაკოვის, ალექსანდრე შელკოვნიკოვისა და გუსტავ რადეს მიერ არდებილში, თავრიზში, ისპაჰანში, ენზელსა და რეშტში მოგზაურობის დროს. როგორც ვნახეთ ფონდშია დაღესტნის სოფელ ყუბაჩიში შეძენილი ირანული ჭურჭელიც. ცნობილია, რომ “დიდი აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი განშტოება კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს მიუყვებოდა და დერბენდისა და იჩერი შეხერის გავლით ირანში (არდებილი, თავრიზი და სხვ.) მიდიოდა. სავარაუდოდ, სწორედ ამ გზის მეშვეობით აღმოჩნდა დაღესტანში ირანული კერამიკა.

ფონდში არსებული ირანული მასალა სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ, დაინტერესებულ პირს წარმოდგენა შეექმნას, ზოგადად ირანული კერამიკის ჭურჭელზე, მის ტიპებსა და სახეობებზე, იქნება ეს თიხა, ფაიანსი თუ ნახევრად ფაიანსი.

**Marine Bokuchava**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Muzeum
3, Rustaveli Ave, 0105 Tbilisi, Georgia,
E-mail:marinaboku@yahoo.com

# Iranian Ceramics
## (Based on the Porcelain Fund Material of the Simon Janashia Georgian Museum)

### Summary

Ceramic industry is one of the most wide spread and developed branches of Iranian art. It illustrates both – material and spiritual culture of Iranian people. On the one hand ceramic is utilitarian and on the other hand sacral. It is a kind of amulet that unites elements of sculpture and painting in itself. All cultural or historical processes, which took place in Iran, were reflected on ceramics whether painting style was creating or methods of ceramics production.

Persian history and culture are divided into two periods – before Islam and after Islam. The same concerns ceramics. Iranian Islamic ceramics is divided into four periods : post-Sassanian (or early Islamic the $9^{th}$-$10^{th}$ cc), middle Islamic (the $11^{th}$ – $15^{th}$ cc), late Islamic (the $16^{th}$-$18^{th}$ cc), and modern (the $19^{th}$-$20^{th}$ cc).

Iranian ceramics kept in the fund of Simon Janashia Georgian Museum is dated back to the $11^{th}$ – $19^{th}$ centuries. There are represented vases of various forms, tableware for perfume and smoking pipes, bowls, plates, dervish's dishes, etc. They are made of clay, half- Fritware, and porcelain. Several types of decoration can be distinguished: with turquoise colored enamel, painted in black or red on turquoise background, also covered with luster or painted with luster, cobalt or diffe Fritware rent colors. Several ceramics have reliefs. These exhibits were purchased by the museum or were donated to it.

### ბიბლიოგრაფია

**Арапова Т. В., Рапопорт И.В., 1971:** К истории культурных связей Ирана и Китая в XVI - начале XVIII вв. Искусство и археология Ирана *(*Сб. материалов Всесоюзной конференций *1969),* ст.25-41.Москва, (ред. Карпова Н.К.).

**Квирквелиа Г. Г. 1971:** Иранская люстровая керамика XVIII-XIX вв. (по материалам Государственного музея Грузии). Искусство и археология Ирана (Сб. материалов Всесоюзной конференций *1969),* ст.154-163.Москва, (ред.

Карпова Н.К.).

**Николаева Т. Ю. 2011:** Традиционное искусство иранской керамики как текст культуры, диссертация на соискание учённой степени доктора икусствовоедчкских наук. Москва.

**Юнг К .Г. 1991.** Архетип и символ. Москва.

**Allan J**. **1991:** *Islamic Ceramic.* London.

**Lane A**. **1956:** *Islamic Pottery from the Ninth to the Fourteenth Centuries.* London.

**Lane A. 1965:** *Early Islamic Pottery*. London.

**Watson O**. **1974:***Persian luster-painted pottery: The Rayy and Kashan styles*. London.

http://www.mpm.edu/research-collections/artifacts/iranian-ceramics/collection--Iranian Ceramics Assemblages Represented in the Milwaukee Public Museum. https://www.google.ge/search?q=Rietz+Collection+of+Persian+Ceramics – Rietz Collection of Persian Ceramics.

http://www.ebay.com/sch/i.html?_nkw=persian+pottery – Persian Pottery, ebay.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** ლარნაკი
**სურ. 2.** ჭრაქი
**სურ. 3.** ქოთანი
**სურ. 4.** სურა
**სურ. 5.** ნელსურნელების ჭურჭელი
**სურ. 6.** ჭრაქი
**სურ. 7.** ოპიუმის ქოთანი
**სურ. 8.** ქოთანი
**სურ. 9.** სურა
**სურ. 10.** ყალიონის ჭურჭელი
**სურ. 11.** ყალიონის ჭურჭელი
**სურ. 12.** ყალიონის ჭურჭელი
**სურ. 13.** ლარნაკი
**სურ. 14.** ლარნაკი
**სურ. 15.** თეფში
**სურ. 16.** თეფში
**სურ. 17.** თეფში
**სურ. 18.** ბადია
**სურ. 19.** ლარნაკი

**სურ. 20.** ლარნაკი
**სურ. 21.** ლამფის ტანი
**სურ. 22.** დოქი
**სურ. 23.** ყალიონის ჭურჭელი
**სურ. 24.** დერვიშის ჭურჭელი
**სურ. 25.** ჯამი ხუფით
**სურ. 26.** ბადია ხუფით
**სურ. 27.** ლარნაკი
**სურ. 28.** ლარნაკი
**სურ. 29.** ლარნაკი
**სურ. 30.** ლარნაკი
**სურ. 31.** ლარნაკი
**სურ. 32.** ლარნაკი
**სურ. 33.** ბადია
**სურ. 34.** ბადია
**სურ. 35.** ლარნაკი
**სურ. 36.** ბადია
**სურ. 37.** თეფში
**სურ. 38.** თეფში
**სურ. 39.** ბადია
**სურ. 40.** ფარშევანგის ფიგურა
**სურ. 41.** ცხვრის ფიგურა

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.V**ase
**Fig. 2.** Vessel with candelwick
**Fig. 3.** Pot
**Fig. 4.** Jug
**Fig. 5.** Vessel for incense
**Fig. 6**. Wick lamp
**Fig. 7.** Opium pot
**Fig. 8.** Pot
**Fig. 9**. Jug
**Fig.10**. Tobacoo-pipe
**Fig**.**11.** Tobacoo-pipe
**Fig.12.** Tobacoo-pipe
**Fig. 13**. Vase

**Fig. 14.** Vase
**Fig. 15.** Plate
**Fig. 16**. Plate
**Fig. 17.** Plate
**Fig. 18.** Bowl
**Fig. 19**. Vase
**Fig. 20.** Vase
**Fig. 21**.Lamp body
**Fig. 22**. Tobacoo-pipe
**Fig. 23**. Bowl
**Fig.24**. Bowl
**Fig. 25.** Bowl with lid
**Fig. 26.** Bowl with lid
**Fig. 27.** Vase
**Fig. 28**. Vase
**Fig. 29**. Vase
**Fig. 30**. Vase
**Fig. 31**. Vase
**Fig. 32**. Vase
**Fig. 33.** Bowl
**Fig. 34.** Bowl
**Fig. 35.** Vase
**Fig. 36**. Bowl
**Fig. 37**. Plate
**Fig. 38.** Plate
**Fig. 39.** Bowl
**Fig. 40.** Peacock figure
**Fig. 41.** Sheep figure



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**



სურ. 8 **Fig.**



სურ. 9 **Fig.**



სურ. 10 **Fig.**



სურ. 11 **Fig.**



სურ. 12 **Fig.**



სურ. 13 **Fig.**



სურ. 14 **Fig.**



სურ. 15 **Fig.**



სურ. 16 **Fig.**



სურ. 17 **Fig.**



სურ. 18 **Fig.**



სურ. 19 **Fig.**



სურ. 20 **Fig.**



სურ. 21 **Fig.**



სურ. 22 **Fig.**



სურ. 23 **Fig.**



სურ. 24 **Fig.**



სურ. 25 **Fig.**



სურ. 26 **Fig.**



სურ. 27 **Fig.**



სურ. 28 **Fig.**



სურ. 29 **Fig.**



სურ. 30 **Fig.**



სურ. 31 **Fig.**



სურ. 32 **Fig.**



სურ. 33 **Fig.**



სურ. 34 **Fig.**



სურ. 35 **Fig.**



სურ. 36 **Fig.**



სურ. 37 **Fig.**



სურ. 38 **Fig.**



სურ. 39 **Fig.**



სურ. 40 **Fig.**



სურ. 41 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 138-161
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 138-161

**ეთნოგრაფია/ეთნოლოგია**

**გულნარა კვანტიძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: guliko-kvantidze@rambler.ru; gulnara.kvantidze.1@iliauni.edu.ge

# დიდგვაროვანი ქალის ჩაცმულობა XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში

სამოსის შექმნა, ევოლუცია, ტარების წესი და გემოვნებით შემკობა ერის კულტურის იერსახის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია.

ქართული სამოსის შესახებ არაერთი ცნობა დასტურდება არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ-ისტორიულ (დოკუმენტური საბუთები, მზითვის წიგნები, უცხოელ მოგზაურთა რელაციონები და ჩანაწერები), მემორიალურ ძეგლებზე (საფლავის ქვები, რელიეფები), კედლის მხატვრობასა და მინიატიურებზე. მნიშვნელოვანია სამოსის შესწავლისადმი მიძღვნილი შრომები.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, აღნიშნული წყაროების შესწავლის შედეგად წარმოვადგინოთ XVII-XVIII სს-ში მცხოვრებ, მაღალი ფენის წარმომადგენელ ქალთა ჩაცმულობის ელემენტების რაობა და უტილიტარული დანიშნულება.

გვიანდელ შუა საუკუნეებში ქართველი ქალის სამოსის კომპლექტი შედგებოდა კაბის, ახალუხის, შარვლის (შეიდიში), სარტყლის, თავსაბურავის, ქვეშეთი სამოსის (პერანგი, აბანოს პერანგი, საგულე, ნიფხავი), სეზონური ტანსაცმლის, ფეხსამოსისა და ფეხსაცმლისაგან.

***კაბა*** ამ პერიოდში როგორც მამაკაცის, ასევე ქალის სამოსის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი იყო [ჯავახიშვილი ივ. 1962: 81]. მასალად ძირითადად გამოიყენებოდა აღმოსავლური (ირანული და თურქული) ქსოვილები–ლარი, სკლატი, ანუ ჩოხის/შალის ქსოვილი, მაუდი, ხავერდი, ფარჩა, დარაია და სხვ. [იოანე ბატონიშვილი. 1990: 224]. შედარებით გვიან, XVIII ს-ის მიწურულსა და XIX ს-ის I ნახევარში, გვხვდება ევროპული და რუსული ქსოვილები–მარიამ დადიანის მზითვის წიგნში შეტანილია ფრანგული შავი ქამხის, სხვადასხვა ფერის (ფრანგული) ატლასისა და ოქროქსოვილისაგან ნაკერი კაბები.

საკაბედ არჩევდნენ როგორც სადა, ასევე ორნამენტირებულ, სხვადასხვა ხარისხისა და სისქის ქსოვილებს (სურ. 1-13). ფერის მიხედვით, მამაკაცის კაბის შეფერილობასთან შედარებით, ქალის სამოსი ნაკლებად ფერადოვანი იყო. ვხვდებით შავი და თეთრი ფერის კაბებს (სურ. 7, 14). ხშირია სადა, ერთფეროვანი ქსოვილებით ნაკერი ერთეულები (სურ. 3, 4, 9, 12).

თარგის მიხედვით, დიდგვაროვანი ქალის კაბის სამი სახეობა დადასტურდა: ***პირველ სახეობას*** განეკუთვნება XVI-XVII სს-ის I მეოთხედამდე გავრცელებული–წინ ერთიანად ღია, სწორი, გამოყვანილი სილუეტის კაბა,

რომლის საყელო მრგვლადაა ამოჭრილი [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 32], ხოლო გულისპირს ჰორიზონტალურად ვიწრო, ღია ზოლი ჩაუყვება, საიდანაც კარგად ჩანს ერთი ღილით შეკრული პერანგის (ოდნავ) ჩაჭრილი გულისპირი [იოანე ბატონიშვილი 1990: 224]. სახელო ვიწროა და არ ბოლოვდება ყოშით. ქვედატანი, როგორც აღვნიშნეთ წელგამოყვანილია, კოჭზე სიგრძისაა და თავისუფლად დაშვებული (სურ. 1, 2, 3, 4, 5, 7).

***მეორე სახეობა*** XVII ს-ის 70-80-იანი წლებიდან ჩნდება კედლის მხატვრობაში (სურ. 6, 9, 10, 13). კაბა ისევ ერთიანადაა გახსნილი, გამოყვანილი სილუეტის, გულისპირი სამკუთხა მოყვანილობის, რომელსაც ცენტრალურ ხაზზე ღილების ვიწრო მწკრივი ჩაუყვება. კაბა ან ბოლომდეა ჩაღილული, ან თეძომდე. სახელო მკლავზე მომდგარი და ისევ უყოშოა. ქვედატანი წელგამოყვანილია. მეორე სახეობის კაბა პირველთან შედარებით მოკლეა, შუა წვივზე ან წვივს ქვემოთ მდგომი. ქვედატანი კი „ზარივით“ ფართოდაა გაშლილი [Gagarin Prince G.: 1847].

***მესამე სახეობა*** გუჯასტიანია. იგი სავარაუდოდ XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის I ნახევარში მკვიდრდება ყოფაში. გუჯასტიანი კაბა არაა ერთიანი და ბოლომდე ჩახსნილი. მისი ზედა და ქვედა ნაწილი ცალ-ცალკე იკერებოდა და ერთმანეთზე მხოლოდ ზურგის უკანა ნაწილით წელის არეში მაგრდებოდა. წინა კალთას კი მიუკერებელს ტოვებდნენ იოლად ჩაცმის მიზნით[1]. გუჯასტიანი კაბის ზედატანის გულისპირი ოთხკუთხედადაა ამოჭრილი და მკერდის ქვეშ გუჯასტით[2] იკვრება. იგი იმდენად ღიაა, რომ გულისპირის გარეშე მისი ტარება შეუძლებელია. სახელო იღლიიდან გახსნილია და ყურთმაჯიანი. ბოლოვდება წაკვეთილი ყოშით (სურ. 8, 11, 15). გუჯასტიანი კაბის ქვედა ნაწილი გაშლილია და კოჭამდე სიგრძისაა. მას განგებ უდებდნენ მიტკლის გახამებულ სარჩულს, რათა ზომაზე მეტად გაშლილიყო [გვათუა ნ. 1967: 59; ბოჭორიშვილი ლ. 1947: 204].

სამოსის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდში შევარჩიეთ XIX ს-მდე ხმარებული, ერთიანი ქსოვილისაგან შეკერილი ორი კაბა. რომელთა ქსოვილი, თარგი, ტანზე დგომის ფორმა და გულისპირი ***პირველი სახეობის კაბის მსგავსია.*** განვიხილოთ თითოეული მათგანი.

კაბა (საინვ. №12-59/1) (სურ. 31) შეკერილია მუქი ყავისფერი, სახიანი ფარჩისაგან, რომელზეც გაბნეულია თავისივე ფერის ყვავილოვანი ორნამენტები. წელში გამოყვანილი, ზედა ნაწილი ტანზე მომდგარი, ქვედა კი შედარებით თავისუფლად გაშვებული. კაბას იღლიიდან კალთის ბოლომდე ჰორიზონტალურად ჩადგმული აქვს სამკუთხა ფორმის ქსოვილი (ხიშტაკი), რომელიც კალთისკენ უფრო და უფრო ფართოვდება. იგი წინ მთლიანად ღიაა და იკვრება გულისპირზე შიგნითა მხარეს დამაგრებული ხრიკებით. კაბა უსაყელოა, გულისპირი კი კვერცხისებურ ოვალს ქმნის. კაბას მთელ სიგრძე-სიგანეზე შემოუყვება ყაითნის ვიწრო, ოქროსფერი ზოლი. სახელო მკლავზე გამოყვანილია, რომელიც ასევე ვიწრო, ოქროს-

1 გუჯასტიანი კაბის ორნაწილიანობა განსაზღვრულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდში დაცული გუჯასტიანი კაბების მიხედვით.

2 ბუდიანი დედა-მამალი ხრიკები. გავს დუგმას.

ფერი ყაითნით ბოლოვდება. კაბას არ აქვს ყოში და ყურთმაჯი[3].

ჩვენთვის ასევე საინტერესოა მუქი შვინდისფერი ხავერდის კაბა (საინვ. №2-36/1), რომელიც აჭრილობით, გულისპირისა და სახელოს მოყვანილობით და შესაკრავი საშუალებით ანალოგიურია ყავისფერი ფარჩის კაბისა (საინვ. №12-59/1). სხვაობა მხოლოდ შემკულობაშია. შვინდისფერ კაბას გულისპირზე, კალთასა და მაჯებზე ვიწრო ზოლად შემოსდევს თეთრი ბამბის ძაფისაგან ჭვირულად ნაკერი გეომეტრიული ორნამენტების ზოლი[4] (სურ. 16).

ორივე კაბის ქსოვილი ხარისხითა და გაფორმებით (სახიანი ქსოვილის ყვავილოვანი ორნამენტი) ნაკლებად შეიძლება იყოს ირანული. ქსოვილზე წარმოდგენილი ყვავილის ორნამენტი განსხვავდება სეფიანთა და ყაჯართა პერიოდების ქსოვილებისათვის დამახასიათებელი შემკულობისაგან [Bier C. 1987: 13; Neumann R., Gerhard M. 1988: 13] და არ გვხვდება ირანულ მინიატიურებსა და ირანული სამხატვრო სკოლის წარმომადგენელთა მიერ შესრულებულ ფერწერულ ტილოებზე. შესაძლებელია, ტექსტილის ორივე სახეობა, ევროპული ან რუსული იყოს. ირანულის გარდა, რუსული და ევროპული ქსოვილი სხვა სავაჭრო საქონელთან ერთად, საქართველოში ოსეთის საქარავნო გზით შემოჰქონდათ [სსცსა. აღწ. II. ფ. 1133].

***მეორე სახეობის კაბა,*** როგორც ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, საკმაოდ ახლოს დგას ირანელი ქალის კაბასთან. როგორც თარგით, ასევე მასალითა და ფერით (სურ. 17, 18, 21). ამ მზგავსებას ჟან შარდენიც აღნიშნავს–»მათი (ქართველი ქალების-გ. კ.) ტანსაცმელი ჩამოჰგავს ირანელი ქალების ტანსაცმელს»-ო [შარდენი ჟ. 1935: 117].

საინტერესოა ასევე, XVII ს-ის 60-იან წლებში ირანში მყოფი რაფაელ მანსის ჩანაწერები, რომელიც ირანელი ქალის ჩაცმულობის შემადგენელ ნაწილებად კაბა-ახალუხს, შარვალსა (შეიდიში-გ.კ.) და სარტყელს ასახელებს და შემდეგნაირად ახასიათებს მათ: „ირანელი ქალების კაბის ზედატანი, ქართულის მსგავსად, სხეულზე კარგადაა მომდგარი, ქვედა ნაწილს კი, რომელიც წვივის შუა ნაწილს ფარავს, „ზარის» ფორმა აქვს, კაბის გულისპირი კი–მამაკაცების კაბის მსგავსად, ვერცხლისა და ოქროს ჩაფრასტებითა და ყაითნებითაა შემკობილი [Du Mans R. 1890: 101-102]. რაფაელ მანსის მიერ აღწერილი ირანელი ქალის კაბა ქართულს ესადაგება თარგის, საყელოსა და სიგრძის მიხედვით, ხოლო გულისპირის ჩაფრასტებით მორთვაზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან, ნინო თორნიკე ქსნის ერისთავის ასულის კაბის გარდა, გულისპირი არც ერთი მანდილოსნის სამოსს არა აქვს ჩაფრასტებით შემკული. აღნიშნული პორტრეტი გვიანდელია–იგი XIXს-ის I ნახევარშია შესრულებული და გულმკერდის ჩაფრასტებით შემკობა მხატვრის ფანტაზიას უფრო გავს, ვიდრე რეალურ სურათს.

ქართველი ქალის მეორე სახეობის კაბასა (სამკუთხა გულისპირი, ჩაღილული) და ირანელი ქალის კაბას შორის მსგავსება თვალნათლივ შეიმჩნევა ჩიილ სუთუნის სასახლის მოხატულობასა და ირანული მინიატიურების მიხედვით. სხვაობა მათ შორის მხოლოდ გულისპირის შემკულობაში გამოვლინდა (სურ. 17, 18, 19).

***მესამე-გუჯასტიანი კაბის სახეობა*** დეკოლტეს მოყვანილობით თურ-

3 კაბის ზომებია: მთლიანი -153 სმ., წელის -76 სმ. სახელოს -57 სმ.

4 კაბის ზომაა: მთლიანი -149 სმ., წელის -78 სმ. სახელოს -55 სმ.

ქი ქალების კაბის გულისპირს უფრო წააგავს, ვიდრე ადრეულ (XVI-XVII სს-ის) ქართულისას ან (XVII-XVIII სს-ის) ირანულისას. გუჯასტიანი კაბის ზედატანი ისეთივე ოვალს ქმნის და ისევე იკვრება მკერდის ქვეშ, როგორც თურქი ქალის კაბა (სურ. 32), ხოლო ქვედატანი საკმაოდ განსხვავებულია ირანულისა და თურქული კაბის ქვედა ნაწილისაგან. შეიძლება ითქვას, რომ ქართული გუჯასტიანი კაბა არის ერთ-ერთი და ამავდროულად წინამორბედი ქართველი ქალის კლასიკური ნაციონალური ჩაცმულობისა. სწორედ გუჯასტიანი კაბის შემდგომ პერიოდში მკვიდრდება ყოფაში სარტყელ-გულისპირიანი კაბა ჩიხტი-კოპითა და შუბლ/თავსაკრავებით.

კაბის შიგნით ქართველი წარჩინებული ქალი ამ პერიოდში ატარებდა ***ახალუხს.*** რა მასალას იყენებდნენ მის შესაკერად, როგორ თარგზე იყო აჭრილი, რით იკვრებოდა და იმკობოდა, ამაზე არაფერია ნათქვამი წერილობით წყაროებში. არც კედლის მხატვრობასა და დიდებულ ქალთა პორტრეტებზეა შესაძლებელი მათი ამოკითხვა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ამ დროს ქალი, მამაკაცის მსგავსად, კაბა-ახალუხით იმოსებოდა [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 32; იოანე ბატონიშვილი. 1990: 224; ბარათაშვილი ი. 1950: 238-239], რაც, სავარაუდოდ, ამავე სახეობის, თარგის, ქსოვილისა და შემკულობის ახალუხის ტარებას გულისხმობს. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ქალი გულამოჭრილ კაბა-ახალუხს ატარებდა [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 32]. კედლის მხატვრობის, წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ახალუხს მანდილოსნები XIX ს-ის I ნახევრამდე ატარებდნენ. შემდგომ მათი ხმარება გაიშვიათებულია, ხოლო გუჯასტიანი კაბის შემოსვლის შემდეგ საერთოდ აღარ მოიხმარებოდა.

დიდგვაროვანი ქალის ჩაცმულობის კიდევ ერთი შემადგენელი ელემენტია ***შარვალი-შეიდიში*** (სურ. 21), რომელსაც ქალბატონები კაბის ქვეშ ატარებდნენ. შეიდიში იკერებოდა სხვადასხვა (ყვითელი, ვარდისფერი, წითელი) ფერის აბრეშუმისა და ტაფტის ქსოვილისაგან. სიტყვა შეიდიში ქსოვილის სახელწოდებიდანაა მიღებული. იგი როგორც ქსოვილის ერთ-ერთი სახეობა ანუკა ბატონიშვილის 1712 წლის მზითვის წიგნშია შეტანილი: „პერანგის ტოლი. . . . შეიდიშისა ცხრა» [იაშვილი მ. 1974: 42].

შეიდიშის კაბიდან გამოჩენა სირცხვილად არ ითვლებოდა, რის გამოც შარვლის ტოტის ბოლოებს ქარგავდნენ სხვადასხვა ფერის აბრეშუმის, ვერცხლმკედისა და ოქრომკედის ძაფებით. ნაქარგზე გამოსახავდნენ როგორც ორნამენტს, ასევე ფრინველისა და თევზის სახეებს.

***სარტყელი*** გვიანშუასაუკუნეებში (შემდგომაც, XIX-XX სს-ის I ნახევარში) წარჩინებული ქალის კოსტიუმის სამშვენისი და ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი იყო (სურ. 22, 23).

სარტყელი, საბას განმარტებით, წელსარტყამია [ორბელიანი ს.ს. 1991: 52]. მისი სინონიმია–თურქული სიტყვა–*kamar* და სპარსული *kamar-band* [*http*://www.iranicaonline.org/articles/belts]. სარტყლიანი სამოსის ტარება ბრინჯაოს ხანიდან დასტურდება საქართველოში [ჩოფიკაშვილი ნ. 1964: 109]. მას ატარებდნენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალები, როგორც მდაბიონი, ასევე დიდებულნი. ამავე პერიოდის წერილობითი წყაროებისა და მოგზაურთა რელაციონების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში, ხმარობდნენ ქსოვილის (შალის, ხავერდის, სირმის, ბადის) [იაშვილი მ. 1974: 12, 15, 16, 29], ტყავისა [ლამბერტი არ. 1938: 38] და ლითონის (დაბალი ხარისხის მეტალის, ოქროსა და ვერცხლის) სარტყლებს. კედ-

ლის მხატვრობისა და ხელნაწერი წიგნების მინიატიურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხშირია ნაქსოვი ქამრები, რომელთა ორი სახეობა დადასტურდა: ფოჩიანი (სურ. 3, 4, 5) „ფერხთამდე [ირიბად] წვერებჩაშვებული" [სხეც. ფ. S:7; იოანე ბატონიშვილი 1948: 224] და უფოჩო (სურ. 6, 9, 10, 13). სარტყელს განასხვავებდნენ ასევე სიგანის მიხედვით. განიერ სარტყელს, უმეტესწილად, მანდილოსნები ატარებდნენ, ვიწროებს კი–მამაკაცებიც და ქალებიც. ხშირი ყოფილა ლითონის ინკრუსტირებული და ძვირფასი თვლებითა და ქვებით შემკული სარტყლები. მზითვის წიგნებში დასახელებულია ასევე ოქროს სარტყელი [იაშვილი მ. 1974: 16-29].

სარტყელი, გარდა სამშვენისისა, მშვენივრად ასრულებდა ჯიბის ფუნქციასაც. განსაკუთრებით კარგ ჯიბეს ქმნიდა წელზე ორმაგად შემორტყმული სარტყელი [შარდენი ჟ. 1935: 115-117].

გვიანი შუა საუკუნეების წერილობითი წყაროებისა და მოგზაურთა ჩანაწერების მიხედვით, სამოსს ქართველები **სეზონის მიხედვით მოიხმარდნენ**. სიცივეში ატარებდნენ როგორც მძიმე ქსოვილისაგან ნაკერს, ასევე დაბამბულსა და დაბეწვილს. საზამთროდ დიდგვაროვანი ქალი მოიხმარდა დაბამბულ ახალუხს, ტოლომა/ტალმას, ქათიბს, ტყავის ტანსაცმელს, მოსასხამებსა და აჯიღას.

კაბის შიგნით ჩასაცმელი ***ახალუხისაგან*** განსხვავებით, საზამთრო სამოსს ბამბას უდებდნენ და ალიანდაგებდნენ. ამგვარად შეკერილ ახალუხს იესე ბარათაშვილი მსხვილსა და დაბამბულს ეძახდა, ხოლო საგაზაფხულო–საშემოდგომო ახალუხი სათბილობლის გარეშე იკერებოდა [ბარათაშვილი ი. 1950: 238-239].

თვალსაჩინოების მიზნით, საქართველოს მუზეუმის კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდიდან შევარჩიეთ XVIII ს-ის ბოლო მეოთხედით დათარიღებული ქალის ორი ახალუხი. მათგან ერთ-ერთი (საინვ. №4-20/34. სურ. 20) ბაგრატიონის ქალის კუთვნილება იყო.

ექსპონატები დაგვეხმარება გვიანდელ შუა საუკუნეებში მცხოვრები ქალის საზამთრო ახალუხის ვიზუალური მხარის აღქმაში, ვინაიდან ორივე ერთეული დაბამბული და დალიანდაგებულია.

ახალუხი (საინვ. №61-58/88. სურ. 33) შეკერილია სახიანი, ლურჯი ფერის დარაიასაგან, რომელიც შემკულია წითელი ფერის ყვავილოვანი ორნამენტებით. წინა კალთები გახსნილია და მთელ სიგრძეზე შემოუყვება წითელი ყაითანი. გულისპირი ოთხკუთხა ოვალს ქმნის. წელის არე ნაოჭმიყრილია და ჩაქიანი. ახალუხი იკვრება მკერდიდან მუცლამდე დედალ-მამალი ხრიკებით. სახელო მკლავზე ხალვათადაა მომდგარი. მაჯის არე ღიაა, ბოლოვდება წაკვეთილი, ე.წ. ირანული ყოშით, რომელიც თეთრი ფერის ყაითნითაა შემკობილი. ყოშს სარჩულად უდევს განსხვავებული ფერის ქსოვილი, რომელსაც მეტი ეფექტისათვის უკეთებდნენ ხოლმე სამოსს. ახალუხი დაბამბული და დასარჩულებულია თეთრი ტილოს ქსოვილით. ბოლოზე სამოსს შემოუყვება წითელი ბამბის ქსოვილის ქობა[5].

მეორე ახალუხს (საინვ. №4-20/34. სურ. 20) დაწვრილებით აღარ განვიხილავთ, იგი ქსოვილის ხარისხით, გაფორმებით, დასარჩულებით, ქობითა და ყაითანით წინა ახალუხის მსგავსია. სხვაობა გულისპირის მოყვანილობასა და ყოშშია. მისი გულისპირი საკმაოდ ღრმადაა ამოჭრილი. ყოშის ფორმა კი ოვალურია და განსხვავებული ფერის ქსოვილითაა

5 ზომები: -120 სმ. წელის -68 სმ. სახელოს -50 სმ.

დასარჩულებული. ახალუხს გვერდებში ჩადგმული აქვს ჩაქები[6].

ორივე მათგანი შეკერილია ირანული ქსოვილისაგან, რაზეც მეტყველებს მასალის ხარისხი და ყვავილოვანი ორნამენტიკა [Neumann R., Gerhard M. 1988: 17].

ჩაცმულობის კომპლექტიდან, ერთ-ერთი საინტერესო საკითხია ***„ქვეშეთად სახმარი სამოსი", ე.წ. საცვლები***, გვიანდელი შუა საუკუნეების ისტორიული წყაროების, მოგზაურთა ჩანაწერებისა და მზითვის წიგნების მიხედვით, დადასტურდა, რომ როგორც დიდებულნი, ასევე მდაბიონი, ქალები და მამაკაცები, ატარებდნენ საცვლებს[7]. საცვლები იყო ზევითი და ქვევითი [ჯავახიშვილი ივ. 1962: 82]. ზევითი საცვალია პერანგი, აბანოს პერანგი და საგულე. ქვევითი კი–ნიფხავი.

***პერანგი*** სპარსული სიტყვაა და წერილობით წყაროებში XI ს-მდე არ გვხვდება. მანამდე პერანგის უწინარესი სახელი კვართი იყო. ძველ ძეგლებში გვხვდება ზოგად სახელად „ფესუედი სამოსელი" ან „შესამოსელი ფესუედი" [ჯავახიშვილი ივ. 1962: 82). კერავდნენ აბრეშუმის, ბამბის, მერდინის [იაშვილი მ. 1974: 21, 22, 70], მოვისა და ტილოს ქსოვილისაგან [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 32]. გავრცელებული ყოფილა სხვადასხვა ფერის (ყვითელი, განსაკუთრებით, წითელი) პერანგები [სხეც. ფ. S:7]. სიგრძის მიხედვით პერანგი ორნაირი იყო: „ძველად ქართლოსიანთა დროსა ჰსცმიათ ქართველთა გრძელი, ფეხებამდის პერანგი და პერანგის ამხანაგი. . . ხოლო უკანასკნელთა დროთა შინა პერანგი მოკლე და საყელოც დაბალი" [იოანე ბატონიშვილი. 1990: 223]. დავით ფანასკერტელ-ციციშვილიც, იოანე ბატონიშვილის მსგავსად, „ფერხთამდე" სიგრძის პერანგს ასახელებს [სხეც. ფ. S:7].

პერანგს ხმარობდნენ სეზონურად: ზაფხულში, გაზაფხულსა და შემოდგომაზე მოვის ფერად პერანგებს ატარებდნენ, ხოლო ზამთარში-ტილოსას, ამჯობინებდნენ „გულისპირ-შეკერილს" [ბარათაშვილი ი. 1950: 200]. დიდგვაროვანი ქალბატონის ***პერანგის გულისპირი*** შემკობილი იყო მარგალიტის, ოქრომკედის, ძვირფასი ღილებისაგან ნაკერი გრეხილით, ამკობდნენ უბრალო ნაქარგობითა და ქინძისთავითაც [სხეც. ფ. S:7]. მისი აუცილებელი გალამაზება გამოწვეული იყო იმით, რომ იგი კარგად მოჩანდა გულამოღებული კაბა-ახალუხიდან. პერანგის საყელო მანამ ასრულებდა გულისპირის ფუნქციას, სანამ სარტყელ-გულისპირიანი კაბები დამკვიდრდებოდა.

ყოველდღიური პერანგისაგან გამოირჩეოდა სააბანოე პერანგი, რომელსაც ქალებს მზითვში ატანდნენ [იაშვილი მ. 1974: 50]. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, რა განსხვავება იყო ჩვეულებრივსა და სააბანოე პერანგს შორის, რადგან აბანოს პერანგის აღწერილობა არც ერთ წყაროში არაა მოცემული.

შიდა სამოსია ასევე ე.წ. ***საგულე***. სულხან-საბას განმარტებით, საგულე

---

6 გამოშვერილი ნაწილი ჩოხის ან ახალუხის უკანა კალთების გადანაკერზე.

7 „საცვალი ეწოდება ქვეშეთ ტანსაცმელს. ის წერილობით წყაროებში X-XI სს-დან დასტურდება. „საცვალი დაბადების ქართულად თარგმნილ ძეგლებში მოიპოვება, მაგრამ როგორც ზმნა ან ზედსართავი და არა არსებითი სახელი. ტერმინი საცვალი ქვეშეთი ტანსაცმლისათვის იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ იგი ამ ტანსაცმლის გამოცვლადობის მაუწყებელია. მის არსებობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ისტორიის თვალსაზრისით" [ჯავახიშვილი ივ. 1962: 82-83].

კაბის შიგნით საცმელია [ორბელიანი ს.ს. 1991: 24]. კერავდნენ ბამბის ქსოვილისაგან [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 32]. მას ატარებდნენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალები. საგულეს ატანდნენ მზითვში, რადგან ის ბევრგანაა მოხსენიებული სხვადასხვა დროის მზითვის წიგნებში [იაშვილი მ. 1974: 15, 27, 28, 39, 51, 63].

***ნიფხავი*** წელს ქვეითი სხეულის დამფარავი სამოსია და ამავე სახელწოდებით (ნიფხავი) მოიხსენიება უძველეს ნათარგმნ ძეგლებში [ჯავახიშვილი ივ. 1962: 9]. იგი, როგორც ქვედა საცვალი, სახელდება გვიანშუასაუკუნეების სხვადასხვა წერილობით წყაროში [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 64]. მზითვის წიგნებში კი, როგორც ჩანს, ერიდებოდნენ სიტყვა „ნიფხვის" ხსენებას, რადგან იგი სახალხოდ, ხმამაღლა იკითხებოდა, ნიფხავი კი სათაკილო სიტყვად იყო მიჩნეული და მას პერანგის ამხანაგად მოიხსენიებდნენ [იაშვილი მ. 1974: 50, 85].

საზამთრო შესამოსელი იყო ასევე ***ტოლომა, ანუ ტოლამა*** [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 66; ბარათაშვილი ი. 1950: 197]. მასალად იყენებდნენ სკლატს, ხავერდსა [გვათუა ნ. 1967: 67] და მაუდს [ბარათაშვილი ი. 1950: 197]. სულხან-საბა ორბელიანი ტოლომის რამდენიმე სახეობას ასახელებს. ლექსიკოგრაფის გადმოცემით, „ქუქუნაკიც ტოლომაა, ოღონდ მოკლე, მალატონი კი დიდ ტოლომას ერქვა" [ორბელიანი ს. ს. 1991: 142, 430]. ტოლომა საკმაოდ განიერი და სათბილობლად ბეწვგამოკრული ზედა სამოსელი იყო [ორბელიანი ს. ს. 1991: 142; ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 7], მას კაბაზე წამოისხამდნენ ხოლმე ქალები [სხეც. ფ. S:7].

ქალის ტოლომა, ნ. გვათუას გადმოცემით, საზაფხულოც იყო, რომელსაც სავარაუდოდ, ფერისა და მასალის მიხედვით არჩევდნენ. იგი მხრებზე მორგებული, უსახელო, ნაბდის მსგავსი წამოსასხამი ყოფილა, მაგრამ ნაბდის მხრებისათვის დამახასიათებელი „ქიმები" (აშვერილი) არ ჰქონია [გვათუა ნ. 1967: 67].

საზამთრო, სათბილობელ სამოსთაგან [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 66; იოანე ბატონიშვილი. 1948: 225] ქალები მოიხმარდნენ ასევე ***ქათიბს*** [ქელ. 2009: 139]. კერავდნენ ფარჩის, ხავერდის, აბრეშუმისა და მაუდისაგან [ლამბერტი არ. 1938: 38]. შესამკობად გამოიყენებდნენ ოქრონემსულსა და ყარყუმის ბეწვს [გიორგაძე ბ. 1951: 175], ასევე სიასამურისა და კურდღლისას [იაშვილი მ. 1974: 39, 53, 54, 55, 65, 70, 71, 89, 90]. დასტურდება ორი სახის: ბეწვიანი და უბეწვო. უბეწვოს თაგალა ერქვა [ალექსი-მესხიშვილი 1904: №103] და ორი სიგრძისა იყო: ერთი-მუხლამდე და მეორე-შედარებით მოკლე, რომელსაც იოანე ბატონიშვილის გადმოცემით, ქერექალა რქმევია და ფარჩისაგან იკერებოდა. ქერექალა ქათიბს მხოლოდ ქალები ატარებდნენ [იოანე ბატონიშვილი. 1948: 225]. სტანდარტული ზომის გრძელ ქათიბს კი–ორივე სქესისა და ფენის (დიდებულნი, მდაბიონი) წარმომადგენლები [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 66; იოანე ბატონიშვილი. 1990: 225].

ჟ. შარდენის გადმოცემით, ქათიბი კაბის თარგზე აჭრილი, „ზარის" ფორმის სამოსია, რომელსაც მთელ სიგრძეზე, კისრიდან ბოლომდე, ყარყუმის ბეწვს უდებდნენ სათბილობლად [შარდენი ჟ. 1935: 115]. თვალსაჩინოების მიზნით, ქალის ასეთივე ქათიბი შევარჩიეთ საქართველოს მუზეუმის კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდში. ის 1917 წელს ტფილისში შეუძენია კავკასიის მუზეუმის დირექტორ

(1903-1919) ალექსანდრე კაზნაკოვს.

ქათიბი (საინვ. 37-17/7. სურ. 34), შვინდისფერი ხავერდის, შედგება ორი ნაწილისაგან: ზედატანისა და ქვედატანისაგან. ზედატანი ტანზე კარგად მომდგარი და წელში გამოყვანილია, მიკერებული აქვს რამდენიმე განისაგან შემდგარი, წელთან ნაოჭიანი, განიერი ქვედატანი. ქათიბი მუხლამდეა. მისი წინა კალთები ღიაა და იკვრება გულმკერდთან რამდენიმე ხრიკით. გულისპირი ღიაა, სახელო-ზომაზე გრძელი, იღლია-ღია, ბოლოვდება ოვალური ყოშით. ქათიბს მთელ სიგრძესა და სახელოებზე ყარყუმის ბეწვი შემოუყვება, რომლის გასწვრივ ვიწრო ნაქარგი ქსოვილის ზოლია ჩადგმული[8].

ქალის ბეწვიანი და უბეწვო ქათიბების ხშირად მოხმარება მზითვის წიგნებით დასტურდება [იაშვილი მ. 1974: 39, 53, 54, 55, 65, 70, 71, 89, 90].

XVII-XVIII სს-ში მეტად პოპულარული ყოფილა ***ტყავის სამოსის ტარება*** [იოანე ბატონიშვილი. 1948: 225; იაშვილი მ. 1974: 16-29], რაც კარგად ჩანს არჩილ მეორეს (იმერეთის მეფე 1661-1663; კახეთის მეფე 1664-1675) თხზულებაში გადმოცემული ამბავიდან– თუ როგორ უწყალობა მეფემ „გლახაკებს“ აუარაცხელი ტყავის სამოსი: „ამ დღეს გავეც სხვას გარდაის ასი ჯიღა, ასი ტყავი. . . .“ [არჩილი 1989: 402 სტრ. 372]. ტყავის სამოსი ასევე ნახსენებია ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში. კერძოდ, ტყავისაგან ნაკერი ბეწვიანი და უბეწვო მოსასხამები [საქართველოს სიძველენი 1909: 489].

ტყავის მოსასხამების გარდა, გვიანდელ შუა საუკუნეებში წარჩინებული ქალბატონები სხვადასხვა ხარისხისა და სისქის ქსოვილისაგან ნაკერ ***მოსასხამებსაც*** ატარებდნენ, რომელიც, უტილიტარულის გარდა, საინტერესოა თავისი სიმბოლური მახასიათებლებითაც. თითქოს იგი ერთგვარ სადიდგვაროვნო რეგალიად იყო მიჩნეული. ამის თქმის შესაძლებლობა საკვლევი პერიოდის კედლის მხატვრობაზე გამოსახულ ქტიტორთა ჩაცმულობამ მოგვცა. რამდენიმეს გარდა, მოსასხამი აცვია დიდგვაროვან მამაკაცთა და ქალთა უმეტესობას. თუმცა ეს ცალკე საკვლევი საკითხია და სხვა დროს განვიხილავთ მას. ახლა კი დავუბრუნდეთ მოსასხამის გამოყენებით ფუნქციას.

აღნიშნული ვიზუალური მასალის მიხედვით, დადასტურდა მოსასხამის ორი ტიპი: ***უსახელო*** და ***ცრუსახელოიანი***. ***უსახელო მოსასხამი*** იყო ტრაპეციად აჭრილი, ერთიანად გაშვებული ქსოვილი, რომელიც მხრების გასწვრივ ერთი ღილით იკვრებოდა. ამ ტიპის მოსასხამებში ვხვდებით როგორც უბეწვოს, ასევე ყელის გარშემო ბეწვშემოვლებულსა და სარჩულად ბეწვგამოკრულ უსახელო მოსასხამებს (სურ. 1, 3, 4, 5, 6, 11, 13, 15).

***მოსასხამის მეორე ტიპი ცრუსახელოიანია***. ის მასობრივად იყო გავრცელებული ადრეულსა და შუა საუკუნეებში [ჩოფიკაშვილი ნ. 1964]. ცრუსახელოიანი მოსასხამები, უსახელოს მსგავსად, ბეწვითაა დასარჩულებული, თარგი განსხვავებულია. იგი (ცრუსახელოიანი) უფრო სწორი და ძირს დაშვებულია. ცრუსახელოიანი მოსასხამები აცვია სვეტიცხოვლის გარდამოხსნაზე ქართლის დედოფალ მარიამს, ვახტანგ V ასულ თამარს (1678/79-1694/95), ჭალის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე აბაშიძის მეუღლე „კეკლუცაის“ და ლომინ აბაშიძის მეუღლე

8 ქათიბის ზომებია: საერთო -120 სმ. წელის -84 სმ. სახელოს -108 სმ.

„გულნარაშოს“ [ხუსკივაძე ი. 2003: 22-35].

სეზონურ სამოსთაგან საყურადღებოა მოსასხამი-***აჯილა***. იგი მართკუთხად გამოჭრილი, ბოლოებშემომრგვალებული, დიდი მოცულობის თეთრი ქსოვილია (სურ. 24). კერავდნენ შედარებით თხელი ტექსტილისაგან. მასალად იყენებდნენ ყალამქარს, ტილოს, მიტკალს, მადარფაკსა და სხვ. საისტორიო და ლიტერატურულ ნაწარმოებებში აჯილას რამდენიმე სახელწოდებაა დამოწმებული. ესენია: საკუთრივ–აჯილა ვეფხისტყაოსანში [ნოზაძე ვ. 1967: 68], ჩადრი–მზითვის წიგნებსა და დოკუმენტურ მასალაში [იოანე ბატონიშვილი. 1948: 225], ზეწარი–ვისრამიანში [გრიშაშვილი ი. 1928: 67-68] და ქარა-ქალა-ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილის საგაზეთო სტატიაში [ალექსი-მესხიშვილი ნ. გაზ. „ივერია“. 1904: №103].

აჯილა მანდილოსნებს თავიდან ფეხებამდე ჰქონდათ მობურული [გვათუა ნ. 1967: 68]. მის შესახებ დადასტურებულია ორი, ურთიერთგამომრიცხავი ცნობა. პირველი, რომლის მიხედვით დიონიჯი კარლი გარკვევით აღნიშნავს, რომ „ქართველი ქალები სპარსელი და თურქი ქალების მსგავსად, თეთრ ჩადრში როდი არიან გამოხვეულნი, ის კი არა, ირთვებიან კიდეც, სახე გამოჩენილი აქვთ“-ო [გიორგაძე ბ. 1951: 166]. და მეორე–თეოდორ ტორნაუს გადმოცემით: „ქართველი ქალები, ახალგაზრდები და მოხუცები, ძალიან კოხტად და ნაზად იბურებიან, მხოლოდ თვალები უჩანთ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდები და ლამაზები მაინცა და მაინც არა ცდილობდენ მასში გახვევას. ხშირად მამაკაცის შეხვედრისას, საბურველი ოდნავ აეხსნებათ ხოლმე და ეს ერთი წუთიც კმაროდა იმისათვის, რომ მამაკაცები დარწმუნდნენ ქალის ავკარგიანობაში“ [Торнау Т. 1869: N2].

როგორც ვხედავთ, აჯილას XVII ს-ში მასობრივად არ ატარებდნენ (დიონიჯი კარლი). მას, სავარაუდოდ, XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან მოიხმარდნენ ინტენსიურად (ტორნაუ) XIX ს-ის შუა ხანამდე [გვათუა ნ. 1967: 68]. დაახლოებით ამ პერიოდიდან (XVIII ს-ის II ნახ.) ჩნდება იგი მზითვის წიგნებში ჩადრის სახელწოდებითა და რაღათქმაუნდა აჯილას დანიშნულებით.

აჯილა მეტად მოსახერხებელი სამოსი იყო. იგი თავსაბურავსა და ტანსაცმელს იცავდა მტვრისა და წვიმისაგან [გვათუა ნ. 1967: 68].

XVII-XVIII სს-ის წერილობით წყაროებსა და მოგზაურთა ჩანაწერებში ქალის თავსაბურავებად დასახელებულია: ***ლეჩაქი***, ***ქუდი, ყაბალახი***, ***თავსაკრავი*** და ***შუსტაკი***. მათ შესახებ წერილობითი ცნობები იმდენად მწირია, რომ, მასალის შევსების მიზნით, ვიზუალურ მონაცემებსა (კედლის მხატვრობა, დიდებულ ქალთა პორტრეტები) და მუზეუმის ფონდებში დაცული, შედარებით გვიანდელი (XIX-XX სს-ის I ნახევარი) პერიოდის იმ ექსპონატებს გამოვიყენებთ, რომელთაც XVII-XVIII სს-შიც ხმარობდნენ.

***ლეჩაქი,*** სულხან-საბას განმარტებით, დედათა თავსაბურავია, ქართულად კი კუბასტი ჰქვიან [ორბელიანი ს.ს. 1991: 414]. კერავდნენ უმეტესად, თხელი ქსოვილისაგან. იოანე ბატონიშვილი ქალთა თავსაბურავად ლეჩაქის მაგივრად ქსოვილის სახეობას–ნარმას ასახელებს [იოანე ბატონიშვილი. 1948: 225], რომელიც მეტად თხელ, ბამბის ქსოვილს ნიშნავს. კერავდნენ ასევე მარმაშის, ბლონდის, ატლასისა და შილაიასაგან. საუკეთესო სალეჩაქე მასალად ბლონდი მიიჩნეოდა. ლეჩაქს, ძირითადად, თეთრს ატარებდნენ, განსაკუთრებული შემთხვევების (გლოვის) გარდა. ის ირიბად, სამკუთხედად აჭრილი ქსოვილი იყო, რომლის ერთი, ზურგზე დაშვებული, წვერის კუთხე–სწორი, მეორე–მახვილი, მესამე კი

ბლაგვი (შემომრგვალებული) იყო [გვათუა ნ. 1967: 27]. კუთხეთა ამგვარი მოყვანილობა მანდილოსნებს უიოლებდა თავბურვას. ცნობილი ყოფილა ლეჩაქის სხვადასხვა ტიპი: დაბასმული, სადა, ანუ საია, „ნაკერი“ და „ნასტაის“ არშიიანი ლეჩაქები [გვათუა ნ. 1967: 27].

საია ლეჩაქიან მანდილოსანთა გამოსახულებები გვხვდება XVII ს-ის კედლის მხატვრობასა და მინიატიურებზე (სურ. 2, 3, 4, 5, 9, 13), ხოლო დაბასმული ხურავს დარეჯან დედოფალს, თეკლა ბატონიშვილსა და ნინო თორნიკე ქსნის ერისთავის ასულს (სურ. 11, 12, 14, 15, 26). ნაკერი და ნასტაის არშიიანი ლეჩაქები XVII-XVIII სს-ის ვიზუალური (კედლის მხატვრობა, მინიატიურა) მასალაზე არ ჩანს.

დადასტურებულია ლეჩაქის ხმარების რამდენიმე წესი: 1. თავისუფლად ხმარება და 2. ყველა წესის დაცვით დაფარება. „თავისუფლად», ანუ შეუკრავად დახურვა მხოლოდ ახალგაზრდა და გასათხოვარ ქალებს შეეძლოთ. გათხოვილი და ხანშიშესული კი ლეჩაქის ბლაგვ კუთხეს ყელის ქვეშ ამოატარებდა და თხემზე ქინძისთავით დაიმაგრებდა, მასზე კი შუსტაკს ან ქუდს დაიდგამდა და ლეჩაქის მეორე წვერს ქუდზე ან შუსტაკზე გადაიფარებდა.

ქართველი ქალების ლეჩაქთა სახეობა მოცემულია XVIII-XIX-XX სს-ის. მზითვის წიგნებში [იაშვილი მ. 1974: 10, 18, 63, 66, 70, 71, 84, 85, 106].

ქართველი ქალი თავდაუხურავად გარეთ არ გავიდოდა, რადგან „უხამური და თმაგარდატევებული“ გამოჩენა ხალხში მისთვის შეუფერებელი იყო. თავბურვის ეს წესი ჯერ კიდევ V ს-დანაა ცნობილი [ჭანტურიშვილი ს. 1984: 173] და იგი თითქმის XX ს-ის პირველ ნახევრამდე გაგრძელდა.

მანდილოსნის თავსაბურავად გვიანდელ შუა საუკუნეებში დამოწმებულია სხვადასხვა ფორმის ***ქუდი*** (სურ. 10, 12, 26, 27). ქუდი მამაკაცთა და ქალთა თავსაბურავის ზოგადი სახელწოდებაა. ქუდებს ქალები ლეჩაქთან ერთად ატარებდნენ [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 32]. სამწუხაროდ, როგორც მამაკაცის, ასევე ქალის ქუდის აღწერილობა არც ერთ მემატიანეს არ აქვს მოცემული. კედლის მხატვრობის, წარჩინებულ ქალთა პორტრეტებითა და ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობის ფონდში დაცული (XIX ს.) ქუდების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალის ქუდი ამ პერიოდში თოლფაქის, ანუ არახჩინის მსგავსი უნდა ყოფილიყო [ალექსი-მესხიშვილი ნ. 1904: №96]. მოწმდება ასევე წრიული და ოვალური ფორმის ქუდების გამოყენება. არ. ლამბერტი კიდევ ერთი ფორმის ქუდს ასახელებს. ესაა თავწაწვეტებული ქუდი, რომელსაც ყაბალახთან ერთად ატარებდნენ ქალები [ლამბერტი არ. 1938: 111]. ქუდებს ჯიღებით, თვალ-მარგალიტითა და ოქროსა და ვერცხლის სირმებით ამკობდნენ [იაშვილი მ. 1974: 16-29].

***ყაბალახი*** თავსაბურავის ერთ-ერთი სახეობაა. ატარებდნენ ქალებიცა და მამაკაცებიც. მზადდებოდა, ძირითადად, შინნაქსოვი შალის, თივთიკის, შალ-აბრეშუმის, დარაიასა და მაუდისაგან. ქარგავდნენ აბრეშუმ-ოქრომკედით და ასარჩულებდნენ სიასამურის ბეწვით [ლამბერტი არ. 1938: 111]. ქალის ყაბალახი განიერტოტიანი იყო. მას ცხენოსნობის დროს ატარებდნენ თავწაწვეტებულ ქუდთან ერთად. ქალის ყაბალახი ირიბად აჭრილი მაუდისაგან ნაკერი თავსაბურავი იყო. ქალების მიერ ყაბალახის ტარება მხოლოდ არ. ლამბერტისთანაა დამოწმებული, იგი არ გვხვდება არც ერთ მზითვის წიგნში. შესაძლოა, ყაბალახს აღმოსავლეთ საქართველოში ქალები შედარებით გვიან, სავარაუდოდ, XIX ს-დან მოიხმარდნენ.

***თავსაკრავი/შუბლსაკრავი*** [იოანე ბატონიშვილი. 1948: 225] ირიბად

აჭრილი ქსოვილის განიერი ზოლია, რომელსაც შუსტაკზე (XIX ს-დან ჩიხტზე) ამაგრდებდნენ (სურ. 25). მასალად გამოიყენებოდა სხვადასხვა ქსოვილი–ჩითი, აბრეშუმი, ბამბა, ხავერდი და სხვ. თავსაკრავებს ამკობდნენ ოქრომკედით, ვერცხლმკედითა და ფერადი აბრეშუმის ძაფის ნაქარგით. ქარგავდნენ მცენარეულ და ყვავილოვან ორნამენტებს. ხმარობდნენ ასევე საია (სადა, ერთი ფერის) თავსაკრავებს [გვათუა ნ. 1967: 22]. თავსაკრავი ბოლოებით მაგრდებოდა შუსტაკზე ქინძისთავებით, ხოლო შუბლის ქინძისთავს შუბლთან ამაგრებდნენ. ქალებს კაბასთან შეხამებული რამდენიმე თავსაკრავი ჰქონდათ.

***შუსტაკი*** ჩიხტი-კოპის წინამორბედი თავსაბურავის ნაწილია. იგი რამდენიმე ფენა ქსოვილისაგან შედგებოდა. ლეჩაქგადაფარებულ თავზე შუსტაკს წინიდან უკან, შემდეგ უკანიდან წინ შემოიკრავდნენ, ზემოდან კი შუბლზე თავსაკრავს დაიმაგრებდნენ შუბლის ქინძისთავით.

შუსტაკი ლეჩაქის ქვეშ მოუჩანს სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე „მკვდრეთით აღდგენის" სცენაში მოცეკვავე ქალებს (სურ. 9). მათი შუსტაკი დარეჯან დედოფლისა და თეკლა ბატონიშვილის შუსტაკზე გაცილებით დაბალია (სურ. 8, 11, 15). აქედან გამომდინარე, იგი ორგვარი სიმაღლისა ყოფილა. მაღალი შუსტაკი, შესაძლებელია, XVIII ს-ის ბოლოსკენ ჩანაცვლებოდა დაბალს, ვინაიდან ამ დროისათვის დაბალი შუსტაკი არც ერთ ვიზუალურ წყაროში არ დაფიქსირდა.

ნ. გვათუას მიხედვით, შუსტაკს დაახლოებით XIX ს-ის 30-იანი წლებიდან აღარ ხმარობდნენ და მის ნაცვლად ჩიხტი-კოპის ტარება დაუწყიათ ქართველ მანდილოსნებს.

ერთ-ერთი საინტერესო და განსაკუთრებით საყურადღებოა XVII-XVIII სს-ში მცხოვრებ ქალთა ***თმის ვარცხნილობა***. მოძიებული მასალით დადგინდა, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ქალბატონების თმის ვარცხნილობის ერთი სტილი ყოფილა მილებული–ნაწნავები (ანუ დალალები) და კავები (ანუ ზილფები) [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 32].

ქალი თმას შუბლზე სპეციალური „თმის გასაყოფი ჩხირით" [იაშვილი მ. 1974] შუაზე გაიყოფდა, უმეტეს, გრძელ ნაწილს რამდენიმე (ძირითადად, ოთხი. ეს დამოკიდებული იყო თმის სიგრძესა და მოცულობაზე) დალალად დაიწნავდა. ორივე მხარეს თითოს წინ დაიტოვებდა, ორს კი უკან გადაიგდებდა, თმის მოკლე ნაწილს კი „დაიკავებდა" (დაიხვევდა) და ზილფებად დაიტოვებდა ისე, რომ საფეთქელი დაეფარა.

ხანშიშესული ქალბატონების თმის ვარცხნილობა (სურ. 11, 15) ახალგაზრდისაგან (სურ. 3, 4, 5, 12, 14, 26) ერთი მცირეოდენი დეტალით განსხვავდებოდა. გათხოვილი და ასაკოვანი ქალი შედარებით გრძელ კავებს ატარებდა და ლეჩაქში მალავდა, ახალგაზრდას კი კავები უფრო მოკლე და თავსაბურავში გამოჩენილი ჰქონდა [ალექსი-მესხიშვილი ნ. გაზ. „ივერია". 1904: № 96].

საინტერესოა, ჟ. შარდენის მოსაზრება ქართველი ქალების თმის ვარცხნილობასთან დაკავშირებით. მისი გადმოცემით, თმის დავარცხნა და დახვევა თურმე ევროპელი ქალების მსგავსად სცოდნიათ ქართველ ქალებს [შარდენი ჟ. 1935: 116, 117]. რა ჰქონდა შარდენს მხედველობაში, ჩვენთვის უცნობია, ვინაიდან XVII-XVIII სს-ში, დასავლეთ ევროპაში ქალები ზოგადად, თმის განსაკუთრებულად მაღალ ვარცხნილობას ატარებდნენ, რისთვისაც იყენებდნენ ხელოვნურ თმასა და სპეციალურ საშუალე-

ბებს. ამას გარდა, იშვიათად, მაგრამ მაინც ხმარობდნენ პარიკს, რომლის ინტენსიურად გამოყენება საფრანგეთის მეფე ლუი XIII-ის (1610-1643) მმართველობის პერიოდიდან დამკვიდრდა. იგი 23 წლის ასაკში გამელოტდა და ხელოვნური თმის საფარით ცდილობდა მის დაფარვას [Corson R. 2001: 236; Festa L. 2005: 47-49].

ქართველ მანდილოსანთა თმის ვარცხნილობასთან დაკავშირებით სხვა მოსაზრება აქვს გამოთქმული არ. ლამბერტის. იგი აღნიშნავს, რომ ოთხი ნაწნავიდან შედარებით მოკლე სიგრძისას ქალები ყურებზე იხვევდნენ, ხოლო დანარჩენ ორს შავი აბრეშუმის ფოჩებით, ოქროთი ან ძვირფასი თვლებითა და მარგალიტებით ილამაზებდნენ [ლამბერტი არ. 1938:41].

მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია XVII-XVIII სს-ში, აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურებული ქალის ***ფეხსაცმლისა და ფეხსამოსის სახეობანი***. ფეხსაცმლად მაშიას, მოგვსა და ქოშს მაღალი და საშუალო ფენის ორივე სქესი ატარებდა, ხოლო პაჭიჭს/პაიჭს, წინდასა და ჯორაბ/ჯურაბს ქალები ფეხსამოსად ხმარობდნენ. ყველა სახეობის ფეხსამოსი და ფეხსაცმელი შედგებოდა:ლანჩის, პირის, ყელისა და ჭვინტისაგან [ჯავახიშვილი ივ. 1962: 160; ჩიტაია გ. 1940].

განვიხილოთ თითოეული. **წინდა** ფეხსამოსის ერთ-ერთი სახეობაა. ქსოვენ მატყლის, აბრეშუმის [ლამბერტი არ. 1938: 45], ბამბისა და ყაჭისაგან. წინდა ორი სახისაა: მაღალყელიანი (მუხლამდე, ზოგჯერ მუხლსაც ფარავს) და დაბალყელიანი (კოჭს ფარავს). მაღალყელიან წინდას მხოლოდ ქალები [იაშვილი მ. 1974: 183, 273, 278] ატარებდნენ, დაბალყელიანს ქალიცა და მამაკაციც. ძირითადად, იცოდნენ „თეთრი“ და „ჭრელი“ წინდების ქსოვა. ახალგაზრდის წინდა მეტად მრავალფერადი და რთულსახიანი იყო, ვიდრე ხანშიშესულისა. ერთმანეთისაგან განირჩეოდა საქორწინო-სამგლოვიარო და საშინაო-საგარეო წინდებიც [ქმკელ. 2011: 543; იოანე ბატონიშვილი. 1990: 504].

წინდის პარალელურად, ამ ფეხსამოსს უწოდებდნენ ***ჯორაბს***, რომელიც სპარსული სიტყვა ჯურაბიდან (*Jūrāb*) წარმოიშვა [Dozy R. P. A. 1845: 126]. წინდა, ანუ ჯურაბი/ჯორაბი იქსოვებოდა სხვადასხვა სახის მასალისაგან. დამოწმებულია მაღალყელიანი და დაბალყელიანი, ხმარობდა როგორც მამაკაცი, ასევე ქალი. სპარსული ჯურაბი, ქართულისაგან განსხვავებით, უმეტესად, ერთი ფერის ძაფისაგან იქსოვებოდა და გვერდებში ფრინველის სახეები გამოჰყავდათ [Rajabi P. 1971: 38-40]. განსაკუთრებული შემთხვევების დროს ქართველებიც ერთი ფერის ძაფისაგან ნაქსოვ ჯორაბებს იცვამდნენ, მაგალითად ქორწილში სიძესა და დედოფალს თეთრი ფერის ჯორაბი უნდა სცმოდა [სხეც ფ. S:7]. ჯორაბი ეწოდებოდა წინდას ჩრდილოეთსა და სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებში და მათი წინდები, ირანულისაგან განსხვავებით, ქართულის მსგავსად, სხვადასხვა ფერის იქსოვებოდა.

ჯორაბი გვხვდება 1707 წელს ყანდარში გარდაცვლილი ვახუშტი ორბელიანის ქონების სიაში [საქართველოს სიძველენი. 1909.: 213] გვხვდება ასევე იოანე ბატონიშვილთან [იოანე ბატონიშვილი. 1990: 224] და მზითვის წიგნებში [იაშვილი 1974: 40, 53, 65, 284].

***მაშია*** (სურ. 28) ქალისა და მამაკაცის საზაფხულო, უცხვირო, ქოშის მსგავსი ფეხსაცმელია [ორბელიანი ს.ს. 1991: 285]. კერავდნენ კარგი ხარისხისა და სხვადასხვა ფერის ტყავისაგან» [ლამბერტი არ. 1938: 38-

41]. უპირატესობას მწვანე და წითელ მაშიას ანიჭებდნენ [ბარათაშვილი ი. 1950: 197]. მაშია მეფე-დედოფალთა და დიდგვაროვანთა ფეხსაცმელია. იგი აცვია მარიამ დედოფალსა და მის შვილ ოტიას, გიორგი ლიპარტიან-ჩიქვანსა და მისი ოჯახის წევრებს, ასევე ჩიჯავაძეების ოჯახს (სურ. 4, 5, 6, 9, 10, 13).

მაშიას ქართველების გარდა, სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში მცხ-ოვრები ხალხებიც მოიხმარდნენ. მისი გამოყენება XX ს-ის პირველ მე-ოთხედშიც დასტურდება.

***მოგვი*** (სურ. 11, 12, 13, 16, 21) მეფე-დიდებულთა ფეხსაცმლის კიდევ ერთი სახეობაა. იგი მოწმდება VI-XIV სს-ის ქართული ეკლესია-მონასტრე-ბის კედლის მხატვრობაში [ჩოფიკაშვილი ნ. 1964: 141-143], ასევე ადრეუ-ლი პერიოდის წერილობით წყაროებში [ჯავახიშვილი ივ. 1962: 156]. მოგვი ვახუშტის მიხედვით, გაერთიანებული საქართველოს ხანაში ცმიათ [ვახ-უშტი ბატონიშვილი. 1941: 371] მისი მოხმარება გვიანშუასაუკუნეებშიც დადასტურდა. კერძოდ, ის ბუგეულის ჩრდილოეთსა და დასავლეთ კედ-ელზე გამოსახულ ქტიტორებს აცვიათ [ხუსკივაძე ი. 2003: 232].

***ქოში*** მაშიას მსგავსი, ჭვინტიანი და ქუსლიანი ფეხსაცმელია [ქ.ე.ლ. 2009: 143]. არსებობს ქოშის რამდენიმე ტიპი: ნახევრად ღია, ღრმად ამოღებული, ენიან-საფერხულიანი და ბლაგვცხვირიანი. უამინდობაში რბილლანჩიან ფეხსაცმელზე იცვამდნენ სადა ქოშებს [ქმკელ. 2011: 459].

იესე ბარათაშვილის გადმოცემით, „ქოში შინ და ლოცვაზე" ჩასაცმელი ფეხსაცმელია [ბარათაშვილი ი. 1950: 189].

ქოში, ისევე როგორც მაშია, გავრცელებული იყო კავკასიაში. იგი დაღესტანში ეროვნული ფეხსაცმლის სახეს. ყუბანში ქოშებს მზითევში ატანდნენ პატარძალს. ქალის ქოში ისევე იკერებოდა, როგორც მამაკაცი-სა, მხოლოდ საგარეოდ განკუთვნილი ქოშის საპირეს ქარგავდნენ (სურ. 30) ოქროს, ვერცხლისა და ფერად-ფერადი აბრეშუმის ძაფით და ძირზე აჭედებდნენ ნალს [ქმკელ. 2011:459]. მოქარგულპირიანი და კარგი ხარისხ-ის ტყავისაგან ნაკერ ქოშს მაღალი ფენის წარმომადგენლები ატარებდნენ, ხოლო შედარებით დაბალი ხარისხის სადა ქოშს გლეხი ქალები იცვამდნენ მშრალსა და მზიან ამინდში [იოანე ბატონიშვილი. 1948: 224].

***წუღა*** სახლში სახმარი ჩუსტ-ქალამანია [ჯავახიშვილი ივ. 1962:159]. იგი ზოგადი სახელწოდებაა ერთგვარი სახეობის უყელო ან დაბალყელიანი ფეხსაცმლისა. მას ხმარობდა ქალიცა და კაციც. არ. ლამბერტის გად-მოცემით, წუღას ყელი „წვივამდე უწვდებოდა" ის იკერებოდა სხვადასხ-ვა ფერის ტყავისაგან და საპირეები ირთვებოდა შესამკობლებით. მას ცხენოსნობის დროსაც მოიხმარდნენ დიდებული ქალბატონები, რომელთა წუღები ოქროთი და ძვირფასი თვლებით ყოფილა მორთული [ლამბერტი არ. 1938: 38. 41]. წუღა XV ს-ის წერილობით წყაროებში მოწმდება: „ფეხთ აცვიათ ისეთი წაღები, რომ როცა ქუსლები და ცერები მიწას ეხება, ფეხის გული კი მიწაზე იმდენადაა დაშორებული, რომ მუჭას ადვილად გაატარე-ბთ ლანჩის ქვეშ. ასეთი წაღების გამო ისე დადიან, თითქოს დაღლილები არიანი. სპარსელებიც ასეთს წაღებს იცვამენ" [ჟურნ. „მოამბე". 1894:№XI].

წუღა, როგორც ჩანს, გარეთ ჩასაცმელადაც გამოიყენებოდა, რადგან მას დიონიჯი კარლისა და იტალიელი მოგზაურების გადმოცემით, უკან, ქუსლზე, ოთხი თითის დადებაზე, ეჟვანს უკეთებდნენ და „სასაცილოდ დადიოდნენ და დააჟღარუნებდნენ" [გიორგაძე ბ. 1951: 47; ჟურნ. „მოამბე" 1894: 539].

წუღას ფეხსამოსად ვახუშტიც ასახელებს [ვახუშტი ბატონიშვილი. 1941: 64]. მას ყურიან ჩუსტებსაც უწოდებდნენ. ზოგიერთს ქუსლის ზევით ჩასაცმელი ყურები ჰქონდა გაკეთებული. წუღის ტიპებია: კილიტებიანი, მოხდილი, ყურიანი, თასმებიანი, მაღალპირიანი. ქალაქში გავრცელებული იყო ე.წ. სარაჯული წუღა/წაღაც, რომელსაც მოღუნული წვერი აქვს, ქუსლზე ნალი აკრავს და ყელი ფუნჯიანი ყაითნით ეკვრება [ქმკელ 2011: 539]. წუღა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში იყო ცნობილი.

საგულისხმოა ასევე ცნობა, რომლის მიხედვით, ისპაჰანის ბაზრის სახელოსნოებში შეკერილი ფეხსაცმელი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „გურჯი დუზის" (ქართულად ნაკერს) ეძახდა, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ირანში [Keyvani M. 1982: 56, 71, 267].

ამგვარად, გვიანი შუა საუკუნეების გამოკვლეული წერილობითი მასალის, მოგზაურთა ჩანაწერებისა და დოკუმენტური მასალის საფუძველზე დადასტურდა, რომ XVII-XVIII სს-ში, აღმოსავლეთ საქართველოში დიდგვაროვანი ქალის კოსტიუმი შედგებოდა: კაბის, ახალუხის, შარვალი-შეიდიშისა და სარტყლისაგან. მოიხმარდნენ ქვეშეთად სახმარ სამოსს-საცვლებს, საგულეს, პერანგს ნაქარგი გულისპირით, აბანოს პერანგსა და პერანგის ტოლს–ნიფხავს; საზამთრო შესამოსლიდან–დაბამბულ ახალუხს, ტოლომა/ტალმას, ქათიბს, ტყავის ტანსაცმელს, მოსასხამებსა და აჯიღას.

დადასტურდა კაბის სამი სახეობა: პირველი, რომელიც XVI-XVII სს-ის I მეოთხედამდე იყო გავრცელებული–წინ ერთიანად ღია, ტანზე მომდგარი, მრგვლად ამოჭრილი გულისპირითა და ვიწრო, ჰორიზონტალური ღია ზოლით, საიდანაც კარგად ჩანს ერთი ღილით შეკრული პერანგის (ოდნავ) ჩაჭრილი გულისპირი. მეორე სახეობა XVII ს-ის 70-80-იანი წლებიდან ჩნდება კედლის მხატვრობაში. კაბა ისევ ერთიანად გახსნილია, წელგამოყვანილი, გულისპირი სამკუთხა მოყვანილობის და თეძომდე, ან ბოლომდე ჩაღილული. ამ პერიოდისათვის კაბის ქვედატანი წვივს ქვემოთა სიგრძისაა და „ზარივით" ფართოდ გაშლილი. კაბის მესამე სახეობა გუჯასტიანია. იგი სავარაუდოდ XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის I ნახევარში მკვიდრდება ყოფაში. ამ დროისათვის კაბის ზედატანი გუჯასტით იკვრება, საიდან წარმოდგება მისი სახელწოდება. სახელო უკვე ყოშიანია და ყურთმაჯიანი. ქვედატანი კი პირველ და მეორე სახეობის კაბაზე მეტადაა გაშლილი.

თავსაბურავიდან გავრცელებული იყო: *ლეჩაქი, ქუდი, ყაბალახი, თავსაკრავი* და *შუსტაკი.*

დადგინდა ამავე პერიოდის ქალის თმის ვარცხნილობის სტილი–ნაწნავები (ანუ დალალები) და კავები (ანუ ზილფები).

გამოიკვეთა სურათი ამ დროის დიდგვაროვანი ქალის ფეხსაცმლისა და ფეხსამოსის საკმაოდ მრავალფეროვანი სახეობისა. ატარებდნენ: მაშიას, მოგვსა და ქოშს, ხოლო ფეხსამოსად ხმარობდნენ პაჭიჭს/პაიჭს, წინდასა და ჯურაბს.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ, გვიანი შუა საუკუნეების ქართლის პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, დიდებულ ქალთა სამოსში შეიმჩნევა აღმოსავლეთის ქვეყნების (ირანი, თურქეთი), განსაკუთრებით კი, ირანული ელემენტები. ისინი ვლინდება როგორც მასალასა (ქსოვილი) *და ფორმებში (გულისპირი, ყოში),* ასევე ფერთა სიჭრელესა და აქსესუარებში.

**Gulnara Kvantidze**

Georgian National Museum. S. Janashia Museum of Georgia
Rustaveli Avenue 3, 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: guliko-kvantidze@rambler.ru; gulnara.kvantidze.1@iliauni.edu.ge

# Clothes of Noblewoman in the 17th-18th cc. East Georgia

## Summary

According to the research of the early and late medieval archaeological and ethnographical, literatury, historic, memorial, wall paintings and miniatures, clothes of the noblewomen of the 17th-18th cc. consisted of the following items: a dress, "Akhalukhi", trousers (Sheidishi), a belt, a scarf, internal clothes, seasonal clothes, foot and shoes.

The article covers the following topics: elements of the clothes from that particular period, material for clothes design, patterns and accessories, as well as the hairstyle.

Also the similarities are found in the history of the clothes in Oriental countries (Iran, Turkey) due to the existence of those Iranian-Turkish elements of researched clothes, probably this could be caused by Georgia's close political-economic relations with those Muslim countries.

In terms of the reconstruction of the clothes, the elements of the same clothes existed in the practice in the late Medieval period as well as the first half of the 19th-20th cc. Clothes kept in the funds of the Georgian National Museum are described.

According to the research the Georgian clothes somehow were under the foreign countries' (Iran, Turkey) influence, but despite that they have lost their national originality and appearance.

## ბიბლიოგრაფია

**ალექსი-მესხიშვილი ნ.** 1904: *ფელეტონი ისტორიული პიესის წარმოდგენის გამო.* გაზ. „ივერია" № 103. *ტფილისი.*

**არჩილი 1989:** *გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა.* ქართული მწერლობა. ტ. 6. თბილისი. (რედ. რ. ბარამიძე).

**ბარათაშვილი ი. 1950:** *ცხოვრება-ანდერძი.* თბილისი. (რედ. ა. იოსელიანი).

**ბოჭორიშვილი ლ.** 1947: *კახური ჩაცმა-დახურვა.* ანალები ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. I. 200-214. თბილისი. (რედ. ს. ჯანაშია).

**გვათუა ნ. 1967:** *ჩაცმულობის ისტორიიდან, ქალის ქართული ჩაცმულობა XIX ს. და XX ს. დასაწყისი.* თბილისი**.**

**გიორგაძე ბ. 1951:** *დიონიჯო კარლის ცნობები თბილისის შესახებ (მე-17 ს.).*

*მსკი. ნაკ. 29.* თბილისი.

**გრიშაშვილი ი. 1928:** *ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. ტფილისი.*

**ვახუშტი ბატონიშვილი 1941:** *აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია*). თბილისი.

**იაშვილი მ. 1974:** *მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნი).* თბილისი.

**იოანე ბატონიშვილი. 1990:** *ხუმარსწავლა.* წ. II. თბილისი. (რედ. ა. იოსელიანი).

**იოანე ბატონიშვილი. 1948:** *კალმასობა.* ტ. 2. თბილისი. (რედ. ალ. ბარამიძე).

**ლამბერტი არ. 1938:** სამეგრელოს აღწერა. თბილისი

**ნოზაძე ვ. 1953:** *განკითხვანი ვეფხისტყაოსნისა, ვეფხისტყაოსნის ფერთა მეტყველება.* ბუენოს-აირესი.

**ორბელიანი სულხან-საბა. 1991:** *ლექსიკონი ქართული.* ტ. II. თბილისი

**ჟურნ. „მოამბე“ 1894:** იტალიელი მოგზაურები საქართველოში მე-XV საუკუნეში. თვიური ჟურნალი. წელიწადი პირველი. № XI . ტფილისი.

**საქართველოს სიძველენი 1909:** ტ. 2. ტფილისი

**სეასცა II ფ.:** 1133

**სხეც ფ. შ:7:** დავით ფანასკერტელ-ციციშვილი. ფონდი შ-1489.

***ქართული ტრადიციული სამოსი XVIII-XX საუკუნეები. 2013*:** თბილისი.

***ქელ 2009:*** ქართული ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი.

***ქმკელ. 2011:*** ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი.

**შარდენი ჟ. 1935:** *მოგზაურობა საქართველოში.* თბილისი.

**ჩიტაია გ. 1940:** *ეთნოგრაფიული პარალელები, ქართული ჭვინტიანი ფეხსაცმელი.* საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე. ტ. I. №4. თბილისი.

**ჩოფიკაშვილი ნ. 1964:** *ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.).* თბილისი.

**ჭანტურიშვილი ს. 1984:** *ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში. თბილისი*

**ხუსკივაძე ი. 2003:** *ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი.* თბილისი.

**ჯავახიშვილი ივ. 1962:** *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.* ტ. III-IV. თბილისი

Торнау Т. Журнал «Русский вестник» **1869:** N2. Москва.

**Bier C. 1987:** *Woven from the Soul, Spun from the Heart: Textile Arts of Safavid and Qajar Iran, 16th–:19th Centuries*. Washington.

**Corson R. 2001:** *Fashions in Hair, the First Five Thousand Years*. London.

**Dozy R. P. A. 1845:** Dictionnaire detaille des noms des vetements chez les Arabes. Amsterdam.

**Du Mans R. 1890:** *L'estat de la Perse en 1660*. Paris. (ed. Charles Schefer).

**Festa L. 2005:** Personal Effects: Wigs and Possessive Individualism in the Long Eighteenth Century.

**Gagarin Prince G.: 1847:** *Le Caucase pittoresque*. Paris.

**Keyvani M. 1982:** Artisans and Guild Life in the Later Safavid Period: *Contributions to the Social-Economic History of Persia*. Islamkundliche Untersuchungen, Vol. 65. Berlin.

**Neumann R. Gerhard Murza. 1988:** Persische Seiden Die Gewebekunst der Safawidenund ihrer Nachfolger. Leipzig.

**Rajabī P. 1971:** *Lebās o ārāyeš-e* Īrānīān *dar sada-ye davāzdahom-e hejrī, Honar o mardom. N.S.*

http://www.iranicaonline.org/articles/belts.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** ქტიტორები. მთავარანგელოზის ეკლესია. ბუგეული. ჩრდილოეთი კედელი. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი. XVI ს.

**სურ. 2.** ქტიტორები. თავად მაღალაძის სასახლე. 1720-იანი წლები

**სურ. 3.** ქტიტორები. ნაკურალეშის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. ლეჩხუმი. ასლი დ. კაკაბაძისა. შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი. XVII ს-ის დასასრული.

**სურ. 4.** ქტიტორები. გიორგი ლიპარტიან-ჩიქვანის ოჯახი. ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. მარტვილი. სამეგრელო. ასლი მ. მიქელაძე-ბაგრატიონისა. ხელოვნების მუზეუმი. XVII ს-ის 80-იანი წლები

**სურ. 5.** ქტიტორები. ჩიჯავაძეები. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია. საჩინოს ვანი. იმერეთი. ასლი თ. კიუნესი. XVII ს. ხელოვნების მუზეუმი

**სურ. 6.** ქართლის დედოფალი მარიამ დადიანი და მისი ვაჟი ოტია გურიელი. სვეტიცხოველი. ქართლი. ასლი დ. კაკაბაძისა. ხელოვნების მუზეუმი. XVII ს-ის 40-იანი წლები

**სურ. 7.** წმ. ქეთევან დედოფალი. XIX ს-ის მხატვრობა

**სურ. 8.** დარეჯან ქართლ-კახეთის დედოფალი (ერეკლე II-ის მეუღლე). XVIII ს-ის II ნახევარი

**სურ. 9.** მოცეკვავე ქალები. სცენიდან „მკვდრეთით აღდგენა“. სვეტიცხოველი. სამხრეთი კედელი. ქართლი. XVII ს-ის შუა ხანები

**სურ. 10.** მოცეკვავე ქალები. სცენიდან „მკვდრეთით აღდგენა“. სვეტიცხოველი. სამხრეთი კედელი. ქართლი. XVII ს-ის შუა ხანები

**სურ. 11.** დარეჯან ქართლ-კახეთის დედოფალი (ერეკლე II-ის მეუღლე). XVIII ს-ის II ნახევარი. ხელოვნების მუზეუმი

**სურ. 12.** ნინო თორნიკე ქსნის ერისთავის ასულის პორტრეტი. XIX ს-ის I ნახევარი

**სურ. 13.** მეფეთ-მეფე ალექსანდრე (1417-1442) 1847 წ. მხატვრობა

**სურ. 14.** ანა ბატონიშვილი - გიორგი ბაგრატიონის ასული. XIX ს-ის I ნახევარი

**სურ. 15.** თეკლა ბატონიშვილი - ერეკლე II-ის ქალიშვილი. ხელოვნების მუზეუმი

**სურ. 16.** კაბა ქართველი ქალის. საქართველოს მუზეუმი. კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდი. XVIII ს.

**სურ. 17.** შაჰ-აბასის ბანკეტი უცხოელი კეთილშობილებისათვის. ჩიილ

სუთუნის სასახლის ჭერის კომპოზიცია. XVII ს.

**სურ. 18.** სპარსული მინიატიურა. ჩიილ სუთუნის სასახლის ჭერის კომპოზიცია. XVII ს.

**სურ. 19.** შეყვარებულები. მხატვარი ნაზარ ალი. ირანი. XVIII ს-ის დასასრული. ხელოვნების მუზეუმი

**სურ. 20.** ქართველი ქალის ახალუხი. საქართველოს მუზეუმი. კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდი. XVIII ს-ის დასასრული.

**სურ. 21.** შეიდიში ქართველი ქალის. საქართველოს მუზეუმი. კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდი. XVIII ს-ის II ნახევარი

**სურ. 22.** ლითონის სარტყლის ტიპები. საქართველოს მუზეუმი. ძვირფასი ლითონების ფონდი. XIX-XX სს.

**სურ. 23.** ქსოვილის სარტყელი. საქართველოს მუზეუმი. კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდი. XIX ს-ის II ნახევარი

**სურ. 24.** ტფილისელი ქალი. 1840-იანი წლები

**სურ. 25.** თავსაკრავი/შუბლსაკრავი. საქართველოს მუზეუმი. კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდი. XIX ს-ის I ნახევარი

**სურ. 26.** ელენე ამილახვარი - თეიმურაზ ბატონიშვილის მეუღლე. XIX ს-ის I ნახევარი

**სურ. 27.** ქუდი ქალის. ხელოვნების მუზეუმი. ნაქარგობის ფონდი. XIX ს-ის I ნახევარი

**სურ. 28.** მაშია. ფეხსაცმლის ტიპი. საქართველოს მუზეუმი. ტყავის ფონდი. XIX ს-ის I ნახევარი

**სურ. 29.** კავკასიური ქოშის ნიმუში. საქართველოს მუზეუმი. ტყავის ფონდი. XIX ს-ის I ნახევარი

**სურ. 30.** საპირე ქოშის. ხელოვნების მუზეუმი. ნაქარგობის ფონდი. XIX ს-ის I ნახევარი

**სურ. 31.** კაბა ქალის. საქართველოს მუზეუმი. კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდი.

**სურ. 32.** მოცეკვავე ქალი. თურქული მინიატიურა.

**სურ. 33.** ქართველი ქალის ახალუხი. საქართველოს მუზეუმი. კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდი. XVIII ს.

**სურ. 34.** ქართველი ქალის ქათიბი. საქართველოს მუზეუმი. კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდი. XIX ს.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Donators. St. Archangel Michael Church. Bugeuli. North wall. Ambrolauri. 16th c.

**Fig. 2.** Donators. Magaladze`s palace. 1720 years

**Fig. 3.** Donators. St. George Church Nakuraleshi. 17th c. 1670 s. Copy by D. Kakabadze. Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts. End of the 17th c.

**Fig. 4.** Donators. Dormition Church. Donation composition of George the Lipar-

tian-Chiqvani family. Martvili. Samegrelo. Copy by M. Mikeladze-Bagrationi. 17$^{th}$ c. 1680 s. Sh. Amiranashvili Museum of Fine arts.

**Fig. 5.** The Chijavadzes` donations. St. Archangel Michael`s Church. Sachino Vani. Imereti. Copy by T. Kiune. 17$^{th}$ c. Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts.

**Fig. 6.** Queen of Kartli Mariam Dadiani and her son Otia Gurieli. Svetitskoveli. Kartli. Copy by D. Kakabadze. 17$^{th}$. 40s of the 17$^{th}$ c. Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts.

**Fig. 7.** St. Queen Ketevan. 19$^{th}$ c. painting.

**Fig. 8.** Darejan Queen of Kartl-Kakheti (wife of king Kartli-Kakheti Erekle II$^{nd}$) second part of the 18$^{th}$ -19$^{th}$ cc. painting.

**Fig. 9.** Dancing women. Scene from "resurrection". Svetitskoveli. South wall Kartli. Middle of the 17$^{th}$ c.

**Fig. 10.** Dancing women. Scene from "resurrection". Svetitskoveli. South wall. Kartli. Middle of the 17$^{th}$ c.

**Fig. 11.** Darejan Queen of Kartli-Kakheti (wife of king Kartli-Kakheti Erekle II) the second part of the 18$^{th}$ -19$^{th}$ cc. Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts.

**Fig. 12.** Portrait of Nino - daughter of Ksani governor Tornike. Painting of 19$^{th}$ c. Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts.

**Fig. 13.** King of kings Alexander (1417-1442). Painting of 1847.

**Fig. 14.** Anna - dauther of prince George Bagrationi. Painting of the 19$^{th}$ c.

**Fig. 15.** Tekla - dauther of king Erekle II. Painting of 19$^{th}$ c. Sh. Amiranashvili Museum of Fine and Arts

**Fig. 16.** Dress of a Georgian woman. S. Janashia Georgian Museum. Fund of Caucasian clothes and textile. 18$^{th}$ c.

**Fig. 17.** Shah Abbas II holding a banquet for foreign dignitaries. Detail from a ceiling fresco at the Chehel Sotoun Palace in Isfahan. 17$^{th}$ c.

**Fig. 18.** Persian miniature. Detail from a ceiling fresco at the Chehel Sotoun Palace in Isfahan. 17$^{th}$ c.

**Fig. 19.** "Lovers". Nazar`Ali. Iran. Late 18$^{th}$ c. Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts

**Fig. 20.** Woman`s Akhalukhi (outfit) S. Janashia Georgian Museum Fund of Caucasian clothes and textile. 18$^{th}$ c.

**Fig. 21.** Woman`s Sheidishi (trousers). S. Janashia Georgian Museum. Fund of Caucasian clothes and textile. 18$^{th}$ c.

**Fig. 22.** Types of metal belts. S. Janashia Georgian Museum. Fund of precious metals. 19$^{th}$ -20$^{th}$ cc.

**Fig. 23.** Textile belts. S. Janashia Georgian Museum. Fund of Caucasian clothes and textile. Late 19$^{th}$ c.

**Fig. 24.** Tiflis woman. 1840

**Fig. 25.** Embroidered headbands from Kartli and Kakheti. S. Janashia Georgian Museum. Fund of Caucasian clothes and textile. Early years of 19$^{th}$ c.

**Fig. 26.** Elene Alimakhvari - wife of Prince Teimuraz. Early years of the 19$^{th}$ c.

**Fig. 27.** Women`s hat. Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts. First half of the 19$^{th}$ c.

**Fig. 28.** „Mashia" type of footwear. S. Janashia Georgian Museum. Fund of leather. First part of the 19th c.

**Fig. 29.** „Qoshi"**.** Caucasion footwear. S. Janashia Georgian Museum. Fund of leather. First part of the 19th c.

**Fig. 30**. Embroidered surfaced footwear. Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts. First part of the 19th c.

**Fig. 31.** Georgian women`s dress. S. Janashia Georgian Museum. Fund of Caucasian clothes and textile.18th c.

**Fig. 32.** Dancing woman. Turkish miniature.

**Fig. 33.** Georgian woman`s "Akhalukhi" (outfit). S. Janashia Georgian Museum. Fund of Caucasian clothes and textile.18th c.

**Fig. 34.** Georgian woman`s "Katibi"**.** S. Janashia Georgian Museum. Fund of Caucasian clothes and textile. 19th c.



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**



სურ. 8 **Fig.**






სურ. 9 **Fig.** სურ. 10 **Fig.** სურ. 11 **Fig.** სურ. 12 **Fig.**





სურ. 13 **Fig.** სურ. 14 **Fig.** სურ. 15 **Fig.**




სურ. 16 **Fig.** სურ. 17 **Fig.**



სურ. 18 **Fig.**



სურ. 19 **Fig.**



სურ. 20 **Fig.**



სურ. 21 **Fig.**



სურ. 22 **Fig.**



სურ. 22 **Fig.**



სურ. 23 **Fig.**



სურ. 23 **Fig.**



სურ. 24 **Fig.**



სურ. 25 **Fig.**



სურ. 26 **Fig.**



სურ. 27 **Fig.**



სურ. 28 **Fig.**



სურ. 29 **Fig.**



სურ. 30 **Fig.**



სურ. 31 **Fig.**



სურ. 32 **Fig.**



სურ. 33 **Fig.**



სურ. 34 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 162-176
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 162-176

**ეთნოგრაფია/ეთნოლოგია**

**მანანა აბაშიძე*, მამუკა ქაფიანიძე***

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი.
სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი.
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: mkapianidze@museum.ge

# ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის შეწირული ვერცხლის თასები

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს სასამართლოს 1930 წლის 7 მარტის დადგენილებით გადმოეცა დუშეთის მაზრის სოფელ ქვემო მლეთის მცხოვრებთა კუთვნილი ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიისთვის შეწირული ვერცხლის ოცდაოთხი თასი. განძი ინახებოდა იმავე სოფლის მკვიდრ გიორგი ბურდულთან. მუზეუმისთვის თასების გადმოცემა, როგორც დადგენილებაშია ნათქვამი, განხორციელდა ქვემო მლეთის მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით.

თასების ერთი ნაწილი წარწერებიანია და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის XVIII ს-ის ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების შესახებ. ზოგიერთ თასზე მხოლოდ შემომწირველის გვარ-სახელია მოხსენიებული, ორი – უწარწეროა, ოთხი თასი ამორიცხულია სამუზეუმო დავთრიდან.

ლომისის მთავარმოწამე წმინდა გიორგის ეკლესია მდებარეობს ისტორიულ მთიულეთში, ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზე, დაბა ფასანაურიდან 18 კმ-ისა და სოფელ ქვემო მლეთიდან 6-7 კმ-ის დაშორებით [საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. 2004: 324].

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „ლომისის... მთის თხემსა ზედა, არს ეკლესია წმიდის გიორგისა, წოდებული ლომისა (და ამის გამო ეწოდა მთასა ამას სახელი ესე), არამედ უგუნბათო არს და არიან მრავალნი ხატნი და ჯუარნი ოქრო-ვერცხლისანი, დახიზნულობით. უჭურეტს სამხრით კსანსა, ჩრდილოთ მთიულეთს. მთა ესე უტყეო არს და ბალახ-ყუავილიანი, კალთათა ტყიანი“ [ბატონიშვილი ვახუშტი. 1973: 355].

საქართველოს მიწათმოქმედ მოსახლეობაში ხარის კულტი უძველესი დროიდან არსებობს. მოგვიანებით იგი ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში მთვარის ღვთაებას დაუკავშირდა, ხოლო ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ წმინდა გიორგის კულტს შეერწყა და მისი გამოსახულება წმინდანის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.

ლომისასთან დაკავშირებული ლეგენდის თანახმად, XIII ს-ში ხვარაზმელებს ჯალალ-ედ-დინის სარდლობით საქართველო დაულაშქრავთ. ქვეყანა დაურბევიათ, გაუძარცვავთ და უკან გაბრუნებულებს 7000 ქართველი ტყვედ წაუყვანიათ. დატყვევებულებს თან წაუღიათ მთიულეთის მთავარი სიწმინდე – გზოვანის წმინდა გიორგის ხატი. მალე მტრის ქვეყანა განადგურებამდე მისულა, ყველაფერი გადამხმარა, საქონელი დაბერწებ-

ულა, ადამიანები უნაყოფონი გამხდარან. სასოწარკვეთილ სულთანს მისნები მოუხმია, რომელთაც ქვეყნის უბედურების მიზეზად გურჯისტანის ხატი დაუსახელებიათ. სულთანს ხატის საკირეში ჩაგდება უბრძანებია, მაგრამ ხატი საკირედან უვნებელი ამოფრენილა და იქვე მოვლენილი თეთრი ხარის რქაზე დაბრძანებულა. ამ სასწაულის შემდეგ სულთანს ტყვეები გაუთავისუფლებია და სამშობლოში დაბრუნების უფლება მიუცია, მაგრამ ხატსა და ხარს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლიათ. საქმე ის იყო, რომ ერთი კოჭლი დედაკაცი ვიღაც ხორასნელს მოახლედ წაუყვანია, როგორც კი ეს ქალი მოუყვანიათ, ხარი, ხატი და 7000 არაგველი სამშობლოსკენ დაძრულან. გზად მიმავალთ, სადაც კი ხარს შეუსვენია, ხალხს ყველგან ნიში აუგია. ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედამდე რომ მისულან, ხარი „ლომისას წვერზე ასულა და გამსკდარა“, ხატიც იქვე დაფრენილა. ტყვედყოფილი არაგველები მთის წვერიდან მდინარე არაგვამდე ჯაჭვად გაბმულან, მთაზე ქვები აუზიდავთ და ტაძარი აუგიათ. ლომა ხარის პატივისცემის ნიშნად ახალ აშენებულ ეკლესიისთვის ლომისის წმინდა გიორგის სახელი უწოდებიათ[1] [მაკალათია ს. 1930: 166-170].

ლომისის ტაძრის ტრაპეზზე დასვენებულ შეწირულ ხატებს შორის ამჟამად აღარაა ლომისის სასწაულმოქმედი ხატი. გადმოცემის თანახმად, შიშიანობის დროს იგი დეკანოზებს გადაუმალავთ, შემდეგ კი ველარ უპოვიათ. მის სანაცვლოდ მსგავსი ვერცხლის ხატი მოუჭედინებიათ და მლეთის ეკლესიაში დაუბრძანებიათ.

ლომისობა მთიულეთისა და ქსნის ხეობის მცხოვრებთა უპირველესი დღესასწაულია. იგი აღდგომის მეშვიდე კვირის ოთხშაბათს აღინიშნება. ლომისობაზე უამრავი მომლოცველი იყრის თავს. ლომისას შვილიერებას, თვალის სინათლეს, მიწისა და საქონლის ნაყოფიერებას შესთხოვენ, რისთვისაც ამ დღეს შესაბამისი რიტუალები სრულდება. დილით დეკანოზები ეკლესიიდან ლომისის ბავრაყს გამოაბრძანებენ, ხალხს წაუძღვებიან და „ფერხისას“ სიმღერით მლეთის მთის წვერისაკენ მიემართებიან, სადაც ტრადიციულად იმართება დღესასწაული. მსხვერპლშეწირვის შემდეგ იშლება სუფრები, იწყება საერთო ლხინი და პურობა, რაც გვიანობამდე გრძელდება [მაკალათია ს. 1930: 167].

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ არაგვის საერისთავოს სხვადასხვა ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებულსა და ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის შეწირული სამი თასის წარწერას.

თასის (საინვენტარო № 9-30/9. სურ. 1.) წარწერა გვამცნობს, რომ ის ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის არაგვის ერისთავ ბეჟანს შეუწირავს: „ქ. შემოგწირე დიდებულს ლომისა მთავარ მოწამეს წმიდას გიორგის არაგვის ერისთავმან ბეჟან“.

არაგვის საერისთავო, ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, მდებარეობდა არაგვის ხეობიდან თერგის სათავეებამდე. მისი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობა, ზოგადად, ქართლზე ბატონობას განსაზღვრავდა. დაახლოებით XV ს-ის შუა წლებიდან არაგვის საერისთავო სათავადოდ იქცა და შემდგომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს

1 აღნიშნული ლეგენდა სხვადასხვა ინტერპრეტაციით დამოწმებული აქვს ზურაბ კიკნაძეს [კიკნაძე ზ. 2009: 249-259].

ასრულებდა.

XVIII ს-ის 40-იან წლებში არაგვის ერისთავი ბეჟანი საამილახვროსა და ქსნის საერისთავოს მფლობელის, ოსმალური ორიენტაციის გივი ამილახვრის, მოკავშირე გახდა და 1742 წელს აქტიურად ჩაერთო მის მიერ სპარსეთის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებაში [ქსე. 1975: 532]. იმავე წელს ბეჟანს აუჯანყდნენ საკუთარი გლეხები, რომლებსაც წვრილმა აზნაურობამაც დაუჭირა მხარი. აჯანყების მთავარი მიზეზი ბეგარა-გადასახადების გაზრდა და მებატონეთა მიერ ყმების მიმართ გამოვლენილი სისასტიკე იყო. ბეჟან ერისთავს გივი ამილახვარმა ჯარი მიაშველა და შეერთებული ძალებით ძლიეს მეამბოხეებს. მათი მეთაური - საერისთავოს სახლთუხუცესი ამინა კობიაშვილი სიკვდილით დასაჯეს. თუმცა, საქმე ამით არ დამთავრებულა. 1743 წლის ივნისში მოსახლეობის უკმაყოფილებამ ახალი ძალით იფეთქა. ჯანყი არაგვის საერისთავოდან ხევისა და მთიულეთის სოფლებსაც მოედო, რაც ერისთავებისათვის საბედისწერო შედეგით დასრულდა. როგორც პაპუნა ორბელიანი გვამცნობს: „მას ჟამსა შინა უღალატეს არაგვის ერისთავს ბეჟანს და მის ბიძაშვილს ოტიას არაგვის კაცთ და ორივ მოკლეს“ [ორბელიანი პ. 1981: 68]. მეამბოხეები ამით არ დაკმაყოფილებულან, ააწიოკეს და დიდძალი ქონება წატაცეს მთიულეთში გახიზნულ ბეჟან ერისთავისა და გივი ამილახვრის ოჯახებს. „იავარ-ჰყვეს საქონელი“ – აღნიშნავს პაპუნა [ორბელიანი პ. 1981: 68]. ამის შემდეგ აჯანყებულებმა არაგვის საერისთავოს ბატონ-პატრონობა კახთა მეფე თეიმურაზ მეორეს შესთავაზეს. მეფე საერისთავოში ჯარით შევიდა, მორჩილების სანაცვლოდ არაგველებს ოდითგან დაწესებული გადასახდელის შენარჩუნება აღუთქვა, აჯანყების მეთაურთა შვილები მძევლებად აიყვანა და საერისთავოს მმართველობა თავის მოხელეებს ჩააბარა [ქსე. 1975: 533].

ნადირ შაჰმა არაგვის საერისთავოს მფლობელობა თეიმურაზ II-ს ოფიციალურად დაუდასტურა, თან ქსნის საერისთავოსაც შეჰპირდა: „თუცა ქსნის ხევსაც დაიჭერო, ორსავ საერისთო შენთვის მოგვიცემიაო“ [ორბელიანი პ. 1981: 69]. ქსნის ხეობის შემოერთებას თეიმურაზი მშვიდობიანი გზით შეეცადა, მაგრამ მისმა მცდელობამ სასურველი შედეგი არ გამოიღო: „ეცადა მეფე თეიმურაზ მრავლის წყალობის დაპირებითა და ქსნის ხევის კაცნი ვერ შემოირიგა“ [ორბელიანი პ. 1981: 70]. მაშინ იგი იძულებული შეიქმნა, კახეთიდან ერეკლე ეხმო ჯართან ერთად და ხეობა ბრძოლით აელო [გვრიტიშვილი დ. 1955: 356].

თეიმურაზ მეფემ არაგვის საერისთავო სამეფო მამულად გამოაცხადა და საუფლისწულოდ ერეკლეს ვაჟს – ვახტანგ ბატონიშვილს გადასცა, რომელმაც, თავის მხრივ, საერისთავოს მმართველად ჯიმშერ ჩოლოყაშვილი დანიშნა. ვახტანგ ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1765 წელს, არაგვის საერისთავო ლევან ბატონიშვილის გამგებლობაში გადავიდა. მისი მუხანათური მკვლელობის შემდეგ კი 1781 წელს ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილს გადაეცა, რომელიც 1803 წელს რუსეთში გადაასახლეს, ხოლო არაგვის საერისთავო ანანურის მაზრის უფროსს დაუქვემდებარეს [ქსე. 1975: 533]

არაგვის საერისთავოსთვის ბრძოლა ბეჟანის სიკვდილით არ დამთავრებულა, ერისთავების მომხრე არაგველებმა, რომელთაც არ ცნეს მეფის ხელისუფლების უზენაესობა და ძველ მებატონეთა ერთგულნი

დარჩნენ, ბეჟანის ვაჟის – სარიდანის თაოსნობით კეხვის ციხე დაიკავეს და იქ გამაგრდნენ. ეს ისტორიული ფაქტი აისახა თასზე (საინვენტარო № 9-30/5. სურ. 2.), რომელიც სარიდანსა და მის მეუღლე როდამს 1745 წელს ლომისის წმინდა გიორგისათვის შეუწირავთ.

თასის წარწერა გვამცნობს: „ქ. ეს. თასი. შემგწირე. მე. არაგვის. ერისთ-ვის. შვილმა. სარიდან. და. მეუღლემა. ჩემა. როდამ. თქვენ. დიდებულს. წმინდას. გიორგის. ლომისა. მათავარ. მოწამესა. სულისა. ჩვენისა. სალხ-ინებლად. და. ძეთა.ჩვენთა. აღსაზარდელად. ამინ. + ასე. რომ. ამწყვეტილ-ნი. და. გარდაცვვანილი. კეხვას. ციხეში. ვიდექით. ხემწიფის. ჯარი. მოვ-იდა. შემვადგა. თოფხანითა. ოთხს. თვესა. შენის. მოსებით. მაშვიდობით. გამვედით. ვინც. წაიკითხევდეთ. შენდობას. გვიბძანებდეთ. ქკოს. ულგ.+“[2]

როგორც თასის წარწერა გვაუწყებს, თეიმურაზ II ჯარით შემოადგა კეხ-ვის ციხეს. ალყა ოთხი თვე გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში ციხეში მოქცეულებს გაუსაძლისი პირობები შეექმნათ. დღითი დღე მატულობდა „ამწყვეტილთა“ და „გარდაცვვანილთა“ რიცხვი. გასაჭირში ჩავარდნი-ლი მეამბოხეები იძულებული გახდნენ, მარცხი ეღიარებინათ. სარიდან ერისთავს მეფის სარდალი ქაიხოსრო თავდებში დაუდგა და თეიმურაზს მიჰგვარა, რის შემდეგ „დასცალეს ციხე“ [ორბელიანი პ. 1981: 92]. ალყა-ში მოქცეულმა არაგველებმა წმინდა გიორგის „მოსებით... მაშვიდობით“ უვნებლად გამოაღწიეს ციხიდან, რის სამადლობლადაც შეუწირავთ სა-რიდან და როდამ ერისთავებს ლომისის მთავარმოწამე წმინდა გიორგის ეკლესიისთვის ვერცხლის თასი.

შეწირულ თასზე ცხენზე ამხედრებულ წმინდანს ზურგს უკან ყმაწვილი ჰყავს შემომჯდარი. ეს სიუჟეტი წმინდა გიორგის მეექვსე სასწაულს უკა-ვშირდება. წმინდა გიორგი განსაცდელში მყოფთა მფარველისა და გამათ-ავისუფლებლის სიმბოლოდ გვევლინება. თასზე სასწაულის იკონოგრაფი-ული სცენის გამოსახვა განპირობებული უნდა იყოს კეხვის ციხის ალყაში მოქცეულთა ტყვეობიდან მშვიდობიანად დახსნის ფაქტით[3]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ მართლმადიდებლურ სამყაროში ამა თუ იმ ფორმით წმინდანის მეექვსე სასწაულის სცენა იშვიათად გვხვდება. გამ-ონაკლისის სახით იგი სწორედ ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის შეწირული თასის გამოსახულებამ შემოგვინახა [აბაშიძე მ., ქაფიანიძე მ. 2010: 389].

თასის წარწერის შესწავლამ ცხადყო, რომ იგი სარწმუნო ისტორიული ინფორმაციის შემცველი წყაროა. მასში ნათლად აისახა სამეფო ხელისუ-ფლების ბრძოლა სეპარატისტი ფეოდალების წინააღმდეგ, რაც ქვეყნის ცენტრალიზაციის გზაზე პროგრესული, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

შემდეგი თასი (საინვენტარო № 9-30/1. სურ. 3.), რომელიც განსა-

2 ს. მაკალათია მიუთითებს აღნიშნული თასის წარწერაზე, მაგრამ ციხის სახელწოდება „კეხვას“ (ანუ კეხვის) არასწორად კითხულობს – მას უწოდებს „ჯხეს? (თუ ჯეხეას?) [მაკა-ლათია ს. 1930: 176].

3 ს. მაკალათია წმინდა გიორგის ამ იკონოგრაფიულ სცენას თავისებურად ხსნის: „თასზე ამოჭრილია ცხენოსანი წმ. გიორგი, რომელსაც უკან ადამიანი უზის (უნდა იყოს თვით სა-რიდან ერისთავი) და მიჰქრის“ [მაკალათია ს. 1930: 176].

კუთრებულ ყურადღებას იქცევს, ზემოთ აღწერილი მოვლენებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგაა შეწირული და XVIII ს-ის უკანასკნელი პერიოდის ისტორიულ მოვლენას ეხმიანება.

წარწერა გვამცნობს: „ქ: შენ წ~ისადა: დიდებულისა მთავარმოწამის გიორგისა ლომისად წოდებულსა თასი ესე მსასოებელმან მფარველობისა შენისამან ყოვლისა საქართველოსა მეფისა ირაკლი მეორისა ძემან ვახტანგ მპყრობელმან არაგვისამან ოდეს: ჩღჟზ: [1797 წ.] წელსა აღამამად ხანის:. მეორედ მომავალობა გვეგულებოდა და ჩვენ შენს დღესასწაულზედ მოვედით და არაგველნი სრულ იქ გვახლდენ და შენი დიდებული ბავრაყი ნალვარევის ეკლესიაში ჩამვასვენეთ და იქ იფიცეს ერთობით არაგველთ ჩვენს ერთგულებაზედ და უნაკლულოდ ლაშქრობაზედ და თუ ვინმე შემოსახიზნავად მოსულ იყვნენ იმათ კეთილად დაცვაზედ და ამისთვის შენის დიდებულის ბავრაყის პატივისსაცემელად მოგართვით თასი ესე შეიწირე მსგავსად მეუფისა შენისა და იოხენ მათთვის რომელნიც არაგველნი აღამამადხანის ომში მოისრნენ რათა საუკუნე საცხოვრებასა ღირს იქმნენ:. მისხალი: პ:."

XVIII ს-ის დასასრულს სპარსეთში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა საქართველოსა და კავკასიის ზოგიერთი სახანოს მომავალზე დიდი გავლენა მოახდინა.

ქერიმ-ხან ზენდის გარდაცვალების შემდეგ ტახტის მაძიებელთა შორის ატეხილ შინაომებში თურქ-ყაჯართა ტომის წარმომადგენელმა აღა-მაჰმად-ხანმა გაიმარჯვა.

სპარსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის პერსპექტივის ხელშემშლელ ფაქტორად აღა-მაჰმად-ხანი რეგიონში რუსეთის გავლენის გაძლიერებას თვლიდა, ხოლო რუსეთ-საქართველოს შორის გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებას ანტისპარსულ ქმედებად მიიჩნევდა. აღა-მაჰმად-ხანი ერეკლე II-ის პრორუსულ ორიენტაციას არ ურიგდებოდა და საქართველოს წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. რაც შეეხება ერეკლეს, იგი რუსეთის თანადგომის იმედს არ კარგავდა, გადაჭარბებით აფასებდა მისი მხარდაჭერის მნიშვნელობას და ვარაუდობდა, რომ სპარსეთი რუსეთის ვასალურ სახელმწიფოზე თავდასხმას ვერ გაბედავდა, და თუ ეს მაინც მოხდებოდა, იგი რუსეთისაგან საკადრის პასუხს მიიღებდა.

თუმც რუსეთის სახელმწიფო და დიპლომატიური წრეების წარმომადგენლები ასე არ ფიქრობდნენ. სპარსეთის შეჭრას საქართველოში პირადი სარგებლის კუთხით აფასებდნენ და მიაჩნდათ, რომ მტრისაგან გაპარტახებული, დაუძლურებული ქვეყნის ოკუპაციას მომავალში ნაკლები ძალისხმევით, გაცილებით იოლად შეძლებდნენ.

საქართველოსთვის სულ უფრო რეალური ხდებოდა სპარსეთის შემოსევის საფრთხე. ერეკლე ყველაფერს აკეთებდა თავდაცვითი საშუალებების გასაძლიერებლად, მაგრამ შინააშლილობა ქვეყანაში და, რაც მთავარია, საიმედო, ერთგულ თანამდგომთა სიმცირე გადაულახავ წინაღობას უქმნიდა მისი მიზნების განხორციელებას. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში მრავალრიცხოვან შვილთაგან ერეკლეს ძირითადად, ვახტანგ (ალმასხან) და ალექსანდრე ბატონიშვილები ედგნენ მხარში. ასე რომ, ქართლ-კახეთის სამეფო ძლიერი მტრის შემოსევას, ფაქტობრივად, მოუმზადებელი ხვდებოდა.

ამასობაში, აღა-მაჰმად-ხანმა 70-ათასიან არმიას მოუყარა თავი, 1795 წლის მაისის ბოლოს თავრიზიდან დაიძრა და ერთ თვეში ყარაბახის საზღვრებს მიადგა, სადაც კლდოვან მთაზე აგებულ, ძნელად მისავალ შუშის ციხეს შემოადგა, რომლის ალყამ ერთ თვემდე გასტანა.

შუშის ციხის აღების მცდელობამ შედეგი რომ ვერ გამოიღო, აღა-მაჰმად-ხანმა ალყა მოხსნა, ადგილზე მცირე რაზმი დატოვა და თბილისისაკ-ენ დაიძრა.

სპარსელთა მრავალრიცხოვანი რაზმები გააფთრებულნი უტევდნენ თბილისის დამცველებს და თანდათან ქალაქის ცენტრისაკენ მიიწევდნენ. ქართველები მტერს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ. მათ შორის იყვნენ არაგველები – სამასი მეომარი, რომელთაც პირდაპირ იქით მიაშურეს, სადაც თავად აღა-მაჰმად ხანი ეგულებოდათ, გაარღვიეს დაცვა და იმ ჯგუფს მიეტანნენ, რომელიც გარს ერტყა შაჰს. თავგანწირულმა არაგველებმა თითქმის მიაღწიეს შაჰის კარავს, მაგრამ, მიუხედავად უდიდესი ძალისხმევისა, მათს მიზანს აღსრულება არ ეწერა. ვერ განხორციელდა ის, რასაც შეიძლებოდა ომის ბედი ქართველთა სასარგებლოდ შემოებრუნებინა. არაგველებმა მეფისა და სამშობლოსათვის მიცემული ფიცი – გაემარჯვათ ან ბრძოლაში დახოცილიყვნენ – არ გატეხეს და სიცოცხლე ბრძოლის ველზე გმირულად დაასრულეს [პეტრიაშვილი თ. 2006: 147].

აღა-მაჰმად-ხანი თბილისში შემოვიდა. მომხდურებმა ქალაქი დაანგრიეს, გაძარცვეს, მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუნდობლად ჩახოცეს, ცოცხლად გადარჩენილნი დაატყვევეს, და ბოლოს, მთელი ქალაქი ცეცხლს მისცეს [ქსე. 1983: 46].

ამასობაში შაჰს სპარსეთიდან ამბავი მოუვიდა, რომ მის წინააღმდეგ ხორასანში აჯანყება მზადდებოდა. თბილისში გასაძარცვი და მისატაცებელი ფაქტობრივად, აღარაფერი დარჩა. ამიტომ 20-21-სექტემბერს ტყვეებითა და უამრავი ნაძარცვით დატვირთული მისი ლაშქარი სოღანლუღიდან დაიძრა და განჯის გავლით სპარსეთისაკენ გაუყვა გზას [საქართველოს ისტორია. 2012: 477].

სპარსელთა უკუქცევის შემდეგ ერეკლე დაბრუნდა თბილისში და ქალაქის აღმშენებლობას შეუდგა. ამ ურთულეს საქმეში მეფეს ალექსანდრე ბატონიშვილი ედგა მხარში და ყოველმხრივ ეხმარებოდა. ერეკლემ არც ამიერკავკასიაში დათმო თავისი პოზიციები და ყარაბახის ხანთან ერთად განჯა ისევ დაიქვემდებარა.

1796 წლის აპრილში რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-მ ამიერკავკასიიდან სპარსეთის მთლიანად განდევნის მიზნით საომარი მოქმედებები დაიწყო. რუსები წარმატებით ახორციელებდნენ შეტევით ოპერაციებს, ქართველი და ზოგი სხვა კავკასიელი ხალხის მხარდაჭერით დარუბანდი და აზერბაიჯანის რამდენიმე ცენტრალური ქალაქი აიღეს, მაგრამ რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმა მათი წინსვლა მოულოდნელად შეაფერხა. საქმე ის იყო, რომ 1796 წლის 6 ნოემბერს ეკატერინე II გარდაიცვალა, მისმა მემკვიდრე პავლე I-მა აღარ ისურვა სპარსეთთან დაწყებული ლაშქრობის გაგრძელება და საომარი ოპერაციები შეწყვიტა [საქართველოს ისტორია. 2012: 479].

როგორც კი ეს ამბავი შეიტყო, აღა-მაჰმად-ხანმა მყისვე დატოვა ხო-

რასანი და საქართველოში გამოსალაშქრებლად მზადებას შეუდგა. შაჰის მოსალოდნელი შემოჭრის ცნობამ ყარაბახის მოსახლეობამდეც მიაღწია და მათში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. სპარსეთის მბრძანებელს მდინარე არაქსთან შუშელ სომეხთა დელეგაცია დახვდა და ქალაქში დიდი პატივით შეიყვანა. შაჰი იბრაჰიმ ხანის შვილის სასახლეში დაბინავდა და სალაშქრო სამზადისს შეუდგა.

აღა-მაჰმად-ხანმა რაღაც მიზეზთა გამო თავისი ნუკერები – აბაბეკი და საფარ-ალი სასიკვდილოდ გაწირა. განაჩენი დილით უნდა განესრულებინათ, მაგრამ იმ ღამეს ნუკერებმა მძინარე შაჰი სიცოცხლეს გამოასალმეს. წინამძღოლის გარეშე დარჩენილი სპარსთა ლაშქარი დაიშალა და სამშობლოში დაბრუნდა. საქართველო აღა-მაჰმად-ხანის განმეორებით შემოსევასა და უდიდეს უბედურებას გადაურჩა [პეტრიაშვილი თ. 2006: 184].

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში დაცული ვერცხლის თასი ვახტანგ ბატონიშვილს ლომისის მთავარმოწამე წმინდა გიორგის ეკლესიისათვის 1797 წელს, ლომისობის დღესასწაულზე, შეუწირავს[4]. თასის წარწერამ იმ დროს ქვეყანაში არსებული უმძიმესი ვითარების სურათი შემოგვინახა. ეს ის პერიოდია, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობისაგან მიყენებული ჭრილობები ჯერ კიდევ არ მოეშუშებინა და განმეორებით მისი შემოჭრის საშიშროების წინაშე იდგა. მტრის მოსალოდნელი შემოსევის ცნობამ მოსახლეობა შეაშფოთა. ამის გამოძახილი იყო არაგველთა მზაობა, მომავალ ლაშქრობაში სამშობლოს დასაცავად უკლებლივ ყველას მიეღო მონაწილეობა. მათ ვახტანგ ბატონიშვილს ნაღვარევის ეკლესიაში ჩამობრძანებული ბავრაყის წინ ერთგულება, მხარში დგომა შეჰფიცეს სპარსეთის შაჰის „მეორედ მომავალობის“ შემთხვევაში და წმინდანს შეთხოვეს „იოხენ“ იმ არაგველთა სულის მოსახსენებლად, რომელნიც „აღამამადხანის ომში მოისრნენ“, რათა თავიანთი სიკვდილით „საუკუნე საცხოვრებასა ღირს იქმნენ“.

ამრიგად, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდის კოლექციაში დაცული ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის შეწირული თასების წარწერათაგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამი უკავშირდება ისტორიულ მოვლენებსა და პიროვნებებს, ორი თასი უწარწეროა, ოთხი წარწერიანი თასი ამორიცხულია სამუზეუმო დავთრიდან, დანარჩენი თხუთმეტი თასის წარწერებში მოხსენიებულია როგორც წარჩინებული, ისე რიგითი შემომწირველების გვარ-სახელები, რომელთა იდენტიფიცირება ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა (საინვენტარო № 9-30/2-24. სურ. 4-20)[5]

---

4 1797 წლის აღდგომის დღესასწაული ძველი სტილით, 5 აპრილს, აღინიშნა. ლომისობის დღესასწაული კი აღდგომიდან მეშვიდე კვირის ოთხშაბათს, 20 მაისს, უნდა აღნიშნულიყო. 1797 წლის ლომისობიდან 16 დღის შემდეგ, 1797 წლის 5 ივნისს, მოკლეს აღა-მაჰმად ხანი. [www.orthodoxy.ge/agdgoma.htm]

5 განხილული სამი წარწერიანი თასის გარდა სტატიაში წარმოდგენილია ძვირფასი ლითონების ფონდში დაცული შეწირული თასების სრული კოლექცია, რომელიც პირველად ქვეყნდება.

**Manana Abashidze*, Mamuka Kapianidze***

*The Georgian National Museum, Simon Janashia Museum,
#3 Rustaveli Ave., 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: mkapianidze@museum.ge

# Silver Cups Donated to Lomisi St. George Church

## Summary

More than three thousand exhibits are kept in the fund of precious metals of the Simon Janashia Georgian Museum, among which most interesting are silver cups with inscriptions # 9-30/1-24 donated to Lomisi St. George Church. There are 24 exhibits – four are withdrawn from the museum registry the rests are on the spot.

History of appearance of this material in the museum is also interesting. According to the museum registry those objects belonged to the inhabitants of village Kvemo Mleta (Dusheti district) and were handed over to a resident of the very village Giorgi Burduli for keeping. The objects were expropriated on the base of the court resolution of 7 March, 1930 and at the demand of residents of the village the court sent the objects to the Georgian Museum.

Among those objects silver cups, donated by Georgian noblemen, should be emphasized. Some of these cups bear inscriptions referring to definite historical moments. Thus, for example, the cup donated by king Erekle II's son, Vakhtang bears the following inscription: "We are expecting the second invasion of Agah Mahmud Khan and we came to your festival and all knights from Aragvi accompanied us… and they swore jointly that they would be devoted to us... Take this cup as your lord would take it and bless those men from Aragvi who were massacred in the war against Agah Mahmud Khan and bless those knights for eternity."

As it turns out from the inscription, the cup was donated during threat of Agah Mahmud Khan's second invasion. On account of this, warriors from Aragvi once again swore to their king their fidelity and offered donation for eternal blessing of three hundred Aragvians, who were killed during the first invasion of Agah Mahmud Khan.

The collection keeps the cups donated by such historical persons as: Bezhan Aragvis Eristavi (feudal lord of upland district of Georgia - Aragvi), his son Saridan Aragvis Eristavi. The inscription on the cup donated by him is associated with the historical event, namely with taking of Kekhvi fortress by king Teimuras II. Among persons who donated cups are sons of Otar Aragvis Eristavi, Giorgi and Bardzim, son of Ioane Mukhranbatoni and others. Inscriptions are fixed on 22 objects.

The present paper considers the history/legend about building of Lomisi St. George church, periods of activity of some historical persons and historically evi-

denced facts mentioned in the inscriptions made on the cups.

There are many memorial exhibits and exhibits bearing inscriptions in the fund of precious metals, which to a definite extent, play function of historical source. The present paper is namely an attempt to study this unique collection which is one of the main directions of museum activity.

## ბიბლიოგრაფია


**აბაშიძე მ., ქაფიანიძე მ. 2010:** სარიდან არაგვის ერისთავის შეწირული თასი. *სემმ*, №2 (47-B). გვ. 383-392. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**გვრიტიშვილი დ. 1955:** *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან.* თბილისი.

**ვახუშტი. 1973:** *აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება.* ტ. IV. დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

**კიკნაძე ზ. 2009:** *ანდრეზები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები).* თბილისი (რედ. მ. ღაღანიძე).

**მაკალათია ს. 1930:** *მთიულეთი.* ტფილისი.

**ორბელიანი პ. 1981:** *ამბავნი ქართლისანი.* (ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა). თბილისი (სერიისა და ტომის რედ ვ. გაბაშვილი).

**პეტრიაშვილი თ. 2006:** *კრწანისს ნაბრძოლი ხმალი და ბატის ფრთის კალამი იოანე ბატონიშვილისა.* თბილისი (რედ. მიხ. ქავთარია).

***საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა.* 2004**: ახმეტის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის რაიონები. ნაწილი 2. თბილისი (მთავარი რედ. ა. საყვარელიძე).

***საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე).* 2012**:

ტ. III. თბილისი (მთავარი რედ. მ. ლორთქიფანიძე).

**ქიქოძე გ. 1958:** *ერეკლე მეორე.* თბილისი (რედ. გ. ჯიბლაძე).

**ქსე. 1975:** ტ. I. თბილისი

**ქსე. 1983:** ტ. VI. თბილისი

www.orthodoxy.ge/agdgoma.htm - აღდგომის თარიღის გამოთვლა


## ილუსტრაციების აღწერილობა

მლეთის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის შეწირული თასები:

**სურ. 1.** 9-30/9 – ბეჟან არაგვის ერისთავის მიერ შეწირული ვერცხლის თასი. წონა – 128გრ; ძირის დიამეტრი – 4,5სმ; პირის დიამეტრი – 12სმ; სიმაღლე – 5სმ; ოსტატის დამღა: „გრიფლ“.

**სურ. 2.** 9-30/5 – სარიდან არაგვის ერისთავისა და მისი მეუღლის, როდამის, მიერ შეწირული ვერცხლის თასი.

წონა – 137გრ; ძირის დიამეტრი – 5სმ; პირის დიამეტრი – 13სმ; სიმაღლე – 4სმ.

**სურ. 3.** 9-30/1 – ვახტანგ ბატონიშვილის მიერ შეწირული ვერცხლის თასი.

წონა – 361გრ; ძირის დიამეტრი – 8სმ; პირის დიამეტრი – 18,5სმ; სიმაღლე – 4,5სმ.

**სურ. 4.** 9-30/2 – ვერცხლის თასი წარწერით: „ქ:. ესე:. თასი:.ლომისა:. მთავარ:. მოწამისა არის +".

წონა – 304გრ; ძირის დიამეტრი – 7სმ; პირის დიამეტრი – 17,5სმ; სიმაღლე – 5სმ.

**სურ. 5.** 9-30/3 – ვერცხლის თასი

წონა – 317 გრ; ძირის დიამეტრი – 8,5 სმ; პირის დიამეტრი – 18 სმ; სიმაღლე – 4 სმ.

**სურ. 6.** 9-30/4 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ქ. ერევს რომ გვიმერჯვენით ეს თსი მშინ შემოგწირეთ მთიულთ და სამმურამ ღმერთმან შეუდნეს"

წონა – 265გრ; ძირის დიამეტრი – 6სმ; პირის დიამეტრი – 14,5სმ; სიმაღლე – 6,5სმ.

**სურ. 7.** 9-30/6 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ქ. შიოს და ზაზას შემოუწირავთ ლომისას წმინდა გიორგითვის თასი წყალობით იყავ ბატონო კობიძე"

წონა – 147გრ; ძირის დიამეტრი – 5,5სმ; პირის დიამეტრი – 12,5სმ; სიმაღლე – 5სმ.

**სურ. 8.** 9-30/7 – ვერცხლის თასი, უფეხო, წარწერით: „ქ. შემოგწირე ბენიაძემ აბრამამა ლომისისთვინ. მისხალი მ."

წონა – 152გრ; პირის დიამეტრი – 13,5სმ; სიმაღლე – 3სმ.

**სურ. 9.** 9-30/8 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ქ: ნიკოლოზისა:. მისხალი: / ლაი/" „ქვსევ კათათვესა +"

წონა – 144გრ; ძირის დიამეტრი – 5,5სმ; პირის დიამეტრი – 13,5სმ; სიმაღლე – 3,5სმ.

**სურ. 10.** 9-30/10 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ქ: ლომისა: მთავარ: მოწმეს: შმოგწირე: იოვნე: მუხრან: ბტონის: შვილმა"

წონა – 131გრ; ძირის დიამეტრი – 4,8სმ; პირის დიამეტრი – 11,8სმ; სიმაღლე – 5,5სმ;

ოსტატის დამღა: „კლო".

**სურ. 11**. 9-30/13 – ვერცხლის თასი

წონა – 135გრ; ძირის დიამეტრი – 4,5სმ; პირის დიამეტრი – 11,5სმ; სიმაღლე – 4,5სმ.

**სურ. 12**. 9-30/14 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ქ. შემოგწირე ლომისას მთავარმოწამეს ჩვენ ამირიძე თადილამ აბრამამ შიომ სამწყლობნოთ"

წონა – 135გრ; ძირის დიამეტრი – 5სმ; პირის დიამეტრი – 10,5სმ; სიმაღლე – 7სმ.

**სურ. 13**. 9-30/17 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ქ. ძიძიშვილს: არუთინს მოურთმევია ლომისისთვინ"

წონა – 138გრ;ძირის დიამეტრი – 5სმ;პირის დიამეტრი – 10სმ;სიმაღლე – 6სმ.

**სურ. 14**. 9-30/18 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ქ: ჩვენ: ბურდულმა ელისბარმა: ნასყიდაშვილმა: გივმა: ქვემოთ: ომში: გაგვიჭირდა: და: ეს თასი: შემოგწირეთ ლომისა: მთავარმოწამეს: გიორგის:"

წონა – 130გრ;ძირის დიამეტრი – 4,5სმ;პირის დიამეტრი – 11,5სმ;სიმაღლე – 5,5სმ.

**სურ. 15**. 9-30/19 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ქ: მე: არაგვს: ერისთვს: ოთარის: შვლმა: გიორგიმ: და: ბარძიმ: შემოგწირეთ: ჯამი: ესე: წმინდას: გიორგის: ლომისა: მავარმოწამეს: ძვნად: სამწყალობნოდ: და: სადღეგრძლოდ“თასის ძირზე წარწერა არ იკითხება.

წონა – 152გრ; ძირის დიამეტრი – 4,5სმ; პირის დიამეტრი – 10,3სმ; სიმაღლე – 6სმ.

**სურ. 16.** 9-30/20 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ქ. ბერიტას შვილი ბეროას ქალი მარინეს ნიშნისა ვ“რ მისხალი მ“. მეორე წარწერა: „ქ. შემოგწირე თასი ესე მცხეთელამა ლეგამა ლომისას მთავარმოწამეს“

წონა – 174გრ; ძირის დიამეტრი – 4,8სმ; პირის დიამეტრი – 9სმ; სიმაღლე – 10სმ.

**სურ. 17**. 9-30/21 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ქ:. თექთურმანის:.ქალის: მარიამის:. მზითვისა:.“

წონა – 142გრ; ძირის დიამეტრი – 4,5სმ; პირის დიამეტრი – 9,5სმ; სიმაღლე – 7სმ.

**სურ. 18**. 9-30/22 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ქ. თიულეთის მოურავის შვილი ნიკოლოზ“

წონა – 153გრ; ძირის დიამეტრი – 4,2სმ; პირის დიამეტრი – 8,5სმ; სიმაღლე – 7,5სმ.

**სურ. 19**. 9-30/23 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ქ: შმოგწირეთ:. კოტორას:. შვილებმა:.გიგმა და თათრმ ლომისის წმინდა გიორგისა: წყალობას გენშვით:.“

წონა – 110გრ; ძირის დიამეტრი – 4,8სმ; პირის დიამეტრი – 7სმ; სიმაღლე – 8სმ.

**სურ. 20.** 9-30/24 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ქ. გიორგის ქვთრშვილ: მოურთმევია ლომისისთვინა“

წონა – 30გრ; ძირის დიამეტრი – 2,2სმ; პირის დიამეტრი – 7,5სმ; სიმაღლე – 4,3 სმ.

სამუზეუმო დავთრიდან ამორიცხული თასები:

1. 9-30/11 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ქ. გ῀ა ჩყიბ [1812] წელსა არის დავთ

ქანანოვსა. ლ მისხალი“წონა – 138გრ.

2. 9-30/12 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ესე თასი შემოგწირე წამალიძე ელისბარმა ...“ წონა – 154გრ.

3. 9-30/15 – ვერცხლის თასი, წარწერით: „შემოგწირე ლომისს ჩემს სამწყალობნ ... ფანცქალას ქალი ცხეთანთ რძალი“წონა – 69გრ.

4. 9-30/16 – ვერცხლის თასი, წარწერით: „ქ. ჩრდილედ შვილმ შოშია შემგწირ ლომისს“ წონა – 141გრ.

## LIST OF ILLUSTRATIONS

Bowls denoted to Mleta St. Giorgi's church:

**Fig. 1.** 9-30/9 – Silver bowl donated by Bejan Eristavi of Aragvi. Weight – 128gm, bottom diameter 4.5cm, rim diametre – 12 cm, height -5 cm, master's mark: "Grifl"

**Fig. 2.** 9-30/5 – Silver bowl donated by Saridan Aragvi Eristavi and his wife Rodami. Weight – 137gm, bottom diametre – 5cm, rim diameter – 13cm, height – 4cm

**Fig. 3**. 9-30/1 – Silver bowl donated by Prince Vakhtang. Weight – 361gm, bottom diameter – 8cm, rim diameter – 18,5cm, height – 4,5cm

**Fig. 4**. 9-30/2 – Silver bowl. Inscription: ,"Christ:. this bowl:. Is of Lomisa:. main martyr". Weight –304gm, bottom diametre – 7cm, rim diameter – 17,5cm, height – 5cm

**Fig. 5**. 9-30/3 – Silver bowl. Weight – 317gm, bottom diametre – 8,5cm, rim diameter – 18cm, height – 4cm

**Fig. 6**. 9-30/4 – Silver bowl. Inscription: "Christ, when we won in Erevan this bowl was donated then ..."Weight – 265gm, bottom diametre – 6cm, rim diameter – 14,5cm, height – 6,5cm

**Fig. 7.** 9-30/6 – Silver bowl. Inscription: "Christ, this bowl was donated by Shio and Zaza To Lomisa St.George church", bottom diametre – 5,5cm, rim diameter – 12,5cm, height – 5cm

**Fig. 8.** 9-30/7 – Silver bowl withaut a foot. Inscription: "I Beniaidze Abram donated it to Lomisi Church". Zolotnik m." Weight – 152gm, rim diameter – 13,5cm, height – 3cm

**Fig. 9.** 9-30/8 – Silver boul. Inscription: "Christ, of Nikoloz:. zolotnik: /lai/ July 6". Weight – 144gm, bottom diametre – 5,5cm, rim diameter – 13,5cm, height – 3,5cm

**Fig. 10.** 9-30/10 – Silver bowl. Inscription: "Christ, Lomisa: I son of Mukhran Batoni Iovne donated to the main martyr of Lomisa". Weight – 131gm, bottom diametre – 4,8cm, rim diameter – 11,8cm, height – 5,5cm. Master's mark: " KGO"

**Fig. 11**. 9-30/13 – Silver bowl. Weight – 135gm, bottom diametre – 4,5cm, rim diameter – 11,5cm, height – 4,5cm

**Fig. 12**. 9-30/14 – Silver bowl. Inscription: " Christ, we Amiridze Tadila and Abramam Shio donated (this bowl) to Lomisa main martyr". Weight – 135gm, bottom diametre – 5cm, rim diameter – 10,5cm, height – 7cm

**Fig. 13.** 9-30/17 – Silver bowl. Inscription: "Christ, Dzidisshvili Aruthin presented to Lomisi". Weight –138gm, bottom diametre – 5cm, rim diameter – 10cm, height – 6cm

**Fig. 14.** 9-30/18 – Silver bowl. Inscription: „Christ, we Burduli Elisbar, Naskidashvili Givi, down had trouble in the war and donated this bowl to the Lomisa chief martyr Giorgi". Weight – 130gm, bottom diametre – 4,5cm, rim diameter – 11,5cm, height – 5,5cm

**Fig. 15.** 9-30/19 – Silver bowl. Inscription: "Christ, I Giorgi son of Aragvi Eristavi Otari and Bardzi donated this bowl to Lomisa St. Giorgi – the chief martyr as a present and charitity and longevity". Weight – 152gm, bottom diametre – 4,5cm, rim diameter – 10,3cm, height – 6cm

**Fig. 16**. 9-30/20 – Silver bowl. Inscription: "Christ, child of Beritashvili Beroa's woman Marine's engaged present. Zolotnik m". The second inscription: ",Christ, I Legam from Mtskheta, donated this bowl to the chief martyr of Lomisa". Weight – 174gm, bottom diametre – 4,8cm, rim diameter – 9cm, height – 10cm

**Fig. 17.** 9-30/21 – Silver bowl. Inscription: "Christ, dawry of Tekturman's daughter Mariam". Weight – 142gm, bottom diametre – 4,5cm, rim diameter – 9,5cm, height – 7cm

**Fig. 18**. 9-30/22 – Silver bowl. Inscription:"Son of Mtiuleti manager Nikoloz" Weight – 153gm, bottom diametre – 4,2cm, rim diameter – 8,5cm, height – 7,5cm

**Fig. 19.** 9-30/23 – Silver bowl. Inscription: "Christ, we Kotora's children Gigi and Tatri donated to Lomisi St. Giorgi. Waiting for mercy". Weight – 110gm, bottom diametre – 4,8cm, rim diameter – 7cm, height – 8cm

**Fig. 20.** 9-30/24 – Silver bowl. Inscription:"Christ, Giorgi Kavtarashvili presented to Lomisi". Weight –30gm, bottom diametre – 2,2cm, rim diameter – 7,5cm, height – 4,3cm

Bowls taken out from Museum inventory:

1. 9-30/11 – Silver bowl. Inscription:",Christ, 1812 year Belongs to David Kananov, zolotnik L". Weight – 138gm
2. 9-30/12 – Silver bowl. Inscription: "I Elizbar Tsamaladze donated this bowl". Weight – 154gm
3. 9-30/15 – Silver bowl. Inscription: " I Pantskala's woman, daughter-in-law of Tskhetant, donated to Lomisi for my mercy ". Weight – 69gm
4. 9-30/16 – Silver bowl. Inscription: „Christ, son of Chrdiledishvili Shoshia donated to Lomisi". Weight – 141gm



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**



სურ. 8 **Fig.**



სურ. 9 **Fig.**



სურ. 10 **Fig.**



სურ. 11 **Fig.**



სურ. 12 **Fig.**



სურ. 13 **Fig.**



სურ. 14 **Fig.**



სურ. 15 **Fig.**



სურ. 16 **Fig.**



სურ. 17 **Fig.**



სურ. 18 **Fig.**



სურ. 19 **Fig.**



სურ. 20 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 177-201
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 177-201

## ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

**თამარ გელაძე*, ნინო დათუნაშვილი***

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nino.museum@gmail.com

# კავკასიის ხალხთა კოსტიუმების ისტორიიდან (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის უცნობი კოლექცია)

კავკასიის ხალხთა კოსტიუმების შესწავლისათვის საყურადღებოა საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო-დამხმარე ფონდში დაცული კოლექციები, სადაც წარმოდგენილია როგორც ქართველთა, ასევე კავკასიის სხვა ხალხთა ტიპაჟის, კულტურისა და ყოფის ამსახველი ბევრი ცნობილი თუ უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული სურათები. მათი გარკვეული ნაწილი ფართო საზოგადოებისათვის არაა ცნობილი და, ამდენად, ის მუზეუმის ე. წ. უცნობი კოლექციაა[1].

ერთი ასეთი კოლექცია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს 1937 წელს ხელოვნების მუზეუმიდან („მეტეხიდან“) გადმოეცა. უფრო ადრე კი ის ჯერ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების, მოგვიანებით კი რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიურ განყოფილებასა და კავკასიის მუზეუმებში ინახებოდა.

სურათების ძირითადი ნაწილი შეუძენიათ ქ. პეტერბურგში (ერთ დროს დაცული იყო ზურაბ კობიაშვილის[2] საეთნოგრაფიო კოლექციაში), ნაწილი – სოფ. ტირძნისში ვინმე სულხანიშვილისაგან.

ეს ნამუშევრები განეკუთვნება ახალი ქართული მხატვრობის პირველ ეტაპს საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან XIX ს-ის 70-იან წლებამდე [ხოშტარია გ. 1974: 149][3]. ზოგადად, ამ პერიოდის მხატვრობას ახასიათ-

1 შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკაში ინახება ამ კოლექციის ოცი ნამუშევრის შავ-თეთრი ფოტო, რომელთაგან 17 ერთ დროს ეკუთვნოდა ზ. კობიაშვილს, 3 კი ვინმე სულხანიშვილს).

2 სავარაუდოდ, ეს არის ზურაბ სიმონის ძე კობიაშვილი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი 1910 წლიდან.

3 უფრო ზუსტი თარიღი მხოლოდ სავარაუდოა. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცულია იმავე სულხანიშვილის ცნობა, რომლის მიხედვით – მისი მამის, ივანეს, მიერ შეძენილი სურათები ჯერ კიდევ XIX ს-ის 40-იან წლებში უნახავს ვიღაც ფრანგ მოგზაურს, ე.ი., თუ ამ ცნობას ვენდობით, 40-იან წლებში ეს სურათები უკვე არსებობდა [ხოშტარია გ. 1974: 157].

ებს საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული ნიშნები, რომლებიც გამოარჩევს მას როგორც ადრინდელი შუა საუკუნეების, ისე ახალი მხატვრობისაგან, რომელიც ჩვენში 80-იანი წლებიდან იწყება და უკავშირდება რომანოზ გველესიანისა და გიგო გაბაშვილის სახელებს. ძველი ქართული ხელოვნების სამხატვრო ტრადიციები (კედლის მხატვრობა და ხელნაწერების მინიატურა) ადგილს უთმობს დაზგურსა და, განსაკუთრებით, პორტრეტულ ფერწერას [ამირანაშვილი შ. 1971: 412].

პორტრეტული ფერწერის ე. წ. თბილისურმა სკოლამ შექმნა თავად-აზნაურთა, მოხელეების, მდიდარი ვაჭრებისა და მრეწველთა პორტრეტების მთელი სერია. წერის პრიმიტიული მანერით, მკაცრად დაცული ფერადოვანი გამით, პერსონაჟების დადგენილი პოზით ეს პორტრეტები მკვეთრად განსხვავდება ევროპელი და რუსი მხატვრების მიერ შესრულებული პორტრეტებისაგან [ამირანაშვილი შ. 1971: 443]. მათი ავტორები, ერთი მხრივ, იწყებენ ახალ, რეალისტურ მხატვრობას, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით, თუმცა მათში ჯერ კიდევ იგრძნობა პირობითობა. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ამ დროს მხოლოდ ერთეულებს თუ ჰქონდათ მიღებული აკადემიური განათლება[4]. მხატვრთა უმრავლესობა უფრო ხელოსნები იყვნენ.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მიმართ. საქართველოში ჩამოდიან მოგზაურები, მეცნიერები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. მათი ინტერესის საგანს შეადგენდა საქართველოს ბუნება, ისტორია, ასევე ეთნოგრაფიის სხვადასხვა სფერო (მატერიალური და სულიერი კულტურა, მეურნეობა, სოციალური ურთიერთობები). განსაკუთრებით დიდი იყო ინტერესი კავკასიელთა ტიპების, მათი ჩაცმულობის მიმართ. ეს აისახა ამ პერიოდის ქართულ მხატვრობაში. ამის ერთ-ერთ ნიმუში მუზეუმის სამეცნიერო-დამხმარე ფონდში დაცული ზემოხსენებული კოლექციაა. მასში ორმოცდასამი სურათია, შესრულებული ზეთის საღებავებით ტილოზე. ყოველ სურათზე გამოსახულია, ძირითადად, ერთი ტიპის მამაკაცი ან ქალი ეროვნულ სამოსში, მდგომარე, საკმაოდ პირობითად მოცემული პეიზაჟის ფონზე. გამოსახულებაში მთავარი ყურადღება ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტად საინტერესო ჩაცმულობასა და აქსესუარებს ექცევა, მათ შორის, სამკაულს, საბრძოლო აღჭურვილობას, სასოფლო-სამეურნეო იარაღებსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს. სურათების ზომები დაახლოებით ერთნაირია. ყველას აქვს წარწერა, ძირითადად, ქართულსა და რუსულ, იშვიათად, მხოლოდ რუსულ ან მხოლოდ ქართულ ენებზე. წარწერები, უმთავრესად, ეროვნების (ქართველი, აფხაზი, ოსი...), კუთხის (კახეთი, იმერეთი...) ან წარმომავლობის (ყვარლელი, ფანბაკელი...), ზოგჯერ კი სოციალური მდგომარეობის (თავადი, ჰამალი-მუშა...) აღმნიშვნელია.

ეს სურათები, როგორც ჩანს, შესრულებულია თბილისის რომელიღაც სამხატვრო სახელოსნოში[5]. დამკვეთები იყვნენ ცალკეული პიროვნებე-

4 პირველი, ვინც პროფესიული განათლების მისაღებად რუსეთში გაემგზავრა, იყო თავად ალ. ჭავჭავაძის მიერ გათარხნებული ყმა გლეხი გიორგი მაისურაძე [კვასხვაძე შ. 1958].

5 ცნობილია, რომ, ანჩისხატის სასულიერო სემინარიაში, სიონის ტაძარში და დიდ თავ-

ბი ან საზოგადოებები. ამ ნამუშევრებში უფრო მნიშვნელოვანი იყო მათი ეთნოგრაფიული მხარე და არა მხატვრული. სრულდებოდა გარკვეული სტანდარტის მიხედვით, სერიულად, ხელოსნური მანერით, ამავე დროს, გარკვეული მხატვრულობითა და გემოვნებით. როგორც გ. ხოშტარია წერს, ამ სურათებს, გარდა ეთნოგრაფიული ღირებულებისა, აქვთ გარკვეული მხატვრული ღირებულებაც. მხატვრული თვალსაზრისით ამ სურათებში შეიძლება აღინიშნოს ერთმანეთის საწინააღმდეგო ორი მხარე – ერთი მხრივ, წერის გარკვეული ხელოსნური მანერა და, მეორე მხრივ, ერთგვარი უშუალობა და მომხიბვლელობა [ხოშტარია გ. 1974:150].

გ. ხოშტარიას აზრით, ამ სურათებისათვის დამახასიათებელი პრიმიტიულობა ბევრად უფრო მაღალ მხატვრულ დონეზე გამოვლინდა ნ. ფიროსმანთან. იგი აღნიშნავს, რომ „არავითარ უშუალო კავშირზე ლაპარაკი აქ არ შეიძლება, მაგრამ, შესაძლოა, უფრო გასაგები გახდეს ის ატმოსფერო, რომელშიც ფიროსმანაშვილი ტრიალებდა და ასე გასაოცარი აღარ იყოს მისი გამოჩენა [ხოშტარია გ. 1974: 157].

ამ უცნობი კოლექციის პუბლიკაციის მიზანია, ის ხელმისაწვდომი გახდეს ფართო საზოგადოებისათვის. მისი შემდგომი კვლევა გარკვეულ წვლილს შეიტანს როგორც კავკასიის ხალხთა ჩაცმულობის ისტორიის, ასევე ახალი ქართული მხატვრობის პირველი ეტაპის შესწავლის საქმეში.

**ETHNOGRAPHY/ETHNOLOGY**

**Tamar Geladze*, Nino Datunashvili***

*The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli ave., 0105. Tbilisi, Georgia
E-mail: nino.museum@gmail.com

# From the History of National Caucasian People's Costumes

## (Unknown collection of S. Janashia Georgian Museum)

## Summary

For the research of National costumes of Caucasian People one group of pictorial work created by unknown painters, which are kept in the scientific-subsidiary fund of the S. Janashia Georgian Museum, is very important. This collection is unknown to a broad society. Thus, it belongs to the "unknown collection". Presumably, these

ადებთან მომუშავე ყმა ქართველ მხატვართა გარდა, იყვნენ ისეთი პირებიც, რომლებიც სარგებლობდნენ რა სოციალური თავისუფლებით, ასრულებდნენ დაკვეთებს [ამირანაშვილი შ. 1971: 143].

pictures belong to the first stage of a new Georgian paintings from the closing years of the 18 th - till the 70s of the 19 th centuries.

After joining Georgia to the Russian Empire interest towards Caucasia and, mainly towards Georgia, increased. Especially great was interest towards Caucasian peoples' types, and their clothes. This was represented in the afore-mentioned collection.

The aim of this publication is to represent the so-called "unknown collection" to a broad society which illustrates the Caucasian peoples' costume history through Georgian paintings.


### ბიბლიოგრაფია

**ამირანაშვილი შ. 1971:** *ქართული ხელოვნების ისტორია.* თბილისი.

**კვასხვაძე შ. 1958:** *გიორგი მაისურაძე.* თბილისი.

**ხოშტარია გ. 1974:** XIX საუკუნის ქართული მხატვრობის ისტორიიდან. ***მაცნე.*** №4. გვ. 149-157. თბილისი (რედ. კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი...).

***Народы Кавказа.* 1962:** т. II. Москва.


## კატალოგი
## CATALOG



ქართველი ქალი
წარწერა: საქართველოს ქალი
ტილო, ზეთი. 52x35 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 91

Georgian woman
Inscription: "Sakartvelos kali"
Canvas, oil. 52x35 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 91



ქართველი თავადი

წარწერა: ქართველი თავადი, Грузинский Князъ

ტილო, ზეთი. 52x35 სმ

შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)

საინვ. № 92

Georgian nobleman

Inscription: "Kartveli tavadi", "Gruzinski kniaz"

Canvas, oil. 52x35 cm

Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)

Inv.№ 92



იმერელი ქალი

წარწერა: იმერელი, Имеретинка

ტილო, ზეთი. 58x40 სმ

შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)

საინვ. № 93

Imeretian woman

Inscription: "Imereli", "Imeretinka"

Canvas, oil. 58x40 cm

Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)

Inv. № 93



იმერელი თავადი
წარწერა: იმერელი თავადი,
Имеретинскій Князъ
ტილო, ზეთი. 57x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 94

Imeretian nobleman
Inscription: “Imereli tavadi“, “Imeretinskii kniaz“
Canvas, oil. 57x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 94



იმერელი თავადი
წარწერა: Имеретинскій Князъ
ტილო, ზეთი. 48x37 სმ
შეძენილია სოფ. ტირძნისში სულხანიშვილისაგან (?)
საინვ. № 128

Imeretian nobleman
Inscription: “Imeretinskii kniaz“
Canvas, oil. 48x37 cm
Purchased in village Tandzia from Sulkhanishvili (?)
Inv. № 128



კახელი ქალი
წარწერა: კახელი, Кахетинка
ტილო, ზეთი. 58x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 89

Kakhetian woman
Inscription: "Kakheli"
Canvas, oil. 58X40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 89



კახელი მამაკაცი
წარწერა: Кахетинскій Мужчина
ტილო, ზეთი. 48x38 სმ
შეძენილია სოფ. ტირძნისში სულხანიშვილისაგან (?)
საინვ. № 126

Kakhetian man
Inscription: "Kakhetinskii Mujchina"
Canvas, oil. 48x38 cm
Purchased in village Tandzia from Sulkhanishvili (?)
Inv. № 126



კახელი მამაკაცი
წარწერა: კახელი, Кахетинецъ
ტილო, ზეთი. 59x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 90

Kakhetian man
Inscription: "Kakheli", "Kakhetinets"
Canvas, oil. 59x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 90



ყვარლელი მამაკაცი
წარწერა: Кеорелец
ტილო, ზეთი. 48x38 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 110

Man from Kvareli
Inscription: "Keorelec"
Canvas, oil. 48x38 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 110



ყორელი მამაკაცი
წარწერა: ყორელი, Корелинецъ
ტილო, ზეთი. 59x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № $110_1$

Man from Kori
Inscription: "Koreli"
Canvas, oil. 59x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № $110_1$



ქიზიყელი ქალი
წარწერა: ქიზიყელი, Кизицкая
ტილო, ზეთი. 58x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 95

Woman from Kiziki
Inscription: "Kizikikeli", " Kizitskaia"
Canvas, oil. 58x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 95



ქიზიყელი მამაკაცი
წარწერა: ქიზიყელი, Кизикинецъ
ტილო, ზეთი. 58x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 96

Man from Kiziki
Inscription: "Kizikeli", "Kizikinets"
Canvas, oil. 58x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 96



ხევსური მამაკაცი
წარწერა: ხევსური, Хевсурецъ
ტილო, ზეთი. 58x39,5 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 97

Man from Khevsureti
Inscription: "Khevsuri", "Khevsurets"
Canvas, oil. 58x39,5 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 97



ხევსური მამაკაცი

წარწერა: ხევსური

ტილო, ზეთი. 49x35 სმ

შეძენილია სოფ. ტირძნისში სულხანიშვილისაგან (?)

საინვ. № 120

Man from Khevsureti

Inscription: "Khevsuri"

Canvas, Oil. 49x35 cm

Purchased in village Tandzia from Sulkhanishvili (?)

Inv. № 120



თუში მამაკაცი

წარწერა: თუში, Тушинецъ

ტილო, ზეთი. 58x40 სმ

შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)

საინვ. № 101

Man from Tusheti

Inscription: "Tushi", "Tushinets"

Canvas, Oil. 58x40 cm

Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)

Inv. № 101



თუში მამაკაცი
წარწერა: თუში
ტილო, ზეთი. 51x38 სმ
შეძენილია სოფ. ტირძნისში
სულხანიშვილისაგან (?)
საინვ. № 101

Man from Tusheti
Inscription: "Tushi"
Canvas, Oil. 51x38 cm
Purchased in village Tandzia from Sulkhanishvili (?)
Inv. № 101



თუში მამაკაცი
წარწერა: Тушинецъ
ტილო, ზეთი. 49x38 სმ
შეძენილია სოფ. ტირძნისში
სულხანიშვილისაგან (?)
საინვ. № 125

Man from Tusheti
Inscription: "Tushetinets"
Canvas, Oil. 49x38 cm
Purchased in village Tandzia from Sulkhanishvili (?)
Inv. № 125



ფშაველი მამაკაცი
წარწერა: ფშავი, Пшавицъ
ტილო, ზეთი. 58x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 103

Man from Pshavi
Inscription: "Pshavi", "Pshavits"
Canvas, Oil. 58x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 103



მთიული ქალი
წარწერა: მთიული, Тушинка
ტილო, ზეთი. 58x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 102

Woman from Mtiuleti
Inscription: "Mtiuli", "Tushinka"
Canvas, Oil. 58x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 102



გუდამაყრელი მამაკაცი
წარწერა: გუდამაყრელი, Гудомакарецъ
ტილო, ზეთი. 67x50 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 88

Man from Gudamakari
Inscription: "Gudamakreli"
Canvas, Oil. 67x50 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 88



გუდამაყრელი მამაკაცი
წარწერა: Гудомакарецъ
ტილო, ზეთი. 67x50 სმ
საინვ. № 88

Man from Gudamakari
Inscription: "Gudamakarec"
Canvas, Oil. 67x50 cm
Inv. № 88



ბორჩალოელი მამაკაცი
ტილო, ზეთი. 55x44 სმ
შეძენილია სოფ. ტირძნისში სულხანიშვილისაგან (?)
საინვ. № 127

Man from Borchalo
Canvas, Oil. 55x44 cm
Purchased in village Tandzia from Sulkhanishvili (?)
Inv. № 127



ბორჩალოელი ქალი
წარწერა: ბორჩალუელი, Чеченка
ტილო, ზეთი. 58x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 109

Woman from Borchalo
Inscription: "Borchalueli", "Chechenka"
Canvas, Oil. 58x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 109



მეწყლე – წყლის მზიდავი
წარწერა: მეწყლე, Водоносъ
ტილო, ზეთი. 58x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 111

Water carrier
Inscription: metskle
Canvas, Oil. 58x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 111



ჰამალი – მუშა
წარწერა: ჰამალი, Носельщикъ
ტილო, ზეთი. 58x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 112

Carrier – Workman
Inscription: "Hamali", "Noselshik"
Canvas, Oil. 58x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 112



აფხაზი მამაკაცი
წარწერა: Абхазец
ტილო, ზეთი. 50x39 სმ
შეძენილია სოფ. ტირძნისში სულხანიშვილისაგან (?)
საინვ. № 124

Abkhazian man
Inscription: "Abkhazets"
Canvas, Oil. 50x39 cm
Purchased in village Tandzia from Sulkhanishvili (?)
Inv. № 124



ოსი მამაკაცი
წარწერა: Осетинецъ
ტილო, ზეთი. 49x35 სმ
შეძენილია სოფ. ტირძნისში სულხანიშვილისაგან (?)
საინვ. № 117

Osetian man
Inscription: "Osetinets"
Canvas, Oil. 49x35 cm
Purchased in village Tandzia from Sulkhanishvili (?)
Inv. № 117



ოსი ქალი
წარწერა: ოსი, Осетинка
ტილო, ზეთი. 58x40 სმ
შეძენილია სოფ. ტირძნისში
სულხანიშვილისაგან (?)
საინვ. № 99

Osetian woman
Inscription: "Osi", "Osetinka"
Canvas, Oil. 58x40 cm
Purchased in village Tandzia from
Sulkhanishvili (?)
Inv. № 99



ქურთი მამაკაცი
წარწერა: Куртинец
ტილო, ზეთი. 48x37 სმ
შეძენილია სოფ. ტირძნისში
სულხანიშვილისაგან (?)
საინვ. № 129

Kurdish man
Inscription: "Kurtinets"
Canvas, Oil. 48x37 cm
Purchased in village Tandzia from
Sulkhanishvili (?)
Inv. № 129



ჩერქეზი მამაკაცი
წარწერა: ჩერქეზი
ტილო, ზეთი. 51x37 სმ
შეძენილია სოფ. ტირძნისში სულხანიშვილისაგან (?)
საინვ. № 121

Circassian man
Inscription: "Cherkezi"
Canvas, Oil. 51x37 cm
Purchased in village Tandzia from Sulkhanishvili (?)
Inv. № 121



ჩერქეზი მამაკაცი
წარწერა: ჩერქეზი, Черкесъ
ტილო, ზეთი. 58x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 113

Circassian man
Inscription: "Cherkezi", "Cherkes"
Canvas, Oil. 58x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 113



ქისტი მამაკაცი
წარწერა: ქისტი, Кистинец
ტილო, ზეთი. 58x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 98

Kist man
Inscription: "Kisti", "Kistinets"
Canvas, Oil. 58x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 98



ქისტი ქალი
წარწერა: ქისტი, Кистинка
ტილო, ზეთი. 57x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 100

Kist woman
Inscription: "Kisti", "Kistinka"
Canvas, Oil. 57x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 100



ქისტი მამაკაცი
წარწერა: ქისტი
ტილო, ზეთი. 49x35 სმ
შეძენილია სოფ. ტირძნისში
სულხანიშვილისაგან (?)
საინვ. № 118

Kist man
Inscription: "Kisti"
Canvas, Oil. 49x35 cm
Purchased in village Tandzia from Sulkhanishvili (?)
Inv. № 118



ჩეჩენი მამაკაცი
წარწერა: ჩაჩანი, Чеченецъ
ტილო, ზეთი. 58x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 107

Chechen man
Inscription: "Chachani", "chechenets"
Canvas, Oil. 58x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 107



ლეკი მამაკაცი
წარწერა: ლეკი, Легзинъ
ტილო, ზეთი. 49x35 სმ
შეძენილია სოფ. ტირძნისში
სულხანიშვილისაგან (?)
საინვ. № 116

Lezghin man
Inscription: "Leki", "lezgin"
Canvas, Oil. 49x35 cm
Purchased in village Tandzia from Sulkhanishvili (?)
Inv. № 116



ჭარელი ლეკი მამაკაცი
წარწერა: ჭარელი ლეკი, Чарскій Лезгинь
ტილო, ზეთი. 57x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 104

Lezghin man from Chareli
Inscription: "Chareli Leki", "Charski Lezgin"
Canvas, Oil. 57x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 104



ყუბელი მამაკაცი
წარწერა: კუბელი, Кубинецъ
ტილო, ზეთი. 57x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 115

Man from Cuba
Inscription: "Kubeli", "kubinets"
Canvas, Oil. 57x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 115



ყაზახელი* მამაკაცი
წარწერა: კაზახელი, Казахецъ
ტილო, ზეთი. 58x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 105
*ცნობილია როგორც ქალაქი ყაზახი (აზერბაიჯანი), ასევე სომხეთის ჩრდი-ლოეთი ნაწილის ერთ-ერთი რაიონი-ყაზახი

Man from Kazakh
Inscription: Kazakheli
Canvas, Oil. 58x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 105
*Known as Kazakh city (Azerbaijan) as well as region in the north part of Armenia-Kazakh



ყალმუხი მამაკაცი
წარწერა: კალმუხი, Калмикъ
ტილო, ზეთი. 58x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 114

Man from Kalmyk
Inscription: "Kalmukhi", "Kalmik"
Canvas, Oil. 58x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 114



შამადინელი* მამაკაცი
წარწერა: შამშადინელი, Осетинъ
ტილო, ზეთი. 57x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. № 108
*შამშადინი – სომხეთის ჩრდილოეთის ნაწილის ერთ-ერთი რაიონია

Man from Shamshadin
Inscription: "Shamshadineli", "Osetian"
Canvas, Oil. 57x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. № 108
*Shamshadin - region in the north part of Armenia



შაქელი მამაკაცი
წარწერა: შაქელი
ტილო, ზეთი. 49x35 სმ
შეძენილია სოფ. ტირძნისში
სულხანიშვილისაგან (?)
საინვ. № 119

Man from Shaki
Inscription: "Shakeli"
Canvas, Oil. 49x35 cm
Purchased in village Tandzia from Sulkhanishvili (?)
Inv. № 119



ფანბაკელი* მამაკაცი
წარწერა: ფანბაკელი, Памбакинец
ტილო, ზეთი. 57x40 სმ
შეძენილია ქ. პეტერბურგში (ერთ დროს მიეკუთვნებოდა ზ. კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას)
საინვ. №106
*ფანბაკი – სოფელია სომხეთში

Man from Panbak*
Inscription: "Panbakeli", "Pabmakinets"
Canvas, Oil. 57x40 cm
Purchased in St. Petersburg (former ethnographic collection of Z. Kobiashvili)
Inv. # 106
*Panbak - village in Armenia

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 202-213
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 202-213

**ისტორია**

**ბესიკ ლორთქიფანიძე*, ნიკოლოზ მურღულია***

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: beso–lort@yahoo.com; nikomurgulia@yahoo.com

# „ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი“ (ქართული წერილობითი წყაროების ცნობები ციხე-გოჯი-ნოქალაქევის შესახებ)

ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები ციხე-გოჯ-ნოქალაქევის შესახებ საკმაოდ მწირია. ცნობები დაცულია ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“, ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“, უცნობი ავტორის აგიოგრაფიულ ნაწარმოებში - „დავით და კონსტანტინეს მარტვილობასა“ და ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს სამეფოს აღწერაში“. ეს ცნობები ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია ცნობილია და მას ქართველი თუ უცხოელი მეცნიერები ბევრჯერ შეეხნენ. ქართული წყაროების მონაცემები საფუძვლიანად შეისწავლა ნ. ლომოურმა [ლომოური ნ. 1981a: 18-47; ლომოური ნ. 1981b: 48-76]. ამ საკითხის ისტორიოგრაფია მის ორ სტატიაში სრულყოფილადაა გადმოცემული და იქ იხილავთ. ამიტომ ჩვენ მას აღარ შევეხებით. სტატიაში შევეცდებით ქართული წყაროების ზოგიერთი ინფორმაციის ახლებურად გააზრებას. ჩვენი აზრით, ეს შესაძლებელი გახდა ნოქალაქევში დღემდე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ნივთიერი მასალისა და არქიტექტურული მონაცემების ამ წყაროებთან შეჯერების საფუძველზე. თავდაპირველად, გაგახსენებთ ციხე-გოჯის შესახებ ქართული წყაროების ყველა ცნობას:

1. ლეონტი მროველის ცნობით, ციხე-გოჯი მეფე ფარნავაზის მოკავშირე ეგრისის მთავარს ქუჯის დაუარსებია: „მაშინ ფარნავაზ მისცა დაჲ თჳსი ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე დაჲ თჳსი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღჳთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“ [ლეონტი მროველი. 1955: 24]. აქვე უნდა დავამატოთ, რომ ჭალაშვილისეული ნუსხის ახალ ნაწილსა და მაჩაბლისეულ ნუსხაში არშიაზე ციხე-გოჯთან მინაწერია – „ოდიშს ნაქალაქევი“ [ლეონტი მროველი. 1955: 24. სქოლიო 1]. იგივე ამბავი „ქართლის ცხოვრების“ XII ს-ის ძველ სომხურ თარგმანში ასეა გადმოცემული: „ (ფარნავაზმა-ბ.ლ., ნ.მ.) მისცა თავისი და ცოლად ოსთა მეფეს და მეორე - ქუჯის. მისცა მას ეგ(ე)რ(ის)ის წყლიდან და რიონიდან, შუა ზღვიდან დიდ მთამდის, რომლის ქვემოთ არიან ეგერლები და სონები. უზრუნველი გახდა მტერთაგან, და ქუჯიმ ააშენა ციხე ქუჯი“ [ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, 1953: 33-34].

2. ჯუანშერი მოგვითხრობს რა ბერძენთა (ბიზანტიელთა) ლაშქრობაზე ეგრისში V ს-ის შუა ხანში, გადმოგვცემს: „მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქვემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის–წყლითგან ვიდრე ციხე–გოჯამდე" [ჯუანშერი. 1955: 146]. იმავე ამბის თხრობის დროს ძველ სომხურ თარგმანში ციხე-გოჯი კვლავ ქუჯის ციხედ იხსენიება [ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. 1953: 145].

3. ჯუანშერისვე ცნობით, ამ ამბიდან დიდი დრო არ იყო გასული და ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალმა ეგრისში ილაშქრა და „სამ წელ წარტყუენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე" [ჯუანშერი. 1955: 157].

4. ამავე წყაროშია დაცული ცნობა VIII ს-ის 30-იან წლებში ციხე-გოჯის არაბი სარდლის, მურვან–ყრუს, მიერ შემუსვრის თაობაზე: „და ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი. და ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა, და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა" [ჯუანშერი. 1955: 234–235]. აღსანიშნავია, რომ აქ ჯანაშვილისეული ნუსხის არშიაზე სხვა ხელითა და მელნით მიწერილია – „ციხე გოჯი ნაქალაქევია" [ჯუანშერი. 1955: 235. სქოლიო 1]; ასევე თეიმურაზისეულ ნუსხაში „მიიცვალნეს აფხაზეთად" შემდეგ ჩამატებულია ცნობა „დავით და კონსტანტინეს მარტვილობიდან": „და უკ–მოიქცა და დაიბანაკა ჯიხან–ქვიჯისას, ქუეყანასა სამეგრელოსა, სანახებსა ჭყოდიდისასა, რომელ არს მეგრულითა ენითა მუხა დიდი. და რამეთუ იყო ბანაკი მათი ცხენისწყლითაგნ ვიდრე აფხაზეთამდე" [ჯუანშერი. 1955: 234. სქოლიო 2). „ქართლის ცხოვრების" ძველ სომხურ თარგმანში მურვან-ყრუს ლაშქრობა ასეა გადმოცემული: „(ამან) დაიპყრო დარიალის კარი და ააოხრა კოვკასის მთის სამკვიდრებელი. შეიტყო, რომ ქართლის უფალნი გაიქცნენ ეგრისს და იქიდან აფხაზეთსო. გამოუდგა მათ და აიღო ციხე ეგრისა" [ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. 1953: 195].

5. იმავე მოვლენის, ანუ მურვან–ყრუს ლაშქრობის დროს, ჯუანშერის ცნობით, ეგრისში მყოფმა ქართლის მეფეებმა მირმა და არჩილმა, გადამალეს საქართველოს სამეფო საგანძური. მათ შორის, არჩილის რჩევით, მირმა საგანძურის ნაწილი ქუთაისსა და ციხე-გოჯში შეინახა [ჯუანშერი. 1955: 236].

6. ჯუანშერის ცნობით, ანაკოფიის ციხიდან უკან დახეულმა მურვან–ყრუს ლაშქარმა გვერდი აუქცია ციხე–გოჯს და ორ მდინარეს შორის დაიბანაკა. სწორედ აქ, წყალდიდობის დროს, არაბთა ლაშქარში მყოფი 23 ათასი აბაში მეომარი წაიღო უფრო მცირე მდინარემ, ხოლო უფრო დიდმა 35 ათასი ცხენი წარტაცა არაბებს. ამის შემდეგ ერთ მდინარეს დაერქვა აბაშა, ხოლო მეორეს - ცხენისწყალი [ჯუანშერი. 1955: 238].

7. ჯუანშერის ცნობით, მირის გარდაცვალების შემდეგ მისმა ძმა არჩილმა ქართველ დიდგვაროვნებს ცოლებად შერთო თავისი ძმისშვილები და ქვეყანა დაუნაწილა, თავად კი შიდა ეგრისში დაფუძნდა: „ხოლო არჩილ მოუწოდა ლეონს (აფხაზთა მთავარი-ბ.ლ., ნ.მ.) და რქუა: კურთხეულ იყავ შენ უფლისა მიერ, რამეთუ კეთილად იღუაწე სტუმრობა ჩუენი, და დამიცვენ ჩვენ ადგილთა შენთა მშვდობით: გარნა აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურითგან აღმართ. წარვალ და დავეშენები ციხე–გოჯს და ქუთათისს.

აწ ითხოვე თავისა შენისათჳს რა გნებავს ჩემგან, ნაცვლად კეთილისა მსახურებისა შენითა“ [ჯუანშერი. 1955: 242].

8. ვახუშტი ბატონიშვილი, ფაქტობრივად, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის ცნობებს იმეორებს. ის უთითებს, რომ V ს–ში იმპერატორმა მარკიანემ გამოგზავნა ეგრისში ჯარი, რომელმაც დაიპყრო ქვეყანა ციხე–გოჯამდე. ის ვახტანგ გორგასლის ეგრისში ლაშქრობასაც იხსენიებს [ბატონიშვილი ვახუშტი. 1973: 101, 104, 795]. ცალკე აქვს გადმოცემული ციხე გოჯის ადგილმდებარეობაც: „აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხე გოჯად წოდებული. ეს აღაშენა ა მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე, და ამისი საერისთოვე იყო სრულიად რიონის დასავლეთი სუანეთით. შემუსრა ყრუმ, არამედ იყო კუალად ქალაქი, და შემდგომად მოოჴრდა ქალაქი. აწ არს ციხე კუალად და სასახლე დადიანისა“ [ბატონიშვილი ვახუშტი. 1973: 777].

9. „დავით და კონსტანტინეს მარტვილობის“ უცნობი ავტორის ცნობით, მურვან ყრუმ ეგრისში ლაშქრობის დროს „დაიბანაკა ქალაქსა ჯიხან ქუჯისასა, ქუეყანასა მეგრელთასა“ [საბინინი მ. 1882: 325].

თავდაპირველად, მოკლედ შევეხებით ცნობას ქუჯის მიერ ციხე-გოჯის დაარსების შესახებ. სამწუხაროდ, ლეონტი მროველის მონაცემი იმის შესახებ, რომ ერისთავმა ქუჯიმ ნოქალაქევში ციხე-ქალაქი ააშენა, არქეოლოგიურად ჯერჯერობით არ დასტურდება. მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრებით ელინისტური პერიოდის მდიდარი კულტურული ფენები, ვრცელი სამაროვანი და სამოსახლოა გამოვლენილი, თუმცა დღემდე ციხე-ქალაქის ნაშთები აღმოჩენილი არაა.

ძალიან საინტერესოა ჯუანშერის მონაცემები ეგრისში ჯერ ბიზანტიელების, შემდეგ კი ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლის ლაშქრობის შესახებ. ეს ცნობები დასტურდება უცხოური წერილობითი წყაროებითაც. ბიზანტიელი ავტორი პრისკე პანიონელი მოგვითხრობს, რომ დაახლოებით იმავე პერიოდში ლაზიკაში ულაშქრიათ, ჯერ V ს-ის 50-იან წლებში, იმპერატორ მარკიანეს დროს (451-457), ბიზანტიელებს, ხოლო 465-475 წლებს შორის - სპარსელებსა და იბერებს. სპარსელები და იბერები ეგრისის მეფის წინააღმდეგ აჯანყებულ სვანებს უჭერდნენ მხარს [პრისკე პანიონელი. 1960: 261-262]. უნდა ითქვას, რომ მეცნიერთა ერთი ნაწილი (მაგ., ნ. ლომოური) ჯუანშერთან დაცულ ინფორმაციას სანდოდ არ მიიჩნევს და ისტორიული მოვლენების რეკონსტრუირებისას ჯუანშერის ცნობებს, მათ შორის, ეგრისში ვახტანგ გორგასლის ლაშქრობის შესახებ, არ ითვალისწინებს. ნ. ლომოური თვლის, რომ ირანელთა და იბერთა მონაწილეობა ომში სვანთა მხარეზე ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და ვახტანგ გორგასლის მიერ ეგრისის დაპყრობა სინამდვილეს არ შეეფერება [ლომოური ნ. 1989: 75-85]. თუმცა, ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგიერთი მკვლევრის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯუანშერი და პრისკე პანიონელი ერთი და იმავე ისტორიულ მოვლენას აღწერენ და, შესაბამისად, ჯუანშერი რეალურ ისტორიულ ამბავს გადმოგვცემს [Меликишвили Г. 1959: 386; ლორთქიფანიძე მ. 1979: 44-47; მუსხელიშვილი დ. 1977: 208-209; გოილაძე ვ. 1991: 100-101; ბოგვერაძე ა. 1999: 47-71]. ჩვენც შევეცადეთ, გაგვერკვია ვახტანგ გორგასლის ლაშქრობის მარშრუტი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან სვანეთის გავლით ეგრისში გადავიდა. ამ ლაშქრობის შედეგად, როგორც ჩანს, სვანეთი ქართლის მეფის, შესაბამისად კი, სპარსელების დაქვემდებარებაში გადავიდა [ლორთქიფანიძე

ბ., მურღულია ნ. 2014: 95-116]. ვფიქრობთ, ჯუანშერის ცნობა ვახტანგ გორგასლის ეგრისში ლაშქრობის შესახებ ნაწილობრივ რეალურ ამბავს გადმოგვცემს. ამ დროს მან, შესაძლოა, ციხე-გოჯი დროებით აიღო კიდეც. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი სამშენებლო ფენები, რომელთა მიხედვითაც V ს-ის მეორე ნახევარში ქალაქი რაღაც კატასტროფის გამო ნაწილობრივ დაინგრა [ზაქარაია პ., კაპანაძე თ. 1991: 39; მურღულია ნ. 2007: 68-73].

როგორც ზემოთ ვნახეთ, ჯუანშერი, ვახტანგ გორგასლის ლაშქრობის გარდა, ციხე-გოჯს კიდევ რამდენჯერმე იხსენიებს. ჩვენ მივაქციეთ ყურადღება მის ცნობას მურვან-ყრუს მიერ ქალაქის აღების შესახებ, სადაც ის ციხე-გოჯის სხვა სახელსაც გადმოგვცემს: მურვან-ყრუმ „ციხე იგი სამ-ზღუდე (ხაზი ჩვენია - ბ.ღ., ნ.მ.), რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა". რატომ იხსენიებს ჯუანშერი V ს-ის მეორე ნახევარში ქალაქს მხოლოდ ციხე-გოჯად, ხოლო VIII ს-ის 30-იან წლებში - უკვე „სამ-ზღუდედ"? ჩვენი აზრით, წყაროს ავტორმა კარგად იცოდა, რომ ვახტანგ გორგასლის დროს ქალაქი „სამ-ზღუდე" არ იყო! ის ასეთად VI ს-ში, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I დიდის სამშენებლო მოღვაწეობის შემდეგ, გადაიქცა. ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის განმავლობაში დადგინდა, რომ ქალაქის მესამე გალავანი სწორედ იუსტინიანეს პერიოდში უნდა აგებულიყო, ანუ ქალაქი „სამ-ზღუდე" სწორედ ამ დროს გახდა [მურღულია ნ. 2007: 68-73). შესაბამისად, ვახტანგ გორგასლის ლაშქრობის დროს ციხე-გოჯის მესამე გალავანი ჯერ არ იყო აშენებული და მემატიანე მას „სამ-ზღუდედ" ვერ მოიხსენიებდა. გამოდის, რომ ჯუანშერი დიდი სიზუსტით გადმოგვცემს ციხე-გოჯის გარეგნული მხარის დეტალებს და, საფიქრებელია, რომ ასეთი სიზუსტის დაცვა მხოლოდ გაუყალბებელი, ფაქტებზე დაყრდნობილი ისტორიის გადმოცემისას იქნებოდა შესაძლებელი. ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯუანშერის თხზულების სანდოობის მიმართ ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული ეჭვია გამოთქმული. ცხადია, რთულია უარყო ის ფაქტი, რომ ზოგჯერ ჯუანშერი სრულიად არარეალურსა და მოგონილ (ზღაპრულ) ცნობებს გვაწვდის თავის თხზულებაში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიხმოთ ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ვახტანგ გორგასალს ბიზანტია დაულაშქრავს და ქალკედონამდეც მიუღწევია. გადამწყვეტ ბრძოლაში მას ბიზანტიელთა ლაშქარი დაუმარცხებია და კეისარ ლეონს ზავი მოუთხოვია [ჯუანშერი. 1955: 160-170]. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, გამოგონილია; თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯუანშერთან დაცული ბევრი ცნობა ისტორიულ ფაქტებს ზუსტად ასახავს და მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის კონკრეტული პერიოდის მოვლენების შესახებ. ჩვენი ზემოთ მოხმობილი დაკვირვებაც სწორედ ამ მოსაზრების დამადასტურებლად გამოდგება.

ახლა შევეხებით ქართული წყაროების დანარჩენ ცნობებს. როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართული წერილობითი წყაროები ნოქალაქევის ნაქალაქარის საბოლოო დანგრევას არაბი სარდლის, მურვან-ყრუს, ეგრისში ლაშქრობას უკავშირებენ. ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი ადრეშუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალის უდიდესი ნაწილი IV-VI სს-ით თარიღდება. ამის გამო ჯერ კიდევ ვ. ლექვინაძემ და ლ. ხვედელიძემ ივარაუდეს, რომ VI ს-ის დასასრულიდან ციხე-გოჯმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა. მათ ეს როგორც საშინაო (მათი აზრით, ამ ქალაქს მხოლოდ სამხედრო-სტრატეგიული და არა ეკონომიკური ცენტრის ფუნქცია დარჩა),

ასევე საგარეო (ირან-ბიზანტიის დაპირისპირების დასრულების გამო ამ ქალაქის მნიშვნელობის დაცემა, ჩრდილოეთ კავკასიასა და სამხრეთ რუსეთის სტეპებში შექმნილი თურქული სახელმწიფოს სავარაუდო ექსპანსია ეგრისსა და ციხე-გოჯ-არქეოპოლისში) ფაქტორებს დაუკავშირეს [Леквинадзе В., Хведелидзе Л. 1981: 147-148). თუმცა მათ ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ ამ ქალაქის საბოლოო დანგრევა VIII ს-ში; მეტიც, მასობრივ არქეოლოგიურ მონაპოვარზე დაკვირვების საფუძველზე ისინი თვლიდნენ, რომ, მიუხედავად მურვან-ყრუს მიერ ციხე-გოჯის დანგრევისა, ქალაქმა არსებობა X ს-მდე გააგრძელა [Леквинадзе В., Хведелидзе Л. 1981: 145, 147).

ამ საკითხს მოგვიანებით რამდენჯერმე შეეხო დ. ლომიტაშვილი. ის დაეთანხმა ვ. ლექვინაძესა და ლ. ხვედელიძეს, რომ VI ს-ის დასასრულიდან ქალაქმა ფუნქცია დაკარგა. მეტიც, მისი აზრით, არქეოპოლისმა იმავე პერიოდში არსებობა რეალურად შეწყვიტა და მურვან-ყრუს მიერ მისი დანგრევა სიმართლეს არ შეესაბამება. მან მოიხმო ამ მოსაზრების დამადასტურებელი არგუმენტებიც: 1. არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი კულტურული ფენები და მასალა, უმეტესად, IV-VI სს-ით თარიღდება; 2. ბიზანტიური წერილობითი წყაროები არქეოპოლისს (იმავე ციხე-გოჯს) მხოლოდ IV-VI სს-ის მოვლენების აღწერისას იხსენიებენ. მომდევნო საუკუნეებში კი არქეოპოლისი არც ერთ წყაროში არ ფიგურირებს; 3. ნაქალაქარის აღმოსავლეთ გალავნის ერთ-ერთ კოშკში 1930-1931 წლებში აღმოჩნდა მავრიკ ტიბერიუსის (582-602) სახელზე მოჭრილი 23 ცალი ოქროს მონეტა, რაც, ცხადია, იმას გულისხმობს, რომ კოშკი აღნიშნულ პერიოდში დაინგრა და შემდეგ აღარ აღდგენილა; 4. ნაქალაქარის ციტადელის შესასვლელში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ერთად დაწყობილი წელშეზნექილი 22 ამფორა, რომელთა ქრონოლოგია IV-VI სს-ით განისაზღვრება. შესაბამისად, საფიქრალია, რომ ციტადელს VI ს-ის შემდეგ ფუნქცია დაკარგული ჰქონდა [ლომიტაშვილი დ. 2003: 218-232]. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დ. ლომიტაშვილი მურვან-ყრუს მიერ ციხე-გოჯის შემუსვრასა და დანგრევას ეჭვქვეშ აყენებდა. თუმცა უკანასკნელ გამოკვლევაში, კვლავ ადასტურებს რა საქალაქო ცხოვრების დაცემას VI-VII სს-ის მიჯნაზე, ციხე-გოჯის დანგრევას ისევ მურვან-ყრუს ლაშქრობას უკავშირებს [ლომიტაშვილი დ. 2014: 83, 85]. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ სრულად ვეთანხმებით დ. ლომიტაშვილის უკანასკნელ გამოკვლევაში გამოთქმულ მოსაზრებებს და აი, რატომ! არქეოლოგიური მასალის სიმცირე და ქალაქთმშენებლობის ტემპების მკვეთრი დაცემა აშკარად მიუთითებს VII ს-დან საქალაქო ცხოვრების მკვეთრ დაღმასვლაზე. თუმცა ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ირან-ბიზანტიის ომმა VI ს-ში შეაფერხა ვაჭრობის განვითარება. ამას არ შეიძლება, გავლენა არ მოეხდინა ეგრისის სავაჭრო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამას დაემატა ისიც, რომ 60-იან წლებში, ომის დასრულების შემდეგ, სავაჭრო ურთიერთობა აღდგა ნისიბინ-დარას სექტორში [История Византии. 1967а: 344]. ეს ნეგატიურად იმოქმედებდა ვაჭრობის ინტენსიურობაზე სამხრეთ კავკასიის შემოვლით გზაზე, რაც კარგად ჩანს ამ დროის როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალაშიც. მასზე დაყრდნობით ნ. აფხაზავა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ VI ს-ის მეორე ნახევრიდან სუსტდება ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობა, ერთი მხრივ, ბიზანტიასა და აღმოსავლეთ საქართველოს და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს შორის [აფხაზავა ნ. 1979:

110]. იმდროინდელ მსოფლიოში, უფრო დაზუსტებით კი, ბიზანტიასა და სასანიანთა სპარსეთში, მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური პროცესები მოქმედებდა ეგრისისა და მისი დედაქალაქის - ციხე-გოჯის, ეკონომიკურ განვითარებაზე. ეკონომიკური ცხოვრების მთავარი საყრდენი წერტილი სოფელში გადავიდა. მასობრივად მიმდინარეობდა ქალაქების გასოფლების პროცესი. სოფელი უფრო ხშირად თვითონ იკმაყოფილებდა მოთხოვნას სახელოსნო ნაწარმზე. თვით ისეთ დიდ ქალაქში, როგორიც ანტიოქია იყო, ვაჭრობას ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა. სოფლის მცხოვრებნი ქალაქში ყიდდნენ პროდუქტს, გაჰქონდათ ფული და არა სახელოსნო ნაწარმი. ფული მათ გადასახადების გასასტუმრებლად სჭირდებოდათ [Курбатов Г. 1971: 37]. VII-VIII სს-ში ბევრი ბიზანტიური ქალაქიდან ნანგრევებიღა დარჩა. ბევრმაც აგრარიზაცია განიცადა. არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ იქ სადაც IV-VI სს-ში მჭიდრო დასახლება იყო, მომდევნო საუკუნეების ფენები აღარაა. მართალია, ქალაქთმშენებლობა მცირე მასშტაბებით მაინც მიმდინარეობდა, მაგრამ მხოლოდ მსხვილ ქალაქებში. ფულადი მიმოქცევა ძლიერ დაეცა. გათხრების დროს მცირე რაოდენობითაა მოპოვებული ამ დროის სპილენძის მონეტები, საშინაო ბაზარზე მთავარი მიმოქცევის საშუალება. აქტიურად მიმდინარეობდა ნატურალური გაცვლა; რეგრესი ჩანს მეთუნეობაში, მინის წარმოებაში [История Византии. 1967b: 24). ეს პროცესი თავისთავად საქართველოს და, მათ შორის, ეგრისსაც შეეხო [ჭილაშვილი ლ. 1970: 7-8, 83; Джапаридзе В. 1988: 15-16). ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ VI ს-დან ეგრისის ეკონომიკის მართვა ბიზანტიელ მოხელეთა ხელში გადავიდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია VII-VIII სს-ის ბიზანტიური შეკიდული ბეჭდები, რომლებიც გენიკონის კომერკიარებს (სახელმწიფო ხაზინის მოხელეებს) ეკუთვნოდათ. მათ ხელში იყო ბიზანტიური პროვინციების ეკონომიკური ცხოვრების მართვა და ორგანიზება, ვაჭრობა, საბაჟოები, გადასახადები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ კომერკიარების ბეჭდები, რომელთა კომპეტენცია 689-693 წლებში ლაზიკა-ტრაპიზონ-კერასუნტზე ვრცელდებოდა. ეს ბეჭდები მიუთითებს, რომ ეგრისი, ფაქტობრივად, ბიზანტიურ პროვინციებთან იყო გათანაბრებული. ასევე მნიშვნელოვნად გვეჩვენება ლაზიკის (ეგრისის) გენიკონის ლოგოთეტის ბეჭედი. ლოგოთეტს ადგილობრივი კომერკიარები ემორჩილებოდნენ. მასა და ზოგიერთ კომერკიარს პატრიკიოსის ტიტულიც კი ჰქონდათ, ე. ი. ფაქტობრივად, ეგრისის მმართველთა პატრიკიოსთა თითქმის იდენტური უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი [Леквинадзе В. 1980: 281]. ქვეყნის ეკონომიკის გარედან მართვას შეუძლებელია არ გამოეწვია ეგრისის შიდა ქალაქების დასუსტება. ბიზანტიელი მოხელეები დაინტერესებულნი არ იქნებოდნენ ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური სიძლიერით და პროდუქტის თავმოყრა უფრო ნავსადგურებსა და ბიზანტიის ცენტრებში იყო მოსალოდნელი. თუ ამას თვით ბიზანტიის ქალაქების სისუსტესაც დავუმატებთ, რასაც ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობების მოშლა მოჰყვა, გასაგებია, რომ პროვინციის, მათ შორის, ეგრისის ქალაქებსაც, დიდი შანსი აღარ რჩებოდათ ძველი ეკონომიკური სიძლიერის შესანარჩუნებლად.

მოკლედ შევეხებით წყაროებს, რომლებიც არქეოპოლის-ციხე-გოჯს VI ს-ის შემდეგ იხსენიებენ. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ, ჯუანშერის მონაცემებით, VIII ს-ის პირველ ნახევარში ციხე-გოჯი კვლავ ინარჩუნებს ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი ცენტრის ფუნქციას: მირი და არჩილი აქ ინახავენ განძის ნაწილს, ხოლო ძმის გარდაცვალების შემდეგ არჩილის ერთ-ერთი რეზიდენცია ციხე-

გოჯი ხდება; ასევე მურვან-ყრუს ლაშქრობასთან მიმართებით ციხე-გოჯი იხსენიება „დავით და კონსტანტინეს მარტვილობაშიც". ასევე არქეოპოლისია ნახსენები VIII ს-ის დასაწყისის ამბების თხრობისას ბიზანტიურ წყაროშიც. თეოფანე ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ 697 წელს ლაზიკის პატრიკიოსი სერგი გაუბრაზდა ბიზანტიელებს და თავის საგანმგებლო ქვეყანა არაბებს გადასცა. მეტიც, ამავე წყაროდან ჩანს, რომ 717 წელს არქეოპოლისი არაბების ხელშია, რადგან ბიზანტიელები ცდილობენ მის დაბრუნებას, თუმცა, უშედეგოდ [თეოფანე ჟამთააღმწერელი. 1941: 105, 110]. ჯუანშერის ცნობებს იმის თაობაზე, რომ VIII ს-ის პირველ ნახევარში ქართლის მმართველების პოლიტიკური გავლენა დასავლეთ საქართველოზეც ვრცელდებოდა, ადასტურებს ამავე პერიოდის ატენის სიონის ცნობილი ფრესკული წარწერა, რომელშიც ქართლის მმართველი სტეფანოზი, მირისა და არჩილის მამა, ქართველთა და მეგრელთა (ანუ ეგრის-ლაზიკის) მეუფედ იხსენიება [აბრამიშვილი გ. 1977: 35-36]. ეს კი, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი არგუმენტია იმ მოსაზრების დამადასტურებლად, რომ ჯუანშერის ცნობების დიდი ნაწილი სანდოა. როდის მოხდა ქართლის მმართველების ძალაუფლების გავრცელება დასავლეთ საქართველოზე, ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული ვარაუდი ჩვენ უკვე გამოვთქვით [ლორთქიფანიძე ბ. 2013: 172-176], თუმცა ის ცალკე კვლევას მოითხოვს. ასევე გვსურს, დავამატოთ, ციხე-გოჯის „სამ-ზღუდედ" მოხსენიება გარკვეულწილად უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ ეს ქალაქი VI ს-ის დასასრულს საბოლოოდ დაინგრა. ნებისმიერი ტოპონიმის ისტორიულ ტრადიციაში დამკვიდრებას გარკვეული პერიოდი სჭირდება და VI ს-ში სამ-ზღუდედ გადაკეთებული ქალაქის იმავე საუკუნეში დანგრევის შემთხვევაში ამ ტრადიციის გაჩენა შეუძლებლად გვეჩვენება. ამავე დროს, აქ ისმის კითხვა - თუკი ციხე-გოჯმა, როგორც ქალაქმა და მნიშვნელოვანმა სტრატეგიულმა პუნქტმა, VI ს-ის მიწურულს დაკარგა თავისი ფუნქცია, საიდან იცოდა XI ს-ში ან VIII ს-ში მოღვაწე ჯუანშერმა, როგორც ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს [Stephen H., Rapp Jr. 2003], ციხე-გოჯის სამი გალავნის შესახებ და რატომ გაუსვა ხაზი ამ გარემოებას ციხე-ქალაქის განადგურებიდან, სულ ცოტა, ერთი საუკუნის შემდეგ, მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოს მთავარი ქალაქები უკვე ქუთაისი და ანაკოფიაა? ამ შემთხვევაშიც, ჩვენი აზრით, პასუხი ნათელია: ამ ქალაქის „სამ-ზღუდედ" მოხსენიება უკვე ტრადიციად იყო დამკვიდრებული და მოგვიანო საუკუნეებში, თუნდაც უკვე დამცრობილი, მაგრამ მაინც არსებული, ამ პუნქტის შესახებ ჯუანშერმა კარგად იცოდა.

ცალკე გვსურს შევეხოთ იმ არქეოლოგიურ მონაპოვრებს, რომლებიც VI ს-ის შემდგომი პერიოდით თარიღდება. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვ. ლექვინაძე და ლ. ხვედელიძე ამ მონაპოვრებზე დაყრდნობით ქალაქის არსებობას ციხე-გოჯში X ს-მდე ვარაუდობდნენ [Леквинадзе В., Хведелидзе Л. 1981: 120-148. ტაბ. X - 3,4,7,8. XI - 1,2. სურ. 18]. ნოქალაქევში გამოვლენილი VII-X სს-ის მასალიდან მათ გამოყვეს თიხის (წითლად მოხატული იმპორტული ჭურჭელი), მინისა (სასმისები, თასები, ჭიქები და სხვ.) და ლითონის (ბრინჯაოს ე. წ. თურქული ბალთა, მშვილდსაკინძები, რკინის ნაჯახი) ნაკეთობები. მოგვიანებით, ვ. ლექვინაძე კვლავ შეეხო ამ საკითხს. მან კვლავ გამოყო მოგვიანო ხანის თიხის მასალა - VII-IX სს-ის ადგილობრივი თიხის ჭურჭელი არათანაბარი გამოწვით, გამოწვამდე დატანილი ნაჭდევებითა და ნახვრეტებით, IX-XI სს-ის წითელი საღებავით მოხატული, თეთრი თხელკედლა ჭურჭლის ნატეხები. მეტიც, მან მიუთითა, რომ VII-XI

სს-ით დათარიღებული კერამიკის სიმრავლე ქალაქის ციტადელზე იმაზე მეტყველებს, რომ ქალაქის ციტადელი კვლავ განაგრძობს ფუნციონირებას იმ დროს, როდესაც, შესაძლოა, ქვედა ქალაქმა დაკარგა მნიშვნელობა [ლექვინაძე ვ. 1987: 237-246. სურ. 54]. ერთ-ერთ მნიშვნელოვან აღმოჩენად ის მიიჩნევდა VII ს-ის ტყვიის შეკიდულ ბეჭედს, რომელიც ლაზიკის (ეგრისის) მმართველს, პატრიკიოს სერგი ნებარნუგის ძეს, ეკუთვნოდა [Леквинадзе В. 1980: 275-281]. იმავე ბეჭედს დიდი მნიშვნელობა მიანიჭა დ. ლომიტაშვილმაც, რომელიც გვიანდელ მასალაზე დაყრდნობით ციხე-გოჯს კვლავ პოლიტიკურ ცენტრად განიხილავს [ლომიტაშვილი დ. 2014: 85]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვ. ლექვინაძე მიიჩნევდა, რომ VI ს-ის დასასრულიდან ქალაქის ქვედა ნაწილმა ნაწილობრივ დაკარგა ფუნქცია. მისი აზრით, ამ საუკუნის 80-იან წლებში, შესაძლოა, ქალაქი თურქმა ტომებმა აიღეს და ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა თეოფილაქტე სიმოკატას ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ თურქთა ხაკანმა ოგორთა ტომის დამარცხების შემდეგ კოლხთა ტომის ბელადი სიკვდილით დასაჯა. ომის დროს თურქებმა გაწყვიტეს სამასი ათასი კაცი [Феофилакт Симокатта. 1957: VIII. 6-8]. ვ. ლექვინაძემ ეს მონაცემი საკმაოდ სანდოდ მიიჩნია და ამ ლაშქრობის დროს ციხე-გოჯის აღება ივარაუდა. ამ ვარაუდს, მისი აზრით, ამყარებდა უკვე ნახსენები VI-X სს-ის თურქული ბალთა და ქალაქის ფერდობზე მდებარე ერთ-ერთ კოშკში იმპერატორ მავრიკის (582-602) 23 ოქროს მონეტისგან შემდგარი განძის გამოვლენა. განძებს კი, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ, რაიმე საფრთხის დროს ინახავდნენ [ლექვინაძე ვ. 1987: 246]. თავის დროზე ჩვენი სტატიის ერთ-ერთმა ავტორმა [ლორთქიფანიძე ბ. 1993: 194-196] საეჭვოდ მიიჩნია ამ ცნობის სანდოობა. აქ კი დავამატებთ, რომ თავად ლ. გუმილიოვიც, ვისაც ვ. ლექვინაძე ამ მონაცემის სანდოობასთან დაკავშირებით იმოწმებდა, ამ ცნობას დიდი ეჭვით უყურებდა. ის წერდა, რომ 576 წლიდან თურქთა სახაკნოსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაც მათ შორის 576-583 წლების ომში გადაიზარდა. ომის დასაწყისში თურქებმა ბოსფორი აიღეს და შემდეგ შეეცადნენ ბიზანტიისკენ გზის გაჭრას, რაც აფხაზეთის გზით კოლხეთში (ლაზიკაში) უშედეგო ლაშქრობაში გამოიხატა. თურქთა ეს ლაშქრობა VI ს-ის 70-იან წლებში უნდა მომხდარიყო [Гумилёв Л. 1967: 106-107]. ეს უკანასკნელი მოსაზრება კი ამ ლაშქრობის მავრიკი კეისრის ოქროს მონეტების განძთან დაკავშირებას შეუძლებელ ხდის. ასევე ხელოვნურად გვეჩვენება შიდა ეგრისში თურქთა დაუდასტურებელ ლაშქრობასთან თურქული ბალთის დაკავშირება, რომლის ანალოგები ჩრდილოეთ კავკასიასა და ბალკანეთის ქვეყნებში უფრო VII-X სს-ით თარიღდება. ერთი შეხედვით, ნოქალაქევის ნაქალაქარის ერთ-ერთ კოშკში მავრიკ ტიბერიუსის მონეტების აღმოჩენა VI ს-ის მიწურულს ამ კოშკისა და, შესაბამისად, საფორტიფიკაციო სისტემის დანგრევას გულისხმობს. თუმცა აქ ხაზი უნდა გავუსვათ ერთ გარემოებას, კერძოდ, თეოფილაქტე სიმოკატას ცნობით, 588 წლის გაზაფხულზე „თვითმპყრობელმა (მავრიკიმ), ჩვეულებისამებრ, ოქრო გააგზავნა ჯარისათვის დასარიგებლად". ამ დროისათვის კოლხეთის (ეგრისის) ტერიტორიაზე მშვიდობა სუფევდა [თეოფილაქტე სიმოკატტა. 1941: 20]. შესაძლოა, დავუშვათ, რომ ნოქალაქევის ნაქალაქარის ერთ-ერთ კოშკში აღმოჩენილი ოქროს განძი იმპერატორის მიერ სწორედ 588 წელს გამოგზავნილი ფულია. თუმცა, სიმოკატა იქვე აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში ეგრისში სიმშვიდე იყო. აქ საგულისხმოა ერთი გარემოება. იმავე ავტორის ცნობით, 588-589 წლებში ბიზანტიელები სპარსთა წინააღმდეგ ილაშქრებენ.

ჯარს სათავეში უდგას რომანოზი, რომელიც ლაშქრობამდე ჩადის ეგრისში, უთანხმდება ადგილობრივ მმართველებს და იქიდან მიდის სალაშქროდ [თეოფილაქტე სიმოკატტა. 1941: 22-23]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ ლაშქრობის დაწყებამდე ეგრისის დედაქალაქში დაბანაკებულმა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა (ოფიცერმა) ერთ-ერთ კოშკში გადამალა ხელფასის სახით მიღებული ოქროს ფული და ლაშქრობიდან ვეღარ დაბრუნდა, ხოლო განძი მომდევნო წლების (და შეიძლება, ასწლეულების) განმავლობაში ხელუხლებელი დარჩა სამალავში. ეს მხოლოდ ვარაუდია, თუმცა ბადებს ეჭვს, რომ მავრიკ ტიბერიუსის ოქროს მონეტების კოშკში აღმოჩენა სულაც არ ნიშნავს ამ იმპერატორის ზეობის წლებში ნოქალაქევის ნაქალაქარის განადგურებას.

ოლოს, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება ერთ სხვაობას ქართულ წყაროთა მონაცემებში. ჯუანშერის მიხედვით, მურვან-ყრუმ „შემუსრა“, ანუ დაანგრია ციხე-გოჯი, ხოლო, „დავით და კონსტანტინეს მარტვილობის“ თანახმად, მურვან-ყრუმ „დაიბანაკა ქალაქსა ჯიხან-ქუჯისასა“. ამ საკითხის შესახებ გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება - „დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში“ ორი ლაშქრობაა არეული (აბრამიშვილი გ. 1977: 26-31). მან მიაქცია ყურადღება „დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობის“ ცნობას იმის შესახებ, რომ ეგრისში ლაშქრობის შემდეგ მურვან-ყრუ კონსტანტინოპოლისკენ გაემართა და მისი ალყის დროს გარდაიცვალა. ეს კი არ შეეფერება სიმართლეს. მურვან-ყრუმ 735-737 წლებში საქართველოში, მათ შორის, ეგრისში, ლაშქრობის შემდეგ ცოტა ხანს კავკასიაში გააგრძელა მოღვაწეობა, შემდეგ სახალიფოში დაბრუნდა და 744 წლიდან ხალიფაც კი გახდა. რაც შეეხება კონსტანტინოპოლს, მას არაბებმა ორჯერ - VII ს-ის 70-იანსა და 716-717 წლებში შემოარტყეს ალყა. გ. აბრამიშვილმა „დავით და კონსტანტინეს მარტვილობის“ სხვა წყაროებთან შედარების საფუძველზე ივარაუდა, რომ ამ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს კავკასიის არაბ მმართველ ხალიფა აბდ ალ მალიქის ძმისა და მურვან-ყრუს მამის - მუჰამედ იბნ მურვანის საომარ ოპერაციაზე. მართლაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობით, 717 წელს არაბები შემოვიდნენ დასავლეთ საქართველოში და არქეოპოლისისკენ გაემართნენ, რათა ის ბიზანტიელებისგან დაეცვათ. არაბების შემოსვლისთანავე ბიზანტიელებმა უკან დაიხიეს. გ. აბრამიშვილის აზრით, ამის შემდეგ მუჰამედ იბნ მურვანი, შესაძლოა, კონსტანტინოპოლისკენ გაემართა, რათა დახმარებოდა იქ მდგარი არაბული ჯარის სარდალ მასლამას; ანუ ქართულ აგიოგრაფიულ წყაროში დაცული ცნობის ნაწილი კონსტანტინოპოლთან მდგარი არაბების დამხმარე ჯარის მარშრუტს გვიჩვენებდა. ჩვენ ვთვლით, რომ, შესაძლოა, მართლაც ასე იყო. ამ შემთხვევაში გასაგები ხდება “დავით და კონსტანტინეს მარტვილობის“ ცნობა არაბთა ლაშქრის ციხე-გოჯთან დაბანაკებისა და არა აღების თაობაზე. არაბებს ციხე-გოჯის აღება არ სჭირდებოდათ, რადგან ის ისედაც მათ ხელში იყო. თეოფანე ჟამთააღმწერელი იხსენიებს VIII ს-ის 30-იანი წლების არაბთა ლაშქრობასაც. მისი მონაცემებით, სწორედ ამ დროს დაატყვევეს არაბებმა ლაზიკის პატრიკიოს მარიანეს ვაჟი ევსტათი და ქრისტიანი ტყვეები გაჟლიტეს [თეოფანე ჟამთააღმწერელი. 1941: 115-116]. შესაძლოა, მათ შორის იყვნენ დავით და კონსტანტინეც. ციხე-გოჯის აღებაც, როგორც ჩანს, არაბთა ამ ლაშქრობას უკავშირდება და მათი მეთაური მერვან იბნ მუჰამედი, ანუ იგივე მურვან-ყრუ იყო. აქვე გვინდა ერთი ვარაუდიც გამოვთქვათ: ხომ არაა ლაზიკის პატრიკიოსი მარიანე

ქართლისა და ეგრისის მმართველ სტეფანოზის უკვე ნახსენები ვაჟი მირი? თუმცა ეს საკითხი ცალკე კვლევას მოითხოვს და ჩვენი სტატიის თემატურ ფარგლებს სცილდება.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული წერილობითი წყაროების, მათ შორის, ჯუანშერის მონაცემები საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ეგრისის მთავარი ქალაქის - ციხე-გოჯის აგების, ფუნქციონირებისა და დანგრევის შესახებ. ამ მონაცემების სხვა წერილობითსა და არქეოლოგიურ წყაროებთან შედარება, ძირითადად, გვარწმუნებს მათს სანდოობაში. ამასთანავე, გვჯერა, რომ ნოქალაქევის ნაქალაქარის მომავალი არქეოლოგიური კვლევა მეტ სიცხადეს შეიტანს არა მხოლოდ ამ ქალაქის, არამედ ეგრისისა და მთლიანად საქართველოს ისტორიის არაერთ ეპიზოდში.

**HISTORY**


**Besik Lortkifanidze*, Nikoloz Murgulia***

*The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum

3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia

E-mail: nikomurgulia@yahoo.com


## The Three-walled Fortress Tsikhegoji
### (Information of the Georgian Written Sources about Tsikhegoji - Nokalakevi)


The current work overviews the 7th-8th cc history of Nokalakevi site according to the information of Georgian historian Juansher. There is a new view of the information about Nokalakevi according to the comparative analyzes of Juansher, other Georgian and foreigner authors and recent archaeological evidences.


According to Juansher in the 70s of the 5th century King of Kartli (Iberia) Vakhtang Gorgasali marched to Egrisi and "took all fortresses of Abkhazia during three years except Tsikhegoji". Juansher also mentions that in the 30s of the 8th century "Murvan Ibn Mohamed ruined the three- walled fortress, which is Tsikhegoji and crossed border of Klisura."

We paid attention to the information about Murvan Ibn Muhamed's campaign where Juansher gives another name of Nokalakevi - "three -walled fortress, which is Tsikhegoji". Juansher names the fortress Nokalakevi as Tsikhegoji, when describing history of the 5th century, but in the 8th century he mentions it as a three-walled fotress. We are of the opinion that Juansher had the exact information that in the 5th century Nokalakevi fortress did not have three walls, as the third wall was built in the 6th century during the Byzantine Emperor Justinine I. Archaeological survey of the Nokalakevi expedition showed that the third wall was built in the beginning of the 6th century. Therefore in the 70s of the 5th century

Nokalakevi fortress did not have three walls and the historian could not mention that fact. Juansher gives us very accurate and exact information about Nokalakevi-Tsikhegoji.

In the conclusion, we can say that Georgian written sources, including Juansher's work, give very important and interesting information about function and destruction of the main town of Lazika (Egrisi) kingdom - Tsikhegoji.

### ბიბლიოგრაფია


**აბრამიშვილი გ. 1977:** *სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა ატენის სიონში.* თბილისი.

**აფხაზავა ნ. 1979:** *ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა.* თბილისი.

**ბატონიშვილი ვახუშტი. 1973:** *აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბილისი.

**ბოგვერაძე ა. 1999:** *ქართლისა და ეგრისის სამეფოების ურთიერთობის საკითხები ვახტანგ გორგასლის მეფობაში (ლეონტი-ჯუანშერის კრიტიკისათვის). საქართველო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში.* გვ. 47-72. თბილისი (რედ. დ. მუსხელიშვილი).

**გოილაძე ვ. 1991:** *ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი.* თბილისი.

**ზაქარაია პ., კაპანაძე თ. 1991:** *ციხე-გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება.* თბილისი.

**თეოფილაქტე სიმოკატტა. 1941:** *გეორგიკა.* IV. ნაკვ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

**თეოფანე ჟამთააღმწერელი. 1941:** *გეორგიკა.* IV. ნაკვ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

**ლეონტი მროველი. 1955:** *ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბილისი.

**ლექვინაძე ვ. 1987:** ნოქალაქევის ნაქალაქარზე 1978-1982 წლებში გამოვლენილი IV-XI საუკუნეების მასობრივი არქეოლოგიური მასალა. *ნოქალაქევი-არქეოპოლისი. II.* გვ. 237-248. თბილისი (რედ. პ. ზაქარაია).

**lomitaSvili d. 2003:** *centraluri kolxeTi Zv.w. VIII – ax.w. VI ss. /cixegoji-arqeopolisi-noqalaqevi/.* disertacia istoriis mecnierebaTa doqtoris samecniero xarisxis mosapoveblad. Tbilisi

**ლომიტაშვილი დ. 2014:** *ნოქალაქევის ნაქალაქარი. IV-VI სს-ის არქეოლოგიური მასალების მიხედვით.* თბილისი.

**ლომოური ნ. 1981 a:** *ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხე-გოჯი. ნოქალაქევი-არქეოპოლისი.* I. გვ. 18-47. თბილისი (რედ. პ. ზაქარაია).

**ლომოური ნ. 1981 b:** *ნოქალაქევის შესწავლის ისტორია. ნოქალაქევი-არქეოპოლისი.* I. გვ. 48-76. თბილისი (რედ. პ. ზაქარაია).

**ლომოური ნ. 1989:** *საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში.* თბილისი.

**ლორთქიფანიძე ბ. 1993:** ქალაქის გარეგნული სახე. *ნოქალაქევი-არქეოპოლისი. III.* გვ. 176-200. თბილისი (რედ. პ. ზაქარაია).

**ლორთქიფანიძე ბ. 2013:** სერგი ნებარნუკის ძის შეკიდული ბეჭედი და ბიზანტიის კავკასიური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი. *სემმ.* IV (49-B). გვ. 170-179. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ. 2014:** სვანეთი ბიზანტია-სასანიანთა სპარსეთის ურთიერთობაში V-VI საუკუნეებში. *სემმ.* V (50-B). გვ. 95-116. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**ლორთქიფანიძე მ. 1979:** *ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში.* თბილისი.

**მურღულია ნ. 2007:** ნოქალაქევი-არქეოპოლისის მშენებლობის ქრონოლოგია. *ჟურ. კავკასიის მაცნე.* ტ. 16. გვ. 68-73. თბილისი.

**მუსხელიშვილი დ. 1977:** *საქართველოს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები.* თბილისი.

**პრისკე პანიონელი. 1960:** *ისტორია. გეორგიკა.* I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

**საბინინი ნ. 1882:** *საქართველოს სამოთხე.* სანკტ-პეტერბურგი

**ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. 1953:** ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ. თბილისი

**ჭილაშვილი ლ. 1970:** *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში.* II. თბილისი

**ჯუანშერი. 1955:** *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I, თბილისი

**Гумилёв Л. 1967:** Древние тюрки. Москва.

**Джапаридзе В. 1988:** Раннесредневековые города западной Грузии. *Средневековые города и городская жизнь Кавказа (тезисы докладов).* Тбилиси.

**История Византии, т. I. 1967 a:** Москва.

**История Византии, т. II. 1967 b:** Москва.

**Курбатов. Г. 1971:** Основные проблемы внутреннего развития Византийского города в IV-VII вв. Ленинград.

**Леквинадзе В. 1980:** Вислая печать с именем Сергия из Грузии. С*А.* №4. сс. 275-281. Москва (ред. Б. Рыбаков).

**Леквинадзе В., Хведелидзе Л. 1981:** Массовые археологические находки из раскопок в Нокалакеви. *ნოქალაქევი-არქეოპოლისი.* I. გვ. 120-149. თბილისი (რედ. პ. ზაქარაია).

**Меликишвили Г. 1959:** К истории древней Грузии. Тбилиси.

Феофилакт Симокатта. 1957: История. Москва.

**Stephen H., Rapp Jr. 2003:** Studies in Medieval Georgian Historiography*: Early Texts and Eurasian Contexts, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 601.* Louvain.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 214-221
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 214-221

**ისტორია**

**მარინე ბულეიშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი საქართველო
ელფოსტა: marinebuleishvili@gmail.com

# მეფე ერეკლე II აღმოსავლეთ საქართველოს მოსაზღვრე სახანოებისა და სამფლობელოების შესახებ

მოსკოვის საგარეო საქმეთა არქივში ინახება [მსსა.1774წ; ფ 110/3; საქმე №453, გვ. 106] 1774 წლით დათარიღებული მეფე ერეკლე II-ის ვრცელი წერილი, მიწერილი რუსეთის კანცლერ ნიკიტა პანინისადმი. მასში აღწერილია აღმოსავლეთ საქართველოს ირგვლივ არსებული სახანოები და სამფლობელოები: მათი გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორიული, ეთნოგრაფიული და სტატისტიკური მონაცემები, ასევე პოლიტიკური ვითარება და საქართველოსთან მათი ურთიერთობა.

გაკვირვებას იწვევს იმდროინდელი კომუნიკაციის პირობებში, როგორ ახერხებდა მეფე ერეკლე თავისი ქვეყნის მეზობლად მდებარე სახანოებსა და სამფლობელოებში არსებული პოლიტიკური თუ სამხედრო ძვრების შესახებ ინფორმაციების მყისიერად მოპოვებასა და მათზე დაუყოვნებელ შესაბამის რეაგირებას დიპლომატიური თუ სამხედრო მოქმედებებით. კავკასიისა და ამიერკავკასიის მასშტაბით იგი მოვლენათა მუდმივ ეპიცენტრში იმყოფებოდა.

როგორც ჩანს, მეფე ერეკლე ცდილობდა რუსეთის იმპერიის მესვეურთა დარწმუნებას, რომ კავკასიის ქრისტიანი მოსახლეობის დაცვა თვით რუსეთისთვისაც მნიშვნელოვანი იქნებოდა.

წერილი ქართულიდან რუსულად უთარგმნია რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფ პოლკოვნიკ დავით აბაზაძეს. თარგმანში შეცდომებია. ამიტომ გადავწყვიტეთ მისი ხელახლა ქართულად თარგმნა. ამასთან, მიგვაჩნია, რომ ეს ისტორიული წერილი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს კავკასიის ხალხთა ისტორიით დაინტერესებულ პირებსა და მეცნიერებს.

დავით აბაზაძის თარგმანში ნათქვამია, რომ წერილის დედანს ახლავს ერეკლე II მიერ შედგენილი რუკაც, მაგრამ არც ქართული დედანი და არც რუკა არქივში აღარ აღმოჩნდა.

## ქალაქ ახალციხის აღწერა

ქალაქი ახალციხე და მთლიანად მისი მაზრა, თავდაპირველად, ქართველი მეფეების საკუთრება იყო, იქ მოსახლე ხალხი კი - მართლმადიდებელი ქრისტიანები, მაგრამ შემდეგ თურქებმა სამხედრო ძალით დაიპყრეს ისინი და მოსახლეობის დიდი ნაწილი გაამაჰმადიანეს. ამჟამად ახალციხე

ისევ თურქების გავლენის ქვეშაა, ქრისტიანი მოსახლეობა კი ძალიან მცირე რაოდენობით შემორჩა აქა-იქ, ზოგ ადგილას.

ახალციხე მდებარეობით ნაწილობრივ მთაგორიანია, ნაწილობრივ კი - ფართო ველებსა და ნაყოფიერ მინდვრებს მოიცავს. იგი სამხრეთ-აღმოსავლეთით ვრცელდება და ესაზღვრება ჩვენს სამფლობელოებს, კერძოდ, ზედა საქართველოს, სომხეთსა და თრიალეთს.

ქალაქ ახალციხესა და მის მაზრას ამჟამად სამთუღიანი ვეზირი მართავს, რომელსაც ხუთი ათას კაციანი ჯარის შეკრება შეუძლია, მაგრამ ცნობილია, რომ აქაური ხალხი სამხედრო მოქმედებების დროს სუსტი და მხდალი მეომრები არიან. ლეკების ხშირმა შემოსევებმა ბოლო დროს ახალციხის მაზრა ძლიერ დაასუსტა, ხოლო ჩვენ ამჟამად ახალციხის მმართველთან მშვიდობიანი ურთიერთობა გვაქვს.

**ქალაქ ყარსის აღწერა**

ქალაქი ყარსი არარატის მთის სიახლოვეს მდებარეობს. უძველეს დროს იგი სომხეთის სამეფოს ნაწილი იყო. ამიტომ იქ მცხოვრები ხალხი, ძირითადად, სომხური აღმსარებლობის არიან. მათ შორის ცოტაა მაჰმადიანი და უფრო ნაკლები ბერძნული ქრისტიანობის მიმდევარი.

ქალაქ ყარსის ირგვლივ მდებარე ადგილები მთაგორიანიცაა და ველიანიც. ზოგან ჩვენი ქვეყნის საზღვარზეა, ზოგან კი დიდად შეჭრილია ჩვენს საზღვრებში. მისი კუთვნილი მიწები ვრცელდება სამხრეთითა და დასავლეთით. მმართველებად ხან სამთუღიანი, ხანაც ორთუღიანი ფაშები ჰყავთ, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში ორი ათასამდე მეომრის შეკრება შეუძლიათ. აქაური ხალხიც, ისევე როგორც ახალციხელები, სამხედრო მოქმედებებისათვის გამოუსადეგარნი არიან. აქაც ბევრი ადგილი ლეკების შემოსევების გამო დარბეულია.

**ყურთ ბაიაზეთის მხარის აღწერა**

ყურთ ბაიაზეთის მხარე წინათ ასევე სომხეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო. ამჟამად მას ორთუღიანი ფაშა მართავს და აქედან ხუთი ათასამდე მეომრისაგან შემდგარი ჯარის გამოყვანაა შესაძლებელი. აქაური ხალხი საომარ მოქმედებებში გამობრძმედილნი და გულადნი არიან. ისინი, უმეტესად, სომხურ ქრისტიანულ აღმსარებლობას აღიარებენ და ამჟამად თურქულ მხარეს ნებაყოფლობით ემორჩილებიან.

ყურთ ბაიაზეთის მხარე ვრცელდება სამხრეთისკენ და არარატის მთას ებჯინება. ასევე ესაზღვრება ერევანს, სალმასისსა და ყარსს. აქ ყველა ადგილი ხალხითაა დასახლებული და ისინი არავისგან დარბეულნი არ არიან.

**ერევნის აღწერა**

ქალაქი ერევანი ძველად სომეხი მეფის რეზიდენცია იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც სპარსეთში შაჰი გამეფდა, იგი სპარსეთის ხელქვეითად იქცა. შაჰი ამ ქალაქში მმართველებად ბეგლარ-ბეგებს, ანუ გენერალ-გუბერნატორებს ნიშნავდა. ქალაქი, ძირითადად, დასახლებულია სომეხი მოსახლეობით და აქვეა სომეხი პატრიარქის რეზიდენციაც. ქალაქი ერევანი მდებარეობით ნაწილობრივ მთაგორიანია, ნაწილობრივ კი დაბლობია. მიწები ნოყიერია და მდიდარია მრავალგვარი უხვმოსავლიანი მცენარეულობით.

თხუთმეტი წლის წინ აქაურობა სასტიკად დაარბიეს ლეკებმა და სპარსელებმა, მაგრამ მას შემდეგ, რაც აქაური მოსახლეობა ჩვენი მფარველობის ქვეშ მოექცა, ჩვენ მათ ყველა მტრისგან ვიცავთ, ისინი ჩვენ მიმართ ნდობას გამოხატავენ და თვითონაც გარკვეულ სამსახურსაც გვიწევენ. ისინი ჩვენი ქვეშევრდომნი გახდნენ.

ქალაქი ერევანი მდებარეობს სამხრეთ საქართველოსა და ბაიაზეთს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ის ჩვენი ქვეყნისგან მთებითაა გამოყოფილი, მაინც არსებობს მასთან დამაკავშირებელი როგორც საქარავნო, ასევე საურმე გზები.

აქ ჯარის შეგროვება ორი ათას კაცამდეა შესაძლებელი, მაგრამ აქაური ხალხი სამხედრო მოქმედებების დროს ნაკლებად არიან გამოსადეგნი.

### ქალაქ განჯის აღწერა

სახელგანთქმული სპარსული ქალაქი განჯა მდებარეობს ზუსტად ჩვენი ქვეყნისა და სპარსეთის საზღვარზე. აქაური მოსახლეობის უმეტესობა სომხური აღმსარებლობის ქრისტიანები არიან. მისი მიმდებარე მიწები უხვმოსავლიანია, მაგრამ საკმაოდ მთაგორიანი.

ქალაქი ვრცელდება სამხრეთ აღმოსავლეთით. სამხრეთი ნაწილით იგი ესაზღვრება შირვანს, ყარაღაჯსა და ერევნის სახანოს. მმართველი ხანი თანამდებობას მემკვიდრეობით იკავებს. აქედან სამ ათას კაცამდე ჯარის გამოყვანა შეიძლება.

ამ ქალაქის მმართველ ხანს ხშირად არბევდნენ და განუდევნიათ კიდეც ამ ქალაქიდან, როგორც საკუთარ ხელქვეითებს, ასევე მეზობლად მცხოვრებთ. თუმცა ამ ბოლო ხანებში ჩვენი დახმარებით მისი მტრები განადგურებულნი არიან. ხანი ძველებურად ჩვენ მიერ დამტკიცებულია მმართველად თავის სახანოში. ამიტომ ამჟამად, ისევე როგორც ერევნის ბეგლარ-ბეგი, ჩვენი მფარველობის ქვეშ და მორჩილებაში იმყოფება. მას თავისი საცხოვრებელი სახლი ლეკების სიახლოვეს აქვს. ამიტომ ჩვენ, უკეთესი უსაფრთხოების მიზნით, მისგან მძევლები გვყავს წამოყვანილი. აქაური ხალხი სამხედრო მოქმედებისთვის უფრო გამოსადეგნი არიან, ვიდრე ერევნელები.

### ხამსისად წოდებული მხარის აღწერა

ხამსისის მხარეში მმართველებად შვიდი მელიქია, ანუ იგივე ვოევოდა ან მეთაური. აქ ცხოვრობენ, ძირითადად, სომხური აღმსარებლობის ქრისტიანები, რომელთაც ჰყავთ თავიანთი ეპისკოპოსი. წინათ ისინი სპარსეთის შაჰებს გადასახადებს უხდიდნენ, მაგრამ სპარსეთის ბოლო შაჰის განადგურების შემდეგ მომთაბარე მაჰმადის რჯულის ერთი კაცი ჯევანშირის მოდგმისა მეტისმეტად გაძლიერდა. მან ხამსისის შუაგულში მდებარე ძველებური ციხესიმაგრე მოტყუებით ხელში ჩაიგდო. ამიტომ ჩვენ მასთან მრავალჯერ გვქონდა უთანხმოება და, ღვთის წყალობით, ამ ჯევანშირს ვარბევდით და ვამარცხებდით, მაგრამ, ამავე დროს, იქაურ ქრისტიანებს არავითარ ზიანს არ ვაყენებდით. ამჟამად კი სხვადასხვა გარემოებისა გამო ჩვენსა და მას შორის თანხმობა და მშვიდობაა. ადგილობრივი სომხები დიდ ციხეს ფლობენ. იქაური ადგილები მთიანი და ტყიანია. ამასთან, მინდვრებიც ნაყოფიერია. ჯევანშირელი ხალხისგან

საომრად ორი ათას ხუთასი კაცის გამოყვანაა შესაძლებელი, ხოლო სომხთაგან - ოთხი ათას ხუთასი კაცის. საომარ მოქმედებებში უკანასკნელნი უფრო მეტად გამოსადეგნი არიან. ეს მხარე მდებარეობს შირვანს, ნახჩევანს, განჯასა და ყარადაგს შორის და ვრცელდება აღმოსავლეთითა და სამხრეთით. რადგან ხამსისში ზემოთ ნახსენებ შვიდ მელიქს შორის დიდი უთანხმოებაა, ჯევანშირი ამით სარგებლობს და მთელი ეს მხარე თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა.

### ყუბის სამფლობელოს აღწერა

ადრე ყუბის ხანი ძალიან მცირე სამფლობელოს ფლობდა, მაგრამ ლეკებთან შეთანხმების შემდეგ თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა: დერბენტი, ბაქო, სალიანი და მათი მიმდებარე ადგილები.

ამჟამად ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ყუბის ხანმა თხოვნით მიმართა თურქეთის სულთანს, მისთვის გაწეული სამსახურის სანაცვლოდ, მსგავსად ნათავადარ დაღესტნელ სურხაისა, მისთვისაც გაეწია დახმარება შემახისა და შირვანის ხელში ჩასაგდებად. თავის თხოვნაზე სულთნისგან მან პასუხად მიიღო განკარგულება, რომ მას, თავდაპირველად, გაემაგრებინა ზღვისპირა ადგილები შირვანისა და შემახას ხელში ჩასაგდებად იმავე პირობით, როგორითაც სურხაი ფლობდა მათ. ამის გამო აღნიშნულმა ყუბის ხანმა შეაგროვა მთიელი ლეკები და მათი დახმარებით კიდეც ჩაიგდო ხელში შირვანი და შემახა. შემდეგ ომი შეკინის ხანის წინააღმდეგ წამოიწყო და თითქმის კიდეც ამარცხებდა მას. როგორც კი ჩვენ ამის შესახებ ცნობა მივიღეთ, მაშინვე გავაგზავნეთ შეკინის ხანთან დამხმარე ჯარი, რის შედეგად ყუბის ხანი იძულებული გახდა, ამ თავის წამოწყებაზე უარი ეთქვა და ზავზე დათანხმებულიყო.

### ყუმიხის სამფლობელოს აღწერა

თუმცა ჩვენსა და ყუმიხის თავად სულხავს შორის სიტყვიერი ზავი არსებობს, მაინც მისი ხელქვეითი ხალხი ხშირად ქურდულად ჩვენს მიწას არბევს. სანამ ხსენებული ყუმიხების თავადის მამა ცოცხალი იყო, თურქეთის სულთნისგან როგორც ჯარით, ასევე ფულით ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო, რასაც მისი შვილები ამჟამადაც სთხოვენ თურქეთის სულთანს, რის გამოც მასთან მუდმივ მიმოსვლას აწარმოებენ. ისე რომ, ერთ-ერთი მათგანი მუდმივად სულთანთან იმყოფება. ცოტა ხნის წინ მასთან მეორე ძმაც გაემგზავრა და ცნობილია, რომ უკვე დიდი ხანია, რაც ყირიმამდე ჩააღწია, ხოლო მისი ამჟამინდელი ადგილსამყოფლის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. ხმები დადის, რომ იგი თურქეთის სულთანმა თავისი ჯარის სარდლად დანიშნა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სულხავის აღნიშნული სამფლობელო, ისევე როგორც უცმიისა და საშამხლოს ხალხისა, ასევე ლეკების გარკვეული ნაწილიც, ჩვენი მხარის მიმართ კეთილგანწყობილნი არ არიან, თუმცა ზოგიერთი ლეკი ჩვენთან თანხმობაში იმყოფება.

### შაქის სამფლობელოს აღწერა

ამჟამინდელი შაკინის ხანის დიდი პაპა სომეხი მღვდელი იყო, ხოლო უშუალოდ მისი პაპა მაჰმადიანობას ეზიარა და აჯი ჩელაბად იწოდებოდა. მან რაღაც ხელოვნებით შაქი მიისაკუთრა, რომელიც ძველ დროს კახე-

თის მეფეს ემორჩილებოდა. შემდეგ კი იგი სპარსეთის შაჰმა, შაჰ აბას პირველმა, ძალმომრეობით მიისაკუთრა. შაკინის აღნიშნულ სამფლობელოში მრავლად არიან სომხური და ბერძნული აღმსარებლობის ქრისტიანები. მათ შორის პირველნი თავიანთ აღმსარებლობას დაუმალავად მისდევენ, მეორენი კი მაჰმადიანების შიშით მალულად აღიარებენ. შაკინის მდებარეობა ნაწილობრივ მთიანი, ნაწილობრივ სწორი დაბლობია. თავისი მდებარეობით იგი ვრცელდება შირვანიდან იალბუზის წინ მდებარე ხეობებამდე, ე,ი. კავკასიის თოვლიან მთებამდე და კახეთს ებჯინება. ამ სამფლობელოში სამი ათასი კაცისგან შემდგარი ჯარის შეგროვება შეიძლება. ჩვენსა და მათ შორის ხან მშვიდობაა, ხან კი-უთანხმოება.

## ალი სულთნის სამფლობელოს აღწერა

აღნიშნული სამფლობელო ძველთაგან კახეთის მეფის ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა, მაგრამ სპარსეთის ხელმწიფე შაჰ აბას პირველმა სამხედრო ძალით დაიპყრო იგი და თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა, იმდროინდელი მმართველი ძალმომრეობით გაამაჰმადიანა და კახეთის სულთნად გამოაცხადა. ეს მმართველი შემდეგში კახეთის ქვეშევრდომობას სრულიად განუდგა. თავისი მდებარეობით ეს სამფლობელო კახეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება.

## ტამანის, ჩინიჟის, ნარინისა და ბელაქნის მაზრების აღწერა

აქ მცხოვრები ხალხი თვითმმართველნი და დამოუკიდებელნი არიან. მათ თავიანთ მორჩილებას დაუქვემდებარეს დაბლობ ადგილებში მოხეტიალე მომთაბარე, ე.წ. თარაქამელი ხალხი, რომელთა შორის ძალიან მცირე ნაწილი ზოგი ბერძნული, ზოგი სომხური ქრისტიანობის აღმსარებლები არიან. ისინი უძველესი დროიდან კახეთის მეფის ძალაუფლებას ემორჩილებოდნენ, მაგრამ შაჰ აბას პირველმა ისინი დაარბია და გაანადგურა, ხოლო მათ ნაცვლად ყველა იქაურ ადგილში თათრები და ლეკები დაასახლა. ამით ისარგებლეს ლეკებმა და მათი საკმაო რაოდენობა იქ საცხოვრებლად ნებაყოფლობითაც გადავიდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ცოტა ხნის წინ მათ ჩვენ სამსახური გაგვიწიეს.

თავიანთი საცხოვრებელი ადგილებით ისინი იალბუზის მთებს ებჯინებიან. მათ დიდ სამხედრო დახმარებას უწევენ იმ მთებში მცხოვრები ლეკები. ჩვენ მათთან ზოგჯერ მშვიდობა,ზოგჯერ კი, პირიქით, დიდი უთანხმოება გვაქვს. არცთუ ისე დიდი ხნის წინ ყველა ეს ხალხი, რომლებიც სახლობს შემახიდან ბელაქნამდე, ჩვენს მიწა-წყალს ერთობლივად თავს ესხმოდა. აქაური ჯარი ლეკების გარეშე ხუთი თუ ექვსი ათასი კაცი გროვდება. ადგილმდებარეობით ისინი გარშემოზღუდულნი არიან გაუვალი მთებითა და ტყეებით. ამდენად, კარგად არიან დაცულნი. ჩვენი — კახეთის სამფლობელო ქიზიყიდან ოცდახუთსა თუ ოცდაათ ვერსზე მეტადაა დაშორებული.

## ხუნძახის სამფლობელოს აღწერა

ხუნძახის სამფლობელო დაღესტნის მთებში მდებარეობს და ავარი ეწოდება. აქ ათას ხუთას კაციანი ჯარის შეგროვება შეიძლება, მაგრამ თუ ლეკებთან ერთად მოინდომებენ საომარი მოქმედების წარმოებას, მაშინ მათ თექვსმეტი ათასი კაცის შეგროვებაც შეუძლიათ. იქაური მიწები კა-

ხეთიდან აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მდებარეობს. ადრეულ ხანებში ეს სამფლობელო კახეთის ხელქვეითი იყო და ერისთავი მართავდა. ისინი ადრეც ჩვენი მხარის მიმართ კეთილგანწყობას ნაკლებად გამოხატავდნენ. ბოლო ხანებში კი ჩვენი საწინააღმდეგო მკვეთრად გამოხატული მოქმედებები დაიწყეს და ჩვენთვის უცნობი მიზეზით დაღესტნის ჯართან ერთად საქართველოში შემოიჭრნენ და ერთ-ერთ ჩვენს ციხეზე შეტევა განახორციელეს. თუმცა ჩვენი მხარისათვის მცირე დანაკლისით ისინი დავამარცხეთ. მოწინააღმდეგეების დიდი ნაწილი იქვე დავხოცეთ, რის შემდეგ, სამაგიეროს გადახდის მიზნით, ისინი შემდეგ წელს ოცდაორათასიანი ჯარით გამოვიდნენ ჩვენ წინააღმდეგ. ამჯერად მათ შეუერთდნენ ჩვენი — მეზობლები შემახელები და განჯელები, ასევე შაკინის ხანი ალი სულთანი. ჭარელები და თავლინები მათ ათი ათასიანი ჯარით დაეხმარნენ და, როდესაც მათი ჯარის რაოდენობამ ოცდათორმეტ ათას კაცს მიაღწია, მიადგნენ ჩვენს ერთ-ერთ ციხესიმაგრეს. ჩვენ ამ დროს ჯარს ვაგროვებდით და ამიტომ მცირერიცხოვანი ჯარით მათკენ გავემართეთ. სწორედ ამ დროს ჩვენი ციხე-სიმაგრიდან ისეთი ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს, რომ ისინი იძულებულნი გახდნენ, დიდი სირცხვილის ფასად ამ ციხესიმაგრიდან უკან დაეხიათ და, საბოლოოდ, ჩვენთან ზავი დაედოთ იმ პირობით, რომ ჩვენგან სულ მცირე ჯამაგირს მიიღებდნენ. თავიანთი ადგილმდებარეობით ისინი ჩვენგან ოთხი დღე-ღამის მგზავრობის ხანგრძლივობით არიან დაშორებულნი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენსა და მათ შორის, როგორც ადრე ვახსენეთ, მშვიდობაა, მათი ხელქვეითნი ხშირად ქურდულად თავს ესხმიან ჩვენს მიწებს და არბევენ მათ.

## კავკასიის მთებში მცხოვრებნი: დიდოელების, ქისტების, ღლიღვების, ძურძუკების, თუშების, ფშავლების, ხევსურებისა და ხეველების აღწერა

ზემოთ ჩამოთვლილი ხალხი უწინ კახეთის მფლობელობაში იყო. ოთხი მათგანი - დიდოელები, ქისტები, ღლიღვები და ძურძუკები ლეკებმა თავიანთ ძალაუფლებას დაუმორჩილეს და გაამაჰმადიანეს. ამჟამად ლეკები ცდილობენ, რომ თუშები, ხევსურები, ფშავლები და ხეველებიც, რომელთა საცხოვრებელ ადგილებში რუსეთიდან საქართველოში სამიმოსვლო გზა გადის, ასევე დაიქვემდებარონ და გაამაჰმადიანონ. ამასთან ერთად, მათ დიდი სურვილი აქვთ ოსებისა და კავკასიის მთებში, თითქმის ყირიმის საზღვრამდე, მცხოვრებთა გამაჰმადიანება, რასაც ხშირად კიდეც მიაღწიეს.

## რუსეთიდან საქართველოში გამავალი სამიმოსვლო გზის აღწერა

ჩვენი აზრით, რადგან რუსეთიდან ხევის მიმართულებით არსებული სამიმოსვლო გზა მეტად რთულ გზად ითვლება და მისი გაწმენდა ძალიან დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენი მხრიდან მისი მოვლა, გაწმენდა და გასწორება ბევრად უფრო ადვილია. ამასთან ერთად, იმის მიუხედავად, რომ ჩიმიდან ხევამდე ორმოცი ვერსის გავლა ამჟამად მთების გადავლით ხდება, ამავე მიზნით, უფრო მიზანშეწონილია ამ მთების ორივე მხარეს მდებარე სწორი და დაბალი ხეობის გამოყენება.

### ცნობები ქერიმ ხანის შესახებ

ქერიმ ხანს, რომელიც ამჟამად სპარსეთში ყველაზე წარჩინებული გახდა, თავისი ადგილსამყოფელი ქალაქ შირაზში აქვს.

სპარსეთი ოთხ ნაწილად იყოფა, კერძოდ: აზერბაიჯანი, არაქი, ფარსისტანი და ხორასანი. ამათთან ერთად სხვა მხარეებიცაა, მაგალითად: გილანი, მაზენდარანი და ამადანი. აზერბაიჯანში ქერიმ-ხანი გარკვეულ ნაწილს ფლობს. არაქი მთლიანად მას ემორჩილება, ხორასანი მას არ ემორჩილება, ხოლო ფარსისტანის ის ნაწილი, სადაც ქალაქი შირაზი მდებარეობს, ისევე როგორც გილანი, მაზენდარანი და ამადანი, მისი მფარველობის ქვეშ იმყოფება, მაგრამ მის მფლობელობაში მყოფი ადგილებიდანაც ყოველთვის მას სრულ მორჩილებას არ უცხადებენ. ქერიმ ხანი სამხედრო საქმეში ძლიერ გაწაფული და სახელგანთქმულია თავისი გამარჯვებებით. როგორც ჩვენთვის ცნობილია, იგი შირაზიდან არსად წასვლას არ აპირებს. ამჟამად ჩვენ მასთან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს და მიმოწერასაც ვაწარმოებთ.

### ასირიელი ხალხის აღწერა

მრავალმილიონიანი ასირიელები თურქეთსა და სპარსეთს შორის არსებულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ყოველნაირი გამონაკლისის გარეშე ისინი მეტად გამოცდილნი და უშიშარი მეომრები არიან. აღიარებენ ქრისტიანობას. ერთი წლის წინ მათ ჩვენთან თავიანთი ეპისკოპოსი გამოგზავნეს, რომელსაც საერო სამსახურში მყოფი პირებიც ახლდნენ. მათ თხოვნით მოგვმართეს, რათა ისინი ჩვენს მხარეში დავასახლოთ, მაგრამ რადგან მათი ერთი ნაწილი ჩვენგან შორს ცხოვრობს, ხოლო ზოგიერთი, უფრო ახლოს, ამიტომ ჩვენ სურვილი გვქონდა, გამოვსულიყავით სალაშქროდ იმ მიზნით, რათა, თავდაპირველად, აქაურ ადგილებში ჩაგვესახლებინა ჩვენგან უფრო ახლოს მცხოვრები ასირიელები და, ამავე დროს, დახმარება გაგვეწია შორს მცხოვრებთათვისაც. ამ ჩვენი წამოწყების შესრულებისას შევიტყვეთ, რომ მისი იმპერატორობითი ყოვლადმოწყალე დიდებულება ღვთის წყალობით ჩვენ და მთელ საქრისტიანოს გვპირდება თავის უმაღლეს მფარველობას და დაცვას. როდესაც ჩვენ ნამდვილად ღირსი გავხდებით მონარქისაგან ამგვარი სიკეთის მიღებისა, ასეთ შემთხვევაში ყოველგვარი ეჭვის გარეშე ვიმედოვნებთ, მთელ ასირიელ ხალხთან ერთად ვიბრძოლებთ თურქების - ქრისტიანების მოძულე მტრის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ასირიელებს საკუთარი მმართველობა გააჩნიათ და არავის დაქვემდებარებაში არ იმყოფებიან.

ეს მნიშვნელოვანი წერილი გადავწყვიტეთ, გაგვეგზავნა მისი გრაფობის ბრწყინვალება კანცლერთან, რათა მივაწოდოთ ცნობები აქაური ვითარების შესახებ.

**Marine Buleishvili**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
e-mail:marinebuleishvili@gmail.com

# King Erekle II about Eastern Khanates and Kingdoms

**Summary**

The article "King Erekle II about Eastern Khanates and Kingdoms" examines Erekle II's letter to Nikita Panin which is kept in the archives of Russian Ministry of Foreign Affairs,. This letter is translated from the Old Russian into the Georgian language. The letter is an interesting source for scientists working on Caucasian issuers. King Erekle describes a brief history of khanates and domains located around east Georgia, their geographic, ethnographic and statistical data as well as political situation and their attitude towards Georgia.

**ბიბლიოგრაფია**

**მსსა. 1774;** ფ 110/3; საქმე №453; გვ. 106

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 222-231
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 222-231

**ისტორია**

**ივანე მენთეშაშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: imenteshashvili@gmail.com

# ფიროსმანის „ნადირობა ინდოეთში“ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინდოსტანის სინამდვილიდან ქართულ წარმოსახვამდე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გამოფენილი ფიროსმანის ტილო „ნადირობა ინდოეთში“ არა- მარტო მხატვრულ-ფერწერული ფასეულობაა. ტილოზე გამოსახული სცენა საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ ინდოეთის ისტორიული სინამდვილის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც იყო სამეფო ნადირობა დიდ მტაცებლებზე და მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი, კულტურული და პოლიტიკური საკითხები. ნახატის შინაარსიდან გამომდინარე, ყურადღებას შევაჩერებთ ვეფხვებზე ნადირობაზე.

ინდოსტანის ნახევარკუნძულის მოსახლეობის ცნობიერებაში ვეფხვი, როგორც ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენელი გამოჩნდა ჯერ კიდევ ინდის ველის ცივილიზაციის დროიდან (3 600 წ. ძვ. წთ.) კერძოდ, ჰარაპას კულტურაში,[www.yahoo.com Tiger Hunting in India].

აღმოჩენილია ვეფხვის ტერაკოტის გამოსახულებები. ვეფხვი სხვადასხვა სახით წარმოდგება ინდური ხალხური ზღაპრების პერსონაჟად. აღსანიშნავია ისიც, რომ ვეფხვები და ლომები ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ხშირად გამოჩნდებოდნენ არა მარტო სოფლების, არამედ ქალაქების მახლობლადაც, მაგ., XVIII ს-ის დასაწყისში ლომების, ვეფხვებისა და სხვა დიდი მტაცებლების გამოჩენა ერთობ ჩვეულებრივი მოვლენა იყო აჰმედაბადის ცხოვრებაში. XVIII ს-ის 80-იან წლებში ლომები და ვეფხვები შეუფერხებლად დახეტიალობდნენ ბომბეის შემოგარენში [www.yahoo.com Tiger Hunting in India]. მაგრამ რაც შეეხება უშუალოდ ნადირობას, ის იმავდროულად, მასობრივად გამოისახა ინდოსტანის ხელოვნებაში, ვეფხვი წარმოჩნდა XVI ს-ში. აღნიშნული მოვლენა დაკავშირებულია ინდოსტანის ნახევარკუნძულზე დიდ მოღოლთა იმპერიის შექმნასთან.

სიტყვა „მოღოლი“ სპარსული წარმოშობისაა. „მუღალ“- ასე უწოდებდნენ სპარსები მდინარე ამუ-დარიის გაღმა მცხოვრებ ჩაღათას მოდგმის თურქმანებს. მათი პირველი ცნობილი წარმომადგენელი კი, რომელმაც ზემოხსენებული იმპერია დააარსა, იყო ზაჰირ-უდ-დინ

მუჰამედი. მას ისტორია უფრო ბაბურის სახელით იცნობს. მანიშნებელია ისიც, რომ ბაბური სპარსულად ვეფხვს ნიშნავს. წარმომავლობა ბაბურს ერთობ მრავლისმთქმელი ჰქონდა. დედით იგი ჩინგიზ ყაენის, კერძოდ, მისი მეორე ვაჟის, ჩაღათას, შთამომავალი იყო, ხოლო მამის მხრიდან მისი პაპის პაპის მამა იყო თემურ-ლენგი.

ბაბური (1483-1530) შუა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა როგორც ფერგანის მმართველი, რომელიც მას მამისაგან მემკვიდრეობით ერგო. თუმცა ბაბურის ინტერესები ფერგანით არ შემოიფარგლებოდა. მას თვალი სამარყანდზე ეჭირა, მაგრამ მისი ბრძოლა სამარყანდისათვის წარუმატებლად დამთავრდა. ბაბური დამარცხდა ამ ბრძოლაში. უზბეკებმა აიძულეს იგი არა მარტო სამარყანდზე აეღო ხელი, არამედ მშობლიური ფერგანიდანაც განდევნეს. აქედან დაიწყო ბაბურის ხანგრძლივი, ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება. მისი სამხედრო-პოლიტიკური მარცხი და ხეტიალი ნაწილობრივ ანაზღაურდა მხატვრულ-ლიტერატურული საქმიანობით. მან დაწერა დღიური, რომელსაც მსოფლიო „ბაბურნამე“-ს სახელით იცნობს. ის პირველი პროზაული ნაწარმოებია აღმოსავლურ სამყაროში. ბაბური თურქულენოვანი იყო, მაგრამ მისი პროზა სპარსული ენის და ლიტერატურის დიდი გავლენის ქვეშ იყო. მოგვიანებით ბაბურმა და მისმა შთამომავლებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ინდოსტანის ნახევარკუნძულზე სპარსული ცნობიერებისა და ღირებულებების დამკვიდრებაში.

ხანგრძლივი ხეტიალისა და თარეშის შემდეგ ბაბური ჯერ ავღანეთში გაბატონდა, ხოლო 1526 წელს ინდოეთში შეიჭრა და გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა დელის სულთანი იბრაჰიმ ლოდი, რაც პირველი ნაბიჯი გახლდათ ინდოეთის დაპყრობის გზაზე. მომდევნო წელს მაჰმადიანი და ინდუისტი მთავრების კოალიციაზე ახალმა გამარჯვებამ ბაბური ჩრდილოეთ ინდოსტანის მბრძანებლად აქცია. ეს ბრძოლა სხვა მხრივაცაა აღსანიშნავი, რადგან ბრძოლის წინ ბაბური კიდევ ერთხელ წარმოჩნდა ამაღლებული სულის ადამიანად. მოწინააღმდეგის ჯარი რიცხობრივად სჭარბობდა ბაბურისას. მისი უმრავლესობა რაჯპუტებისაგან შედგებოდა, რომლებიც მამაცი მეომრები იყვნენ. მათ გამოცდილი სარდალი სანგრამ სინგჰი მეთაურობდა, რომლის სახელი ითარგმნება როგორც „ლომებრი ბრძოლაში“. ამიტომ ბაბურმა გადაწყვიტა შემდეგნაირად გაემხნევებინა თავისი მეომრები. ბრძოლის წინ მან, ქეიფისა და დროსტარების დიდმა მოყვარულმა, თავისი მეომრების თვალწინ დაამსხვრია ოქროსა და ვერცხლის სასმისები და ფიცი დადო , თუკი გაიმარჯვებდა, წვეთ ღვინოს აღარ დალევდა. ამან მისი მეომრების არნახული აღტკინება გამოიწვია. „მბრძანებელო, - ერთხმად შეზღავლეს მათ, - ვფიცავთ, რომ დღეს ან შენთან ერთად გავიმარჯვებთ, ან შენთან ერთად დავიხოცებით!“ [Bhattacharya B.1980: 56]. ბაბურმა გაიმარჯვა და ფადიშაჰის გვირგვინი დაიდგა. ამგვარად, ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ახალ სახელმწიფოს ჩაეყარა საფუძველი, რომლის შესახებ ევროპელებმა კვლავ სპარსელებისაგან გაიგეს. სწორედ ამიტომ მას დიდ მოღოლთა იმპერია უწოდეს.

მბრძანებლის გვირგვინმა არ გაუქრო ბაბურს ფაქიზი და რომანტიკული სული, რომლის გამოხატულება თუნდაც „ბაბურნამე“ იყო. „მეორე დღეს (კოალიციაზე გამარჯვების შემდეგ.-ივ.მ.) - იხსენებს ბაბური, - მე კარავში ხილი და ბაღჩეული მომართვეს. როდესაც გაჭრილ ნესვს შევხედე,

მშობლიური ფერგანა გამახსენდა და თვალებზე ცრემლი მომადგა. არასოდეს არ მიგვრძნია თავი ესოდენ ეულად და გარიყულად. თუნდაც გამარჯვებული და ძლევამოსილი, მე ვერასოდეს ვერ ვიხილავდი ჩემს სამშობლოს“[ Bhattacharya B. 1980: 57].

ბაბურმა დიდ მოღოლთა იმპერიას ჩაუყარა საფუძველი, და ამასთან ერთად, სამეფო კარზე დაიწყო ვეფხვებზე ნადირობა (სურ.1). ვეფხვი, როგორც ჯუნგლის მბრძანებელი, გაიგივებული იყო ძლიერებასთან, ამიტომ მასთან შებრძოლება აუცილებელი იყო ადამიანთა მბრძანებლისათვის, კერძოდ კი, ფადიშაჰისათვის. ეს იყო ორი მბრძანებლის შერკინება, რომლითაც ფადიშაჰი უჩვენებდა, რომ მას ძალუძს ბრძოლაში გამოიწვიოს ჯუნგლის მბრძანებელი და დაამარცხოს იგი. ეს კი იმის მანიშნებელი იყო, რომ ფადიშაჰი ვეფხვზე ძლიერია.

ვეფხვებზე ნადირობამ უფრო დიდი მასშტაბი და გაქანება მიიღო ბაბურის შვილიშვილის, ფადიშაჰ აქბარის (1556-1605), მეფობის დროს. როგორც აქბარის კარის ისტორიკოსი აბულ ფაზლი გვამცნობს, ფადიშაჰი ნადირობის, ჩოგნის (ცხენბურთი), იშხბაზისა (გაწვრთნილი მტრედების ფრენა) და ჩანდალ-მანდალის (შაშის მაგვარი თამაში) დიდი მოყვარული იყო. ამათგან პირველი ადგილ, უდავოდ, ნადირობას ეკავა. იმავე ისტორიკოსის გადმოცემით, აქბარი ნადირის გამორეკვა-გამოგდებას ნადირობის ინდივიდუალურ მეთოდებს ამჯობინებდა. მისთვის ნადირობა ნანადირევსა და ნადავლთან ერთად იყო ხელის სიმარდის, სიმტკიცის, მიზანში თოფის ზუსტად სროლისა თუ ისრის ტყორცნის, პირადად მისი და მონადირეებისა თუ ჯარისკაცების სიჩაუქის შემოწმება (სურ.2). აქბარს ლეოპარდებით ნადირობაც უყვარდა. მისი საჩეხე 900 გაწვრთნილ ლეოპარდს ითვლიდა [www.yahoo.com Tiger Hunting in India].

დაწვრილებით ცნობებს სამეფო ნადირობის შესახებ გვაწვდის აქბარის ვაჟი ფადიშაჰი ჯაჰანგირი (1605-1627). აი რას ვკითხულობთ ფადიშაჰის 1609 წლის 21 მარტით დათარიღებულ ჩანაწერებში. „20 რიცხვში მე თოფით მოვკალი ძუ ვეფხვი, რომელსაც ორი ბოკვერი ახლდა. ბოკვრები მიიმალნენ. მე ვუბრძანე, რომ ისინი მოეძებნათ. როდესაც მოსაცდელ სადგომს მივუახლოვდით, ჩემმა ვაჟმა ჰურამმა ერთი ბოკვერი მომიყვანა, ხოლო მეორე დღეს მეორე ბოკვერიც მომგვარეს“ [www.yahoo.com Tiger Hunting in India].

წარმატებული გამოდგა ფადიშაჰისათვის ნადირობის შემდეგი პერიოდიც (სურ.3). „ ახალი წლის მეორე დღეს ამხედრებულმა დავიწყე ნადირობა. მოვკალი ორი ხვადი და ერთი ძუ ვეფხვი, “- გვამცნობს ჯაჰანგირი [www.yahoo.com Tiger Hunting in India]. როდესაც ნადირობა დამთავრდა და ფადიშაჰი თავის მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად ერთ-ერთ სატახტო ქალაქში, აგრაში, დაბრუნდა, ნადირობის სამსახურს ებრძანა, ნადავლი დაეთვალა. როგორც გაირკვა, ამ ნადირობის დროს, რომელიც 66 დღე გრძელდებოდა სულ მოკლულ იქნა 7 ვეფხვი, 70 რუხი ხარი, 51 შავი ირემი, 82 ქურციკი და ჯიხვი, 129 წერო და ფარშევანგი და დაიჭირეს 1023 თევზი [www.yahoo.com Tiger Hunting in India].

დიდ მოღოლთა იმპერიაში ვეფხვებზე ნადირობა არ იყო მხოლოდ ფადიშაჰების ან უფლისწულების გასართობი. ნადირობაში სამეფო ოჯახის ქალებიც იყვნენ ჩაბმული, თუკი მათ შესაბამისი უნარ-ჩვევები ჰქონდათ, კერძოდ, ისინი კარგად ისვროდნენ მიზანში თოფს ან სტყორცნიდნენ

ისარს. ასეთი გახლდათ ჯაჰანგირის ცოლი ნურჯაჰანი, რომელიც ნადირობით ისევე იყო გატაცებული, როგორც მისი ქმარი. სწორედ ერთ-ერთი ნადირობის დროს სპილოზე ამხედრებულ სამეფო წყვილს ოთხი ვეფხვი გადაეყარა. ჯაჰანგირმა უსიტყვოდ მიანიშნა ცოლს ვეფხვებზე და ურჩია მას, პირველი ორი - ისრით, შემდეგი ორი კი თოფით მოეკლა. ნურჯაჰანმა ორი მშვილდი და ორი თოფი მოამზადა, ასევე შეარჩია ორი ისარი. დედოფალმა მშვილდი გამართა, მოზიდა, საგულდაგულოდ დაუმიზნა და მიზანში ერთი მეორის მიყოლებით ორი ისარი სტყორცნა. ისრებით განგმირული ორი ვეფხვი ადგილზე უსულოდ დაეცა. ნურჯაჰანმა მაშინვე თოფები მოიმარჯვა და ერთიმეორის მიყოლებით დანარჩენი ორი ვეფხვი მოკლა. ჯაჰანგირი აღტაცებული იყო ცოლის სიმარჯვით. „ამისთანა გასროლა აქამდის არავის არ უნახავს!“- შესძახა მან [www. yahoo.com Tiger Hunting in India ].

ნადირობა სულაც არ იყო უწყინარი და უსაფრთხო საქმე. ხიფათი მუდამ თან სდევდა მონადირეებს, როგორც რიგითებს, რომლებიც ქვეითად წინ მიუძღოდნენ სპილოებს, ასევე თვით ფადიშაჰებსა და მათს უშუალო თანმხლებ უფლისწულებს, ამირებსა თუ რაჯებს. ერთ-ერთი ნადირობისას ფადიშაჰი ჯაჰანგირი და მისი ამალა გეპარდებს მისდევდნენ. უეცრად მონადირეები ვეფხვს გადაეყარნენ, რომელიც ნაკლავს შეექცეოდა. გამძვინვარებული ვეფხვი, როგორც ჩანს, ნადავლის დაცვის მიზნით, მონადირეებს დაეძგერა და ერთ-ერთი დაჭრა. საფრთხე თავად ფადიშაჰის სიცოცხლეს შეექმნა. ბედად ადგილზე გაჩნდა უფლისწული ჰურამი თანხმლები პირებით და მოკლა ვეფხვი. სხვათა შორის, ეს ის ჰურამია, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ ტახტზე შაჰ ჯაჰანის სახელით გამეფდა და როგორც მსოფლიო, ასევე ქართულ საისტორიო მეხსიერებას ორი რამით დაამახსოვრა თავი: თავისი მესამე ცოლის - მუმთაზ მაჰალისათვის მან ბრძანა, თეთრი მარმარილოსაგან აეგოთ გრანდიოზული მავზოლეუმი ტაჯ მაჰალი (სასახლეთა გვირგვინი-სპარს./არაბ.), ასევე მისი მეფობის ხანაში, როდესაც დაიწვა ერთ-ერთი სატახტო ქალაქი დელი, მან ბრძანა, რომ აეგოთ ახალი ქალაქი. ქალაქი მართლაც გაშენდა და ფადიშაჰის პატივსაცემად ჯაჰანაბადი (ჯაჰანის ქალაქი) ეწოდა. სწორედ აქედან მომდინარეობს ქართული „ჯანდაბა“, რაც ძალიან შორს, დაკარგულ, მიუსავალში მყოფ ადგილს ნიშნავს.

სამეფო ნადირობა იყო თავისებური სახელმწიფო მნიშვნელობის მოვლენა. ნადირობისას ფადიშაჰს ახლდნენ კარისკაცები, ვასალები, ჰარამხანა, ნადირობაში ჩაბმული იყო უამრავი მონადირე, მარეკი, დამხმარე პირი და ჯარის შენაერთებიც კი. ზოგჯერ ნადირობა იყო ერთგვარი სამხედრო მანევრი ან შენიღბული სამხედრო კამპანია. ამიტომაც წერდა XVII ს-ის მეორე ნახევარში ფადიშაჰ აურანგზების კარზე მყოფი ფრანგი მოგზაური ფრანსუა ბერნიე: „ მე არ მჯეროდა, როდესაც მეუბნებოდნენ, რომ სამეფო ნადირობაში ასი ათასი კაცი მონაწილეობს, მაგრამ, როდესაც მე თავად მივიღე მასში მონაწილეობა, უფრო მეტად გამიკვირდა, თუ რატომ არ აღწევს მათი რაოდენობა ორას ათასს“ [Бернье Ф. 1936: 306].

სამეფო ნადირობას წინ დიდი სამზადისი უძღოდა. ჯერ ერთი, უნდა აღვნიშნოთ, რომ ვეფხვებსა და, საერთოდ, დიდ მტაცებლებზე ნადირობა ფადიშაჰისა და სამეფო ოჯახის წევრების უფლება იყო. სხვა პირებს

ამისათვის საგანგებო ნებართვა ესაჭიროებოდათ. უბრალო მოსახლეობა შემოიფარგლებოდა კურდღელზე, გნოლსა და მწყერზე ნადირობით [Берньe Ф. 1936: 306]. სამეფო ნადირობის დაწყების წინ მირ-შიჰარი (მონადირეთუხუცესი) ხელქვეითებთან ერთად სათანადოდ შეისწავლიდა ნადირობისათვის შერჩეულ ადგილს და ამცნობდა ფადიშაჰის კარს, თუ რაზე შეიძლებოდა იქ ნადირობა. ამის შემდეგ მონიშნულ ტერიტორიაზე ეწყობოდა საგუშაგოები და იგზავნებოდა უამრავი გუშაგი. ტერიტორია მკაცრად კონტროლდებოდა, რისი წყალობით ფადიშაჰი და მისი მრავალრიცხოვანი ამალა ნადირობის დროს დაუბრკოლებლივ გადაადგილდებოდნენ [Берньe Ф. 1936: 306]..

იმავდროულად, არსებობდა შეზღუდვები, რომლებსაც თვით დიდი მოღოლებიც ემორჩილებოდნენ, მაგ.,ნადირობა აკრძალული იყო წმინდა ადგილებში, ჯაინების რელიგიური მიმდინარეობის ტერიტორიაზე. ზოგჯერ თვით დიდი მოღოლები უწესებდნენ საკუთარ თავს აკრძალვებს, როგორც ეს იყო ფადიშაჰ ჯაჰანგირის დროს. მან ბრძანა, რომ კვირას, შაუაუალის მე-4 დღეს (მაჰმადიანური კალენდრის მეათე თვე), შეეწყვიტათ ნადირობა, არ მოეკლათ ცხოველები,რადგანაც ეს იყო მამამისის, აქბარის, დაბადების დღე. გარდა ამისა, იმ დღეს ჯაჰანგირმა ხორცის ჭამა აღიკვეთა, როგორც ამას თავის დროზე მამამისი აკეთებდა [www.yahoo.com Tiger Hunting in India].

XVIII ს-ის პირველ ნახევარში ინდოსტანის ნახევარკუნძულზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. ოდესღაც ბრწყინვალე და ძლევამოსილი დიდ მოღოლთა იმპერია დაძაბუნდა და დაშლა დაიწყო. ფადიშაჰების ძალაუფლება დასუსტდა და საუკუნის შუა ხანისათვის სიმბოლური სახე მიიღო. ინდოსტანის ნახევარკუნძული ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობის ასპარეზად იქცა. ამ მეტოქეობაში საბოლოოდ ინგლისმა, კერძოდ კი, ოსტ-ინდოეთის ინგლისურმა კომპანიამ იმარჯვა, რომელმაც 1757 წელს დაიწყო ინდოსტანის ნახევარკუნძულის თანამიმდევრობითი დაპყრობა და XIX ს-ის შუა ხანისათვის მთელ ინდოეთს დაეპატრონა. როგორც დიდი მოღოლები, ასევე ინდოსტანის სხვა მთავრები მარიონეტებად იქცნენ და სრულად გახდნენ დამოკიდებულნი ოსტ-ინდოეთის კომპანიაზე.

ინდოსტანისნახევარკუნძულზედიდიმოღოლებისდიდიბრიტანელებით ჩანაცვლების შემდეგ მათი ყურადღების მიღმა არც ვეფხვებზე ნადირობა დარჩა. ახალი მბრძანებლები ძველებს ეჯიბრებოდნენ. ინგლისელებმა მაშინვე აღიქვეს ვეფხვი, მათ წინამორბედთა მსგავსად, სამეფო მხეცად, ჯუნგლის მბრძანებლად. შესაბამისად, მათაც უნდა დაემარცხებინათ, მოენადირებინათ ვეფხვი, რათა თავიანთი უპირატესობა დაემტკიცებინათ და იმპერიული ბატონობა დიდების შარავანდედით შეემოსათ. XVIII ს-ის ბოლო მეოთხედში ოსტ-ინდოეთის ინგლისური კომპანია ინდოსტანის ნახევარკუნძულის სამხრეთში მდებარე ძლიერ სახელმწიფოს - მაისორის სასულთნოს ებრძოდა [Mukherjee R.1974: 270-271]. მაისორის სულთანი თიფუ ძლიერი მმართველი, რიხიანი ადამიანი და მამაცი მეომარი იყო. მას მეტსახელად მაისორის ვეფხვს ეძახდნენ [არდნერ .1990:120]. იმისათვის, რომ უფრო პოპულარული გამხდარიყო და საკუთარი თავი მეტი დიდებით შეემოსა, თიფუ გარეგნულ ეფექტებსაც მიმართავდა. მისი ტახტი ვეფხვის ტყავით იყო შემოსილი, თავად თიფუ და მისი მეომრები დოლბანდებსა თუ

ქამრებზე ვეფხვის ტყავის ნაჭრებს ატარებდნენ. შესაბამისად, ებრძოდნენ რა თიფუს, ინგლისელები სიმბოლურად ვეფხვს ებრძოდნენ, მათ ვეფხვი უნდა დაემარცხებინათ. ამიტომ ინდოეთში მყოფი ბრიტანელები ერთობ ენერგიულად ჩაებნენ ვეფხვებზე ნადირობაში (სურ.4,5).

ვეფხვებზე ნადირობას ინგლისელებისათვის გარკვეული ფსიქოლოგიური დატვირთვაც ჰქონდა. იგი მათი მამაკაცობის, ვაჟკაცობის თავისებური თვითგამოხატვა იყო, მაგ., XIX ს-ის 60-იან წლებში ბენგალის არმიის კაპიტანი ჰენრი შექსპირი თავის მიერ წარდგენილ ანგარიშში წერდა: „უნდა წავახალისოთ ინდოეთში მყოფი ჩვენი ვაჟები, რათა მათ დიდ მტაცებლებზე ინადირონ. ეს ხელს შეუწყობს მათს ზნეობრივ ჩამოყალიბებას, შესძენს მათ სამხედრო სამსახურისათვის ესოდენ საჭირო პასუხისმგებლობის გრძნობას და, რაც მთავარია,ააცილებს თავიდან ისეთ მავნე ცდუნებას, როგორიცაა აზარტული თამაშები და ლოთობა“ [www.yahoo.com Tiger Hunting in India]. ჰენრი შექსპირს მიაჩნდა, რომ ნადირობა უწყინარი, ვაჟკაცური და სასარგებლო საქმე იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამხედრო სამსახური ინდოეთში, განსაკუთრებით საზღვრისპირა პროვინციებში, ერთობ დაძაბული იყო. ერთნი ფეხს უწყობდნენ სიძნელეებს, დაძაბულ რიტმს და სანიმუშო სამხედრო მოსამსახურეებად იქცეოდნენ. ასეთ ჯარისკაცებსა თუ ოფიცრებს აჯილდოებდნენ და აწინაურებდნენ. მეორენი, ვინც სულიერ სიმტკიცეს ვერ იჩენდა და სიძნელეებს ვერ უძლებდა, გულის ვარამს ალკოჰოლსა და ნარკოტიკებში, კერძოდ, ოპიუმში, ახშობდნენ [Gardner B.1990:183]. ასე რომ, კაპიტანი ჰენრი შექსპირი გარკვეულწილად მართალი იყო.

ვეფხვებზე ნადირობა წარმოებდა არა მხოლოდ ნადავლისა და განდიდების მიზნით. ვეფხვები და, საერთოდ, დიდი მტაცებლები ხიფათს უქმნიდნენ ადამიანების სიცოცხლეს. ამაზე სხვადასხვა წყარო მიგვითითებს, მაგ., ოსტ-ინდოეთის კომპანიის 1826 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ ვეფხვები თავს ესხმიან ადამიანებს, აჩანაგებენ მესაქონლეობით დაკავებულ მეურნეობებს. ასეთივე ცნობას გვაწვდის XX ს-ის ინდოეთში სურგუჯას მაჰარაჯას მიწვევით სანადიროდ ჩასული გენერალი უილიამ მიტჩელი: „ვეფხვები ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნიან ადამიანებს ცენტრალურ ინდოეთში. 1923 წელს სურგუჯას ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში ვეფხვებმა 352 ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს“ [www.yahoo.com Tiger Hunting in India].

ყველაზე მეტად მიტჩელსა და, საერთოდ, ინდოეთში ჩასულ დასავლეთის სამყაროს წარმომადგენლებს აოცებდა ადგილობრივი მოსახლეობისა და გარეული ცხოველების არნახული სიახლოვე. „ნებისმიერი სახის გარეული ცხოველი ლამის მათი ქოხმახების კართან არის მოკალათებული,“- აღნიშნავდნენ უცხოელები [www.yahoo.com Tiger Hunting in India].

რასაკვირველია, ვეფხვებზე ნადირობდნენ არა მხოლოდ მათი გაუვნებელყოფის მიზნით. XIX ს-ის მეორე ნახევარში ცეცხლსასროლჯი იარაღი მნიშვნელოვანად შეიცვალა. ძველი ყაიდის, ერთჯერადი გასროლის მუშკეტები სწრაფი და მრავალჯერადი სროლის შაშხანებმა და თოფებმა შეცვალა. ამან ვეფხვებზე ნადირობისას მონადირეებს არნახული უპირატესობა შესძინა. მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები, როგორც ბრიტანელები, ასევე ინდოელები, სპილოებისა და მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით ნადირობდნენ. ნადირობაში 10,

20,30 და ზოგჯერ 40 სპილოც კი მონაწილეობდა. მონადირეების ამგვარი უპირატესობის წყალობით ვეფხვებზე ნადირობა მათს უმოწყალო ჟლეტად იქცა. ამას ერთობ შთამბეჭდავი ციფრები მეტყველებს. ტახტზე ასვლის შემდეგ, 1911 წელს, ინდოეთს დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მეფე, ინდოეთის იმპერატორი ჯორჯ V, ეწვია. მისმა უდიდებულესობამ 10 დღე ინადირა. ამ ხნის განმავლობაში მან 39 ვეფხვი მოკლა. ცნობილ მონადირეთა შორის აღსანიშნავია პოლკოვნიკი ჯეფრი ნაითინგეილი, რომელსაც 300 ვეფხვი მოუკლავს (სურ.6). კოტაჰის მაჰარაჯა უმედ სინგჰ II-ემ იმდენად ღრმად „შეტოპა", რომ როლს-როისის მარკის ავტომანქანით ნადირობდა ვეფხვებზე. ამისათვის მან მანქანაზე ძალზე ძლიერი ფარები დააყენა (ღამით ნადირობისთვის), ხოლო შემდეგ ავტომანქანის კორპუსზე ტყვიამრფქვევი დაამონტაჟა [www.yahoo.com Tiger Hunting in India].

ეჭვგარეშეა, რომ ამგვარი ნადირობისას ვეფხვს გადარჩენის არავითარი შანსი აღარ რჩებოდა. სხვათა შორის, აღნიშნული როლს-როისი მალე საჯარო ვაჭრობით გაიყიდება და, როგორც აუქციონის ორგანიზატორები ვარაუდობენ, მისი საბოლოო ფასი ერთ მილიონ აშშ-ის დოლარზე ნაკლები არ იქნება (სურ.7). სწორედ ამგვარი შეუზღუდავი „გამოგონებებით" აღსავსე ნადირობის წყალობით ინდოეთში 1885-1925 წლებში, ინდოელი ისტორიკოსის, მაჰეშ რანგარაჯანის ცნობით, 80 ათასი ვეფხვი მოიკლა [www.yahoo.com Tiger Hunting in India].

შეუზღუდავი ნადირობა გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც 1947 წელს ინდოეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. ალბათ სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ 1965 წლისათვის სურგუჯას მაჰარაჯას 1150 ვეფხვი ჰყავდა მოკლული, როგორც ეს მან გარეულ ცხოველთა ბიოლოგთან, ჯორჯ შალერთან, საუბარში აღიარა.

ვეფხვების უმოწყალო ხოცვა-ჟლეტას ბოლო მოეღო 1971 წელს, როდესაც ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ გამოსცა კანონი ვეფხვებზე ნადირობის აკრძალვის შესახებ. 2010 წლის მონაცემებით ინდოეთში 1706 ზრდასრული ვეფხვი იყო. 29 ივლისი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულია ვეფხვის საერთაშორისო დღედ.

დავუბრუნდეთ ისევ ფიროსმანის ტილოს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მასზე ერთობ ზუსტადაა ასახული სპილოებით ვეფხვებზე ნადირობა; მათ შორის, სპილოს ზურგზე მოთავსებული მიკბენდარი (პატარა სახლი, როგორც მას ფრანსუა ბერნიე აღწერდა), სპილოს თავთან მჯდომარე მეგზური, რომელიც სპილოს ე.წ. ანკუსს, სათხედს, აძგერებს, რათა სპილო შესაბამისი მიმართულებით ამოძრაოს. მის უკან კი „თეთრი საჰიბი" (საჰიბ-ბატონი-ჰინდი) ზის, რომელიც ვეფხვს თოფს ესვრის. ეს, რასაკვირველია, უკვე ის ხანაა, როდესაც ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ინგლისელები ბატონობენ.

ყურადღებას იმსახურებს სურათზე ცხოველთა სიმრავლე და მრავალფეროვნება. აქაც ინდოსტანის ნახევარკუნძულისათვის ტრადიციული ნადირობის რეალურ გამოსახვასთან გვაქვს საქმე. ვეფხვებზე ნადირობის ამსახველი XX ს-ის ვიდეომასალა გვიჩვენებს, რომ ვეფხვის გამოგდება-გამორეკვა, რომელიც მრავალრიცხოვანი მარეკის მეშვეობით ხდებოდა, აფრთხობდა სანადირო ადგილებში მყოფ ყველა

დანარჩენ ცხოველს. ამის გამო ისინი ცდილობდნენ, მოახლოებული საფრთხისაგან გაქცევით დაეღწიათ თავი.

საინტერესოა „პირ“-ის სახელით გამოსახული ადამიანები. როგორც ტილოზე დართული განმარტება მიგვითითებს, „პირ“- ბრძენს, განდეგილს, ამქვეყნიურ ამაოებას განრიდებულ ადამიანს ნიშნავს. ინდოსტანში ეს წოდება თან ერთვოდა სიქჰთა რელიგიური მიმდინარეობის სულიერ მოძღვარსა და წინამძღოლს - გურუს. იმავდროულად, ეს მოძღვრები ხშირად ერთდროულად სასულიერო და საერო-სამხედრო ფუნქციებს ითავსებდნენ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა XVII ს-ის სიქჰების გურუს - ნანაქის შემთხვევაში. ამიტომაც ნანაქს წელზე ორი ხმალი ერტყა: ერთი როგორც მირ-ს, სამხედრო მეთაურს (მომდინარეობს არაბული „ამირა“-დან), ხოლო მეორე როგორც პირ-ს, სულიერ მოძღვარს. ამიტომაც ასეთ ადამიანებს ორგვარი წოდებით მოიხსენიებდნენ - მირ-პირ.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფიროსმანის ტილო „ნადირობა ინდოეთში“ სცდება ფერწერის ფარგლებს და წარმოჩნდება როგორც იმ პერიოდის საქართველოს საზოგადოების ცნობიერების მცდელობა, გავიდეს არსებული გეოგრაფიულ-კულტურულ ფარგლებს მიღმა და ეზიაროს უცხოური კულტურის ფასეულობებს.

**HISTORY**


**Ivane Menteshashvili**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum,
3, Rustaveli Ave., Tbilisil, Georgia,
E-mail: imenteshashvili@gmail.com


## “Hunting in India“ by Pirosmani in Georgian National Museum. From Indian Reality to Georgian Imagination.


### Summary

The canvas by Pirosmani “Hunting in India“ displayed in Shalva Amiranashvili Georgian Museum of Fine Arts is interesting not only from the point of view of art values. The scene displayed on the canvas gives possibility to perceive such phenomenon of Indian history as the big cat chasing, particularly tiger hunting. Proceeding from the content of painting the article sheds luster on tiger hunting from its start in Mughal times since 1520s till 1970s. Various political, social and cultural phenomena are considered. The article also considers tiger hunting during the British Raj. Attitude of colonial administration and the British in India is showed towards this phenomenon which to a certain extent was a tool to strengthen colonial ideology and imperial grandeur. Environmental results of this hunting are showed as well.

## ბიბლიოგრაფია


**Бернье Ф. 1936:** История последних политических переворотов в империи **Великого Могола.** Москва-Ленинград.

**Bhattacharya B. 1980:** Glimpses of Indian History. New Delhi.

**Gardner B. 1990:** East India Company. New York.

**Gardner B. 1990:** East India Company. New York

**Mukhrjee R. 1974:** The Rise and Fall of the East India Company. New York.

www.yahoo.com Tiger Hunting in India


## ილუსტრაციების აღწერილობა


სურ. 1. ბაბურის ნადირობა

სურ. 2. აქბარის ნადირობა

სურ. 3. ჯაჰანგირის ნადირობა

სურ. 4.ვეფხვებზე ნადირობა

სურ. 5. ვეფხვებზე ნადირობა. თომას უილიამსონი. 1809 წ.

სურ. 6. ვეფხვებზე მონადირეთა ნადავლი

სურ. 7. მაჰარაჯა უმედ სინგჰ II-ის სანადირო როლს- როისი


## List of Illustrations


Fig. 1. Babur's Hunting

Fig. 2. Akbar's Hunting

Fig. 3. Jahangir's Hunting

Fig. 4. Tiger Hunting

Fig. 5, Tiger Hunting. By Thomas Williamson. 1809.

Fig. 6. Tiger Hunting Trophies

Fig. 7. Maharaja Umed Sing's Hunting Rolls- Royce



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 232-271
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 232-271

**ისტორია**

**ქეთევან მუშკუდიანი*, ნინო დათუნაშვილი***

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 01005, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nino.museum@gmail.com

# ევროპული მოდის დამკვიდრება XIX საუკუნის თბილისის საქალაქო ცხოვრებაში

„ქართველი რომ იტყვის: „ქალაქს
მივდივარ, ქალაქში ვიყავი და ქალაქიდან
მოვდივარ მხოლოდ ტფილისს გულისხმობს
და არა სხვა რომელსამე ქალაქს".*

XIX ს-ის დასაწყისიდან საქართველოში მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში იჩინა თავი და თანდათანობით შეცვალა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ საქართველო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად დანაწილდა. გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ახალშექმნილი საეგზარქოსოები რუსეთის ეკლესიის სინოდს დაექვემდებარა და ქალაქი თბილისი ამიერკავკასიაში რუსეთის მმართველობის ადმინისტრაციული ცენტრი გახდა. აქ ბინა დაიდო რუსეთის ხელისუფლების უმაღლესმა წარმომადგენელმა (პერიოდულად – მეფისნაცვლის წოდებით) მრავალრიცხოვანი სამოხელეო აპარატითურთ. შეიქმნა სხვადასხვა საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო დაწესებულება. თბილისში თავი მოიყარა დიდი რაოდენობის სამხედრო-საჯარისო ნაწილებმა. რუსეთიდან ჩამოსული ოფიცრები, სამოქალაქო ჩინოვნიკები ოჯახებიანად ქალაქში დასახლდნენ.

თბილისი რუსული კაპიტალის ინტერესის სფეროში აღმოჩნდა, რის გამოც გაფართოვდა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები რუსეთსა და ევროპასთან.

სამოქალაქო ცხოვრების განვითარებამ, თავის მხრივ, გავლენა იქონია მოსახლეობის ჩაცმულობაზეც, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 1864 წლის რეფორმის შემდგომ ხანაში, როდესაც ვაჭრობა-მრეწველობა გამოცოცხლდა და ეკონომიკური განვითარებისათვის შედარებით უკეთესი პირობები შეიქმნა. ქართული ეროვნული სამოსის გვერდით, გავრცელდა ევროპული კოსტიუმი და თანდათანობით წამყვანი ადგილიც დაიკავა.

*[გაზ. „ივერია". 1990: №208].

ევროპული ელემენტების შემოსვლა ფეხსაცმლით დაიწყო, შემდეგ – ტანსაცმელი, ყველაზე ბოლოს კი ქართული თავდახურვა შეიცვალა.

მოდის კანონმდებელი – პარიზის მოდური ტანსაცმელი, თავდაპირველად, არისტოკრატთა საზოგადოებამ მოირგო. შემდეგ, დროთა განმავლობაში კი, საშუალო და უფრო დაბალი ფენის მოსახლეობაშიც გავრცელდა. ქართველმა საზოგადოებამ, რომელიც ყოველთვის ევროპული ცივილიზაციისაკენ მიილტვოდა, ევროპული ტანსაცმელი კარგად გაითავისა. ამ მოვლენამ ქალაქის საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ძველი თაობა, მშვენიერი ქართული სამოსით თავს იწონებდა, წარსულს ეტრფოდა და მას მისტიროდა. ახალგაზრდები კი სიახლისა და მოდური ჩაცმულობის მომხრედ გამოდიოდნენ.

წარმოქმნილმა ცვლილებებმა სრულიად ახალი მოთხოვნები წამოჭრა. მართალია, თბილისი ევროპა-აზიას შორის მნიშვნელოვანი სავაჭრო და სატრანზიტო ცენტრი იყო, მაგრამ ამჯერად მისი შიდა ბაზარი ახალსა და მზარდ მოთხოვნებს სრულად ვერ დააკმაყოფილებდა. სხვადასხვა სამრეწველო საქონელთან ერთად მოთხოვნები ევროპულ ტანსაცმელზე, მის აქსესუარებზე, საგალანტერიო ნაწარმზე, ქუდებსა და ფეხსაცმელზე სწრაფად იზრდებოდა. ევროპულ საქონელზე არსებულ მოთხოვნებს ვერც რუსეთიდან შემოტანილი ნაწარმი აკმაყოფილებდა.

1821 წელს ა. ერმოლოვმა (მთავარმმართველი 1816-1827 წწ-ში), მდგომარეობის სწრაფად გამოსწორების მიზნით, გადაწყვიტა, დაეშვა თავისუფალი ვაჭრობა.

1822 წლიდან 10 წლით ამოქმედდა შეღავათიანი ტარიფი, რომლის მიხედვით ევროპიდან შემოტანილ საქონელზე საბაჟო გადასახადი საქონლის ღირებულების მხოლოდ 5%-ს შეადგენდა. ამიერკავკასიის გავლით ირანისაკენ ევროპული საქონლის უბაჟო ტრანზიტი ნებადართული იყო. ევროპა-აზიას შორის ვაჭრობა ამიერიდან ოდესა-ყულევი-თბილისის გავლით წარიმართებოდა. შეღავათიანი ვაჭრობის პერიოდში შემოტანილი ევროპული საქონლის 25% საქართველოში რჩებოდა და ბევრად მეტი – აზიური საქონლიდან [ორჯონიკიძე ე. 1970: 65].

რუსეთის ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ამიერკავკასიასა და სპარსეთში ევროპულთან ერთად რუსული სამრეწველო საქონელიც გასაღდებოდა და ამ გზით ვაჭრობაში ჩაერთვებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ევროპელებს კონკურენცია ვერ გაუწიეს და ტრანზიტი, ძირითადად, ევროპელთა სასარგებლოდ წარიმართა. ამიტომ რუსი მრეწველები მის გაუქმებას დაბეჯითებით მოითხოვდნენ, რადგან შიშობდნენ, რომ შეღავათიანი ტრანზიტის მოქმედების შედეგად კავკასიისა და სპარსეთის ბაზრები რუსეთს ხელიდან დაუსხლტებოდა. ასევე ითხოვდნენ, რომ კავკასიას, როგორც კოლონიას, რუსეთი თავისი ნედლეულით მოემარაგებინა, სანაცვლოდ კი რუსეთისაგან მანუფაქტურული საქონელი შეეძინა [газ. «Кавказ». 1867: #88].

1831 წელს რუსი ფაბრიკანტების მოთხოვნით შეღავათიანი ტრანზიტი გაუქმდა. ამჯერად ევროპული საქონელი მისი ღირებულების 25 %-დან 50%-მდე იბეგრებოდა. ამის შედეგად რუსეთის სამრეწველო-ფაბრიკულ ნაწარმს ამიერკავკასიის ბაზრები თითქოს უნდა დაეპყრო, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა.

შეღავათიანი ტრანზიტის გაუქმებისთანავე ევროპულმა საქონელ-

მა ტრაპიზონ-ერზერუმის გზისკენ გადაინაცვლა. ტრაპიზონში ინგლისმა სავაჭრო კომპანია გახსნა და ამ გზით მთელი აზიისა და ირანის ვაჭრობა ხელში ჩაიგდო. ამიერკავკასია კონტრაბანდული საქონლით გაივსო და რუსეთის მიერ წარმოებული ვაჭრობა ადრინდელზე უფრო მეტად შემცირდა.

შეღავათიანი ტრანზიტის გაუქმებამ ადგილობრივ ვაჭართა საქმიანობა დააბრკოლა და ევროპის ბაზრებზე მათს შეღწევას ხელი შეუშალა. რუსეთის ბაზრობებზე, მოსკოვსა და მაკარიაში[1], თბილისელი ვაჭრები საქონელს ხშირად კრედიტით იძენდნენ, მაგრამ ეს ძვირი უჯდებოდათ.

XIX ს-ის II ნახევრიდან შეღავათიანი ტრანზიტის აღდგენის მოთხოვნა კვლავ გაიზარდა. გაზ. „დროება“ ბათუმთან დაკავშირებით იუწყებოდა: „ბაჟისაგან ხალხი ძალიან შეწუხდა... რუსის საქონელზე ბაჟი არ არის; მაგრამ ჩვენი ხალხი ოსმალოსა და ფრანგის საქონელს არის მიჩვეული, რუსის საქონელი უფრო ძვირიცაა“ [გაზ. „დროება“. 1879: №40].

40-50-იან წლებში კონტრაბანდულმა საქონელმა გზა ისე გაიკაფა, რომ საბაჟოში მომუშავე უბრალო გადამწერიც კი ქონებას აგროვებდა: „ეს იყო ოქროს ხანა, როცა ალაგიოზზე ქურთის ბავშვები შიშველ ტანზე ლიონის ხავერდს იცვამდნენ; არაქსზე მწყემსები უსაქმობის დროს მარსელის ან ჰოლანდიურ შაქარს მიირთმევდნენ, როცა ყოველი გურულის ოჯახში იამაიკის არომატული რომი იღვრებოდა... ეს ის ბედნიერი დრო იყო, როცა ყველა დუქანი სავსე იყო უცხოური საქონლით, ჩვენივე საბაჟოს ბეჭდითა და ლუქით“, – იუწყებოდა გაზეთი [газ. «Кавказ». 1883: №21]. ეს სურათი კარგად აქვს ნაჩვენები გიორგი წერეთელს თავის მოთხრობა „პირველ ნაბიჯში“.

სამხედრო სამსახურში ჩამდგარი იერემია კონტრაბანდით დიდ სარგებელს ელოდებოდა: „გარდა ამისა, იმასაც ფიქრობდა, რომ რაკი კონტრაბანდის ზიდვაში მონაწილეობას მივიღებ, აბრეშუმის, მაუდისა და ფეხსაცმლის საქონელი ბლომად მექნება“ [წერეთელი გ. 1988: 14].

საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიის ეკონომიკის უკეთ ათვისებისა და გამოყენების მიზნით რუსეთის ხელისუფლება შეეცადა, უფრო მოქნილი პოლიტიკა გაეტარებინა. საამისოდ მათ 1844 წელს თბილისში მეფისნაცვლად მ. ვორონცოვი გამოგზავნეს, რომელიც ამ მოვალეობას ათი წლის განმავლობაში ასრულებდა. იგი მთავარმართველთან შედარებით მეტი უფლებებით სარგებლობდა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებისა და მოქმედების უფლებაც ჰქონდა. მას ევროპული განათლება ჰქონდა მიღებული, იცნობდა კავკასიას და თბილისში ჩამოსვლისთანავე თავისთვის და გარემოცვისთვის სასიამოვნო გარემოსა და კომფორტული პირობების შექმნაზე დაიწყო ზრუნვა, რაც ადგილობრივ საზოგადოებასთან მჭიდრო კონტაქტის საშუალებით მოკლე დროში მოახერხა. ერთ-ერთი მოხელის – ა. ზისერმანის სიტყვებით, მ. ვორონცოვის მეფისნაცვლად დანიშვნას საქართველოში დიდი იმედით შეეგებნენ. საზოგადოების ყველა ფენა რაღაც კარგს ელოდა: სომხები – ვაჭრობის განვითარებას, ჩინოვნიკები – ახალ შტატებს, ხელფასის გაზრდას, ადგილობრივი არისტოკრატია – სხვადასხვა პატივსა და შეღავათს, მანდილოსნები – გრაფინია ვორონცოვასთან ბრწყინვალე მე-

[1] მაკარიის „იარმუკა“ იყო ყოველწლიური საზაფხულო ბაზრობა, დაწესებული 1525 წელს მეფე ვასილის მიერ ქ. ნიჟნი ნოვგოროდის (შემდეგ ქ. გორკი) ახლოს. 1817 წლიდან ბაზრობა თვით ქალაქში გადაიტანეს. ის 15 ივლისიდან 25 აგვისტომდე იმართებოდა. მაკარიის ბაზრობა უკანასკნელად 1929 წელს გაიმართა.

ჯლისებსა და საღამოებს. „ერთი სიტყვით, ყველა იმედით იყო განწყობილი და, როგორც იშვიათი გამონაკლისი, ამჯერად არავინ შემცდარა“ [Зисserman А. 1879: 116].

მ. ვორონცოვი თბილისში ჩამოსვლისას აქაური საქონლის მაღალმა ფასმა და საერთო სიძვირემ იმდენად გააკვირვა, რომ მას პორტო-ფრანკოს[2] დაწესებაც კი უნდოდა. ვაჭრობის გასაუმჯობესებლად მან 1850 წლიდან კავკასიაში შემოტანილ ევროპულ საქონელზე შედარებით შეღავათიანი ტარიფი დააწესა. ამან ბამბის ნაწარმის შემოტანა გაზარდა, რომელიც მანამდე კონტრაბანდის გზით შემოდიოდა[Кавказский календарь. 1852: 414, 415]. შავი ზღვის პორტებიდან ტვირთი თბილისი-ნახჭევნის გავლით სპარსეთში შედიოდა. სპარსეთიდან საქონელი ბაქო-თბილისის გზით ევროპაში იგზავნებოდა [Кобяков Д. 1880: 39].

ა. ერმოლოვისა და მ. ვორონცოვის პოლიტიკას შეღავათიანი ვაჭრობის დაწესების საქმეში მხარდამჭერებიც ჰყავდა. მათ მიაჩნდათ, რომ თავისუფალი ტრანზიტი ქვეყანას გამოაცოცხლებდა და ეკონომიკურად გააძლიერებდა. გარდა ამისა, მთავრობა ამით მოსახლეობას დაანახებდა, რომ ხელისუფლება მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებით დაინტერესებული იყო. ამ გზით ამიერკავკასიის ეკონომიკური მდგომარეობა გამოკეთდებოდა. ეს ღონისძიება სხვა მხრივაც საჭირო იყო, რადგან, როგორც ისინი ფიქრობდნენ, „მხოლოდ იარაღით და ძალადობით არაფერი არ შეიცვლებოდა“ [газ. «Кавказ». 1867: №88].

XIX ს-ის II ნახევრიდან ევროპულ საქონელთან ერთად თანდათან უფრო მეტი რუსული ნაწარმი იგზავნებოდა თბილისის ბაზარზე. მიუხედავად ამისა, ის მაინც ვერ აკმაყოფილებდა თბილისის, როგორც ადმინისტრაციული ცენტრის, მზარდ მოთხოვნებს. ამ პრობლემის აღმოფხვრას, ძირითადად, ადგილობრივი ხელოსნური წარმოება ცდილობდა. მართალია, თბილისელი ხელოსნები სწრაფად ითვისებდნენ ევროპული ტანსაცმლის დამზადების ტექნიკას [სცსა. ფ. 26. საქ. 75682: 4], მაგრამ არც ეს იყო საკმარისი, რის გამოც და, ამასთან, ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით თბილისს სამუშაოდ რუსი თუ უცხოელი ხელოსნების მრავალრიცხოვანი ნაკადი მოაწყდა. მათ შორის, უკვე 1827 წლიდან აქ ბევრი ებრაელი ხელოსანი მუშაობდა, რომელთა უმრავლესობა მისდევდა თერძობას, მექუდეობას, ფეხსაცმლის კერვას და სხვ [სცსა. ფ. 2. საქ. 2051: 44, 45; სცსა. ფ. 26. საქ. 5682: 5]. ჩამოსულ ხელოსნებს ადგილობრივი ხელისუფლება მფარველობდა. ამიტომ ამქრებში არ ერთიანდებოდნენ, რაც ამწვავებდა კონკურენციას მათსა და ამქარ-ხელოსნებს შორის. მკვიდრი ხელოსნები ცდილობდნენ თავიანთი ძველი მდგომარეობის შენარჩუნებას. დაწყებული დაპირისპირება დროთა მსვლელობაში კიდევ უფრო გამძაფრდა.

1831 წელს ამქარში გაერთიანებული თბილისელი თერძები მთავარმმართველ როზენისათვის გაგზავნილ მიმართვაში მოითხოვდნენ ჩამოსული თერძების ქალაქიდან გასახლებას და ხაზგასმით აცხადებდნენ, რომ თავისუფლად შეეძლოთ მათ მიერვე შეკერილი ტანსაცმლით დაეკმაყოფილებინათ არა მარტო ქალაქის მცხოვრებნი, არამედ სხვა ქალაქებიდანაც მიეღოთ შეკვეთები, რასაც საკმაოდ სწრაფად შეასრულებდნენ [სეცსა. ფ. 26. საქ.

---

[2] ნავსადგურის ტერიტორიის ნაწილი, სადაც ნებადართულია საქონლის შეტანა და გატანა უბაჟოდ.

5682: 4; სეცსა. ფ. 2. საქ. 2051: 37].

როზენმა მათი თხოვნა მხედველობაში არ მიიღო და 1832 წელს ებრაელი მკერავი ხელოსნები ქალაქში დატოვა „რუსული და გერმანული სამუშაოს“ მკერავ-ოსტატთა ნაკლებობის მიზეზით [სცსა. ფ. 2. საქ. 2051: 37].

1836 წელს თერძთა ორი ამქრის უსტაბაში თავიანთი ამქრების სახელით იმპერატორის სახელზე მიმართულ თხოვნაში წერს, რომ ებრაელი თერძები მოქმედებენ კანონის წინააღმდეგ, ძირს უთხრიან მათს წარმოებას „თავისკენ იბირებენ ქრისტიან შეგირდებს და მთელი ქალაქის მცხოვრებთაგან სამუშაოს თვითონ იღებენ“ [სცსა. ფ. 2. საქ. 4925: 20-21].

ცხადია, ებრაელთა ახალმოწყობილი და უფრო დიდი სახელოსნოები მნიშვნელოვან კონკურენციას გაუწევდა ძველ, ადგილობრივ სახელოსნოებს. „ეს იყო თვისობრივად ახალი წარმოება არა მარტო ნაწარმის, არამედ თვით წარმოების ორგანიზაციის მხრივაც“ [სამსონაძე მ. 1968: 27]. როგორც საარქივო წყაროები მოწმობენ, ებრაელთა სახელოსნოები უფრო მეტ დაქირავებულ მუშას აერთიანებდა. ზემოთ ხსენებული უსტაბაშები წერენ: „მათ ისე გაადიდეს თავიანთი სამკერვალო, რომ გახსნეს მაღაზიები და თავის სახელზე გამოაკრეს აბრები... მიუხედავად იმისა, რომ პასკევიჩის დროს ებრაელები თბილისიდან გააძევეს, ისინი დაბრუნდნენ, ყოველ წელს იზრდება მათი რიცხვი და ისე გამრავლდნენ, რომ მთელი საზოგადოებაა ებრაელი მკერავებისა. ისინი არ ცნობენ ადგილობრივ მკერავთა საზოგადოებას და არც მათს უსტაბაშებს... თუ ასე გაგრძელდა, ჩვენს ამქარს არსებობა აღარ შეეძლება“ [სცსა. ფ. 26. საქ. 5682: 35-36]. თერძთა ამქარს, ძირითადად, მათი ამქარგარეშე მუშაობა აღელვებდა, ვინაიდან ამქრები კატეგორიულად უკრძალავდნენ, ვაჭრობა-ხელოსნობისათვის ხელი მოეკიდათ იმ პირებს, რომლებიც ადგილობრივ ამქარში არ შედიოდნენ და მის რეგლამენტაციას არ ემორჩილებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამქარში გაერთიანებული ხელოსნები ორგანიზებულად იბრძოდნენ, უპირატესობა მაინც ამქარგარეშე ხელოსნების მხარეს იყო, ვინაიდან მათ მიერ წარმოებული პროდუქცია უფრო შეეფერებოდა ქალაქის მცხოვრებთა ახალ მოთხოვნებს, თავიანთ სახელოსნოში უფრო მეტ დაქირავებულ მუშახელს ამუშავებდნენ და უფრო მეტსა და ფართო ასორტიმენტის საქონელს ასაღებდნენ. ისინი ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობდნენ და სამხედრო უწყებისაგან გრძელვადიან შეკვეთებს იღებდნენ. ამგვარად, ეს დაპირისპირება თუ, ერთი მხრივ, ამქრულ ხელოსნობას ზღუდავდა, მეორე მხრივ, გზას უკაფავდა საწარმოთა ჩასახვა-განვითარებას, სადაც დაქირავებული შრომის გამოყენებას მეტი სარბიელი ეძლეოდა.

ეს ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა XIX ს-ის II ნახევრიდან, როცა ადგილობრივი ხელისუფლება კვლავ არაერთი შეღავათიანი პირობით იწვევდა თბილისში სხვადასხვა ხელობის ხელოსნებს [AKAK. 1904: 625]. 1850 წლისთვის ვორონცოვმა კვლავ დატოვა 26 ებრაელი ოჯახი იმ მიზეზით, რომ „ქალაქს ამ ხელოსანთა გარეშე გაუჭირდებოდა ზოგიერთი აუცილებელი სახელოსნო ნაკეთობის შეძენა [სცსა. ფ. 26. საქ. 5776: 34; სცსა. ფ. 26. საქ. 5682: 9].

ებრაელთა გარდა, სამუშაოდ მრავალმა უცხოელმა ხელოსანმა იწყო ჩამოსვლა. ამქართა შეტევებისაგან მათ დასაცავად ხელისუფლებამ 1843 წელს თბილისში განსაკუთრებული კომიტეტი დაარსა [გუგუშვილი პ. 1968: 146]. 1846 წელს თერძთა ამქრები ერთ უსტაბაშს ემორჩილებოდნენ და დაიყვნენ

ქართული, კავკასიური და ევროპული ტანსაცმლის მკერავებად [Сборник газеты Кавказ. 1846: 259]. ამავე პერიოდში გაზეთი «Кавказ», ფართოდ ეხმაურებოდა ქალაქში უცხოელი ხელოსნების გამოჩენას. 1846 წლის განმავლობაში გაზეთი თავის ფურცლებზე იუწყებოდა თბილისში ფრანგული ტანსაცმლით მოვაჭრე მაღაზიების გახსნას, სხვადასხვა უცხოელ მკერავ ხელოსანთა ჩამოსვლასა და სხვ. 1851 წელს თბილისში ითვლებოდა 140 რუსი და უცხოელი ხელოსანი [გუგუშვილი პ. 1968: 146].

გარედან მოსული ხელოსნების გამრავლების მიუხედავად, ამქრები არსებობის შესანარჩუნებლად მაინც იბრძოდნენ, მაგრამ, ახალ ურთიერთობათა განვითარება მათს რღვევას სულ უფრო აჩქარებდა. ამის მკაფიო დადასტურებაა 1867 წლის 5 აპრილის დებულება ამქრების შესახებ, რომლის თანახმად დარჩა მხოლოდ 17 ამქარი და 4 მუშათა არტელი [გუგუშვილი პ. 1968: 292]. დაქირავებული შრომა თანდათან სულ უფრო ფართოდ გამოიყენებოდა.

ამქრობის გარეგნული სახე ფორმალურად შენარჩუნდა, რადგან მთავრობა მასში, გარკვეული მიზნით, ბევრ სასარგებლოს ხედავდა: ამქარი კრებდა გადასახადებს, ასრულებდა პოლიციის განკარგულებას, საკუთარი ხარჯით ინახავდა თავისი წევრების ქვრივ-ობლებს, ეხმარებოდა დავრდომილ წევრს, გამოდიოდა ქალაქისათვის საჭირო სხვადასხვა სამუშაოს – ხიდების, გზების მშენებლობის ან შეკეთების დროს.

სწორედ ამის გამო და ქალაქში მოსალოდნელი არეულობის თავიდან ასაცილებლად მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა ამქრობის ინსტიტუტის შენარჩუნება.

ხელოსანთა ამქრები 1867 წელს დაემორჩილნენ ახალშექმნილ სახელოსნო-სამმართველოს, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევდა მათს საქმიანობას. სახელოსნო-სამმართველო დაექვემდებარა საქალაქო მმართველობას და პოლიციას. დებულების მიხედვით, აზიური ტანსაცმლის მკერავები ორ ამქარში გაერთიანდნენ, ევროპულისა კი ერთ ამქარს შეადგენდა. ეს უკანასკნელი რიცხვმრავლობით გამოირჩეოდა და დანარჩენ ამქრებს შორის დიდი გავლენით სარგებლობდა. ამაზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ სახელოსნო სამმართველოს მთავარ მამასახლისად აირჩიეს მკერავთა ამქრის უსტაბაში, ევროპული ტანსაცმლის მკერავი, ოსტატი სტეფანე ჯანიევი, კანდიდატად კი ევროპული ტანსაცმლის მკერავი მიხეილ კოტეტიშვილი [სცსა. ფ. 7. საქ. 2229: 132]. მათი რიცხობრივი უპირატესობა 1866 წლის მონაცემებიდანაც ჩანს; მკერავ ხელოსანთა საერთო რაოდენობიდან – 432 ოსტატი და შეგირდი, უმრავლესობა – 294 ადამიანი ევროპულ ტანსაცმელს კერავდა [გუგუშვილი პ. 1968: 293]. აზიური ტანსაცმლის მკერავთა თანდათანობითი კლება შემდგომი წლების მონაცემებითაც დასტურდება [გუგუშვილი პ. 1968: 297]. მათს ნაწარმს ფაბრიკა-ქარხნული წარმოება ვერ ცვლიდა, რის გამოც ოსტატთა მცირე ნაწილი კვლავ აგრძელებდა მუშაობას (სურ. 1).

აზიური ტიპის ამქრების შემცირება განსაკუთრებით XIX ს-ის 80-იანი წლებისათვის გახდა შესამჩნევი [სცსა. ფ. 17. საქ. 669: 23]. ამ პროცესის დაჩქარება, თავის მხრივ, რკინიგზის გაყვანამაც განაპირობა, რამაც ქალაქში ფაბრიკული პროდუქციის მეტი რაოდენობით შემოტანას შეუწყო ხელი. ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან შედარებით ხელოსანთა რაოდენობამ პროცენტულად იკლო. როგორც 1887 წლის თბილისის გუბერნიის მიმოხილვაშია აღნიშნული, ხელოსანთა რაოდენობის შემცირების მიზეზი იყო „მოსკოვ-

იდან, ოდესიდან და ვარშავიდან ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გაძლიერებული შემოზიდვა“ [Отчет Тифлиской губернии за 1896 год. 1897: 16].

ამგვარად, ამქრული სახელოსნოების გვერდით მომრავლდა ახალი ტიპის – კაპიტალისტური სახელოსნოები, რომლებიც დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის ზრდის ხარჯზე აფართოებდნენ საწარმოებს. მათთან ბრძოლაში ამქრულ სახელოსნოებსაც ეცვლებოდათ შინაარსი.

XIX ს-ის 60-იანი წლებიდან თბილისში, გორსა და სხვაგან დაარსდა ქალთა პროფესიული სკოლები, სადაც ასწავლდნენ „ტანისამოსებისა და სხვადასხვა თეთრეულის კერვას საკერავი მაშინით... ბაშმაკებისა და ხელთათმანების კერვას და სხვ“[3] [თორელი. 1869: 32, 33].

80-90-იანი წლებიდან ქ. თბილისში შედარებით მომრავლდა სკოლები, სადაც, ძირითადად, ევროპული ტანისამოსის კერვას ასწავლიდნენ. მაგ., გაზეთი „დროება“ იუწყებოდა 1880 წლის 1 ოქტომბერს ქ. თბილისში „ევროპული ხელოსნობის ცოდნაზე“ ორიენტირებული სახელოსნო სასწავლებლის გახსნის შესახებ [გაზ. „დროება“. 1880: № 207].

1884 წელს ქ. თბილისის პროფესიული ხელსაქმის ერთ-ერთი სკოლის შემოწმების შედეგად ან. თუმანიშვილი გულდაწყვეტით წერდა, რომ მოწაფეთა სწავლების პროგრამაში „არსად ხსენებაც კი არ არის ჩვენებური, ალაგობრივი ხელ-საქმეებისა... მართალია, დაწინაურებული ქვეყნების მიბაძვა ძალიან კარგია, მაგრამ არც აგრე თვალ-ახვეულად მიბაძვა უნდა, რომ ისიც კი დაივიწყონ, თუ პარიზში გამოფენის დროს ხელსაქმეების გამსინჯველები, რა აღტაცებაში მოვიდნენ, როდესაც ნახეს ჩვენი ოქრომკედით ნაკერი ყაბალახები და ყაისნაღის საქმეები. რა მიზეზით არის განდევნილი ჩვენებური ხელსაქმეები, არ გვესმის? ჩვენი კოხტა ქალები შლაპებისა და ხელთათმანების საყიდლად უფრო ფრანცუზების მაღაზიებს ეტანებიან, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ხანი გასტანს, სანამ ლეჩაქების, თავსაკრავების და ყაბალახების ხმარება გადავარდება“ [თუმანიშვილი ან. გაზ. „დროება“. 1884: №23].

XIX ს-ის II ნახევრიდან მზა, ფაბრიკული ტანისამოსის ბაზარზე გამოსვლამ ხელოსნებს ნიადაგი გამოაცალა. ხელოსნური პროდუქციის ხარისხი მასთან შედარებით დაბალი იყო, ღირებულებით ძვირი და, ამავე დროს, საქონელზე მასობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებასაც ვერ ახერხებდა. მაგ., თუ პალტოს შეკერვა ხელოსანთან 25 მანეთი ღირდა, მაღაზიაში მისი ყიდვა 15-17 მანეთად შეიძლებოდა [სანდალა. 1926. 13, 51].

თერძების მდგომარეობას ამწვავებდა ვაჭრებზე მათი დამოკიდებული მდგომარეობა როგორც ნედლეულის შეძენის, ასევე მზა ნაწარმის რეალიზაციის მხრივ. თერძები ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ, ვაჭრებისაგან მაღალ ფასად შეეძინათ უვარგისი, უხარისხო საქონელი. ამგვარად, ხე-

[3] 60-იან წლებში საკერავი მანქანის გამოყენება, თავდაპირველად, მარტო ხელოსნებში გავრცელდა. 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისიდან უკვე ფართოდ გამოიყენებოდა არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც „იყო დრო, როცა ჩვენს სოფლებში ყვაოდა სხვადასხვა ხელსაქმე: კერვა, ქარგვა, ქსოვა. ახლა ქალები აღარ იწუხებენ თავს ამაებით, რაც ზინგერის მანქანა გამოჩნდა“ [გაზ. „დროება“. 1855: №168]. 80-იანი წლებიდან ხმარობდნენ „პლისეს“ დასაწყობ მანქანას [გაზ. „დროება“, 1881, №95]. საკერავი მანქანის გამოყენებასთან ერთად ქართულ ენაზე სისტემატურად გამოდიოდა წიგნი: „სახელმძღვანელო ნამდვილი საკერავი მაშინებისა, ზინგერისა“.

ლოსანსა და მომხმარებელს შორის გაჩნდა ვაჭარი, რამაც ხელოსანთა მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.

ქართული პრესა წლების განმავლობაში ეხმაურებოდა ამ საჭირბოროტო საკითხს და ცდილობდა, ხელოსანთა მდგომარეობის გაუმჯობესების გზები გამოენახა. ასეთ გზას კი ისევ საწარმოო ასოციაციებისა და ამხანაგობების შექმნაში ხედავდნენ [გაზ. „ივერია". 1894: №36].

„ერთად ერთი საშუალება არის, რომ ვაჭრებს მოშორდნენ ხელოსნები... შეადგინონ ამხანაგობა თვისი ხელობისათვის საჭირო საქონლის მაღაზიის გასამართავად. ამხანაგობები უნდა შეადგინონ ყველა ამქრის ხელოსნებმა ცალ-ცალკე... უამისოდ ხელოსანი, რამდენიც უნდა ბეჯითად მოიქცეს, ის მაინც ამ გარემოებიდან ვერ გამოვა... ვაჭრისა იქნება იმის მოგებაც და შრომაც" [გაზ. „დროება". 1878: №172].

ცხადია, ამგვარი განცხადებები საქმეს ვერ შველოდა. XIX ს-ის დასასრულისათვის ქარგლები და შეგირდები მასობრივად გარბოდნენ ფაბრიკა-ქარხნებში. ამქრული ორგანიზაციები სახელოსნო სამმართველოსთან ერთად XX ს-ის 20-იან წლებში საბოლოოდ გაუქმდა.

ა. ლაისტის სიტყვებით, „მალე გაცხოველდა ცხოვრება და ახალ-ახალი საჭიროებანიც დაიბადა. ევროპულმა ცივილიზაციამ მიიზიდა, გაიტაცა ყველას ფიქრი და გონება. ეს გამოცოცხლება ისეთი სისწრაფით მოქმედებდა, რომ დაფიქრებისათვის დრო არავის რჩებოდა" [ლაისტი არ. 1963: 187].

ქალაქის ევროპეიზაციის პროცესი განსაკუთრებული ძალით მ. ვორონცოვის მმართველობის დროს მიმდინარეობდა.

ამ დროს ბევრ კულტურულ დაწესებულებას ჩაეყარა საფუძველი: 1846 წელს რუსული თეატრი გაიხსნა, 1850 წელს გ. ერისთავის თაოსნობით აღადგინეს ქართული თეატრი, 1852 წელს გამოვიდა ჟურნალი „ცისკარი", 1850 წელს გაიხსნა გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, კეთილშობილ ქალთა პანსიონი, წმ. ნინოს სასწავლებელი, ამოქმედდა იტალიური ოპერა, მომრავლდა ევროპული სტილის შენობები, სახელოსნოები, მაღაზიები. 1850 წელს თბილისში მოეწყო ფაბრიკული და ხელოსნური ნაწარმის გამოფენა და ა.შ.

ქალაქში ევროპული სტილის შენობების მომრავლებასთან ერთად იცვლებოდა ბინის ინტერიერის აქსესუარები. ნელ-ნელა ყოფაში მკვიდრდება ევროპული ავეჯი და სხვადასხვა ნივთი. ტახტების ადგილი რბილმა ავეჯმა შეცვალა, აჟღერდა ფორტეპიანო და როიალი...

ამის ნათელი მაგალითია ალექსანდრე ჭავჭავაძის ევროპულად მოწყობილი სახლი, სადაც ფორტეპიანო და საბილიარდოც იყო (სურ. 2). ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილები: ნინო, ეკატერინე და სოფიო ფლობდნენ რუსულსა და ფრანგულ ენებს და თავიანთი საუბრით, ფორტეპიანოზე დაკვრით, სიმღერით, ლექსების კითხვით, ევროპული და ქართული ცეკვით სასურველ სტუმრებს დიდ სიამოვნებას ანიჭებდნენ.

რუს და ევროპელ (განსაკუთრებით, გერმანელ) ახალმოსახლეთა გამოჩენამ სრულიად განსხვავებული სახე მისცა თბილისს. ევროპულთან ერთად საუკუნეების განმავლობაში არსებული აღმოსავლური ტრადიციებიც დიდხანს შენარჩუნდა და ეს ორბუნებოვნება საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში აისახა, მათ შორის, ჩაცმულობაშიც.

XIX ს-ის II ნახევრიდან საქართველოში, კერძოდ, თბილისში, მრავლად ჩა-

მოდიოდნენ მოგზაურები, ვაჭრები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები და სხვანი, რომელთაც ერთნაირად ხიბლავდა აზიისა და ევროპის თბილისური კონტრასტი, აზიური და ევროპული სამოსის სიჭრელე, ხალხმრავალი ადგილები, სადაც ყველაფერი უფრო მეტად საგრძნობი და მკვეთრად აღსაქმელი იყო. განსაკუთრებულ ცნობისმოყვარეობას ბაზარი იწვევდა, სადაც თბილისური ცხოვრების სურათი იხატებოდა. თბილისური შთაბეჭდილებები გაზეთებში იბეჭდებოდა: „თუ გნებავთ როგორც ხელისგულზე, ისე ნახოთ ქალაქის იდუმალი ცხოვრება – წადით მის ბაზარზე, ისეთზე, როგორიცაა თბილისის საკვირაო ბაზრობა. მოედნის რამდენიმე ათეულ მეტრ საჟენზე თქვენ ნახავთ ყველა კუთხის მრავალფეროვნებას... ამ პატარა ფართობზე თქვენ ნახავთ, როგორ ებრძვის აზია ევროპას და თუ ბაზრობის თითოეულ დღეს თვალს მიადევნებთ, დაინახავთ, როგორ სუსტდება პირველი და თავის ბატონობას როგორ სწრაფად ავრცელებს ეს უკანასკნელი. აქ განლაგებულია ყველა წლისა და გემოვნების ნიმუშები რუსების ამიერკავკასიაში მოსვლიდან დღემდე... სხვა საგნებთან ერთად იყიდება სხვადასხვა ტანსაცმელი, გაცვეთილი ხავერდის ქათიბიდან ვიცე-მუნდირამდე და ფრაკამდე“ [газ. «Кавказ». 1847: №25].

ჰაუქსტჰაუზენის სიტყვებით, „სილამაზის ისეთი საკვირველი ნარევია, როგორიც არსად მოიპოვება. არსად არაა ევროპიდან აზიაში გადასვლისა და წინააღმდეგობის ისეთი სიახლოვე, როგორც თბილისში. თბილისი ევროპიდან აზიაში გადასვლის წერტილია“ [Гакстгаузен А. 1857: 41; ჰაუქსტჰაუზენი ავ. 2011: 59].

ჩამოსულ სტუმართაგან თბილისს ზოგიერთი პეტერბურგს ადარებდა, ზოგი – პარიზს, ზოგი – იტალიას. პ. ჩაიკოვსკიმ თბილისი ფლორენციას შეადარა: „რაც შეეხება თბილისს, იგი სავსებით ევროპული ქალაქია... შესანიშნავი კლიმატით, მდიდრული მაღაზიებით, კარგი ოპერით... მაგრამ, ამავე დროს, თბილისში ევროპული ნაწილის გვერდით არის ნამდვილი, სრულიად აზიური ქალაქი და ეს ერთიანობა აზიისა ევროპასთან მისი მთავარი ხიბლია“, – წერდა 1886 წელს პ. ჩაიკოვსკი [Шадури В. 1953: 91-93].

„სად ნახავთ ისეთ მრავალფეროვან, ორიგინალურ ბალს, როგორიც თბილისშია. ერთმანეთში ირევა სხვადასხვა კოსტიუმი: პარიზული, ქართული, ჩერქეზული. კავკასია არც ერთ მნიშვნელოვან მოვლენას არ გამოტოვებს“ [газ. «Кавказ». 1894: №52].

ქართული კოსტიუმის ევროპულით შეცვლას ხელს უწყობდა ევროპული ნაწარმით მოვაჭრე ახალგახსნილი მაღაზიები, სახელოსნოები და ქალაქის ბაზრობები.

1847 წლის დასაწყისში მოსკოველმა მეფაბრიკეებმა თბილისში სავაჭრო დეპო გახსნეს, სადაც ერთ დიდ შენობაში მრავალი მაღაზია იყო განთავსებული. აქ იყიდებოდა: ქალის კაბები, გულისპირი, საყელო, პელერინები, ვუალი, თავსაკრავი, წინდები, კოფთები; ხავერდის, აბრეშუმისა და ბამბეულის ქსოვილები და სხვ. გაზეთები დეპოს საქონელს აქებდნენ და აქვე თბილისელ ვაჭრებს ურჩევდნენ, მოსკოვსა და ნიჟნი ნოვგოროდში საქონლის შესაძენად აღარ გამგზავრებულიყვნენ, რადგან ყველა სახის საქონლის შეძენა აქვე, დეპოში, შეეძლოთ. დეპოს საქონელს, მისი დაბალი ხარისხის გამო, ევროპული საქონლით მოვაჭრე მაღაზიები დიდ კონკურენციას უწევდნენ. მისი ვაჭრობა გახსნისთანავე სუსტად წარიმართა, თანდათან შემცირდა და 1852 წელს დაიხურა. დიდი მცდელობის შემდეგ, 1865 წელს, დეპომ მუშაობა განაახლა,

მაგრამ კონკურენციის დასაძლევად რუსულთან ერთად ევროპული საქონლითაც დაიწყო ვაჭრობა [газ. «Кавказ». 1852: №27; 1869: №38; Сборник Газеты Кавказ (Второе полугодие 1847 года). 1848: 82-84; Кавказский календарь. 1848: 69, 70; 1849: 82, 83].

მოსკოველ მეფაბრიკეთა მიზანი იყო, დეპოს ბითუმად ევაჭრა. მათი მაღაზიები კი მხოლოდ ფასებს დაარეგულირებდა. ფიქრობდნენ, რომ ადგილობრივი ვაჭრები, უცხოეთის ნაცვლად, აქვე, დეპოში, საჭირო საქონელს ბითუმად შეიძენდნენ. მათი გეგმები ვერ განხორციელდა. ისეთი საქონელი, რომელზედაც ქალაქში დიდი მოთხოვნა იყო, ვერ ჩამოჰქონდათ. დეპოს მშვენიერი, დიდი შენობის ოთახები ნახევრად ცარიელი იყო. ამ დროს კი ევროპული საქონლით მოვაჭრე მაღაზიები წარმატებით საქმიანობდნენ. ქალაქში მოქმედ ფირმებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ისეთ დიდ ქალაქებთან, როგორებიც იყო: მოსკოვი, პეტერბურგი, ოდესა, ვარშავა, ბერლინი, ლონდონი, ვენა, მარსელი, ტრიესტი და პარიზი. თბილისი მთელი კავკასიის ცენტრი და ტონის მიმცემი იყო. იგი ზღვის მეშვეობით სიახლეებსა და მოდურ საქონელს, ევროპის ქალაქების მსგავსად, თითქმის დროულად იღებდა, მხოლოდ ორი-სამი კვირის დაგვიანებით.

1847 წელს საუკეთესო ევროპული ნაწარმით ვაჭრობდა: ბლოტის, რუდოლფის, გირშინის, ფაგეს, იზმიროვისა და სხვათა მაღაზიები. ევროპული საქონლით მოვაჭრე მაღაზიები მყიდველებით ყოველთვის სავსე იყო. მოსკოვის ფაბრიკანტთა მაღაზიებს ნაკლები რაოდენობის მყიდველი ჰყავდა. ბითუმად მოვაჭრე თბილისელები საქონელს ისევ უცხოეთიდან ეზიდებოდნენ. 1847 წლისთვის უცხოური ნაწარმის შემოტანა საგრძნობლად გაზრდილა [Сборник газеты Кавказ (Второе полугодие 1847 года). 1848: 85, 166].

1865 წლისთვის ამიერკავკასიის თითქმის მთელი ვაჭრობა თბილისში იყო ცენტრალიზებული. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული საქონელი სპარსეთის გზითაც შემოდიოდა. თბილისი ევროპული, რუსული და აზიური საქონლით მარაგდებოდა. ევროპული საქონელი შავი ზღვით ევროპელსა და თბილისელ ვაჭრებს ჩამოჰქონდათ. ფოთიდან თბილისამდე ტვირთის გადაზიდვა ორჯერ ძვირი იყო, ვიდრე ევროპიდან ფოთამდე. რუსული საქონელი, ძირითადად, ნიჟნი ნოვგოროდიდან ჩამოდიოდა. ტვირთის ნაწილი ხმელეთით იგზავნებოდა, მაგრამ დიდი წილი – 8/10 % მიდიოდა მდ. ვოლგით ასტრახანში, აქედან – ბაქოსა და შემდეგ, თბილისში [Дункель-Велинг К. 1865: 47-65].

მაღაზიების მეპატრონენი ცდილობდნენ, წლის სეზონის გათვალისწინებით, საზოგადოებას დროულად მომსახურებოდნენ. თბილისის მაღაზიები და სახელოსნოები, განსაკუთრებით, ზამთრის მოახლოებისას გამოცოცხლდებოდნენ, როცა მთელი საზოგადოება ქალაქში იყო თავმოყრილი. ამ დროს იმართებოდა მეჯლისები და ბალმასკარადები. შემოდგომისთვის თბილისში ჩამოჰქონდათ ახალმოდური პარიზული და სხვა ევროპული ტანისამოსი. ჩამოდიოდნენ მკერავები, მექუდენი, პარიკმახერები და ა.შ.

თბილისელთა საყურადღებოდ კომერსანტი ფაგე განცხადებას აკეთებდა: „მსურდა რა მესიამოვნებინა თბილისის განათლებული საზოგადოებისთვის, გადავლახე ზღვები, ჩავედი პარიზს და იქ ამოვარჩიე ყველაფერი, რასაც კი აქაური დახვეწილი გემოვნების მომხმარებელთა დაკმაყოფილება შეუძლია. ჩამოვიტანე უამრავი მანუფაქტურული საქონელი. მაგრამ იგი მშვენიერ მანდილოსანთა მორთულობად რომ გადაიქცეს, რომლებიც ბალებზე იბრწყინე-

ბენ, მოვიწვიე პარიზის ერთ-ერთი ცნობილი მაღაზიის საუკეთესო მოდისტკა და პარიკმახერი“ [газ. «Кавказ». 1848: №№42, 45].

ფრანგული საქონლით მოვაჭრე მაღაზიებს შორის ბლოტის მაღაზია ყველაზე საუკეთესო, ძვირადღირებული, მაღალხარისხოვანი, მრავალფეროვანი და დახვეწილი ნაწარმით გამოირჩეოდა.

აქ იყიდებოდა: ქალის კაბები, მათ შორის, სამეჯლისო, მანტილიები, პელერინები; ქსოვილები – აბრეშუმი, ხავერდი, სუკნო, ჰოლანდიური ტილო, ფლანელი, ბატისტი, ტიული, მაქმანი, შლიაპები მოსართავი ბაფთებით, ყვავილებითა და ბუმბულით; ჩალის იტალიური ქუდები, საგალანტერიო საქონლის ფართო ასორტიმენტი, აგრეთვე საუკეთესო სასმელები და საკონდიტრო ნაწარმი. მაღაზიაში იყო მამაკაცის ჩაცმულობის სრული კომპლექტი: სერთუკი, პალტო, ჟილეტი, პანტალონი, ქუდები, ლაიკის ჩექმები, ხელთათმანები და სხვ. მაღაზიასთან საპარიკმახეროც მუშაობდა.

სააღდგომოდ საფრანგეთიდან ჩამოტანილი სიახლეების რეკლამას ავრცელებდნენ მაღაზიათა მეპატრონეები: ერვიე, რიშარი, ტოლე, ფაგე, ფარო და სხვანი. მათს მაღაზიებში სხვადასხვა საქონელთან ერთად იყიდებოდა ქალის კაბები, ქვედაკაბები, ვალანები. ინგლისური მაღაზიები მამაკაცის მოდური ტანსაცმლით ვაჭრობდა. ფრიდრიხ გლაზერის მაღაზია გერმანულ, ინგლისურსა და ფრანგულ საქონელს ყიდდა. უნგრული მაღაზია ვარშავისა და ფრანგული ფეხსაცმლით ვაჭრობდა. ვენის მაღაზიაში ახალმოდური სამეჯლისო კაბები, ტვისტპალტოები, ხავერდის ჟილეტები, მანტოები, ფეხსაცმელები და სხვა იყიდებოდა. გოლოვინის ქუჩაზე ხარიტონოვის ბეწვეულის მაღაზია და სამკერვალო იყო განთავსებული. ბრესლაველი ველნერი თავისი მეთოდით ასწავლიდა სწრაფად გამოჭრასა და შეკერვას კაბების, მანტილიების, პელერინებისა და სხვ. იყიდებოდა ილუსტრირებული ჟურნალები, მათ შორის, „მოდური მაღაზია“ და ა. შ.

ევროპული ტანისამოსით მოვაჭრე მაღაზიები მეტწილად პასკევიჩ-ერევანსკის სახელობის მოედანსა[4] და გოლოვინის[5] პროსპექტზე მდებარეობდა (სურ. 3). მაღაზიები საკუთარ სახლებში, მეტწილად კი ნაქირავებში, იყო განთავსებული, მაგ., ბლოტის ფრანგული საქონლით მოვაჭრე ცნობილი მაღაზია ერევნის მოედანზე, ზუბალაშვილის სახლში, იყო გახსნილი. აქვე იყო დორფმანის მზა ტანსაცმლის მაღაზია. 1847 წელს დეპოს მაღაზიების კრიზისის დროს ჩეტვერტოვმა რუსული მაუდისა და შალეულის მაღაზია ზუბალაშვილის სახლში გადაიტანა (კარგი ხარისხის რუსულ მაუდზე, რომელსაც ჩოხებისთვისაც იყენებდნენ, დიდი მოთხოვნა იყო). ერევნის მოედანზე, თეატრის წინ, სტახოვის ქსოვილებისა და ბეწვეულის მაღაზია იყო. აქვე, ჯაყელის სახლში, კაროლინა გუენის მზა ტანსაცმლის მაღაზია მდებარეობდა, დეზოლისა – სარაჯიშვილის სახლში. გოლოვინის პროსპექტზე, ბაგრატიონ-მუხრანსკის სახლში, ფაგეს მაღაზია იყო გახსნილი, ფარო და რიშარისა და მაღაზიებიც აქვე მდებარეობდა.

ამგვარად, მაღაზიების უმრავლესობა ქალაქის ევროპულ ნაწილში იყო განთავსებული. ისინი მეტწილად შერეული საქონლით ვაჭრობდნენ. მზა

[4] ერევნის მოედანი მთავარმმართველ პასკევიჩის (1827-1831) მიერ 1827 წლის 1 ოქტომბერს ერევნის აღების გამო დაერქვა (შემდეგ – ლენინის სახელობის მოედანი, დღეს – თავისუფლების მოედანი).

[5] მთავარმმართველი გოლოვინი თბილისში იყო 1837-1842 წწ-ში.

ტანისამოსთან ერთად აქ იყიდებოდა ქსოვილები, საგალანტერიო ნაწარმი, ფეხსაცმელები, სასმელები და ა. შ. მზა ტანისამოსის სიძვირის გამო მაღაზიებთან სამკერვალოები მოქმედებდა. იყო ჭრა-კერვის შემსწავლელი კურსები. ამ გზით ახალმოდური ტანსაცმელი მოსახლეობის ფართო ფენებისთვისაც შედარებით ხელმისაწვდომი გახდა.

ტანსაცმლით მოვაჭრე მაღაზიებისა და სახელოსნოების მომრავლებაზე აქტიურად ზრუნავდა მ. ვორონცოვის მეუღლე – ელისაბედ ბრანიცკაია. მან საფრანგეთიდან მკერავი ქალები მოიწვია. მათგან ერთმა ჯგუფმა თბილისში ახალი სამკერვალო სახლი – „რუსელი" გახსნა. სამკერვალოსთან სამღებროც მუშაობდა. მოგვიანებით აქვე მაღაზიაც გაიხსნა, სადაც იყიდებოდა: სამეჯლისო კაბები, საქორწინო მორთულობანი, მანტოები, მანტილიები, ქვედა კაბები – „პომპადური", მექანიკური კორსეტები, ბაფთები, ხელთათმანები, წინდები, ფეხსაცმელები და სხვ. [газ. «Кавказ». 1847: №№41, 42; 1857: №76].

1891 წლის მონაცემებით, ახალი მოდური მაღაზიების გარდა, თბილისის გუბერნიაში მრავალი სხვა საწარმოც მუშაობდა, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს 70-ნი წლების დასაწყისში დაარსებული გ. მირზოევის საფეიქრო ფაბრიკა და 1875 წელს გახსნილი ადელხანოვის ტყავის ქარხანა, რომელსაც ტყავის წარმოებაში წამყვანი ადგილი ეკავა. მის ბაზაზე დაარსდა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის პირველი ქარხანა (სურ. 4). აქ მზადდებოდა 31 სახეობის ფეხსაცმელი, მათ შორის, აზიურიც და ევროპულიც [ხოშტარია ე. 1970: 286, 288; რევიშვილი ჟ. 1975: 420]. ამას გარდა, 1892 წელს თბილისში ტყავის მეორე მსხვილი საწარმოც გაიხსნა [ხოშტარია ე. 1970: 286].

ევროპული სამოსის მორგება, როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველად, ქალებმა დაიწყეს, მაგრამ, მათგან განსხვავებით, მამაკაცთა ტრადიციულმა კოსტიუმმა სრული სახეცვლილება შედარებით სწრაფად განიცადა. გავრცელდა: მაღალყელიანი წაღები, „ანუ ახალ დროის პოლსაპოჟკები", პალტოები, კოკარდინის ქუდები, მეჯლისზე – ფრაკები. 1846 წელს რეკლამები მამაკაცებს ურჩევდა, ეტარებინათ შლიაპები a la lolka, ძალიან დაბალწელიანი ფრაკები, ექსტრა, განიერცხვირიანი წაღები [газ. «Кавказ». 1853: №63].

ცვლილების სისწრაფე, თავის მხრივ, სახელმწიფო მოხელე მამაკაცებისათვის საგანგებო სამოსის შემოღებამაც განაპირობა. 1850 წლიდან მეფისნაცვლის საბჭოში მსჯელობდნენ კავკასიაში ახალი სამოქალაქო მუნდირის ტარების აუცილებლობის შესახებ (სურ. 5). ამის შემდეგ დაწესდა სამოქალაქო ფორმა: 1) „პოლუკაფტანი", 2) სერთუკი, 3) სამუნდირო ფრაკი, 4) შარვალი, ჟილეტი, შესაფერისი ჰალსტუხი, 5) მაზარა, 6) პალტო.

სხვადასხვა უწყების წარმომადგენელთა ჩაცმულობა ერთმანეთისაგან ქსოვილის ფერით განირჩეოდა, ცალკეული თანამდებობის პირებისა კი – განსხვავებული ფერის საყელოთი, სამაჯურებით ან კანტებით. სავალდებულო, ე.წ. საფორმო ტანისამოსის შესაფერისად სამკუთხა, მრგვალ, დასაკეც შლიაპასა და ქუდსაც ატარებდნენ. გარდა ამისა, ფორმის ტანსაცმელი იყო: საზეიმო, ჩვეულებრივი, ყოველდღიური, განსაკუთრებული, სამგზავრო და საზაფხულო [Сбор законов Россиискoй Империи. 1857: 330-335].

სახელმწიფო სამსახურის სხვა მოხელეთა მსგავსად, ხელისუფლების მიერ დადგენილ ფორმის ტანსაცმელს ატარებდნენ მოსწავლეები (სურ. 6). რაც შეეხება მასწავლებლებს, მაგ., 1879 წელს სემინარიის მასწავლებელი ასე გამოიყურებოდა: „მაუდის ფრაკი, თეთრი, ანგლიური გახამებული პერანგი,

აბრეშუმის ყელსახვევი, ახალი მოდის შარვალი, შვარცის ფეხსაცმელები“ [ნათაძე გ. 1942: 244].

XIX ს-ის შუა წლებამდე მამაკაცის ძირითადი ჩასაცმელი როგორც საღამოობით, ასევე ქუჩაში სასიარულოდ იყო ფრაკი. მალე იგი რედინგოტმა – სერთუკის სახეცვლილებამ შეცვალა. მამაკაცის ტანსაცმელი – წელში გამოყვანილი, შარვალი კი გრძელი და ვიწრო იყო. უმეტესად, შავი ფერის ტანისამოსს ხმარობდნენ (სურ. 7). ცილინდრის ფორმა, ძირითადად, არ იცვლებოდა. 1849 წლიდან მსუბუქი და რბილი ფეტრის ქუდები გავრცელდა.

1851 წელს თბილისიდან გაგზავნილ წერილში ალექსანდრე ტოლსტოი აღნიშნავდა, რომ თბილისში დასაკეცი ცილინდრი საკმაოდ ძვირად შეუძენია. ფაფახისა და ფორმის ტანსაცმლის ყიდვა კი, სიძვირის გამო, საერთოდ ვერ შეეძლო [დიუმა ალ. 1967: 270-271].

მამაკაცის ჩაცმულობაში მთავარი იყო პალტო, რომელიც მოგრძო სერთუკმა შეცვალა.

XIX ს-ის II ნახევარში მამაკაცის სამოსი იყო: სმოკინგი, ფრაკი, სერთუკი. თეთრი ფერის პერანგი. მისი საყელო და მაჯები გახამებული უნდა ყოფილიყო. ყელსახვევი ჰალსტუხმა შეცვალა. დაიწყეს პატარა ჰალსტუხის ან ბაბთის ხმარება. ფეხსაცმელი შავი ფერის რჩებოდა. ლაიკის ფეხსაცმელს ფრაკსა და სმოკინგთან იცვამდნენ. თავსაბურავად კვლავ ცილინდრებსა და ფეტრის ქუდებს ხმარობდნენ. კოსტიუმის აუცილებელი ნაწილი იყო: ხელთათმანი, ქოლგა, ტროსტი.

ვინც ფუფუნებით ცხოვრობდა, ჩანდა ისეთ წვრილმანებში, როგორებიც იყო ყელსახვევზე მიმაგრებული ძვირფასი ქინძისთავი, სამაჯურის ძვირფასთვლიანი შესაკრავი, ოქროს საათი გულისჯიბეში, რომლის ოქროს ძეწკვი ჟილეტზე იყო გადმოგდებული. ყველაფერი ეს მის პატრონს სოლიდურ იერს აძლევდა.

გ. წერეთელი მსგავს ტანსაცმელს ასე წარმოგვიდგენს: „ჩაიცვა ფრაკი, ახალი წაღები, საუკეთესო იისფერი ხელთათმანები... ოქროს საათი, ოქროს ღილები პერანგზე, ოქროს ზაპონკები, შუაში ბრილიანტებჩაბმული. ყველა ესენი მოხდენით გაიკეთა ტანზე, პარიზის ახალი მოდის შლიაპა დაიხურა, ხელში რვა მანეთიანი პარიზის წკეპლა, რომელსაც თავზე მშვენიერი სპილოს ძვლისაგან გამოქანდაკებული ცხენის თავი ედგა“ [წერეთელი გ. 1947: 158].

ევროპული მოდის ამსახველი ნივთიერი მასალა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდებშია დაცული და, ძირითადად, XIX ს-ის დასასრულითა და XX ს-ის დასაწისით თარიღდება. მათ შორისაა ფრანგული, რუსული თუ ამერიკული წარმოების მამაკაცის კოსტიუმის ამსახველი ნიმუშები – ფრაკები (სსმ. №100-984/1. სურ. 8), სერთუკები (სსმ. №11-60/1; სურ. 9), ჟილეტები (სსმ.№100-984/2; სურ. 10), შარვლები (სსმ.№92-958/3. სურ. 11),პატარა ჰალსტუხები (№შ-4202. სურ. 12), ბაბთები (№№შ-5454; შ-6512. სურ. 13-14), ცილინდრები თავისივე ჩანთით (№შ-1567. სურ. 15) და მომრგვალებული ფორმის ფეტრის ქუდები (შ-4683. სურ. 16), ფეხსაცმელები (№შ-4211; სსმ.№47-57/1-2. სურ. 20, 21), ხელთათმანები (№შ-902. სურ. 19), ქოლგები (შ-3881. სურ. 22), ტროსტი (სსმ. № 114-67/1. სურ. 23) და სხვ.

XIX ს-ის დასასრულისათვის მამაკაცის ტანისამოსი გაცილებით გამარტივდა, უბრალო და სადა გახდა, მაგ., კოსტიუმის ქვეშ ძვირადღირებული პერანგის ნაცვლად შესაძლებელი იყო ცალკე საყელოს, გულისპირისა (№№

შ-904; შ-6508. სურ. 17, 18) და სამაჯურების ტარება. ამგვარი და სხვა ცვლილებების შედეგად ევროპული ტანსაცმელი უბრალო მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი გახდა, რაც მოდების დემოკრატიზაციას ხელს უწყობდა.

ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებასთან ერთად წინა პლანზე გამოდის სავაჭრო ბურჟუაზია. მისი წარმომადგენლები ადგილს იკავებენ საკრებულოებში, საზეიმო შეკრებებსა და ა.შ.

ან. თუმანიშვილს სწორედ ეს ფენა ჰყავდა მხედველობაში, როცა საკრებულოში თავმოყრილი მამაკაცების შესახებ აღნიშნავდა: „ეს კაცები თითქოს სადღაც მინახავს, მართლა, მაღაზიებში – დახლთან“ [გაზ. „დროება“. 1881: №65-66].

მდიდარი ვაჭრები ევროპულად იმოსებოდნენ, წვრილი მოვაჭრენი, მედუქნეები, ხელოსნები – ძველქალაქურად. სოფლებიდან ქალაქად ჩამოსული დაქირავებული მომუშავენი ჩაცმულობით ქალაქელებს ბაძავდნენ.

სოფლიდან თბილისში მედუქნესთან სამუშაოდ ახალჩასული ბიჭის გარეგნობაში სიახლეს თავისებური სისხარტით გადმოგვცემს აკ. წერეთელი: მოხუცი გლეხი აკაკის მამას ევედრება: „ბატონო! მიშველე რამე, რაც შვილი ქალაქში წავიდა, გადამერია, ჩაუცვამს რაღაც ქაჯურათ, იპრანჭება და სამუშაოდ ხელს არ ანძრევს“. როცა ბიჭს ჰკითხეს, ეს რანაირად ჩაგიცვამსო, მან უპასუხა: „ქალაქურია, მე გეურქ აღასთან ვიყავი ქარვასლაში, იქ ყველა ასე იცვამენ. კი, მაგრამ ეგ ქუდი რომ განზე მოგიქცევია და მარტო ნახევარზე გხურავს, ნახევარმა თავმა რა დააშავა? წვეტიან ჩექმებზე რომ შემდგარხარ, თითო ტკაველა რიკი მიგიცია ქუსლებისათვის“ [წერეთელი აკ. 1990: 10]. ტანსაცმლის ცალკეული ელემენტები ქალაქიდან სოფელში გადადიოდა, რაც იქაც იწვევდა გარკვეულ ცვლილებას.

XIX ს-ის დასასრულისთვის სამრეწველო რაიონებში ჩნდება თავისებური სამუშაო კოსტიუმი, რომელიც გლეხის ჩაცმულობის ზოგიერთ ელემენტს შეიცავდა. აღმოსავლეთსა და სამხრეთ საქართველოს ზოგ დასახლებულ მსხვილ ცენტრში წარმოდგენილი იყო ვაჭარ-ხელოსანთა ფენის – მოქალაქის თავისებური კოსტიუმი, რომელიც მაღალი ფენის ჩასაცმელს ემსგავსებოდა [გაფრინდაშვილი მ. 1970: 600].

XIX-XX სს-თა მიჯნაზე, ევროპული კოსტიუმის გავრცელების მიუხედავად, მოსახლეობის დიდი ნაწილი ეროვნულად იმოსებოდა. მამაკაცები ატარებდნენ ჩოხა-ახალუხს, ბოხოხა ქუდსა და აზიურ წაღებს. ფორმისა და თარგის მხრივ ქართული ჩაცმა-დახურვა წოდებათა შორის დიდად არ განსხვავდებოდა, სამაგიეროდ, ქსოვილების ხარისხისა და სამკაულების ღირებულებით მათ შორის დიდი სხვაობა იყო.

ახალგაზრდები ევროპულ ჩაცმულობაზე სწრაფად გადავიდნენ. ისინი ან სამხედრო ტანსაცმელში გამოეწყვნენ, ან მისდევდნენ რა პარიზისა და ლონდონის მოდებს, თანამედროვე მოხდენილ ახალგაზრდებად გადაიქცნენ.

ეროვნულ ჩაცმულობაში უცხო ელემენტების შეჭრის შედეგად მისი სახეცვლილება საზოგადოების აღშფოთებას იწვევდა. ქართული გაზეთები კვლავ ძველ დროს მისტიროდნენ. იწერებოდა კრიტიკული ან იუმორით სავსე წერილები და ფელეტონები.

„შემოვწყერით ჩვენს მშვენიერ ნაციონალურ ტანისამოსს, ჩოხა-ახალუხს, რომლის ერთი შეხედვა სიმამაცის გრძნობას მოჰგვრიდა კაცს“ და მის მაგივრად ფრაკს მიეცა უპირატესობა – გულისტკივილით შენიშნავდა გაზ.

„დროება“.

გაზ. „ივერია“ კი ასე აღწერდა ევროპულად გამოწყობილ ქართველს:

„თავზე ქუდი სოკოს უგავს
ტანზედ პალტო და ჟილეტი
მოყვითალო ფეხსაცმელი
წინაც გადაჭრილი წვეტი.
ხელში წკეპლა უკავია,
თითქოს მატყლი აქვს საპენტი,
აქეთ ვკითხე, იქით ვკითხე,
სთქვეს არისო დეკადენტი“ [გაზ. „ივერია“. 1904: №13].

რაც შეეხება პალტოს, იგი თბილისის ჰავისთვის ბევრს შეუფერებლად მიაჩნდა. ამის შესახებ არაერთხელ დაიწერა გაზეთ დროების ფურცლებზე.

ძველი თაობის პროტესტის მიუხედავად, მამაკაცთა სულ უფრო მეტი რაოდენობა, მისი პრაქტიკულობისა და მოხერხებულობის გამო, ევროპულად იმოსებოდა, რასაც საქალაქო ცხოვრების პირობები და მასში ჩაბმული მამაკაცის ყოველდღიური საქმიანობა მოითხოვდა.

რაც შეეხება, ქართველი ქალის ჩაცმულობას, მისი სრული სახეცვლილება, მამაკაცებისაგან განსხვავებით, შედარებით გვიან მოხდა.

ქართველი ქალის ეროვნული კოსტიუმის ძირითად ელემენტთაგან – ქართული კაბა, ლეჩაქი, ჩიხტი-კოპი, წინდები და ქოშები, მანდილოსნებმა, თავდაპირველად, ქოშები დათმეს, მის ნაცვლად ფეხსაცმელები მოირგეს, რომლის ხმარებაც საყოველთაოდ გავრცელდა. იგი მრავალგვარი იყო: ქუჩაში სასიარულო ფეხსაცმელები, შემდეგ – შტიბლეტები, გასასვლელი – ატლასის ფეხსაცმელი. მოდიდან გამოვიდა უქუსლო, ჯვარედინშესაკრავიანი ფეხსაცმელი, რომელიც მხოლოდ მეჯლისებზე იცვამდნენ (შემდეგ ბალეტს შემორჩა).

ევროპული ფეხსაცმელების შემოღებას ყველა ერთნაირად არ შეხვედრია. ზოგისთვის ეს ამბავი აღშფოთების საგანიც კი გამხდარა [Сборник газеты Кавказ (Второе полугодие 1848 года). 1848: 191]. ბატონიშვილი მარიამი ამის შესახებ გრ. ორბელიანს შესჩიოდა: „უი, სირცხვილო! გაგონილა, ოთარის ცოლსა ქოშები გაუხდია და ბაშმაკები ჩაუცვამს“. ბატონიშვილი წუხდა, რადგან გრძნობდა, ახლშემოსულ ერთ ცვლილებას სხვა დანარჩენიც მოჰყვებოდა. გრ. ორბელიანის შეკითხვაზე – „მერე ბატონო, რაო, რომ ბაშმაკები ჩაუცვამს?“, – მარიამმა უპასუხა: – „ისა შვილო, რომ დღეს ქოშები გაიხადა, ხვალ სხვასაც გაიხდის“ [მეუნარგია იო. 1954: 40].

ბარონი ფონ ჰაკსტჰაუზენი 1843 წლის თბილისური შთაბეჭდილებების გადმოცემისას ფეხსაცმელებსაც ეხება. იგი აღნიშნავს, რომ ამ დროს საზოგადოების ყველა ფენა ქართულ კოსტიუმს ატარებდა. მასში ფეხსაცმლის სახით პირველი ცვლილება ქალებმა შეიტანეს. ქართულ კოსტიუმში სიახლე მხოლოდ ფეხსაცმელი იყო. ქალები ატარებდნენ ტყავისგან შეკერილ ფეხსაცმელს, ქუჩაში – მაღალქუსლიან „ტუფლებს“. პირველად ისინი თითით საჩვენებელი ყოფილა. 1857 წლისთვის ევროპული ფეხსაცმელი მაღალი ფენის საზოგადოების ყველა ქალებს ეცვათ და საშუალო ფენაშიც საკმაოდ გავრცელებულა. ამავე დროს, ყველას ჩიხტი-კოპი ეხურა, რომელსაც იგი უწოდებს „მხატვრულ თავდახურვას გრძელი, თეთრი, გამჭვირვალე ვუალით“ [Гакстгаузен А. 1857: 41].

ახალი მოდის ფეხსაცმელი მანდილოსნების მზითვის წიგნებშიც სახელ-

დება, მაგ., კაპიტან შერგილოვის ასულ გაიანეს (1852 წ.), ეფემიასა (1858 წ.) და სხვათა მზითვის სიებშია – „წყვილი ბაშმაკები. წყვილი ჩულქები... ჩულქი ნახევარი დუჟინი... წყვილი პოლსაპოშკი სამი წყვილი“ [იაშვილი მ. 1979: 247, 260, 268] და სხვ.

ახალი მოდის ფეხსაცმლის რამდენიმე ნიმუში საქართველოს ეროვნულ მუზეუმშიც ინახება. ესაა აბრეშუმის (შ-1633. სურ. 24), ზამშის (№შ-4213. სურ. 25), თეთრი (სსმ.№56-57/2-3. სურ. 26) და შავი ტყავის ქუსლიანი საპოჟკები, რომლებიც თასმებით იკვრებოდა.

ფეხსაცმლის შემდეგ ქალაქში პარიზული მოდის კაბები გავრცელდა.

XIX ს-ის განმავლობაში, განსაკუთრებით, ქალის ტანისამოსი გარეგნული ეფექტის მოსახდენად იყო განკუთვნილი. ასეთი იყო, მაგ., გამოყვანილი, ბოლოში გაგანიერებული კაბა რამდენიმე ფენა განიერი მაქმანით ირთვებოდა. მისი პატრონი თავისი ნელი ნაბიჯებით დიდად პატივსაცემი ფიგურა იყო. ტანისამოსი დღისა და საღამოს მიხედვით მკვეთრად იყო დაყოფილი. დღის კაბა გულდახურული იყო, საღამოს კაბა – გულამოჭრილი (სურ. 27). კაბის ბოლოში მაქმანების რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა. ამ დროს როტონდას, პელერინასა (სსმ.№10-974/1. სურ. 28) და მოსასხამ პალტოებს ატარებდნენ.

ამ პერიოდისთვის ასევე დამახასიათებელი იყო კოფთისა და ქვედაკაბის ტარება (სსმ.№ 45-57/12. სურ. 29).

წელში გამოყვანილი კაბისთვის კორსეტი გამოიყენებოდა (№შ-265. სურ. 30).

ყურადღებას იპყრობს კორსეტებით ა. დიუმას დიდი დაინტერესება. 1859 წელს მეფისნაცვალ ბარიატინსკისთან საახალწლო შეხვედრაზე ყოფნისას პარიზული მოდის შესაბამისად გამოწყობილი ქართველი მანდილოსნების სილამაზით მოხიბლული ა. დიუმა კორსეტების შესახებ ვრცლად საუბრობს: „იმ დროს, როცა მე თბილისში ჩავედი, ქალები ძალზე გართულნი იყვნენ ერთი რამით. თავად გ-ს მეუღლეს ჩამოეტანა პლასტიკური კორსეტი და მის უიმისოდაც წვრილ წელს ისე მოერგო ამ ახალი გამოგონების წყალობით, რომ ქალბატონ ბლოტთან ტევა აღარ იყო მთხოვნელებისა... ჩემო კარგო მკითხველო, ნუ მკითხავ, როგორ გავიცანი ბონვალეს კორსეტები, რადგან ამაზე პასუხს ვერ გაგცემ. მოხდა ისე, რომ იმ საქმიანობაში, რომელიც პარიზიდან წასვლის წინ შემთხვევამ გამიჩინა, პლასტიკური კორსეტებიც ერია“. აქედან ჩანს, რომ იგი სავაჭრო საქმიანობითაც დიდად დაკავებული ყოფილა [დიუმა ალ. 1967: 360].

ქალის ჩაცმულობაში კორსეტის გამოყენების წინააღმდეგ ევროპის პერიოდულ გამოცემებში უამრავი წერილი გამოქვეყნდა. ამასთან, ეს მტკივნეული თემა ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც აისახა. ამის მაგალითია გი დე მოპასანის ნოველა „მახინჯების დედა“. კორსეტი არაერთი შარჟისა თუ კარიკატურის თემაც გამხდარა (სურ. 31).

ეს საკითხი არც ქართულ გაზეთებს დაუტოვებიათ უყურადღებოდ, სადაც კორსეტმოჭერილი ქალების შესახებ საუბრობდნენ: „რამდენჯერ შევხვედრივარ სადილზე ზოგიერთ ქალს, რომელიცა მშიერი ამდგარა და ფერ წასულს გაუწევია შინისკენ, რა არის მოდური ვიყო და ჭამას ვინ დასდევსო!...“ [მოლაყბე[6]. 1860: 147]. კორსეტი ხშირად იუმორის საგანიც ყოფილა:

„ქალს ქართულად თავი ჰხურავს,

[6] მოლაყბე – ფსევდონიმია მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილისა [გრიშაშვილი ი. 1987: 34].

ტანზე აკრავს ძვლის კორსეტი.
აქა ვკითხე, იქით ვკითხე,
სთქვეს, არისო დეკადენტი“ [გრიშაშვილი ი. 1963: 20].

ქართული ჟურნალ-გაზეთები გმობდნენ კორსეტს, საუბრობდნენ მისი გამოყენების მავნებლობაზე, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ქალებისათვის, რომლებიც ზრდასრულნი არ იყვნენ. მათი აზრით, მოჭერილი კორსეტი ხელს უშლიდა შინაგანი ორგანოების ნორმალურ მუშაობას და აგრეთვე ჯანსაღი ბავშვის დაბადებას. ამასთან დაკავშირებით ჟურნალ ცისკარში მ. თუმანიშვილი წერდა, რომ „ერთი გასათხოვარი ქალი პარიჟის პირველ საზოგადოებაში, ... ტანცაობის დროს უცებ წაიქცა თურმე და მოკუდა... ჰაქიმებმა... ნახეს რომ კარზეთებისგან იყო მკუდარი. თურმე კარზეთების ძალიან მოჭერით, გულღვიძლი შეიწროებინა ისე, რომ დაიარავებოდა“ [მოლაყბე. 1860: 147].

XIX ს-ის შუა წლებში მხატვრებს ქართული კოსტიუმის დასახატავად მისი სრული კომპლექტი საძებნელი გახდომიათ. ამის შესახებ გრ. ორბელიანი ნიკო ჭავჭავაძეს წერდა: „მოვიდა გამოჩენილი ევროპაში მხატვარი ზიჩი, რომელსაც სურდა დაეხატა კარტინკისათვის „დემონ“ ქართველი კაცი და ქალი ძველებურის ტანისამოსით და ვერავინ ვიპოვეთ. ღმერთმა უშველოს ტასო ოგლობჟიოს. ამან მისცა თავის საქორწინო ტანისამოსი ყანჩითა, ჯიღითა, ქინძისთავებითა და ძველებურის ნივთებითა და ამან დიდად გაახარა ზიჩი[7] [გრიშაშვილი ი. 1963: 268].

ასე განათლდა, ასე წახდა საქართველო, რომ თავისი აღარა უნდათ რა და დიდად ჰრცხვენიათ ქართულად ჩაცმა! ოჰ, ოჰ, კნიაზო ნიკო, დიდათ სამწუხაროა!“ [გრიშაშვილი ი. 1963: 142]

1848 წლიდან, რევოლუციის დამარცხების შემდეგ, მოდების ფუძემდებლად ისევ საფრანგეთის დედაქალაქი რჩებოდა. ამ პერიოდის მოდური ტენდენცია იყო კრინოლინი. 60-იანი წლებიდან კრინოლინი პარიზიდან ევროპის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა [Кибалова Л., Гербенова О., Ламарова М. 1987: 271]. მის შემოტანას თბილისში ქალები განსაკუთრებული მოწონებით შეხვდნენ თავდაპირველად, ზოგიერთმა ეს ქვედაკაბა ქართულ კაბას შეუხამა (სურ. 32).

კრინოლონი ძალზე განიერი იყო. ქვედაკაბას ჯერ ცხენის ძუას უკეთებდნენ, რათა კაბა განზე დამდგარიყო (Grin – ნიშნავს ცხენის ძუას და კრინოლინიც ამიტომ ეწოდა). 1956 წლიდან გამოიგონეს ხელოვნური კრინოლინი, რომელიც ფოლადის რგოლებისაგან შედგებოდა. მისი სიდიდე ფიგურას სოლიდურ იერს სძენდა (სურ. 33).

კრინოლინი ყველას აიძულებდა, ჯერ კიდევ შორიდან ყურადღება მიექციათ მისი მფლობელისათვის. საღამოს კაბას ღრმა დეკოლტე ჰქონდა და ბაფთებითა და მაქმანებით იყო გაწყობილი. ქსოვილთაგან გამოიყენებოდა: აბრეშუმი, ხავერდი, ტაფტა, მოარი და სხვ. ეს ქსოვილები ძვირი ღირდა. ამიტომ გავრცელდა შედარებით იაფი ქსოვილებიც: მუსლინი, დოლბანდი და ტიული.

თბილისში კრინოლინის გამოჩენისთანავე მას კაბა ხაბარდა უწოდეს.

[7] მიხაი ზიჩი (1827-1906), უნგრელი ფერმწერი და გრაფიკოსი. 1859 წლიდან რუსეთის საიმპერატორო კარის მხატვარი. 1881-1882 წლებში ცხოვრობდა კავკასიაში. მან ქართველი ინტელიგენციის თხოვნით დაასურათა „ვეფხისტყაოსანი“. გარდა ამისა, ქართულ თემაზე რამდენიმე ტილოც შექმნა.

გაზეთები მის შესახებ ფელეტონებს აქვეყნებდნენ: „საკვირველ სინამდვილით გამოხატავს ჩვენს ენაზედ სახელი – ხაბარდა კრინოლინის თვისება. თითქოს მედროშკე მოქრის შუა ბაზარში ხაბარდის ყვირილით. თითქოს ხალხს აპობსო, ისე დააჭენებენ ჩვენი ხაბარდიანი აჯილღები... ქალებს მოსწონთ ხაბარდები, რომლებიც განზე აყენებს ხალხს“ [გაზ. „დროება“. 1853: №53].

ამგვარ კაბას მეტი ქსოვილი ესაჭიროებოდა და სახმარადაც ძალზე მოუხერხებელი და არაპრაქტიკული იყო. საკმარისი იყო დაჯდომის დროს არასწორი მოძრაობა, რომ კაბა ფორმას კარგავდა, ხოლო კაბის პატრონი სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა [გვათუა ნ. 1967: 90]. ამიტომ მასზე ფელეტონები ხშირად იწერებოდა, ჟურნალებში კი კარიკატურები იხატებოდა (სურ. 34).

ქუთაისიდან ამ მოდას ნ. ნიკოლაძეც გამოეხმაურა სტატიით: „ხაბარდა და ლოტო ქუთაისში“, რომელიც 1860 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა: „ქუთაისში, ხაბარდა დიდ მოდაშია. შესანიშნავია, რომ ეს ქალაქი ასრულებს პარიჟის ბრძანებებს მოდების ნაწილზედ (ყველამ იცის, რომ პარიჟიდან გამოდის ახალი მოდები). მაგრამ, როდესაც ეს ბრძანება გამოიცვლება, მაშინ კი არ დაყობა პარიჟს ნებაზედ. ასე რომ, ქუთაისში შეიძლება, კაცმა ნახოს ყოველი ხნის ტანისამოსი, ძველი და ახალი“ [ქუთაისის მეჭორე. 1860: 134, 135]. შემდეგ იუმორითვე აგრძელებს თხრობას, რომ ამ კაბების გადამკიდე, ქმრებისთვის სახლში ადგილი აღარ იყო. პატარა მაღაზიის პატრონებს კი ურჩევს, ამგვარი კაბების დასატევად ერთი დიდი მაღაზია აეგოთ. კრინოლინის დანახვისას იგი თავის პირველ შთაბეჭდილებას ასე გადმოგვცემს: „წინ რომ გავიხედე, ორი ქალის მეტი არავინ მოდიოდა და მათ მთელი ბულვარის გზა დაეჭირათ. რამდენი ქალიც შემომეყარა, ყველას რაღაც რგოლებიანი კაბები ეცვათ. მე ანწლის რგოლები მეგონა. სახლში რომ მივედი, ვკითხე, რა არის ის რგოლები მეთქი? მითხრეს, – ხაბარდა არისო“ [ქუთაისის მეჭორე. 1860: 136, 137].

მ. თუმანიშვილის გადმოცემით „იმისთანა ქალს, რომელიცა ისრე რომ დავაყენოთ, სწორედ ერთი ციდა ალავი უჭირავს, – და თავისი ხაბარდით იმოდენა ალავი უპყრია... რომელზეც შეიძლება თითქმის ათი კაცი მოთავსდეს!... მე გავზომე ერთს მაღაზიაში ეს ხაბარდა, რომელსაცა გამოუვიდა გარშემო ...ოთხი ადლი.! ერთს დიდს ქართულ დარბაზში ამის მიხედვით ათი ქალიც ვერ მოთავსდება!“ [მოლაყბე. 1860: 144, 145].

კრინოლინისთვის საჭირო ფოლადის კარკასის ნაცვლად, რომელიც ხშირად ტყდებოდა, საქართველოს პროვინციებში, განსაკუთრებით, იმერეთში, ქალები კაბის განზე დასაყენებლად ზოგჯერ ვაზის წკნელებსაც იყენებდნენ.

ვინმე ფულარიას ასულ სოფიოს მზითვის (1865 წ.) ჩამონათვალში სხვა სამოსთა შორის ხაბარდაც სახელდება – „ოთხი იუბკა და ორი ხაბარდა“ [იაშვილი მ. 1979: 268].

60-იან წლებში მოდაში იყო გრძელი კაბები, ფოჩებითა და კაპიუშონით მორთული წამოსასხმელები, ე. წ. ალჟირკა გარიბალდის ქუდთან ერთად. გარდა გრძელი კაბებისა, შედარებით მოკლე კაბებსაც იცვამდნენ „რომლის ქვეშიდამაც იხედებიან ბლოტის მშვენიერი საპოჟკები“.

ხაბარდა კაბის მოდიდან გასვლის შემდეგ, 80-იანი წლებიდან, მოდაში შემოვიდა ტურნიურიანი კაბები შლეიფით (სურ. 35). ტურნიური საჯდომზე

ხელოვნური დამატება იყო, კეთდებოდა ცხენის ძუისაგან ან ფოლადის მავთულებისაგან და კაბის ქვეშ თასმებით მაგრდებოდა (სურ. 36). კაბა ისევ შლეიფით ბოლოვდებოდა, წელი ისევ წვრილი უნდა ყოფილიყო.

70-იანი წლების II ნახევარში ევროპაში ტურნიური მოდიდან გამოვიდა, მაგრამ 80-იან წლებში მას ისევ დაუბრუნდნენ. 1885 წელს მისი ზომები დაპატარავდა და ამავე წლების დასასრულისთვის საბოლოოდ გაქრა.

გაზ. „დროება" ამ ჩაცმულობას ასე ეხმიანებოდა:

„კაბა უნდა იკეროს ოცდა ხუთ არშინიდამ,
რომ სამ არშინამდისინ დასთრევდეს უკანიდამ,
გზებსა კარგათა ჰგვიდეს, მიწას ჰკრებდეს ძირიდამ,
თუ ამ გვარი არ ეცვას, ვერ გამოვა შინიდამ.
...ძალიან სირცხვილია ქალს მოდნურათ არ ეცვას;
ცხენივით უნაგირი წელ ქვევიდამ არ ედგას" [გივიშვილი დ. გაზ. „დროება". 1876: №45].

აი, ასე შეამკო გაზეთმა პარიზული ყოვლისშემძლე მოდა. ამ მოდაზე რ. ერისთავმა თქვა: „ქალებს დასთრევთ კუდები, თითო გუთნის გაშლაზე" [ერისთავი რ. 1880: 164, 165].

1885 წლის 31 დეკემბერს საახალწლო სურვილებს შორის ი. ჭავჭავაძემ ესეც ისურვა: „შეიძლება ჩვენმა ქალებმა ქართული ლაპარაკი აღარ ითაკილონ, იქნება რაღაცა დაისწავლონ, იქნებ დაისწავლონ კიდეც და დედა-ძერობანას სათამაშოდ მოწყობილი ტურნიურები, როგორც იყოს ცრემლის ფრქვევით დასთმონ" [ჭავჭავაძე ი. 1986: 335].

XIX ს-ის II ნახევრიდან ნელ-ნელა შლიაპაც შემოვიდა მოდაში და დიდი მნიშვნელობაც შეიძინა. დროთა განმავლობაში მისი ზომები სულ უფრო იზრდებოდა. მას რთავდნენ ბაფთებით, ყვავილებით, მაქმანებით. მუშტაიდის ბაღში მოსეირნეთა შორის, ლეჩაქიანების გარდა, შლიაპოსნებიც შეიმჩნეოდნენ: „სკამებზე სხედან საქართველოს მშვენიერი და წყნარნი ასულნი. ბევრ მათგანს ლეჩაქი ჰხურავს. სხვები ევროპულად არიან ჩაცმულნი. მათი გასაოცარი შავი თვალები ბრწყინავენ ახალმოდური შლიაპის ქვეშ" [ლაისტი არ. 1963: 190]. თამარ ბეგიაშვილის მზითვის (1896) ნუსხაში დასახელებულია – „ერთი შლიაპა ზამთრისა. ერთი შლიაპა ზაფხულისა" [იაშვილი მ. 1974: 302].

1870 წელს უკვე ასეთი სურათია: „რომ ნახოთ, იტყვით ეს პარიჟის კეკლუცები აქ ვინ მოაგროვაო. შლიაპიდან დაწყებული მაღალქუსლიან კოხტა პოლსაპოჟკებამდის სულ პარიჟის წესზედ არიან აკეწწლულნი" [გაზ. „დროება". 1870: №12].

ამგვარი სამოსის მომსწრე ძველი თაობა წარსულის მონატრებასთან ერთად გულში ტკივილს ინახავდა. ამირინდო დებედაძე, რომელსაც გადაგვარებული ქალაქი აღარ იზიდავს, შეწუხებული ჩივის: „ხომ ჩვენი ქალაქია, მაგრამ იქ გული აღარ მიდგება, თითქო ჩვენები აბარგებულან და გახიზნულან და სხვები დასახლებულანო. გული გულს აღარ ეკარება და სურვილი სურვილსაო. ლეჩაქი რა არის, ლეჩაქიც კი ვეღარსად დაგინახავს, თითქო ნამუსთან ერთად ისიც მოუხდიათ და გადაუგდიათო" [ჭავჭავაძე ილ. 1985: 364].

ძველი თაობა განსაკუთრებით ლეჩაქის გადაგდებას განიცდიდა. თუ მამაკაცისთვის თავსაბურავი ვაჟკაცობის სიმბოლო იყო, დედაკაცისათვის კი მანდილი – კდემამოსილების გამოხატულება.

80-იანი წლების ბოლოს იმავე აზრისაა გაზ. „ივერია": „არ იქნება 50 თუ

60 წელიწადი, როდესაც ჩვეულებრივი თავდაცულობა იყო. ჩვენსავე ხსომაში ჩვენმა მანდილოსნებმა ჯერ აიხსნეს პირის რიდეები, მერე მოიხადეს ჩადრები, თან გააყოლეს ქათიბები, შემდეგ მოიშვლიპეს თავები, რადგანაც ძალიან ამძიმებდათ თავის დახურვა“ [გაზ. „ივერია“. 1889: №85].

კოსტიუმის აუცილებელი ნაწილი იყო ხელთათმანი, მარაო, ქოლგა, რომლებიც ფერებით ტანსაცმელთან იყო შეხამებული.

მზითვის წიგნის არაერთი ნუსხაში გვხვდება მათი ჩამონათვალი. მაგ., ანნა ზურიევის მზითვის წიგნში (1840) – „პერჩატკი.... ქოლგა წითელი“ [იაშვილი მ. 1979: 221], სოფიო გაბაშვილთან (1843) – „ერთი ქოლგა“ [იაშვილი მ. 1979: 230-231], თამარ ბეგიაშვილთან (1896) – „ნახევარი დუჟინი ფერჩატკი ზამშისა. ერთი ქოლგა“ [იაშვილი მ. 1979: 301]. მამაცაშვილის ქალის მზითვში – „ერთი სამზეო ზონტიკი“ [იაშვილი მ. 1979: 267] და სხვ.

ჩამოთვლილი აქსესუარების თვალსაჩინო ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდებშია დაცული. აქ შეხვდებით ფრანგული, ინგლისური, გერმანული თუ რუსული წარმოების ტყავის (შ-4271/2; შ-4880. სურ. 37; 38), ნატისა (შ-4950. სურ. 38) თუ მაქმანის (შ-1691/2; შ-2000. სურ. 40, 41) ხელთათმანებს, არაჩვეულებრივ მარაოებსა და ქოლგებს. მათი ნაწილი მემორიალურია. მათ შორის აღსანიშნავია ეკატერინე ჭავჭავაძისა და სამეგრელოს მთავრის – დავით დადიანის ასულ სალომეს (1848-1913 წწ.) აბრეშუმის ქსოვილის ყვავილფოთლოვანი მოტივით გაფორმებული მარაო (სსმ. №13-1956/10. სურ. 42) ქართული მონოგრამით – სალომე [შარიქაძე თ. 2015: 67], ეკატერინე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას ფრანგული წარმოების მზის ქოლგა (სსმ. №16-62/1. სურ. 46) [შარიქაძე. თ. 2014: 483], პოეტ ვახტანგ ორბელიანის ასულ, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის (1852-1941) შავი ფერის ტიულის, ოქროთი შემკული სპილოს ძვლის ღერძიანი ქოლგა (სსმ. №74-64/1. სურ. 43) და ორი ცალი მარაო [შარიქაძე თ. 2015: 56-57]. ერთი მათგანი შავი აბრეშუმის მაქმანისაა (სსმ. №43-1957/1. სურ. 44), მეორე მარაოს ღერძის ფირფიტები ოქროთი ინკრუსტირებული სადაფისაგან შედგება, ქაღალდისაგან შემდგარ ზედა ნაწილზე კი ფრანგი მხატვრის, ანტუან ვატოს, სურათის ასლია აღბეჭდილი (სსმ. №74-1964/2. სურ. 45).

არანაკლებ საინტერესოა არასახელობითი მარაოების ნაწილი, რომელთაგან ზოგიერთი სირაქლემას ბუმბულისაგან (№შ-3744. სურ. 46), ძვირფასი აბრეშუმისა და მაქმანებისგანაა დამზადებული, ნაწილის ზედაპირს კი მრავალგვარი ფერწერული სიუჟეტები ამკობს, მარაოს ღერძებად ნაწილობრივ ოქროთი დაფერილი ლითონის, ინკრუსტირებული სპილოს ძვლის ან სადაფის ფირფიტებია გამოყენებული. საინტერესოა 1889 წლით დათარიღებული მარაო, რომლის ლითონის თითოეულ ფირფიტას ეიფელის კოშკის მოოქრული გამოსახულება ამშვენებს, მის ფერწერულ ზედაპირს კი – პარიზის ხედი ცენტრში ეიფელის კოშკით (სსმ. №67-976/1. სურ. 47).

ეროვნული მუზეუმის ფონდებში ქოლგებიდან, ძირითადად, მზის ქოლგებია წარმოდგენილი. მათი ნაწილის ზედაპირი ულამაზესი მაქმანისაა (სურ. 43), ნაწილი აბრეშუმის (№შ-3763. სურ. 48) ან დაქარგული ქსოვილისა (სსმ. №16-62/1. სურ. 49). მათს სახელურებად კი სპილოს ძვალი (სურ. 43), ხე, ლითონი ან მოხატული ფაიფურია გამოყენებული (სსმ. №60-57/2. სურ. 50).

ეთნოგრაფიის ფონდებში დაცული ტყავისა და ქსოვილის ხელთათმანები, უმეტესად, სიგრძით იდაყვამდეა (სურ. 37, 38, 40). ტყავის ხელთათმანებთან

ერთად ასევე ინახება მისი ჩაცმისათვის განკუთვნილი მოწყობილობა – მაშა (შ-2620. სურ. 39). მაქმანებით გაწყობილი აჟურული ქსოვილის ხელთათმანების ნაწილი უთითოა, ე.წ. მიტენკები, რომლებიც საღამოს კაბის აქსესუარია (სურ. 40-41).

XIX ს-ის განმავლობაში, ქართული ტანისამოსის ევროპულით შეცვლის პროცესთან ერთად, ცხადია, თანდათან გაქრა და თვალს მიეფარა ქართულ ჩაცმულობისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი, ძვირფასი თვლებით შემკული სამკაულ-მოსართველები და ახალი მოდის შესაბამისი გახდა. თუ რა მდიდრული იყო ის ძვირფასეულობა, რომელიც ეროვნულ სამოსელს მეტ ბრწყინვალებას აძლევდა, ამისათვის საკმარისია გავეცნოთ ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნს, სადაც ყველაფერი დაწვრილებითაა აღწერილ-დასურათებული.

„სამკაულნი და საუნჯენი კაცთაგან მიუწდომელნი, მარგალიტნი უსასყიდლონი, ოქრო და ვერცხლი აღუწერელნი"...

ჩაცმულობის აღწერა, ქუდით იწყება. იგი მრავალი მარგალიტით შემკული სიასამურის ბეწვისაა. ჩამოთვლილია ძვირფასი თვლებით მოოჭვილი რამდენიმე ჯიღა. საპატარძლოს თავსამკაულს–იალქანს, ერთი დიდი მარგალიტი, სხვა მრავალი მომცრო ზომის მარგალიტი, აგრეთვე ზურმუხტის, იაგუნდის თვლები და ოქროს ჯაჭვები ამკობს.

„პირის მარგალიტი ერთი დიდი და პატიოსანი არის მარცვალი დიდროვანი (მარგალიტი) სამოცდაშვიდი, შიგ ნარევი ხოშორი მარგალიტი სამოც დაშვიდი თავისის ოქროს მურასას ჯაჭვებითა, ოთხის მურასას კავებითა.

საყურე წყვილი – ერთი, ორის ყირმიზის ბადახშანის ლალითა, ორის ობლის მარგალიტითა, ორის ნიშაბურის ფირუზითა, თავისის მურასის ჯაჭვებითა, შიგ სხედს ყირმიზი იაგუნდი ოცდათექსუმეტი...

...ყელსაბამი ერთი კარგი და პატიოსანი, ხუთის-ხუთის ოქროს ქულიჩითა, შიგ სხედს ფრანგ-ფასადი, ყირმიზი იაგუნდი-ცხრა, ყირმიზი ლალი-სამი, ლურჯი იაგუნდი – ორი, ხოშორი პატიოსანი მარგალიტი – ორმოცდაჩვიდმეტი, მრავლის ოქროს ქერითა და ბირკითა, წურილის იაგუნდითა[8] და ფირუზითა და სილსილებით შემკული". ამას მოსდევს მრავალნაირი დანიშნულების, სხვადასხვა ჩაცმულობის ძვირფასი სამკაულების აღწერა: ასობით ოქროს კილიტები, ძვირფასი თვლები, ოქროს ჯაჭვები, ღილკილოები და ა. შ.

დასახელებულ ძვირფასთვლიან ბეჭედთა უმრავლესობა ალმასებით ყოფილა შემკული. აღწერილია ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვებისაგან შედგენილი კრიალოსნები ოქროს „გოგრებითა" და „ბირკებით" [საქართველოს სიძველენი. 1910: 483, 484]. პ. იოსელიანი სინანულით შენიშნავს, რომ რუსი მოხელეების საქართველოში გამოჩენის შემდეგ ამგვარი ძვირფასი ნივთები გაფანტულია იმ მიზეზით, რომ „ქართველთა დაყიდეს იგინი, ჰსცვალეს რუსთა ხელოვნებისა სამკაულთა ზედა და სახმარებლად უგულებელს-ჰყვეს" [იოსელიანი პლ. 1895: 37].

ევროპული ყოფის, ზნე-ჩვეულებებისა და ჩაცმულობის გავრცელებას მოჰყვა მაღალი წრის საზოგადოების სასაუბრო ენაში რუსულ-ფრანგული სიტყვების დამკვიდრება. ასეთ ვითარებაში ქართულად მოლაპარაკე

---

[8] იაგუნდი (არაბული სიტყვა) – ძვირფასი თვლების კრებითი სახელი. ცნობილია მისი ხუთი სახეობა. მზითვის წიგნში ყველაზე ხშირად ლალი და საფირონი გვხვდება. დასახელებულია აგრეთვე ყვითელი იაგუნდი.

მანდილოსანთა რიცხვი საკმაოდ შემცირებულია, რის შესახებაც ილ. ჭავჭავაძე შენიშნავდა: შეიძლება ჩვენმა ქალებმა ქართულად ლაპარაკი აღარ ითაკილონო. ევროპულად გამოწყობილ ქალებს აღარც სიტყვა – „დედაკაცი“ აღარ მოსწონდათ – სიტყვა, რომელიც ყოველთვის ქვეყნისა და ოჯახის ბურჯის გამომხატველი იყო. „დღეს დედაკაცი რომ ან თავადის, ან აზნაურის ქალს, ან ერთობ შლიაპოსანს რომ უწოდოთ, გიწყენთ, იუკადრისებს, ითაკილებს, მე ქალი ვარ და არა დედაკაციო... ცოდვა არ არის „დედაკაცი“ – ეს ბრძენი და ახოვანი ადამიანი „ქალად“ დავადნეთ“, – აცხადებს ილ. ჭავჭავაძე [ჭავჭავაძე ილ. 1986: 384].

დროთა განმავლობაში ევროპული მოდა საზოგადოების ყველა ფენაში იკვლევდა გზას. ეს პროცესი თვალნათლივ ხალხმრავალ ადგილებში ჩანდა, მაგ., მატარებლის მგზავრებს შორის იყვნენ: „კოხტად მოკაზმული ქალები, წმინდად ჩაცმული კაცები; იმათ შორის ბრჭყვიალებს ექსილბანტები, პაგონები, გაწმენდილი და დაწმენდილი ცილინდრები, ყოველ გვარი შლიაპები და ფურაჟკები; შიგ ჩარევიათ ჩვენებური ქუდები და პოეზიით სავსე ყაბალახები“ [გაზ. „დროება“. 1883: №150].

ქართული ჩაცმა-დახურვა ისე შემცირებულა, რომ ევროპულ მორთულ-მოკაზმულობაში შიგ ჩარეულა.

ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებმა სოციალური უთანასწორობის გაღრმავებასაც შეუწყო ხელი. „დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა“, – აცხადებდა ილია ჭავჭავაძე [ჭავჭავაძე ი. 1884: 713].

დროთა მსვლელობაში ქალაქის ღარიბი მოსახლეობა სულ უფრო მეტად იჩაგრებოდა, 1883 წელს ცხენის რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით ერთ-ერთმა ხმოსანმა განაცხადა, რომ მეორე კლასის ვაგონიც დაემატებინათ, „რათა მოშორებული იყოს ფაქიზი საზოგადოება უფაქიზოს“. ზაფხულის ცხელ დღეებში, როცა ქალაქის ბაღებში გრილოდა და ხალხმრავლობა იყო, ბაღის კარებში ჩამდგარი პოლიციელები ჩოხიანებს და განსაკუთრებით ჩუსტიანებს ბაღში არ უშვებდნენ [გაზ. „დროება“ 1883: №4].

XIX ს-ის დასასრულიდან და XX ს-ის დასაწყისიდან ჩაცმულობა უფრო გამარტივდა და სადა გახდა.

ევროპაში მოდების გასამარტივებლად დაწყებულ მოძრაობას ქართული პრესაც ეხმიანებოდა. მისი მიზანი იყო შრომისა და დასვენებისათვის საჭირო პრაქტიკული და ჰიგიენური ჩაცმულობის შემოღება და დანერგვა. ქართული გაზეთები აქვეყნებდნენ 1884 წელს „ლონდონის ჰიგიენური გამოფენისა“ და 1893 წელს „ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენის“ შესახებ მასალას. საუბარი ეხებოდა საკვებს, ბინის დგამ-ავეჯს, ტანსაცმელს. მას ადამიანის სწორად განვითარება კი არ უნდა შეეზღუდა, არამედ მისთვის ხელი უნდა შეეწყო. ევროპაში დაწყებულმა მოძრაობამ საქართველოშიც შემოაღწია: „მოდა არა თუ ჯიბისთვის, ჯან-მრთელობისთვისაც საზარალოა... ამიტომ ყველა გონიერი ადამიანი უნდა მიემხროს იმათ, ვინც წინააღმდეგობას უწევს მტარვალ მოდას და ისეთი ტანისამოსი შემოიღონ, რომელიც არც ჯან-მრთელობისთვის იქნება სავნებელი და არც ჯიბისთვის“, – რჩევას იძლეოდა გაზ. „კვალი“ [მოდების ისტორია. გაზ. „კვალი“. 1894: №5].

ჯერ კიდევ 1869 წელს ნიკო ნიკოლაძე ამ საკითხებზე მსჯელობდა: „ჩვენს დროში ცოლის რჩენის ხარჯი საჭმელში კი არა, ტანისამოსში და სტუმ-

რობაში გადის. ორიოდე იმისთანა ქალბატონს ვიცნობ, რვა დღეს უჭმელი დარჩება, ოღონდ კი ახალი მოსასხამი შეიძინოს, კვირა დღეს საყდარში – თუ კლუბში გამოსაფენად. ...მასში საშიში მოდა და პრანჭვაა. ამიტომაც, ჩვენს მშვენიერებს ვურჩევ... თავი მოიკავონ მიმბაძავი და დამღუპი პრანჭიაობისგან. რაც შეეხება უფრო სადად მოირთონ...ამათ რით ვერ გაუგიათ, რომ ალმტაცი, მომხიბლავი ქალში ბუნებაა და არა კაბა“ [ნიკოლაძე ნ. 1962: 511].

ყოვლისშემძლე მოდა ღარიბ კაცს უფრო მეტად აშინებდა. იგი ლამაზ და ჭკვიან ქალზე ოცნებობდა, მაგრამ იმასაც ითვალისწინებდა, რომ

„მოდნაზე არ მოსდიოდეს ფეთება
და შეეძლოს სახლში რამის კეთება“ [გორდაძე გ. 1893: 12].

იგივეს ნატრობდა დასაქორწინებელი ახალგაზრდა მამაკაცი:

„მოდნის ჟურნალებისა მას არ მართებს ვალები,
აი კარგი საცოლო, იმას ვენაცვალები“ [თეატრის მუშა[9]. გაზ. „თეატრი“. 1886: №22]

თბილისის პერიოდულ გამოცემებში ჩაცმულობასთან დაკავშირებით ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებები იბეჭდებოდა. ერთი ნაწილი უპირატესობას ეროვნულ ჩაცმულობას ანიჭებდა: საქართველოში – ქართულ ჩაცმულობას; რუსეთში – რუსულ კაფტანს, უმრავლესობა ფრაკის მომხრე იყო. ევროპული ტანისამოსის მომხრენი – ფულიანი ვაჭრები და მრეწველები ქედმაღლურად თავისთვის ყველაფერს ხელმისაწვდომად თვლიდნენ. გაზეთი «Современник»-ი გარკვევით სიახლის მხარეს დადგა. იგი შენიშნავდა: „არაფერი არ არის უძრავი, არც ბუნებასა და არც ადამიანის ცხოვრებაში. როგორც ყველაფერი, ისე ხალხური ტანისამოსი იცვლება სხვისით, როცა ამის დრო მოვა... არ არის საჭირო ძველის ძალით თავზე მოხვევა, როცა ამ ძველმა მოჭამა თავის დრო, დაკარგა ძალა შეეწინააღმდეგოს ახალს“ [газ. «Современник». 1847: №2].

ძველი თაობა, მდიდარი თუ ღარიბი, თავის ადრინდელ ეროვნულ ჩაცმულობას ძნელად ემშვიდობებოდა. მის მიმართ ნოსტალგია იგრძნობოდა, რაც, ამავე დროს, ცხოვრების ძველ წესებს, გარდასულ დროთა მოგონებებსა და მის მონატრებას უკავშირდებოდა.

XX ს-ის 20-იანი წლების ძველი თაობის წარმომადგენელთა მიერ შემორჩენილი ქართული ჩაცმულობის ელემენტების ცოცხალი სურათი წარმოადგინა ივანე იოსელიანმა თავის მოთხრობა „თეიმურაზ მესამეში“. აქ მკითხველი თვალს გაადევნებს ელისაბედ ჩერქეზიშვილის ქალს, რომელიც ჩიხტიკოპითა და ხელში კრიალოსნით, სიონის ქუჩით, სადღაც მიიჩქარის. უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი მორთულ-მოკაზმულობიდან მას მხოლოდ ჩიხტი-კოპი და კრიალოსანი შემორჩენია. მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი – თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელიც თავის ქვეყანას საერთოდ არ იცნობდა და ქართული ენისაც არაფერი გაეგებოდა, ბედუკუღმართობით სამშობლოდან გადახვეწილი და ამჯერად ტფილისში მოხვედრილი, უეცრად გარდაიცვალა. „მის ღარიბ კუბოს მთელი ტფილისის ბრწყინვალე წოდება მიჰყვებოდა. ეს იყო ყურთმაჯების, ფაფანაკების, ძველებური ხმლების და ხანჯლების, ჩიხტი-კოპიანი მანდილოსნების უკანასკნელი მასკარადი“ [იოსელიანი ივ. 1967:

[9] თეატრის მუშა – ფსევდონიმია ქართველ პოეტ იოსებ დავითაშვილისა (1850-1887) [გრიშაშვილი ი. 1987: 34].

679-691]. ასე ამთავრებს ჭრელი პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე დაწერილ პატარა, მაგრამ მრავლისმთქმელ მოთხრობას ავტორი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილმა „უპრეტენზიო მწერალი“ უწოდა.

დრო გადიოდა, ცხოვრებას თავისი ავ-კარგი თან მიჰქონდა.

XIX-XX სს-თა მიჯნაზე ქვეყნის პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, სამიმოსვლო გზების, სარკინიგზო ქსელის გაფართოებამ, ვაჭრობა-მრეწველობისა და ქალაქების ზრდა-განვითარებამ, ევროპის ქვეყნებთან დაახლოებამ ევროპული მოდის ჩაცმულობის სიახლეების შემოტანას ხელი შეუწყო, დააჩქარა და მისი ფართოდ გავრცელებისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა.

XIX ს-დან ქართველი ხალხი, თავისი საქმიანობისა და ახალწამოჭრილი მოთხოვნების შესაბამისად, დროთა მსვლელობაში ეროვნული ჩაცმულობიდან ევროპულზე გადავიდა.

XX ს-ის 30-40-იანი წლების შემდეგ ქართული ჩაცმა-დახურვა მხოლოდ თეატრის სცენას შემორჩა. თუმცა, საქართველოს თავადაზნაურთა საზოგადოების წევრებს – ქართველ მამაკაცებს დღესაც ამშვენებს ქართული სამოსი, რაც ძველი ისტორიის ლამაზი გამოძახილია.

**Ketevan Mushkudiani*, Nino Datunashvili***
*The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli ave., 0105. Tbilisi, Georgia
E-mail:nino.museum@gmail.com

# European Fashion Establishment in Tbilisi City Life in the 19th Century

## Summary

Historical, political and socio-economic changes in Georgia from the beginning of the 19th c influenced on society life little by little. Tbilisi became an administrative center of the Russian rule where high representatives of Russian authorities with numerous officials were settled.

Civil society development made a deep impact on clothing trends as well. It became more obvious after 1864 year reforms, providing trade and industry recovery and economic benefits. European costumes of that period together with Georgian national clothes, became more popular and soon got the leading positions in Georgia life.

Footwear were the first European fashion elements wich came to Georgia hater European elements commonly were reflected in clothes and head-gear style.

Trends from a fashion capital Paris firstly were acquired by Georgian nobility. Later, these trends were spreat in lower class Society as well.

## ბიბლიოგრაფია

**გაფრინდაშვილი მ. 1970:** $ 2. მოსახლეობის მატერიალური ყოფა. *სინ.* ტ. V. გვ. 593-602. თბილისი (რედ. ნ. გონაშვილი).

გივიშვილი დ. *„დროება“.* 1876: გაზეთი. №45. გვ. 3, 4. ტფილისი.

**გვათუა ნ. 1967:** *ჩაცმულობის ისტორიიდან. ქალის ქართული ჩაცმულობა XIX ს. და XX ს. დასაწყისი.* თბილისი.

**გორდაძე მ. 1893:** *ლექსნი.* თბილისი.

**გრიშაშვილი ი. 1963:** *ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა.* ტ. 3. თბილისი.

**გრიშაშვილი ი. 1987:** *ფსევდონიმების ლექსიკონი.* თბილისი.

**გუგუშვილი პ. 1968:** *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს.* ტ. 5. თბილისი.

**დიუმა ალ. 1967:** *კავკასია.* თბილისი.

***„დროება“.* 1853:** გაზეთი. №53. ტფილისი.

***„დროება“*. 1870:** გაზეთი. №12. ტფილისი.

***„დროება“*. 1878:** გაზეთი. №172. ტფილისი.

***„დროება“*. 1879:** გაზეთი. №40. ტფილისი.

***„დროება“*. 1880:** გაზეთი. №№155, 207. ტფილისი.

***„დროება“*. 1881:** გაზეთი. №№65, 66. ტფილისი.

***„დროება“*. 1883:** გაზეთი. №№4, 150. გვ. 1. ტფილისი.

**ერისთავი რ. 1880:** ბიძიასთან გამოხუმრება. *ივერია.* № 1. გვ. 155-192. ტფილისი.

**თეატრის მუშა.** გაზ. *„თეატრი“.* 1886: №22. გვ. 2. ტფილისი.

**თორელი. 1869:** მიმოხილვა**.** *მნათობი (სექტემბერ-ოქტომბერი).* გვ. 32-53. ტფილისი (რედ. ნ. ავალიშვილი).

**თუმანიშვილი ან.** ქალების პროფესიონალური ხელსაქმის სკოლა თბილისში. გაზ. *„დროება“.* 1884: №23. გვ. 1. ტფილისი.

**იაშვილი მ. 1979:** *მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნი).* თბილისი.

***„ივერია“*. 1889:** გაზეთი. №85. გვ. 3. ტფილისი.

***„ივერია“*. 1894:** გაზეთი. №36. გვ. 2, 3. ტფილისი.

***„ივერია“*. 1904:** გაზეთი. №13. გვ. 2. ტფილისი.

**იოსელიანი პლ. 1895:** *ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საროველოს რუსეთთან შეერთება.* ტფილისი.

**იოსელიანმა ივ. 1967:** თეიმურაზ მესამე. *ქართული მოთხრობა.* თბილისი.

**ლაისტი ა. 1963:** *საქართველოს გული.* თბილისი.

**მეუნარგია ი. 1954:** *ქართველი მწერლები.* 1. თბილისი.

**მოდების ისტორია. „კვალი“. 1894:** გაზეთი. №5. გვ. 11. თბილისი.

**მოლაყბე. 1860:** ხაბარდა. *ცისკარი.* № 6. გვ. 134-149. ტფილისი.

***ნათაძე გ.* 1942:** ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) „დღიურებისათვის“. *ლიტერატურის მატიანე.* გვ. 231-288. თბილისი (რედ. გ. ლეონიძე).

**ნიკოლაძე ნ. 1962:** *თხზულებანი.* თბილისი.

**ორჯონიკიძე ე. 1970:** § 3. ვაჭრობა. *სინ.* ტ. V. გვ. 63-74. თბილისი (რედ. ნ. გონაშვილი).

**რევიშვილი ჟ. 1975:** *ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია.* თბილისი.

**როდონაია ნ. 1961:** XIX ს. 70-80იანი წლების თბილისის მრეწველობის ხასიათის საკითხისათვის. *ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები.* ტ. VI. ნაკვეთი I. გვ. 71-85. თბილისი (რედ. ი. ანთელავა).

**სანდალა. 1926:** *საქართველოს მუშა და ხელოსანი ხალხის ცხოვრების ისტორიის მასალები I.* თბილისი.

***საქართველოს სიძველენი.* 1910:** ტ. III. ტფილისი.

**სეცსა. ფ. 26.** ან. №1. საქმე №5682. ფურც. 4.

**სეცსა. ფ. 2.** ან. №1. საქმე № 2051. ფურც. 37.

**სცსა. ფ. 26.** ან. №1. საქმე №75682. გვ. 4.

**სცსა. ფ. 2.** ან. №1. საქმე №2051. ფურც. 44, 45.

**სცსა. ფ. 26.** ან. №1. საქმე №5682. ფურც. 5.

**სცსა. ფ. 2.** ან. №1. საქმე №2051. ფურც. 37.

**სცსა. ფ. 2.** ან. №1. საქმე №4925. ფურც. 20-21.

**სცსა. ფ. 7.** საქმე №2229. ფურც. 132.

**სცსა. ფ. 17.** საქმე №669. ფურც. 18. გვ. 23.

**სცსა. ფ. 26.** ან. №1. საქმე №5682. ფურც. 35-36.

**სცსა. ფ. 26.** ან. №1. საქმე № №5682. ფურც. 9.

**სცსა. ფ. 26.** ან. №3. საქმე №5776. ფურც. 34.

**ქუთაისის მეჭორე. 1860:** ხაზარდა და ლოტო ქუთაისში. *ცისკარი.* №9. გვ. 134-138. ტფილისი.

**შარიქაძე თ. 2014:** მემორიალური ექსპონატების კვლევისათვის. *სემმ.* V (50-B). გვ. 469-493. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**შარიქაძე თ. 2015:** *მარაო საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.* თბილისი.

**წერეთელი აკ. 1990:** *ჩემი თავგადასავალი.* თბილისი.

**წერეთელი გ. 1988:** *პირველი ნაბიჯი.* თბილისი.

**ჭავჭავაძე ი. 1984:** *თხზულებანი (პუბლიცისტიკა. მეცხრამეტე საუკუნე).* თბილისი.

**ჭავჭავაძე ი. 1987:** *რჩეული ნაწარმოებები.* ტ. 3. თბილისი.

**ხოშტარია ე. 1970:** § 2. მრეწველობის განვითარება. *სინ.* ტ. V. გვ. 277-298. თბილისი (რედ. ნ. გონაშვილი).

**ჰაუქსტჰაუზენი ა. 2011:** *აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ.* თბილისი.

**АКАК. 1904:** т. 9. №528. с. 625. Тифлис.

**Гакстгаузен Ф. 1857:** *Путевые впечатления Августа Фон- Гакстгаузена.* ч.1. Санктпетербург.

**Дункель-Велинг К. К. 1865:** *Статистическое описание Тифлиса.* Тифлисъ.

**Зиссерман А. Л. 1879:** *Двадцать пять лет на Кавказе (1842-1867).*Часть 1. Санктпетербург.

**Кавказский календарь на 1849 годъ. 1848:** Закавказское первоначальное торговое дело и магазинъ мануфактурныхъ товаров въ Тифлисъ. с. 69-70. Тифлисъ.

***Кавказский календарь на 1850 годъ.* 1849:** Закавказское первоначальное торговое дело и магазинъ мануфактурныхъ товаров въ Тифлисъ. Тифлисъ.

***Кавказский календарь на 1853 годъ.* 1852:** О заграничной торговле Закавказскаго края. Тифлисъ.

***«Кавказ».* 1847:** Газета. #25. Тифлисъ.

***«Кавказ».* 1848:** Газета. ##42, 45. Тифлисъ.

***«Кавказ».* 1852:** Газета. #27. Тифлисъ.

***«Кавказ».* 1853:** Газета. #63. Тифлисъ.

***«Кавказ».* 1867:** Газета. #88; Тифлисъ.

***«Кавказ».* 1869:** Газета. #38. Тифлисъ.

***«Кавказ».* 1883:** Газета. #21. Тифлисъ.

***«Кавказ».* 1894:** Газета. #52. Тифлисъ.

**Кобяков Д. 1880:** *Краткий исторический очерк города Тифлиса с двумя видами Тифлиса: по Шардену (1670 г.) и Турнефору (1701 г.) и копиею с плана царевича Вахушта (1735 г.).* Тифлисъ.

**Кибалова Л, Гербенова О, Ламарова М. 1987:** *Иллюстрированная энциклопедия моды.* Прага**.**

***Отчет Тифлиской губернии за 1896 год.* 1897.** Тифлисъ.

***Сбор законов Россиской Имерии.* 1857:** т. 3 (Уставы о службе гражданской). Санктпетербург.

***Сборник Газеты Кавказ.* 1846:** Тифлисъ.

***Сборник Газеты Кавказ (Второе полугодие 1847 года).* 1848:** Тифлисъ въ насояшее время. Тифлисъ.

***Сборник Газеты Кавказ (Второе полугодие 1848 года).* 1848:** Очерки Тифлиса. Тифлисъ.

***«Современник».* 1847:** Журнал. #2. Санктпетербургъ (ред. А. Никитенко).

**Шадури В. 1953:** Выдаюшиеся деятели русской литературы о Грузии. Тифлисъ.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** აზიური სამოსის მკერავთა სახელოსნო

**სურ. 2.** ალ. ჭავჭავაძის სალონი

**სურ. 3.** ერევნის მოედანი

**სურ. 4.** გ. გ. ადელხანოვის ქარხნის ნაწარმი საიუბილეო გამოფენაზე

**სურ. 5.** იოსებ თარხან-მოურავის პორტრეტი. მხატვ. ჰელენე კიუ-ბერ-ფრანკენი. 1856 წ.

**სურ. 6**. გოგონა სკოლის ფორმაში (ფრაგმენტი ტილოდან „მოსალოდნელი ხიფათი“). მხატვ. ო. შმერლინგი

**სურ. 7.** მამაკაცთა გამოსასვლელი კოსტიუმი XIX ს-ში. ინგლისური მოდების ჟურნალი. 1849 წ.

**სურ. 8.** მამაკაცის ფრაკი. XIX ს. საფრანგეთი

**სურ. 9.** მამაკაცის სერთუკი. XIX ს. საფრანგეთი

**სურ. 10.** მამაკაცის ჟილეტი. XIX ს. საფრანგეთი

**სურ. 11.** მამაკაცის შარვალი. XIX ს.

**სურ. 12** მამაკაცის ჰალსტუხი. XIX ს. რუსეთი

**სურ. 13-14.** მამაკაცის ბაზთა. XIX ს. რუსეთი (მოსკოვი)

**სურ. 15.** ცილინდრი და ცილინდრის ჩანთა. XIX ს. საფრანგეთი

**სურ. 16.** მამაკაცის ქუდი. XIX ს. სანკტ-პეტერბურგი

**სურ. 17.** გენერალ-პოლკოვნიკ პ. ჩანჩიბაძის კუთვნილი გულისპირი. XX ს-ის I ნახევარი

**სურ. 18.** გენერალ-პოლკოვნიკ პ. ჩანჩიბაძის კუთვნილი საყელო. XX ს-ის I ნახევარი

**სურ. 19.** გენერალ-პოლკოვნიკის ნატის ხელთათმანი. XX ს-ის I ნახევარი

**სურ. 20.** მამაკაცის ფეხსაცმელი. 1896 წ. რუსეთი

**სურ. 21.** მამაკაცის ფეხსაცმელი. XIX ს-ის დასასრული – XX ს-ის დასაწყისი. ამერიკა

**სურ. 22.** მამაკაცის ქოლგა. XIX ს-ის დასასრული – XX ს-ის I ნახევარი

**სურ. 23.** იოსებ ბაზუნიძის ტროსტი. XIX ს.

**სურ. 24-26.** ქალის „პოლსაპოჟკები“. XIX ს-ის დასასრული – XX ს-ის I ნახევარი

**სურ. 27.** მანდილოსანთა სამოსი. XIX ს-ის დასაწყისი

**სურ. 28.** პელერინა. XIX ს.

**სურ. 29.** ქალის მოსასხამი და ქვედაკაბა. XIX ს.

**სურ. 30.** კორსეტი. XIX ს.

**სურ. 31.** კარიკატურა კორსეტზე

**სურ. 32.** ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის ფოტო

**სურ. 33.** კრინოლინის (ხაბარდა) კაბის შიდა კონსტრუქცია

**სურ. 34.** კარიკატურა კრინოლინის კაბაზე. მხატვარი დ. კრუკშენკი. 1850 წ.

**სურ. 35.** უცნობი ქალის ფოტო ტურნიურის კაბაში. 1850 წ.

**სურ. 36.** ტურნიურის კაბის შიდა მოწყობილობა

**სურ. 37.** ქალის ტყავის ხელთათმანი. XIX ს.

**სურ. 38.** ქალის ნატის ხელთათმანი. XIX ს.

**სურ. 39.** ქალის ტყავის ხელთათმანი და მაშა. XIX ს.

**სურ. 40.** ქალის გიპიურის უთითო ხელთათმანი („მიტენკა“). XIX ს-ის დასასრული – XX ს-ის დასაწყისი

**სურ. 41.** ქალის მაქმანით გაწყობილი, აჟურული ქსოვილის მოკლე, უთითო ხელთათმანი („მიტენკა“). XIX ს-ის დასასრული – XX ს-ის დასაწყისი

**სურ. 42.** სალომე დადიანის მარაო (ფრაგმენტი) მონოგრამით. XIX ს. საფრანგეთი

**სურ. 43.** მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მზის ქოლგა. XIX ს. საფრანგეთი

**სურ. 44.** მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მარაო. XIX ს. საფრანგეთი

**სურ. 45.** მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანისა და ანასტასია ორბელიანის კუთვნილი მარაო. XIX ს. საფრანგეთი

**სურ. 46.** მარაო. XIX-XX სს. დასავლეთი ევროპა

**სურ. 47.** მარაო. XIX ს. საფრანგეთი

**სურ. 48.** მზის ქოლგა. აბრეშუმი. XIX ს.

**სურ. 49.** ეკატერინე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას მზის ქოლგა. XIX ს. საფრანგეთი

**სურ. 50.** მზის ქოლგა. XIX ს. საფრანგეთი

## LIST OF ILLUSTRATIONS


**Fig. 1.** Tailor's atelier of Asian clothes
**Fig. 2.** Al. Chavchavadze's salon
**Fig. 3.** Yerevan square
**Fig. 4.** G.G. Adelkhanov's factory production of the Anniversary Exhibition
**Fig. 5.** Ioseb Tarkhan-Mouravi's portrait. Painter - Helene Kiuber-Franken. 1856
**Fig. 6.** A girl in school uniform (a fragment of the canvas "Expected Danger"). Painter - O. Schmerling
**Fig. 7.** Men's party suits in $19^{th}$ c. English fashion magazine. 1849
**Fig. 8.** Men's tailcoat. $19^{th}$ c. France
**Fig. 9.** Man's overcoat. $19^{th}$ c. France
**Fig. 10.** Man's waistcoat. $19^{th}$ c. France
**Fig. 11.** Man's trousers.$19^{th}$ c.
**Fig. 12.** Man's tie. $19^{th}$ c. Russia
**Fig. 13-14.** Man's ribbon. $19^{th}$ c. Russia (Moscow).
**Fig. 15**. Top hat and a bag for top hat. $19^{th}$ c.. France
**Fig. 16.** Man's hat. $19^{th}$ c. Saint Petersburg
**Fig. 17.** Chemisette of Colonel General P. Chanchibadze. First half of the $20^{th}$ c.
**Fig. 18.** Collar of Colonel General P. Chanchibadze. First half of the $20^{th}$ c.
**Fig. 19.** Gloves of Colonel General. First half of the $20^{th}$ c.
**Fig. 20.** Man's footwear. 1896. Russia
**Fig. 21.** Man's footwear. End of the $19^{th}$ – beginning of the $20^{th}$ cc. America
**Fig. 22.** Man's umbrella. End of the $19^{th}$ –First half of the $20^{th}$ c.
**Fig. 23.** Ioseb Babunidze's walking stick. $19^{th}$ c.
**Fig. 24-26.** Woman's short boots. End of the $19^{th}$ – First half of the $20^{th}$ cc.
**Fig. 27.** Woman's clothes. Beginning of the$19^{th}$ c.
**Fig. 28.** Pelerine. $19^{th}$ c.
**Fig. 29.** Woman's cape and skirt. $19^{th}$ c.
**Fig. 30.** Corset. $19^{th}$ c.
**Fig. 31.** Caricature on a corset
**Fig. 32.** Barbare Eristavi-Jorjadzi's photo
**Fig. 33.** Internal construction of a crinoline dress
**Fig. 34.** Caricature on crinoline dress. Painter – D. Krukshenki. 1850
**Fig. 35.** Photo of unknown woman in turnure dress. 1850
**Fig. 36.** Internal construction of a turnure dress
**Fig. 37.** Woman's leather gloves. $19^{th}$ c.
**Fig. 38.** Woman's suede gloves. $19^{th}$ c.
**Fig. 39.** Woman's leather gloves and pincers. $19^{th}$ c.

**Fig. 40.** Woman's guipure fingerless gloves. End of the $19^{th}$ – the beginning of the $20^{th}$ cc.

**Fig. 41.** Woman's lace short fingerless gloves. End of the $19^{th}$ – beginning of the $20^{th}$ cc.

**Fig. 42.** Salome Dadiani's hand fan with monogram (fragment). $19^{th}$ c. France

**Fig. 43.** Mariam Jambakur-Orbeliani's sun umbrella. $19^{th}$ c. France

**Fig. 44.** Mariam Jambakur-Orbeliani's hand fan. $19^{th}$ c. France

**Fig. 45.** Mariam Jambakur-Orbeliani's and Anastasia Orbeliani's hand fan. $19^{th}$ c. France

**Fig. 46.** Hand fan. $19^{th}$ -$20^{th}$ cc. Western Europe

**Fig. 47.** Hand fan. $19^{th}$ c. France

**Fig. 48.** Silk sun umbrella. $19^{th}$ c.

**Fig. 49.** Ekaterine Bagration-Gruzinskaya's sun umbrella. $19^{th}$ c. France

**Fig. 50.** Sun umbrella. $19^{th}$ c. France



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**



სურ. 8 **Fig.**



სურ. 9 **Fig.**



სურ. 10 **Fig.**



სურ. 11 **Fig.**



სურ. 12 **Fig.**



სურ. 13 **Fig.**




სურ. 14 **Fig.**




სურ. 15 **Fig.**









სურ. 16 **Fig.**



სურ. 17 **Fig.**



სურ. 18 **Fig.**



სურ. 19 **Fig.**



სურ. 20 **Fig.**



სურ. 21 **Fig.**



სურ. 22 **Fig.**



სურ. 23 **Fig.**



სურ. 24 **Fig.**



სურ. 25 **Fig.**



სურ. 26 **Fig.**



სურ. 27 **Fig.**



სურ. 28 **Fig.**



სურ. 29 **Fig.**



სურ. 30 **Fig.**



სურ. 31 **Fig.**



სურ. 32 **Fig.**



სურ. 33 **Fig.**



სურ. 34 **Fig.**



სურ. 35 **Fig.**



სურ. 36 **Fig.**



სურ. 37 **Fig.**



სურ. 38 **Fig.**



სურ. 39 **Fig.**



სურ. 40 **Fig.**



სურ. 41 **Fig.**





სურ. 42 **Fig.**



სურ. 43 **Fig.**



სურ. 44 **Fig.**



სურ. 45 **Fig.**



სურ. 46 **Fig.**



სურ. 47 **Fig.**



სურ. 48 **Fig.**



სურ. 49 **Fig.**







**სურ. 50 Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 272-283
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 272-283

**ისტორია**

**ლია ქიტიაშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: lqitiashvili@gmail.com

# „ვინმე მესხის“ (ივანე გვარამაძის) პიროვნებისათვის

გვიან ფეოდალური ხანის სამცხე-ჯავახეთისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო მესხ განმანათლებელთა მოღვაწეობა. მათ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ისტორიული მისია შეასრულეს. ეს ძირძველი ქართული კუთხე 1555 წლის ამასიის, 1590 წლის სტამბოლისა და 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის“ ცნობილმა მოვლენებმა 1829 წლის რუსეთ-ოსმალეთის ადრიანოპოლის დაზავებამდე ოსმალების სათარეშოდ აქცია. სამწუხაროდ, XIX ს-ში რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების მკაცრი პოლიტიკური ექსპანსიის შედეგად ზემო ქართლში 1818-სა და 1829-1831 წლებში ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის დემოგრაფიული სურათი მკვეთრად შეიცვალა. ეთნიკური სიჭრელე გზას უკაფავდა სულიერების, ტრადიციულობის, იდენტობის დაკარგვას.

გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი სამცხე-ჯავახეთის ქართველ მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას ესწრაფოდნენ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის მკვლევართა შორის XIX ს-ში ივანე გვარამაძის ფიგურა გამორჩეული და თვალსაჩინოა. მას კარგად იცნობს მეცნიერ-ისტორიკოსთა სამეცნიერო წრე. ჩვენი მიზანია, ფართო საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენოთ „ვინმე მესხის“ – ივანე გვარამაძის სახელი. ისტორიას ხომ უმეტესად, ერთი შეხედევით, ჩვეულებრივი ადამიანები ქმნიან (სურ.1).

გვარამაძის, როგორც მეცნიერის, როლი გადაზრდილია საზოგადო მოღვაწისა და მამულიშვილის მოვალეობაში. საქართველო ცარიზმის მმართველობის ხანაში ახალ პოლიტიკურ გამოცდას აბარებდა, ხოლო საქართველოს მონაპირე მესხეთი მრავალსაუკუნოვანი ოსმალური და ახალ დამკვიდრებული რუსული იმპერიული ძალადობისგან თავისი თანამდევი ტრაგიკული ისტორიის დაცვა-გადარჩენას ითხოვდა. ქართული სი-

ტყვის არდავიწყება, ქართული მატერიალურ–კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა, მესხეთის მშობლიურ სხეულთან–საქართველოსთან დაბრუნება იყო სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს დიდი მოამაგის, ივანე გვარამაძის კონცეპტუალური ხედვა.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ფონდიH-2782-83) დაცულია ხელნაწერი წიგნი: „საისტორიო მისიონარული დღიური წერილები 1763-1809 ხოჯავანათ მღვდლის მამა იოვანესი გადაწერილი მესხი ივ. მღვდლისგან 1892 წ.“ ხოჯავანათ იოვანეს ყოველდღიური ქრონიკები ასახავენ: ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის, გენერალ ტოტლებენისა და ქართველი მეფეების, დადიანებისა და რაჭის განდგომილი ერისთავების, ახალციხის საფაშოს, ლეკებისა და დანაწევრებული ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას, მათ ურთიერთობებს გარე სამყაროსთან. ხელნაწერის მეორე ნაწილი აერთიანებს ივანე გვარამაძის მიერვე შედგენილ მდიდარ ისტორიულ–ფოლკლორული ხასიათის მასალას. მათ შორისაა: სამცხეში ხმარებული ანდაზები, ხალხში გაბნეული ლექსები, „მოდი ვნახოთ ვენახის“ განსხვავებული ვარიანტი, ნარკვევი მიხაელ ჩამჩიანის მხითარისტის „სომხური ისტორიის უკეთ გასარკვევად“, „გამიჯნურებული ქალ–ვაჟის“ თქმულება, „ახალციხელ ტერ საჰაკის წამება“, კვლევა–„სამცხე საათაბაგო“, რომლის შესახებაც გვსურს საუბარი.

ივანე გვარამაძის ღვაწლისა და ნაშრომ „სამცხე საათაბაგოს“ გასაცნობად ზოგადად მიმოვიხილავთ მისი ცხოვრების გზას, რომელიც იმავდროულად გააცოცხლებს XIX ს-ის სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ისტორიას, ნაფიქრალს ივანე გვარამაძის მიერ.

„ივანე გვარამაძე დაბადებულა 1831 წელს, ღვინობისთვეში პავლე გვარამაძის ოჯახში. როგორც თავად ივანე იგონებს, მამამისი პავლე, ერთი ახალციხელი გლეხკაცი იყო. ხვნა-თესვა არ იცოდა. მეწვრილმანეობდა, იცოდა ქსელის ბეჭდვა და მექუდეობაცა, როგორც მაშინ ამბობდნენ „ფეხზედ ვაჭრობა“. ახალგაზრდობაში ძმასთან, იოსებთან ერთად, როდესაც „ოსმალოს მფლობელობასა შინა“ იმყოფებოდნენ და ახალციხის ფაშასთან სარაიდარადაც (მზარეულად) მუშაობდა“ [ლომსაძე შ. 1995: 11-12].

პავლეს მრავალი შფოთიანი ისტორია გადახდა. სახლ-კარიც დაუკარგავს. ახალციხეში, ძირითადად ცოლის სოფელში, ვალეში ცხოვრობდა. ამიტომ ივანემ ბავშვობა დედულეთში გაატარა: „დედამისი მარიამი ვალელ ზაქარაშვილ გასპარას ქალიშვილი იყო, რომელიც დაქვრივების შემდეგ ერთი შვილით შერთეს ივანეს მამას. ზაქარაშვილებს კულტურული ოჯახი ჰქონიათ და საკუთარ სახლში „ქალთა საკითხავი“ გაუხსნიათ.

სწავლის პირველდაწყებითი საფეხური აქ გაუვლია ივანეს, ხოლო შემდეგ ნათლიას, მღვდელ პავლე ხარისჭირაშვილს, მიაბარეს. ივანე იმდენად ბეჯითი მოსწავლე აღმოჩნდა, რომ მოგვიანებით ცნობილ მოძღვართან, სტეფანე ნავროზაშვილთან გადაიყვანეს „საკითხავში". პატარა ივანეს მხატვრობის ნიჭიც ჰქონია და ეს ვალეში ყველამ იცოდა, ორღობეებზეც კი ხატავდა, სალამოობით კი კალიგრაფიაში ვარჯიშობდა. ქართულად ნაბეჭდი სახარება ისე გადაჰქონდა კალმით ქაღალდზე, რომ დაბეჭდილისგან ვერავინ არჩევდა. ილია ალხაზიშვილი წერს,– „როგორც ჩვენი წმინდა მამები სწერდნენ საღრმთო წიგნებს, ამისთანა მჭიდრო, წმინდა ხელით დაწერილი ექნება ათი ათას გვერდზე მეტიო" [ლომსაძე შ. 1995: 17].

როგორც ივანეს ბიოგრაფიიდანვე ჩანს, იგი მამას, იმერეთსა თუ სხვაგან სავაჭროდ წასულს, ხშირად ახლდა. ბუნებრივია, ივანეს ამ მოგზაურობებმაც მრავალი საინტერესო ანახა, დააფიქრა. ჩვიდმეტი წლისა პავლე შაჰყულიანის ცნობილ სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს. მეტად განსწავლული, მაგრამ მკაცრი, ახირებული ხასიათის შაჰყულიანის გამო გაუძევებიათ სასწავლებლიდან. ივანეს სტამბოლში წასვლა დროებით ყირიმის ომმა შეაფერხა. ამიტომ მან ქუთაისში გადასვლა განიზრახა ყოფილ მასწავლებელ ხარისჭირაშვილთან. იგი კათოლიკურ ეკლესიაში დონ ანტონის ვიკარად მუშაობდა. ამ პერიოდში შაჰყულიანსა და ხარისჭირაშვილს შორის დიდი უთანხმოება იყო ჩამოვარდნილი. შაჰყულიანი სომხურ რიტზე იყო გადასული, ხოლო პეტრე ევროპაში იღვწოდა: „ევროპელი მეცნიერებისა და ვატიკანის დახმარებით შექმნის ცალკე ქართულენოვან კონგრეგაციას, რომელიც 50-იანი წლების ბოლოს საქართველოსთან მეტი სიახლოვის გამო გადმოაქვს სტამბოლში და ფრანგ კათოლიკეთა ძმობის მიერ ხარისჭირაშვილისა და ქართველებისათვის გამოყოფილ ადგილზე ფერიქვევში აარსებს ქართველ კათოლიკეთა ძმობას. ააშენა მონასტერი ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახების სახელზე, ქართული ტიპიკონითა და ქართულენოვანი მღვდელმსახურებით" [ლომსაძე შ. 1995: 33].

ივანე გვარამაძემ სტამბოლიც მოიარა და 1860 წელს დაბრუნდა. იგი ტფილისში სოლოლაკში ცხოვრობდა და კერესელიძის სტამბაში ასოთამწყობად მუშაობდა. ამასობაში სასულიერო მმართველობამ მას დიაკვნობა აღუდგინა.მალე ივანე ღუმბრის სასწავლებელში ჩაირიცხა, დაოჯახდა. ნაყოფიერი აღმოჩნდა ღუმბრში სწავლის 4 წელი, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა სომხური საერო და სასულიერო ლიტერატურა, სომხური ისტორიოგრაფია, ძველი და ახალი სომხური ენა. 1865 წლიდან ახალციხეში დაიწყო საერო სკოლის მასწავლებლად მუშაობა. დიდი პრობლემის მიუხედავად, 1869 წელს ივანე მღვდლად აკურთხეს. ამ დროიდან ივანე

გვარამაძის –„ვინმე მესხის“ თვალსაწიერს არაფერი რჩება შეუმჩნეველი, შეუფასებელი. იგი XIX ს-ის 70-80-იანი წლების გამორჩეული საზოგადო მოღვაწეა: მუშაობს საერო სკოლაში, ჩართულია პოლიტიკურ ცხოვრებაში, ცდილობს გლეხთა პრობლემების მოგვარებას, იბრძვის მესხეთის დაცარიელებული სოფლების განაშენიანებისა და კვლავ გაქართულებისათვის.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სადისერტაციო თემაზე მასალების მოძიებისას აღმოჩნდა პირადი ხასიათის წერილი, გაგზავნილი ივანე გვარამაძის მიერ დიმიტრი ბაქრაძისადმი. მკითხველი საერთოდ რომ არ იცნობდეს გვარამაძის ცხოვრება-მოღვაწეობას, აღნიშნული წერილი სრულებით საკმარისია ივანეს, როგორც ღირსეული მამულიშვილის, ეროვნულად მოაზროვნის, საკუთარი კუთხისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის იდეის დამცველის შესაცნობად:

„31. ღვინ. 1888. ქ. ახალციხე. პატივცემულ ბ. დიმიტრი ბაქრაძეს

მოგიკითხავთ საუფლო ლოცვაკურთხევით და თქვენს დღეგრძელობას მოწყალე უფალსა ღმერთსა ვსთხოვთ ჩვენს ნუგეშად.

მომილოცავს მშვიდობის მგზავრობა კონსტანტინოპოლისაკენ. კეთილი იყოს. მადლობა ღმერთს მშვიდობით წახველით და მშვიდობითვე მოხვედით. იმედი მაქვს საკმაო ისტორიულ წყაროებს მოიძიებდით ჩვენი საცოდავი სამშობლოსას, რომელიც დიდი სასიხარულო და სანუგეშო არის ჩვენთვის.

ჩვენი სამესხეთო კი დავიწყებულია ამჟამად ყველასგან, იქამდის, რომ უცხონი მოდიან, გვითხრიან ძველ ნაშთძეგლებსა, ჯვარხატთა და მიაქვნან თავისუფლად თავიანთ ქვეყანასა. მოწინააღმდეგე ხმის გამცემი არავინ არის. განა სახელია კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოებისათვის. განა კავკასიის მუზეუმში არ უნდა იკრიბებოდეს მისთანა ნაშთნი თუ სადმე არს? სხვა ქვეყნებსა და მუზეუმებში რა ხელი აქვს ჩვენ ნაშთა და ჩვენ წინაპართა საკუთრებას? მაგრამ ხდება ბევრი ამისთანა დაქცევა ჩვენის ქვეყნისა ჩვენს საკითხავად და დიდად სამწუხაროდ. „სოფელ ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოთ! “ სწორედ ესრე, იქამდის უზრუნველი და უნაღვლელნი ვართ, რომ მეორებით და მესამებით ზიკიპინტების ჯლაბნას გაჰყოლიან ჩვენი სწავლული ვაჟბატონები და უპრიანე უპირველესი საგანი ისტორიის წყაროები უბედურ ეპოქის კორიანტელისა ქარიშხალთათვის მიგვიტოვებია, რომელნიც დღევანდლამდე იმუსრება, იტაცება და უჩინარდება.

ერთ იმისთანა გონებაგახსნილ გულმოწყალე გაზეთის გამომცემლებში არა გვყავს, რომ ჩვენი შრომა დაბეჭდონ ხოლმე წყაროების გასამრავლებ-

ლად. ყველანი იმადლებიან, ცხვირ პირს იგრეხენ, არაფრად სთვლიან და ამგვარად რა სიკეთე იქნება და ან ვინ შეხალისდება ისტორიულ შრომაზედ კიდევ.

განსვენებული ბ. სერგი მესხის დროს მე დავსწერე დროებაში მგონი წუნდის ეკლესიის ზედ წარწერა სწორედ როგორც იყო, მაგრამ ვარძიის მონასტრის ბერმა. კალისტრატემ სხვაგვარად დასწერა მწყემსში თუ ის და თუ სხვა ჩემი არქეოლოგიური ცნობები გადაასხვაფერა. დიდის სიამოვნებით მიიღო ღამბაშიძემ იმის სიცრუე სინამდვილედ. თუმც მეც ცხადად ავუხსენ პასუხითა გარნა არ დაბეჭდილა. მას და ზოგიერთ გაახლებთ ამასთან და განიხილეთ.

მარად თქვენი მლოცველი დავშთები უღირსი მონა

მესხი ივ. მღ. გვარამაძე. " [სხეც №177 1888: 1]

ამ წერილის ფრაზებს მიღმა შეიცნობა ილია ჭავჭავაძისეული ფიქრები. მკაცრი, თუმც, დროული კრიტიკა თანადროულობისა, ივანესეული გეგმა სიძველეთა გადარჩენისა და რაც აღსანიშნავია, დიმიტრი ბაქრაძისადმი გამოვლენილი პატივი, ნდობა, იმედი წერილის თავმდაბალი, სამშობლოზე ფიქრით დამძიმებული ავტორისა (სურ.2). შევნიშნავ, კათოლიკობა ივანესნაირი პიროვნების შეფასებისას ოდნავი ხინჯის უფლებასაც კი არ იძლევა მართლმადიდებელი ადამიანისთვის, მკვლევარისათვის. ივანე საქმით ჭეშმარიტი მართლმადიდებელია, მაგრამ როგორც წერილიდან ჩანს, გარკვეული სახის პრობლემები არსებობდა თბილისსა და მესხეთს შორის, რომელთა მოსაგვარებლად თანადგომას ივანე დიმიტრი ბაქრაძისაგან მოელოდა.

ქართველი ერის ეთნოგენეზისა და მესხთა წარმომავლობაზე პირველად ძვ. წ.III საუკუნის ბერძენი ავტორი მეგასთენე მოგვითხრობს თხზულება „ინდიკაში" (ინდოეთის ისტორია): „მეგასთენეს ვარაუდი მიიღო I ს-ის ებრაელმა ისტორიკოსმა იოსებ ფლავიუსმა, ხოლო მომდევნო საუკუნის სწავლულებმა გაიმეორეს" (მელიქიშვილი გ. 1965: 5). ასეთებია ბერძნულ-ბიზანტიური წყაროები: ჰეროდოტე, იოანე ზონარა, ლეონ გრამატიკოსი, თეოდორიტე კვირელი, პროკოფი კესარიელი, „პასქალური ქრონიკები" და სხვა. XX ს–ში დაინტერესდნენ ევროპელი მეცნიერები: კ. ფ. ლემან–ჰაუფტი, ე. ფორერი, ი. მ. დიაკონოვი, ლენორმანი, მასპერო. საკითხის მნიშვნელოვნების გამო მას იკვლევდნენ ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, გიორგი მელიქიშვილი.

„ლეონტი მროველის მიხედვით, ოძრახის დაარსება ლეგენდარულ მამამთავარს-ოძრახოს უკავშირდება, ხოლო საქართველოს პირველ მეფე ფარნავაზს იქ ერისთავი დაუსვამს: „მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა ფანვარითგან ვიდრე თავამდე მტკვრისა, რომელ არს

ჯავახეთი და კოლა არტაანი, მეექვსე გააგზავნა ოძრხის ერისთავად, და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდია, რომელ არს სამცხე და აჭარა. მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავი, და მისცა არსიანითგან ზღუამდე და მერვე, ქუჯი იყო, ერისთავი ეგრისისა" [ქც 1955: 25-26].

საკუთარი კუთხის სიყვარულით გამსჭვალული, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი ივანე გვარამაძე ნაშრომში „სამცხე საათაბაგო" აყალიბებს თავის შეხედულებებს მესხების წარმომავლობისა და გეოგრაფიული საცხოვრისის შესახებ, ივანე გვარამაძემ „სამცხე საათაბაგო" დაწერა მესხეთში, იმ ზემო ქართლში, სადაც: „ძვ.წ.აღ. VIII ს. ურარტულ ლურსმულ წარწერებში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა შორის გვხვდება დიაოხის, ზაბახას, ქათარზას, ვიძეროხის სახელები. ფიქრობენ, რომ ისინი აღნიშნავენ ტაოს, ჯავახეთს, კლარჯეთსა და სამცხის უძველეს სახელწოდებას-ოძრახეს" [ბერძენიშვილი დ. 2005: 204].

გვარამაძის ნაშრომში ვკითხულობთ: „სამცხე საათაბაგოში აწყვერის შემდგომ იხსენიება ახალციხე უპირველეს ქალაქად. სწოდებია სამცხე, მარდა, ლომსია და ახალციხე. ჩვენს ქართლის ისტორიაში არ არის რიგიანად ცნობილი და ახსნილი არც სამცხე, არც მარდა და არცარა ლომსია, თუ რა მიზეზისათვის სწოდებიათ, რომ ვიცოდეთ ბეჯითად. სამცხისათვის წერს იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერთი თეატინი, სადაც ნოეს კიდობანი გაჩერდა ძველის გადმოცემით, ნოემ თავის სამი შვილით კიდობნითგან ჩამოსვლისთანავე, რაც ნახეს ასეთი უხვი ქვეყანა, დაბინავდნენ აქა, აღაშენეს სამი სახლი თვითოეულმან თავისთვის და დასახლდნენ თავიანთის სახლობით. მათი სახლები ციხეებს წააგავდნენ. მიზეზისათვის ამ ქვეყანას დღემდის დარჩა ეს სახელი, სამცხე, რომელიც ქართულად ნიშნავს სამს თავშესაფარსა. შემდგომ მათივე შთამომავლობა გარშემო ქვეყნებში გამრავლდა" [სხეც 2782-83. 1892: 45].

იტალიელი მისიონერის დამოწმების შემდეგ გვარამაძე კრიტიკულად მიმოიხილავს ქართულ ხელნაწერს და ამჟღავნებს სომხური ისტორიოგრაფიის ცოდნას: „ჩვენი ქართლის ცხოვრება ასრე მოკლედ ყრუდ გადმოგვცემს და მუნით გადმოვიდა ნასრი სამცხეს და შეიპყრნა სამნი ციხე: ოძრხე, ჯვარის ციხე, ლომსიანთა, გვარამისვე მამის აშენებული. ლომსია ვახუშტის მოწმობით ხომ ახალციხეა. სომხის მამათავარი მოსეს ხორენელი თავის გეოგრაფიაში, V ს-ში ახალციხეს სამცხედვე ახსენებს". აქვე ივანე გვარამაძე საგულისხმო მინიშნებას აკეთებს: „მაშ ვისაც ჰგონია, ახალციხე გვარამ მამფალის დროს დაფუძნებული ციხ-

ით ქალაქი და ეკლესიებითა დიდად შემცდარნი არიან“ [სხეც H-2782-83: 1892: 47-49]

ორიგინალობით გამოირჩევა მესხეთის მეორე სახელწოდების ივანესეული ცნობა: „მეორე სახელი მარდა არის მესხ–ქართველნი. არა თუ მარტო თავიანთს ქვეყანას იცავდნენ მტრის შემოსევათა აკლებისგან, ისევე სხვა მეფეებსაც ჰშველიდნენ იმ ბრძოლაში ფასითა მათ მტრებზედა. ქალდეველნი კავკასიის მთაში მცხოვრებნი, რომლებიც ჩვეულებისამებრ ფასით მსახურებდნენ ასარასტანელებს სამხედროში გარდასახლდნენ ბაბილონისაკენ და შეერთდნენ ძირითად მცხოვრებთა. (გვარამაძე მოიხმობს ქსენოფონტეს, შემოაქვს მსჯელობისას შუამდინარეთისა და სკვითების შესახებ ცნობები ლ.ქ.): გაუამხანაგდა ნაბოპალასარი ქურთების მეფე კიაქსარს უწყო ომი საარაკო (ქინალდან) ბოლო მეფეს ასარსასტანელთა. რომ ნახეს სკვითებმან შეთხელებულ მცხოვრებთაგან, საქართველო გადმოქელეს და შეესიენ მცირე აზიას. ნაბუპალასარს და კიაქსარს სკვითები გაუხდნენ თავში საცემად. ბაბილონს დაუწყეს ამათ, როგორმე თავიდან მოშორება. ბევრი ომებისა და წყვეტა-ჟლეტის შემდგომ მიინდვეს, როცა თავიანთი დღეობით ყოველგან მთვრალნი ეყარნენ. კრეს ხრმალი და ამოსწყვიდეს, მოიშორეს თავიდან. შეცვივდნენ სამცხეში, თუმც ბევრი გაწყდნენ მცხოვრებთაგან. მაგრა, უმრავლესი შეუერთდნენ მშვიდობიანობით ადგილობრივ მკვიდრთა გამრავლდნენ და გაძლიერდნენ და გააშენეს – მ ა რ დ ა. ქალაქს შეუერთეს წყალი აქეთ სასახლეს ეწოდა ხანა მარდა“ [სხეც H-2782-83. 1892: 47-50]. მართლაც, ქართული საისტორიო წყაროები გაჯერებულია მესხთა დახასიათებით: „შეუპოვარნი“, „ალაფისმოყვარენი“, „მეწინავანი“, „ჩქარნი“, „მკვირცხლნი“.

არანაკლებ საინტერესოა, მესხეთის მესამე სახელწოდების შესახებ დაცული ივანე გვარამაძისეული თეორია: „მესამე არის წოდება ლომსია თუ ლომსია-მთა. ზეპირგადმოცემით მოხუცებულ ლომების ძეგლები მდგარა კლდეზედ ორი კაჟისა ცხოვლად გამოკვეთილი წარმართობაში და ამის გამო სწოდებია ლომსია, ლომების საკუთრება. იმისათვის შემოუნახიათ მესხ–ქართველთა ლომები სახსოვრად, ორთა უერთგულეს ძმათა თობელისა და მოსოქოს იაფეტია ძეთა, რომ თავიანთი დღენი თავიანთი ჩამომავლობითა არაოდეს არგაშორებიან ურთიერთსა, მისთვის საღრმთო წერილში სამაგალითოდ ხსენებულნი არიან ეზეკიელის ესაიას და ამბაკუმის საწინასწარმეტყველოთა“ [სხეც H-2782-83. 1892: 50]. ივანე გვარამაძის დებულებამ მესხეთის მესამე წოდების–ლომსიას შესახებ, ისტორიული პარალელები გააცოცხლა. I-II ს-ის რომაელი

ისტორიკოსის–არიანეს ნაშრომში „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, ვეცნობით: „შევედით მდინარე ფაზისში. ფაზისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ფაზისელი ქალღმერთის ქანდაკება. გარეგნობის მიხედვით ის რეას ჰგავს, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, მისი სავარძლის წინ ლომები წვანან და თვით ისე ზის, როგორც ფიდიასის ქანდაკება“ {არიანე ფლავიუს. 1961: 39]. მნიშვნელოვანია, რომ არიანესა და კურცის მოღვაწეობა დროში ემთხვევა ხოლო ანტიკური ეპოქისა და ქრისტიანული ხანის საქართველოში, ლომის კულტი დომინანტურ ფიგურადაა წარმოდგენილი.

ივანე გვარამაძის „სამცხე საათაბაგოში“ აგრეთვე, დაცულია ცნობა ალექსანდრე მაკედონელის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან სავარაუდო ლაშქრობის შესახებ: „300 წლის წინათ ქრისტეშობამდე მოვიდა ალექსანდრე მაკედონელი. ამათ დაამარცხეს ხერთვისის ხეობაში და მოსტაცეს ბუცეფალი კუროსთავიანი ცხენი. წაიყვანეს და დააბეს აძგვიტას. გაწყრა მეტად მაკედონელი და იწყეს კაფვა ბუცეფალის გამოსახსნელად, დამარცხებულ ადგილს ქუნცა ეწოდა. აწ სოფელია, რომ მკვდრები გაძარცვეს. გაჩეხილ ტყის გზას ეწოდა როკეთი. მიიტანეს გზა ბუცეფალამდე, ესმა ხმა მაკედონელისა ბუცეფალს, წყვიტა ავშარი და გაიქცა. გავიდა იქავ პირდაპირ და წყლისპირ ჭალაში. ძლივ დაიჭირეს ხიზაბავარას ვენახების მახლობლად, ნიჯგორის ქვეშ. დღესაც ამ ჭალას კუროს თავი ჰქვია. სადაც დახოცილი 40კაცის თავები გაჰკიდეს, კოშკს, ნიჯგორას ახლოს იმასაც ორმოცი ჰქვია. ეს ზეპირი გადმოცემა (კურცის) თანახმაა სრულიად“ [სხეცა H-2782-83. 1892: 51].

XIX ს-ში ახალციხეში მოღვაწე მეცნიერის ივანე გვარამაძის შეხედულებები მესხების სახელწოდებისა და წარმომავლობის შესახებ, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი გზამკვლევია ამ კუთხის წარსულით დაინტერესებული მკვლევარისათვის. ივანე გვარამაძისეულ ჰიპოთეზებს პირდაპირი კავშირი აქვთ ძველ ბერძნულ, შუა საუკუნეების ბიზანტიურ, სომხურ, ქართულ ისტორიოგრაფიასთან. დასაფასებელია, ბატონი ივანეს თვალსაწიერი, მრავალმხრივობა, პრობლების გააზრების უნარი, კრიტიკული აზროვნება, წარსულის თანამედროვეობასთან შეჯერების მცდელობა და სხვა. დამაფიქრებელია ივანე გვარამაძის ნაშრომში ალექსანდრე მაკედონელის შესახებ დაცული თხზულების ის ნაწილი, რომელშიც ავტორი ახერხებს კავშირი დაინახოს მის თანადროულ ტოპონომიკასა და მაკედონელის ეპოქის მესხეთის ტოპონომიკას შორის. დასახელებული სოფლები წარმოდგენილია ხოჯავანათ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში“. ასეთებია: არალი, ჭარალი, ბარალე-

თი, ხიზაბავარა. „ავტორი, კვენტი კურცი არის ლათინი ისტორიკოსი ვესპასიანეს დროს, მან დასწერა ლათინურად დიდი ალექსანდრეს ისტორია“ [სხეც H-2782-83. 1892: 51). თუ გავითვალისწინებთ, რომ ვესპასიანე რომს მართავდა 69-79 წლებში, კურცისმიერ შემონახული მასალის დამაჯერებლობა კიდევ უფრო სანდო ხდება.

„არქეოლოგი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, მწერალ-პუბლიცისტი, ხალხური სიტყვიერების შემკრები და მკვლევარი, პოეტი, მხატვარი. ფლობდა თურქულ, ლათინურ, სომხურ ენებს. მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაუღალავად ეწეოდა კულტურულ-საგნმანათლებლო საქმიანობას. ივანე გვარამაძე იყო: კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების წევრ-კორესპონდეტი (1882 წლიდან), საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ქ. ახალციხის იოანე ნათლისმცემლის სასწავლებლის მასწავლებელი, რაბათის ბიბლიოთეკის დაარსების ერთ-ერთი მოთავე, სამცხე–ჯავახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფუძემდებელი, სოფელ ხიზაბავრის სკოლის დამაარსებელი (1881 წლის 21 ნოემბერი) და მასწავლებელი, მრავალი კათოლიკური ეკლესიის აღმდგენელი, ღირსეულ მოსწავლეთა აღმზრდელი, სამცხე-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა სულიერი მოძღვარი, მესხ განმანათლებელთა წინამძღოლი“ [ ყრუაშვილი ნ. 1999: 13].

ივანე გვარამაძეს ასეთი საზოგადოებრივი დატვირთვა ხელს არ უშლიდა ჰქონოდა მტკიცე ოჯახი. მას ხუთი შვილი ჰყავდა (ქრისტესია, კოტე, მზეჭაბუკი, ოქროპირი, თამარი), რომელთაგანაც გამორჩეული კონსტანტინე (კოტო) გვარამაძეა–მამისეული გზის გამგრძელებელი, უმცროსი თაობის განმანათლებელი. (სურ.3-4)

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ივანე გვარამაძის მიერ ახალციხეში 1892 წელს გადაწერილი „ხოჯავანათ იოვანეს საისტორიო მისიონარული დღიური წერილები“ (სურ.5) მოიცავს გვიან ფეოდალური ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკურ, ასევე, ფოლკლორული და ისტორიული ხასიათის მოვლენებს. ნაშრომი მთელი სიცხადით წარმოაჩენს ივანე გვარამაძეს, როგორც მრავალმხრივად საინტერესო მეცნიერს. გამოჩენილი მკვლევარი შოთა ლომსაძე სამართლიანად შენიშნავს: „შეიძლება თამამად ითქვას, რომ ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგ, ქართულ ისტორიოგრაფიაში გვიანი შუა საუკუნეებისათვის უფრო მნიშვნელოვანი წყარო არ

მოიპოვება.“ [ ლომსაძე 1979: 91]

ივანე გვარამაძე XIX-XX ს-ის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის უშუალო მონაწილე იყო. მისი შრომისმოყვარეობის შედეგია, რომ ამ ეპოქის საქართველოს ისტორიის კვლევა ფართო მასშტაბებს სთავაზობს მკითხველსა თუ მაძიებელს. ვინმე მესხი“, XIX ს-ს მეორე ნახევარში თერგდალეულთა საქმიანობის ღირსეული თანამოაზრე, საქართველოს ისტორიის სადარაჯოზე მდგარი, დროისა და დიდი პოლიტიკის ზეწოლისაგან შეჭირვებული მესხეთის, ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეის მოსურნე და ჭეშმარიტი დამცველია.

**HISTORY**


**Lia Khitiashvili**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail:lqitiashvili@gmail.com


## “Vinme Meskhi“ (for Ivane Gvaramadze`s Personality)

### Summary


The article presents episodes of personal and public creative work of Ivane Gvaramadze, an honorable representative of the 19th century scientific school. My aim was to remind the broad society the name of Ivane Gvaramadze – an enlightener of South Georgia. He was the person who took part in the creation of Georgian history which was full of cataclysms and thus he served the national-liberation idea of Georgia. This material is based on Ivane Gvaramadze`s research “Saatabago of Samtskhe“ which is kept in the National Manuscript Centre.

## ბიბლიოგრაფია

**ბერძენიშვილი დ. 2005:** *ნარკვევები*. თბილისი.

**ლომსაძე შ. 1995***: მესხები*. თბილისი.

**ლომსაძე შ. 1979:** გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. *ახალციხური ქრონიკები*. თბილისი.

**მელიქიშვილი გ. 1965:** *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის*. თბილისი.

**ფლავიუს არიანე. 1961:** *მოგ ზაურობა შავი ზღვის გარშემო*. თბილისი.

**ქართლის ცხოვრება. 1955:** ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

**ყრუაშვილი ნ. 1999:** *კონსტანტინე გვარამაძე*. ახალციხე.

**სხეც, დიმიტრი ბაქრაძის არქივი,** საქმე **№-177. 1888.**

**სხეც, ფ.H-2782-83. 1892**.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** ივანე გვარამაძის პორტრეტი

**სურ. 2.** ივანე გვარამაძის პორტრეტი

**სურ. 3.** გვარამაძეების გენეალოგია

**სურ. 4.** ივანე გვარამაძის გენეალოგია

**სურ. 5.** ივანე გვარამაძის მიერ გადაწერილი ხელნაწერის თავფურცელი

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig.1.** Ivane Gvaramadze's photo
**Fig.2.** Ivane Gvaramadze's photo
**Fig.3.** The Gvaramadze's family tree
**Fig.4.** Ivane Gvaramadze's family tree



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**




სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 284-296
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 284-296

**ისტორია**

**ნატო ყრუაშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი
პ. ხარისჭირაშვილის ქ. №1, 0008, ახალციხე, საქართველო
ელფოსტა: nato-tata@mail.ru

# სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანისა და სტამბოლელი ქართველების ურთიერთობის შესწავლისათვის

საქართველოში საუკუნეების განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა მუჰაჯირობა განაპირობა. ქართველების მუჰაჯირობა ერთგვარ წესად მას შემდეგ იქცა, რაც ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიები დაინტერესდნენ კავკასიითა და თვით საქართველოთი. რუსეთის მეფის ხელისუფლებისაგან დევნილი გამაჰმადიანებული ქართველები ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე არაერთხელ ჩაასახლეს. ქართველი ხალხის საკუთარი ქვეყნის მიწა-წყლიდან იძულებითი აყრითა და გადასახლებით დამთავრდა XIX ს-ში განხორციელებული რუსეთ-თურქეთის თითქმის ყველა ომი.

იმავე საუკუნეში თურქეთში მცხოვრებ მუჰაჯირ ქართველებს კათოლიკე ქართველებიც შეუერთდნენ. მეფის ხელისუფლების მიერ მესხეთში გატარებული ანტიკათოლიკური პოლიტიკის გამო ქართველ კათოლიკეთა ერთმა ნაწილმაც იძულებით დატოვა სამშობლო და ოსმალეთს შეაფარა თავი. ამდენად, ე.წ. მუჰაჯირობითა და სხვა ისტორიული მოვლენებით თურქეთი ქართველი ხალხის ერთი ნაწილისათვის იძულებით მეორე სამშობლოდ იქცა.

XIX ს-ის II ნახევარში საქართველოში, და განსაკუთრებით, სამცხე-ჯავახეთში, ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა გაუარესდა. მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის თანდათანობით დაპყრობამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონზეც. კერძოდ, კათოლიკური აღმსარებლობის თავისუფლად გავრცელების საშუალება მოისპო. რუსეთის მთავრობამ 1845 წლის დამდეგს საბოლოოდ გააძევა საქართველოში მყოფი მისიონერები. ქართველი კათოლიკე მრევლი მღვდლების გარეშე დარჩა. იმ დროიდან ქართველ კათოლიკეთა ისტორიაში დაიწყო: კათოლიკობა-ქართველობისათვის ბრძოლის ახალი პერიოდი. რომსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ყველა კათოლიკე, როგორც ლათინური, ისე სომხურის წესის, ტირასპოლის ახალი ეპარქიის გამგეობას დაუქვემდებარდა. სომეხმა კათოლიკეებმა მიზნად დაისახეს, დაჰპატრონებოდნენ საქართველოში არსებულ „ლათინურ" ეკლესიებსა და მათს ქონებას. სომხურმა კათოლიკურმა ეკლესიამ გააძლიერა უსაფუძვლო ცილისწამება ქართველ კათოლიკეთა ისტორიულად არარსებობის შესახებ. სამწუხაროდ, ქართველი კათოლიკე სამღვდელოება ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.მათი ერთი ნაწილი, პავლე შაჰყულიანის თაოსნო-

ბით, მთავრობის ორიენტაციას მიემხრო. იმისათვის, რომ რუსეთის მეფის ხელისუფლებისაგან მიეღო ეპისკოპოსის თანამდებობა, პავლე შაჰყულიანმა ჯავახეთის სოფლების: ბავრის, კარტიკამის, ხულგუმოსა და ტურცხის მოსახლეობა „სომხურს ტიპიკონს შეუერთა“, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ „უკაზის ძალით აუკრძალეს ქართველ მორწმუნეებს ქართულ ენაზედ ლოცვა-ვედრება“. სამღვდელოების მეორე ნაწილი პეტრე ხარისჭირაშვილის წინამძღოლობით და თვით მრევლი ეროვნულ პოზიციებზე დარჩა და ყველანაირად ცდილობდა, წინააღმდეგობა გაეწიათ მოწინააღმდეგისათვის. მან გადაწყვიტა, დაეარსებინა ქართული ძმობა, რომელიც ქვეყანას მოუმზადებდა ახალ პატრიოტულ ძალებს და ფეხზე დააყენებდა მას. თუმცა მოწინააღმდეგეებმა სამშობლოში ამ მიზნის განხორციელების საშუალება არ მისცეს. ამიტომ იგი 1857 წელს ოსმალეთში გადავიდა (სურ. 1).

მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა რომის პაპის, პიო IX-ის, წარმომადგენელ მთავარეპისკოპოს ბრუნიონის დახმარებით 1859 წელს მიიღო სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის შექმნის ნება ქართული ენითა და ტიპიკონით. [ურუშაძე ლ. 1994: 3]. მან ცნობილი მეცენატის, იაკობ ზუბალაშვილის, ფინანსური დახმარებით სტამბოლის გარეუბან ფერიქოიში შეიძინა მიწის მოზრდილი ნაკვეთი, სადაც 1861 წელს ააშენა წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია (სურ. 2). იმავე წელს ფერიქოის ძმობამ იურიდიული ძალმოსილება მიიღო. პეტრე ხარისჭირაშვილის მზრუნველობით ფერიქოიში მამათა სავანის ახლოს დაარსდა დედათა მონასტერიც, რომლის იურიდიული არსებობა აღიარეს 1871 წლის 9 მკათათვეს [სქკმსფა 1930: 22].

მამა პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ სავანეს მფარველობდა სტამბოლში არსებული საფრანგეთის საელჩო, რადგან ქართველი კათოლიკეები ფრანგული ტიპიკონით სარგებლობდნენ. საფრანგეთის საელჩომ შესწირა მათ უსკუდარში მიწა და საცხოვრებელი სახლები. ქართველ მამათა საზოგადოებას სკოლა და ეკლესია ჰქონდა აგრეთვე პერას უბანში, პაპასკვეპრში (ფაფაზქოფრუში). ეკლესია-მონასტერი და ქართული სტამბა დაარსდა სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ მონთობანში. დედათა მონასტერი და სკოლა არსებობდა სტამბოლის ახლოს, დარდანელშიც. პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში წირვა-ლოცვა და ქადაგება ქართულად სრულდებოდა, ხოლო ეკლესიებთან არსებულ სკოლებში დიდი ყურადღება ექცეოდა ქართული ენის სწავლებას [ფუტკარაძე შ. 2002: 57].

შეიძლება ითქვას, რომ პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლის ფერიქოის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის სახით შექმნა ქართული კულტურის, მეცნიერებისა და ქრისტიანული ეკლესიის მძლავრი კერა, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა 1890 წლამდე. მისი გარდაცვალების შემდეგ 1979 წლამდე კი სავანეს მართავდნენ მამათა მიერ არჩეული წინამძღვრები (სურ. 3). ამჟამად იქ არსებობს საინტერესო მასალით მდიდარი ფონდ-არქივი. იგი დაარსებიდან დღემდე კვლავ რჩება ქართული კულტურის ერთ-ერთ ძლიერ კერად.

მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლში ჩამოაყალიბა ძმობა და განაგრძო კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა როგორც ადგილობრივ, ისე საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეებს შორის. რომ არა ამ ქვეყნის დემოკრატიულობა და ჰუმანური დამოკიდებულება, პეტრე ხარისჭირაშვილი ვერ შეძლებდა სტამბოლში ქართული ქრისტიანული სამონასტრო

კომპლექსის დაარსებას. სწორედ ის იყო თურქეთსა და ევროპაში არსებულ სავანეთა ცენტრი და მათი საქმიანობის წარმმართველი. ამასთანავე, იქ მოღვაწე პირები არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ სასულიერო სფეროთი და ეწეოდნენ ეროვნულ-სამეცნიერო მოღვაწეობას. მიუხედავად იმისა, რომ იგი კათოლიკური სამონასტრო კომპლექსი იყო, ადგილი არ ჰქონია სარწმუნეობრივ შეზღუდვას მაჰმადიანი თუ მართლმადიდებელი ქართველებისათვის. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტამბოლში მოღვაწე მამები უყურადღებოდ არ ტოვებდნენ სამშობლოში მიმდინარე პროცესებს, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ქართველ ინტელიგენციასთან და ცდილობდნენ, თავიანთი წვლილი შეეტანათ ქვეყნის დაწინაურების საქმეში.

სტამბოლში ქართველ კათოლიკე მამათა სავანის დაარსებისთანავე მისი ერთ-ერთი მიზანი გახლდათ სტამბოლში მცხოვრებ თანამემამულეებზე ზრუნვა, როგორც კათოლიკეებზე, ისე გამაჰმადიანებულებზე. კერძოდ, ისინი იმისათვის იღვწოდნენ, რომ მათ არ დაეკარგათ მშობლიური ენა და შეენარჩუნებინათ ეროვნული თვითშეგნება. ამ მიზნის მიღწევას ცდილობდნენ ქართულ ენაზე მათი განათლებით, ხშირი ურთიერთობითა და ღონისძიებებში ჩართვით. ეს ხორციელდებოდა მამა პეტრეს სიცოცხლეშიც და მის შემდეგაც სავანის ყველა არჩეული წინამძღვრის მიერ, შეიძლება ითქვას, სავანის არსებობის განმავლობაში (1859-1979 წწ.). 1894 წელს იასე რაჭველი წერდა: „ჩამოვიდა თუ არა აქ პატრი სტეფანე, მოინდომა როგორმე გაეუმჯობესებინა აქაურის ქართველების მდგომარეობა როგორც ხორციელად, ისე სულიერადაც. მონასტრის ერთს დღესასწაულის დროს მოუწოდა კიდეც ყველას“ [რაჭველი ი. გაზ. „ივერია“. 1894: №146]. სტამბოლში მცხოვრებ ქართველებზე დიდ გავლენას ახდენდა ის გარემო, სადაც ათწლეულების განმავლობაში უხდებოდათ ცხოვრება ყოველდღიური ცხოვრებისეული პრობლემებით. დრო მათზე თანდათან უარყოფითად მოქმედებდა და ერეოდა მათს ეროვნულობას. „ასე გაგარეგანდა აქაური ქართველობა, მაგრამ როცა იმათ ქოხსა ანუ დუქანში მიდიხართ, მაინც სასიამოვნოა იმათი ნახვა, რადგან ყველა ქართველობას ჩემულობს და ქართულად ლაპარაკობენ, თუ ქართული გაზეთი ან წიგნი შეხვდათ, დიდის სიამოვნებით კითხულობენ, ყველაზე უფრო სასიამოვნო ის არის, რომ ყოველგვარ საქონელს ქართული წარწერები აქვს და ვგონებ, ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ჯერ ქართული არ დავიწყებიათ. არც ის იფიქროთ, რომ სწავლის სურვილი არ ჰქონდეთ. მსურველნი ბევრნი არიან, მხოლოდ როგორც ზემოთ ვსთქვით, სიღარიბე ხელს არ აძლევთ“ [რაჭველი ი. გაზ. „ივერია“. 1894: №146]. უნდა აღინიშნოს, რომ მამა პეტრე ხარისჭირაშვილი ცდილობდა მონასტერთან ქართული სასწავლებლის დაარსებას, სადაც სტამბოლში მცხოვრებ ქართველებს, განურჩევლად სარწმუნეობისა, ექნებოდათ სწავლის შესაძლებლობა. დიდი მცდელობის მიუხედავად, მან ვერ შეძლო ჩანაფიქრის განხორციელება. თუმცა უნდა ითქვას, რომ სავანეში მყოფთ ხელი არ აუღიათ ქართველთა ზრუნვაზე. მათ დაიწყეს ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა გზის გამოძებნა. ერთ-ერთ გზად მიაჩნდათ ქართული ჟურნალ-გაზეთებით მათი მომარაგება, რათა ჰქონოდათ საკითხავი მასალა და, შესაბამისად, გონებრივი საზრდოს მიღების საშუალება. აქედან გამომდინარე, ისინი ითხოვდნენ, სტამბოლელი ქართველებისთვის მიეწოდებინათ როგორც ჟურნალ-გაზეთები, ისე წიგნები იმ ფასად, როგორიც საქართველოში იყო.

სტამბოლის ქართველ მამათა სავანის ფონდ-არქივში დაცულ მასალაში ნათლად იკვეთება სტამბოლელი ქართველების დამოკიდებულება მშობლი-

ური ენის შესწავლის მიმართ. როგორც ჩანს, წერა-კითხვის რიგიანი შესწავლის სურვილი მოზარდებთან ერთად ჰქონიათ უფროსებსაც. სტამბოლის ერთ-ერთი უბნის–იენიშჰარის ქართული სასწავლებლის მასწავლებელი მამა ალექსანდრე ივანე გვარამაძეს სწერდა: „ვასწავლი სხვათა მოწაფეთა შორის მაჰმადიანთაცა, რომლებიც ქართულ წიგნებისთვის ყელს იჭრიან, არ მჯერდებიან, რაც მომეძევა, ახალ-ახალ გამოცემულ გონების გასახსნელს წიგნებს მთხოვენ. დიდს მოწყალებას მოიღებენ პატივცემულნი რედაქციები და წიგნების გამომცემელნი, რომ თავიანთს წვლილს მომაწოდებდნენ. არამარტო მოწაფენი ეტრფიან ქართულს წერა-კითხვის რიგიან შესწავლას, ისევე ჰასაკ მიწევნილნი, მოსხეპილნი ვაჟკაცნიც დიდ სახელად სთვლიან ქართულის შესწავლას. ყოველი ძველ-ახალი გამოცემანი გაზეთები იყოს თუ ჟურნალნი, ლექსები რიგიან დაწერილნი და რომანები, მეტად გამოსადეგი იქნება მათთვის“ [გვარამაძე ი. გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1897: № 87].

მოძიებულ მასალაში ნათლად იკვეთება, რომ სტამბოლელი ქართველების მიზანი იყო არა მარტო ქართული ენის შესწავლა, არამედ სავანესთან ურთიერთობაც. ჯერ კიდევ მამა პეტრე ხარისჭირაშვილის სიცოცხლეშივე სავანე სტამბოლში მყოფი ქართველების ურთიერთდაკავშირების, თავშეყრის ადგილად იქცა. სავანეში სხვადასხვა დღესასწაულსა და წირვაზე იკრიბებოდნენ გამაჰმადიანებული ქართველებიც და კათოლიკენიც (სურ. 4).ალიოზ ბათმანაშვილი (სავანის სასწავლებლის მოწაფე, შემდეგ– წინამძღვარი) საქართველოში მყოფ თავის მასწავლებელ ივანე გვარამაძეს სწერდა: „მაისის 24-ს ფერიკვევის ჩვენს მონასტერში პროჩესიონი იყო. ალფონსმა იქადაგა. ხალხის სიმრავლე რაღა ვთქვა... კონსტანტინეპოლში რაც ქართველები იყვნენ, ქართველ მონასტრის დღესასწაულს დიდის სიამოვნებით დაესწრნენ. თითქმის ყველანი ახალციხის მაზრიდან არიან. მაგრამ სახე სულ გამოსცვლიათ. ასე რომ, მაგათი ქართველობა მარტო ენით გავიცანი“ [სჯიმხფ. 1907: № 2695], ე. ი. XX ს-ის დასაწყისში სტამბოლელი ქართველები ჯერ კიდევ ფლობდნენ ქართულ ენას, რაც სავანის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგიც იყო.

სავანეში მოღვაწე მამები ასევე ცდილობდნენ ქართველი ინტელიგენციის ჩართვას სტამბოლელი და, საერთოდ, თურქეთში მცხოვრები ქართველების ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების საქმეში. აღნიშნულის საუკეთესო მაგალითია მათი დამოკიდებულება აკაკი წერეთელთან, რაც სტამბოლში პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ ფერიქოის მონასტერში აკაკის სახელობის ბიბლიოთეკისა და მისი იუბილეს მოწყობით გამოიხატა. გაზეთი „დროება“ 1909 წელს ქართველ საზოგადოებას შეახსენებდა, რომ სტამბოლში მრავალი ქართველი ცხოვრობდა. ამასთანავე, ამცნობდა მათს გადაწყვეტილებას: „იქაურ ქართველობას გადაუწყვეტია მგოსნის აკაკი წერეთლის სახელობაზე დააარსოს საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. სამკითხველოს დამაარსებელნი სთხოვენ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გაუგზავნოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს წიგნები, საზოგადო მოღვაწეთა და მწერლების სურათები და ჟურნალ-გაზეთები. კარგი იქნება ყველა ჩვენი ქართული გამოცემის თითო ცალს დაუთმობდეს სტამბოლის ბიბლიოთეკას“ [წერეთელი ვ. გაზ. „დროება“. 1909: № 101]. სტამბოლში მოღვაწე ქართველი მამების გადაწყვეტილება აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ იყო აკაკის პატივსაცემად განზრახული ღონისძიებების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. მათ სურდათ, რომ აკაკის იუბილეს მოწყობამდე დაეფუძნებინათ ბიბლიოთეკა: „ჩვენი სურვილი იყო, იუბილესათვის მზათა გვქონოდა აკაკის სახელობაზე დაარსებული ბიბლიოთეკაც, რომ

იუბილესთან ბიბლიოთეკის გახსნით დღესასწაული გამოსულიყო უფრო სრული და აქაურ ქართველებსაც თვალ-წინ ჰქონოდათ სამშობლოს მოსაგონრად ქართველ ხალხის გონებრივი ნაშრომი და იმის მესვეურთა სურათები“ [წერეთელი ვ. გაზ. „დროება“. 1909: № 21].

საქართველოში დიდი მოწონებით შეხვდნენ ბიბლიოთეკის დაარსებას და დიდი მხარდგომაც აღმოუჩინეს. კერძოდ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უსასყიდლოდ გაუგზავნა 30 ლირის ღირებულების წიგნები და სხვა დახმარებაც აღუთქვა. ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა („დროება“, „ჩვენი საქმე“, „ძალა“, „ფასკუნჯი“) გაუგზავნეს თავიანთი გამოცემების თითო-ოროლა ცალი და ა.შ. ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში ბიბლიოთეკა უნდა გახსნილიყო ჯერ კიდევ 1908 წელს, მაგრამ საქართველოდან წიგნებისა და ქართველ მოღვაწეთა სურათების დაგვიანებით მიწოდებამ განაპირობა აღნიშნული თარიღის შეცვლა. მისი დაარსება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1909 წლის გაზაფხულზე. დასახელებული ბიბლიოთეკის ერთ-ერთი სიკეთე ისიც იყო, რომ იმთავითვე მასთან დააფუძნეს მუზეუმი, გაჭირვებულთა დამხმარე სალარო და იქცა სტამბოლში მცხოვრები ქართველების თავშეყრის ადგილად. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ იქაურმა ქართველმა ვაჭრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კვირა-უქმე დღეებში დაკეტავდნენ დუქნებს და კვირის თავისუფალ დღეს ისარგებლებდნენ ბიბლიოთეკით, ექნებოდათ ქართული წიგნების კითხვის დრო და საშუალება. ვინცამას არ შეასრულებდა, სამკითხველოს სასარგებლოდ 5 ლირას გადაიხდიდა [წერეთელი ვ. გაზ. „კოლხიდა“. 1911 : №156].

უნდა აღინიშნოს, რომ ფერიქოის მონასტრის მამების მიერ აკაკის იუბილის აღნიშვნა უდიდესი ეროვნული ღონისძიება იყო, რომელიც კი მოუწყვიათ საერთოდ სტამბოლში მცხოვრებ ქართველებს.

აკაკის საიუბილეო კომიტეტმა (თავმჯდომარე ვლადიმერ წერეთელი) იუბილეს დღედ 26 აპრილი აირჩია, მოსაწვევი ბარათები დაუგზავნა თანამემამულეებს. ფერიქოის მონასტრის ერთ დიდ დარბაზში იყო აკაკის სურათი, მორთული ყვავილებითა და წარწერით: „აკაკი ჩვენი, ვითარცა შოთა რუსთველი და სარგის თმოგველი“. იუბილეს მონაწილენი იყვნენ სტამბოლში მცხოვრები ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები თავიანთი ოჯახებით, ირანის შაჰის ბრძანებით გაძევებული რუსული გაზეთების კორესპოდენტი ი. ამირაჯიბი და, რაც მთავარია, სტამბოლში არსებული ქართული მონასტრების კათოლიკე მამები და მოწაფეები.პარაკლისი გადაიხადა ფერიქოის მონასტრის წინამძღვრის მოადგილემ, პატრმა სტეფანე გიორგიძემ. (წინამძღვარი იყო ბენედიქტე ვარდიძე). მანვე წარმოთქვა პირველი სიტყვა. იასე რაჭველმა წაიკითხა აკაკის ბიოგრაფია და მისი რამდენიმე ლექსი. სიტყვით გამოვიდა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ წერეთელი, მისი წინადადება იყო, აკაკისათვის გაეგზავნათ მილოცვის ბარათი.

საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა თბილისიდან შემთხვევით ჩასულმა პატრმა დომინიკე მუღაშაშვილმა (პაწაძემ). მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, თუ რაოდენ მძიმე წელი იყო ქართველი ერისათვის 1907 წელი – ილიას დაკარგვა. შემდეგ დეტალურად მოუთხრო 1908 წელს საქართველოში გადახდილ აკაკის იუბილეზე.

დომინიკე მუღაშაშვილმა, სტამბოლში მცხოვრებ ქართველთა ერთსულოვნებით აღფრთოვანებულმა, თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით

დაასრულა: „ვრწმუნდები, რომ სამი სარწმუნოების სამი შტო ქართველთ გვაროვნობისა, ისევ ერთ ხეზე ყოფილა დაბნეული და თავის ფესვს არ მოშორებია. გაუმარჯოსთ იმ ქართველთ მოღვაწეთ, რომელთაც ძირი ამ ხისა უხვად ურწყვიათ თავიანთ სისხლითა და ცრემლით“ [სქკმსფა. 1911: 3-4]. აღნიშნულის დასაბუთება იყო ის ძალისხმევა და შემოწირულობა, რომელიც სამი სარწმუნეობის ქართველებმა გაიღეს აკაკის იუბილეს ჩასატარებლად და ბიბლიოთეკის დასაარსებლად. საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ წერეთელმა თავის სიტყვაში საზოგადოებას მოახსენა, რომ ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის შემოსული იყო სულ 1490 ყურუში, ხარჯი კი შეადგენდა 1439 ყურუშს.

სტამბოლში მცხოვრებ ქართველთა მიერ გადახდილ აკაკის გრანდიოზულ იუბილეს მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა – მას არ ესწრებოდა თვითონ აკაკი. როგორც მოძიებული მასალიდან ჩანს, შემთხვევით მოხდა აკაკისა და სტამბოლში მცხოვრები ქართველების შეხვედრა. სტამბოლელმა ქართველებმა ისარგებლეს და გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ევროპაში სამკურნალოდ მიმავალ აკაკის. აკაკის სტამბოლში ჩასვლა მხოლოდ წინადღით გახდა ცნობილი სტამბოლის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარე ვლადიმერ წერეთლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აკაკის სულ რამდენიმე საათი მოუწია სტამბოლში გაჩერება, მათ შეძლეს, ეჩვენებინათ მისადმი უდიდესი პატივისცემა და სიყვარული: „ძნელი სათქმელია სიტყვებით ის პირუთვნელი სიხარული და აღტაცება, რომელიც გამოიჩინეს იმის დანახვაზე ამ შორეულ უცხოეთში გადმოსულმა ქართველებმა. დიდი, პატარა, ყველა მოეშურებოდა თავის თვალით ენახა სამშობლოს საკეთილდღეოდ მწარე მუშაობაში დაბერებული მოხუცი“ [გაზ. „დროება“. 1909: №184]. შეიძლება ითქვას, რომ აკაკისადმი მიძღვნილმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო მეტად შეაკავშირა სტამბოლში მცხოვრები და მოღვაწე ქართველები, გაუძლიერა ეროვნული მრწამსი.

სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწეთა და სტამბოლელი ქართველების ახლო ურთიერთობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სავანეში რელიგიურ დღესასწაულებში აქტიურად მონაწილეობდნენ იქ მცხოვრები ქართველები, განურჩევლად სარწმუნეობისა. შესაბამისი ცნობები მრავლადაა დაცული ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში. ერთ-ერთ დოკუმენტში მითითებულია, რომ 1899 წლის 29 მაისს სტამბოლის ფერიქოის ქართული ეკლესიის მრევლმა ჩაატარა „ვარდის ფესტივალი“ (ე.წ. ვარდისმოფენობა – ნ. ყ.). იმ დღეს ეკლესიიდან გამოიტანეს ხატები, ორკესტრთან ერთად მოიარეს ეკლესიის მიმდებარე ქუჩები და შეასრულეს ფადიშაჰისადმი მიძღვნილი ჰიმნი. ასევე საყურადღებოა ის დოკუმენტიც, რომელიც გვამცნობს რომ 1901 წლის 23 ივნისს ფერიქოის ეკლესიის მრევლს აღუნიშნავს დღესასწაული „ცეცხლის ღამე“ (ე.ი. ჭიაკოკონობა. – ნ. ყ.). ფერიქოის ქართული კათოლიკური ეკლესიის გარშემო რამდენიმე კოცონი დაანთეს [ალთუნელი ა. 2012: 125]. სტამბოლის სავანემ, მას შემდეგ, რაც იქ დაარსდა აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა, გაჭირვებულთა დამხმარე სალარო და ქართული მუზეუმი, კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი იქ მცხოვრები სხვადასხვა სარწმუნეობის ქართველების გაერთიანებას. ამას კარგად ხედავდნენ საქართველოდან ჩამოსულებიც. სტამბოლის სავანის ბიბლიოთეკა თავის დროზე დაიცვა ზაზაძეების ოჯახმა. ის მას დღემდე პატრონობს. დღეს იგი არქივისა და ფონდის სახით არსებობს. პროფესორი შუშანა ფუტკარაძე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც XX ს-ის 80-იანი წლების დასასრულს შეუდ-

გა ქართველ მამათა მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკაში არსებული მასალის დამუშავებას და დღემდე სწორედ იგი ხელმძღვანელობს ამ ბიბლიოთეკის მასალის სისტემატიზაციასა და კატალოგიზაციას. წლების განმავლობაში ბიბლიოთეკაში გარჩეულ და აღწერილ იქნა 90000 ერთეული ხელნაწერი და წიგნი, დასამუშავებელია კიდევ რამდენიმე ათასი ერთეული.

საყურადღებოა ის, რომ ცნობილმა ქართველმა მეცენატმა სიმონ ზაზაძემ ბოლო პერიოდში იზრუნა ფონდის რეაბილიტაციაზეც. პროფესორებმა შუშანა ფუტკარაძემ და როინ მალაყმაძემ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად დაიწყეს უნიკალური ქართული ხელნაწერებისა და ლიტერატურის დახარისხება-კატალოგიზაცია.

XIX ს-ის 70-იან წლებში საქართველოში კიდევ უფრო გამძაფრდა რუსიფიკატორული პოლიტიკა და ქართველი ხალხი ეროვნული გადაგვარების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ეს რომ არ მომხდარიყო, ქართველმა ინტელიგენციამ საქველმოქმედო საზოგადოებები ჩამოაყალიბა. მათ შორის ერთ-ერთი ქმედითი აღმოჩნდა 1879 წელს დაფუძნებული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მან მიზნად დაისახა ქართველ ხალხში განათლებისა და კულტურის შეტანით ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება, რაც სახალხო სკოლების, ბიბლიოთეკებისა და სტამბების დაარსებით ესახებოდათ. სწორედ ეს საზოგადოება ჩაუდგა სათავეში საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მათი სამიზნე მთელი საქართველო და ქართველი ერი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებამ კარგად გაართვა თავი დასახულ მისიას. XX ს-ის დასაწყისში კი მიიჩნიეს, რომ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დაეარსებინათ ამ საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები, რაც რეალურად განხორციელდა კიდეც. ამასთანავე, ამ საზოგადოების მიზანი იყო, რომ ასეთივე საზოგადოებები დაარსებულიყო საქართველოს საზღვრებს გარეთ, იმ ქვეყნებში, სადაც საუკუნეების განმავლობაში განვითარებული მოვლენების შედეგად მოხდა ქართველთა მიგრაცია. ერთ-ერთ ასეთ ქვეყნად, უპირველესად, მოიაზრებოდა თურქეთი. ქართველი ინტელიგენციის სურვილი იმთავითვე გაიზიარეს სტამბოლის სავანეში მოღვაწე მამებმა. მათ თურქეთში მცხოვრები ქართველების ეროვნული ცნობიერების შესანარჩუნებლად აუცილებლად მიაჩნდათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება თურქეთში, რაც შესაძლებელიც იყო საქართველოს გამოცდილების, თურქეთში მცხოვრები ქართველების სურვილითა და სტამბოლის ქართველ დედათა და მამათა სავანეების თანადგომის გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ფერიქოის მამათა სავანეს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან. სავანეში აკაკის ბიბლიოთეკა სწორედ ამ საზოგადოების დახმარებით დაარსდა. აღნიშნული დროისათვის საქართველოში დასახელებული საზოგადოების თავმჯდომარე იყო გიორგი ყაზბეგი. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა სტამბოლში ამ საზოგადოების დაარსებას. (იგი მოგვიანებით სტამბოლში გაჰყვა მენშევიკურ მთავრობას და იქვე გარდაიცვალა).

თურქეთში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისათვის სიტუაცია კარგად ყოფილა მომწიფებული 1912 წლისათვის. ამ მნიშვნელოვან საქმეზე დიდი გავლენა იქონია ფერიქოის სავანეში მომხდარმა ცვლილებებმაც. კერძოდ, სავანის ახალ წინამძღვრად აირჩიეს მამა პიო ბალიძე – „ერთი იმ რვათაგანი, რომელნიც გაუწვრთნია

მამულის სიყვარულში პატრ ალფონსს“ (ალფონს ხითარიშვილი – სავანის წინამძღვარი 1898-1905 წლებში. – ნ.ყ.). პიო ბალიძემ იმთავითვე მრავალი მამულიშვილური საქმე წამოიწყო. მას დიდი იმედით შეჰყურებდნენ როგორც სტამბოლელი, ისე საქართველოში მცხოვრები ქართველები. სწორედ იმ პერიოდში შეიმუშავეს ოსმალეთის ქართველთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოების პროგრამა. ამ მამულიშვილური საქმის ორგანიზატორები იყვნენ როგორც სავანეში მოღვაწე პირები, ისე სტამბოლელი ქართველები: მამა შალვა ვარდიძე, მემედ-ბეგ აბაშიძე, ისკანდერ-ეფენდი ცივაძე, დავით ჩიქოვანი და სხვები.

დავით ჩიქოვანმა აღნიშნულ საკითხზე რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა ქართულ პრესაში. „სახალხო გაზეთის“ მეშვეობით, 1912 წელს მან საქართველოს საზოგადოებას ამცნო ოსმალეთის ქართველთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისათვის მზადების შესახებ: „უნდა სიხარულით ვაუწყო ჩვენს საზოგადოებას, რომ აქაური ქართველობაც იღვიძებს, სურს თვითგამორკვევა და ორგანიზაციის შექმნა... აგერ ორი თვეა დაიწყო კრებები და კომისიების მუშაობა. ჰსურთ დაარსონ კულტურული საზოგადოება ამ სახელით: „ოსმალეთის ქართველთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოება.“ წესდება უკვე შემუშავებულია და მალე დამფუძნებელი კრებაც იქნება მოწვეული“ [ჩიქოვანი დ. გაზ. „სახალხო გაზეთი“. 1912: №603]. ავტორი მიუთითებდა, რომ კრებებს ესწრებოდნენ ყველა წოდების ქართველები: მოხელეები, ვაჭრები, მოსწავლე-ახალგაზრდობა, მასწავლებლები, მხედრები, ფაშები (გენერლები), განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა. იგი მიუთითებდა, რომ ერთ-ერთ კრებას 120 მაჰმადიანი ქართველი დასწრებია. აღნიშნავდა, რომ ეს არ იყო მხოლოდ სტამბოლელი ქართველების სურვილი: „სტამბოლის გარეთაც გაიგეს და მრავლად მოუვიდათ მილოცვა და სურვილი წევრობისა.“ ავტორი მკითხველს მიანიშნებდა, რომ დასახელებული საზოგადოების დაარსება სამომავლოდ გამოიწვევდა მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა კიდევ უფრო მეტად დაახლოებას, „სტამბოლის მამათა სავანე კი იყო ბუდე ყოველი საზოგადოებრიობისა და გარემოებამ მას არგუნა დიდი როლი, „შეერთება ქრისტიან და მაჰმადიან ქართველობისა“ [ჩიქოვანი დ. გაზ. „სახალხო გაზეთი“. 1912: №603].

თურქეთში ასეთი საგანმანათლებლო საზოგადოების დაარსებას დიდი სიხარულითა და მოწონებით შეხვდნენ საქართველოში. დავით ჩიქოვანის სტატიას ბევრი გამოეხმაურა. ერთ-ერთი ავტორი შინაურის ფსევდონიმით წერდა: „ვინც ოსმალეთის ცხოვრებას იცნობდა იმდენად მაინც, რამდენადაც იგი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აღიბეჭდებოდა ხოლმე, დამერწმუნება, რომ ასეთი საზოგადოების დაარსება მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. ოსმალეთში ყოველთვის ბლომად ყოფილა ქართველობა... მაჰმადიან ქართველთა გარდა ოსმალეთში არიან კათოლიკე ქართველებიც. სარწმუნეობრივი სხვადასხვაობა ოსმალეთის ქართველებისა და კათოლიკეთა უეჭველია ხელს ვერ შეუშლის ისეთ საკულტურო დაწესებულების დაარსებას, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნულ თვითცნობიერების შეტანას მრავალრიცხოვან გამაჰმადიანებულ ქართველებში“ [შინაური. გაზ. „სახალხო გაზეთი“. 1912: №606]. სტატიის ავტორს მიაჩნდა, რომ ამ საზოგადოებისათვის ქართულ მხარეს, ხელოვნური საზღვრების მიუხედავად, უნდა გაეწია სისტემატური დახმარება. მისი მიზნები უფრო შორს მიდიოდა: „ჩვენ რითაც კი მოვახერხებთ მუდმივი და თვალსაჩინო კარი უნდა გავაბათ ოსმალეთისა, შემდეგ კი სპარსეთის ქართველების კულტურული დაწესებულებებით.“

უნდა აღინიშნოს, რომ 1912 წელს ოსმალეთის ქართველთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოების დასაარსებლად დიდი მუშაობა ჩატარდა. ამ საზოგადოების დაფუძნების ორგანიზატორები მხოლოდ წესდების შემუშავებითა და კრებების ჩატარებით არ დაკმაყოფილდნენ. უმთავრეს მიზნად სოფლად განათლების გავრცელება დაისახეს. ამიტომ მათ იმოგზაურეს ქართველებით დასახლებულ სოფლებში. შალვა ვარდიძემ და დავით ჩიქოვანმა ოთხი დღის განმავლობაში მოიარეს იზმითის მაზრის ქართული სოფლები და დაარიგეს დედაენის სახელმძღვანელოები. მათი მოგზაურობის მიზანი იყო დასახელებული საზოგადოების დაარსების საკითხისადმი ქართველთა დამოკიდებულების გარკვევა. დავით ჩიქოვანი წერდა: „გადავწყვიტეთ ხანმოკლედ გვემოგზაურა ზოგიერთ ქართულ სოფლებში, რათა ზერელე წარმოდგენა მაინც გვქონოდა მათზე" [ჩიქოვანი დ. გაზ. „სახალხო გაზეთი". 1912: №608].

საზოგადოების ორგანიზატორებმა თავის დროზე იზრუნეს დედაენის სახელმძღვანელოს დაბეჭდვაზეც. შ. ფუტკარაძე ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „ქართულ სავანეში მაშინ დედა ენის სპეციალური წიგნიც კი დაიბეჭდა ოსმალეთში მცხოვრები ქართველებისათვის ასეთი დასახელებით – „პატარა ქართული ანბანი, შედგენილი და გამოცემული ოსმალოს ქართველთათვის, გამოცემა პირველი, სტამბოლი, ქართული საბეჭდავი, ფერიქოი, 1914 წელი" [ფუტკარაძე შ. 2007: 11]. დასახელებულ წიგნს თვითონ შ. ფუტკარაძემ მიაკვლია სტამბოლის ქართველთა სავანის აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში და მის ბოლო გვერდზე მოიძია საინტერესო ცნობა: „ფასი 40 ფარა. ამ წიგნის შემოსავალი გადადებულია უფრო ვრცელი სახელმძღვანელოს გამოსაცემათ." მისი აზრით, ასეთი ვრცელი სახელმძღვანელო კიდეც უნდა დაბეჭდილიყო ფერიქოის მონასტრის სტამბაში. ვარაუდის საფუძველს აძლევს ემიგრანტი ქართველის – გიორგი კერესელიძის ერთი მოგონება, ჩართული ნაშრომში „იესო ქრისტე და ქართველი ერი". გიორგი კერესელიძე ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციის წინა დღეებში შეხვედრია ოსმალეთის დელეგაციის წევრს, ოსმალეთის უმაღლეს სასულიერო პირს, ხასნ-ფეჰმი ირემაძეს. მათი საუბარი შეხებია ქართული ენის სილამაზესაც, ქართული ანბანის დახვეწილობას, მის უნიკალურ ბუნებას. ხასნ-ფეჰმი ირემაძეს საუბრის დროს უხსენებია თავისი შვილის საწერ მაგიდაზე დანახული წითელყდიანი ქართული ანბანის შესასწავლი წიგნი. შ. ფუტკარაძის ვარაუდით, სწორედ ეს უნდა იყოს მონასტრის სტამბაში დაბეჭდილი დედაენის მეორე გამოცემა [ფუტკარაძე შ. 2007: 11]. ვიტოვებთ იმედს, რომ სტამბოლის ქართველ მამათა სავანის ბიბლიოთეკის ჯერ კიდევ დაუმუშავებელ მასალაში აღმოჩნდება დასახელებული სახელმძღვანელო.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოსმალეთის ქართველთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოების ორგანიზატორები სახელძღვანელოების გამოცემასთან ერთად აპირებდნენ ქართული სკოლების გახსნასაც 1914 წლისათვის. 1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ამიტომ სკოლების გახსნა შეუძლებელი გახდა. უფრო მეტიც, დაიხურა ქართული სავანის დედათა და მამათა მონასტრებთან არსებული სკოლები. მოსწავლეები კი ევროპის ქვეყნებში გახიზნეს.

პირველმა მსოფლიო ომმა ჩაშალა ოსმალეთის ქართველთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების საქმე. სამწუხაროდ, ახდა დ. ჩიქოვანის წინათგრძნობა. იგი ჯერ კიდევ 1912 წელს წერდა: „დღეს

დაწყებულია დიადი საქმე და თუ რაიმე გარეგანმა გარემოებამ ხელი არ შეუშალა, იმედია მოწესრიგებულ საზოგადოებას შეჰქმნიან“ [ჩიქოვანი დ. გაზ. „სახალხო გაზეთი“. 1912: №603]. დასახელებული ორგანიზაციის ორგანიზატორთა ორწლიანი დაუღალავი შრომა „დიადი საქმისათვის“ ომმა შთანთქა. ამდენად, მათი მისწრაფება, ოსმალეთში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობაში შეეტანათ ქართული განათლება და შეენარჩუნებინათ ეროვნული ცნობიერება, იმ დროისათვის შეუძლებელი გახდა. ამასთანავე, სამწუხაროდ, ასეთი საზოგადოების დაარსების საკითხი აღარ დამდგარა დღის წესრიგში, რამაც შესაბამისი შედეგი გამოიღო კიდეც. ვერ მოხერხდა ორგანიზებული საზოგადოების დაარსება, რომელიც თანამიმდევრულად და სისტემატურად განახორციელებდა დასახულ მიზანს: თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის ქართველობის შენარჩუნებას. ამის შემდგომ პრობლემის წინაშე პირისპირ დარჩა მხოლოდ და მხოლოდ სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანე, რომლის გადაჭრაც მის ძალებს აღემატებოდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ სავანე საუკუნეზე მეტი ხნის არსებობის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებით ცდილობდა, რომ ახლო ურთიერთობა ჰქონოდა თურქეთში ბედუკულმართობით გადასახლებულ ქართველებთან. საქართველოს ხელისუფლება კი ყოველთვის ინერტული იყო როგორც სავანის, ისე სტამბოლში მცხოვრები ქართველების მიმართ. ეს კარგად ჩანს სავანის წინამძღვარ პიო ბალიძის მიერ 1949 წელს საქართველოს ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილში: „ჩვენ ვართ განწირულნი ერისათვის და სამშობლოსათვის. ნიკოლოზმა სახლის კარი გადგვიზირზა, მენშევიკებმა ბამბით ყურები დაიცვეს, ნუთუ საბჭოთა მთავრობაც დაგვივიწყებს!... გაბედულათ მოვითხოვ იმ უფლების აღდგენას და პატრონობას, რომელიც მეკუთვნის წესიერათ. კონსტანტინეპოლის ქართული მონასტერი იყო, არის და იქნება ქართული სულის მატარებელი, თავშესაყარი ყველა ლტოლვილი და გაჭირვებული ქართველისა, მიუხედავად მისი რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებისა. იგი ფხიზელი დამცველი და დარაჯია ქართული ინტერესებისა. სასურველი იქნება ღირსეულათ შეფასდეს მისი ღვაწლი და ეს პატარა საქართველო უცხოეთში დაცული და შენახული იქმნეს“ [სქკსფა. 1949: 37].

ზემოთ წარმოდგენილი მასალა ნათელს ჰფენს ამ მონასტრის მამათა მრავალმხრივ მოღვაწეობას. ამასთანავე, უნდა კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ სტამბოლის ფერიქოის ქართველ მამათა სავანე იმთავითვე იქცა სტამბოლში მცხოვრები ქართველების, განურჩევლად სარწმუნეობისა და სოციალური მდგომარეობისა, თავშეყრის კერად. იქ განხორციელებულმა ღონისძიებებმა კი ხელი შეუწყო მათ ურთიერთდაკავშირებას ეროვნულობის ნიშნით. სავანე ერთადერთი იყო, რომელმაც შეძლო ახლო ურთიერთობა ჰქონოდა სტამბოლელ ქართველებთან და თავისი ღონისძიებებით მათ იმ პერიოდში შეუნარჩუნა მშობლიური ენა და ეროვნული ცნობიერება. სტამბოლშიც და მთლიან თურქეთშიც დღესაც მრავალი ქართველი ცხოვრობს. სასურველია, რომ მათთან ახლო ურთიერთობის ტრადიცია, რომელიც არსებობდა XX ს-ის დასწყისში, კვლავ აღდგეს და გაგრძელდეს... ბოლოდროინდელი ინფორმაციით, სტამბოლელ ქართველებს სურთ თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ცენტრის შექმნა. ასეთი ცენტრი კიდევ უფრო დააახლოებს ორ მეზობელ სახელმწიფოს და ხელს შეუწყობს მათს კეთილმეზობლურ თანაარსებობას. შესაბამისად, შესაძლებელი გახდება იქ მცხოვრებ ქართველებთან კულტურული თანამშრომლობა.

**Nato Kruashvili**

Georgian National Museum
Samtskhe – Javakheti History Museum
P. Kharischirashvili, #1, 0008, Akhaltsikhe, Georgia
e – Mail:nato-tata@mail.ru

# To Study the Relations between the Istanbul Georgians and Georgian Catholic Fathers' Monastery of Istanbul

## Summary

Based on the historical events and Muhajirism, muslim Georgians have been living in the Ottoman Empire over the centuries, and this country has become their second homeland. Because of the anti Catholic policy carried out by the Tsar's authorities in Meskheti in the mid of the 19$^{th}$ c, one part of Georgian Catholics, including Father Peter Kharischirashvili, had to leave their motherland and to find the refuge in the Ottoman Empire. In Istanbul Peter Kharischirashvili founded his Brethren and set up Georgian Catholics Cloister.

Istanbul Cloister has become the center of Georgian Cloisters existed in Turkey and in Europe. Besides the ecclesiastical sphere, people working in the Cloister were engaged in national – scientific activities. As a result, the Cloister soon grew into the strongest hub of Georgian culture.

The cloister took care of its compatriots – catholic and muslim Georgians, supported them to maintain their native language, identify and national dignity. To achieve this goal they tried hard to bring Georgian education to them, and to involve them into different kinds of arrangements. Namely, Istanbul Cloister established the Akaki Tsereteli library and Georgian Museum to maintain national consciousness of local Georgians. It also headed the formation of the "Society for the Dissemination of Literacy among Ottoman Georgians". The "Mother Tongue" manuals for Ottoman Georgians were published in printing house of the Cloister. In 1909 Georgian population of Istanbul gave a cordial welcome to Akaki Tsereteli, who was going to Europe for treatment.

Istanbul Georgian Cloister was the only one that during its existence (1859 – 1979ss) managed to realize close relations with Georgians of three confessions, who were exiled to Turkey. It also did a great contribution in the preservation of their native language and national consciousness, at least temporarily.

## ბიბლიოგრაფია


**ალთუნელი ა. 2012:** *საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში.* თბილისი.

**გვარამაძე ი.** „ვინმე მესხის“ წერილი. გაზ. *„ცნობის ფურცელი“.* 1897: №87. გვ.3

„დროება“. 1909: გაზეთი. №184. გვ.2-3.

**მაისურაძე ი.** დომინიკე მუღაშაშვილი, გაზ. *„გამარჯვება“.* 1980: №35. გვ 2.

**რაჭველი ი.** წერილი სტამბოლიდან. გაზ. *„ივერია“.* 1894**:** №146. გვ. 3.„სახალხო გაზეთი“. 1912: გაზეთი. №606. გვ. 3.

**სქკმსფა. 1911:** № 110. შიო ბათმანაშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილისადმი.

**სჯიმხფ. 1907:** №2695. ალიოზ ბათმანაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

**სქკმსფა. 1949:** № 37. პიო ბალიძის მოხსენება (მოკლე მოხსენება კონსტანტინეპოლის ქართველთ ძმობის მონასტერზე) სანდრო საკაშვილისადმი.

**სქკსმფა 1930:** № 112. შალვა ვარდიძე, წერილი სტამბოლიდან.

**ურუშაძე ლ. 1994:** პეტრე ხარისჭირაშვილი. *„საქართველოს კათოლიკე“.* №3. თბილისი.

**ფუტკარაძე შ. 2002:** *ქართული კულტურის კერა სტამბოლში.* ბათუმი.

**ფუტკარაძე შ. 2007:** სტამბოლის ქართული სავანე – თურქი და ქართველი ხალხის მეგობრობის სიმბოლო. *„ქართული მემკვიდრეობა“. ჟურ.* XI. ქუთაისი.

**ჩიქოვანი დ.** სტამბოლის ქართველ დედათა მონასტერი. გაზ. *„სახალხო გაზეთი“.* 1912: №603. გვ. 2-3.

**ჩიქოვანი დ**. ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში. გაზ. *„სახალხო გაზეთი“.* 1912: №608. გვ. 3.

**წერეთელი ვ.** ქართული სამკითხველო სტამბოლში. გაზ. *„დროება“.* 1909**:** №21. გვ.2

**წერეთელი ვ.** აკაკის იუბილე სტამბოლში. გაზ. *„დროება“.* 1909**:** № 101. გვ.2.

**წერეთელი ვ.** სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ამბავი. გაზ *„კოლხიდა“.* 1911**:** №156. გვ.3.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი.
**სურ. 2.** სტამბოლის ქართველ მამათა კათოლიკური მონასტერი.
**სურ. 3**. სტელა: სტამბოლის ქართულ მამათა სავანის წინამძღვრები.
**სურ. 4.** შალვა ვარდიძე, ალიოზ ბათმანაშვილი და სტამბოლელი ქართველები.

## Description of Illustrations

**Fig. 1**. Priest Peter Kharischirashvili.
**Fig. 2**. Georgian Catholic Fathers' Cloister of Istanbul.
**Fig. 3.** Stella: the Heads of Istanbul Georgian Fathers' Cloister.
**Fig. 4**. Shalva Vardidze, Alioz Batmanashvili and Istanbul Georgians.



**სურ. 1 Fig.**



**სურ. 2 Fig.**



**სურ. 3 Fig.**



**სურ. 4 Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 297-308
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 297-308

**ისტორია**

**ნონა ხარატიშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქუჩა№1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: kharatishvili-nona @mail.ru

# შალვა ამირანაშვილი და საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი ისტორიულ ფასეულობათა დაბრუნება

XIX ს. ქართველი ერისათვის ერთგვარი გამოცდა იყო. ერთმორწმუნე მფარველის დროშით შემოსულმა რუსეთმა ჯერ ქართლ-კახეთის, ხოლო შემდეგ იმერეთის სამეფო გააუქმა. საქართველოში არსებობა შეწყვიტა სამეფო დინასტიამ.

ავტოკეფალია წართმეულ საქართველოს ეკლესიას რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი რუსი ეგზარქოსები მართავდნენ. მათი ხელშეწყობით ეკლესია-მონასტრებში დაცული საეკლესიო სიწმინდეები და უძველესი ქართული ხელნაწერები იძარცვებოდა და ნადგურდებოდა [ვარდოსანიძე ს. 2014:679].

XIX ს-ესა და XX ს-ის I ნახევარში ეროვნული საგანძურის დატაცება - მითვისების ბევრი ფაქტი გახდა ცნობილი. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ქუთაისის გუბერნატორი ლევაშოვი, რომელმაც 1856 წელს მიითვისა გელათის მონასტერში დაცული X ს-ის ქართული ჭედური ხელოვნების მნიშვნელოვანი ძეგლი, ღვთისმშობლის ვედრების მინანქრის ხატი. მისი დიდი ნაწილი შემდეგ ბოტკინის კოლექციაში აღმოჩნდა და უკვე ძლიერ ფრაგმენტირებული 1923 წელს საქართველოს დაუბრუნდა [ჩხაიძე გ. 2003:203].

ლევაშოვის მეუღლემ გელათის მონასტრიდან გაიტანა ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს ჯვარი. გუბერნატორმა მიითვისა ტიხრული მინანქრით შემკული სახარების მოჭედილობაც (X-XI სს.). იგი გაიყო ორ ნაწილად. ყდის ერთი ნაწილი წმ. დიმიტრის გამოსახულებით დაცულია ბერლინის მუზეუმში. მეორე ნაწილი, რომელზეც გამოსახულია ღვთისმშობელი ანგელოზებით, ბელგიელი კოლექციონერის საკუთრებაა [ამირანაშვილი შ. 1971:308].

არსებობს აზრი, რომ საქართველოს რუსმა ეგზარქოსმა შესაძლებლობა მისცა ერთ-ერთ პეტერბურგელ ავანტიურისტს, მიესაკუთრებინა ჯუმათისა და შემოქმედის მონასტრების უნიკალური ქართული მინანქრები, ვერცხლის ნაჭედი ხატები და სხვა ნივთები [კვესელავა იგ. 2014:141].

ვარძიის მონასტერი რამდენჯერმე გაიძარცვა. „წაიღეს საეკლესიო ქონება, ხატები, ბარძიმ-ფეშხუმები. ასი თუმნის საღირებელი ქონება" [გაზ. „დროება". 1866:3-4].

1923 წლის 10 აპრილს ექვთიმე თაყაიშვილი პარიზიდან დამიანე

ჯგუშიასადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა: „უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს სიძველეების ძარცვა სისტემატურად სწარმოებდა და იმდენად ბევრია საქართველოდან გატაცებული, რომ ეხლა მესამედის მიგნებაც ძნელია. ოთხი მეხუთედი, ზვენიგოროდსკის, ბოტკინის და ბალაშოვის კოლექციებისა საქართველოს მონასტრებიდან არის მიტაცებული" [ჟორდანია გ.1983:27].

ლევაშოვისა და საბინ-გუსის საქმიანობამ ააღელვა ქართველი მეცნიერები. განსაკუთრებით, დიმიტრი ბაქრაძე, რომლის პროტესტი, ნიკოდიმ კონდაკოვის უშუალო დახმარებით, გადაეცა რუსეთის მთავრობას, რომელიც ამის შემდეგ იძულებული იყო, აღეკვეთა საქართველოდან განძეულის დატაცება [ჩხაიძე გ. 2003:205].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუზეუმებს რთული პერიოდი დაუდგა. ინგრეოდა ეკლესია-მონასტრები, ნადგურდებოდა ჭედური ხატები. ამ განუკითხაობას წინ აღუდგნენ ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ამირანაშვილი, გიორგი ბოჭორიძე. სიძველეთა თავმოყრაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის დიმიტრი შევარდნაძეს, რომლის სიცოცხლეც 1937 წელს მეტეხის ტაძრის გადარჩენას შეეწირა.

1922 წელს გამოითქვა არცთუ უსაფუძვლო ეჭვი საქართველოს მუზეუმიდან რუსეთში განძის გატანასთან დაკავშირებით [სუიცა. ფ.300. 1922:32]. თუმცა იმავე წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ინიციატივით საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დაებრუნებინა საქართველოდან რუსეთში გატანილი და იქ დაცული ხელნაწერები, ასევე სხვა სამუზეუმო ექსპონატები. 1922 წლის 20 ივნისს სსრკ ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას გადაეცა სამუზეუმო და საარქივო კოლექციები, რომლებიც მეფის მთავრობამ გაიტანა და რუსეთის სიძველეთსაცავებში ინახებოდა" [ამირანაშვილი შ. 1978:3].

1922 წლის 9 ნოემბერს თბილისში მოიწვიეს სამეცნიერო საბჭოს სხდომა. მას ესწრებოდნენ: გიორგი ნათიძე, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, გიორგი ახვლედიანი, სარგის კაკაბაძე, სოლომონ ქურდიანი, სერგო გიორგაძე.

კრების მიზანი იყო საგანგებო კომისიის წევრების არჩევა, რომელთაც უნდა გაერკვიათ „სიძველეთა გარშემო ატეხილი დავა." მსჯელობის შემდეგ კომისიაში წარმომადგენლებად აირჩიეს კორნელი კეკელიძე და აკაკი შანიძე. გარკვეული მიზეზების გამო, კორნელი კეკელიძე მოსკოვში გამგზავრებას არ დათანხმდა. ბოლოს მან გაითვალისწინა უდიდესი ისტორიული მოვლენა, რომელიც საქართველოში ისტორიული და კულტურული ფასეულობების დაბრუნებასთან იყო დაკავშირებული და თანხმობა განაცხადა [სუიცა. ფ.300. 1922:371].

საბჭოთა კავშირის მთავრობის დადგენილების რეალიზაციის მიზნით, შეიქმნა სპეციალური კომისია, ერთი მხრივ, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და სახალხო კომისარიატის, მეორე მხრივ, საქართველოს წარმომადგენლების შემადგენლობით. კომისიის მუშაობის ორგანიზება მიენდო საქართველოს წარმომადგენელს რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკაში აკადემიური საქმეების განხრით დამიანე ჯგუშიასა და მის მოადგილე ნიკოლოზ ჟორდანიას.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიიდან: ნიკო მარი, სერგეი ოლდენბურგი, ვლადიმერ ბარტოლდი და იური მარი, ხოლო საქართველოდან: აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, სარგის კაკაბაძე, პავლე ინგოროყვა და შალვა ამირანაშვილი.

კომისიის მუშაობის შედეგად, 1922 წლის 29 აგვისტოს დაადგინეს: „ყველა ქართული წარმოშობის რეგალიები და სიძველენი, რომლებიც დაცულია რუსეთის სსრ ფედერაციის მუზეუმებსა და საცავებში, მათი ქართული წარმოშობის დასაბუთების შემდეგ, უნდა გადაეცეს საქართველოს სსრ-ს" [ამირანაშვილი შ. 1978:4].

ხანგრძლივი კამათის შემდეგ საქართველოდან რუსეთში სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო და საარქივო მასალა კომისიამ ორ ჯგუფად დაყო. პირველ ჯგუფს მიაკუთვნა ის სიძველენი, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის დროს იქნა ევაკუირებული საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში (ეკატერინოდსკში, სტავროპოლსა და სხვ.). მეორე ჯგუფში კი შევიდა ის ნივთები და დოკუმენტები, რომლებიც ბოლო ასი წლის განმავლობაში სხვადასხვა გზით მოხვდა მოსკოვისა და პეტერბურგის მუზეუმებსა და საცავებში [სუიცა. ფ.300. 1923:1].

1922 წლის 24 ივნისს საგანგებო კომისიამ განსაზღვრა ის ზოგადი პრინციპები, რომელთა საფუძველზეც უნდა მომხდარიყო რუსული მეცნიერებისათვის ზიანის მიუყენებლად ქართული მხარისათვის კუთვნილი სიძველეების დაბრუნება. ორთვიანი მუშაობის შემდეგ კომისია საქართველოში დაბრუნდა. აკაკი შანიძემ დიდხანს დაჰყო რუსეთში. მან აღწერა ხელნაწერები და შალვა ამირანაშვილს დაუტოვა წერილი. მასში აღნუსხული იყო ყველა ხელნაწერი, რომელთაც იგი უნდა დაყრდნობოდა სიძველეთა გადმოცემის დროს.

შალვა ამირანაშვილი 1922-1923 წლებში მოსკოვსა და პეტერბურგში იმყოფებოდა, სადაც სწავლობდა რუსულ ხელოვნებას, ბიზანტიურსა და ირანულ კულტურას დ. აინალოვის, ლ. მაცულევიჩისა და ი. ორბელის ხელმძღვანელობით.

პიროვნული ღირსებების, მაღალი პროფესიონალიზმისა და საინტერესო ბიოგრაფიის გამო სრულიად ახალგაზრდა კაცს (სურ.1) ნდობა გამოუცხადა სამეცნიერო საზოგადოებამ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შალვა ამირანაშვილი მონაწილეობდა რუსეთისა და საქართველოს მეცნიერთა გაერთიანებულ კომისიაში, რომელსაც დაევალა რუსეთის მუზეუმებში, სიძველეთა საცავებსა და არქივებში ქართული კულტურისა და ხელოვნების ძეგლების გამოვლენა და მათი საქართველოში დაბრუნება. კომისიამ შეადგინა ძველი ქართული ხელნაწერების, ისტორიული დოკუმენტებისა და ხელოვნების ნიმუშების ნუსხა. მასვე დაევალა კოლექციების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია.

წინააღმდეგობა წარმოიშვა ძველი ქართული ხელნაწერების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ერთმანეთს დაუპირისპირდა თბილისისა და პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლათა ინტერესები. ამ საკითხის გადასაწყვეტად შეიქმნა კომისია ა. ლუნაჩარსკის ხელმძღვანელობით. გასარკვევი იყო, თუ რომელი სამეცნიერო ცენტრი იმსახურებდა უპირატესობას როგორც სამეცნიერო დონის თვალსაზრისით, ასევე სპეციალისტთა რაოდენობით. პეტერბურგის სამეცნიერო ცენტრს ხელმძღვანელობდა მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი ნიკო მარი.

საქართველოში ქართველოლოგიის სკოლის გარშემო გაერთიანებული იყო ახალგაზრდა თაობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი მეცნიერები - აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, პავლე ინგოროყვა.

კორნელი კეკელიძე თავის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნავს: „გამოირკვა, რომ პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველოლოგიის განხრით მხოლოდ ნიკო მარი ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას, რომელსაც ძალიან მცირე მსმენელი ჰყავდა, განსხვავებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, სადაც ამ მიმართულებით უფრო მეტი მეცნიერი იყო დაინტერესებული. ამის შემდეგ კომისია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ქართველოლოგიის ნამდვილ ცენტრად უნდა ჩაითვალოს თბილისი... ეს გარემოება უფრო ამძაფრებს და ასაბუთებს პრინციპიალურ გადაწყვეტილებას ქართული ძეგლების დაბრუნების შესახებ“ [სუიცა. ფ.300. 1923:44].

შ. ამირანაშვილმა და ა. გენკომ პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ის ხელნაწერები აღნუსხეს, რომლებიც შემდგომ საქართველოს გადაეცა.

შალვა ამირანაშვილმა და იური მარმა შეადგინეს ნუსხა იმ ქართული ხელნაწერებისა, რომლებიც დაცული იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმში [Джгушия Д. газ. „Заря Востока“, 1923:№201].

ქართული წარმოშობის ძეგლების დაბრუნებას ეწინააღმდეგებოდნენ მოსკოვისა და პეტერბურგის მეცნიერები. განსაკუთრებული კატეგორიულობით გამოირჩეოდა იარაღის პალატის მთავარი მცველი დ. ივანოვი, რომელიც დაინიშნა საექსპერტო კომისიის წევრად და ევალებოდა ქართული წარმოშობის ძეგლების განსაზღვრა. მთავარმეცნიერების მუზეუმთა განყოფილებამ 1923 წლის 21 იანვარს 18 ნივთიდან, რომლებიც წარდგენილი იყო 1922 წლის 8 სექტემბერს, მხოლოდ 10 ქართული ისტორიული ძეგლის გადაცემის ნება დართო. ხაზი გაესვა გიორგი XII-ის მეფედ კურთხევის გვირგვინს, რომლის გადაცემა ნებადართული იყო მხოლოდ საქართველოს წარმომადგენლების მიერ მოწვეული იუველირის თანდასწრებით [ბერუჩაშვილი ნ. 2014:32].

საქართველოს კუთვნილ ისტორიულ ფასეულობათა დაბრუნებამ რუსეთის მეცნიერების გარკვეული ნაწილის პროტესტი გამოიწვია. შალვა ამირანაშვილის გადმოცემით, განსაკუთრებით აქტიურობდნენ მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები. „როგორც ნ. მარისა და ს. ოლდენბურგის წერილობითი განცხადებიდან ჩანს, ისინი არ სცნობდნენ საქართველოს სიძველეთა და ისტორიულ ფასეულობათა უკან დაბრუნების უფლებას“ [ამირანაშვილი შ. 1978:5].

მთავრობამ აიძულა რუსეთის სამეცნიერო აკადემია, დამორჩილებოდა მის დადგენილებას. მიუხედავად მათი ამგვარი განცხადებისა, შეთანხმდნენ, რომ: „მოსკოვის მუზეუმში დაცული ქართული სიძველეები დაუყონებლივ უკან უნდა დაბრუნდეს სრულად, ხოლო პეტროგრადის მუზეუმიდან უნდა გადაეცეს პირველ რიგში ყველა უნიკუმი, ხოლო დარჩეს პეტროგრადში ის ძეგლები, რომელთა მსგავსი მოიპოვება საქართველოს მუზეუმებში“ [სუიცა. ფ.300. 1923:45].

1923 წელს დაიწყო ქართულ სიძველეთა საქართველოში დაბრუნება. ერთი მხრივ, იარაღის პალატის მცველმა დ. ივანოვმა, ასევე საქართველოს წარმომადგენლების მიერ მოწვეულმა იუველირმა, მეორე მხრივ, დ.

ჯგუშიამ და ექსპერტმა შ. ამირანაშვილმა 1923 წლის 6 თებერვალს შეადგინეს აქტი, რომლის საფუძველზე მხატვრულ-ისტორიული სიძველეები და სხვა სამუზეუმო ფასეულობები, მათ შორის, გიორგი XII-ის გვირგვინი სამეფო სკიპტრის ორი ფრაგმენტის ჩათვლით 1923 წლის 10 აგვისტოს გადაეცა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს. იარაღის პალატაში დარჩა მხოლოდ გიორგი XII-ის კვერთხი, რომელიც დღემდე შეცდომით იმპერატორ პავლე I-ის კვერთხადაა ცნობილი [ბიჭიკაშვილი ი. 2012:49].

1923 წელს, რუსეთის სამეცნიერო წრის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს დაუბრუნდა ხელნაწერები რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმიდან, პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკიდან, იარაღის პალატიდან და რუმიანცევის მუზეუმიდან.

1928 წლიდან საბჭოთა მუზეუმების ცხოვრებაში იწყება ახალი და ურთულესი ეტაპი, რომელმაც დაღი დაასვა სამუზეუმო საქმიანობას. სათანადო განკარგულების მიხედვით, დაიწყო სამუზეუმო კოლექციების გაყიდვა აუქციონებზე. ბევრმა უნიკალურმა ექსპონატმა თუ კოლექციამ გადაინაცვლა სხვადასხვა ქვეყნის კერძო საცავებში. მუზეუმის მთავარ სამეცნიერო მიმართულებად აღიარეს სოციალური კვლევა, ბრძოლა კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად, კლასთა ბრძოლის დემონსტრირება გამოფენებზე.

ამ განუკითხაობისას ბევრი მუზეუმი დაზარალდა. სამწუხაროდ, ამ ტალღას ვერც საქართველოს მუზეუმი გადაურჩა. 1930 წელს გაიყიდა ძვირფასი ქვებით შემკული ე.წ. ბაგრატიონების ოქროს გვირგვინი, რომელიც რუსეთის იმპერატორმა დაამზადებინა და 1799 წელს გამოუგზავნა საქართველოს მომავალ უკანასკნელ მეფე გიორგი XII-ს [ჭილაშვილი ლ. 1997:260].

შ. ამირანაშვილის მცდელობა, მიეკვლია ბოტკინის კოლექციისათვის, წარმატებით დასრულდა. საქართველოს ეს უძვირფასესი განძი ჩამოართვა რუსეთის სახელმწიფომ და განძთსაცავში ინახებოდა. მიუხედავად არაერთგზისი მოთხოვნისა, განძთსაცავის დირექტორი კატეგორიული უარით ისტუმრებდა ახალგაზრდა შ. ამირანაშვილს იმ მოტივით, რომ განძთსაცავში არეული იყო ყველა ძვირფასეულობა, მათს კლასიფიკაციას ხუთი წელი მაინც დასჭირდებოდა. შ. ამირანაშვილი თავისას არ იშლიდა. როცა კრემლის ერთ-ერთ სკვერში სტალინი, ა. ენუქიძე და ა. სვანიძე სეირნობდნენ, მოულოდნელად იგი შეხვდა სტალინს. შ. ამირანაშვილი კარგად იცნობდა ა. სვანიძეს. იგი შესანიშნავად ფლობდა ენებს, კარგად იცოდა საქართველოს ისტორია და, ამასთანავე, სიძველეების დიდი პატივისმცემელი იყო. სვანიძემ სტალინს უამბო ახალგაზრდა მეცნიერის შესახებ, რომელიც ქართული კულტურის ძეგლებს სწავლობდა. სტალინი გაეცნო მას და გამოჰკითხა, როგორ მიდიოდა ხელნაწერთა და სხვა ფასეულობების მიღება-ჩაბარების საქმე. შ. ამირანაშვილმა მადლობა მოახსენა ძვირფასი კოლექციის გადმოცემისათვის, მაგრამ აუხსნა, რა წინააღმდეგობები ჰქონდა განძთსაცავის ადმინისტრაციასთან ქართული ტიხრული მინანქრის გამო. თუ ვიმსჯელებთ მათი შეხვედრის შედეგით, ახალგაზრდა, განათლებულმა მეცნიერმა სტალინზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და დახმარებამაც არ დააყოვნა.

შ. ამირანაშვილს უნდოდა, ენახა ბოტკინის კოლექციაში დაცული

სიძველეები. აქ გახლდათ ჯუმათიდან, მარტვილიდან, შემოქმედიდან, გელათიდან წაღებული ტიხრული მინანქრები, ხატები, ჯვრები, პანაღია და ა.შ. ეს ყველაფერი გადაამოწმეს და საბედნიეროდ, ადგილზე აღმოჩნდა. [ამირანაშვილი შ. 1978:7].

პრობლემა იყო ქვაზე კვეთილი რელიეფების, კერძოდ, საფარის კანკელის, ბედიისა და წებელდის ტაძრებიდან წაღებული რელიეფების დაბრუნება, რომლებიც XIX ს-ის დასასრულ რუსეთში ჩაიტანა პ. უვაროვამ. ეს ქალბატონი გახლდათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და რუსეთის სახელმწიფოსთან არსებული სიძველეთა აღმწერი კომისიის წევრი. იგი საქართველოში მოღვაწეობდა. კომისიის ერთ-ერთი სხვა წევრი, ცნობილი რუსი ისტორიკოსი და ნუმიზმატი ა. ორეშნიკოვი, ამტკიცებდა, რომ საფარის კანკელი არ იყო ქართული ხელოვნების ნიმუში. მეცნიერის აზრით, იგი ბიზანტიელ ოსტატს ეკუთვნოდა. საფარის კანკელზე გამოსახულია სიუჟეტები ახალი აღთქმიდან. ერთ-ერთ ფილაზე წარმოდგენილია ღვთისმშობლის შობის სცენა. ეს გახლდათ XI ს-ის პირველი ნახევრის საეტაპო ნაწარმოები. შალვა ამირანაშვილს უნდა დაემტკიცებინა, რომ ეს რელიეფი იყო ქართული და არა ბიზანტიური. მხოლოდ ამის შემდეგ გადმოეცემოდა ეს ნიმუში საქართველოს. მან ყურადღება გაამახვილა ღვთისმშობლის შობის კომპოზიციაზე. წმინდა ანა აქ წევს ჩუქურთმებით შემკულ ხის სარეცელზე. ეს კი მნიშვნელოვანია, რადგან ასეთი სარეცელი არ იყო დამახასიათებელი არც ბიზანტიისა და არც რომელიმე მაშინდელი ქრისტიანული ქვეყნისათვის, გარდა საქართველოსი. ამ არგუმენტის წამოწევის შემდეგ კომისიამ მაშინვე უკან დაიხია და ქვაზე ნაკვეთი რელიეფების კლასიკური ნიმუშები ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდა[კავლელაშვილი ელ. გაზ. „მრევლი“. 2007: №118].

სულ მალე 23 წლის ახალგაზრდამ, მსუბუქად შეიარაღებული მხოლოდ ერთი მცველის თანხლებით, საქართველოს განძეულით დატვირთული 2 ვაგონი, რომელთაც უსაფრთხოების მიზნით, გაუკეთა წარწერა - „ვაგონში არიან ტიფით დაავადებულები“ - თბილისისკენ გამოემართა და ორ კვირაში განძი თბილისში უკლებლივ ჩამოიტანა.

პარალელურად ამისა, საქართველოს სსრ ცენტრალური არქივის გამგ-ეს, სარგის კაკაბაძეს, დაავალეს პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, საქართველოდან 1915 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში გა-ტანილი სამუზეუმო ფასეულობებისა და საარქივო დოკუმენტაციის შეკრება და სამშობლოში დაბრუნება [სუიცა. ფ.335. 1923:178].

1918-1919 წლებში თითქმის მთლიანად განადგურდა ჩრდილოეთ კავკასიაში გატანილი საარქივო დოკუმენტაცია და ქართული სიგელ-გუჯრები. 1919 წლის თებერვალში სადგური კავკასია (ქ. კრაპოტკინი) აიღო წითელმა არმიამ. რუსმა ჯარისკაცებმა გაანადგურეს ციხის შენობაში გადამალული ქართული საუნჯე. ორი ნაფლეთიდან, რომელთა გადარჩენაც მოხერხდა, ერთი აღმოჩნდა დავით აღმაშენებლის ანდერძის ნაწილი, ხოლო მეორე -გიორგი მეფის XI საუკუნის სიგელი [სუიცა. ფ.335. 1923:176].

სარგის კაკაბაძემ 1923 წელს თბილისში გამოაგზავნა გადარჩენილი საარქივო დოკუმენტაცია. „დიდების ტაძრის“ ექსპონატები, ძვირფასი ლითონის ნივთები, თავის დროზე მოსკოვისა და რუსეთის სხვადასხვა მუზეუმში გაიტანეს. საქართველოში დაბრუნებული ფასეულობები

გადანაწილდა თბილისის მუზეუმებს, სამხატვრო გალერეასა და ცენტრალურ არქივს შორის [სუიცა. ფ.300. 1923:10].

ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის დაბრუნების საქმეში ჩართული იყო თითქმის ყველა ჩვენი სახელოვანი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თუმცა მაინც ვერ მოხერხდა ყველა ნივთის დაბრუნება იმის გამო, რომ გაჭირდა ბევრი მათგანის კვალის მიგნება. მათი ძებნა და საქართველოში დაბრუნების მცდელობა კიდევ დიდხანს გაგრძელდა.

როგორც ცნობილია, 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების გამო, დემოკრატიული საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, საფრანგეთში გახიზნულიყო. არსებობდა საშიშროება, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში საფრთხე შეექმნებოდა სამუზეუმო განძეულობას. ამიტომ პირველი რესპუბლიკის მესვეურებმა იგი თბილისიდან ქუთაისში, იქიდან კი ბათუმში გადაიტანეს, ხოლო უცხოეთში წასვლისას სახაზინო ქონებასთან ერთად თან წაიღეს.

ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი მიბარებული განძეულობით საფრანგეთში ჩავიდა. ძვირფასეულობა გემიდან გადმოტვირთეს და დაახარისხეს. 39 ყუთი, რომლებშიც მოთავსებული იყო სამუზეუმო განძეულობა, პარიზში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დესპან ა. ჩხენკელის სახელზე მიაბარეს საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებას.

ფასდაუდებელია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის საქმეში. იმ პერიოდში, საბჭოთა კავშირ–საფრანგეთის არამდგრადი ურთიერთობის გამო, ქართული ეროვნული ფასეულობების საქართველოში დაბრუნება ვერ მოხერხდა.

ექვთიმე თაყაიშვილისა და შალვა ამირანაშვილის სამეცნიერო თანამშრომლობას საფუძველი თბილისის უნივერსიტეტის კედლებში ჩაეყარა. ინტერესთა თანხვედრამ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განამტკიცა. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ექვთიმე თაყაიშვილს დაავალა საქართველოს სამუზეუმო განძეულობის მომზადება საევაკუაციოდ. საგანგებო მატარებელს, რომლითაც განძი გაჰქონდათ, ექვთიმე თაყაიშვილი და შალვა ამირანაშვილი ერთად უნდა გაჰყოლოდნენ, მაგრამ შალვა ამირანაშვილი ვერ წავიდა, რადგან 1921 წლის თებერვალში, კოჯრის ტყეში ქართველი იუნკრების სამხედრო წვრთნას სხვა ახალგაზრდებთან ერთად შალვა ამირანაშვილიც გადიოდა. იგი იქ გაცივდა და ავად გახდა [მელიქიშვილი ლ. 2014:134].

ეროვნული საგანძურის დაბრუნება შალვა ამირანაშვილისათვის უმნიშვნელოვანესი იყო. გავიდა დრო და განძის დაბრუნების წინაპირობა შეიქმნა.

მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირის გამარჯვებით დამთავრდა. საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის პარტნიორული ურთიერთობა დამყარდა. პოლიტიკური ინტერესების დამთხვევამ და სტალინის დიდმა საერთაშორისო ავტორიტეტმა საქართველოდან წაღებული საუნჯის ბედი გადაწყვიტა.

1944 წლის 22 ოქტომბერს შალვა ამირანაშვილი მოსკოვში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე მიიწვიეს, სადაც შესაძლებელი გახდა, მოხსენებითი ბარათი გადაეცა სტალინისათვის. იგი

სტალინს თხოვნით მიმართავდა, საფრანგეთის მთავრობასთან დაესვა საკითხი, საქართველოს ეროვნული განძის დაბრუნების თაობაზე. იმავე წლის 16 ნოემბერს შალვა ამირანაშვილი საქართველოს კომპარტიის ცეკაში გამოიძახეს და აცნობეს, რომ საქართველოში განძის დაბრუნების საკითხი დადებითად გადაწყდა.მეცნიერი სასწრაფოდ ჯერ მოსკოვში, შემდეგ საფრანგეთში უნდა გამგზავრებულიყო [სხსმა. პ.ფ. 1968:7].

სტალინისა და შარლ დე-გოლის შეხვედრა 3-10 დეკემბერს გაიმართა, რაც ერთობლივი ხელშეკრულების მიღებით დასრულდა. როგორც შემდგომ გაირკვა, პირადი შეხვედრის დროს სტალინი ესაუბრა გენერალ დე-გოლს ქართული განძეულობის საქართველოში დაბრუნების შესახებ და მისგან დაპირებაც მიიღო [ამირანაშვილი შ. 1978:13].

შალვა ამირანაშვილის წერილმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ამ საქმის წარმატებით დასრულებაში.

საფრანგეთში გაგზავნილი კომისიის წევრები – შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია, რომელიც საქართველოს კომპარტიის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი იყო, 1945 წლის იანვარში, სახიფათო მგზავრობის შემდეგ, პარიზში ჩაფრინდნენ.

საქართველოდან წაღებული სამუზეუმო კოლექციების, ძველი ხელნაწერების, ისტორიული დოკუმენტებისა და ხელოვნების ნიმუშების აღწერა, კლასიფიკაცია და ძველ სიებთან შეჯერება შალვა ამირანაშვილს დაევალა (სურ. 2). სამწუხაროდ, ექვთიმე თაყაიშვილი, ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეეძლო დახმარებოდა შალვა ამირანაშვილს, ფილტვების ანთებით ავად გახდა და მას მოუწია ამ ურთულესი პროცედურის დასრულება. საფრანგეთში შეუძლებელი აღმოჩნდა უნიკალური ნივთებისათვის შესაფუთი მასალის შოვნა. მასალა ინგლისიდან თავად გამოიწერეს. შალვა ამირანაშვილი იძულებული გახდა, დურგლადაც ემუშავა, რადგან შემთხვევით ხალხს ვერ ანდობდა განძის შეფუთვას.

შალვა ამირანაშვილი აღწერს ექვთიმე თაყაიშვილის უსაზღვრო ბედნიერებას, როცა შეიტყო რომ ყველა კოლექცია, ცალკეული ნივთი და დოკუმენტი უკლებლივ იყო შენახული [სხსმა. პ.ფ. 1968:16].

შალვა ამირანაშვილი პარიზში ყოფნის დროს დაუახლოვდა ქართველ ემიგრანტებს, მებაღეთა საზოგადოების დარბაზში წაიკითხა რამდენიმე ლექცია ქართული ხელოვნებისა და თრიალეთის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. მოხსენებამ შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე და იგი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ არაერთ ქართველ ემიგრანტს სამშობლოში დაბრუნების სურვილიც კი გამოუთქვამს [ჟორდანია გ. 1983:153].

1945 წლის 11 აპრილს ექვთიმე თაყაიშვილი 25 წლიანი ემიგრაციის შემდეგ შალვა ამირანაშვილსა და პეტრე შარიასთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა. განძი მოათავსეს საქართველოს მუზეუმის №3 სეიფში, რომლითაც მაშინ მუზეუმი „მეტეხი" დროებით სარგებლობდა.

1945 წლის 14 აპრილს შეიქმნა საფრანგეთიდან დაბრუნებული განძის მიმღები კომისია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ სიმონ ჯანაშიას თავმჯდომარეობით. კომისიის წევრები იყვნენ: შალვა ამირანაშვილი, იროდიონ სონღულაშვილი, სერგი ჭილაია, ვახტანგ მგალობლიშვილი, ანდრია აფაქიძე. კომისიას დაევალა

სამუზეუმო ფასეულობათა მიღების აქტისა და მუზეუმებს შორის განძეულობის განაწილების პროექტის წარდგენა [სუიცა. ფ.600. 1945:22].

შალვა ამირანაშვილი არ დაეთანხმა მომზადებული პროექტის იმ ნაწილის მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებდა როგორც საფრანგეთიდან დაბრუნებული ჭედური ხელოვნების ძეგლების, ასევე ხელოვნების მუზეუმ „მეტეხში" განთავსებული ლითონმქანდაკებლობის ნიმუშების საქართველოს მუზეუმისთვის გადაცემას.

ამ საკითხთან დაკავშირებით შალვა ამირანაშვილის პოზიცია ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ასეთი იყო: „ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი" ერთადერთი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, სადაც დაცულია ქართველი ხალხის მხატვრული შემოქმედების უნიკალური მნიშვნელობის ნიმუშები არქაული, ანტიკური და ფეოდალური ხანიდან დღემდე, იგი წარმოადგენს ერთადერთ მთლიან განუყოფელ კომპლექსს, სადაც წარმოდგენილია ქართული მხატვრული კულტურა მთელი თავისი შინაარსით და მრავალფეროვნებით. მუზეუმ „მეტეხიდან" ფონდების გამოყოფა წარმოადგენს ქართული ხელოვნების მუზეუმის ლიკვიდაციას და სამუზეუმო მშენებლობის დარგში დიდ გარღვევას, რისი განხორციელებაც მთლიანად მიუღებლად მიმაჩნია" [სუიცა. ფ.600. 1944:34-35].

1945 წლის 29 დეკემბერს შედგა კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილეს მუზეუმებს შორის კულტურული მემკვიდრეობის განაწილების საკითხი [სუიცა. ფ.600. 1945:89].

შალვა ამირანაშვილის ძალისხმევით, დასახელებული პროექტი ვერ განხორციელდა და ეს საკითხი ხელოვნების მუზეუმ „მეტეხის" სასარგებლოდ გადაწყდა (სურ3). სამუზეუმო ფასეულობები განაწილდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, ლიტერატურის მუზეუმსა და ხელოვნების მუზეუმ „მეტეხს" შორის [სუიცა. ფ.600. 1945:26-27; 89-90].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დასტურდება, თუ რა უდიდესია შალვა ამირანაშვილის როლი საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი ქართული საგანძურის დაბრუნებაში, რაც კიდევ უფრო ზრდის მის დამსახურებას, ზოგადად, ქართული კულტურის წინაშე.

**Kharatishvili Nona**

The Georgian National Museum,Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1 I.Gudiashvili Str.,0151,Tbilisi,Georgia
E-mail:khatatishvili-nona@mail.ru

# Shalva Amiranashvili and Returning of Historical Values Taken out from Georgia in Different Times

## Summary

In 1918-1921, as a result of policy implemented by Russian government in Georgia , hundreds of churches and monasteries were closed, temples were robbed and ruined. Georgian scientific society actively proceeded to collect Georgian antiquities and concentrate them in one place.

Along with Giorgi Chubinashvili, Irodion Songulashvili, Dimitri Shevardnadze, Ekvtime Takaishvili, Giorgi Bochoridze this work was worthily performed by Shalva Amiranashvili.

Shalva Amiranashvili's role in returning the treasures taken out from Georgia in different times is essential. In 1922,when being in Moscow and Petersburg, he took part in united commission of Russian and Georgian scientists of Russian Federation Education Commissariat which was assigned to search and return all monuments of Georgian culture and art which were in Russian museums, antiquity storages and archives. Shalva Amiranashvili, along with members of commission, has drawn up a list of old Georgian manuscripts, historical documents and monuments of art.

Shalva Amiranashvili had a meeting with I. Stalin in the Central Executive Committee, who helped him in returning to Georgia the Georgian enamels kept in Mikhail Botkin's collection .

Shalva Amiranashvili, together with Ekvtime Takaishvili, was one of initiators of bringing back Georgian cultural heritage, which was taken out from the country by the Menshevik government in 1921 to Georgia.

In August 1944, after liberation of Paris and establishment of authority of interim government of Republic of France, the best conditions were created for returning the treasures to Georgia.

Coincidence of political interests and I.Stalin's big international authority determined the fate of treasures taken out from Georgia.

**ბიბლიოგრაფია**


**ამირანაშვილი შ. 1971:** *საქართველოს ხელოვნების ისტორია*. თბილისი.

**ამირანაშვილი შ. 1978:** *საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობის დაბრუნება*. თბილისი.

**ბერუჩაშვილი ნ. 2014:** სამეფო სკიპტრის ორი ფრაგმენტის ისტორია. ჟურ.*„ჰეროლდი“*. გვ. 28-36. თბილისი (რედ. მ. კიკნაძე).

**ბიჭიკაშვილი ი. 2012:** ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის რეგალიები. ჟურ. *„ჰეროლდი“*. გვ. 47-52 თბილისი (რედ. მ. გონგაძე).

**ვარდოსანიძე ს. 2014:** დიდი ექვთიმე. კრებულში: *წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი*. თბილისი (რედ-ბი: რ. მეტრეველი, ნ. ვაჩნაძე, არ. კოხრეიძე, ბ. კუდავა).

**კავლელაშვილი ელ.** ვის უნდა უმადლოდეს ქართველი ერი. გაზ. „*მრევლი*“. 2007: №18. გვ.31.

**კვესელავა იგ. 2014:** ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს მარადიული შვილი. კრებულში: *გზა ერისკაცობიდან, ღვთისკაცობამდე, ექვთიმე თაყაიშვილი - 150.* გვ.141-144. თბილისი (რედ-ბი: ნ. ხაზარაძე, გ. ცხადაძე, დ. ცუცქირიძე).

**მელიქიშვილი ლ. 2014:** ექვთიმე თაყაიშვილი და შალვა ამირანაშვილი. კრებულში: *გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე, ექვთიმე თაყაიშვილი - 150.* გვ. 134-140. თბილისი (რედ-ბი: ნ. ხაზარაძე, გ. ცხადაძე, დ. ცუცქირიძე).

***მონასტრების ძარცვა.*** „*დროება*“. 1866: გაზეთი. №34. გვ.3-4.

**ყორდანია გ. 1983:** *დაბრუნებული საუნჯე*. თბილისი.

**ჩხაიძე გ. 2003:** *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი*. თბილისი.

**ჭილაშვილი ლ. 1997:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი 145 წლისაა. *სსმმა*. გვ. 260-268. თბილისი (რედ. ლ. ჭილაშვილი).

**სუიცა. ფ.300. 1922:** ან. №3. საქმე №22.

**სუიცა. ფ.300. 1923:** ან. №3. საქმე №28.

**სუიცა. ფ.300. 1923:** ან. №3. საქმე №77.

**სუიცა. ფ.300. 1923:** ან. №3. საქმე №17.

**სუიცა. ფ.335. 1923**: ან. №1. საქმე №32.

**სუიცა. ფ.600. 1944:** ან. №1. საქმე №7069.

**სუიცა. ფ.600. 1945:** ან. №1. საქმე №7244.

**სხსმა. შ. ამირანაშვილის პ. ფ. 1968:** ან. 1 საქმე №124.

**სხსმა. შ. ამირანაშვილის პ. ფ. 1968:** ან. 1 საქმე №126.

**Джгушия Д.** Возвращение грузинских исторических ценностей. газ. „*Заря Востока*“. 1923: №201. с.5.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** შალვა ამირანაშვილი. 1920-იანი წლები

**სურ. 2.** შალვა ამირანაშვილი. 1950-იანი წლები

**სურ. 3.** საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის ექსპოზიცია 1952

## List of illustretions

**Fig. 1**. Shalva Amiranashvili. 1920s

**Fig. 2**. Shalva Amiranashvili. 1950s

**Fig. 3**. Exposition of Treasury Department of the Georgian State Museum of Fine Arts. 1952



**სურ. 1 Fig.**



**სურ. 2 Fig.**



**სურ. 3 Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 309-324
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 309-324

## ხელოვნებათმცოდნეობა

**გიორგი ჯავახიშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა: gog–toreli@yahoo.com

# ქართული ქანდაკების ისტორიისათვის

წინაქრისტიანული და ნაწილობრივ ადრეშუასაუკუნეების საქართველოს პლასტიკის ძეგლები საშუალებას გვაძლევენ, შევისწავლოთ მათი მხატვრული სახის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზა ძველი საქართველოს ხელოვნებაში. მცირე და მონუმენტური პლასტიკის ამ ნიმუშების მიხედვით შეიძლება, თვალი გავადევნოთ ამ პროცესს დაახლოებით 6000 წლის განმავლობაში, ნეოლით-ენეოლითის ხანათა ქვემო ქართლის თიხისგან გამოძერწილი ფიგურებიდან მცხეთის ჯვრის ქტიტორთა რელიეფურ ქანდაკებებამდე. თუმცა, ანთროპოლოგიური გამოსახულებები, სავარაუდოდ, პალეოლითის ხანაშიც არსებობდა (ოქუმის ძვლისა და ძუძუანას ქვის ფიგურა). სამწუხაროდ, ანთროპოლოგიური გამოსახულებები საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ამ სამი ფიგურით შემოიფარგლება [ჯავახიშვილი გ. 2011: 515]. საბოლოოდ, ჩვენს ხელთ გროვდება საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალა, რომლის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქანდაკების მხატვრული სახე ამ ხნის განმავლობაში განიცდიდა კანონზომიერ ცვალებადობას როგორც შინაარსის, ისე შესაბამისი ფორმის თვალსაზრისით და რომ მან გაიარა განვითარების რამდენიმე საფეხური.

როგორც ცნობილია, პირველი პლასტიკური გამოსახულებები სამხრეთ კავკასიაში გაჩნდა როგორც ბუნების ნაყოფიერების, სიცოცხლის მარადიული განახლების მფარველი ძალის განსახიერება მატრიარქალური გვარის აყვავების ხანაში (ნეოლითის მიწურული, ენეოლითი, ძვ.წ. VI-IV ათასწლეულები).

წარმოდგენა ბუნების სასიცოცხლო ძალასა და ადამიანზე ამ დროს განუყოფელია ერთიმეორისაგან და პირველს ეძლევა მეორის სახე. ეს უკანასკნელი კონკრეტულად ვლინდება ნაყოფიერების უზრუნველმყოფელი და გამომხატველი ნაწილების ხაზგასმაში.

ამიტომ ენეოლითის ხანის თიხის ფიგურები ერთსა და იმავე დროს პირობითნიც არიან და რეალისტურნიც. მათში შერწყმულია სქემატიზებული ზოგადი ფორმა და ხანდახან საგანგებოდაა ხაზგასმული ცოცხლად გადმოცემული დეტალები მაშინაც კი, როცა გამოსახულება ისეთი სქემატურია, როგორიც, მაგალითად, ქალის ცნობილი ფიგურა შულავერის გორიდან (სურ.1). ქალი იგულისხმება დედამიწის სიმბოლოდ, რომლის სახეში შერწყ-

მულია ორი საწყისი: მცენარეული და მიწიერი.

აქვე ყურადღებას იქცევს ხრამის დიდი გორის ქალის რეალისტურად გამოძერწილი მჯდომარე ფიგურა (აკლია მარჯვენა ფეხი და მკერდი. – 7 სმ). ის წელს ქვევით მასიურია, მსხვილი ფეხები მუხლებში მოხრილი და ზეაწეული აქვს. პატარა თავი ოდნავ გამოყოფილი მსხვილი კისრით უერთდება ტანს. ორი წვრილი წერტილით გადმოცემულია თვალები, რომლებიც ინკრუსტირებული უნდა ყოფილიყო. ფიგურა ცოცხალი და ექსპრესიულია, გამოძერწილია თავისუფლად, მასალის გრძნობით, ოსტატურად (სურ. 2).

ქანდაკება განვითარების ამ პირველ საფეხურზე გამოირჩევა ფორმების მოცულობითი და მყარი ძერწვით, გაწონასწორებული მასების შინაგანი რიტმით, ლოგიკური ექსპრესიულობით. აქ, ერთი მხრივ, ჩანს ბუნების უშუალო, ცოცხალი აღქმა, მეორე მხრივ კი – უკიდურესი განზოგადება და სქემატიზაცია. ყოველივე ეს ამ პერიოდის ქანდაკებებს აძლევს მხატვრული ზემოქმედების დიდ ძალას და აყენებს მათ ძველი სამყაროს ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების რიგში. განვითარების პირველ ეტაპზე ქანდაკება გაგებული და დანახულია როგორც ზებუნებრივი, ძირითადად, მდედრობითი ნაყოფიერების ძალის გამოხატულება.

ძვ.წ. IV ათასწლეულისათვის სამხრეთ კავკასიაში საბოლოოდ დამკვიდრდა პატრიარქალური გვარი, მამაკაცი – ღვთაება. ასეთი მამაკაცის ფიგურის ფრაგმენტი აღმოჩენილია სოფ. ურბნისის მახლობლად, ნასოფლარ ქვაცხელებზე. ფიგურა დაზიანებულია (აკლია ქვედა მხარე). მას მოზრდილი, ნისკარტისებური ცხვირი, დაბლა დაშვებული ულვაშები და დიადემისებური თავსაბურავი აქვს. (H – 4 სმ). მიუხედავად გამომსახველობითი ფორმის პირობითობისა, ფიგურის ცუდად დიფერენცირებული ნაწილების – განზე გაშლილი მკლავების, ხელისა და თავის ურთიერთდამოკიდებულება მას წონასწორობასა და შინაგან სიძლიერეს მატებს. დიდი ნესტოები, ნისკარტისებური ცხვირი, გრძელი, დაშვებული ულვაშები სახეს გარკვეულ ემოციურობასა და კონკრეტულობის ნიშნებს სძენს (სურ. 3).

ქვაცხელაზე ნაპოვნი ფიგურა შეიძლება არქაულად მივიჩნიოთ. ეს ვლინდება მსგავსებაში, რომელიც შეიმჩნევა ამ ფიგურასა და ძვ.წ. II ათასწლეულის შუმერულ ძეგლებს შორის ტანსაცმლისა და თავსაბურავის ზოგიერთ დეტალში (გუდეას ქანდაკების ტანსაცმლის, აგრეთვე მესკალამდუგის ოქროს მუზარადისა და ქვაცხელების მეორე ქანდაკების შემოსილობის ზოგადი მსგავსება) [Purrot A. Suner, Callmard. 1960]. ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანების მიჯნაზე სამხრეთ კავკასიაში მცირე აზიიდან თანდათანობით შემოიჭრა ახალი ეთნიკური ელემენტები – ქართველური ტომების პირველი ტალღა, რასაც თან მოჰყვა ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბება [ჯაფარიძე ოთ., ჯავახიშვილი ალ. 1971: 106].

უძველესი პერიოდის ადამიანის გამოსახულებას სამხრეთ კავკასიაში აგვირგვინებს ამ რეგიონის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლი – შუა ბრინჯაოს ხანის ვერცხლის სასმისი (თასის – 10,5 სმ, – 9,9 სმ), აღმოჩენილი თრიალეთის მეხუთე ყორღანში. ამ სასმისზე გამოხატულია რიტუალური სცენა, რომელშიც მონაწილეობენ ანთროპომორფული ღვთაება და ოცდაორი პერსონაჟი. მისი აღმომჩენის – ბ. კუფტინის აზრით, სასმისზე გამოსახულია მწარმოებლური მეურნეობის ნიადაგზე ტრანსფორმირებული ნადირთღვთაება და

მისკენ შეწირულებით მიმავალი პიროვნებები ან კიდევ სარიტუალო ტრაპეზა, როდესაც ღებულობდნენ მცენარეული ნაყოფისგან დამზადებულ სასმელს (სურ. 4). სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, ბ. კუფტინს შესაძლებლად მიაჩნდა, დაენახა სასმისზე წარმოდგენილი პერსონაჟების თავებზე არა საწესო ნიღბები, არამედ ადამიანის თავის რეალური გამოსახულება ხეთური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი პროფილით [Куфтин Б. 1941: 92].

ჩვენ არ შევუდგებით თრიალეთის სასმისის მხატვრული თავისებურებების შესახებ მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებების განხილვას. ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა ადგილი უჭირავს ამ ძეგლში და, საერთოდ, შუა ბრინჯაოს ხანაში რელიეფურ ქანდაკებას. პირველი, რაც ჩვენს ყურადღებას იქცევს ამ თვალსაზრისით, არის თავისუფლება, რომლითაც შესრულებულია როგორც მთავარი პერსონაჟი, ისე პროცესიის მონაწილე ფიგურები. ისინი შემოხაზულია გაბედული, ლაკონიური შტრიხით და განლაგებულია რიტმულად, მაგრამ არა მკაცრად. მათ შორის ხან მეტი ადგილია დატოვებული, ხან – ნაკლები; ზოგადად რომ ვთქვათ, ფიგურები სტერეოტიპულია, მაგრამ, თუ მკაცრად მივუდგებით, მათ შორის მრავალ განსხვავებულ დეტალს აღმოვაჩენთ. მთავარი მაინც სხვაა – თრიალეთის სასმისზე პირველადაა წარმოდგენილი ადამიანი სრული სახით, ე.ი. სხეულის შემადგენელი ნაწილებით – ხელით, ფეხით, თავითა და მათი დეტალებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროს ადამიანი უკვე დანახული და წარმოდგენილია როგორც რეალური არსება, რომლის სახე აქვს თვით ღვთაებას. თუ ადრე ღვთაებრივი ძალის, კერძოდ, ნაყოფიერების გამოსახატავად გამოიყენებოდა ადამიანში ამ ძალის რომელიღაცა გარეგნული ნიშანი, რითაც უნდა აიხსნას თავისებურად სქემატიზებული ანთროპომორფული გამოსახულებების სიმრავლე, ახლა თვით ღვთაებას მინიჭებული აქვს რეალური ადამიანის გარეგნობა.

თრიალეთის ვერცხლის სასმისის შემკულობის მსგავსება უდავოა აღმოსავლეთის ხელოვნების მსგავს ძეგლებთან. ეს მსგავსება მარტო ფორმალური არაა. ამ ნაწარმოებში აისახა რთული სოციალური მოვლენები, რომლებიც ხდებოდა სამხრეთ კავკასიასა და, საერთოდ, მახლობელ აღმოსავლეთში. ძვ.წ. II ათასწლეულის განმავლობაში. ადამიანის გამოსახულება აქ უკვე თავისთავად მნიშვნელობას იძენს როგორც ღმერთის სწორი გმირისა. გარკვეული ისტორიული პირობების შედეგად სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის პროცესი აქ დროებით შეჩერდა და სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ თავისებური მიმართულება მიიღო. ამის შესაბამისად წარიმართა ხელოვნების განვითარების გზებიც.

რკინის ხანის დამდეგიდან ძვ.წ. I ათასწლეულის ქანდაკება შინაარსობრივად და მხატვრულად გააზრებაში მნიშვნელოვანად შეიცვალა. წარმოიშვა ქანდაკება – შიშველი ღვთაების გარკვეული ტიპი, რომელიც თითქმის უცვლელად არსებობს ქრისტიანულ ხანამდე. მნიშვნელოვანია, რომ ამიერიდან ფიგურები, ძირითადად, ბრინჯაოსა და რკინისგან მზადდება მხოლოდ ცვილის მოდელის გამოყენებით, რამაც მათ შეუნარჩუნა ხელით ძერწვის განუმეორებელი მიმზიდველობა. გამოსახულება არა მარტო რეალისტურია იმ აზრით, რომ გააჩნია სხეულის ყველა ნაწილი, არამედ ზოგიერთი მათგანი, უმთავრესად, სქესის მაჩვენებელი, ნატურალისტური სიზუსტითაა გადმოცემული. ფიგურები თავისებურადაა სტილიზებული, დარღვეულია

პროპორციები: მოკლე ხელები, გადიდებული თავი და სხვ. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული ითიფალური ქანდაკებაა ზეკარიდან, დაცული ქუთაისის მუზეუმში. ესაა ნაყოფიერების ღვთაება. მისი – 32 სმ-ია (სურ. 5). იგი მყარად დგას მცირე ზომის პატარა პოსტამენტზე. აქვს განიერი თეძოები და მხრები, დავიწროებული წელი. პატარა ხელები იდაყვში მოხრილია და წინ გაწვდილი. ხელის ასეთივე პატარა თითები მუშტად აქვს შეკრული. მკვეთრად გამოხატული ფალოსი, ორი ბურცობით წარმოდგენილი მკერდი მიანიშნებს ფიგურის ორბუნებოვნებას. ფიგურა საკმაოდ პროპორციულია, თუ არ ჩავთვლით ფორმების განზოგადებულ-მოცულობით გადმოცემასა და სახის ნაკვთების გამოყვანის მანერას: გრძელი სახე, ღრმად ჩამჯდარი თვალები, კეხიანი ცხვირი, წაწვეტებული ნიკაპი. ფიგურას თმა კისერზე აქვს დამაგრებული. მის სიმკაცრეს ანელებს ზურგზე დაშვებული ვერტიკალური ღარი. სხეულის კონტურის ერთფეროვნება დარღვეულია ასევე განიერი თეძოებით, მხრებით, დავიწროებული წელით. იგი, როგორც ქრონოლოგიურად, ისე სტილის თვალსაზრისით, ძვ.წ. VIII-VII სს-ს განეკუთვნება.

ზემოაღნიშნული პროცესის დაჩქარებაზე გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა კონტაქტს ანტიკურ ხელოვნებასთან, რომელიც თან მოჰყვა ბერძნულ-რომაულ ელინიზებულ აღმოსავლურ სამყაროსთან მჭიდრო ეკონომიკურ-პოლიტიკურსა და კულტურულ ურთიერთობას. ამის შემდეგ იყო, რომ გვიანანტიკურ ხანაში მცირე ხელოვნების ერთ-ერთ დარგში – გლიპტიკაში ადგილობრივმა ოსტატებმა ადამიანის გამოხატვისას პორტრეტულობასაც კი მიაღწიეს.

განსაკუთრებით საინტერესოა გვიანტანტიკური ხანის ადგილობრივი ინტალიოები, რომლებზედაც პორტრეტული გამოსახულებებია ამოკვეთილი. ასეთი ორი გემა აღმოჩენილია მცხეთაში, არმაზისხევში, სამაროვნის №1 აკლდამაში. ერთ მათგანზე, რომელიც შესრულებულია მუქი ფერის ოვალურ გრანატზე და ჩასმულია სარტყლის სწორკუთხა ოქროს ბალთაში. ურთიერთსაპირისპიროდ ამოკვეთილია ქალისა და მამაკაცის ბიუსტები პროფილით. გამოსახულების ირგვლივ მოთავსებულია ბერძნული წარწერა – „კარპაკი, ძევახი, ჩემი სიცოცხლე“, რომელიც ჩარჩოსავით კრავს წყვილ პორტრეტს (სურ. 6). გამოსახულება შესრულებულია არაღრმად, თავისებური გრაფიკული მანერით, რაც მას ანიჭებს სქემატურობას. უეჭველია, რომ სწორედ ამ ნიშნების მიხედვით უნდა ჰქონდეს შეტანილი ეს ინტალიო ადგილობრივ გემთა ნუსხაში მარ. ლორთქიფანიძეს [ლორთქიფანიძე მარ. 1969: 130-132]. და ბოლოს, უნდა შევჩერდეთ გვიანანტიკური ხანის ადგილობრივ ნაწარმად მიჩნეულ პორტრეტულ გემაზე, რომელიც აღმოჩენილია არმაზისხევის სამაროვნის №1 აკლდამაში. როგორც მასზე მოთავსებული ბერძნული წარწერა გვაუწყებს, ის ასპარუხ პიტიახშის პორტრეტია. წარმოდგენილია პროფილით, ბიუსტით (სურ. 7). ინტალიო შესრულებულია მუქი წითელი ფერის ოვალურ სარდიონზე და ჩასმულია სადაზედაპირიან ოქროს ღრუ ბეჭედში. ინტალიო შესრულებულია მტკიცე, ოსტატური ხელით და გამოირჩევა თავისებური ხასიათით, რაც, უწინარესად, პორტრეტისა და წარწერის ქვის ზედაპირზე თავისუფლად განაწილებასა და აქ გამოხატული პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებების ხაზგასმაში გამოიხატება. მართლაც, პორტრეტი ხასიათდება რეალისტური მიდგომით – დიდი, მძიმე თავი ხშირი თმითა და გრძელი წვერ-ულვაშით, დიდი, კეხიანი ცხვირი, ამომ-

ჯდარი წარბები და თვალი, ჩასმული დაბალი შუბლის ქვეშ, ენერგიულსა და ცოცხალ გამომეტყველებას ანიჭებს აქ წარმოდგენილ პირს. შიშველი მხარი და გულმკერდი, ბიუსტის ცენტრალური დაყენება მოწმობს, რომ გამოსახულება შესრულებულია ანტიკური ტრადიციის მიხედვით, მაგრამ ის მოკლებულია როგორც ელინისტური ხელოვნების იდეალიზაციას, ისე რომაული პორტრეტული ხელოვნების ნატურალიზმს.

ამრიგად, არმაზისხევის სამაროვანზე მოპოვებულ გემებს შორის ორი პორტრეტული ინტალიო მხატვრულ-სტილისტური ნიშნების მიხედვით განსხვავებულია ბერძნულ-რომაული გლიპტიკის ძეგლებისაგან და ადგილობრივ ნაკეთობებადაა მიჩნეული. ამავე დროს, ორივე ინტალიო ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება: პიტიახშ ასპარუხის გემა შეიძლება ჩაითვალოს რეალისტურ, ფსიქოლოგიურ პორტრეტად, მაგრამ ის დარჩა უცხო ხელოვნების დროებითი მოდური გავლენის ნიმუშად, თუმცა ეს გავლენა არსებითად არ შეეხო ადგილობრივ ტრადიციას. განვითარების ამ საფეხურზე ადამიანის თემა არ გასცილებია კულტის სფეროს, თუმცა, ის უკვე დანახულია როგორც რეალური არსება, აღჭურვილი საკრალური ატრიბუტებით. შესაბამისად, შეცვლილია გამოსახულებათა შესრულების მანერა, სტილი; პლასტიკურის ნაცვლად აქ ის უკვე ცხოველხატულია.

ყურადღებას იქცევს ქართული ისტორიული წყაროების ცნობა იმის შესახებ, რომ მცხეთაში იდგა რკინის, სპილენძის, ოქროს, ვერცხლისა და ძვირფასი თვლებისგან დამზადებული წარმართული ღმერთების მონუმენტური ქანდაკებები, რომლებიც ბრწყინავდა და მოძრაობის შთაბეჭდილებასაც ტოვებდა.

ქვეყნის ფეოდალიზაციამ და სახელმწიფო სარწმუნოებად ქრისტიანობის აღიარებამ ახალი წელთაღრიცხვის IV ს-დან სახვითი ხელოვნება ახალი იდეოლოგიის სამსახურში ჩააყენა და მის წინაშე ახალი ამოცანები დასახა. პლასტიკის დანიშნულებად იქცა ქრისტიანობის იდეების პროპაგანდა კულტთან დაკავშირებული მემორიალური არქიტექტურული ძეგლების სკულპტურული დეკორის მეშვეობით. ამ უკანასკნელის თემები აღებული იყო, ერთი მხრივ, საღმრთო ისტორიიდან, მეორე მხრივ, რეალური გარემოდან, სადაც ძირითადი ადგილი, შესაბამისად, დათმობილი ჰქონდა ქრისტეს – განკაცებულ ღმერთს, ძველი და ახალი აღთქმის პერსონაჟებსა და ადგილობრივი ფეოდალური საერო და სასულიერო მმართველი არისტოკრატიის წარმომადგენელთა სახეებს.

სტელები საქართველოში ცნობილია უადრეს ქრისტიანულ საკულტო ძეგლებად. მათი უდიდესი ნაწილი შემკული იყო როგორც სიმბოლურ-დეკორატიული, ისე სიუჟეტური რელიეფებითა და ისტორიული პირების გამოსახულებებით. ერთ-ერთი ასეთი სტელა ქვემო ქართლიდან, დმანისის რ-ნის სოფ. გორადანაა. აქ კარგად ჩანს ადამიანის მხატვრული გაგების თავისებურებები. იმის მიუხედავად, რომ ხსენებული რელიეფები საკმაოდ დაბალია, ხოლო გამოსახულებათა დეტალები – პერსონაჟების პირისახის ნაკვთები, ტანსაცმლის ნაკეცები და სხვ., გრაფიკულადაა შესრულებული, ისინი მაინც ტოვებენ მოცულობითობის შთაბეჭდილებას. ნაცრისფერი ქვისგან გამოთლილი სტელის სვეტის ზემო ნაწილის ფრაგმენტი (ზომა: 0.50Х0.25Х0.26 სმ. საინვ. №780).

გადარჩენილია ოთხწახნაგა სვეტის ზემო ნაწილი კუბური, კაპიტელისებური შესქელებით. კაპიტელის პირზე დაბალი რელიეფით გამოკვეთილია სამფიგურიანი კომპოზიცია. მაღალზურგიან საყდარზე ზის მაცხოვარი მაკურთხებელი მარჯვენითა და სახარებით მარცხენა ხელში. მის მარჯვნივ და მარცხნივ წარმოდგენილია ორი ერთნაირი, ფეხზე მდგომი მავედრებელი ფიგურა; ორივეს კოჭებამდე ფარავს გრძელი სამოსი და თავზე შარავანდედი ადგას. მაცხოვრის თავის ორივე მხრივ გამოსახულია ვარდული და ნახევარწრე – მზისა და მთვარის სიმბოლოები. ამ კომპოზიციების ქვემოთ, სვეტის ტანზე, რელიეფური ლილვებისა და კუთხის სვეტებს შორის, წარმოდგენილია მაღალზურგიან საყდარზე მჯდომარე ღვთისმშობელი ყრმით, რომელსაც მარცხენა ხელში სახარება უჭირავს, ხოლო მარჯვენით აკურთხებს. კაპიტელის მარცხენა წახნაგზე მოთავსებულია ფეხზე მდგომი ორი მამაკაცის ფრონტალური ფიგურა, რომელთაგან ამჟამად ერთი თითქმის მთლიანად გამქრალია. იდაყვში მოხრილ მარჯვენა ხელებში მათ სამფურცლა ყვავილი უჭირავთ (სურ. 8).

გორას სტელის კაპიტელის კომპოზიციის იკონოგრაფიის ანალოგის მოძებნა V-VII სს-ის ქართულ ხელოვნებაში არ ხერხდება; თუმცა, ტახტრევანზე მჯდომი მაცხოვრის გამოსახულება (ხანდისის სტელა) ან მაცხოვრის გამოსახვის განსხვავებული იკონოგრაფიული ვარიანტები ამ პერიოდის ქართულ ხელოვნებაში ცნობილია. სავარაუდოა, რომ გორას სტელის კომპოზიციაში მაცხოვრის ორივე მხარეს წარმოდგენილნი უნდა იყვნენ წმინდანები – პეტრე და პავლე (ორივე ფიგურის ნიკაპები დაზიანებულია და ძნელდება წვერის კვალის გარკვევა) და არა მთავარანგელოზები ან ღვთისმშობელი და იოანე მახარებელი. პირველ ვარაუდს გამორიცხავს ის, რომ აქ მათ ფრთები არ აქვთ (IV ს-ის შემდეგ ბიზანტიურ იკონოგრაფიაში ანგელოზები, როგორც წესი, წარმოდგენილნი არიან ფრთებით), მეორე ისიც, რომ ვედრების იკონოგრაფია ბიზანტიურ ხელოვნებაში VI ს-მდე არ არსებობს.

ამ რელიეფის ყველაზე უფრო ახლობელ იკონოგრაფიულ სქემებს ჩვენ ვხვდებით პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკისა (№9384) და ეჩმიაძინის VI ს-ის სპილოს ძვლის სახარების ყდების ცენტრალურ კომპოზიციებში. ორივე ძეგლის იკონოგრაფია აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნების ნიშნებს ამჟღავნებს და შექმნილია ანტიოქიის კულტურულ გარემოცვაში [Dalton O. 1961: 207-208].

სტელის წინა წახნაგის კომპოზიციაში ღვთისმშობლისა და ყრმის ფიგურები მკაცრად ფრონტალურია. ყრმის გამოსახულება მკერდამდე დედის მუხლებს შორისაა მოთავსებული და მისი წაგრძელებული დიდი თავი მთლიანად ფარავს დედის გულმკერდს. იესოს მკერდის წინ გაწვდილი მარჯვენა მაკურთხებელი ხელი და მარცხენა ხელის ნებში გამოსახული სახარება ასევე ფრონტალურადაა გაშლილი სიბრტყეზე. ეს „იერატიული“ ტიპი ფართოდ იყო გავრცელებული ბიზანტიაში და ყველაზე ადრეული იკონოგრაფიული ვარიანტია “Virgo Lactans“, “Maria Lactans“. ჩვილი იესოს გრძელი, მხრებზე დაშვებული თმებით გამოსახვა უნდა მიუთითებდეს ქრისტეს იკონოგრაფიული ტიპის აღმოსავლურ იერზე (დავათის სტელა) და მეტყველებს სტელის ოსტატის ქრისტიანული იკონოგრაფიისადმი თავისუფალ მიდგომაზე. გორას სტელის ამ კომპოზიციის იკონოგრაფიულ ვარიანტთან გარკვეულ მს-

გავსებას ამჟღავნებს სტელების ანალოგიური კომპოზიციები ბოლნისისა და დმანისის რაიონებიდან, აგრეთვე სტელა სოფელ ედი-ქილისიდან.

ყვავილის თემა (კაპიტელის მარცხენა წახნაგის რელიეფი) ქართულ რელიეფურ ქანდაკებაში ფართოდაა გავრცელებული და გვხვდება V-VI სს-ის სტელებზე (უკანგორის, სამწევრისის, ბოლნისის, ბრდაძორის, ბაშკიჩეთის სტელები და სხვ.). სასანური სიმბოლური ნიშნები, რომლებიც გამოიყენება ქართულ ხელოვნებაში V ს-სა და VI ს-ის პირველ ორ მესამედში, უფრო მოგვიანებით აღარ გვხვდება, ხოლო, თუ გვხვდება, იმდენად სტილიზებულია, რომ კარგავს თავის სიმბოლურ მნიშვნელობას.

გორას სტელის ამ კომპოზიციაში გამოსახული საერო პირები ხელში ყვავილითა და ადორაციის ჟესტით მიუთითებს ამ ორი ფიგურის მაღალ სოციალურ მდგომარეობასა და მათ მიერ ქრისტიანობის აღიარებაზე. სოფელ გორას სტელის რელიეფებში ასახულია ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და დამკვიდრების იდეა [Чубинашвили Н. 1972: 95].

ამ რელიეფებისათვის დამახასიათებელია შესრულების სიბრტყობრივ-ხაზობრივი მანერა, რომელიც არ გამორიცხავს ფორმის გარკვეულ მოცულობითობას. მკვეთრად ჩაჭრილი ხაზის საშუალებით მოცემულია უხეში, კუთხოვანი ფორმები, რომლებიც დაბრტყელებულია ქვის ზედაპირზე. საერთო კომპოზიციური გადაწყვეტის სიმჭიდროვე, ხაზისა და ფორმის დაუხვეწაობა (კუთხოვნება), სტელის ზედაპირის სუსტად განვითარებული გაფორმების, დეკორატიულობის შეგრძნება არ გვაძლევს საშუალებას, ეს რელიეფები მხატვრული თვალსაზრისით მივაკუთვნოთ ამ ეპოქის მნიშვნელოვან ძეგლებს, თუმცა, ისინი არ არიან მოკლებულნი თავისებურ გამომსახველობას, იმ გულუბრყვილობას, რომელსაც ბადებს ფორმის პრიმიტიულობა.

სტილისტურად გორას რელიეფები უახლოვდება ხანდისის სტელას, ქვემო ბოლნისის, ეძანის სიონისა და თეთრიწყაროს არქიტექტურული ძეგლების რელიეფების ჯგუფს, თუმცა, მათ შორის განსხვავებაცაა. გორას სტელის რელიეფები ერთგვარად გარდამავალი საფეხურია V-VII სს-ის ქართული ადრექრისტიანული ქანდაკების სტილისტურ განვითარებაში. ამ დროს ხდება გადასვლა შესრულების შედარებით სკულპტურულიდან (ბოლნისის სიონი, სამწევრისი) სიბრტყობრივ-ხაზობრივ მანერაზე (ხანდისი, ქვემო ბოლნისი, ეძანის სიონი და სხვ.). ეს ფრაგმენტი მოწმობს, რომ კაპიტელი შემკულია არა მარტო ისეთი მნიშვნელოვანი გამოსახულებებით, როგორებიც ქრისტეს ან ღვთისმშობლის ამაღლებაა და ასე შემდეგ, არამედ მეორეხარისხოვანი სიუჟეტებით, მაგალითად, ამ შემთხვევის მსგავსად, დონატორების გამოსახულებებით. სტილისტური და იკონოგრაფიული თავისებურებების მიხედვით, გორას სტელა უნდა დათარიღდეს VI ს-ის შუა ხანით.

ადრეშუასაუკუნეების ქართული რელიეფური ქანდაკების დიდი ჯგუფი შესრულებულია მათ ირგვლივ ფონის ამოკვეთის მეშვეობით. არსებითად, ამ წესითაა შესრულებული ბოლნისის სიონის ერთ-ერთი მოცულობითი ქანდაკება – ხარის თავი. იგი ამოკვეთილია ფონის ნაპირიდან ნაკვთისაკენ თანდათანობითი დადაბლებით. ასეთი ტექნიკითაა შესრულებული მცხეთის ჯვრის ცნობილი რელიეფები. ლ. მუსხელიშვილმა ამ ტექნიკას ცერად კვეთა უწოდა [მუსხელიშვილი ლ. 1938].

ადრეფეოდალური ხანის პირველი ძეგლი, რომლის დეკორში ცენტრალ-

ური ადგილი უჭირავს ადამიანის მონუმენტურსა და პლასტიკურ გამოსახულებას, მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარია. ქართული ხუროთმოძღვრების ამ შესანიშნავი ძეგლის დეკორატიული სისტემისა და მისი შემადგენელი ნაწილების ყოველმხრივი ანალიზი ამომწურავადაა მოცემული გ. ჩუბინაშვილის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში [Чубинашвили Г. 1948]. გ. ჩუბინაშვილმა ცხადყო, რომ ჯვრის ამშენებელმა მხატვარ-არქიტექტორმა მიზნად დაისახა ეკლესიის ისეთი დეკორის შექმნა, რომელიც ორგანულად შეერწყმებოდა არქიტექტურას [Чубинашвили Г. 1948: 153]. მართლაც, ჯვრის აღმოსავლეთი და სამხრეთი ფასადების მხატვრული სახე ერთნაირადაა დამოკიდებული როგორც არქიტექტონიკაზე, ისე სიუჟეტურ-რელიეფურ დეკორზე; ეს უკანასკნელი ხაზს უსვამს და ერთნაირად კრავს ამ ფასადების უმთავრეს ნაწილებს – აღმოსავლეთ ფასადზე ესაა საკურთხევლის აფსიდის შვერილის სამი წახნაგი, მათში გაჭრილი სამი სარკმლითა და ქტიტორების სამნაწილედია ერთიანი ფიგურული რელიეფებით; სამხრეთ ფასადზე კი – ცენტრალურ, ვერტიკალურ ღერძზე ასხმული სამი ფიგურული რელიეფი (არქიტექტორის პორტრეტი, ქობულის პორტრეტი, ჯვრის ამაღლება) და გვერდით ნიშებში სიმეტრიულად განლაგებული ორი ფიგურული კომპოზიცია, რომელთაგან დღეს მკრთალი კვალიღაა გადარჩენილი. გ. ჩუბინაშვილმა ცხადყო, რომ ჯვრის არქიტექტორის მიერ „. . . შექმნილი დეკორატიული სისტემა არამარტო ორგანულად შედის არქიტექტურაში, არამედ თვით არის მკაფიოდ დამუშავებული მთელი დახვეწილობით და ურთიერთშეთანხმებული ცალკეულ ნაწილთა შორის“ [Чубинашвили Г. 1948: 153].

მართლაც, ჯვრის ფიგურული რელიეფები თავისთავადაა შინაარსობრივად და კომპოზიციურად შეკრული სცენები და მხატვრულად დასრულებული ქმნილებები. ადამიანის ფიგურები ამ კომპოზიციების ძირითადი, ზოგან კი, ერთადერთი შემადგენელი ელემენტებია. მცხეთის ჯვრის თითქმის ყველა რელიეფი გამოკვეთილია თითო ქვაზე გამოსახულებათა ირგვლივ ფონის დადაბლებით; ამის გამო ყოველი კომპოზიციის ირგვლივ შექმნილია ჩარჩო, ხოლო კედელი, რომელშიც ჩასმულია კომპოზიცია, ჩარჩო და რელიეფური გამოსახულებები ერთ სიბრტყეზე ექცევა (სურ. 9).

ფიგურული რელიეფები შედარებით დაბალია, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ბარელიეფურია, მაგრამ რბილი მოდელირებისა და თავისებური დაყენების გამო მათი სიბრტყელე არ არის თვალში საცემი. გ. ჩუბინაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადამიანებისა და ანგელოზების გამოსახულებების პროპორციები, ზოგადად, სწორია, თუმცა, არის ზოგიერთი უმნიშვნელო დარღვევა, რაც ჩვეულებრივია ხელოვნებისათვის, რომელიც ადამიანის ფიგურას ზოგად-დეკორატიული თვალსაზრისით უყურებს. ამავე დროს, იგივე მკვლევარი ისტორიულ პირთა გამოსახულებებში ხედავს ინდივიდუალურ ნიშნებს: ადარნერსეს გრძელი ულვაშები და მოკლე წვერი, დემეტრეს ხუჭუჭა წვერ-ულვაში, ქტიტორთა საზეიმო ტანსაცმელი. მისი თქმით, ისინი ნატურიდანაა გადმოღებული. რელიეფში სტილისტურად რამდენადმე განირჩევა ერთმანეთისაგან უცხო (ადრექრისტიანული, აქემენიდური, სასანური) ტრადიციებით შეთვისებული ფიგურები – ქრისტე და ანგელოზები – და დამოუკიდებელი შემოქმედების ნაყოფი – ქტიტორთა ფიგურებისა და, განსაკუთრებით, ტრადიციული, მაგრამ სრულიად თავისუფლად და ორიგინალურად განხორციელებული კომპოზიცია ჯვრის ამაღლებისა სამხრეთი

ფასადის მთავარი კარის ტიმპანზე (სურ. 10). თუ ქტიტორების ფიგურებს ერთგვარი გაუბედაობის ელფერი დაჰკრავს, ჯვრის ამაღლება, ისევე, როგორც თვით ნაგებობა, აღბეჭდილია დიდი ოსტატის გენიის დამღით. თუმცა, როგორც გ. ჩუბინაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, ამ დროს აღმოსავლური მართლმადიდებლობა ხელს არ უწყობდა ქანდაკების განვითარებას და ძველი ტრადიციებით გაპირობებული მისი შესაძლებლობები რელიეფის ხელოვნებით შემოიფარგლა [Чубинашвили Г. 1948: 145-153]. მაინც უნდა ითქვას, რომ ადამიანის პლასტიკურმა გამოსახულებამ აქ, ამ გარემოში, შეიძინა ინდივიდუალური, პიროვნული თავისებურებები; თუ მხედველობაში არ მივიღებთ გვიანანტიკური ხანის გლიპტიკურ პორტრეტს, რომელიც უცხო ხელოვნების პირდაპირი ზეგავლენის შედეგია, ჯვრის ქტიტორთა რელიეფები არსებითად ორიგინალური პორტრეტის შექმნის პირველი ცდაა.

სამწუხაროდ, ქტიტორთა ფიგურების სახეები იმდენად დაზიანებულია, რომ ამჟამად ძნელი სათქმელია, გააჩნდათ თუ არა მათ ორიგინალთან მსგავსების სხვა რაიმე ნიშანი, გარდა იმისა, რაც გ. ჩუბინაშვილს აქვს აღნიშნული; შეიძლება პიროვნების ინდივიდუალური სახის გადმოსაცემად ისეთი ზოგადი ხასიათის დეტალების გამოყენება, როგორებიცაა თმისა და წვერ-ულვაშის ვარცხნილობა, ჩაცმულობა, საკმარისად უსვამს ხაზს ოსტატის მიდგომას ამოცანისადმი – არქიტექტურული დეკორის გარდა, ჯვრის რელიეფებში ისტორიული პირების პორტრეტებიცაა.

საკმარისია კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ადრეფეოდალური ხანის ქართული პლასტიკის ჩვენ მიერ განხილულ ძეგლებს, რათა ნათელი გახდეს, რომ ამ დროს მოქანდაკის წინაშე არ დგას ადამიანის დამოუკიდებელი მხატვრული სახის შექმნის ამოცანა, მით უფრო, მისი შინაგანი ბუნების მხატვრული საშუალებებით გამოვლენა. როცა ოსტატი ვინმეს დაკვეთით ჭრიდა სტელას, უწინარესად, უნდა შეექმნა სრულიად გარკვეული დანიშნულების ძეგლი – ან მემორიალურ-საკულტო ობიექტი (სალოცავად და სულის საოხად), ან იურიდიული საკულტო დოკუმენტი (შემოწირულობის აღსანიშნავად); რამდენადაც ეს ობიექტი განკუთვნილი იყო საზოგადო ზემოქმედებისათვის, მათ უნდა ჰქონოდათ ამ ფუნქციის განსახორციელებლად აუცილებელი თვისებები – გარეგნული მონუმენტური ფორმა და სიმბოლური დეკორი, რომელშიც, რა თქმა უნდა, სათანადო ადგილი დაეთმობოდა დამკვეთის პორტრეტს, მაგრამ ეს პორტრეტი აქ, ჯერ კიდევ, ასე ვთქვათ, სიმბოლური ხასიათისაა, თუმცა ჩაცმულობის მეტ-ნაკლებად რეალისტური დეტალების გადმოცემა უნდა გავიგოთ როგორც პორტრეტულობის ამ დროისათვის საკმარისი ნიშნები.

უეჭველია, რომ ანალოგიური მდგომარეობა იყო არქიტექტურის პლასტიკურ დეკორშიც, როგორც ამას ჯვრის რელიეფები მოწმობს. ისინი ამ ძეგლის ორგანული და განუყრელი ნაწილებია, მაგრამ, ამავე დროს, მათ აკისრიათ იგივე ფუნქციები, რაც ქტიტორთა რელიეფებს სტელებზე – მოახდინონ პროკლამაცია მათ მიერ როგორც ღმერთის, ისე ერის წინაშე განხორციელებული აქტისა.

**Giorgi Javakhishvili**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
e-mail:gog–toreli@yahoo.com

# On the History of Georgian Sculpture

## Summary

The examples of the Pre-Christian and the Early Middle Ages Georgian sculpture allow us to pursue the process of their genesis and development. On the basis of small and monumental sculpture it is possible to follow this process during nearly 6000 years.

The first sculptures of this kind appeared in the South Caucasus in the 6$^{th}$-4$^{th}$ millennia as clay figurines of a female deity representing the fertility of nature. Although the anthropomorphic images existed still in the Palaeolithic Age (e.g., the Okumi bone and the Dzudzuana stone figurines), there are only a few examples of the anthropomorphic images of that period left on the territory of Georgia.

At the end of the 4$^{th}$ millennium patriarchate system was established in South Caucasus. The sculptures again represent the deity of fertility, but beginning from that period they always were mail deities. This image obtains its perfection in the Middle Bronze Age (Trialeti silver goblet, 2$^{nd}$ millennium B.C.). The Georgian sculpture of this age clearly shows the influence of the Ancient Eastern archaic monumental art.

From the Iron Age, there are seen important changes in the artistic and conceptual interpretation in sculptural images . A certain type of a naked mail deity was generated which existed nearly until the Christian Era. It is important to note that beginning from the mentioned period, the figurines were made mainly from bronze and iron by means of using wax models. This gave them a unique attractiveness of hand modeling. The image is not only realistic, but in the same time it is stylized (proportions are violated) and schematic; e.g., a big phallic figurine of Melaani, that despite its small size, reminds monumental sculptures in the general artistic concept and its performance.

From the mid-1$^{st}$ millennium B.C., this type of sculpture looses the rigorous image of a deity. This process must have hastened by contacts with the Antique Art that appeared as a result of close economic, political and cultural contacts with the Greco-Roman and Hellenized Orient. In the late Antiquity, local artists began painting portraits of real persons ( images of Asparukh, Zevakh, Arshusha and other pitiakhshes), but it was a temporary influence of a foreign art that did not influence local traditions.

In the Christian era, the purpose of sculpture was propagation of the Christian ideology. Stelae are one of the most important Christian monuments, decorated with symbolic images as well as with sculptural images of historic figures and events. The

same can be said about monumental relief sculptures. The best example of which are Mtskheta Jvari Church reliefs.

A long way of development of the Georgian sculpture, follows, in general, the art development of the Ancient World. At the same time, it has peculiarities, that link it with the Asia Minor, although, in general, it is an independent Caucasian phenomenon, and starting from the 1st millennium B.C. represents apparently specifical Georgian Art.

## ბიბლიოგრაფია


**ლორთქიფანიძე მარ. 1969:** *საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი.* I. თბილისი. გვ. 130-132.

**მუსხელიშვილი ლ. 1938:** *ბოლნისი.* ენიმკის „მოამბე". III. თბილისი.

**ჯავახიშვილი გ. 2011:** წინაქრისტიანული ხანის ქართული მცირე ქანდაკების ისტორიისათვის. *სემმ.* №II (47-). გვ. 515-523. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**ჯაფარიძე ოთ., ჯავახიშვილი ალ. 1971:** *უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე.* თბილისი.

**Куфтин Б. 1941:** Археологические раскопки в Триалети. Тбилиси. стр. 92.

**Чубинашвили Г. 1948:** Памятники типа Джвари. Тбилиси.

**Чубинашвили Н. 1972:** Хандиси. ст.95.

**Dalton Om**. **1961**. *Byzantine art arheiljy*. New-York. p. 207-208.

**Parrot A**. **1960**. Suner. *Callmard*.


## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ.1**. თიხის ანთროპომორფული ფიგურა. შულავერის გორა.

**სურ.2** თიხის ანთროპომორფული ფიგურა. ხრამის დიდი გორა.

**სურ.3.** თიხის ანთროპომორფული ფიგურა. ნასოფლარი ქვაცხელები.

**სურ.4.** ვერცხლის თასი. თრიალეთი.

**სურ.5.** ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურა. ზეკარი.

**სურ.6**. ინტალიო კარპაკისა და ძევახის გამოსახულებითა და წარწერით არმაზი.

**სურ.7**. გემა ასპარუხ პიტიახშის გამოსახულებით. არმაზი.

**სურ.8**. სტელის ფრაგმენტი. ნასოფლარი გორა.

**სურ.9.** მცხეთის ჯვრის რელიეფები.

**სურ.10.**ჯვრის ამაღლება. მცხეთის ჯვარი.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Clay anthropomorpfic figure. Shulaveri Gora.
**Fig. 2.** Clay anthropomorpfic figure. Khramis Didi Gora.
**Fig. 3.** Clay anthropomorpfic figure. Kvatskhelebi.
**Fig. 4**. Silver bowl. Trialeti.
**Fig. 5.** Bronze anthropomorphic figure. Zekari.
**Fig. 6**. Intalio with Karpak's and Zevakh' images and inscription. Armazi.
**Fig. 7**. Seal with portrayal of pitiaksh Asparuk. Armazi.
**Fig. 8**. Fragment of stella. Nasoplari Gora.
**Fig. 9**. Reliefs of Mtskheta Jvari Monastery.
**Fig. 10.** Cross Ascension. Mtskheta Jvari Monastery.



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**




სურ. 6 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**







სურ. 8 **Fig.**



სურ. 9 **Fig.**



სურ. 10 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 325-336
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 325-336

## ხელოვნებათმცოდნეობა

ნატალია მოძმანაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი
ლ.გუდიაშვილის ქუჩა №1, 0105, თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა : natalia20378@mail.ru

# იშხნის საკათედრო ტაძარი XI საუკუნის 20-იან წლებში

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძურის მუდმივმოქმედი ექსპოზიციის თვალსაჩინო ძეგლი, ლაღამის სვიმეონ მესვეტის ჭედური ხატი[1] (სურ. I), XI ს-ის ქართული ოქრომჭედლობის ერთ-ერთი მეწინავე ნაწარმოებია. ხატის მაღალმხატვრული ღირებულების გარდა, გამორჩეულია მისი საქტიტორო წარწერა[2], რომელიც სამხრეთ საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ხატი გამოჭედილია ვერცხლის მთლიანი ფურცლისაგან (ზომა: 26,7X14,7სმ). ეზოზე გამოსახულია სვეტზე მჯდომი სვიმეონ საკვირველთმოქმედის ნახევარფიგურა, სვეტის მარცხნივ მთელი ტანით წარმოდგენილია დონატორი, მავედრებელი ანტონ ცაგერელი. მარჯვნივ 16 სტრიქონიანი საქტი-

1 ზემო სვანეთში სოფ. ლაღამის (მესტიის თემი) მაცხოვრის სახელობის ეკლესიაში გრაფინია პრ.უვაროვამ 1895 წელს [Уварова П. 1904:106. 108. таб. 57], ექ. თაყაიშვილმა 1910 წელს [თაყაიშვილი ექ. 1937: 323], გ. ჩუბინაშვილმა 1930 წელს [Чубинашвили Г. 1959: 302] თავიანთი არქეოლოგიური მოგზაურობების დროს ნახეს სვიმეონ მესვეტის ჭედური ხატის პერანგი. იგი XX ს-ის 60-იან წლებში ლაღამის ეკლესიიდან დაიკარგა და 1972 წელს მოსკოვის მკვიდრმა ვ. მაჭავარიანმა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში შესასყიდად წარმოადგინა. ძეგლი ამოცნობის შემდეგ მძარცველს ჩამოართვეს, გაუკეთეს ხის ახალი საფუძველი და საგანურის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში განათავსეს საინვ.№10947.

2 ძეგლმა და მისმა წარწერამ XIX ს-ის შუა ხანიდან მიიპყრო მოგზაურთა და მკვლევართა ყურადღება და მისდამი ინტერესი არ განელებულა. საქტიტორო წარწერა გადმოილო ბართოლომეიმ [ЗКОИРГО. 1855: 195. 230. таб. IX, 23], მაგრამ ვერ გაარჩია. მ. ბროსე წარწერას შეცდომით კითხულობს. ექ. თაყაიშვილს მეოთხე და მეხუთე სტრიქონებში აქვს დაშვებული უზუსტობები. მან პირველმა გააიგივა ხატზე გამოსახული ანტონ ცაგერელი ანტონ იშხნელთან და ხატის თარიღი XI ს-ით განსაზღვრა [თაყაიშვილი ექ. 1937: 322-324]. გ. ჩუბინაშვილი სრულად კითხულობს საქტიტორო წარწერას, იზიარებს ექ. თაყაიშვილის დაკვირვებას. ხატზე გამოსახულ ანტონ ცაგერელსა და იშხნის წარწერებში მოხსენიებულ ანტონ იშხნელს ერთი და იგივე პიროვნებად მიიჩნევს. თავად ხატს კი ცაგერის საოქრომჭედლო კერაში შექმნილად თვლის. გ.ჩუბინაშვილი ძეგლის თარიღს XI ს-ის 20-იანი წლებით ან XI ს-ის პირველი მესამედით განსაზღვრავს. აკ. შანიძემ წარწერის მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეცხრე სტრიქონების წაკითხვაში კორექტივები შეიტანა, რაც შემდგომ გაითვალისწინა გ. ჩუბინაშვილმა [Чубинашвили Г. 1959: 303-304]. ნ. ჩოფიკაშვილი ხატის შესრულების ხანას 1032 წლის ახლო დროს აკუთვნებს [ჩოფიკაშვილი ნ.1964: 96]. ჟ. ლაფონტენ-დოზონი დაახლებით 1015 წლისად მიიჩნევს [Volbach and Jacqueline Lafontaine-Dosogne. 1968: 322. fig.361; 1971: 194-195. fig.12]. ამავე თარიღს იზიარებს კ. ვეიცმანი [Weitzmann K. 1982: 87.102]

ტორო წარწერაა (სურ. I), რომელიც შემდეგს გვაუწყებს:

ႫႤ ႢႪႾႩႫႬ ႠႬ|ႲႬႨ ႺႢႰႪႫႬ Ⴈ|ႸႾႱ ႷႴႱႠ ႹႫႱႠ|ႫႾႲႥႰႳႪႨ ႠႣႢႪ|Ⴈ ႭჄႰႨ ႥႬჄႣ Ⴀ|ႥႸႬႤ ႣႠ ႼႠ ႱႫႬႱ | ႸႥႱႼႰႤ ႣႠ ႾႲႨ | ႤႱႤ ႸႥႵႫႬ ႤႩႪႱ|Ⴀ ႫႠႱႠ ႣႠႭႱႬႤ | ႱჄႱႰႣ ႱႪႱႠ ႹႫႨႱႠ | ႥႨႬႺႠ ႩႬႨႬႨ Ⴌ|ႠႫႱႾႰႡႨ ႤႱႤ ႹႨ ႸႤႺ|ႥႪႱ ႼჂ ႱႫႬ ႠႰႱႫ|ႺႠ ႢႫႱႿႪႨ ႫႱႨ ႼႤ |ႵႠ ႣႶႠ ႫႱ ႢႬႩႾႧႥႱႱႠ ႠႫႬ

„მე გლ(ა)ხ(ა)კმ(ა)ნ ან|ტ(ო)ნი ც(ა)გ(ე)რ(ე)ლმ(ა)ნ ი|შხ(ან)ს ყ(ო)ფ(ა)სა ჩ(ე)მსა| მხ(ა)ტვ(ა)რ(ეუ)ლი[3] ადგ(ი)ლ|ი ოჴ(ე)რი ვ(ე)ნ(ა)ჴ(ა)დ ა|ვ(ა)შ(ე)ნე[4] და წ(მიდ)ა ს(ჳ)მ(ეო)ნს |

შ(ე)ვსწ(ი)რე და ხ(ა)ტი | ესე შ(ე)ვქმ(ე)ნ ეკლ(ესია)ს|ა მასა[5] დაოს(ვე)ნე[6] | ს(ა)ჴსრ(ა)დ ს(უ)ლ(ი)სა ჩ(ე)მისა | ვინცა კნინი ნ|(ა)მს(ა)ხ(უ)რ(ე)ბი ესე ჩ(ემ)ი შეც|ვ(ა)ლ(ო)ს წ(მიდა)ჲ ს(ჳ)მ(ო)ნ არსმ|ცა გ(ა)მსჯ(ე)ლი მ(ი)სი წ(ინაშ)ე | ქ(რისტეს)ა დღ(ეს)ა მ(ა)ს გ(ა)ნკ(ი)ხ|თვ(ი)ს(ა)სა (sic)[7] ამ(ი)ნ“.

როგორც ვხედავთ, სვიმეონ მესვეტის ჭედური ხატის საქტიტორო წარწერაში ასახულია ღვაწლი ანტონ ცაგერელისა, რომელსაც იშხანს ყოფნის დროს „მხატვარეული ადგილი „ოჴერი“ ვენაჴად აუშენებია და წმიდისა სვიმეონისათვის შეუწირავს, მისი ხატი შეუქმნია და ეკლესიაში დაუსვენებია. წარწერაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს სიტყვები –„ოჴერი“ და „ვენაჴი“. გამოჩენილი ლექსიკოგრაფი ილია აბულაძე მათ ასე განმარტავს: „ოჴერი“-„უდაბნო“ „აოხრებული“ ნანგრევი, ცარიელი, „კორდი“ მოუხნავი, ყამირი [აბულაძე ილ. 1973: 336]. „ვენაჴი“–საყურძენე, „საყურძნი“, „ვენაჴოვანი“, „სანერგე“ ვაზი, ზვარი [აბულაძე ილ. 1973: 156]. ამ სიტყვების განმარტებებიდან ირკვევა, რომ ანტონ ცაგერელს აოხრებულ, გავერანებულ, დაცარიელებულ ადგილზე ზვარი გაუშენებია და წმინდა სვიმეონ მესვეტისათვის შეუწირავს. ფრაზები: „იშხანს ყოფასა ჩემსა“ და „ეკლესიასა მასა დაუსვენე“ პირდაპირ მიმანიშნებელია, რომ ანტონს ეს ღვაწლი იშხნის საკათედრო ტაძრისთვის გაუწევია და მასშივე დაუსვენებია მესვეტისათვის ხატი.

წერილობით წყაროებში ნათლად არ ჩანს, ვის სახელზეა აგებული იშხნის ტაძარი. იგი, როგორც ჩრდილოეთ ეკვდერის 917 წლის 27 სტრიქონიან, ფრესკულ წარწერაში [Такаишвили Ек. 1952: 39-41. рис. 16; თაყაიშვილი ექ. 1960: 14-17. სურ.3], ასევე სამხრეთ კარიბჭის ტიმპანზე (სურ.II-1),

3 „მტტვრლი“ [თაყაიშვილი ექ. 1937: 285]

4 „ვნახე და ვაშენე“ [თაყაიშვილი ექ. 1937: 285]

5 „მისსა“ [თაყაიშვილი ექ. 1937: 285; Чубинашвили Г. 1959: 303]

6 „დავასუენე“ [თაყაიშვილი ექ. 1937: 285]

7 ოსტატს გრაფემები „თ“ და „ხ“ მექანიკურად აქვს შენაცვლებული. ექ. თაყაიშვილს [თაყაიშვილი ექ.. 1937: 285] და გ. ჩუბინაშვილს [Чубинашвили Г 1959: 303] თავიანთ პუბლიკაციებში აღნიშნული გრაფემები სიტყვის სწორი ფორმის შესატყვისად აქვთ მოხმობილი.

ამავე კედლის სარკმლის თავსართსა და სარკმლის მარჯვნივ კედელზე (სურ.II-2), ჩაკვეთილ XI ს-ის ეკლესიის განახლების მაუწყებელ წარწერებში [Такаишвили Ек. 1952: 27-29. рис. 1,2; თაყაიშვილი ექ. 1960: 12-14. სურ.1,2] მხოლოდ კათოლიკე[8] ეკლესიად მოიხსენიება. სვიმეონ მესვეტეს რომ იშხანში განსაკუთრებული ადგილი ეკავა, ეს ჩანს სამხრეთის კედლის კარნიზის ქვემოთ შემორჩენილი მეფე ბაგრატ IV-ის (1027–1072) დროინდელი ფრაგმენტული წარწერიდან. ამ წარწერაში მიმართვა იოანე ნათლისმცემლისა და სვიმეონ მესვეტისადმია: „...მადლითა და მეოხებითა წმიდისა წ ი ნ ა მ ო რ ბ ე დ ი ს ა თ ა და წმიდისა მამისა ს ი მ ე ო ნ ი ს ა თ ა...“[ Такаишвили Ек. 1952: 29; თაყაიშვილი ექ. 1960: 14]. გარდა ამისა, ტაძრის ინტერიერის, ჩრდილოეთ მკლავში განაწილებულ (სურ. III) XII ს-ის ფრესკულ, ვრცელ, ასომთავრულ წარწერაში [Такаишвили Ек. 1952: 39-41. рис. 16; თაყაიშვილი ექ. 1960: 25-27. სურ. 16] საუბარია იმაზე, რომ იშხნის მთავარეპისკოპოსმა ეგნატემ მეფეთ-მეფე დემეტრე I-ის (1125-1156), მისი დის - თამარის, დემეტრეს ვაჟების - დავითისა და გიორგის პატივსაცემად დაკიდა სამი ლამპარი. მეორე ლამპარი ეკიდა ღმრთისმშობლის ხატის წინ, აღსავლის კართან, ხოლო მესამე–სვიმეონ მესვეტის ხატის წინ. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ექ. თაყაიშვილი ვარაუდობს, რომ ტაძრის ცენტრალური საკურთხეველი მიძღვნილი იყო ღმრთისმშობლისადმი, ხოლო სადიაკვნის საკურთხეველი–სვიმეონ მესვეტისადმი. სამკვეთლოს საკურთხეველს მკვლევარი იოანე ნათლისმცემლის სახელობისად მიიჩნევს [Такаишвили Ек. 1952: 39; თაყაიშვილი ექ. 1960: 27]. იშხნის განახლების დროინდელი წარწერებიდან ცნობილია, რომ XI ს-ში ამ საკათედრო ტაძარში მოღვაწეობდა ეპისკოპოსი ანტონი [Такаишвили Ек.1952: 27-29; თაყაიშვილი ექ. 1960: 12-13]. იგი პირველად იშხნის ეპისკოპოსადაა მოხსენიებული სამხრეთი კარის ტიმპანის ვრცელ ასომთავრულ წარწერაში (სურ. II-1):

„ქ. ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრთისა)ჲთა მე გლ(ა)ხ(ა)კმა ა ნ ტ (ო) ნ ი ე ბ (ი) ს კ (ო) პ (ო) ს მ (ა) ი შ ხ ნ (ე) ლ მ (ა) გ(ან)ვა(ა)ხლე ესე კარისა ბჭე წ(მი)დისა | [კ](ა) თ(ო)ლ(ი)კ(ე) ეკლ(ე)ს(იი)ს(ა)ჲ ს(ა)დ(იდე)ბლ(ა)დ მ(ე)ფ(ე)თა გ(იორგ)ი მ(ე) ფ(ი)სად და შვ(ი)ლთა მ(ა)თთა ს(ა)ლ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ ს(უ)ლ(ი)სა ბ(ა)|გრ(ა)ტ კ(უროპა)ლ(ა)ტისსა შ(ე)ნდ(ო)ბისათვ(ი)ს) ც(ო)დვ(ა)თა ჩ(ვე)ნთაჲსა წ(მიდა)ო კ(ა)თ(ო)ლ(ი)კე ეკლე(სია)ო შემწე და მ|[ფ](ა)რვ(ე)ლ გუ(ე)ყ(ა)ვ წ(ინაშ)ე ღ(მრ)თისა და ნ(ა)ვთს(ა)ყ(უ)დ(ე)ლ გვექმ(ე)ნ საშინელსა მ(ა)[ს] დღესა მისაგებელისასა წ(ინაშ)ე მს(ა)ჯულისა ყ(ოვე)ლთ|[ა]სა ღირს ვიქმნ(ე)თ მოტევებასა ც(ო)დვ(ა)|თ(ა)სა და წყ(ა)ლ(ო)ბ(ა)სა ღ(მრ)თის(ა)სა გ(ე)ვ(ე)დრ(ე)ბი| [ყ](ოვე)ლთა შ(ე)მ(ა)ვ(ა)ლთა ლ(ო)ცვასა მ(ო)მიხ|ს|ენეთ::“

სამხრეთი კედლის სარკმლის თავსართსა და სარკმლის მარჯვნივ, კედელზე, განაწილებულ ათსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში (სურ. II-2) ანტონი უკვე იშხნის მთავარეპისკოპოსია:

8 კათოლიკე საყოველთაო, დედა (ეკლესია): „ჯდა რაი იგი წიდისა კათოლიკე ეკესიასა“ სჰკ. 81. 9 [აბულაძე ილ. 1973: 191].

„ქ. ს(ახე)ლითა ღ(მრთის)აჲთა მე ა (ნ) ტ (ო) ნ ი ი შ ხ (ნე) ლ მ თ (ა) ვ (ა) რ ე პ (ი) ს კ (ო) პ ო ს მ (ა) ნ გ(ან)ვ(აა)ხლე და გ(ა)ნვ(ა)სრ(უ)ლე წ(მიდა)ჲ ესე ტ(ა)ძ(ა)რი ღ(მრთისა)ჲ კ(ა)თ(ო)ლ(ი)კე ეკლ(ე)ს(ია)ჲ | სად(იდე)ბლ(ა)დ ბ(ა)გ(რა)ტ კ(ურო)პ(ა)ლ(ა)ტ(ი)ს[ა] | ს(ა)ლ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ და ს(ა)ხს(ენე)ბლ(ა)დ | ს(უ)ლისა ჩემისა და ც(ო)დვ(ა)თა ჩემთა | შ(ე)ნდ(ო)ბისათჳს | ქ(ო)რ(ონი)კ(ო)ნსა: სნბ (=252+780=1032-ნ.მ.) | და ვ(ა)შ(ე)ნე ჴელითა ი(ო)|ვ(ა)ნე მორჩაჲსძი|აჲთა“.

მ. ბროსემ ამ წარწერებში დასახელებული ანტონი ორ სხვადასხვა პიროვნებად ჩათვალა, რადგან: სამხრეთი კარის ტიმპანის წარწერაში მოხსენიებული მეფე მიიჩნია გიორგი II-ედ (1072-1089) და მასში დასახელებული ანტონი მათეოსით შეცვალა, ვინაიდან 1032 წელს მოხსენიებულ ანტონს, მისი აზრით, არ შეეძლო ეცოცხლა გიორგი II-ის დროსაც, რომელიც 40 წლის შემდეგ გამეფდა (Такаишвили Ек. 1952: 28; თაყაიშვილი ექ. 1960: 12).

ექ. თაყაიშვილმა პირველმა გააიგივა სვიმეონ მესვეტის ჭედურ ხატზე მოხსენიებული ანტონ ცაგერელი იშხნის საკათედრო ტაძრის 1032 წლის შეკეთების დროინდელ წარწერაში დასახელებულ ანტონ იშხნელთან. მკვლევარმა, თავდაპირველად, მ. ბროსეს მსგავსად, იშხნის წარწერებში მოხსენიებული ანტონი ორ სხვადასხვა პიროვნებად მიიჩნია: „იშხნის წარწერებში მოხსენიებულია ორი ანტონი. ერთი მათგანი ყოფილა არქიეპისკოპოზი და განუახლებია იშხნის ეკლესია 1032 წელს. მეორე იშხნის ეპისკოპოზს ანტონს გიორგი II-ის დროს (1072-1089) განუახლებია კარის ბჭე იშხნის ტაძრისა. ერთი მათგანი უნდა იყოს მომგები ჩვენი ხატისა“, - აღნიშნავს მკვლევარი [თაყაიშვილი ექ. 1937: 286]. შემდგომ მან შეცვალა ეს თვალსაზრისი და იშხნის ტაძრის სამხრეთი პორტიკის წარწერაში მოხსენიებული ანტონ იშხნელი და სამხრეთის სარკმელთან განაწილებულ წარწერაში დასახელებული მთავარეპისკოპოსი ანტონი გააიგივა. მკვლევარმა, ტიმპანის წარწერის ტექსტიდან და ტოპოგრაფიიდან გამომდინარე, მასში მოხსენიებული მეფე გიორგი I-ად (1014-1027) მიიჩნია. წარწერის მიხედვით, მეფე გიორგი არ ატარებს არავითარ ბიზანტიურ პატივს, რაც ნიშანდობლივია გიორგი I-სათვის, რადგან ასეთი მას არც ჰქონია. იგი მუდამ მტრულად იყო განწყობილი ბიზანტიის მიმართ, მაშინ, როდესაც მეფე გიორგი II-ს ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან ყველა ტიტული ჰქონდა მინიჭებული. ის იყო კუროპალატი, ნოველისიმოსი, სევასტოსი და, ბოლოს, კესაროსი. ამასთან, წარწერა შესრულებულია „სადიდებლად გიორგი მეფისა და შვილთა მათთა“. აქ არ შეიძლება გიორგი II იგულისხმებოდეს, რადგან, „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული და ანასეული რედაქციების მიხედვით,გიორგი II-ს ერთი მხოლოდშობილი ძე - დავით IV (აღმაშენებელი) ესვა, ხოლო გიორგი I-ეს ხუთი შვილი ჰყავდა [Такаишвили Ек. 1952: 28-29; თაყაიშვილი ექ. 1960:12-13]

ექ. თაყაიშვილის აზრით: „იშხნის ეპისკოპოსს ანტონს გიორგი I (1014-1027) დროს შეეძლო განეახლებინა მხოლოდ ტაძრის სამხრეთი პორტიკი. ხანგრძლივი ომი ბიზანტიასთან, რომელიც გიორგის დამარცხებით დასრულდა, ალბათ არ იძლეოდა ტაძრის მთლიანად განახლების საშუალებას.

მაგრამ ხუთი წლის შემდეგ იგივე ანტონს, უკვე მთავარეპისკოპოსს იშხნისას, 1032 წელს შეეძლო ტაძრის რესტავრირება მთლიანად. ეს ანტონი ის პიროვნება უნდა იყოს, რომელიც ადრე ცაგერის ეპისკოპოსი იყო და ატარებდა ცაგერელის ტიტულს. მისი ტაოში მოღვაწეობის შესახებ მოთხრობილია სვიმეონ მესვეტის ხატის წარწერაში“[ Такаишвили Ек. 1952: 29].

გ. ჩუბინაშვილმა ექ. თაყაიშვილის ზემოთ მოხმობილი მეორე თვალსაზრისისაგან დამოუკიდებლად იშხნის XI ს-ის განახლების მაუწყებელ წარწერებში მოხსენიებული ანტონის იდენტურობაზე იგივე დასკვნები გააკეთა.მკვლევრის დაკვირვებით, გიორგი I-ის დროს პორტიკით დაწყებული სარესტავრაციო სამუშაოები ეპისკოპოსმა ანტონმა ბაგრატ IV-ის დროს დაამთავრა [Чубинашвили Г. 1959: 303-304]. იგი იზიარებს ექ. თაყაიშვილის დაკვირვებას, რომ ანტონი ჯერ ცაგერელი იყო, შემდგომ–იშხნელი, ხოლო სვიმეონ მესვეტის ხატის შესრულების დროს ანტონის იშხნის ეპისკოპოსად დანიშვნამდელი დროით – XI ს-ის 20-იანი წლების დასაწყისით განსაზღვრავს [Чубинашвили Г. 1959: 304].

ლალამის სვიმეონ მესვეტის ხატის საქტიტორო წარწერიდან ნათლად ჩანს, რომ ანტონ ცაგერელს იშხანში ყოფნის დროს აოხრებულ, ცარიელ ადგილზე ზვარი გაუშენებია და წმ. სვიმეონისათვის შეუწირავს, რაც სატაძრო მეურნეობის მოწყობას ნიშნავს. დაეჭვებას იწვევს ის, თუ როგორ შეძლებდა ცაგერის ეპისკოპოსი ანტონი XI ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში იშხანში, ამ მონაპირე რეგიონში, სამხრეთ საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების პირობებში ეწარმოებინა ასეთი სამუშაოები. ვფიქრობთ, აღნიშნული გარემოება ვერ შექმნიდა ხელსაყრელ პირობებს მსგავსი ქმედებების განსახორციელებლად.

როგორც ზემოთ ვნახეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული მართებული თვალსაზრისით, იშხნის სამხრეთი კარიბჭის განახლების მაუწყებელი წარწერა მეფე გიორგი I-ის დროსაა შესრულებული და, ამდენად, უსწრებს სარესტავრაციო სამუშაოების დამთავრების დროინდელ 1032 წლის წარწერას, რომელიც სამხრეთი სარკმლის თავსა და კედელზე ნაწილდება.

კარიბჭის განახლების მაუწყებელ წარწერაში მეფე გიორგი I შვილებთან ერთად იხსენიება. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, გიორგი I რომ გარდაიცვალა, მას დარჩა წვრილშვილი: ორი ვაჟი – ბაგრატი და დემეტრე და ორი ქალი – გურანდუხტი და კატაჲ, ხოლო ერთი – მართა მის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა [ქც. 1955: 291]. ამ წარწერაში ფრაზა–„სადიდებლად მეფეთა გიორგი მეფისა და შვილთა მათთა“ იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეპითეტი „მეფეთა“ ვრცელდება როგორც გიორგიზე, ისე მის შვილებზე. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ წარწერაში მისი ვაჟები იგულისხმებიან. ამდენად, ამ წარწერის შესრულების დროს გიორგის ორივე ვაჟი დაბადებული ყოფილა. „მატიანე ქართლისაჲსა“[9] და „სუმბატ დავითის ძის ქრონიკის“[10] მიხედვით, ბიზანტიასა და საქართველოს შორის 1023 წელს დადებული ზავის დროს გიორგის უფროსი ვაჟი ბაგრატი 3 წლის ყოფილა. ამ ცნობაზე

9 „... და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თვისი ბაგრატ წელიწადისა სამისა“ [ქც. 1955: 288-289].

10 „ [და მისცა] გიორგი მეფემან მძევლად ძე თვისი ბაგრატ სამისა წლისა ყრმა ჩვილი“ [თაყაიშვილი ექ. 1949:71]

დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ ბაგრატი 1020 წელს უნდა დაბადებულიყო [ჯავახიშვილი ივ. 1983: 137]. იშხნის კარიბჭის წარწერაში კი გიორგი ვაჟებთან ერთად იხსენიება. გიორგის მეორე ვაჟის – დემეტრეს დაბადების თარიღის შესახებ წერილობით წყაროებში არაფერია ნათქვამი. მხოლოდ „მატიანე ქართლისაჲ" შეიცავს ცნობას, რომ 1032 წელს, ანაკოფიის ციხის ბიზანტიისათვის გადაცემის დროს, დემეტრე პატარა ბიჭი ყოფილა: „და ამისსა შემდგომად სხუაცა ძე დარჩა გიორგი მეფესა ანაკოფიასა შინა, ოვსთა მეფისა ასულისა მეორესა ცოლსა თანა. და აზნაურთაგან იყო მათ შუა მიდა-მო საუბარი, და ყრმა მცირე იყო, სახელით დემეტრე. ვერცა გაამეფეს თუცა ვის გულსა ედვა, და ვერცარა გამოინდვეს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან, არცაღა დიდებულთა ამისა სამეფოსა. და ვერღარა დაიდგინა და წარვიდა სამეფოსა მისგან და მიმართა ბერძენთა მეფესა და წარუტანა თანა ანაკოფია. ამიერითგან წარუხდა ანაკოფია აფხაზთა მეფესა მოაქა ჟამამდე" [ქც. 1955:295].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ გიორგი I-ის უფროსი ვაჟის–ბაგრატის დაბადების თარიღად 1020 წელს მივიჩნევთ, მაშინ იშხნის კარიბჭის წარწერა 1020 წლის შემდგომ უნდა შესრულებულიყო, მაგრამ არა უადრეს 1023 წლისა. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს მაშინდელ საქართველოში შექმნილი ვითარება და უფლისწულ დემეტრეს ასაკის გათვალისწინება, რომელიც 1032 წელს „ყრმა მცირე იყო". კარგადაა ცნობილი, რომ 1021 წლიდან მეფე გიორგი I მძიმე ბრძოლებს აწარმოებს ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ის (976-1025) წინააღმდეგ. ეს ბრძოლები 1023 წელს საქართველოსთვის უმძიმესი საზავო პირობებით დამთავრდა [საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1979: 178]. სამხრეთ საქართველოში მიმდინარე ეს საომარი მოქმედებები, ცხადია, ამიერტაოში მდებარე იშხნის ტაძარში აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად ხელსაყრელ პირობებს ვერ შექმნიდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 1023 წელს ბიზანტიასთან დადებული ხელშეკრულებით საქართველომ თავის დანარჩენ სამხრეთ პროვინციებთან ერთად დაკარგა ტაოც: „:.. მისცა გიორგი მეფემან... ქუეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოსათა, ბასიანს, კოლა-არტაანსა და ჯავახეთს" [ქც. 1955: 288]. ამ მხრივ საყურადღებოა 1023 წლის ზავის პირობებში მემატიანის ცნობა: „ხოლო რომელნიმე ამა ქვეყანათაგან ეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი დაულოცა გიორგი მეფესა, და წარვიდა ბასილი მეფე და თანა წარიყვანა ბაგრატ უფლისწული მძევლად ძე გიორგი მეფისა ჩუენისა" [ქც. 1955: 288-289]. სამწუხაროდ, მემატიანე არაფერს ამბობს, თუ რომელი ეკლესიები „დაულოცა" გიორგი I-ს ბასილი II-მ.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ იშხნის კარიბჭის განახლების მაუწყებელი წარწერა აზრობრივად დასრულებული ორი დამოუკიდებელი ტექსტისაგან შედგება. ეს გარეგნული ნიშნებითაც თვალში მოსახვედრია. კერძოდ, თითოეულს დასაწყისში უზის ქანწილი, ხოლო დასასრულს–ოთხი წერტილი. ამავე დროს, პირველ წარწერას, რომელიც ტიმპანის პროფილზე ნაწილდება, განსაკუთრებული საზეიმო იერსახე აქვს და დიდი გრაფემებით სრულდება. ამ ერთსტრიქონიანი წარწერის ასეთ წარმოდგენაში მისი უპირატესობაა ხაზგასმული (სურ. II-1). იგი შემდეგს გვაუწყებს:

„ი(ეს)ჳ ქ(რისტ)ე ადიდე ორთავე შინა ცხ(ოვ)რ(ე)ბ(ა)თა გ(იორგ)ი მ(ე)ფე და შვილნი მათნი ა(მი)ნ“.

[Такаишвили Ек. 1952: 27. рис.1; თაყაიშვილი ექ 1960: 12]. XI ს-ის 20-იან წლებშიდაკარგულ ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიის კედელზე საქართველოს მეფის მადიდებელი წარწერის ამოკვეთა იშხნის ტაძარზე საქართველოს სამეფო ხელისუფლების იურისდიქციის გავრცელების დადასტურებაა. ამის უფლება საქართველოს მეფეს მიენიჭებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ამ ტერიტორიაზე გავრცელდებოდა 1023 წლის საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეღავათი, რომლის თანახმად ბასილი II-მ: „ რომელნიმე ამა ქვეყანათაგან ეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი დაულოცა გიორგი მეფესა“. ეს კი გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ: ი შ ხ ნ ი ს ტ ა ძ ა რ ი და ა დ გ ი ლ ი „მ ხ ა ტ ვ ა რ ე უ ლ ი“, იმ ეკლესიათა და ადგილთა შორის ერთ-ერთია, რომლებიც ბიზანტიის მხარემ 1023 წელს საზავო პირობებით „დაულოცა“ საქართველოს. საქართველოს სამეფო ხელისუფლება მხოლოდ ასე შეძლებდა ამიერტაოში, ამ მონაპირე რეგიონში, თავისი გავლენის სფეროების განმტკიცების მიზნით, იშხნის ტაძრის განახლებითი სამუშაოების ჩატარებასა და „ადგილ მხატვარეულის“ აღორძინებას. ცხადია, ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს დააკისრებდა ისეთ ენერგიულ პიროვნებას, როგორიც ანტონი იყო. აქედან გამომდინარე, იშხნის სამხრეთი კარიბჭის განახლება უნდა დაწყებულიყო 1023 წლის მომდევნო წლებში, დამთავრებულიყო მეფე გიორგი I-ის გარდაცვალებამდე, არა უგვიანეს 1027 წლისა. ამდენად, ანტონი იშხნის ეპისკოპოსად ჩანს 1023 წლის მომდევნო წლებში. იშხნის სამხრეთი სარკმლის თავსა და კედელზე განაწილებული წარწერიდან ირკვევა, რომ ანტონი სარესტავრაციო სამუშაოებს ამთავრებს 1032 წელს. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ 1033 წელს იშხნის ეპისკოპოსი უკვე ილარიონ მასორისძეა [Такаишвили Ек. 1952:28; თაყაიშვილი ექ 1960:12]. ამდენად, ანტონს იშხნში უნდა ეღვაწა 1023 წლის შემდგომ - 1032 წლის ჩათვლით.

ექ. თაყაიშვილის მართებული დკვირვებით, იშხნის ტაძარი ანტონის დროს საფუძვლიანად შეკეთდა. ღაღამის სვიმეონ მესვეტის ჭედური ხატის საქტიტორო წარწერა კი გვამცნობს, რომ ანტონ ცაგერელმა იშხანში ყოფნის დროს გავერანებულ „ადგილ მხატვარეულში“ ზვარი გააშენა, შესწირა წმინდა სვიმეონს, მისი ხატი შექმნა და ეკლესიას დაუსვენა. ვფიქრობთ, XI ს-ის 20-იან წლებში, როგორც ჩანს, იშხნის საკათედრო ტაძრის დარღვევა, ასევე „ადგილ მხატვარეულის“ დაცარიელება, აოხრება უნდა გამოეწვია იმ საომარ მოქმედებებს, რომლებიც მიმდინარეობდა ამ დროის სამხრეთ საქართელოში. ამ გავერანებულ ადგილს შემდგომ, იშხანში ყოფნის დროს, განაახლებს ანტონი და სწირავს სვიმეონ საკვირველთმოქმედს. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ინტერესი სვიმეონ საკვირველთმოქმედისა და მისი მონასტრისადმი VI ს-ის შემდგომ კვლავ განსაკუთრებული ძალით გაცხოველდა XI ს-ის 30-იანი წლებიდან, როდესაც შავ, ანუ საკვირველ მთაზე ისევ დაიწყო ქართველთა კოლონიზაცია. იქ დასახლდა ბევრი მოღვაწე სამხრეთ საქართველოდან [კეკელიძე კ. 1980: 101]. სვიმეონ შავმთელისადმი სწორედ ეს ინტერესი გამოძახილს პოულობს ანტონის ღვაწლშიც, რასაც ადგილი ექნებოდა არა უადრეს XI ს-ის 30-იანი წლების

დასაწყისისა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ იშხნის საკათედრო ტაძრის 1023 წლის შემდგომ დაწყებული და 1032 წელს დასრულებული განახლების შედეგად უნდა განსაზღვრულიყო კიდევაც მისი საკურთხევლების კუთვნილების საკითხი: ცენტრალური – ღვთისმშობელს, სამხრეთი – სვიმეონ საკვირველთმოქმედს, ხოლო ჩრდილოეთი – იოანე ნათლისმცემელს, როგორც ეს ასახული ჩანს იშხნის მთავარეპისკოპოს ეგნატეს დაკვეთით შესრულებულ XII ს-ის შუა ხანის ფრესკულ წარწერაში.

XI ს-ის 20-იან წლებში იშხნის იავარქმნილ ტერიტორიაზე, ცხადია, უპირველესი ამოცანა ტაძრის აღდგენა იქნებოდა და მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლებოდა, ეზრუნათ სატაძრო მეურნეობის მოწყობასა და ეკლესიის ხატით შემკობაზე. ამიტომ სვიმეონ მესვეტის ხატის წარწერაში დაცული ანტონის განცხადება–„იშხანს ყოფასა ჩემსა“ მის იშხანში ეპისკოპოსად ყოფნას უნდა გულისხმობდეს. ამდენად გამოდის, რომ ანტონი ჯერ იშხნელი ყოფილა და შემდგომ გამხდარა ცაგერელი. ამიტომ ხატის მოჭედვა 1032 წელს უნდა მომხდარიყო, როდესაც ანტონმა იშხნის აღდგენა განასრულა.

**Natalia Modzmanashvili**
The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St. 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: natalia20378@mail.ru

# For Subordination of Ishkhani Cathedral in 20s of the $11^{th}$ c

## Summary

The $11^{th}$ c icon of Simeon Stylites, which is displayed in a permanent exhibition in Shalva Amiranashvili Georgian Fine Arts Museum (plate 1,no10947), is of high artistic value. It is distinguished by its donating inscription and it has a significant value in studying the questions of south Georgian history.

The icon is made of entire silver sheet. Its size is 26.7×14.7cm. Simeon Stylites –a wonder-maker, sitting on a pillar, is depicted on it. On the left -figure of donator Anton Tsagereli is depicted in the supplication pose.

The icon has Georgian „Asomtavruli“ inscription consisting of 16 lines. The inscription describes Anton Tsagereli's merit who built a beautiful vineyard in the destroyed place in Ishkhani and donated it to St.Simeon. He created the Stylites' icon and presented it to Ishkhani church.

Anton Tsagereli is mentioned twice in Ishkhani renovated inscription: on the south gate of the cathedral (plate II, ill.1) as a bishop and above the southern window. In the inscription, which announces the end of restoration works, Anton Tsagereli is mentioned as an archbishop.

The renovation inscription on the southern gate was carried during king Giorgi I's (1014-1027) reign. It was made before the 1032 year inscription over the south window, where king Giorgi is mentioned together with his children. Thus, the inscription should have been done after 1023 year.

Giorgi I's battles, which started in 1021 against Byzantine emperor Basil II (976-1025), finished with hard truse terms. As the result Georgia, together with its southern provinces, lost the territory of Tao. Basil II transfered to Giorgi I's possessions only some churches, villages and districts. But the chronicle does not mention their exact name.

Carving of Georgian king's haughty inscription on the south gate of the cathedral Ishkhani which located on the lost Georgian territory, confirms the fact that jurisdiction of Georgian royal power was spread there.

Ishkhani cathedral was among those churches which were given to Georgia in 1023 by Byzantium. Georgian royal authority financed restoration works in Ishkhani after signing the 1023 year peace treaty. The renewal works started after

1023 year and they were finished in 1032. From 1033 Ilarion Masorisdze was bishop in Ishkhani cathedral.

In the donating inscription on the Simeon Stylites icon Anton Tsagereli's statement „ my being in Ishkhani" implies his being as a bishop. Forging of Simeon Stylites icon was finished in 1032 when Anton Tsagerely was not bishop of Ishkhani any more.

## ბიბლიოგრაფია


**აბულაძე ილ. 1973:** *ძველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.* თბილისი.

**თაყაიშვილი ექ. 1937:** *არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს.* პარიზი.

**თაყაიშვილი ექ. 1960:** *არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში 1917 წელს.* თბილისი.

**კეკელიძე კ. 1980:** *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია.* ტომი. I. თბილისი.

***საქართველოს ისტორიის ნარკვევები.*** **1977:** ტომი. III. *საქართველო XI-XV საუკუნეებში.* თბილისი (რედ.ები: ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა).

**ქც. 1955:** *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I. თბილისი.

**ჩოფიკაშვილი ნ. 1964:** *ქართული კოსტიუმი (VI–XIV სს).* თბილისი.

**ჯავახიშვილი ივ. 1983:** *ქართველი ერის ისტორია.* ტომი. II. თბილისი.

**ЗКОИРГО. 1855:** Поездка в Вольную Сванетию полковника Бартоломея в 1853 году. книга. III. Москва

**Такаишвили Е. 1952:** Археологическая экспедиция 1917-20 года в южные провинции Грузии. Тбилиси.

**Уварова П. 1904:** Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию. МАК том. X. Москва.

**Чубинашвили Г. 1959:** Грузинское чеканное искусство. Тбилиси.

**Volbach and Jacqueline Lafontaine-Dosogne. 1968:** *Byzanz und dez christliche Osten*. Propilaen Kunstgeshichte. 3. Berlin.

**Jacqueline Lafontaine-Dosogne. 1971:** *L`influence du culte de Saint Symeon Stylite le Jenne sur los monuments er les reprentations figures de Georgie*. Byzantion. 41.

**Weitzmann K. 1982:** *Studies in the Arts of Sinain Esseys*. Prinseton.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. I.** სვიმეონ მესვეტის ხატი ლაღამიდან. XI საუკუნე. მოოქრული ვერცხლი,ოსტატი ფილიპე. ეზოზე გამოსახულია სვეტზე მჯდომი სვიმეონ საკვირველთმოქმედი, მისკენ ვედრებით მიმართული ანტონ ცაგერელი (მარცხნივ), ქართული ასომთავრული საქტიტორო წარწერა (მარჯვნივ)

**სურ. II. 1.** იშხანი. ეპისკოპოს ანტონის წარწერა (XI ს.) სამხრეთი კარის ტიმპანზე. მონახაზი ექ. თაყაიშვილის პუბლიკაციიდან.

**2.** იშხანი. მთავარეპისკოპოს ანტონის 1032 წლის წარწერა სამხრეთი სარკმლის თავსართსა და კედელზე. მონახაზი ექ. თაყაიშვილის პუბლიკაციიდან

**სურ. III.** იშხანი. მთავარეპისკოპოს ეგნატეს ფრესკული წარწერა (XII ს.) დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელზე. მონახაზი ექ. თაყაიშვილის პუბლიკაციიდან.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. I.** Simeon the Stilite. Icon from Lagami. Silverware. XI century, Master Philip. The centre of the icon depicts Simeon on e column. To the left of the column, Anthony, bishop of Tsagheri, imploring Simeon; to the right a long inscription relating in detail the history of the icon.

**Fig. II. 1.** Ishkhani. The inscription of the bishop Anthony (XI cent.) on the tympanum of the southern door.The outline from Equtime Takaishvili's publications.

**2.** Ishkhani.Archbishop Anthony's inscription ( 1032) on the frontispiece of the southern aperture and the wall. The outline from Equtime Takaishvili's publications.

**Fig. III.** Ishkhani. Archbishop Egnate's fresco inscription (XII cent.) on the northern wall of the west stretch. The outline from Equtime Takaishvili's publications.



სურ. 1 **Fig**



სურ. $2_1$ **Fig**



სურ. $2_2$ **Fig**



სურ. 3 **Fig**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 337-345
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 337-345

**ხელოვნებათმცოდნეობა**

**მანანა ალფენიძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: alpenidzem@yahoo.com

# უილიამ ჰოგარტის პორტრეტისათვის[1]

უილიამ ჰოგარტი - ყველასგან გამორჩეული გენიალური ინგლისელი მხატვარი, ერთი ჩვეულებრივი ვესტმორლენდელი მიწის მფლობელის ოჯახიდან იყო. უილიამის ბაბუას მამული კენდალიდან 15 მილით დაშორებულ სოფელ ბემფთონში ჰქონდა. უილიამის მამამ, თავისი ძმებისგან განსხვავებით, რომელთაგან ერთი მშობლიურ კარმიდამოს არ გასცილებია, თუმცა ბედს არ უჩიოდა, მეორე კი მახლობელ სოფელში დასახლდა და იქ პროვინციელი პოეტის სახელი დაიმკვიდრა (უნდა ითქვას, რომ არცთუ ურიგო ლექსებს წერდა), ადრევე მიატოვა კენდალის საგრაფოს სკოლაში მასწავლებლობა და საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა. იქ ერთ სტამბაში კორექტორის ადგილი იშოვა, მაგრამ მალე დაარწმუნა ყველა, რომ არცთუ ხელწამოსაკრავი ცოდნა ჰქონდა და კორექტორობა სწორედაც რომ არ შეეფერებოდა. მის მიერ სკოლის მოსწავლეთათვის შედგენილი ლათინური და ინგლისური ენის ლექსიკონები დღესაც აქტუალურია. იგი ლონდონშივე შეხვდა ცხოვრების თანამგზავრს და ყველაზე კარგი, რაც ამ ქორწინებას მოჰყვა, უილიამ ჰოგარტისა და მისი დების - მერისა და ანას ამ ქვეყნად მოვლინება იყო.

უილიამ ჰოგარტი დაიბადა (სურ.1) 1697 წელს ლონდონში. მისი ოჯახი ლონდონის წმინდა ბართლომეს ტაძრის მრევლი იყო, რომელსაც შემდგომ უილიამი შემწეობას არ აკლებდა. მანამდე კი მის ცხოვრებას ერთობ ულიმღამო პირი უჩანდა. სამუშაოს ძებნამ იგი ერთ გამოცდილ, მაგრამ საკმაოდ გაქნილ გრავიორთან, ვინმე მისტერ გემბლთან მიიყვანა; ეგებ იმიტომაც არჩია უილიამმა ეს საქმიანობა, რომ მის შესასრულებლად მხატვრის ალღო და სული იყო საჭირო და მისი დიდი ნიჭი სწორედ აქ უნდა დახვეწილიყო. ამ პროფესიისათვის სრულიად ჩვეულებრივი იყო, რომ

1 უილიამ ჰოგარტი – XVIII საუკუნეში (1697-1764) მოღვაწე გენიალური ინგლისელი მხატვარი, ილუსტრატორი, სატირული გრავიურების ავტორი. დაკრძალულია ლონდონში, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკის ფონდში დაცულია ცნობილი ინგლისელი მწერლისა და გამომცემლის, ჯონ ნიკოლსის წიგნი - “Biografhical Anecdotes Of William Hogarth; And A Catalogue Of His Works~. London. Printed By And For J. Nichols.1798. გთავაზობთ ზოგიერთი ეპიზოდის თარგმანს ამ წიგნიდან. მასალის უფრო სრულყოფილად წარმოსაჩენად მოვიძიე ინფორმაცია ტექსტში მოხსენიებული პირების შესახებ და დავურთე თარგმანს მხატვრის ნამუშევრების რამდენიმე ილუსტრაციასთან ერთად.

შეგირდებს პატარა გამოსახულებების ან სულაც ნულების ამოტვიფვრას მიანდობდნენ. ჰოგარტსაც ამის გაკეთება დაევალა და სწორედ აქ გაიღვიძა მის სულში მიძინებულმა მხატვრის დიდმა გენიამ.

მისი შეგირდობისას, ერთ კვირა დღეს, უილიამი თავის მეგობრებთან ერთად ჰაიგეითისკენ გაეშურა. ცხელი დღე იყო და ისინი გასაგრილებლად ერთ დუქანში შევიდნენ, რომელსაც დიდი ხნის წინ მომხდარი აყალმაყალის შემდეგ აღარ სტუმრებიან. მაშინ იქ ერთმა ჩხუბისთავმა მეორეს დიდი კათხა ჩაარტყა თავში და მძიმედ დაჭრა. კაცს სახეზე სისხლი სდიოდა და ტკივილს ისე საშინლად დაემანჭა მისი სახე, რომ ბუნების დიდ ძალისხმევას მის შესაქმნელად სულ ამაოდ ჩაევლო. ჰოგარტმა მაშინვე ამოიღო ფანქარი და წამში გამოსახა ყველაზე სასაცილო გამომეტყველება, რომელიც კი ოდესმე უნახავს ვინმეს, ასევე შექმნა იქ მყოფთა კარიკატურული ჩანახატებიც. ყველაზე სახალისო კი ის იყო, რომ ეს ჩხუბისთავები საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. ეს ეპიზოდი გადმოცემულია ჰოგარტის ერთი ძალიან უწყინარი მეგობარი შეგირდის მიერ, რომელიც მხატვართან ახალგაზრდობის შემდგომაც დიდხანს მეგობრობდა. შეგირდობის ვადა ჯერ კიდევ არ ამოწუროდა ჰოგარტს, როდესაც იგი სეინთ მარტინ ლეინის აკადემიაში შევიდა ხატვის შესასწავლად. ხატვას უილიამი ცხოვრებიდან სწავლობდა, იმ ცხოვრებიდან, რომლისგანაც ბევრი არაფერი რგებია წილად. ხასიათი, ვნებათაღელვანი, ბობოქარი სული მას ბუნებით მინიჭებული ნიჭის წყალობით ტილოზე უნდა გადმოეფრქვია. ფერთა აღქმით თუმცა არ გამოირჩეოდა ჰოგარტი. მისი ძალა გამომსახველობაში უფრო იყო, ვიდრე ფერთა ტონალობებისა თუ შუქჩრდილების გადმოცემის ოსტატობაში. დაუღალავი შრომისა და არაჩვეულებრივი ნიჭის წყალობით ჰოგარტი თავად იყო საკუთარი სახელისა და დიდების შემოქმედი; ეს სხვა რამეშიც ჩანდა, თუნდაც საკუთარი ოჯახის გაძღოლის უნარში. რაღა თქმა უნდა, როდესაც, თავდაპირველად, იგი ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა, მდიდარი არ ყოფილა. სიღარიბისგან თავის დაღწევის ამბიცია ისეთი დიდი იყო, რომ ჰოგარტს იმედგაცრუება არასოდეს გაუვლია გულში. მას სძულდა სიღარიბის ყოველგვარი გამოვლინება, განსაკუთრებით კი, როდესაც იგი სახლისათვის საჭირო ფუფუნების საგნებს იძენდა, თუმცა ფულის ყადრიც კარგად იცოდა. ერთხელ მას მეტისმეტად მოაბეზრა თავი სახლის მეპატრონე ქალბატონმა, რომლის სულ რაღაც 20 შილინგი ემართა და ჯავრი იმით იყარა ამ ქალზე, რომ დახატა იგი ისეთი მახინჯი, როგორიც კი შესაძლებელი იყო. საოცარია, მაგრამ სწორედ ამ მახინჯმა სახემ განთიადის სხივივით გაანათა და მოგვცა ნიშანი უდიდესი ტალანტის დაბადებისა.

რამდენ ხანს იყო მისი სახელი უცნობი საზოგადოებისთვის, ცნობილი არაა. თუმცა პირველი ნამუშევარი, რითაც მან წარმოაჩინა თავი როგორც მხატვარმა, გახლდათ „უონდსვორსის საზოგადოება“. როგორც ცნობილია, ამ ტილოზე გასაოცარი მსგავსებით არიან წარმოდგენილნი რეალურად არსებული ადამიანები და ფერწერაც, უნდა ითქვას, რომ ბევრად უკეთესია, ვიდრე შემდგომ შექმნილ, უფრო დასრულებულ ნამუშევრებში. თუ მის მიერ ყველაზე ადრე შესრულებული გრავიურის თარიღით ვიმსჯელებთ, ჰოგარტს საქმიანობა 1720 წელს უნდა დაეწყო. თავდაპირველად ეს იყო აბრების დამზადება, შემდეგ ამას მოსდევდა წიგნების ილუსტრირება. აღსანიშნავია ჰოგარტის მიერ შესრულებული გრავიურები ცნობილი

გამოცემებისათვის, მათ შორის: “Aubry de la Motrey’s Travels (1723); Apuleius. “Golden Afs“ (1724); “Beaver’s Military Punishment of the Ancients“, “Caffandra“ (1725); “Hudibras“ (1726) მისი ავტორის - სამუელ ბატლერის გამოსახულებით; “Perfeus and Andromeda“ (1730) და სხვადასხვაგვარი ფრანტისპისი (1726/1733 წწ.). მისტერ უოლპოლი[2] აღნიშნავდა, რომ გენიალურობის არავითარი ნიშანი არ ჩანს ჩამოთვლილ ნამუშევრებში, თუ არ ჩავთვლით “Hudibras“-ს, რომლის შესრულების ოსტატობასაც ჩვეულებრივს ნამდვილად ვერ უწოდებთო. ჩვენთვის ნამდვილად გასაოცარია ის უზადრუკი იუმორი, მან ვითომდა რომ „მიუსადაგა“ ჰოგარტის გენიალობას.

“Black Horfe“-ის მეპატრონე, ვინმე მისტერ ბაულესი ქორნჰილში გახლდათ მისი ერთ-ერთი პირველი დამქირავებელი. როგორც ამბობენ, ამ კაცმა სპილენძზე შესრულებული უამრავი გრავიურა შეიძინა ჰოგარტისგან ამ მეტალის წონის ფასად. ასეთი ამხანაგი კიდევ ჰყავდა მას, მისტერ ჯონ ოვერთონი ფლითსტრითიდან. თუმცა კი სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ, რომ მან ბევრად უფრო ძვირად შეუფასა მხატვარს დიდი ნიჭიც და გაწეული შრომაც. მისტერ უოლპოლი იმასაც აღნიშნავს, რომ სწორედ ამ გრავიურებით წარმოჩინდა იგი როგორც პორტრეტისტი მხატვარი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მეტად შეუფერებელი საქმიანობა იყო ისეთი ადამიანისთვის, ვისთვისაც უცხო იყო პირფერობა და ვერც დაცინვის გარეშე გამოსახავდა მავანთა დიდებისმოყვარეობას. თუმცაღა, მისი დიდი უნარი, ზუსტად გამოესახა ადამიანის სახე, ასევე დაეხატა ოჯახური პორტრეტები ე.წ. სასაუბრო სცენების მეშვეობით, იმ დროისათვის სიახლე გახლდათ, რამაც გარკვეული დროის განმავლობაში არნახული წარმატება მოუტანა მხატვარს. თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, შესაძლოა იმიტომ, რომ მისი შინაგანი განწყობა არ ესადაგებოდა ამ საქმიანობას ანდა მისი კლიენტები ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ სატირიკოსი მხატვარი მათთვის, თვითმოყვარული ადამიანებისთვის, ვერაფერი შვილი აღმსარებელი იქნებოდა. ამისდა მიუხედავად, ჰოგარტის მიერ სასაუბრო მანერით შესრულებული ბევრი ოჯახური პორტრეტი არსებობს. ყველა პორტრეტში როდი აღწევდა იგი მოდელთან სრულ მსგავსებას, მაშინ, როცა, შესაძლოა, ძალიან ბევრ მხატვარს უკეთ გამოსვლოდა რომელიმე მსგავსი პერსონაჟი. აი, თუნდაც სცენა, მაგიდასთან მჯდომი მისტერ გარიკი[3]. მის უკან ჩანს მისი ცოლი, რომელიც მას ხელიდან ართმევს კალამს. აქ ნამდვილად ვერ დაიკვეხნის მხატვარი როსკიუსის ვნებადამცხრალი გამომეტყველების გადმოცემით, მაშინ, როცა მეტისმეტად შთამბეჭდავია შიშისაგან შეძრწუნებული რიჩარდ III-ის პერსონაჟი „კარვის სცენაში“ (სურ.

2 ჰორაციო უოლპოლი (1717-1797) ორფორდის მეოთხე გრაფი, ინგლისელი მწერალი. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო ნაწარმოებით „გვირგვინოსანი და კეთილშობილი ავტორების კატალოგი“ (“ Catalogue of The Royal and Noble Authors of England. 1758), გოთიკური რომანის ჟანრის ფუძემდებელი. მისი პირველი გოთიკური რომანი „ოტრანტოს ციხესიმაგრე“ (“The Casttle of Otranto“) დაიბეჭდა 1764 წელს. მანვე ჩაუყარა საფუძველი ერთ-ერთ უმდიდრეს სამხატვრო გალერეას ინგლისში.

3 დევიდ გარიკი (1716-1779) - ცნობილი ინგლისელი მსახიობი. ინგლისური სასცენო რეფორმის ავტორი, რაც გამოიხატებოდა თეატრალურობის ცხოვრებისეული სინამდვილით შეცვლით. დიდი აღიარება მას მოუტანა სადებიუტო როლმა სპექტაკლში „რიჩარდ III“. დაკრძალულია უესტმინსტერის სააბატოში, შექსპირის ძეგლთან.

2). ასევე ოჯახური პორტრეტია „მისტერ ვესტერნის რეზიდენცია ელექსში“. ტილოზე გამოსახულია მისტერ ვესტერნი, მისი დედა, ჩანსელორ ჰოუდი, ღირსი მამა მისტერ ქოული მილტონიდან და მისტერ ჰენრი ტეილორი, იქაური მოძღვრის თანაშემწე (1736 წ.)

ჰოგარტს ჩვევად ჰქონდა დანახვისთანავე გამოეხატა სახე, რომელიც მასზე შთაბეჭდილებას მოახდენდა, ანდა, რომელიც სურდა, რომ მის მეხსიერებას შემოენახა. ერთი ჯენტლმენის გადმოცემით, ერთხელ, როდესაც ის და ჰოგარტი ბედფორდის ყავახანაში ისხდნენ, მან შენიშნა, რომ იგი ფანქრით ფრჩხილზე იხატავდა რაღაცას. როდესაც ეს ჯენტლმენი დაინტერესდა, თუ რას აკეთებდა იგი, ჰოგარტმა დაანახა მას მეტად უცნაური გამომეტყველების კაცი, რომელიც მის მოპირდაპირედ იჯდა. ჰოგარტი როგორღაც შეუსატყვისებდა ხოლმე თავის იუმორს ამა თუ იმ პერსონაჟის თავისებურებას, რის გარეშეც იგი ჩანახატს არ გააკეთებდა. სამეფო კარის მიღებაზე მისული ბევრი დიდებულის პორტრეტიც აქვს მას შესრულებული, ასე მაგალითად, ტილოებზე - „საუზვორქის ბაზარი“ და „შუაღამის საუბრები“ ბევრი მათგანი ამოიცნო ერთმა მეტად პატივცემულმა ჯენტლმენმა, რომლის ნათქვამის უტყუარობაშიც ნამდვილად არ შეიძლება ეჭვის შეტანა.

როდესაც ჰოგარტი მუშაობდა ცნობილ სურათზე „საკომისიო პროგრესი“ ილსვერსში, საზაფხულო აგარაკზე, მასთან სურათის სანახავად მისულ სტუმრებს აუცილებლად სთხოვდა, გამოეცნოთ, თუ რატომ იყო ესა თუ ის პერსონაჟი ტილოზე გამოსახული და თუ ვერ გამოიცნობდნენ, იგი მაშინვე ხალისიანად აუხსნიდა მათ.

მხატვრის ერთ მეგობარს, მისტერ უოლპოლს აქვს მისი ნაჩუქარი ზეთით შესრულებული ჩანახატი, რომლის გრავირებასაც აპირებდა ჰოგარტი. ეს ჩანახატი შესრულებულია იმ დროს, როდესაც თემთა პალატამ დანიშნა კომისია, რომელსაც უნდა გამოეძიებინა ფლიტის ციხეში ტუსაღებისგან ფულის გამოძალვის მიზნით მათზე განხორციელებული სისასტიკის შემთხვევები. სურათზე ჩანს მაგიდა, რომელზედაც აწყვია საწამებელი ინსტრუმენტები, აძონძილ, შიმშილისაგან ფეხზე ძლივს მდგარ საბრალო ტუსაღს კეთილშობილური გამომეტყველება შერჩენია, რაც ამ პერსონაჟის მიმართ ინტერესს აძლიერებს. მეორე მხრივ კი, ციხის არაადამანური, სასტიკი ზედამხედველის სახე, როგორიც ალბათ, XVII საუკუნის დიდ იტალიელ მხატვარს, სალვატორ როსის თავისი კუდიანი პერსონაჟებისათვის ლოგოდ გამოადგებოდა. ბოროტება, შიში და ღირსება ერთმანეთში არეულა მკვდარივით გაფითრებულ მის სახეზე, შიშისაგან აცახცახებული ტუჩები მაგრად მოუკუმავს, გამომეტყველებით ჩანს, რომ იტყუება, ერთი ხელით გამალებით გულზე მჯიღს იცემს, მეორე ხელის თითები კი საღილეში გაუყრია. თუკი ეს ნახატი პორტრეტია, მაშინ იგი ოდესმე შექმნილი ყველაზე შთამბეჭდავი პორტრეტი ყოფილა და თუ არა, მაინც ძალზე მშვენიერია. ამ პერსონაჟის პროტოტიპია ვინმე ბემბრიჯი, ფლიტის სატუსაღოს უფროსი. ამ ტილოს ჩანახატი გაკეთდა 1729 წლის დასაწყისში, როდესაც მიმდინარეობდა ხსენებული ბემბრიჯისა და მისი წინამორბედის, ჰაგინსის, სასამართლო პროცესი. ისინი ორივე ცნეს დამნაშავედ სისასტიკეში, გამოძალვასა და კიდევ ბევრ წვრილმან დანაშაულში და გადაიყვანეს ნიუგეიტში, ხოლო ბემბრიჯმა

პარლამენტის აქტით დისკვალიფიკაციაც მიიღო. მისტერ ჰაგინსის ვაჟს კი საკუთრებაში დარჩა ძალიან ძვირფასი ნახატის ფრაგმენტი ამ სკეტჩიდან და აგრეთვე ძალზე მშვენიერი სცენის ფრაგმენტი „ორგროშიანი ოპერიდან“ (სურ. 3). ორივე მათგანში ბევრი რეალური ადამიანის პორტრეტია. ხსენებულმა პიროვნებამ მამის ქონება გაანიავა და ბოლოს „ორგროშიანი ოპერის“ ეს ფრაგმენტი მისგან შეისყიდა ოქსფორდელმა წმინდა მამა მონქბაუსმა. სურათი მოოქრულ ჩარჩოშია, თავზე მისი ავტორის, ჯონ გაის, გამოსახულებით. მეორე სცენის მფლობელის ვინაობა კი, სამწუხაროდ, დადგენილი არ არის. ლიდსის ჰერცოგის საკუთრებაა ერთობ ორიგინალური სცენა ასევე „ორგროშიანი ოპერიდან“, რომელიც, სავარაუდოდ, ჰოგარტის მიერვე უნდა იყოს შესრულებული. აქ ოპერის პერსონაჟები, ლუსი და პოლი, ერთმანეთს ექიშპებიან ასპარეზობის გმირის ხელში ჩასაგდებად. სურათზე გამოხატული ფიგურათაგან ზოგის ამოცნობა შეიძლება, დანარჩენები პორტრეტებია. ვფიქრობთ, რომ ტილოზე გამოსახული კედელთან მდგარი მამაკაცი განსვენებული სერ თომას რობინსონი (მას გრძელ სერ ტომასად უფრო იცნობდნენ) უნდა იყოს. მთავარი გმირი მაჩეტი აქ ერთი ღონიერი, მაგრამ თავისი ძლევამოსილებით მოტრაბახედ უფროა გამოსახული, პოლის კი მეტად ბედნიერი გამომეტყველება აქვს, რადგან თავი დააღწია დესპოტი მამის, პიკბამის, მარყუჟებს. მისმა უმაღლესობამ ამ სურათში 35 ფუნტი გადაიხადა მისტერ რიჩის აუქციონზე. ამ სურათის გრავიურა, შესაძლოა, მეტად ძვირფასი საჩუქარი ყოფილიყო საზოგადოებისათვის. მისტერ უოლპოლის საკუთრებაა სურათი ამავე ოპერიდან. ამ ტილოზე მაჩეტი მიჰყავთ ეშაფოტზე. თვალში მოსახვედრია უოლკლერისა და მის ფენტონის (შემდგომ ბალტონის ჰერცოგინია) საოცარი მსგავსება.

1726 წელს, როდესაც მთელი საზოგადოების ყურადღება ვინმე მერი თოფსტის, კურდღლების ჯილფორდელი სელექციონრის, გახმაურებულმა ამბავმა მიიპყრო, ზოგიერთმა ცნობილმა ქირურგმა ფული არ დაიშურა და გადაუხადა ჰოგარტს, რათა მხატვარს მათთვის გაეკეთებინა გრავიურები მისი ცნობილი მეტად სასაცილო სკეტჩიდან, რომელიც ხსენებულ ამბავს ეხმაურებოდა. ამ გრავიურაზე, სხვა პერსონაჟებთან ერთად, გამოსახულია თავისი ბნელი საქმეებით ცნობილი მამა ანდრე, რომელიც მეფის კარზე მსახურობდა და, ასე ვთქვათ, ცხოველების გვამებს კვეთდა და მათზე დაკვირვებებს აწარმოებდა. არ ვიცით ამ პიროვნების დიდი პოპულარობის მიზეზი მისი თაღლითური ბუნება უნდა ყოფილიყო თუ მისი უმეცრება, ანდა სულაც ამ ორი თვისების ლოგიკური ნაზავი. ყველაფერ ამას კი აგვირგვინებდა მის მიერ შემდგომ ჩადენილი საშინელი დანაშაული, მაგრამ ასე თუ ისე, მას, თავისი სიმდიდრის წყალობით, ყოველთვის გვერდით ჰყავდა პირმოთნეები და მის ქმედებათა მადიდებელნი. ოთხმოცი წლის ასაკშიც კი მისი საუბარი ძლიერ შეურაცხმყოფელი მოსასმენი იყო მოკრძალებული ყურისათვის, ხოლო მისი ჭაღარა მეტისმეტად შეუსაბამო იმ გარყვნილებისა, რასაც იგი სჩადიოდა. ამ გრავიურის უფრო დეტალური აღწერა მოცემული იქნება ჩვენ მიერ შედგენილ ჰოგარტის ნამუშევართა კატალოგში.

1730 წელს ჰოგარტმა იქორწინა სერ თომას თორნჰილის ერთადერთ ქალიშვილზე, რომელთანაც მას შვილები არ შესძენია. რაღა თქმა უნდა, სერ თომასი და მისი მეუღლე ადვილად ვერ შეეგუებოდნენ ამ ქორწინებას, რადგანაც,საზოგადოებისთვისჯერაცუცნობიმოკრძალებულშემოსავლიანი

მხატვარი მათი სრულიად ახალგაზრდა, თვრამეტი წლის ქალიშვილისათვის სწორედაც რომ შეუფერებელი პარტია გახლდათ. დაქორწინების შემდეგ, სულ მალე, ჰოგარტმა დაიწყო მუშაობა თავის ცნობილ სურათზე „ჰარლოტის პროგრესი". მას ურჩიეს, რომ როგორმე ისე მოეწყო საქმე, მისი სურათები სერ თომასს ენახა. ამ საქმის მოგვარება მისის ჰოგარტმა იკისრა და ერთ დილითაც სასადილო ოთახში გამოსულ სერ თორნჰილს თვალწინ საოცარი ვერნისაჟი გადაეშალა. როდესაც მან გაიგო სურათების ავტორის ვინაობა, წამოიძახა: „ძალიან კარგი, კაცს, რომელსაც ასეთი ტილოების შექმნა შეუძლია, არც ცოლის ფუფუნებაში შენახვა გაუჭირდება". მისიეს სიტყვები მობოდიშებასავით ჟღერდა, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი საფულე მაგრად იყო ჩაკეტილი ახალგაზრდა წყვილისათვის. ამის შემდგომ კი თორნჰილები მეტად გულუხვები გახდნენ მათ მიმართ, თუმცა ლედი თორნჰილის პატიებამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ჰოგარტის მდგომარეობა კი 1731 წელს განმტკიცდა, საბოლოოდ კი გაამყარა მისი ხელოვნების მიმართ გამოთქმულმა მისტერ მიტჩელის[4] პოეტურმა ქათინაურმა.

ოქსფორდშირში, ერთი ჯენტლმენის სასახლეში (თუ ვის ეკუთვნოდა ეს სასახლე, ჩვენთვის უცნობია), ფუნქციონირებდა სერ თორნჰილისა და უილიამ ჰოგარტის მიერ დაარსებული „ალეგორიული სხვენი", სადაც ისინი ერთობლივად უძღვებოდნენ სამხატვრო საქმიანობას.

1744 წელს ჰოგარტმა თავის გრავიურაში „გემოვნება" მეტად სასაცილოდ გამოხატა მისტერ პოუპი.[5] ჩვენ თვალწინ იშლება ბარლინგთონ ჰაუზის ჭიშკრის ხედი, რომლის შეთეთრებასაც შესდგომია მისტერ პოუპი, მის გვერდით კი ჩანს საღებავით ერთიანად მოთხვრილი ჩანდოსის ჰერცოგის ეტლი.ამ გრავიურით ჰოგარტს მისტერ პოუპის გაკრიტიკება სურდა, მაგრამ მალე მოეგო გონს და ნამუშევარი თავად გაანადგურა. შესაძლოა, მისტერ პოუპის რისხვას ჰოგარტი იმანაც გადაარჩინა, რომ მისი გენიალობა იმ დროისათვის ჯერ არ იყო ცნობილი საზოგადოებისათვის, ანდა პოეტს ეყო გონიერება, „თავს არ დასხმოდა" მომავლისათვის დიდი იმედის მომცემ მხატვარ — სატირიკოსს,

ქორწინების შემდეგ ჰოგარტი დიდ დროს ატარებდა თავის საზაფხულო სახლში, სამხრეთ ლამბეტში. მას ბუნებისაგან მომადლებული ჰქონდა საოცარი გემოვნება და ალღო მებაღისა. მან თავის მეგობარ მისტერ თაიერსთან ერთად დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ უოქსბოლის „საგაზაფხულო ბაღები" საზოგადოებისათვის კარგი დასასვენებელი ადგილი გამხდარიყო. მან პირველმა გამოთქვა აზრი, რომ იქაურობა სურათებით გაემშვენიერებინათ. მის მიერ შესრულებული კომიკური ნახატები კი ხომ სწორედ ზედგამოჭრილი იყო ამ მიზნისათვის. თავის მხრივ, მისტერ

4 ჯოზეფ მიტჩელი (1684-?) - ცნობილი ინგლისელი პოეტი. 1930 წელს დაბეჭდილ თავის წერილში მან პოეტური ქათინაური მიუძღვნა უილიამ ჰოგარტს. იგი წერდა, რომ დიდი ოჯახის წარმომადგენლები მხატვრის ფუნჯს სრულიად „ემორჩილებიან", შეკრებილი საზოგადოება კი „ფეხზე დგება" მხატვრის ერთ ნიშანზეო.

5 ალექსანდრ პოუპი (1688-1744) - ცნობილი ინგლისელი პოეტი, სახელი გაითქვა სატირული ლექსებით. ცნობილია როგორც ჰომეროსის მთარგმნელი. პოუპი ცნობილი იყო, თავისი ანდაზებითაც: „რა მცირე მნიშვნელობას აძლევს უფალი სიმდიდრეს, უნდა განვსაჯოთ იმით, თუ როგორ ხალხს აძლევს იგი მას"; „ღირსეული ქალბატონი მეტად უბადრუკი მამაკაცი იქნებოდა" და სხვ.

თაიერსმა მას აჩუქა ოქროს ფირფიტა წარწერით: "IN PERPETUAM BENEFICII MEMORIAM" („მუდმივი მადლიერების ნიშნად"). ეს ფირფიტა ამჟამად (1781) მხატვრის ქვრივის საკუთრებაა, რომლითაც იგი ზოგჯერ სარგებლობს კიდეც. 1733 წელს უილიამ ჰოგარტის უდიდესი ტალანტი უკვე აღიარებული გახდა, რაშიც დიდი როლი ითამაშა მის მიერ შესრულებულმა „ჰარლოტის პროგრესის" მესამე სცენამ. ამ ნამუშევრის გამოჩენიდან ერთი-ორი დღის შემდეგ სახაზინო საბჭოზე ერთ-ერთმა ლორდმა წარმოადგინა მისი ასლი, რამაც დამსწრეთა უჩვეულო აღფრთოვანება გამოიწვია, განსაკუთრებით კი ტილოზე გამოხატულის საოცარმა მსგავსებამ სერ ჯონ ჯონსონთან.[6] შემდეგ იქიდან გამოსული უკლებლივ ყველა ლორდი გაეშურა გრავიურების მაღაზიაში, რათა საკუთრად თითო ასლი შეეძინათ. რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ ჰოგარტი საქვეყნოდ გახდა ცნობილი. ეს ეპიზოდი ცნობილია ვინმე მისტერ თილსონისგან, რომლის ბიძაც იმხანად ხაზინაში გადამწერად მუშაობდა, შემდგომ კი საქმის მწარმოებლის თანაშემწეც გახდა. თემის საჭირბოროტობამ და მისმა მეტად გონივრულმა გადატანამ ტილოზე „ჰარლოტის პროგრესი" საზოგადოების ყველა ფენისათვის გასაგები და მისაღები გახადა. შემდგომ ეს ნაწარმოები სცენაზეც განხორციელდა და მასში შემავალი ექვსივე სცენის მინიატიურული გრავიურაც დამზადდა, რომელიც ჩვეულებისამებრ წითელი ტუშით სრულდებოდა. მისი აღმატებულება აბატი დუ ბოსი ხშირად დაიჩივლებდა ხოლმე, რომ მისი დროის არც ერთ მხატვარს, რომელთაც ისტორიული მომენტების ტილოზე გამოხატვის ამბიცია გააჩნდათ, აზრადაც არ მოსვლია, შეექმნა ნამუშევარი, სადაც ასე სერიულად, რამდენიმე სცენით იქნებოდა აღწერილი რომელიმე წარმატებული გმირის ცხოვრება აკვნიდან სამარემდე. რისი დანახვაც სურდა დუ ბოსს, განახორციელა ჰოგარტმა. მას ერთი უბრალო, თავგადასავლების მაძიებელი სოფლელი გოგონა ქალაქის კარიბჭესთან მიჰყავს და აკვირდება, როგორ მიაქანებს მას სიდუხჭირე და გარყვნილება ნაადრევ აღსასრულამდე. არც ერთ კალამს არ გადმოუცია ასე სულისშემძვრელად ადამიანის მანკიერებაში ჩაფლობა და, აქედან გამომდინარე, მორალურად სწორი გზის ქადაგება, როგორც ეს შეძლო ჰოგარტის ნახატმა.

6 სერ ჯონ ჯონსონი (1741-1830) – ბრიტანეთის ჩრდილოეთ კოლონიების სუპერ-ინტენდენტი, ნიუ-იორკის მეორე ბარონეტი, პირველი ბარონეტის - ბრიტანეთის ჩრდილოეთ კოლონიების სუპერიტენდენტის ინდიელთა საკითხებში, სერ უილიამ ჯონსონის ერთადერთი ვაჟი. ბარონეტის ტიტული და დიდი მამულები მას მემკვიდრეობით გადაეცა 1774 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ. ჯერ კიდევ 13 წლის ასაკიდან იგი მამას ახლდა სამხედრო ექსპედიციებში და ესწრებოდა ინდიელებთან მოლაპარაკებებსაც. 1775 წელს, ამერიკის რევოლუციის დაწყებისთანავე, გახდა ნიუ-იორკის არმიის კაპიტანი და იბრძოდა პონტიაკის მეამბოხეთა წინააღმდეგ. ყოველთვის იცავდა ბრიტანეთის უფლებამოსილებას მის საზღვრებთან.

**Manana Alpenidze**

The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1 L.Gudiashvili Str.,0151,Tbilisi,Georgia
E-mail:alpenidzem@yahoo.com

# For Willam Hogart's Portrait

## Summary

While processing the web-catalogue of the English language editions, homing with diverse library funds o f Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts, I came across a very significant and curious book which was published in 1798 year - " The Biographical Anecdotes of William Hogarth and a Catalogue of his Works". The book was written by famous English writer and publisher John Nickols (1745-1824) –the author of such various considerable works as "The Genius of Impeachment", " Dollarocracy", "The Nirvana Blues" etc. Still aware of the value even of disjointed, lacking chronological arrangement episodes, concerning the life of this great master, whose works were able to endurance the test of time and were quick to fill their own niche, the idea of translating of some certain episodes has been realized and suggested to readers.

### ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ.1**. უილიამ ჰოგარტის ავტოპორტრეტი. 1735 წ. აშშ. ბრიტანეთის ხელოვნების იელის ცენტრი

**სურ.2.** დევიდ გარიკი რიჩარდ III-ის როლში „კარვის სცენა", 1745 წ. ინგლისი, ლივერპული. ხელოვნების გალერეა „უოლკერი"

**სურ.3.** სცენის ფრაგმენტი „ორგროშიანი ოპერიდან", 1728 წ. ინგლისი, მუზეუმი. „თეით ბრიტანი".

### LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1**. William Hogarth. Self portrait. 1x735. USA. Yale Centre for British Art

**Fig. 2**. David Garrick as Richard III, "The tent scene". 1745. England, Liverpool. Art Gallery "Walker"

**Fig. 3**. Fragment of the scene from the "Beggar's Opera". 1728. England. Museum "Tate Britain"


სურ.1 **Fig.**


სურ.2 **Fig.**


სურ.3 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 346-354
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 346-354

**ხელოვნებათმცოდნეობა**

**ირინა გუგუნავა**
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ.გუდიაშვილის ქ. 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: gugunavairina@gmail.com

# ყაჯარული პერიოდის ლითონმქანდაკებლობა (ფოლადის ნაკეთობათა ერთი ჯგუფის მიხედვით)

ირანში ლითონის ქურქლის გამოყენებასა და წარმოებას, მისი მხატვრული დამუშავების ხელოვნებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. უძველესი დროიდანვე აქ მოღვაწეობდნენ მთელ მსოფლიოში მაღალი ოსტატობით სახელგანთქმული ხელოსნები, რომლებიც მრავალფეროვან მასალას იყენებდნენ მაღალმხატვრული ნაკეთობების შესაქმნელად, მაგალითად რკინას, ფოლადს, ბრინჯაოს, სპილენძსა და მის სხვადასხვა შენადნობს (თითბერსა და ა.შ.), ასევე ძვირფას ლითონებს - ოქროსა და ვერცხლს. ირანელმა ხალხმა დღემდე სათუთად შემოინახა ლითონის მხატვრული დამუშავების საუკუნოვანი ტრადიცია. ხალხური რეწვის სახელმოხვეჭილი ოსტატები მომდევნო თაობებს გადასცემდნენ საკუთარ გამოცდილებასა და ადგილობრივი ლითონწარმოების მხატვრულ-ტექნიკურ ხერხებს. სწორედ ამიტომ ირანული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მრავალრიცხოვანსა და მრავალფეროვან დარგებს შორის განსაკუთრებული ადგილი ლითონის მხატვრული დამუშავების ხელოვნებას ეთმობა. სიძველით იგი მხოლოდ მხატვრულ კერამიკას თუ ჩამორჩება. სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი შედევრების რაოდენობით, უნიკალურობით, თემატური მოტივების სიუხვით, მხატვრულ-ტექნიკური საშუალებებისა და ხერხების მრავალფეროვნებით ირანული ლითონმქანდაკებლობა მნიშვნელოვნად აღემატება მხატვრული ხელოსნობის სხვა დარგებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ირანელ ოსტატთა უზადო გემოვნება და მასალის შეგრძნების უნარი. მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი ტრადიციის წყალობით, ირანულ ლითონმქანდაკებლობაში შემუშავდა ესთეტიკური კანონები, რის შედეგად ლითონის დამუშავების ხელოვნებამ სრულყოფას მიაღწია. ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ ირანის დიდებული ისტორიის თითქმის ყველა ეტაპზე ლითონის მხატვრულ ნაწარმზე ყოველთვის დიდი იყო მოთხოვნა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ყველაზე ხშირად სწორედ ლითონის პროდუქცია გვევლინება ახლებური შემოქმედებითი ხედვის, იდეებისა და მხატვრული ხერხების საწყისად [Абдуллаев Т., Фахриддинова Д., Хакимов А. 1986:34]. თუ გავადევნებთ თვალს ირანული ლითონწარმოების განვითარების გზას, დავინახავთ, რომ ესაა სრულიად სხვადასხვა სახის ტრადიციათა შერწყმა, ნაზავი, მაგრამ, ამავდროულად, ხაზგასმით უნდა

აღინიშნოს ირანული ლითონწარმოების მხატვრული სტილისტიკის თავისებურება, რაც სწორედ მხოლოდ მის მახასიათებელ ნიშნად გვევლინება. XVIII-XIX სს-ის ირანში ლითონმქანდაკებლობის მთავარ კერებად შეიძლება დასახელდეს ქალაქები: თეირანი, ისფაჰანი, შირაზი, მეშჰედი, ჰამადანი, ყაზვინი, ქირმანი, ნიშაპური, ქაშანი და სხვ., რომლებიც შუა საუკუნეებიდანვე იყვნენ აღიარებული ლითონდამუშავების წამყვან ცენტრებად [კვირკველია გ. 1968: 32].

XVIII-XIX სს-შიც, ადრეულ პერიოდთა მსგავსად, სხვადასხვა პროფესიის ხელოსნები ამქრებში იყვნენ გაერთიანებულნი. ლითონის საამქროებში ოსტატები მკაცრ სუბორდინაციას ექვემდებარებოდნენ. რა თქმა უნდა, ეს არ ეხებოდა მაღალი რანგის ოსტატებს, რომლებიც შაჰის ან დიდგვაროვანთა კარზე მოღვაწეობდნენ. ხალხური ხელოსნობის ამ დარგის პოპულარულობაზე ისიც მეტყველებს, რომ მსოფლიოს წამყვან მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში დაცულია ირანული ჭედური ხელოვნების მრავალი ნაკეთობა. გამონაკლისი არც საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისლამური ლითონის კოლექციაა, რომელიც VII-XX სს-ის ისლამური ჭედური ხელოვნების ნიმუშებს მოიცავს. აქ თავმოყრილია შედევრებად საყოველთაოდ აღიარებული, საეტაპო მნიშვნელობის არაერთი ადრეისლამური პერიოდის ლითონის ექსპონატი (მაგ., ე.წ. *ბასრისა და თბილისური დოქები, ალ ფადლი* და სხვა მრავალი). ისინი კარგადაა ცნობილი მსოფლიოს სამეცნიერო წრეებისათვის და არაერთგზისაა მოხსენიებული წამყვან მკვლევართა ნაშრომებსა და სამუზეუმო კატალოგებში. ჩვენს კოლექციაში დაცული ლითონის პლასტიკის კოლექცია მაღალმხატვრულობითა და შესრულების მაღალი ხარისხით გამოირჩევა და მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის, ზოგადად, ისლამური ლითონმქანდაკებლობის განვითარების ძირითად ეტაპებზე, ტექნოლოგიურსა და მხატვრულ თავისებურებებზე.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების ფონდებში დაუნჯებული ისლამური სამყაროს მატერიალური კულტურის მრავალფეროვანსა და მნიშვნელოვან ნიმუშთა შორის რაოდენობით ყველას აღემატება გვიანი პერიოდის, კერძოდ, XVIII –XIX სს-ის, ე.წ. ყაჯართა სტილის[1] ირანული ლითონმქანდაკებლობის ბრწყინვალე ექსპონატები. ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ოქროს ზარნიშით დამშვენებული ფოლადის ნაკეთობანი. მიუხედავად იმისა, რომ გვიანი პერიოდის ირანში მეტად გავრცელებული და პოპულარული ყოფილა ფოლადისგან დამზადებული ნაწარმი, ჩვენს კოლექციაში ისინი მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯგუფითაა წარმოდგენილი. ესენია: დეკორატიული და სარიტუალო დანიშნულების, ყოველდღიური მოხმარების ნივთები, ცხოველთა და ფრინველთა ზოომორფული ფიგურები, ნაირგვარი ჭურჭელი, საყოფაცხოვრებო თუ საბრძოლო იარაღი და ხელსაწყო. მათი შესწავლა დიდ ინტერესს იწვევს არა მხოლოდ დანიშნულებისა და წარმომავლობის გამო, არამედ ტექნოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისითაც. ცნობილია, რომ, ზოგადად, ისლამური ლითონმქანდაკებლობის შესწავლის საქმეში მეცნიერები

1 მმართველი დინასტია ირანში (1785-1925 წწ.) დამაარსებელია აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი.

ყოველთვის გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდნენ ადრეისლამური და შუა საუკუნეების ბრინჯაოსა და თითბრის ჭედურ ნაწარმოებებს, ვიდრე ფოლადის პროდუქციას. ერთი მხრივ, ეს გასაგებიცაა, რადგან ძვირფასი ლითონების – ვერცხლისა და ოქროს ძაფებით ინკრუსტირებული ბრინჯაოსა და თითბრის ელვარე ჭურჭელი ბევრად უფრო თვალისმომჭრელად და მდიდრულად გამოიყურება. ამიტომ მათ უფრო ფასეულად მიიჩნევდნენ კოლექციონერები და მკვლევრები. ეს ნივთები ხშირად შემკულია წარწერებით, რომელთა ისტორიული მნიშვნელობაც ძალზე საყურადღებოა და ისტორიკოსთათვის ძალიან საინტერესო ინფორმაციას შეიცავს [Allan J., Gilmour B. 2000:15]. ფოლადის ნაკეთობათა კვლევა კი, შეიძლება ითქვას, მხოლოდ იარაღ-საჭურვლის სფეროთი შემოიფარგლებოდა, შესწავლილი და გამოქვეყნებულია, უპირატესად, ფოლადის საბრძოლო იარაღი და აღჭურვილობა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ფუნდამენტური ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევა არ ჩატარებულა [Allan J., Gilmour B. 2000: 33]. არადა, ყველაზე მეტად სწორედ ფოლადი ასოცირდება ირანულ მითოლოგიასა და ხალხურ რწმენა-წარმოდგენებთან. ამ მასალის, უდავოდ, უდიდეს მნიშვნელობას ისიც მოწმობს, რომ ირანის უძველესი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ფოლადი მრავალგზისაა ნახსენები სხვადასხვა ლიტერატურულ ტექსტში. თვით სპარსული სიტყვა *ფულად* სწორედ ფოლადს ნიშნავს ქართულად და უძველესი წარმომავლობისაა. იგი მრავალჯერ გვხვდება უძველეს ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ასევე ზოროასტრიზმის წმინდა წიგნში – ავესტაში. აქ ფოლადი ძვირფას ლითონად მოიაზრება, რომლის ღირსნი მხოლოდ ღმერთები, ხელმწიფენი და გმირები თუ იყვნენ.

ფოლადის დამუშავება ოსტატთაგან დიდ გულისხმევასა და გაწაფულობას მოითხოვდა. ფოლადი შავი მეტალურგიის უმნიშვნელოვანესი პროდუქტია. იგი რკინის დეფორმირებადი ჭედადი შენადნობია არაუმეტეს 2% ნახშირბადსა და სხვა ელემენტებთან [ქსე. 1986: 614]. მას უძველესი დროიდან აწარმოებდნენ ცივსაბერი ხერხით, რასაც საფუძვლად უძევს ღუმელში რკინის აღდგენა მადნიდან ხის ნახშირით. ფოლადი მიიღებოდა ცომისებრ მდგომარეობაში. თხევადად მის მისაღებად გამოიყენებოდა თუჯისა და ფოლადის მცირე ზომის ნაჭრები, რომლებსაც ცეცხლგამძლე ტიგელებში ადნობდნენ. ამგვარი წესით მიღებული ფოლადი მაღალი ხარისხის იყო და ძალზე ძვირადაც ფასობდა, რადგან ხსენებული პროცესი მცირემწარმოებლური იყო. ძველ ირანელთათვის კარგად იყო ცნობილი ფოლადისა და რკინის განმასხვავებელი ნიშნები. არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით ნათლად ჩანს, რომ სწორედ ირანელები ეკუთვნოდნენ იმ მცირერიცხოვან ხალხთა რიცხვს, რომლებმაც პირველად შეიმეცნეს რკინის გამოდნობის წესები. ირანში უძველესი დროიდან მახასიათებელ თვისებათა გამო კარგად ჰქონდათ გააზრებული და დაფასებული ფოლადის ღირებულება და მნიშვნელოვნება. წინარე ისლამურ პერიოდში რკინა ძვირფას ლითონად ითვლებოდა და მისგან მხოლოდ დეკორატიული სამშვენისები და სამკაული მზადდებოდა, მაგ., საყოველთაოდ ცნობილია ლურისტანში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი და ძვ.წ. პირველი

ათასწლეულით დათარიღებული, ოსტატობით შესრულებული სამაჯური [Allan J., Gilmour B. 2000:17]. ასევე საყურადღებოა ამავე პერიოდის მახვილთა ვადები, რომლებიც ზედმიწევნით დეტალიზებული რელიეფური ორნამენტული სახეებითაა შემკული. მრავალ კერძო თუ სამუზეუმო კოლექციაშია დაცული ირანის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ცივილიზაციების – აქემენიანთა, პართიელთა, სასანიანთა ეპოქების რკინის სხვადასხვა საბრძოლო იარაღი – ხმლები, ხანჯლები და სხვ. ყოველივე ეს წინარეისლამურ ირანში სამჭედლო ხელობის მაღალ დონესა და უწყვეტ განვითარებაზე მეტყველებს. ისლამის შემოსვლის შემდეგაც ფოლადის ნაწარმის მიმართ ინტერესი, მისი მოხმარების აუცილებლობიდან გამომდინარე, არ კლებულობს. ამჯერად მისი გამოყენება არა მხოლოდ საბრძოლო და საიუველირო, არამედ რელიგიური და საერო დანიშნულებითაც დაიწყეს. მეჩეთებისა და სხვა წმინდა ადგილების კარიბჭეების მოსაპირკეთებელი ფილები, კარის სახელურები და ბოქლომები, უპირატესად, ფოლადისგან მზადდებოდა [Allan J., Gilmour B. 2000:13]. სასულიერო ნაგებობებთან – ტაძრებსა და სალოცავებთან არსებული სასაფლაოებიც ამავე მასალით შესრულებული გისოსებით იყო შემოსაზღვრული. მიუხედავად ხსენებული მასალის დიდი პოპულარობისა, ჩვენს დრომდე ძალიან მცირე რაოდენობითაა მოღწეული ადრეისლამური პერიოდის მატერიალური კულტურის ფოლადის ნიმუში.

ფოლადი სეფიანთა ეპოქის მიწურულს - 1688 წლიდან ხდება განსაკუთრებით პოპულარული. სუფიზმის მოძღვრების მიმდევარი დერვიშები ფოლადის მხატვრული ნაწარმის დიდი მოტრფიალენი და დამფასებელნი იყვნენ. ცნობილია, რომ სუფი დერვიშთა აუცილებელი ატრიბუტები *ხეკირა* და *ქაშქულიც*, უმთავრესად, ფოლადისა იყო, რადგან სუფისტური სექტის მიმდევარნი თვით ამ მასალას განსაკუთრებულ სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სეფიანთა ეპოქაში ფოლადზე მომუშავე ოსტატთა ხელობასა და ტექნიკაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ხეზე კვეთის ხელოვნებამაც [Allan J., Gilmour B. 2000:37]. მხატვრული ხელოსნობის სხვადასხვა დარგის ოსტატნი დეკორატიული შემკულობის წინასწარ შემუშავებულ ერთსა და იმავე ქარგას იყენებდნენ. ამასვე ადასტურებს ორნამენტის სქემათა კრებულები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ხელოვნების განსხვავებულ სფეროში მოღვაწე ხელოსნები. ზოგადად, ეს ფენომენი შეიძლება იმით ავხსნათ, რომ ისლამური ხელოვნების ყველა დარგის მხატვრული ნაწარმის დეკორის აუცილებელ ელემენტად მაღალი ოსტატობით შესრულებული კალიგრაფიული ორნამენტი მოიაზრება. ყოველივე ეს კი განპირობებული იყო ხსენებულ პერიოდში წიგნის შემკობის ხელოვნების უდიდესი ზეგავლენით დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სხვა დარგებზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კალიგრაფიული შემკულობა ყოველთვის აქტუალური იყო ისლამურ ხელოვნებაში, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ სწორედ სეფიანთა ხანაში იგრძნობა განსაკუთრებით ეპიგრაფიკული წარწერებისადმი სწრაფვა. ამიტომ ამ პერიოდის დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოებებზე ლიტერატურული თუ რელიგიური ხასიათის ვრცელი ტექსტები ჩნდება.

როგორც უკვე ითქვა, XVI ს-ში ქვეყნის სათავეში სეფიანთა დინასტიის

მოსვლით ფოლადის პროდუქციის წარმოება უპრეცედენტო აღმასვლას განიცდის. ამასთან, ამ ნაწარმის მოხმარება უდიდეს მასშტაბებს იძენს ირანის მთელი ისტორიის განმავლობაში, რადგან შიიტური სუფიზმის მიმდევარი სეფიანი მმართველნი მიიჩნევდნენ, რომ ფოლადის ნაკეთობას განსაკუთრებული რელიგიური დატვირთვა და ზემოქმედების უნარი ჰქონდა. ამის დასტურად შეიძლება მოვიხმოთ დროშებიც, ე.წ. *ალამები* (სპარს. სიტყვასიტყვით - დროშა, ბაირაღი, ალამი), რომლებიც რელიგიური პროცესიების დროს გამოიყენებოდა და მის თავზე სხვადასხვა სახის ფოლადის ფიგურა იყო წამოცმული. საქართველოს ეროვნული მუზეუმში დაცულია მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა. აღსანიშნავია მათი ფორმების საოცარი მრავალფეროვნება (სურ.1). როგორც წესი, ამ ნაკეთობებზე ამოტვიფრულია ალაჰის წმინდა სახელები,[2] მოხსენიებულნი არიან წინასწარმეტყველი მუჰამადი და იმამები[3]. ეს წარწერები გამოსახულია უმშვენიერეს ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტული ხვეულების ფონზე, ზოგჯერ კი კარტუშებსა და მედალიონებშია მოქცეული. მეჩეთებიდან და წმინდა ადგილებიდან, მაგ., *ჰუსაინიადან*[4], ეს დროშები გამოჰქონდათ მუჰარამისა[5] და სხვა სარიტუალო მსვლელობებისა და რელიგიური დღესასწაულებისათვის. პროცესიას სათავეში ედგა სასულიერო პირი *ალამით* ხელში. იგი წინ მიუძღოდა ხალხს. სჯეროდათ მათი ძლიერი ზებუნებრივი ძალისა და რომ, როდესაც ბრძოლის ველზე ამ დროშას [Allan J., 2012: 136][6] გაშლიდნენ, მას მოწინააღმდეგის ჯარების დაქსაქსვა და ბრძოლის სასიკეთოდ შემობრუნება შეეძლო. სეფიანები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ზედ ამოტვიფრული წმინდა სახელთა წყალობით *ალამებს* ძალა შესწევდათ, მძლავრი ზემოქმედება მოეხდინათ მნახველზე. ყურანის ტექსტისა და ღვთისმეტყველთა იდეების ასეთი სიღრმისეული აღქმა სრულიად დამახასიათებელია ისლამური რელიგიისთვის. მუსლიმური მრწამსის მიმდევარნი მხატვრული სამყაროს უბრალო, მარტივ ფორმებსა და ყოფით ნივთებსაც კი ღრმა რელიგიურ მნიშვნელობას აძლევდნენ [Sahranavard M., Szanto I. 2010:88]. ღმერთის გამოსახვა თავიდანვე იყო უარყოფილი ღვთისმეტყველთა მიერ. ამიტომ ღვთაების არსის აღწერისას განსაკუთრებულ ფორმად მისი სახელები იქცა. ყურანში ნახსენებია ალაჰის ოთხმოცდაცხრამეტი სხვადასხვა სახელი. მათი გამეორება ღვთისმოსავ

---

2 ისლამურ რელიგიაში ცნობილია ალაჰის ასამდე სახელი.

3 მუსლიმთა სასულიერო ხელძღვანელი და თემის მეთაური.

4 სპეციალური შენობები მეჩეთებსა და მედრესეებში, სადაც აშურას დროს შიიტი მორწმუნეები იკრიბებიან სამგლოვიარო ღონისძიებების მოსაწყობად მუჰამადის შვილიშვილის – მუსლიმთა მესამე იმამ ჰუსაინ იბნ ალის ტრაგიკურლ დაღუპვასთან დაკავშირებით.

5 ისლამური კალენდრის პირველი თვე მოიცავს 30 დღეს. მუჰარამის მე- 10 დღე - *აშურა* შიიტთა მთავარი რელიგიური თარიღი და სამგლოვიარო დღეა ალი იბნ აბუ ტალიბისა და მუჰამადის ქალიშვილ ფატიმას უმცროსი ვაჟის - შიიტთა მესამე იმამ ჰუსაინ იბნ ალის მოსახსენიებლად, რომელიც ჰიჯრის 61 წ./680 წლის 10 ოქტომბერს ომაიანებმა მოკლეს ქ. ქარბალასთან.

6 მიიჩნევდნენ, რომ მსგავსი დროშები სწორედ ჰუსაინისა და მის თანამოაზრეთ ეპყრათ ხელში ქარბალასთან ბრძოლის დროს.

საქმედ ითვლება და რაც უფრო მეტჯერ იქნება ისინი ნახსენები, მით უკეთესი. ხელოვნებაში კი ეს აზრი კონკრეტული მხატვრული ელემენტის - რიტმულად გამეორებული ორნამენტისა და წარწერების საშუალებით გადმოიცემა. XVIII-XIX სს-დან ყაჯართა ეპოქაში შედარებით მცირდება კალიგრაფიული ორნამენტით დამშვენებული საპროცესიო დროშების რიცხვი და ისინი ნაწილობრივ ჩაანაცვლა სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის ქანდაკებებმა. ხშირად ქურციკებისა და ფარშევანგების გამოსახულებები, ზოგჯერ სანათურებიც კი მაგრდებოდა დროშის თავზე [Allan J., 2012:125]. როგორც წესი, საპროცესიო დროშების დამამშვენებელი ზოომორფული ქანდაკებები ზომით ძალზე მასშტაბურებია, რადგან ისინი შორი მანძილიდან აღსაქმელად მოიაზრება. მათი დეკორიც შედარებით ნაკლებად ორნამენტულია და მხოლოდ ოქროთია უხვად დაფარული, ხშირად კი ჭვირული სახითაც გვხვდება. ანალოგიური ქანდაკებები, ოღონდ გაცილებით მცირე ზომისა, ირანელთა ყოველდღიურ ყოფაშიც ხშირად გამოიყენებოდა მხოლოდ და მხოლოდ დეკორატიული სამშვენისის სახით. ეს ნიმუშები კი გაცილებით მეტი სიფაქიზითაა შესრულებული, ხშირად გრავირებულია და ოქროს ზარნიშით დეკორირებული (სურ. 2, 3, 4). ამ ნაწარმოებებში ნათლადაა წარმოჩენილი XVIII-XX სს-ის ლითონის ირანელ ოსტატთა დახვეწილი გემოვნება, ბრწყინვალე ტექნიკა და დეკორატიულობის თვითმყოფადი შეგრძნება.

ყაჯარული პერიოდის ფოლადის ნაწარმის კვლევამ ცხადყო, რომ საკვლევი მასალის შემკულობა ფსევდოსეფიანური სტილის მაღალმხატვრული, მდიდრული, დეკორატიული ორნამენტით გამოირჩევა. გასაკვირი არაა, რომ ყაჯართა პერიოდის ოსტატები ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ძველი მხატვრულ-ტექნიკური ხერხები და გაემეორებინათ განვლილი ეპოქის თემატიკა, ფორმათა დამუშავებისას მიისწრაფვოდნენ, მიეღწიათ წინა ეპოქისდროინდელი ოსტატობისთვის, რადგან ის, მათი თვალსაზრისით, სრულყოფილების განსახიერება იყო. ეს გახლდათ უკანასკნელი, უკვე საკმაოდ შესუსტებული, დამაკავშირებელი რგოლი წარმავალ ტრადიციასთან. XVIII ს-ის მეორე ნახევარში შორეულ წარსულში დამკვიდრებული ფორმებისა თუ დეკორის კოპირების მცდელობა უკვე აღარ იყო ეფექტური, რაც გამოიხატა იმით, რომ ნაკეთობები ესთეტიკურად და ტექნიკურადაც, შუა საუკუნეების ნაწარმთან შედარებით, დილეტანტურ დონეზე სრულდებოდა. ევროპული ხელოვნებიდან და ევროპელთა თვალით დანახული პრეისლამური წარსულიდან ნასესხებმა მხატვრულმა მოტივებმა, უმეტესწილად, ჩაანაცვლეს ტრადიციული სეფიანური რეპერტუარი. საბოლოოდ გაწყდა საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებული კავშირი ვიზუალურსა და კონცეპტუალურ შინაარსს შორის [Melikian–Chirvani A.S. 1983:326]. აქედან გამომდინარე, ამ ნივთებმაც დაკარგეს ყოველგვარი კავშირი ცოცხალ, ყოველდღიურ კულტურასთან და მათი შესრულების ტექნიკური მხარე ნელ-ნელა იმდენად დაკნინდა, რომ ბაზრისთვის განკუთვნილი ხელოსნობის უბრალო ნიმუშებს გაუთანაბრდა. ყოველივე ეს კი საინტერესო მხოლოდ უცხოელი სტუმრებისათვის რჩებოდა, ასევე, უცხო ქვეყნებში გადასახლებული ირანელებისთვის, რომლებიც საკუთარ სამშობლოსა და გარემოში ტურისტებად ითვლებოდნენ.

**Irina Gugunava**

The Georgian National Museum, Shalva Amiranashili Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St. 0105, Tbilisi, Georgia
E-mail:gugunavairina@gmail.com

# Qajar Period Metalwork from the Georgian National Museum (According to Steel Ware Group)

## Summary

The present article attempts to focus on steel objects kept in the Georgian National Museum. The Oriental Art storages of the Georgian National Museum, houses a rich and spectacular collection of Qajar metalwork which is of considerable historical importance. In this collection various household objects and utilitarian and decorative functional utensils and vessels are included. An important group of the collection is made up of steel objects which are mainly attributed to Qajar period (1785-1925). Though steel was very beloved and fashionable material in that late period, our Islamic metalwork collection includes a small but important body of late Iranian steel objects, ewers, basins, and diverse types of functional and decorative steel ware. For artistically executed artworks of Qajar period was characteristic imitation of earlier styles, some of them were even dated back to or signed with the 16th-17th cc. Safavid type works. The general features of the material regarded in this paper, shows various technical methods and a new interpretation of well-known art forms. The balance between new shapes or decorative elements with the past artistic traditions gives the special individualism to Qajar metalwork. Strongly underlined eclectism is a typical feature of the Qajar metal ware.

## ბიბლიოგრაფია

**კვირკველია გ. 1968:** ირანის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. *XIX ს. სპილენძ–თითბრის ირანული ჭურჭელი.* თბილისი (რედ. გ. ჩიტაია).

**კუცია კ., მეტრეველი მ., სანიკიძე გ., სვანიძე მ., ჯაფარიძე გ. 1999:** *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი.* თბილისი (რედ. გ.ზერაძე).

**ქსე 1986:** თბილისი, ტ.10, გვ. 614. (რედ ი. აბაშიძე)

**Абдуллаев Т. , Фахриддинова Д. , Хакимов А. 1986:** *Песнь в металле.* Ташкент (ред. Н.К. Мусина).

**Allan J.W. 2012:The** *Art and architecture of Twelver Shi'ism:Iraq, Iran and Indian*

*Sub-Continent*. Oxford (ed D.Behrens-Abouseif).

**Allan J.W., Gilmour B. 2000*:*** *Persian Steel. The Tanavoli Collection.* Oxford (ed. J. Raby).

**Allan J. W. 1994**: Hajji 'Abbas. *Iran. Journal of the British Institute of Persian Studies. vol. XXXII*. London p.76-77

**Allan J. W. 1982:** *Islamic Metalwork: The Nuhad Es-Said Collection*. London

**Allan J. W .1979:** *Persian Metal Technology 700-1300 AD*. Oxford

**La Niece S., Ward R., Hook D., Craddock P. 2012:** *Medieval Islamic Copper Alloys* in Scientific Research on Ancient Asian Metallurgy. pp. 248-254. London (ed. P.Jett)

**Melikian–Chirvani A.S. 1983:** *Qajar Metalwork: a Study in Cultural trends.* Qajar Iran: Political,Social& Cultural Change 1800-1925. pp. 311-328. Edinburgh ( ed. C.E. Bosworth).

**Melikian–Chirvani A.S. 1982:** *Islamic Metalwork from the Iranian World- 8-18th centuries*. London **Sahranavard M., Szanto I. 2010:** *Metalwork in the Qajar Period, Artisans at the Crossroads*, Ferenc Hopp Museum of Eastern Asiatic Arts. pp.86-96. Budapest ( ed. by B.Kelenyi, I. Szanto).

**Ward R. 1993:** *Islamic Metalwork*. New York.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** სხმ/ალ ალამი. H- 142 სმ

**სურ. 2.** სხმ/ალ 824 ჯიხვი H- 26,5 სმ

**სურ. 3.** სხმ/ალ 828 ჯიხვი H- 26,5 სმ

**სურ. 4.** სხმ/ალ 832 ირემი H- 42 სმ

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** 4165 Flag, H- 142 cm

**Fig. 2.** 824 Ibex, H- 26,5 cm

**Fig. 3.** 828 Ibex, H- 26,5 cm

**Fig. 4.** 832 Deer, H- 42 cm



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 355-363
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 355-363

**ხელოვნებათმცოდნეობა**

**მარინე აბრამიშვილი**
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
რუსთაველის გამზირი 11, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nika@mrcheveli.com

# თანამედროვე ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (ეროვნულ გალერეაში დაცული ხის ექსპონანტების მიხედვით)

ქართველმა ხალხმა ისტორიული განვითარების განმავლობაში შექმნა ძალზე ინდივიდუალური, გასაგები, ხელმისაწვდომი და მრავალსახოვანი ხელოვნება. ქართული ხელოვნება, სხვათა მსგავსად, დაფუძნებულია ხალხურ შემოქმედებაზე, მისი სხვადასხვა დარგის თემებისა და სიუჟეტების შესრულების ტექნიკის მრავალფეროვნებაზე. იმავდროულად, ხალხურ შემოქმედებაში გამოვლინდა მისი შემქმნელი ერის შემოქმედებითი ფანტაზია, მოთხოვნები და გემოვნება. ხეზე კვეთა დედამიწის თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული. ამ მასალის დამუშავება მეტად მიმზიდველია. ამავე დროს, გამოხატვის თვალსაზრისით, სადაა. იგი პლასტიკურ ხელოვნებას განეკუთვნება. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ბერძნები სიამოვნებით კვეთდნენ ხეზე, ხეზევე ტვიფრავდნენ ღმერთების სახეებს [გაზ. „კომუნისტი". 1972: №165]. ხეზე ჭრის ხელოვნებაში, გამოყენებითი ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით, აშკარად ჩანს ტრადიციების უწყვეტი განვითარება, ფართო ხალხური საფუძველი, რომელიც მოედინება უხსოვარი დროიდან[Чубинашвили Г. 1958: I].

მაღალმხატვრულ ნაკეთობათა დასამუშავებლად ერთდროულად (შერეულად) იყენებენ მხატვრული კვეთის სხვადასხვა ტექნიკურ ხერხს. კვეთენ როგორც მაგარ, ასევე ხის რბილი მერქანსა და მასალას. მხატვრული კვეთა განსაკუთრებით განვითარდა საქართველოში. ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალა მოგვცა არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომელთა შედეგად მოპოვებული მასალა თარიღდება ძვ.წ III-ათასწლეულით (სამგორის ყორღანი), ასევე ძველია ძვ.წ. II-ათასწლეულით დათარიღებული თრიალეთის ყორღანში ნაპოვნი ხის ეტლი, მცხეთაში აღმოჩენილი (არმაზი, ბაგინეთი) ხისგან გამოთლილი ტახტის ფეხები – გრიფონისა და ცხვრის თავების გამოსახულებებით, რომლებიც შემკულია ვერცხლის ფურცლებით (ძვ.წ. I ათასწლეული). უმდიდრეს მასალას გვაწვდის დარბაზის ტიპის ნაგებობის დედაბოძები და გვირგვინები, ავეჯი, ყოფითი ნივთები და სხვ.

მხატვრულმა კვეთამ მაღალ დონეს მიაღწია X-XI სს-ში. ასეთია ოცინდალში, ჟახუნდერში, ფხუტრერში, სვიფში ნაპოვნ ეკლესიათა კარები და საფარაში, ხოვლეში, მღვიმეში, ატენში, პატარა ონში

აღმოჩენილი კანკელები, ასევე სვანური, ხევსურული, ლეჩხუმური სავარძლები და მხატვრული კვეთის სხვა უნიკალური ნიმუშები [ქსე. 1991:273]. XIX ს-ის II ნახევრიდან მოხდა დეკორატიულ – გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების კლასიფიკაცია, როგორც დანიშნულების, ისე მასალისა (ლითონი, კერამიკა, ხე) და შესრულების ტექნიკის (მხატვრული კვეთა, ჭედურობა, ნაქარგობა, ჩამოსხმა, მომინანქრება) მიხედვით. დეკორატიულ – გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები მჭიდროდაა დაკავშირებული ყოფა-ცხოვრებასთან, ამა თუ იმ ადგილის ეთნოგრაფიულსა და ეროვნულ თავისებურებებთან, სოციალურ-ჯგუფურსა და კლასობრივ დაყოფასთან [ქსე. 1991: 448]. მათი ორნამენტი მრავალფეროვანი და მხატვრულად მდიდარია. დეტალების ძერწვის რთული ტექნიკა, შესრულების მაღალი დონე ეპოქის ტენდენციებს პასუხობს და მხატვრული კვეთის ძირძველ ტრადიციებზეც მეტყველებს. ხის ნაკეთობანი, უმეტეს წილად, შემკულია ორნამენტით. გამოსახულება მიღწეულია ორნამენტული ფორმის სიმკვეთრისა და შუქჩრდილების თამაშის შერწყმით. კონტურული კვეთის ღრმა დეკორატიული ხაზები მკვეთრად ისახება გლუვ ფონზე. აჟურული მხატვრული კვეთის დროს მთლიანად უკუგდებულია ფონი, რაც სიმსუბუქის შთაბეჭდილებას ქმნის. ამ მხრივ საჭიროა, გავამახვილოთ ყურადღება საკუთრივ ორნამენტის სახეობასა და რაობაზე. ორნამენტის ძირითადი ელემენტია რაიმე სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობა. თვით სიმბოლოში ერთიანდება მხატვრული სახე და ნიშანი. მათში ყოველთვის ჩადებულია რაიმე აზრი, რომელიც განსაზღვრავს მათ. სიმბოლო ორნამენტში თვითონ იქცევა დეკორატიულ მოტივად, მაგალითად, მზე – წრეა, ტალღისებური ხაზი – წყალი, კვადრატი – მიწა, სამკუთხედი – ქალისა და მამაკაცის სიმბოლო, ჯვარი მზისა და ცეცხლის სიმბოლოა (აქედან – სინათლის, სითბოს). ცეცხლი იცავდა ადამიანს ნადირისაგან, სიცივისაგან და მათი საშუალებით ამზადებდა კერძებს. აქედან დაიბადა რწმენა, რომ ცეცხლის გამომსახველ ნიშანს აქვს მაგიური ძალა, რის გამოც ადამიანმა დაიწყო მისი გამოსახვა ნივთებზე, სამოსზე, სახლებზე, საკულტო ნაგებობებზე. ჯვრიდანვეა წარმოქმნილი ბორჯღალი. იგი ნათებისა და მხურვალების სიმბოლოა და აღნიშნავს ტრიალს ერთი მიმართულებით საკუთარი ცენტრის გარშემო.

თანამედროვე მხატვრები ახდენენ ტრადიციული ხელოვნების ინტერპრეტაციას. დიდი ადგილი ეთმობა სიუჟეტურ-ფიგურულ კომპოზიციებს, ფართოდ გამოიყენება გაკრიალებული და დამუშავებული ზედაპირით შექმნილი დინამიკური ეფექტი, ხის სტრუქტურა, მისი ჯიშები და სხვ. ხეზე კვეთენ რ. ნარტყოშვილი, რ. სანაძე, არ. ფოჩხუა. მხატვრულად საინტერესოა ხელით ნაკეთები ავეჯი (შ. ჩლაიძე, ვ. საღლიანი... ), აგრეთვე დეკორატიული თეფშები, ლანგრები, სასმისები, სერვიზები ( რ. წერეთელი, რ. სანაძე, გ. ანდრიაშვილი, რ. პოლოსიანი, გ. შოშიაშვილი, ნ. მკალავიშვლი... ) [ქე. 1997: 176]. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ამ დარგის პროფესიული განვითარება XX-ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში ითავა თბილისის სამხატვრო აკადემიამ, სადაც გაიხსნა ხის მხატვრული დამუშავების კათედრა. სწავლება თავიდანვე შემოქმედებითი დატვირთვით წარიმართა. აქ წამყვანი ადგილი დაიკავა ფიგურულმა კომპოზიციებმა როგორც რელიეფური, ასევე მრგვალი ქანდაკების სახით. დიდი ადგილი დაეთმო ტრადიციული

ჭურჭელ-ლარნაკების, ლანგრების, ხრიკების, ტოლჩების, ტაბლებისა და სხვა ნაკეთობათა დამზადებას. აითვისეს ავეჯის შექმნის ხელოვნებაც.

ამ დარგს პირველი ჩაუდგა სათავეში მიხეილ ტუჩაშვილი და წარმატებითაც ასწავლიდა. მის მიერ აღიზარდა ამ სპეციალობის არაერთი თაობა.

საქართველოს ეროვნული გალერეის ფონდებში დაცულია ხის მასალით შესრულებული 137 ნამუშევარი. ისინი, ძირითადად, საყოფაცხოვრებო დანიშნულებისაა. მათი შემქმნელებია მხატვარ-დეკორატორები, ისინი მიმართავენ ტრადიციულ ფორმებსა და დეკორს, რომელთა მეშვეობით ნამუშევრებს მკვეთრად ეროვნულ ხასიათს აძლევენ. საგანგებოდ აღსანიშნავია თითოეული მხატვრის გამორჩეული ხედვა და ხელწერა, რაც ამ ძირძველ დარგს ახალ სიცოცხლეს სძენს. ეს საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობანი გვთავაზობენ მხატვრულ მიგნებებსაც როგორც ფორმის, ასევე დეკორის მხრივ. წინაა წამოწეული მხატვრული საწყისები, რაც მათ ნოვატორულ ნაკეთობებად აქცევს.

თ. გაბიროვის მიერ გამოკვეთილი ხის უჩვეულო ფორმები (ცილინდრული კორპუსი) „დოქი ჭიქებით" დაჭრელებულია რომბიანი ჩუქურთმის ზოლით (1959. გამ. 562, სურ.1). ნ. მკალავიშვილის – „ხონჩა ხილისთვის" მეტად „ძუნწია" (1973. გამ. 1502. სურ.2). მხოლოდ შუაგული შემკულია პატარა მედალიონითა და ჯვრით მხატვრული დატვირთვა მოდის ხონჩის გაპრიალებულ ზედაპირსა და პირის ფართო ზოლზე. ნ. მკალავიშვილი გვთავაზობს სამ მოზრდილ ტოლჩას. სამივე ჭურჭლის შუა ნაწილი შემკულია ფართო ორნამენტული ზოლით (1973. გამ. 1503. სურ.3).

გ. ანდრიაშვილის „სახინკლე" (1969. გამ. 697. სურ.4) გაცილებით უფრო გახალისებულია დეკორით. მას აქვს ასიმეტრიული, ოვალური ფორმა. ორ საპირისპირო მხარეს, ჭურჭლის კიდეებზე, ამოჭრილია სტილიზებური ჯიხვის თავის დაგრეხილი რქები პატარა ვარდულებით. ხეზე კვეთის ოსტატს, მხატვარ არ. ფოჩხუას, კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენთან, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. პროფესიით მუსიკოსმა, თავისი მეორე სუნთქვა ბზაში ჰპოვა. იგი თავის მასწავლებლად ლადო გუდიაშვილს თვლის. არ. ფოჩხუა მისგან იცნობს სურათის აბსტრაქციის კანონს, ასახვის მეთოდს, შინაარსის ურთიერთშესატყვისობის მოძღვრებას, სრულყოფის მოთხოვნებს. ლ. გუდიაშვილის შემწეობით, არ. ფოჩხუა ეზიარა ხეზე კვეთის ხელოვნების ყველა საიდუმლოს, გამოსახვის მდიდარ შესაძლებლობებს. ბზის მისეული ნამუშევრები ყურადღებას იპყრობს პლასტიკურობით, მდიდარი წარმოსახვითა და პროფესიული ტექნიკით. მან საგანგებო ინსტრუმენტებიც კი შექმნა, მათი მომარჯვების ნაირგვარი ხერხით შეიმუშავა ბზის დამუშავების ორიგინალური ტექნოლოგია და საბოლოოდ დაიმორჩილა ბზა. ლ. გუდიაშვილის შეფასებით, არ. ფოჩხუა მიეკუთვნება იმ მხატვრებს „ვინც მცირე პლასტიკური ხელოვნების ამ ჟანრს მოაბა თავი" [არსენ ფოჩხუა. 1976: 2]. ყოველივე ამან არ. ფოჩხუა აქცია აღიარებულ მხატვრად, რომელიც თავის შემოქმედებაში შეგნებულად იყენებს სახვითი ხელოვნების შემოქმედებით პრინციპებს. მისი ადრეული ნამუშევრებია „თამარ მეფე" (1962. გამ. 128. სურ.5). და „ჩაის მკრეფავი" (1966 გამ. 383.).

საგანგებოდ აღსანიშნავია გ. გაბაშვილის შემოქმედება. განათლებით ისტორიკოსმა, კარგად დაუკავშირა ერთმანეთს ხალხური და თანამედროვე ხელოვნება. იგი მუდმივ შემოქმედებით ძიებაშია. მან თავის შემოქმედებას

მისცა ჭეშმარიტად ეროვნული სახე. გ. გაბაშვილისათვის არა აქვს მნიშვნელობა მასალას, სპილენძი იქნება ეს თუ ხე. მხატვარი ერთნაირი სინატიფით ქმნის მდიდრულ დეკორატიულ კომპოზიციებს. მის მიერ შესრულებული საშუალო ზომის „დეკორატიული ლარნაკი“ ერთადერთია ხის ფონდში. ვიწროყელიანი ჭურჭლის მუცლის ზედა ნაწილი შემკულია სადაფის ფირფიტებით. ლარნაკი მთლიანად აჟურულია, რაც სიმსუბუქის შთაბეჭდილებას ქმნის (1957გამ. 358.. სურ.6).

რ. პოღოსიანის ნამუშევრები გვთავაზობენ სიახლეს. 1969 წელს მის მიერ შექმნილი დოქები და როდინები გამოირჩევა ორიგინალობით. „დოქის“ კორპუსი ქვემოთ მძიმდება და იფარება ფართო, ვარდულებიანი ორნამენტული ზოლით (1969. გამ. 750. სურ.7), ხოლო „სურა“ (1969. გამ. 751. სურ.8), პირიქით, მოხდენილი, მაღალია და შემკულია მსუბუქი, ხალისიანი დეკორით. ავტორი კომპოზიციაში საგანგებოდ გამოყოფს სახელურებს როგორც ფორმით, ასევე ჩუქურთმით. იმავე ხერხით ამუშავებს როდინის ტრადიციულ ფორმას, ქმნის ახალ სახეობას – სახელურიან როდინს (1969. გამ. 846. სურ.9). ნაკეთობა უხვადაა შემკული ჩუქურთმებით.

გ. ქასრაშვილის ნამუშევართაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ხილისთვის განკუთვნილი „თეფში ფიალებით“. დაბალი, განიერი ჯამი შემდგარია სამ მასიურ ფეხზე, რომლებიც შემკულია ვარდულებით. ჯამის მაღალი გვერდი ორნამენტს ქმნის. ვარდულები ერთმანეთთან დაკავშირებულია ვიწრო, სამკუთხა ორნამენტული ზოლებით. (1966. გამ. 1853.სურ.10).

მეტად საინტერესო შემოქმედია რ. ნარტყოშვილი. მისი ნამუშევრების უმეტესობა პლასტიკურ მონუმენტური ფიგურებია, ანუ ხის ქანდაკებები, რაც სიახლეა. მას ასევე ხელეწიფება რელიეფური პანოები. აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი პანო „პატარა მწყემსი“ (1969. გამ. 2554. სურ.11)

ნაირფერებით გამოირჩევა რ. სანაძის მიერ შექმნილი პანოები. მისი ერთ-ერთი ადრეული ნამუშევარია „ჭურთან ფიროსმანი“ (1965. გამ. 657. სურ.12), დეკორატიული პანოები „ოჯახი“ (1969. გამ. 937. სურ.13) და „წისქვილში“ (1974. გამ. 1681. სურ.14).

შ. ჩლაიძემ შემოგვთავაზა მაღალ ფეხზე შემდგარი სასმისები, ანუ „ბოკალები“ (1972. გამ. 1389. სურ.15), რაც არამარტო სიახლეა ხის დამუშავების დარგში, არამედ დამატებით გამდიდრებულია მელქიორის მოჩუქურთმებული სალტეებით. ისინი მდიდრულ იერს სძენს ნამუშევარს. ვიწრო ფეხის საშუალებით გაერთიანებულია ორი საპირისპირო ფორმა – მაღალი სასმისი და ძირი. მათი შეხების ადგილს კრავს მელქიორის ასევე მოჩუქურთმებული სივრცე. ნამუშევარში პირველადაა გამოყენებული ორი მასალის სინთეზი.

გ. შოშიაშვილის შემოქმედებაში ხაზგასმით იკითხება, რომ ხეს აქვს მაქსიმალური მხატვრული შესაძლებლობები. მის მიერ შესრულებული დოქები ინარჩუნებენ ხის ხისტ ხასიათს, არ ასოცირდებიან, ვთქვათ, კერამიკის ნაწარმთან. (1968. გამ. 724. სურ.16). დიდი ადგილი ეთმობა კვეთილ ორნამენტს – ჯვრისა და მზის გამოსახულებას. ყურები ხაზგასმით კუთხოვანია, რაც კარგად ეხამება ჭურჭლის მასიურ ფორმას. საწინააღმდეგოს ვხედავთ კულაში (1968. გამ. 593. სურ.17). მხატვარი არღვევს ტრადიციულ ფორმას. ნაკეთობა მთლიანად დაფარულია ჩუქურთმებით. სასმისის ცილინდრზე ვარდულებია, ხოლო ყელზე –

სიგრძივი, ტალღისებური ხაზები და სამკუთხედები. კაკლის ხის შავი ფერი ხაზს უსვამს მის მხატვრულ სახეს.

ჯამალაშვილის ნაკეთობათაგან აღსანიშნავია „დეკორატიული ლარნაკი". დაბალ, ოდნავ განიერმუცლიან ჭურჭელს ორივე მხარეს აქვს სწორკუთხა სახელური. საპირე და მუცლის შუა ნაწილი შემკულია მცენარეული ორნამენტით. ჭურჭლის დანარჩენი ადგილები სადაა და გაკრიალებული (1972. გამ. 1306. სურ.18).

რ. წერეთელი ცნობილი ოსტატია. იგი გამოირჩევა განსაკუთრებული გემოვნებით და რაც მთავარია, თავის ყველა ნამუშევარში შეაქვს ახალი ხედვა, როგორც ფორმის, ასევე დეკორის მხრივ. მიუხედავად ამისა, მისი ნაკეთობა ინარჩუნებს ეროვნულ იერს. ეს კი ზოგადად ამ დარგის სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი განმაპირობებულია. ასეთია „ლუდის სასმისი" (1982. გამ. 2884. სურ.19.), რომლის ორივე გვერდს ამკობს დიდი ზომის ჯვრის გამოსახულება. საგანგებოდ დამუშავებული სახელური კიდევ უფრო მხატვრულს ხდის ჩვეულებრივ კათხას. იმავეს ვხედავთ „ჯამის" კომპოზიციაში (1973. გამ. 1576. სურ20). კონუსის ფორმის ჯამი ჩადგმულია სამფეხა სადგამში. ნაკეთობა მთლიანად დაფარულია ჩუქურთმებით. მხატვრულ ეფექტს ქმნის ჭურჭლის ფორმა და ფეხების რთული მოხაზულობის ურთიერთდაპირისპირება. რ. წერეთელი გვთავაზობს როდინის სამ ვარიანტს. (1973. გამ. 1331. სურ.21). სამივე ახალი სახის მქონეა. ორი მათგანი შემდგარია ფეხზე, მესამეს შუაში აქვს ორნამენტული ქამარი. როდინის კედლებს ამკობს ორნამენტი, რომელიც სცილდება ტრადიციულ სახეებს და მსხვილი გეომეტრიული კვეთის ნიმუშია. ორნამენტი კარგად ეხამება როდინის მასიურ ფორმას. ასევე სიახლეა „ორკულა" (1968 გამ. 662. სურ.22), რომელიც დეკორატიულ ნაკეთობად გარდაიქმნება. სულ ფონდში თავმოყრილია რ.წერეთლის 90 ნამუშევარი.

საქართველოს ეროვნული გალერეის ფონდში დაცული ხეზე კვეთის ნიმუშები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ხის მხატვრული დამუშავების თანამედროვე ხელოვნებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ეს დარგი ეყრდნობა ძირძველ ტრადიციებს, მაგრამ გვევლინება ახალი მხატვრული ფორმით. იგი ქართული კულტურის საერთო შენაკადია და სპეციფიკურად ასახავს მის განვითარებას.

**Marina Abramishvili**

The Georgia National Museum, Dimitri Shevardnadze National Gallery
11Rustaveli Av., 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: nika@mrcheveli.com

# Modern Georgian Decorative-Applied Art (According to Wood Art Exhibits kept in the Georgian National Gallery)

## Summary

From the 60s of the 20th century, the decorative -applied arts started its development. The ancient material and spiritual culture, as well as folk art, which acquired features of contemporary life and forms, has been mastered and studied once again. Artistic procession of wood has many centuries history. It dates back to the ancient past. The funds of Decorative -Applied Arts at the Georgian National Picture Gallery preserve 178 wooden art works. There are various artistically developed domestic vessels there. Decorative panels prevail. Furniture is represented in a little quantity. Apart from particular and figurative designation, these pieces of decorative applied art are made of wood. They are the source of highest importance as they preserved symbols of mountainous and religious faith which developed on the basis of people's long term cultural relationship.

### ბიბლიოგრაფია

**არსენ ფოჩხუა. 1976:** *კვეთილობა ბზაზე.* თბილისი.

*უნგრული ჟურნალი ქართველი ოსტატის შესახებ. გაზ. "კომუნისტი".* 1972: №165. გვ. 4.

**ქსე. 1991:** ტ. 7. *დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.* თბილისი.

**ქსე. 1991:** ტ. 3. *დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.* თბილისი.

**ქე. 1997:** *დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.* თბილისი.

**Чубинашвили Г. 1958:** *Грузинская средневековая резьба по дереву.* т I. Тбилиси.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** გაბიროვი თ. დოქი ორი ჭიქით
**სურ. 2,3.** მკალავიშვილი ნ. ხონჩა ხილისათვის, ლუდის ტოლჩა (3 ცალი)
**სურ. 4.** ანდრიაშვილი გ. სახინკლე
**სურ. 5.** ფოჩხუა არ. თამარ მეფე
**სურ. 6.** გაბაშვილი გ. დეკორატიული ლარნაკი
**სურ. 7,8,9.** პოღოსიანი რ. დოქი, სურა და როდინი
**სურ. 10.** ქასრაშვილი გ. თეფში ფიალებით
**სურ. 11.** ნარტყოშვილი რ. პატარა მწყემსი
**სურ. 12,13,14.** სანაძე რ. პანოები ჭურთან (ფიროსმანი), ოჯახი, წისქვილში
**სურ. 15.** ჩლაიძე შ. ბოკალი
**სურ. 16,17.** შოშიაშვილი გ. დოქი, კულა
**სურ. 18.** ჯამალაშვილი ტ. დეკორატიული ლარნაკი
**სურ. 19,20,21,22** წერეთელი რ. ლუდის სასმისი, ჯამი სადგამით, როდინი და ორკულა

## LISTS OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Gabirov T. Jug with two glasses
**Fig 2, 3.** Mkalavishvili N. Fruit bowl, 3 beer mugs
**Fig. 4.** Andriashvili G. Khinkali restaurant
**Fig. 5**. Pochkhua Ar. King Tamar
**Fig. 6.** Gabashvili G. Decorative vase
**Fig. 7, 8, 9.** Poghosyan R. Jug and mortar
**Fig. 10.** Kasrashvili G. Fruit dish with bowls
**Fig. 11.** Nartkoshvili R. Little shepherd
**Fig. 12,13,14.** Sanadze R. Near the pitcher (Pirosmani), family, at the mill
**Fig. 15.** Chlaidze Sh. Wine glass
**Fig. 16,17.** Shoshiashvili G. Jug, "kula"
**Fig. 18.** Jamalashvili T. Decorative vase
**Fig. 19, 20, 21, 22.** Tsereteli R. Beer mug, bowl with trotters, mortar and "orkula"



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**



სურ. 8 **Fig.**



სურ. 9 **Fig.**



სურ. 10 **Fig.**



სურ. 11 **Fig.**



სურ. 12 **Fig.**



სურ. 13 **Fig.**



სურ. 14 **Fig.**



სურ. 15 **Fig.**



სურ. 16 **Fig.**



სურ. 17 **Fig.**



სურ. 18 **Fig.**



სურ. 19 **Fig.**



სურ. 20 **Fig.**



სურ. 21 **Fig.**



სურ. 22 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 364-379
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 364-379

## ხელოვნებათმცოდნეობა

**ლილი გიორგობიანი**
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
რუსთაველის გამზირი 11, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: lili_giorgobiani@yahoo.com

# ამირან კუპრავას მხატვრული სამყარო

თანამედროვე სახვით ხელოვნებაში ემოციური და აზროვნებითი მხატვრობის ორ გეზს თუ ალვნუსხავთ, მხატვარ ამირან კუპრავას შემოქმედება უფრო აზროვნებითი მიმართულებისაა, ვიდრე მხოლოდ ემოციური. იგი არ მიეკუთვნება იმ მხატვრებს, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთი ფორმალური მიგნების სერიული განვითარების პრინციპით მოღვაწეობენ. საერთოდ, მრავალმხრივობა, სამეტყველო მხატვრული სტილის მრავალფეროვნება დამახასიათებელია ამირან კუპრავას პიროვნებისთვის.

ასაკობრივად მხატვარი XX ს-ის 80-იანელთა თაობის წარმომადგენელია, ეპოქისა, რომელიც თავისთავად გულისხმობს ახალ ეტაპს უახლეს ქართულ სახვით ხელოვნებაში. ამ პერიოდის მხატვრები აგრძელებენ რა წინა თაობების მიღწევებს, ცდილობენ, ახალ ეტაპზე აიყვანონ მხატვრულ-ესთეტიკური მიზნები, რაც გამოიხატება სახვითობის უფრო გაბედულ ტრანსფორმაციაში, აბსტრაჰირებაში, მასალის სპეციფიკის ახლებურად წარმოჩენაში. 80-იანელთა მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ასევე მონუმენტური მხატვრული ხედვის სისტემაში განზოგადებული ფორმით მოტანილი ნებისმიერი თემის ინდივიდუალური გადაწყვეტა, რაც „ცოცხალი“ გამომსახველობით ხორციელდება. სწორედ ამ ეტაპზე მხატვრულ მიმდინარეობად ყალიბდება აბსტრაქცია, საგნობრივი ხელოვნება, ჩნდება ავანგარდული მხატვრობა. შეიძლება ითქვას, სამყაროს მიმართ ინდივიდუალურად თავისუფალი და თამამი მიდგომა (შერჩეული თემის არაკონკრეტულობა, ბუნდოვანება, განუსაზღვრელობა), სპეციფიკური სამეტყველო ენის ძიება ამ თაობის მხატვართათვის პიროვნული შემოქმედებითი მეობის განხორციელების ფუნდამენტად და საწყისად იქცა.

80-იანი წლების დასასრულს ამირან კუპრავა მხატვრის სახლში არსებულ სტუდია-სახელოსნოში მოღვაწეობდა. სწორედ აქ მიიქცია მან სპეციალისტთა ყურადღება როგორც ნიჭიერმა, გამორჩეულმა და პიროვნული შემოქმედების მაძიებელმა ახალგაზრდა მხატვარმა. სამწუხაროდ, 90-იან წლებში, საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და სოციალური ვითარების გამო, კუპრავას (ისევე, როგორც ბევრ სხვა ხელოვანს იმ ხანად) უცხოეთში მოუწია (1993 წლიდან 2013 წლამდე) ოჯახთან ერთად გამგზავრება. კერძოდ, გერმანიაში მიეცა მას აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობის, თვითრეალიზაციისა და, რაც მთავარია, თავისუფალ ევროპულ ფასეულობებთან ზიარების შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ ამირან კუპრავას ჯერ კიდევ 80-იან წლებში ჰქონდა

შესაძლებლობა, რომ ერთ-ერთ მხატვრულ მიგნებაზე შეჩერებულიყო და მისი განვითარებით ჩამოეყალიბებინა თავისი შემოქმედებითი ინდივიდი, მაგრამ, როგორც დრომ გამოაჩინა, მისთვის არასაკმარისი აღმოჩნდა ერთხელ მიღწეული მხატვრული მეთოდითა და სტილით განვითარება. ესთეტიკური იმპულსის სხვადასხვა მხატვრული მიმართულებით განხორციელება მხატვრის მახასიათებელი თვისება აღმოჩნდა. ამის გამო, დასაშვები და ბუნებრივია, რომ სხვადასხვა ფორმალური ძიების შედეგებში განსხვავებული ძალითა და ნიშნით გამოსახულიყო მისი ავტონომიური თვითმყოფადობა: 80-90-იან წლებში ინდივიდუალისტური რეალიზმის ტიპის ექსპრესიონისტულსა და პარალელურად აბსტრაქტულ, 2000-იანი წლებიდან კი – ფაქტურულ-მასალისეულ, პლასტიკურ, კონცეპტუალურსა და, ზოგადად, პოსტმოდერნისტულ ძიებათა მიმართულებით.

ყოველი ექსპერიმენტი, ესთეტიკური განცდა დროის თემით განპირობებული ფორმის სახით ყალიბდება მხატვრის შემოქმედებაში. დროის ფაქტორითა და ადამიანზე ფიქრით, საზოგადოდ, ადამიანურობის თემის მეშვეობით ვლინდება მხატვრის ესთეტიკური აზროვნებისა და პიროვნული პოზიციის მეობა: რთული, წინააღმდეგობრივი ყოფა, ძალადობა, უნდობლობა და უფრო გლობალური ხასიათის კატაკლიზმები, ომები და ა.შ., – ყოველივე ეს ტრაგიკული განცდის სახით ყალიბდება მხატვრის აზროვნებაში, ფსიქიკაში, წარმოსახვაში. მხატვარი თითქოს უნდა დასჯერებოდა „უნივერსალური“ პიროვნული ხედვის მიგნებას, მაგრამ იგი არ კმაყოფილდება უკვე მიღწეულით. ყოველი ახალი დრო, როგორც განუმეორებელი, ჯერ არყოფილი მიკროეპოქა თავისი სპეციფიკის გამოხატვას სთხოვს მხატვარს. იგი ტრადიციულ ფორმას (და, შესაბამისად, ტრადიციულ თემებს) მიმართავს თუ პოსტმოდერნისტული, ფორმალური მიზანდასახულობა უფრო მთავარია, ყოველთვის ადამიანის მიმართ თანაგრძნობის პოზიციიდან მეტყველებს. თანაგრძნობის ფაქტორი იმ შემთხვევაშიც განიჭვრიტება, როდესაც ადამიანი ფიგურულად არ არის ასახული, მაგალითად, პეიზაჟებში, ნატურმორტებში ან აბსტრაქტულ კომპოზიციებში, მაგრამ საგანთა და ფორმალურ სახეთა ობიექტივაცია ადამიანის მათთან უშუალო თანაცხოვრების ასპექტითაა გამსჭვალული: ხან რეალური, ხანაც სიმბოლური ესთეტიკის – წარმოსახვითი, რეალურის მგულისხმებელი განყენებული ფორმების სახით. ასე რომ, ადამიანის სახე ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია. აქ საუბარია შინაგანი, რეალური განცდის ესთეტიკური ასპექტით რეალიზაციაზე, რომელიც, დროის ფაქტორის გათვალისწინებით, ტრანსფორმაციას განიცდის. თუ ზოგჯერ მხატვარი სიბრტყეზე დეფორმაციის საშუალებით ან აბსტრაქციის გზით, ან სულაც ტრადიციული ფორმით გამოხატავს შინაგან სათქმელს, სხვა შემთხვევაში ის მასალისეული კონცეპტუალური ძიებებით თვითგამოვლინდება. მხატვარმა თვალსაჩინოდ გამოავლინა უნარი, შეინარჩუნოს თავისი პიროვნული ესთეტიკური საწყისი სხვადასხვა მხატვრულ მეთოდში.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ XX-XXI სს-ის მიჯნა პარადოქსულსა და ერთ შემოქმედში მოულოდნელი გარდატეხების ეპოქად მოევლინა კაცობრიობას. ბევრი სახელოვანი შემოქმედის ნაღვაწში შეიგრძობა ალტერნატიულ მხატვრულ მეთოდთა თანადროულობა. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე მხატვარი თავის შესაძლებლობებს, პოსტმოდერნისტული ძიებების პარალელურად, მოსინჯავს (სხვა მრავალთა შორის) რეალისტურ, აბსტრაქტულ, პოპარტულსა და კონცეპტუალურ მხატვრულ მეთოდებში, ქმნის ერთი ავტორის მრავალწახნაგოვნად თვითგამოხატ-

ვის, გარეგნულად არათანმიმდევრულ, ხასიათს. ხსენებული მხატვრული მიმართულებები იმდენად განსხვავებულია, რომ მხოლოდ ეს განსხვავება ქმნის ერთი მხატვრის შემოქმედებაში რთულად შესაცნობ ესთეტიკურ მთლიანობას. ამიტომ დღევანდელი მხატვრის მთელი ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ თითოეულ მხატვრულ მეთოდში ავტონომიურ ორიგინალობას მიაღწიოს. ასეთ შემთხვევაში შინაგანი ხაზი თანმიმდევრული აღმოჩნდება ხოლმე.

დღევანდელ საქართველოში, მხატვრული მიმართულებების ეკლექტური სიჭრელის ფონზე, თითოეული მხატვარი თავისებურად გაიაზრებს მსოფლიო ისტორიულ მხატვრობას, ავანგარდულსა და პოსტმოდერნისტულ ხელოვნებას. თითოეული მათგანი ნებსით თუ უნებლიეთ ირჩევს თავის მხატვრულ გეზს, მაგრამ იშვიათია ჭეშმარიტი სიახლე, ნამდვილი თვითმყოფადობა და უტყუარი ავტონომიურობა. ამ მხრივ მეტად საინტერესო იყო 2013 წელს ამირან კუპრავას ახალი პერიოდის ნამუშევრების გამოფენა გალერეა „სფუმატოში“, რადგან იქ წარმოდგენილი არტეფაქტები ჭეშმარიტი ორიგინალობით გამოირჩეოდა. სწორედ ამ გამოფენაზე ვიხილეთ მხატვრის საუკეთესო ნამუშევართა შორის ორი შედევრი - „მედეა“ და „მგელზე მჯდომარე“, რომლებიც, ჩვენი აზრით, ავტორის პიროვნული და მხატვრული პრიმატის ფენომენის ხასიათის გახსნის განუმეორებელი სიღრმით გამოირჩევა.

ამირან კუპრავას აღმოაჩნდა უნარი, რომ თვითმყოფადობა განახორციელოს სხვადასხვა მხატვრული მეთოდით. ამიტომ იგი უკომპლექსოდ და უშიშრად იწყებს რაიმე ახლის ჩამოყალიბებას ფორმალური თვალსაზრისით. ალბათ ამით აიხსნება ბოლო წლების თამამი ძიებები (ახალი ეტაპი) მხატვრის შემოქმედებაში. როგორც ჩანს, ხელოვანს არ აშინებს მხატვრობაში საკუთარი სახის დაკარგვის საფრთხე. დროთა განმავლობაში მან განიმტკიცა რწმენა, რომ ძალუძს სხვადასხვა მხატვრული მეთოდით საკუთარი ხედვის გამოხატვა, მაგრამ ამ ძიებათა წამოწყება მხოლოდ თვითრწმენიდან ნამდვილად არ მომდინარეობს. ახალმა დრომ, ბოლო პერიოდის ყოფიერებამ და მსოფლიო მხატვრობის კრიზისულმა მდგომარეობამ აიძულა მხატვარი, კიდევ ერთხელ ჩამდგარიყო ძალისხმევის პოზიციაში და დროის სპეციფიკის შესატყვისი მხატვრული ადეკვატი ჩამოეყალიბებინა. იგი ისეთ ესთეტიკურ მეთოდს მიმართავს, რომელიც უშუალოდ და ზედმიწევნით გამოხატავს თანამედროვე ადამიანის დათრგუნულ, შეურაცხყოფილ, გაუცხოებულსა და რამდენადმე გაველურებულ სახეს, ვისთვისაც პიროვნულად ეს გაველურება უცხოა, გარეგნულია, თავს მოხვეულია, მაგრამ შინაგანად მაინც ადამიანურია. სწორედ ამან აქცია იგი ტრაგიკულ პიროვნებად. სხვა შემთხვევაში ტრაგიკული განცდა ან საერთოდ არ იარსებებდა, ან მხოლოდ ნაწილობრივ იქნებოდა შინაგანი ფსიქიკის გამოხატვის საშუალება.

ეს ესთეტიკური საფუძველი *დეფორმაციაა* 2000-იან წლებამდე. მოგვიანებით მხატვარი (დაზგურ-მონუმენტური მხატვრული ნიშნების სინთეზის ჩამოყალიბების საფუძველზე) თანადროულად გამოიმუშავებს, ერთი მხრივ, სიბრტყობრივად გაშლილი პიგმენტური ფერწერული ტექნიკის მეთოდს („მედეა“, „დღე და ღამე“), ხოლო, მეორე მხრივ, ნაივური სტრუქტურის სისტემას („მგელზე მჯდომარე“, „ჩრდილიდან გამოსვლა“), ე.ი. დეფორმაციის საშუალებით პირველადი განცდა ხან ნაივური ფორმის

სახით ვლინდება, ხანაც – ზედმიწევნით გაბუნდოვანებული, თავისებურად განუსაზღვრელი, შლადი ფორმის შტაბეჭდილების შემცველ გარემოში (სურ. 1-4). ამ შემთხვევაში ახალი ესთეტიკური განცდა დროის თემით განპირობებული უცნაური დეფორმაციის, შლადი ფორმის, წარეცხვის, გაქრობის სახით წარმოჩინდა, ე.ი., დეფორმაციის მეთოდი გარკვეულად შენარჩუნებულია, ისევე, როგორც მხატვრის მიერ არ არის მივიწყებული „ტრადიციული" ფორმა (სურ. 5-6), მაგრამ, იმავდროულად, ის რადიკალურადაც იცვლება. ფიგურათა სტრუქტურამ სახე იცვალა, გარდაისახა. ფერწერა კი უფრო ლაკონიური, ძუნწი, მონოქრომული გახდა. ფორმალური თვალსაზრისით, უდავოდ, სიახლესთან გვაქვს საქმე, მაგრამ შინაგანად, თემატურად ძველის გაგრძელებაა.

80-90-იან წლებში დეფორმაცია უფრო ესთეტიკურ-ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამ ეტაპზე და, საზოგადოდ, 2000-იან წლებში კი დეფორმაციის ახალი სტილი შინაარსით დატვირთული სისრულის მქონე ავტორისეულ საპროგრამო ესთეტიკურ მხატვრულ მეთოდად ჩამოყალიბდა. მხატვრის ესთეტიკური ამოცანა კი პირველად ინსტიქტში სულიერი იმპულსის შეტანას გულისხმობს, რაც სხვადასხვა ასპექტით განხორციელდა ახალ ნამუშევრებში (პორტრეტებში, ფიგურატიულსა და თემატურ კომპოზიციებში). ზოგან სულიერება მისტიციზირებული გონიერების კუთხით ვლინდება. ზოგში ტრაგიკული ადამიანურობა შეიცავს სულიერ სინანულს, ზოგში კი ადამიანის არასრულყოფილების გროტესკული გამოსახვისას მწარე, დრამატული იუმორის ინტონაციაში შემყუდროებულა ადამიანის მიერ სულიერების ძიება.

პირველადი ინსტიქტისა და სულიერის თანხვედრა მეტად თავისებურ ადამიანურობას სძენს მხატვრის ბოლო პერიოდის ნამუშევრებს. შეიძლება ეს ყველაზე არსებითი ადამიანურობაც არის. თუ დავიჯერებთ, რომ ადამიანის ყველაზე დიდი დანიშნულება სულიერების უმაღლესი ფორმის განხორციელების საშუალებით მარადისობასთან ზიარებაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოფიერება ტრაგიკულ ბრუნვაში მოაქცევს სულიერების ძიებას და ხშირად ილუზიების გამოდევნების აბსურდად აქცევს მას, თუ ვაღიარებთ, რომ სულიერების გარეშე ადამიანი შემთხვევითი ცხოველია, რომელსაც რატომღაც ინსტიქტები გააჩნია, მაშინ სარწმუნო გახდება მწერალ ერ. ჰემინგუეის სიტყვები: „მწერალი, თუკი იგი ჭეშმარიტი მწერალია, ყოველდღე უნდა ეხებოდეს მარადისობას ანდა გრძნობდეს, რომ მარადისობა განზე რჩება". ამ ციტატაში სიტყვა მწერლის ნაცვლად ადამიანი რომ ვიგულისხმოთ, იგი მარადისობის მაძიებელ არსებად წარმოგვიდგება.

ამირან კუპრავას ახალ ნამუშევრებში სულიერება არაა მოცემული უკვე გარკვეული პროგრამის სახით. მისი არც ტრადიციული რელიგიის საშუალებით გააზრებას ვხვდებით. ფარისევლურ-დოგმატური პოზიცია საერთოდ გამორიცხულია მათში. ნახატებში საჩინოვდება თავისუფალი მოაზროვნის მიერ სულიერების ფილოსოფიურ-ესთეტიკური წვდომის ძალისხმევა. მხატვრის შემოქმედების ზოგადი გმირი დრამატული კაცობრიობის წარმომადგენელია, რომელიც საკუთარი შინაგანი სამყაროს ჩხრეკვით, შინაგანი გამოცდილებით ეძებს სულიერ რეალობას. აქედან გამომდინარე, ახალი ეტაპის ნამუშევრები ფილოსოფიურობით ხასიათდება.

ფიგურათა აგების მეთოდი პრიმიტივიზმის პრინციპს ექვემდებარება.

მათი შინაარსობრივი ხასიათი კი ინტელექტუალურ–ფილოსოფიურია. გარდა ამისა, პრიმიტიულ გამოხატულებასთან მისვლა – ინტელექტუალური განვითარების მაღალი დონის გადაწყვეტილება იმპულსის აზრით იკითხება. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ნახატებში ფილოსოფიურობა ლიტერატურული თემის ან შინაარსის სახით არაა მოცემული. იგი სახვით ელემენტებში იკითხება. ფორმათა და იერსახეთა განუსაზღვრელი ხასიათი, ერთი მხრივ, ველურ შეგრძნებებს იწვევს, მეორე მხრივ კი – ფილოსოფიურად ღრმა განცდებსა და აზრებს. მხატვარი ასეთ რთულ სინთეზს ალბათ იმით აღწევს, რომ მისი ახალი სამყარო მეტაფორული პრინციპითაა გაგებული.

პორტრეტულ ჟანრში (ისევე, როგორც სხვა ჟანრებში), მხატვრული განზოგადების პრინციპი ჭარბობს ფიზიონომიის დეტალური ასახვის მეთოდს. განზოგადების მხატვრული მეთოდით, სისადავით, განწყობილებით თავისებურ აბსტრაჰირებასთან გვაქვს საქმე. პარადოქსულია, რომ ასეთი აბსტრაჰირების მეთოდით უაღრესად პიროვნული ხასიათები იქმნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხატვარი დეფორმაციის საშუალებით, ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოსახვის მიზნით, წარმოსახვის უნარს, გამონაგონს მიმართავს, რასაც ზოგჯერ აბსტრაქტული, ზოგჯერ კი გარეგნული სინამდვილის მიხედვით გამოგონილი და დრამატიზმის შემცველი ფორმების სახე აქვს. დეფორმაციის ხერხი ბუნებრივი ფორმის გარდაქმნაა. ამიტომ ის წარმოსახვითია და თავისი აზრი გააჩნია. სწორედ ამ მიზნით მიმართავს ხელოვანი ადამიანის სახის ფორმის უტრირებას, ნაკვთების გაუხეშებას, რაც მას საშუალებას აძლევს, ინსტიქტურად გამოვლინდეს და ამით შეიცნოს გონებისთვის დაფარული თავისი შინაგანი მდგომარეობა (ამაში ხედავს ამირან კუპრავა ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვანსა და შეუცვლელ თვისებას). ასეთ შემთხვევაში დეფორმაციის ეფექტურობა საზრისულ ხასიათს ატარებს. იგი არაა გათვალისწინებული თვითმიზნური, ესთეტიკური სიმახინჯის შესაქმნელად. სიმახინჯე (უკიდურესად დარღვეული სახის ნაკვთები) შტაბეჭდილებას ახდენს როგორც იერსახის სახასიათო სტრუქტურა, რომელიც დაფარულ სინამდვილეს გულისხმობს და რომელიც სხვა არაფერია თუ არა ადამიანის შინაგანი სამყარო. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორსაც, რომ ფიგურები, ასე ვთქვათ, უაღრესად მასალისეულნი არიან, ისინი წარმოგვიდგებიან მეტაფორებად, ე.ი. ისინი ბუნებრივ სინამდვილეს მეტაფორული ზოგადობით ეხმიანებიან, მაგალითად, პორტრეტი „თეთრი საყელო" ექსპრესიული დრამატულობით გამოირჩევა (სურ.7). უტრირებულად დიდი ცხვირი, პატარა, მოელმო თვალები, სქემატურად გამოსახული თხელი სახის უხეში მოყვანილობა უშნო მამაკაცს გვიხატავს, მაგრამ გამომეტყველების დრამატულობა ამ სიუშნოვეს მოულოდნელად საინტერესო კუთხით დაგვანახებს. სიუშნოვე აბსტრაჰირებითაა მიღწეული და მეტაფორულად გამოსახავს ყველანაირ სხეულებრივ, ფიზიოლოგიურ სიმახინჯეს, რომელსაც მხოლოდ ადამიანური ტკივილი, ტრაგიკული განწყობა, სულიერება ან გონიერება ამშვენიერებს.

დრამატული განცდის ამირან კუპრავასეული გამოსახვა თავისებურად ამშვენიერებს და აკეთილშობილებს იერსახეებს, მათ შორის, კომიკური ან გროტესკული აღნაგობის სახის მქონე ტიპებსაც. საილუსტრაციოდ გამოდგება „პორტრეტი წითელ ფონზე" (სურ. 8). ესკიზური ტიპის ექსპრესიული მონასმებით იძერწება მამაკაცის გროტესკული სახე. იგი, წესით, ღიმილს უნდა იწვევდეს, მაგრამ ტრაგიკული განცდა იმდენად აკეთილშო-

ბილებს მის გროტესკულ სასაცილოობას, რომ წარმოგვიდგება ჭეშმარიტი მშვენიერების შემცველი იერსახე. ამაში ჩანს მხატვრის უნარი, ყველა ტიპის ადამიანის მიმართ გამოხატოს თანაგრძნობა.

ასე რომ, როცა უჩვეულო დეფორმაცია ზოგჯერ ტრაგიზმის შემცველი გროტესკულობის იერს იძენს, იგი არც დამცინავი ინტონაციის მატარებელია და არც სარკაზმით გამსჭვალული. იგი უშუალო თანაგრძნობის გამომხატველია. ამიტომ ამირან კუპრავას მეტაფორული მეთოდი არც რაიმეს სიმბოლოა, არც ილუზია და არც რაიმე რეალური ფორმის მხოლოდ მეტაფორული გარდასახვა. იგი შინაგანი რეალობის გამოხატვის საშუალებაა, მეტაფორულია მხოლოდ ესთეტიკურად, ფორმალურად.

ამ კუთხით არანაკლებ საინტერესოა უჩვეულო, გამოგონილი სანახაობის, კერძოდ, გაორებული ადამიანის სახის მქონე პორტრეტების სერია („გაოცება“, „გაორება“, „პორტრეტი სხვადასხვა განზომილებაში“). ამ შემთხვევაში კომპოზიცია (ერთ სასურათე სიბრტყეზე ან ორ ერთმანეთზე გადაბმულ სიბრტყეზე) ერთი ადამიანის შინაგან პროცესს, საკუთარ თავთან გაუცხოების, გაორების ან სულაც მეორე „მეს“ აღმოჩენის შესაძლებლობას გამოხატავს (სურ. 9-10), რაც რეალურად ყოველი ადამიანის განცდასა და მეხსიერებაში არსებობს ქვეცნობიერად. მხატვარი ფიგურათა განთავსების ანბანური შეფარდების პრინციპით აგებს ადამიანის შინაგანი მდგომარეობის გამომხატველ მეტაფორულ კომპოზიციებს, რომელთა ფარდობითი განსხვავებულობის მოტივი ფორმის დეფორმაციის ხერხითაა მიღწეული.

ამაშიც ჩანს, რომ სინამდვილის რეალისტურ ასახვასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ მხატვრის თვითგამოხატვის ფაქტორთან, რაც პორტრეტთა დრამატიზმსა და მხატვრული განზოგადების მოაბსტრაქტულო მეთოდში მჟღავნდება და, რაც, უთუოდ, იმის უტყუარი ნიშანია, რომ მხატვარი სწორედ თავისი, ანუ თანამედროვე ეპოქის ადამიანის მდგომარეობას გამოსახავს. იგი თითქოს თავისთავში აპიროვნებს ჩვენი დროის დრამატულობას და თვითგამოხატვის საშუალებით ხატად აქცევს მას. აღსანიშნავია, რომ პორტრეტების დრამატიზმი არაფრით არაა უსიამოვნო, მძიმე, აპათიური და უკუმბიძგებელი. პირიქით, იგი სასიამოვნოდ აღიქმება მაყურებლის მიერ. ადამიანურობა ისეთ სულიერსა და რაციონალურ მნიშვნელობას იძენს მხატვრის იერსახეებში, რომ მაყურებელს გადაედება ღრმა თვითგანცდის სახით.

ფორმალურადაც „გემრიელი“ საჭვრეტია ნახატები. გარეგნულად წყნარი, მონოქრომული ტონი თავისებური ჩაგუბებული ექსპრესიით ზემოქმედებს. ფუნჯის ფართო მონასმებით ფორმის კონსტრუირების თვალსაზრისით აღსანიშნავია ერთი ფაქტორი: რამდენადაც სახატავი მასალის ტონი წამყვანი კოლორისტული ელემენტია, იერსახეები არ ქმნიან ისეთ „მკვრივკანიან“ მატერიალურ ზედაპირს, როგორსაც ზეთის საღებავით მთლიანად დაფარული სასურათე სიბრტყე. აქედან გამომდინარეობს მასალის დეკორატიული არამატერიალურობა, სიმსუბუქე, ჰაეროვნება. სახის სიმკვრივის წარმოშობა დამოკიდებულია სახის აგების (სტრუქტურის) ხასიათსა და არა ზეთის საღებავის მატერიალურობაზე, რაც რეალურად აიოლებს პორტრეტების ჭვრეტას („სიმშვიდე“, „პორტრეტი ცისფერ ფონზე“, „ვერცხლისფერი პორტრეტი“ და სხვ.). თითოეული მათგანი თავისთავადია იერსახის ტიპურობის მიხედვით. არცერთი პორტრეტი არ თმობს დამოუკიდებლობასა და განუმეორებლობას (სურ. 11-13).

სურათზე „პორტრეტი ცისფერ ფონზე“ გამოსახული ახალგაზრდა კაცის გამოხედვა თითქოს მშვიდია და მორჩილი, მაგრამ პორტრეტთან ურთიერთობისას აღმოვაჩენთ, რომ ძლიერ პიროვნებასთან გვაქვს საქმე. ცხოვრებისეული გამოცდილება, ყოფიერების ყოველგვარი უარყოფითი მხარეებისა და ადამიანის ნაკლოვანებათა ცოდნა ბრძნულ იერს სძენს მონაცრისფრო სახეს. სევდიანი გამოხედვის მიღმა ღირსების მქონე თვითგაცდა იგრძნობა. ანდა „ვერცხლისფერი პორტრეტი“, რომელიც მქრქალი, მონაცრისფრო ტონალობით გამოირჩევა. მიუხედავად ჰაეროვნებისა, გამოსახული მამაკაცის სახე ფსიქოლოგიურად ძალას, შემართებას, პასუხისმგებლობასა და დრამატულ ძალისხმევას გადმოგვცემს. როგორც ჩანს, მხატვარს მიდრეკილება აქვს, შექმნას ძლიერი ნებელობის ადამიანები, რომლებიც სულიერი დაძაბულობისა თუ ეგზისტენციური შეჭირვების ფაზაში იმყოფებიან.

სისადავე, რომელიც წარმოიშობა იერსახეთა თავისუფალი შესრულებით, ზოგჯერ უპრეტენზიო ესკიზურობის პრინციპამდე დადის. ვერც ერთ პორტრეტში ვერ ვიგრძნობთ, რომ მხატვარი გამართული ხატვით ან განსაკუთრებული ფერადოვნებით გამოირჩევა. იმთავითვე, პორტრეტებზე თვალის შევლებისთანავე, იგრძნობა, რომ ახალი ეტაპის ნახატებში შემუშავებული მხატვრული მეთოდი და, კერძოდ, დეფორმაციის პრინციპი ნაკარნახევია ერთი დაუოკებელი სურვილით: შეიქმნას ადამიანის ისეთი სახიერება, რომელიც მხოლოდ შინაგანს გამოხატავს. ალბათ, აქედან გამომდინარეობს მძლავრი პიროვნული გამოხედვა, რომელიც იერსახეებს გააჩნიათ. „უცნაურ ადამიანში“ (სურ. 14) მამაკაცის მზერა თითქოს ბუნდოვანია, თან კი – პიროვნული და ძლიერი. იგი უძუნწესი მხატვრული საშუალებებითაა შესრულებული. სახის მონოქრომული ფერი ფონის ტონისგან განუყოფელია. მონასმები დემონსტრაციულად ესკიზურია. მიუხედავად ამისა, იერსახე დასრულებულია. უნებურად გვახსენდება ტერმინი „დამთავრებული დაუმთავრებლობა“, ე.წ. Nonfinito. ეს ტერმინი ჯერ კიდევ სეზანის ფერწერული მანერის ასახსნელად გამოიყენეს თეორეტიკოსებმა. როგორც ცნობილია, სეზანი ხშირად ტოვებდა ტილოზე ფუნჯმიუკარებელ ტონს, მაგრამ ამირან კუპრავას პორტრეტების მიმართ Nonfinito-ს პრინციპი თავისებურ ელფერს იძენს. მხატვრული მეთოდი, რომელსაც იგი პორტრეტებში მიმართავს, მთლიანად ეფუძნება მონოქრომული ტონის კოლორისტულად გამოყენების მიზანს. ტილოს ტონი შუქის ერთადერთი წყაროცაა და კოლორიტის ძირითადი შემქმნელიც.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ექსპერიმენტული სერია, წარმოდგენილი მხატვრის მიერ აღმოჩენილ გამჭვირვალე სამშენებლო ბადეზე („დუმილი“, „ქალი სფინქსი“, „X კოდი“, „მხედრის სიზმარი“, „უცხო ფრინველი“ და სხვ.). ტექნიკური თვალსაზრისით რთულად დასამორჩილებელი გამჭვირვალე ბადის ფაქტურა დიდ სიმსუბუქესა და დეკორატიულობას სძენს მასზე პირველადი ინსტიქტით, უძუნწესი მხატვრული მეთოდით განხორციელებულ მძლავრ, არქეტიპულ, ველურ იერსახეებს. ემოციური თვალსაზრისით მხატვრის მეთოდური ხაზის თემის გაგრძელებასთან გვაქვს საქმე. განწყობა, რა თქმა უნა, განუსაზღვრელია, განსაკუთრებით, პორტრეტებში. ფიგურათა უჩვეულო დისპროპორციული სტრუქტურა და აბსტრაქტულად განზოგადებული პორტრეტულობა ქმნის განწყობას, რომელიც ადამიანის შინაგან

მდგომარეობას გამოხატავს. მხატვარი ხან სულიერ სისუფთავეს მიანიშნებს, ხან დრამატულ ადამიანურობას, მაგრამ ყოველთვის თბილი ადამიანურობის პარალელურად საიდუმლო, მედიტაციურ ჩაფიქრებასაც შეიცავს (სურ. 15). როცა ამ ფიგურებით ადამიანის შინაგანი სამყარო გამოიხატება, იგულისხმება ის განუსაზღვრელი განწყობილება, რომელსაც დეფორმაციის თავისებურება წარმოშობს.

იერსახეთა თავისებურება და თვითმყოფადობა, პირველ ყოვლისა, მხატვრის ავტონომიური ხედვიდან და წერის მეთოდიდან გამომდინარეობს. დრო, საგანთა და მოვლენათა ისტორიული დროებითვადობა, მატერიის სახეობათა არასიმყარე და წარმავლობა, სახეთა გაცვეთილობა, შლადობა ხელოვანში დრამატულ განწყობას წარმოშობს, რომელიც თავისებური ენერგიაა, იმ ვნების ენერგია, რაც აიძულებს ხელოვანს, მარადიული ღირებულებანი ეძიოს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ ამირან კუპრავას პორტრეტებში ასახული ადამიანების შეფასება შეუძლებელია სილამაზის კრიტერიუმით ან გამშვენიერების მხატვრული მცდელობის ნიშნებით. არც სიმახინჯის აღნიშვნა გვეტყვის რაიმეს პორტრეტების შესახებ. მათზე გამოსახული ადამიანები ღირსეული, ანუ ტრაგიკული მუხტის მქონე უბრალო, კეთილშობილი ადამიანები არიან, რომლებშიც შეიძლება დღევანდელი სასტიკი ეპოქისგან ნატანჯი ის პიროვნებანი შევიცნოთ, რომლებიც საუკუნის მასობრივი დინების წინააღმდეგ წავიდნენ თავიანთი პრინციპებისა და ადამიანურობის გადასარჩენად. ამ კუთხით თუ შევხედავთ იერსახეებს, შეიძლება ისინი ღვთის ან მარადიული ღირებულებების მაძიებელ ეგზისტენციალებად მივიჩნიოთ.

ალბათ, ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ბოლო პერიოდში შესრულებული პორტრეტები უაღრესად თანამედროვეა. ისინი შეიძლება აღვიქვათ მხატვრის ადრეული პერიოდის პორტრეტების ესთეტიკური პროგრამის განვითარების შედეგად. მათი საშუალებით მოახერხა ხელოვანმა ინდივიდუალური მხატვრული მეთოდის შემუშავება. დამოუკიდებელი ესთეტიკური ხედვა, ავტონომიური მხატვრული მეთოდი იმდენად იშვიათია თანამედროვე მხატვრობაში, რომ ეს ნამუშევრები მხატვრის დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

ზემოთ ვთქვით და კვლავ გავიმეორებთ, რომ ფიგურათა მოხაზულობა თემატურ კომპოზიციებშიც (ისევე, როგორც პორტრეტებში) პირველადი ინსტიქტითაა განხორციელებული. ინსტიქტურობა დამუშავების ტექნიკაშიც ვლინდება. თავისუფლად და „უხეშად" აგებული ფორმები აბსტრაქტულ-დეკორატიული სუბსტანციები უფროა, ვიდრე მატერიები ან მატერიათა იმიტაციური სურათები. ფორმათა დემატერიალიზაცია ზედმიწევნით თხელი, სიბრტყობრივი ფერწერით მიიღწევა. მოცულობა ან ნახევარმოცულობა მხოლოდ მინიშნების დონეზე აღიქმება. ამ სამეტყველო ენის ჩამოყალიბების პროცესში განმსაზღვრელი როლი სახატავი სიბრტყის თვისებების გამოყენება-შენარჩუნებამ შეიძინა („გრაალის თასი", „საიდუმლო სერობა", „სერია არქაულ თემაზე" და სხვ.). ამ კომპოზიციებში ფიგურებისთვის ფონს, ძირითადად, სახატავი მასალის თხელი ფაქტურა ქმნის. მხატვარი სახატავი მასალის ბუნებრივი მონაცემების შენარჩუნების გზით მასალის შეგრძნებას წარმოქმნის. ზოგჯერ კი, პირიქით, პიგმენტური ფაქტურით ტონმიცემულ ზედაპირს კოლორისტულ ელემენტად იყენებს, როდესაც

ფიგურის ფერი არც კი განსხვავდება ფონის ფერისგან და მხოლოდ კონტურის მოელვარე მონასმებით იღებს ფონისგან განსხვავებულ ჟღერადობას.

ამ მხატვრული მეთოდით შესრულებულ ნამუშევართაგან უნდა გამოვყოთ სერია არქაულ თემაზე, რომელსაც ავტორი „გამოქვაბულის მხატვრობას“ უწოდებს. ამ შემთხვევაში მხატვარი უძველესი ეპოქის ესთეტიკაში ეძებს თავისი სამეტყველო ენის იმპულსს, თუმცა, სინამდვილეში არაფერი აქვს საერთო პირველყოფილ მხატვრობასთან. წარსული, როგორც თემა, მხატვარს იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ის ორიგინალური გამომსახველობითი ფორმის მოძიების მდიდარ შესაძლებლობებს აძლევს. ამ ექსპერიმენტის თავისებურება, მისი განწყობიდან გამომდინარე, ექსპრესიულობის შექმნას კი არ ემსახურება, არამედ რთული აზრის სახვითი საშუალებებით ესთეტიკურად გადმოცემასაც. აზრის მეტაფორული გამოსახვის მიზნით, ზოგჯერ მხატვარი უკიდურესად ამარტივებს გამომსახველობის მნიშვნელობას, მაგ., როგორც სერიაში მამონტების ორთაბრძოლის თემაზე (სურ. 16). ზოგან კი ხაზგასმულ ექსპრესიას მიმართავს. ხშირად ფიგურებს მხოლოდ ფრაგმენტულად გამოსახავს სასურათე სიბრტყეზე. ფრაგმენტულობამ და სისადავემ ტონალური ლაქების თხელი ფაქტურულობა განაპირობა, სადაც ჩალისფერი გრუნტი კოლორისტულ ელემენტად გამოიყენება. თხელი და გამჭვირვალე მონასმებით, ესკიზური პრინციპით განხორციელებული ფიგურები ერთ პერსპექტივაში არიან სასურათე სიბრტყეზე განფენილნი, რაც თავისთავად იწვევს უჩვეულოსთან შეხვედრის შეგრძნებას. უჩვეულობას აძლიერებს ისიც, რომ ნამუშევრები ქვეჩარჩოზე ჩვეულებრივ კი არაა გადაჭიმული, არამედ მიმაგრებულია მასზე. ტილოს ასეთი მოუხეშავი წესით ქვეჩარჩოზე მიმაგრება თავისებურ აქცენტს ქმნის, რაც ხაზს უსვამს კოლორიტისა და ფიგურათა შესრულების უბრალოებას. უნდა ითქვას, რომ ეს სერია, ისევე, როგორც მხატვრის ახალი ეტაპი საზოგადოდ, უთუოდ, შეიცავს სიბრტყობრივი კონცეპტუალიზმის ელემენტებსა და შემოქმედებითად მისი ათვისების გამოცდილებას.

მსგავსი მეტაფორულობის განცდა (კერძოდ, არქაული, წარმართული ლეგენდების, მითებისა და, საზოგადოდ, მითოსური აზროვნების პოსტმოდერნისტული ასპექტით განხორციელება) მხატვრის მასალისეულ პლასტიკურ ძიებებშიც ჩანს, სადაც ავტორი კონცეფციურად, შეგნებულად ცდილობს, ინტელექტუალურად გარდაქმნას უძველესი – არქაული, მითოლოგიური თემატიკა („მედეა“, „პრომეთე“, „აიეტის ხარი“). ვგულისხმობთ იმას, რომ ამ პლასტიკურ ფორმებში (სურ. 17-18) ესთეტიკური განცდა ტრადიციული, მოცულობითი ფორმის თემით კი არაა ნაკარნახევი, არამედ სააზროვნო ფორმის ისეთი ტიპით, რომელსაც აბსტრაქტულობის გამო მეტაფორული ხასიათი აქვს და არა ასახვითი. მხატვარს კონკრეტული თემა იმდენად უგულებელყოფილი აქვს, რომ მხოლოდ ფორმის გამომხატველობის ფაქტორამდე დაჰყავს ის. მისთვის თემის უშუალობას, უმთავრესად, ფორმის განუსაზღვრელი ხასიათი განაპირობებს.

გამორიცხული არაა, რომ სწორედ მასალის ამგვარმა პლასტიკურმა ძიებებმა მიიყვანა მოგვიანებით მხატვარი კონცეპტუალური, ინსტალაციური ტიპის არტეფაქტების შექმნამდე, რამაც, იმპროვიზაციის წყალობით, სხვადასხვა მიმართულება მიიღო: ზოგიერთ ნამუშევარში თუ

მხატვრის მეთოდური ხაზის გაგრძელება აშკარაა, ზოგან კი სულ სხვა ესთეტიკურ მიდგომასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, მოძრავი „იანუსის თავი“, რომელიც ღერძის გარშემო ტრიალისას ერთდროულად სხვადასხვა წერტილიდან აღქმის შესაძლებლობას იძლევა, კონცეპტუალურ ქანდაკებადაც შეიძლება იყოს აღქმული და, იმავდროულად, ინსტალაციის ნიმუშადაც (სურ. 19). თუმცა არის კატეგორია ნამუშევრებისა, როგორიცაა, მაგალითად, ინსტალაცია „კარაია“ (სურ. 20), სადაც მხატვრული სიმსუბუქე, დეკორატიულობა, ესთეტიკური ზეიმის გამომხატველი ფორმალური „თამაში“ უფრო ბავშვურ მოგონებებს აღძრავს და, ამდენად, ინფანტილურობას უსვამს ხაზს, ვიდრე რთული აზრის მატარებელ ესთეტიკურ „ზეიმს“.

როგორც ვნახეთ, მხატვარმა თვალსაჩინოდ გამოავლინა უნარი, შეინარჩუნოს თავისი პიროვნული ესთეტიკური საწყისი სხვადასხვა მასალასა თუ მხატვრულ მეთოდში. შესაძლოა, სხვადასხვა ეტაპზე მხატვრის ზოგიერთი ნამუშევარი ნაკლებად ენათესავებოდეს ავტორისეულ ესთეტიკურ პროგრამას, მაგრამ ასეთი რამ გამოწვეულია მრავალფეროვნებისკენ მხატვრის მიდრეკილებით.

ჩვენი მიზანი იყო, გაგვერკვია ამირან კუპრავას სპეციფიკური სამეტყველო ენის, კერძოდ, დეფორმაციის როლი, ხასიათი და ახალი თავისებურება 2000-იან წლებში შესრულებულ მის ნამუშევრებში: ვისაუბრეთ დეფორმირებული ფორმის მეტაფორულობაზე, დრამატულობაზე, გროტესკულობაზე, ასევე მასში ესთეტიკურად განხორციელებული ყოფიერების კრიტიკაზე. გარდა ამისა, აღვნიშნეთ იერსახეებითა და აბსტრაქტულად აზროვნების სინთეზურობა და გამოვყავით, რომ ამ ფონზე მხატვარმა სუბიექტური, თავისებური, ინტელექტუალური, ნაივური მეთოდი შეიმუშავა. და ბოლოს, ყურადღება გავამახვილეთ საგნობრივი მიმართულებით კონცეპტუალიზმის შემოქმედებითად ათვისების გამოცდილებაზეც.

ყველა ამ ესთეტიკური ფაქტორის აღნიშვნასა და განხილვას ერთი მიზნით მივმართავდით. ჩვენ გვსურდა, დაგვესაბუთებინა, რომ კუპრავამ ბოლო პერიოდის ნამუშევრებში განუმეორებელი ესთეტიკური პრიმატი განახორციელა. თვითმყოფადობა და ესთეტიკური ავტონომიურობა იმდენად დეფიციტური მოვლენაა თანამედროვე მრავალრიცხოვანი მხატვრების მიმბაძველურ შემოქმედებებში, რომ ამირან კუპრავა, უდავოდ, იმსახურებს ამის მიღწევის ცალკე გამოყოფასა და სათანადო შეფასებას.

**Lili Giorgobiani**

The Georgian National Museum, Dimitry ShevardnadzeNationalGallery
11, Rustaveliave. 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: lili_giorgobiani@yahoo.com

# Amiran Kuprava's Art World

## Summary

One of the prominent artist of the 80s of the 20th century generation Amiran Kuprava does not belong to the list of those painters, whose life time activity is work with principle of serial development of one formal finding. Various directions and richness of artistic style is a general characteristic of Amiran Kuprava's personality.

Furthermore, what is mostly important, he can accomplish his originality in different artistic methods: expressionist and method of individualistic realism type, abstract-naive disproportion, and pure abstraction, factor-materialistic, plastic or conceptual quests. Every new experiment in the artist's creation does not only serve in creating more effectiveness, but also expresses complicated idea through creative and aesthetic means. It is imbued with concept of feeling of time. Time factor and thinking of humans, humanity theme generally defines the painter's aesthetic thinking and his personal main point.

Our aim is to find out the painter's, specific expression language, namely deformation role, nature and new originality in Amiran Kuprava's works of 2000s, which were formed as meaningful, complete, aesthetic artistic method. In the article we try to pay attention to metaphors of deformities, dramatic effects, a grotesque style, and critics of existence that is implemented with pure aesthetism. The artist's works demonstrate syntheses of thinking by means of different images. He has carried out a subjective, naïve method of his own.

Underlining and discussing all these aesthetic factors serve to one main purpose. We would like to prove that Amiran Kuprava has implemented a unique aesthetic primate in his resent works. Originality and aesthetic autonomy is such a deficit in imitative works of numerous artists that Amiran Kuprava definitely deserves his achievements to be distinguished and remarkably estimateed.

## ბიბლიოგრაფია

**1. Рейнгардт А. 1980:** Модернизм, анализ и критика оснавных направлений. Москва.

**2. Howell A. 1957:** *The meaning and purpose of Art*. London

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** მედეა. 2007 წ. ტილო, ზეთი. 120x80
**სურ. 2.** დღე და ღამე. 2008 წ. ტილო, ზეთი 95x100
**სურ. 3.** მგელზე მჯდომარე. 2007 წ. ტილო, ზეთი. 120 x 100
**სურ.** 4. ჩრდილიდან გამოსვლა. 2007 წ. ტილო, ზეთი. 100x80
**სურ. 5.** მზერა. 2013 წ. ფირფიცარი, ზეთი. 1,36x1,22
**სურ. 6.** სოფი. 2007წ. ტილო, ზეთი. 85x140
**სურ. 7.** თეთრი საყელო. 2013 წ. ტილო, ზეთი. 100x70
**სურ. 8.** პორტრეტი წითელ ფონზე. 2015 წ. ტილო, ზეთი. 40x30
**სურ. 9.** გაოცება. 2014 წ. ტილო, ზეთი. 1,20x1,20
**სურ. 10.** გაორება (დიპტიხი). 2014 წ. ტილო, ზეთი. 40x35
**სურ. 11.** პორტრეტი სიმშვიდე. 2014 წ. ტილო, ზეთი. 115x115
**სურ. 12**. პორტრეტი ცისფერ ფონზე. 2013 წ. ტილო, ზეთი. 100x80
**სურ. 13**. ვერცხლისფერი პორტრეტი. 2014 წ. ტილო, ზეთი. 50x29
**სურ. 14.** პორტრეტი. 2014 წ. მუყაო, აკრილი. 117x72
**სურ. 15.** დუმილი. 2014 წ. ბადე, აკრილი. 200x1,50
**სურ. 16.** სერიიდან არქაულ თემაზე (მამონტების ორთაბრძოლა). 2008 წ. ტილო, ზეთი. 50x120
**სურ. 17.** მედეა. 2004 წ. ქვა, რკინა 26x18
**სურ. 18.** პრომოთე. 2004 წ. ქვა, ხე, 30x14
**სურ. 19.** იანუსის თავი. 2013 წ. ხე, აკრილი, 30x30
**სურ. 20.** კარაია. 2015 წ. კაჭეჭი, აკრილი, ხე, 82x34

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Medea. 2007. Oil on canvass. 120X80
**Fig. 2.** Day and Night. 2008. Oil on canvass. 95X100
**Fig. 3.** Wolf Rider. 2007. Oil on canvass. 120X100
**Fig.** 4. Coming out of Shadow. 2007. Oil on canvass. 100X80
**Fig. 5.** Gaze. 2013. Oil on wood veneer. 1, 36X1, 22
**Fig. 6.** Sofi. 2007. Oil on canvass. 85X140
**Fig. 7.** White Color. 2013. Oil on canvass. 100X70
**Fig. 8.** Portrait with red background. 2015. Oil on canvass. 40X30
**Fig. 9.** Amazement. 2014. Oil on canvass. 1,20X1,20
**Fig. 10.** Bifurcation (diptych). 2014. Oil on canvass. 40X35
**Fig. 11.** Portrait "Calmness. 2014. Oil on canvass. 115X115
**Fig. 12**. Portrait with blue background. 2013. Oil on canvass. 100X80
**Fig. 13**. Silver Portrait. 2014. Oil on canvass. 50X29

**Fig. 14.** Portrait. 2014. Acrylic on pasteboard. 117X72
**Fig. 15.** Silence. 2014. Acrylic on net. 200X1,50
**Fig. 16.** From series on archaic motives (Bison fight). 2008. Oil on canvass. 50X120
**Fig. 17.** Medea. 2004. Iron on stone. 26X18
**Fig. 18.** Prometheus. 2004. Wood on stone. 30X14
**Fig. 19.** The Head of Janus. 2013. Acrylic on wood. 30X30
**Fig. 20.** Karaya. 2015. Kachechi, acrylic, wood. 82X34



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**



სურ. 8 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**



სურ. 9 **Fig.**



სურ. 10 **Fig.**



სურ. 11 **Fig.**



სურ. 12 **Fig.**



სურ. 13 **Fig.**



სურ. 14 **Fig.**



სურ. 15 **Fig.**



სურ. 16 **Fig.**



სურ. 17 **Fig.**



სურ. 18 **Fig.**



სურ. 19 **Fig.**



სურ. 20 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 380-408
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 380-408

## სამუზეუმო საქმე

**თემურ შარიქაძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი, 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: temurishariqadze@gmail.com

# მემორიალური ექსპონატების კვლევისათვის (მესამე ნაწილი)[1]

წერილის მესამე ნაწილში ვაგრძელებთ მემორიალური ნივთების კვლევას და ძირითადად წარმოვადგენთ ბაგრატიონთა სამეფო სახლის, ცნობილ პიროვნებათა და გამოჩენილ საზოგადო, საერო და სასულიერო მოღვაწეთა ნაქონ საოჯახო თუ საჩუქრებად მიღებულ ნივთების ფოტოსურათებს მათი მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებისა და ფოტოების თანდართვით.

მემორიალური მასალა გადაგვახედებს წარსულში და კიდევ ერთხელ მოგვითხრობს ჩვენი ქვეყნის ღირსეულ წარსულზე, იმდროინდელ სახელოვან მამულიშვილთა ნაყოფიერ და შემოქმედებით მოღვაწეობაზე, ქება-დიდებაზე, წარმატებებზე.

მუზეუმის ფონდებში დაცული მემორიალური ნივთების საჯაროდ გამოტანა გამოიწვევს ნივთების შემომტან პიროვნებათა შთამომავლების მადლიერებას, კმაყოფილებას და ყველას შეახსენებს, რომ ეკონომიური და ფინანსური გაჭირვების პირობებში, ისტორიული და მხატვრული ღირებულების მატარებელი ნივთები მათ გამოიყენეს არა პირადი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, არამედ თავიანთი გონივრული გადაწყვეტილებითა და კეთილი ნებით ისინი დატოვეს ერის საკუთრებაში, რომლის ყველაზე დიდი და საიმედო დამცველი იყო, არის და ყოველთვის იქნება მუზეუმი.

ყოველი მემორიალური ნივთი საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხების შესწავლით დაინტერესებულ პირს მისცემს მეცნიერული კვლევის ფართოდ გაშლის საშუალებას.

### ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო
### (გარდ. 1792)

ზუსტად ვერ ვადასტურებთ რომელ ქაიხოსრო ანდრონიკაშვილს ეკუთვნოდა წარმოდგენილი ნივთები, რადგან მისი სახელისა და გვარის რამდენიმე პიროვნებაა ცნობილი. კერძოდ, ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო ზურაბის ძე (გარდ.

1 წერილის პირველი და მეორე ნაწილი გამოქვეყნდა: სემმ. 2013 : 307, 2014 : 469

1700 წ.), ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო აბელის ძე (1695-1705 წწ), ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო სიმონის ძე (გარდ. 1792 წ.). ჩვენი ვარაუდით, ნივთები უნდა ეკუთვნოდეს ამ უკანასკნელს, რომელიც იყო პოეტი, მწერალი, მდივანბეგი, ირანში ხშირი დიპლომატიური მისიის წარმომადგენელი, ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო მოღვაწე, ლევან ბატონიშვილის (ერეკლე II-ის ძე) სიძე (სურ 1, 2)



## აფხაზი კოტე (კონსტანტინე) 1867-1923

ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალ-მაიორი, ილია ჭავჭავაძის დისშვილი. სახელი გაითქვა პირველ მსოფლიო ომში. კ. აფხაზი იყო თბილისის საადგილმამულო ბანკის სამეურვეო კომიტეტის წევრი, კახეთის რკინიგზის მშენებლობის ხელმძღვანელი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა წინამძღოლი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების აქტიური მონაწილე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტიური მონაწილე, ქართული ეროვნული არმიის შექმნის ინიციატორი, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, სამხედრო ცენტრის შექმნის მოთავე. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედების მოტივით, 1923 წლის 21 მაისს ვაკის პარკის ტერიტორიაზე აქტივისტებთან ერთად დახვრიტეს.

მეუღლე ელენე იასონის ასული იოსელიანი (1870-1942) გარდაიცვალა ემიგრაციაში საფრანგეთში. შვილი, ნიკოლოზი (1899-19870), პროფესიით იურისტი, ცხოვრობდა საფრანგეთში, II მსოფლიო ომის დროს დასახლდა კანადაში (სურ. 3-5)



## ახვლედიანი ელენე დიმიტრის ასული 1901-1975

ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი (1960 წ.), შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1971 წ.). სწავლობდა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაზე. დაამთავრა ნ. კლიფასოვსკის სამხატვრო სტუდია, თბილისისა და კოლაროსის (პარიზი) სამხატვრო აკადემიები. დიდი გამოცდილება შეიძინა იტალიასა და საფრანგეთში. ხატავდა პარიზის ძველ უბნებს, ქალაქის პეიზაჟს. ახლო მეგობრობა აკავშირებდა პაბლო პიკასოსთან. მონაწილეობდა სალონურ გა-

მოფენებში. 1927 წელს პროფესიონალი მხატვარი საქართველოში დაბრუნდა. მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე შექმნა საქართველოს ბუნების სურათები, ქალაქის პეიზაჟები, ძველი უბნების ჩანახატები, სხვადასხვა თეატრების სპექტაკლებისათვის შესრულა დეკორაციებისა და კოსტუმების ესკიზები. მისი სახელოსნოს ხშირი სტუმრები იყვნენ ცნობილი მხატვრები, მუსიკოსები, მწერლები, მეცნიერები. მთავრობისგან მიღებული ჰქონდა არაერთი ჯილდო (სურ 6)

### ბაგრატიონთა ოჯახიდან(?)

*ქისა* წითელი ხავერდის, ოქრომკედით და აბრეშუმის ფერადი ძაფებით ამოქარგულია მცენარეული სახეები. ზომა: 14X16 სმ. საინვ. №5-20/2 (სურ 7).



### ბარიატინსკი ალექსანდრე ივანეს ძე
### 1815-1879

სამხედრო მოღვაწე, გენერალ ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი და ჯარების მთავარსარდალი (1856-1862 წწ). დავალებული ჰქონდა კავკასიის მთიანეთის დამორჩილება და ავტონომიური ერთეულების გაუქმება. 1859 წ. აიღო აული გუნიბი და დაატყვევა შამილი. მისმა ბავშვობის მეგობარმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ სხვადასხვა წლებში წარმატებით ჩატარებული საბრძოლო ოპერაციებისათვის დააჯილდოვა ოქროს ხმლით „მამაცობისათვის“, წმ. გიორგის II, III, IV ხარისხის, წმ. ვლადიმერის I ხარისხის, ალ. ნეველის ორდენებით, ანდრია პირველწოდებულის ბრილიანტის სამკერდე ნიშნით, ბრილიანტებით შემკული წარწერიანი ხმლით „в память покорения кавказа“, ხელმწიფე იმპერატორისა და დედოფლის პორტრეტებით შემკული და ბრილიანტებით მოჭედილი სათუთუნით.

1862 წელს ავადმყოფობის გამო თანამდებობიდან გადადგა. იმავე წელს, ინგლისში იქორწინა ერეკლე მეფის შვილთაშვილზე ლიზა (ელისაბედი) დიმიტრის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანზე (1836-1899 წწ.). ძირითადად ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ. ა. ბარიატინსკი გარდაიცვალა ჟენევაში, ელისაბედი კი, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შედეგად, გერმანიაში, ახერნში (დრეზდენთან ახლოს) (სურ 8)

### გაბრიელ ეპისკოპოსი
### 1825-1896

ერისკაცობაში ქიქოძე გერასიმე მაქსიმეს ძე, იმერეთის ეპისკოპოსი (1860-1896 წწ.), საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ფსიქოლოგი. მამის მეშვეობით გაეცნო საეკლესიო წიგნებს და ღვთისმსახურების წესებს, ძველ სასულიერო ქართულ მწერლობას. თბილისის სამაზრო, ფსკოვისა და პეტერბურგის სასუ-



ლიერო სასწავლებლების დამთავრების შემდეგ მოღვაწეობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ, კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში საღმრთო სჯულის მასწავლებლად, 1856 წელს ოჯახური ტრაგედიის გამო (გარდაეცვალა მეუღლე და ხუთი შვილი) ბერად აღიკვეცა სიონის ტაძარში გაბრიელის სახელით. მისი სიტყვები და ქადაგებანი იბეჭდებოდა სხვადასხვა ენოვან პრესაში. მფარველობდა ნიჭიერ მოსწავლეებს, სნეულებს, ქვრივ-ობლებს, პატრონობდა უპატრონო მიცვალებულებს, დასავლეთ საქართველოში გახსნა სკოლები და ბიბლიოთეკა, ებრძოდა მექრთამეობას, ქურდობასა და ცრუმორწმუნეობას, იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დამფუძნებელი და საპატიო წევრი, ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, ბატონყმობის გაუქმების მომხრე. საქართველოს ეკლესიამ გაბრიელ ეპისკოპოსი წმინდანად აღიარა. დაკრძალულია გელათის ღვთისმშობლის ეკლესიაში (სურ 9).



**გიორგი XII**
**1746-1800**

მეფე ერეკლე II-ისა და ანა ზაალის ასულ აბაშიძის ვაჟი, ქართლ-კახეთის სამეფოს ბოლო მეფე (1798-1800 წწ.), ასპინძის ომის მონაწილე (1770 წ.). ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ, დედინაცვლისა (დარეჯან დედოფალი) და ნახევარძმების წინააღმდეგობის მიუხედავად, უკვე მძიმე ავადმყოფმა დაიკავა ტახტი. მეფეს უამრავი საზრუნავი გაუჩნდა: აღა-მაჰმად-ხანის მიერ დანგრეული თბილისის, მეფის სასახლის, სტამბისა და ეკლესიების აღდგენა, ჯარის გაძლიერება, ირან-ოსმალეთის აგრესიასთან გამკლავება, ლეკთა თარეშის ალაგმვა. ხანმოკლე მეფობის პერიოდში ვერ შეძლო მათი გადაწყვეტა. მას არ აღმოაჩნდა ქვეყნის გაძღოლის მამისეული ნიჭი, უნარი და გამოცდილება. მოწინააღმდეგეთა მხრიდან საფრთხის აცილებისა და პოზიციების გამყარების მიზნით, დახმარება სთხოვა პავლე I-ს. რუსეთმა ისარგებლა მეფის სისუსტით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით და მისსავე სიცოცხლეში მალულად, 1800 წლის 18 დეკემბერს, გამოსცა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ.

გიორგი XII გარდაიცვალა 28 დეკემბერს, დაკრძალულია მცხეთაში.

მეფე გიორგი XII ორჯერ იყო დაქორწინებული: ქეთევან პაპუნას ასულ ანდრონ-



იკაშვილზე და მარიამ გიორგის ასულ ციციშვილზე (სურ 10, 11).

**გრიგოლ ბაგრატიონ-გრუზინსკი**
**1789-1830**

ქართველი მწერალი, პოეტი, მწიგნობარი, პოდპოლკოვნიკი, იოანე ბატონიშვილისა და ქეთევან წერეთლის (1772-1824) ვაჟი, გიორგი XII-ის შვილიშვილი, ერეკლე მეფის შვილთაშვილი. 1812 წლის კახეთის აჯანყების აქტიური მონაწილე და მნიშვნელოვანი ფიგურა, რომლის მიზანი იყო ბაგრატიონთა საგვარეულო დინასტიისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, გაძლიერება და შენარჩუნება. აჯანყებულთა მიერ მეფედ გამოცხადებულ გრიგოლ ბატონიშვილს მხოლოდ ერთი თვე მოუწია ქვეყნის მართვა. დამარცხების შემდეგ დაღესტანში გაქცეული გრიგოლ ბატონიშვილი ქ. ოლონეცკში გადაასახლეს, შემდეგ გადაიყვანეს პეტროზავოდსკში. განთავისუფლების შემდეგ მსახურობდა რუსეთის არმიაში. 1824 წ. დაბრუნდა თბილისში, მიიღო დედის ქონება, ჯვარი დაიწერა თბილისში დაბადებულ პოლონელ ვარვარა თევდორეს ასულ ბუკრინსკაიაზე 1810-1876). შეეძინათ ოთხი შვილი.

გრ. ბატონიშვილის შესანიშნავ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის „საქართველოს ცხოვრება“ და „ანთოლოგია“, სადაც შესულია სხვადასხვა ლექსები.

გრ. ბატონიშვილი გარდაიცვალა პეტერბურგში. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში მეუღლესთან და მამასთან ერთად (სურ 12)

**გურგენიძე დავით სოლომონის ძე**

ჯავახეთში მცხოვრები და მოღვაწე მღვდელი, რომელიც მისიონერად წასულა სპარსეთში და მოუნათლავს ასობით ფერეიდნელი ქართველი (სურ 13).



**დადიანი დავითი**
**1813-1853**

ლევან V დადიანისა და მართა ზურაბის ასულ წერეთლის ვაჟი, ნაკითხი და განათლებული პიროვნება, ნიჭიერი პოეტი, მწერალი, მთარგმნელი, კოლექციონერი, საღვთო წერილისა და საერო მწერლობის კარგი მცოდნე. ცხოვრობდა პეტერბურგში, ევროპაში. ბარონმა როზენმა, ახალგაზრდა ლეიბ-გვარდიელი, დავითი დანიშნა თავის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ. 1831 წ. მთავარმართებელ პასკევიჩის

წარდგინებით, მამის სიცოცხლეშივე, მიიღო სამეგრელოს მთავრის მემკვიდრის უფლება. თბილისში დაუახლოვდა რჩეულ საზოგადოებას – ალ. ჭავჭავაძის ოჯახს, ქართველ პოეტებს, ახალგაზრდობას, ინტელიგენციას. 1839 წ. 18 მაისს ქაშვეთის ეკლესიაში ჯვარი დაიწერა ალ. ჭავჭავაძის ქალიშვილ ეკატერინეზე. მამის გარდაცვალების (1846) შემდეგ გახდა სამეგრელოს მთავარი. პირველ რიგში აკრძალა გლეხების დატყვევება და ტყვეთა გაყიდვა. მისი დამსახურება იყო ქართულ და რუსულ ენებზე მთავრის კანცელარიის გამართული წარმოება. დავითის სიკეთის ხელი დაეტყო სასამართლო სისტემას, სოფლის მეურნეობას, მრეწველობას, ვაჭრობას. ააშენა სასახლეები, გაიყვანა გზები, არხები, ტრიესტიდან მოწვეულ ცნობილ მებაღეს გააშენებინა მშვენიერი ბაღი.

დავითს და ეკატერინეს დარჩათ შვილები: ნიკო (1847-1903), სალომე (1848), ანდრია (1850-1910). თამარი, მართა, ლევანი და ალექსანდრე მცირეწლოვან ასაკში გარდაიცვალნენ. ნიკომ მამის საუკეთესო ხელნაწერები და მდიდარი ბიბლიოთეკა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა.

დავით დადიანი გარდაიცვალა გორდის სასახლეში. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში (სურ. 14)



**დარეჯან დედოფალი**
**1735-1807**

სამეგრელოს მთავრის გიორგი (კაცია) დადიანის ასული, ერეკლე მეფის მესამე ცოლი, ღრმად მორწმუნე, ქვრივ-ობოლთა და ღატაკთა შემწე. დედოფლის სახელს უკავშირდება ავლაბრის ტერიტორიაზე ეკლესიისა და „დარეჯანის სასახლის“ მშენებლობა. მონაწილეობდა სამეფოს მართვაში. მას არ სწამდა რუსეთის დახმარება-მფარველობისა და ეწინააღმდეგებოდა რუსეთთან ერეკლე მეფის დაახლოების პოლიტიკას. დედოფლის ეჭვები გამართლდა 1770 წლის ასპინძის ომში და 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, როცა ქართული ჯარი მარტო აღმოჩნდა ურიცხვი მტრის პირისპირ.

საკუთარი შვილების კეთილდღეობაზე მზრუნველ დედოფალს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა სამეფო სახლის წევრებთან, განსაკუთრებით, ტახტის კანონიერ მემკვიდრე გიორგი XII-თან. მტკიცე ხასიათის მქონე დედოფლის გავლენით ერეკლე მეფის მიერ მიღებული მემკვიდრეობის ახალი კანონის ძალით, გიორგი XII-ის შემდეგ ტახტს დაიკავებდა არა მისი მემკვიდრე, არამედ, დარეჯან დედოფლის შვილი–იულონი. თუმცა, ეს კანონი გიორგი XII-მ გააუქმა.

დარეჯანმა შემოიკრიბა სამეფო სახლის, მოწინავე ინტელიგენციის ერთგული, სახელოვანი, გავლენიანი პირები და დაიწყეს მასიური გამოსვლები რუსული მმართველობის შემოღების შედეგად ქართლ-კახეთში გაუქმებული

ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოებრივი სამეფო დინასტიისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული მუხლების შესასრულებლად, საოკუპაციო რეჟიმის დასამხობად. რუსეთი დარწმუნდა, რომ საქართველო არ შეეგუებოდა და ბოლომდე იბრძოლებდა ცარისტული რეჟიმის დასამხობად. ამიტომ გააძლიერა რეპრესიები, რომლის უმთავრესი მიზანი იყო სამეფო სახლის წევრების, უფლისწულების, დიდებულების, პირველ რიგში ტახტის მემკვიდრეებისა და პრეტენდენტების რუსეთში გადასახლება. 1803 წლის ნოემბერში დარეჯან დედოფალს ოჯახის წევრებთან ერთად იძულებით დაატოვებინეს საქართველო. დედოფალი გარდაიცვალა პეტერბურგში 1807 წლის 8 ნოემბერს. დაკრძალულია ნევის მონასტერში, ხარების ეკლესიაში (სურ 15).



**ერეკლე II**
**1720-1798**

თეიმურაზ II-ისა და ვახტანგ VI-ის ასულის, თამარის ვაჟი. სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, მხედართმთავარი, 1744-1762 წლებში კახეთის, 1762-1798 წლებში ქართლ-კახეთის მეფე. პირველი საბრძოლო ოპერაციის დროს 15 წლის ერეკლემ ლეკთა რაზმი დაამარცხა. ნადირ შაჰის გვერდით ინდოეთის ლაშქრობაში მონაწილეობამ დიდი სამხედრო გამოცდილება შეძინა. შაჰი გაოცებული იყო მისი ნიჭით, მოხერხებითა და გმირობით. ერთგულების სანაცვლოდ, 1745 წ. შაჰმა მამა-შვილს თეიმურაზსა და ერეკლეს ქართლისა და კახეთის ტახტზე ქრისტიანული წესით კურთხევის უფლება მისცა. მეფემ ათეულობით ომი და ბრძოლა გადაიხადა ირან-ოსმალეთისა და ლეკთა შემოსევებისაგან თავდასაცავად. მის მიერ ყველა სფეროში გატარებულმა რეფორმებმა ქვეყანა გააძლიერა. ქართველმა ხალხმა მეფე „პატარა კახად" მონათლა. 1783 წლის 24 ივლისს ერეკლე II-ის მიერ რუსეთთან ხელმოწერილი მფარველობით ხელშეკრულება ითვალისწინებდა ბაგრატიონთა ტახტის შენარჩუნებას, საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, თავდასხმის შემთხვევაში დახმარებას. სამწუხაროდ, რუსეთმა აღებული ვალდებულებები და პირობა არ შეასრულა.

ერეკლე II-ს სამი ქორწინებიდან (ქეთევან გიორგის ასული მხეიძე, ანა ზაალის ასული აბაშიძე, დარეჯან კაციას ასული დადიანი) ქართველ მეფეთა შორის ყველაზე ბევრი შვილი ყავდა. ღვაწლმოსილი მეფე დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში (სურ. 16, 17)

**ერისთავი მარიამი**

სამკაული ეკუთვნის ერთ-ერთი ქსნის ერისთავის მეუღლეს მარიამს, მაგრამ ანალოგიური სახელების სიმრავლის გამო ვერ ვაზუსტებთ კონკრეტული

მფლობელის ვინაობას (სურ 18)



**ვახტანგ VI**
**1675-1737**

მეფე, კანონმდებელი, ისტორიკოსი, ფიზიკოსი, ატრონომი, პოეტი, მწერალი, მთარგმნელი და რედაქტორი. ქვეყანაში აღმშენებლობითი საქმიანობისა და მნიშვნელოვანი ღონისძიებების გამტარებელი.

1703-1709 წწ. ქართლში დაინიშნა თავისი ბიძის, მეფე გიორგი XI-ის მოადგილედ (ჯანიშინად). ისპაჰანში ჩასული ვახტანგ VI დაატყვევეს და გადაასახლეს ქირმანში, მაჰმადიანობის უარყოფის გამო. 1713 წ. სულხან-საბა ორბელიანმა დახმარება სთხოვა რომის პაპს კლიმენტი XI შუამდგომლობა გაეწია შაჰის წინაშე ტყვის დასახსნელად. მოლოდინი არ გამართლდა. ვახტანგ VI ქვეყნის გადარჩენის მიზნით კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო–1716 წ. მაჰმადი იწამა მოჩვენებით, გულით და რწმენით ბოლომდე ქრისტიანი დარჩა. ქართლის მეფედ დამტკიცებული ვახტანგ VI შაჰმა თავისთან დაიტოვა და ირანის ჯარების სარდლად დანიშნა (1716-1719 წწ.), ქართლში ჯანიშინად მისი ვაჟი ბაქარი დასვა(შაჰ-ნავაზ-ხანი, 1716-1719). საქართველოში დაბრუნებულ ვახტანგ VI მძიმე მდგომარეობა დახვდა – ირანი და ოსმალეთი ერთმანეთს ეცილებოდა ქვეყნის დასაპყრობად. მეფის ორიენტაცია რუსეთისკენ გადაიხარა. 1724 წ. 1200 კაციანი ამალით რუსეთში წავიდა პეტრე I-თან დახმარების იმედით, მაგრამ მეფეს იმედები გაუცრუვდა.

ვახტანგ VI გარდაიცვალა ასტრახანში 1737 წ. დაკრძალეს მიძინების ტაძარში (სურ 19).



**თაყაიშვილი ექვთიმე სიმონის ძე**
**1863-1953**

საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი, მეცნიერი, პროფესორი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების (1907) პირველი თავმჯდომარე, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების აქტიური მონაწილე, არქეოლოგიის კათედრის გამგე, პარიზის ნუმიზმატთა და სააქციო საზოგადოების წევრი, 1921-1945 წლებში ემიგრაციაში მყოფი. არქეოლოგიური ექსპედიციებისა და მოგზაურობების დროს შეაგროვა, მეცნიერულად შეისწავლა და გამოსცა საქართველოს სიძველეე-

ბი, ხალხური სიტყვიერების შესანიშნავი ნიმუშები. მამულიშვილური ღვაწლი და ამაგი მიუძღვის 1921 წ. საქართველოდან მენშევიკური მთავრობის მიერ საფრანგეთში გატანილი სამუზეუმო განძეულობის დაცვა-მეთვალყურეობისა და მათი ნამდვილი პატრონისათვის დაბრუნების საქმეში. ემიგრაციაში ყოფნის დროს აქვეყნებდა გამოკვლევებს საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხებზე. იკვლევდა ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა-ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემებს.

სამშობლოს ნოსტალგიამ, გაუსაძლისმა პირობებმა, ხელმოკლეობამ, განცდებმა მძიმედ იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე. ექვთიმე თაყაიშვილი გარდაიცვალა 1953 წ. დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე. 1963 წ. დაბადებიდან 100 წლისთავზე მისი ნეშტი გადაასვენეს დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. იქვე დაკრძალეს საფრანგეთში დაღუპული მისი მეუღლე ნინო პოლტორაცკაიაც.

2002 წ. 17/X მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა ექვთიმე წმინდანად შერაცხა და იწოდა „წმინდა ექვთიმე ღვთისკაცად". მისი ხსენების დღედ დაწესდა 3 იანვარი (სურ 20).

**თეიმურაზ II**



**1700 - 1762**

ერეკლე I-ისა (ნაზარ-ალი-ხანი) და ანა ჩოლოყაშვილის ძე, ერეკლე II-ის მამა. ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, დიპლომატი, კახეთისა და ქართლის მეფე (1709-1715, 745–1762 წწ). შაჰის ბრძანებით, 14 წლის თეიმურაზ II-მ კახეთის ტახტი დაიკავა იმ დროს, როცა ქვეყანაში ადგილი ჰქონდა არეულობას, შინა ომებს, ლეკთა თარეშს, ოსმალთა და ირანელთა თავდასხმებს. მეფემ ირანის სამხედრო სიძლიერე თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენა და მოქნილი პოლიტიკით ქალიშვილი ქეთევანი შერთო ნადირ-შაჰის ძმისშვილს ალი-ყულიხანს, ვაჟიშვილი ერეკლე კი შაჰს გააყოლა ინდოეთის ლაშქრობაში. გაწეული ამაგის სანაცვლოდ, შაჰმა კახეთი ხარკისგან გაათავისუფლა, დაეხმარა ლეკთა თავდასხმების მოგერიებაში, ქართლ-კახეთის ტახტზე ქრისტიანი მეფეები თეიმურაზი და ერეკლე დასვა. გაერთიანებულ ქართლ-კახეთს ალმავლობა დაეტყო. მიღწეული წარმატებებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, 1761 წ. რუსეთში ჩასულმა თეიმურაზ II საჭირო ჯარით და თანხით დახმარება ითხოვა, მაგრამ უშედეგოდ. 1762 წლის 8 იანვარს მეფე გარდაიცვალა პეტერბურგში, გადაასვენეს და დაკრძალეს ასტრახანში, მიძინების ტაძარში, ვახტანგ VI-ის გვერდით.

თეიმურაზ II-ს ვახტანგ VI-ის ქალიშვილ თამართან ქორწინებაში ყავდა ორი შვილი-ერეკლე და ქეთევანი. თამარის გარდაცვალების შემდეგ (1746) შეირთო ანა ხანუმი (სურ 21-23).



**იოსელიანი პლატონი ეგნატეს ძე**

**1809-1875**

ქართველი ისტორიკოსი, პუბლიცისტი. პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ თბილისის სემინარიაში ასწავლიდა ფილოსოფიასა და ფიზიკას, იყო გაზ. „ზაკავკაზსკი ვესტნიკ“-ის რედაქტორი, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში აქვეყნებდა ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ წერილებსა და გამოკვლევებს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში აგზავნიდა კორესპონდენციებს, თანამშრომლობდა აკად. მარი ბროსესთან. შეისწავლა საქართველოს ქალაქების ისტორია. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების შესწავლას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, შეაგროვა ქართული ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები, ფოლკლორული მასალისა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. მნიშვნელოვანია მისი ისტორიული ხასიათის ნაშრომი „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“.

პლ. იოსელიანი დაქორწინებული იყო ანა ნიკოლოზის ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე (1839-1913). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში (სურ. 24, 25).

**ისარლიშვილი რაფაელ პეტრეს ძე**

თბილისის და ქუთაისის გუბერნიების ქართველ მემამულეთა ცნობილი წარმომადგენელი. რუსეთის საიმპერატორო-საეთნოგრაფო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის წარდგინებით ოფიციალურად დაინიშნა პარიზის 1901 წლის მსოფლიო გამოფენაზე საქართველოს საგანგებო წარმომადგენლად, რომელიც ქართული ექსპონატების დასათვალიერებლად მიწვეულ სტუმრებს ახსნა-განმარტებას აძლევდა. ქართული ექსპონატების ღირსეულად წარმოჩენისათვის მათი მადლობა დაიმსახურა. გამოფენის მოწყობაში ასევე მონაწილეობდა კავკასიის მუზეუმის დირექტორი გ. რადე.

რ. ისარლიშვილმა ამ გამოფენისათვის სპეციალურად გამოსცა პროფ. ა. ხახანაშვილის „საქართველოს ისტორია“ ფრანგულ ენაზე („Histoire de Georgie, Paris-Tiflis, 1900“), რომელსაც წააწერა „ღრმად პატივცემულს ბატონს ილია ჭავჭავაძეს – რ. ისარლიშვილი, პარიზი, 20 ოქტომბერი, 1900 წ.“ (სურ 26).

**კირიონ II**

**1855-1918**

ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი, საზოგადო და სასულიერო მოღვაწე, მწიგნობარი, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევარი, კათალიკოს-პატრიარქი (1917-1918 წწ.). თბილისისა და კიევის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობდა რუსეთსა და საქართველოში (გორი, ქუთაისი, თბილისი), იყო ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი, ალავერდისა



და გორის ეპისკოპოსი, იბრძოდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად, აქვეყნებდა ისტორიული, არქეოლოგიური, ლიტერატურული, ენათმეცნიერული ხასიათის კრიტიკულ გამოკვლევებს, აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებსა და მონეტებს, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. მდიდარი არქივი გადასცა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფო საზოგადოებას. მისი მხარდაჭერით 400-მდე ქართველმა ახალგაზრდამ დაამთავრა ორიოლის სასულიერო სემინარია, არაერთმა სტუდენტმა უმაღლესი განათლება მიიღო საზღვარგარეთ. შექმნა შესანიშნავი მონოგრაფია- „ქართული საეკლესიო ისტორიის შესახებ“.

კირიონ II დაკრძალულია სიონის ტაძარში (სურ. 27).

**მართა დედოფალი**

სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ცნობები მართა დედოფლის შესახებ. ჩვენი ვარაუდით, ის უნდა იყოს ოდიშის დედოფალი (გარდ. 1839 წ.), ზურაბ წერეთლის ასული, დავით დადიანის დედა, ლევან V დადიანის (1793-1846) მეუღლე (სურ 28).



**მარიამ დედოფალი**
**1768-1850**

გიორგი ციციშვილის ასული, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის მეუღლე. მეფის გარდაცვალების შემდეგ მარიამ დედოფალი ცდილობდა ნიადაგ გამოცლილი ქართული სახელმწიფოსა და სამეფო ხელისუფლების აღდგენას, ეწინააღმდეგებოდა ცარიზმის პოლიტიკას, მმართველობაში მოკალათებული რუსი მოხელეების აღვირახსნილობას. ბაგრატიონთა სამეფო ტახტის აღდგენის შიშით შეპყრობილმა რუსეთის მთავრობამ ქართველ ბატონიშვილთა საქართველოდან ძალდატანებითი გადასახლება დაიწყო. არ შეისმინეს დედოფლის თხოვნა შვილებთან ერთად საქართველოში თუნდაც რამდენიმე წლით დატოვების შესახებ. 1803 წ. აპრილს მარიამ დედოფალმა ხანჯლით მოკლა გენ. ლაზარევი, რომელიც სასახლეში რაზმით შეიჭრა და ძალით გადასახლება დაუპირა. დედოფალი შვილებთან ერთად ვორონეჟში გადაასახლეს. მოგვიანებით მისცეს საქართველოში დაბრუნების ნება, მაგრამ, 1850 წლის 30 მარტს მოსკოვში გარდაიცვალა. მისი ცხედარი ჩამოასვენეს და დაკრძალეს მცხეთაში (სურ 29, 30).

**მელია ილია ანტონის ძე**

ცნობილი მეჩაიე და აგრონომ–ეკონომისტი, რომელიც 1912 წ. რომში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გამოტანილი საკუთარ მამულში გამოყვანილი და დამზადებული საუკეთესო ხარისხის ჩაისათვის დაჯილდოვდა მედლით (სურ 31)

**მესხი სერგო (სერგეი) ირაკლის ძე**
**1862-1910**

ქართველი საზოგადო მოღვაწე, ექიმი. კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ წლების მანძილზე ემსახურებოდა სამტრედიის რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა ალექსანდროპოლში და მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის უბნის ექიმად, ეხმარებოდა და თანაუგრძნობდა გაჭირვებულებს. უანგარო და ერთგული პიროვნება მოსახლეობაში სარგებლობდა სიყვარულით, ავტორიტეტითა და ნდობით. გარდაიცვალა ალექსანდროპოლში ტიფით, რომელიც შეეყარა ერთ-ერთ დაავადებული ავადმყოფის გასინჯვის დროს.

ქორწინებაში იმყოფებოდა ანასტასია ნიკოლოზის ასულ აბულაძესთან (სურ 32)

**ორბელიანი მანანა**
**1808-1870**

მირმანოზ ქსნის ერისთავისა და თამარ დავითის ასულ აბაშიშვილის ქალიშვილი, განთქმული სილამაზითა და მშვენიერი გარეგნობით, განათლებული, ლიტერატურის მცოდნე, ქართული ხელოვნებისა და მწერლობის მფარველი და ქომაგი, ჟ. „ცისკრის“ და ქართული თეატრის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. მის სალონში თავს იყრიდნენ იმდროინდელი არისტოკრატიული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები, უცხოელი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, ხელოვანი ხალხი. ერთმანეთს აცნობდნენ ახალ პოეტურ ნაწარმოებებს, მსჯელობდნენ ქართული კულტურის საკითხებზე.

1832 წლის შეთქმულებისმონაწილე მ. ორბელიანი დამნაშავედ სცნეს, იმყოფებოდა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. დავით ივანეს ძე ორბელიანთან (1801-1830) ყავდა სამი შვილი (ივანე, ანასტასია, ალექსანდრე) (სურ. 33)




**ორბელიანი სულხან-საბა**
**1658-1725**

ქართლის სამეფოს მდივანბეგ ვახტანგისა და თამარ ზაალის ასულ არაგვის ერისთავის ვაჟი, საზოგადო და სასულიერო მოღვაწე, მწერალი, განმანათლებელი, მეცნიერი, დიპლომატი, ლექსიკოგრაფი, ენციკლოპედისტი, მეიგავე. ფლობდა სომხურ, სპარსულ, თურქულ, ბერძნულ და ლათინურ ენებს. არჩილ II-ის, გიორგი XI-ისა და ლევან ბატონიშვილის ბიძაშვილს ახლო ურთიერთობა ქონდა სამეფო კარის წევრებთან. იყო ვახტანგ VI-ის აღმზრდელი, ერთგული მეგობარი და პოლიტიკური მრჩეველი. ახალგაზრდობიდანვე იბრძოდა ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ. ქვეყანაში შექმნილი შინა არეულობის, გარეშე მტერთაგან გაუთავებელი თავდასხმებისა და პოლიტიკური მიზეზების გამო 1698 წ. გარეჯის მონასტერში ბერად აღიკვეცა საბას სახელით. 1703 წლიდან ბიძის, ვახტანგ VI-ის ქართლის მეფედ დამტკიცების შემდეგ, დატოვა მონასტერი, კვლავ ერისკაცი გახდა, დაუბრუნდა პოლიტიკურ საქმიანობას და მეფის გვერდით დადგა. 1713-1716 წლებში დიპლომატიური მისიით იმოგზაურა ევროპაში, შეხვდა საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ს, რომის პაპ კლიმენტი XI-ს ქირმანში დატყვევებული ვახტანგ VI-ის გამოსახსნელად საჭირო ფინანსების სათხოვნად. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე და საქართველოს გადასარჩენად ფორმალურად მიიღო კათოლიკობა. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული იმედგაცრუებული საბა კვლავ მართლმადიდებლობას დაუბრუნდა. სულხან-საბამ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა: ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „ქართული ლექსიკონი" („სიტყვის კონა"), დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის იგავ-არაკების უკვდავი კრებული „სიბრძნე სიცრუისა", ქართული სასულიერო მწერლობის მნიშვნელოვანი ნიმუში „სამოთხის კარი", დღიურების სახით დაწერილი „მოგზაურობა ევროპაში", ქადაგებათა კრებული „სწავლანი", ჰიმნოგრაფიული თხზულებანი და მრავალი სხვა.

სულხან-საბა ორჯერ იყო დაოჯახებული–დარეჯან ბაგრატიოთა ასულზე (გარდ. დაახლ. 1683 წ, დაკრძალულია ფიტარეთის მონასტერში) და სამცხის ათაბაგის ასულ თამარზე(გარდ. დაახლ. 1712 წ.).

1724 წ. სულხან-საბა ვახტანგ VI-ის ამალას გაჰყვა რუსეთში, სადაც გარდაიცვალა 1725 წ. 26 იანვარს. დაკრძალულია ვსეხსვიატსკოეში (სურ 34).



**რატიშვილი (რატიევი) ივანე დიმიტრის ძე**
**1868-1958**

ქართული წარჩინებული გვარის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. განათლებული, მამაცი ოფიცერი, რუსეთის გვარდიის პოლკოვნიკი.

ივ. რატიშვილი დაიბადა ქ. ორიოლში. კადეტთა კორპუსისა და სანკტ-პეტერბურგის საკავალერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მისივე თხოვნით, სამსახური დაიწყო

თბილისში განლაგებულ ნიჟეგოროდის 44-ე დრაგუნთა პოლკში (1890-1907 წ.წ.). 1896 წ. დაქორწინდა ერეკლე მეფის შვილთაშვილზე – ეკატერინე ირაკლის ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე (1872-1917). 1907 წ. ტრამვის გამო გამოვიდა სამხედრო სამსახურიდან. დაამთავრა პარიზის ხელოვნების აკადემია. განათლებამ, სამხედრო საქმისა და ხელოვნების საფუძვლიანად ცოდმან, მეუღლის ბაგრატიონთა წარმომავლობამ დიდად შეუწყო ხელი მის კარიერას. ივანე რატიშვილი მუშაობდა რუსეთის განათლების სამინისტროში, ზამთრის სასახლის სამმართველოს პოლიცმეისტერად, უფროსის თანაშემწედ, პეტროგრადის ყველა სასახლის, მუზეუმებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის მთავარ კომენდანტად. შვილთან, დიმიტრისთან ერთად, იცავდა მსოფლიო მნიშვნელობის ფასეულობას, ხელოვნების შედევრებს. თუმცა, საკუთარი ბინა ვერ გადაარჩინა მძარცველებისა და ბანდიტური დაჯგუფებების მიერ გაქურდვა-განადგურებისაგან.

1917 წელს გარდაეცვალა მეუღლე. დაკრძალეს მოსკოვში, დონის მონასტრის ნეკროპოლისში.

1919 წ. დაევალა სახელმწიფო ბანკის ოქროს მარაგისა და დიდძალი ფასეულობის პეტროგრადიდან მოსკოვში ეშელონებით მშვიდობიანად ჩატანის ორგანიზება. მუქარისა და გზაში თავდასხმების მიუხედავად ივანე და დიმიტრი რატიშვილებმა განძი მშვიდობიანად ჩაიტანეს და დააბინავეს მოსკოვში. საუნჯის დაცვა-გადარჩენისათვის დაჯილდოებული იყო წმ. სტანისლავისა და წმ. ანას მეორე ხარისხის ორდენებით. 1918-1930 წლებში ცხოვრობდა მოსკოვში და ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. 1926 წ. ერთადერთი ვაჟიშვილი დიმიტრი მდინარეში დაეხრჩო. 1931 წლიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა თბილისში თავის ქალიშვილ ოლღასთან (1902-1987 წ.წ.) ერთად. ივანე რატიშვილი გარდაიცვალა 1958 წ. 90 წლის ასაკში.

საოჯახო ნივთების დიდი ნაწილი მუზეუმში შემოიტანა ივ. რატიშვილმა XX ს-ის 30-40-იან წლებში (სურ. 35-39).



**სააკაძე გიორგი**
**1570-1629**

სიაუშ სააკაძისა და თამარ ბარათაშვილის ვაჟი. პოლიტიკური მოღვაწე, მხედართმთავარი, თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავი. ფლობდა სპარსულ და თურქულ ენებს. მისი მთავარი მიზანი იყო ქვეყნის დამანგრეველი შინაფეოდალური გამოსვლების ჩახშობა, თავნება თავადების ქმედებათა ალაგმვა, მეფის ხელისუფლების გაძლიერება, საქართველოს გაერთიანება. ტაშისკარის ბრძოლის (1609) გმირის წარმატებებმა, მეფე ლუარსაბ II-ისა და გიორგის დის ქორწინებამ (1611 წ.) გააღიზიანა ქართველი დიდებულები. მათ მეფე დაარწმუნეს „უგვარო“ დედოფალთან გაყრის აუცილებლობაში, გიორგის ღალატში. შეთქმულებაც მოაწყვეს გიორგის მოსაკლავად, თუმცა, ჩანაფიქრი ვერ განახორციელეს. 1612 წ. გიორგი ოჯახთან ერთად წავიდა ირანში თავგასულ და მოღალატე თავადებზე შურის ძიების ბიზნით დახმარების მისაღებად. შაჰმა გი-

ორგი თავის სასარგებლოდ გამოიყენა და დახმარების ნაცვლად ქართლ-კახეთი მოაოხრა, მოსახლეობა გადაასახლა. გიორგი ასეთ სისასტიკეს არ მოელოდა, მიხვდა შაჰის ნამდვილ განზრახვას და აჯანყების სამზადისს შეუდგა. 1625 წ. 25 მარტს მარტყოფის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა,

ქართლ-კახეთში თეიმურაზ I გამეფდა. 1625 წ. 1 ივლისს მარაბდის ბრძოლაში, სამხედრო საბჭოს მიერ გიორგის სამხედრო მოქმედების სწორი გეგმის გაუთვალისწინებლობისა და მიუღებლობის გამო, ქართველები დამარცხდნენ. თეიმურაზ I-სა და გიორგის შორის ურთიერთობის გამწვავებას შედეგად მოყვა 1626 წლის შემოდგომაზე ბაზალეთის ტრაგედია. ოსმალეთში გადახვეწილ, დამარცხებულ გიორგის, უფროს ვაჟს ავთანდილსა და ამალის 40- მდე წევრს, 1629 წ. ალეპოში თავები მოკვეთეს (სურ 40).



**შამილი**

**1797-1871**

„მთიელ არწივად“ წოდებული, პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწე, კავკასიის მთიელ ხალხთა გამაერთიანებელი და მათი განმანთავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, იმამი, შესანიშნავი მეომარი და ადმინისტრატორი. გაატარა მთელი რიგი ღონისძიებებისა–ჩამოაყალიბა ლაშქარი, შემოიკრიბა ჭკვიანი და გამოცდილი ადამიანები, ააშენა მეჩეთები, მამაცი თანამებრძოლებისა და სამხედრო ნიჭით დაჯილდოებული ერთგული პირების წასახალისებლად დააწესა ჯილდოები და ორდენები. სათავეში ჩაუდგა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებას. გამუდმებით აწყობდა თავდასხმებს კავკასიაში მოქმედ რუსების კორპუსებზე. არაკეთილგანწყობილებას იჩენდა ქრისტიანული მოსახლეობის მიმართაც. არაერთხელ შეუტია კახეთის სოფლებს, დაატყვევა წინანდლის სასახლეში ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის წევრები. 1859 წ. დასრულდა რუსეთის მიერ მთიელთა წინააღმდეგ წარმოებული მრავალწლიანი ომები. რუსეთმა აიღო ციხე-სიმაგრე გუნიბი და შამილი დაატყვევა. ათი წლით გადაასახლეს რუსეთში, შემდეგ გაუშვეს მექაში, სადაც გარდაიცვალა 1871 წ. (სურ 41)



**წუწუნავა ალექსანდრე რაჟდენის ძე**

**1881-1955**

ქართველი რეჟისორი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, სცენარისტი, საქართველოს სახალხო არტისტი. 1900-1905 წლებში მუშაობდა ქუთაისისა და თბილისის თეატრებში მსახიობად. მოსკოვის სარეჟისორო სტუდიის დამთავრების შემდეგ (1910 წ.) მოღვაწეობდა რეჟისორად ჯერ ჭიათურის თეატრში, 1914–1916 წლებში თბილისში ზუბალაშვილების სახალხო სახლში

და რუსულ თეატრში.

ალ. წუწუნავა სამართლიანად ითვლება ქართული ეროვნული ოპერის შექმნის ერთ-ერთ ორგანიზატორად და საოპერო რეჟისურის ფუძემდებლად, რომელმაც ქართულ სცენაზე გადაიტანა და გააცოცხლა შესანიშნავი ოპერები („თქმულება შოთა რუსთაველზე", „აბესალომ და ეთერი", „დაისი."..). 1918-1955 წლებში იყო თბილისის ოპერის თეატრის დირექტორი, მთავარი რეჟისორი, სამხატვრო ხელმძღვანელი. დიდი წვლილი შეიტანა ქართული კინოხელოვნების დაარსება-განვითარებაში. დამდგმელმა რეჟისორმა და სცენარის ავტორმა გადაიღო არაერთი ფილმი („ქრისტინე", „ვინ არის დამნაშავე", „ხანუმა", „ორი მონადირე", „ჯანყი გურიაში"), რომლებმაც სახელმწიფო ჯილდოები დაიმსახურა (სურ 42,43)



**ჭავჭავაძე თამარი დავითის ასული**
**1852-1935**

პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი, ერეკლე II-ის შვილიშვილის ირაკლი ბატონიშვილის (1827-1882) მეუღლე. საქართველოში სილამაზით ცნობილი, დარბაისელი, ნათელი გონების მქონე, ქველმოქმედი, განათლებული, უცხო ენების მცოდნე, პოეზიაზე შეყვარებული ქალბატონი. ქორწინებიდან 14 წლის თავზე დაქვრივებული თამარი საზღვარგარეთ გაემგზავრა ქალიშვილებისათვის (ელისაბედი, ეკატერინე) უმაღლესი განათლების მისაცემად. 1885-1903 წლების მანძილზე ცხოვრობდნენ პარიზში, დრეზდენში, რომში. ხელოვნებით გატაცებულმა თამარმა შეკრიბა საქართველოსა და ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალები და ვენეციაში, საკუთარ ვილაში მოაწყო მუზეუმი. თავისი ქვეყნის მდიდარი კულტურა გააცნო უცხოელებს. 1895 წ. თამარი თბილისში დაბრუნდა. არჩეული იყო ქ.შ.წ.კ.გ.ს-ის სათავადაზნაურო გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტის წევრად და საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარედ.

თამარი და ირაკლი განისვენებენ სვეტიცხოველში. მათი ნაქონი ნივთები შემოიტანა ქალიშვილის მეუღლემ ივანე რატიშვილმა (სურ. 44-48).

**Temur Sharikadze**

The Georgian National Museum S. Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave; 0105, Tbilisi, Georgia
e-mail: temurishariqadze@gmail.com

# For Studying of Memoriable Exhibits

(Part Three)

## Summary

In the third part of the article we go on researching of memoriable exhibit and present items belonging to members of the Bagrationi royal family, famous public figures and outstanding persons. To such thirgs belong gifts received for different kind of achievements. Short biographical notices are attached to photos.

All those relics have their past and have historical, artistic and memoriable values.

Donators of memoriable idems should be appreciated and be thankful for their decisions to donate their own things to the nation's treasury, the best protector of which was, is and will be the Georgian National Museum.

Each memoriable item will help in studying questions connected with Georgian history and culture to those people who are interested in them.



**1. ქაიხოსრო ანდრონიკაშვილის ჩიბუხი**
XVIII-XIX სს.
ხე, ლოთონი, ცისფერი თვალი, L-39 სმ
საინვ. № გ-288 (5-39/288).



**2. ქაიხოსრო ანდრონიკაშვილის მარაო**
XIX ს.
ფრთა, სპილოს ძვალი, ლითონი, საღებავი
L-29 სმ, გარშემოწერილობა–54 სმ
საინვ. № გ-287 (54-39/287)



**3. კოტე აფხაზის** *თასი*
*XIX ს.*
სპილენძი, პირის D- 8,5 სმ
საინვ. № 27-37/27



**5. კოტე აფხაზის ტოლჩა**
XIX ს.
სპილენძი, საღებავი, H-16 სმ
საინვ. № 26-37/26



**4. კოტე აფხაზის თეფში**
XIX ს. ჩინეთი
ფაიფური, საღებავი, D-24,5 სმ,
საინვ. № გ-25 (25-1937/25).



**6. ელენე ახვლედიანის მედალიონი**
XX ს.
ბრინჯაო,
საინვ. № 69-41/464.



**7. ქისა ბაგრატიონთა ოჯახიდან(?)**
XIX ს.
ხავერდი, ოქრომკედი, ძაფი, ზომა: 14X16 სმ
საინვ. №5-20/2



**8. ალექსანდრე ბარიატინსკის მოსასხამი ხალათი**
(ხალათი შემოიტანა კიტა აბაშიძის ქალიშვილმა თამარმა, რომელიც იყო ბარიატინსკის მეუღლის ლიზა (ელისაბედ) ორბელიანის ბიძაშვილის შვილის შვილი)
XIX ს.
ხავერდი, ოქრომკედი, ძაფი
საინვ. № 99-58/1





**9. გაბრიელ ეპისკოპოსის მედალიონი**

წმინდა ნინოს ერთ ხელში უჭირავს ჯვარი, მეორეში სახარება. შესრულებულია წარწერა: „წმინდა ნინო ქართველთა განმანათლებელი“, „საყდარი განმზადებული“. 1894 წლის 29 დეკემბერს გაბრიელ ეპისკოპოსს მედალიონი მიურთმევია ქუთაისში მყოფ ინგლისელი დიპლომატის, ქართული ენის, ისტორიისა და კულტურის დიდი მოამაგის, ვეფხისტყაოსნის ინგლისურ ენაზე მთარგმნელ ჯონ ოლივერ უორდროპისათვის, რომლის ვაჟის, ანდრეს თხოვნით ინგლისელმა ქართველოლოგმა ჯორჯ ჰიუიტმა მედალიონი მუზეუმს ჩააბარა 1987 წ.

XIX ს.

ბრინჯაო, L-3,8 სმ, სიგანე-3 სმ

საინვ. № 88-87/1



**10. გიორგი XII-ის საცეცხლური**

(ხუფზე ქართული წარწერით:
"ქ":საქართველოს: მეფის: ძის: გიორგისა: არის:")

XIX ს. ვერცხლი.

საინვ. №3-25/1



**11. გიორგი XII-ის სამეფო ტახტი**

(გვირგვინით, ლომის თავებითა და მოოქრული ჩუქურთმებით შემკული ტახტი დამზადებულია პეტერბურგელი მეავეჯეების მიერ ევროპულ სტილში. 1843 წელს ნიკოლოზ I-ის ბრძანებით ტახტი ჩაიტანეს მოსკოვში-კრემლის საჭურველთსაცავში. მხოლოდ 1923 წელს მოხერხდა ტახტის საქართველოში დაბრუნება. 2001 წელს სამეფო ტახტს სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარა მუზეუმის აწ. გარდაცვლილმა რესტავრატორმა გიორგი რუსეიშვილმა).

XVIII-XIX სს.

ხავერდი, ხე, საღებავი, H-160 სმ, სიგანე-81 სმ.

საინვ. № დ-268 (4214).



**12. გრიგოლ ბატონიშვილის სათუთუნე,**
ბაგრატიონთა გერბის გამოსახულებით
XIX ს.
ხე, ვერცხლი.
საინვ. № 4506 (26).



**13. დავით გურგენიძის ყალიონი**
XIX ს. სპარსეთი
ლითონი, მინანქარი.
საინვ. № 13-88/1



**14. დავით დადიანის თასი**
(ქართული წარწერით: „მე დავით დადიანმა გითავაზე შენ ჩემ ერთგულ აზნაურს ერმალოზ გელოვანს ესე ჯამი სახსოვრათ, მრავალნი სრბიან ასპარეზსა ზა და ღმერთმან მიილოს ნიჭი“)
XIX ს.
ვერცხლი, H-18,5 სმ, პირის D-33,5 ძირის D-21 სმ
საინვ. № 116-13/1



**15. დარეჯან დედოფლის თასი (ღვინის სასმისი)**
(ქართული წარწერით: „ქ. დადიანის. ასულის. საქართველოს. დედოფლის. დარეჯანისა. ვარ“)
XIX ს. პირის D-12 სმ, H-6,5 სმ
საინვ. № 1-14/3

**16. ერეკლე II-ის სარტყელი**
XVIII-XIX სს.
აბრეშუმის ქსოვილი, დასარჩულებული, L–436 სმ, სიგანე – 34 სმ
საინვ. № 2-20/1







**17. ერეკლე II-ის სანაწილე**

XVIII-XIX სს.

1948 წ. ნინო ელიზბარის ასულ ერისთავ–ქობულაშვილმა (ერეკლე მეფის შვილთაშვილის შვილი) მუზეუმში შემოიტანა ერეკლე II-ის სანაწილე. ნინოს დის ელისაბედის წერილობითი განმარტებით: „ჭეშმარიტად ეს წმინდა ნაწილები ეკუთვნოდა ჩვენს ძვირფას მეფე ერეკლეს. ორივე მხარეს ჰქონდა ვერცხლის საფარავები მშვენიერი ხელოვნებისა და შიგნიდან წარწერილი წმინდის ნაწილებისა. მახსოვს, რომ იყო თმები ღვთისმშობლის, აგრეთვე ჯვარცმისა და დანარჩენი აღარ მახსოვს. იყო ამასთან მსხვილი ოქროს ჯაჭვი, რომელზედაც ეს ნაწილები ეკიდა ხოლმე მეფეს გულზე და ეს ჯაჭვი და ორივე მხარე წმინდის ნაწილებისა რევოლუციის დროს დაიკარგა"..

ხე, ვერცხლი, ზომა – 6X4,7 სმ

საინვ. № 2-48/608



**18. მარიამ ქსნის ერისთავის შუბლის ქინძისთავი**

XIX ს.

ოქრო, წითელი და თეთრი თვლები(?), მარგალიტები

საინვ. № 1-21/1



**19. ვახტანგ VI-ის ასტროლაბი**(სპარსეთში ყოფნის დროს მეფის მიერ შეკვეთილი ასტრონომიული და გეოდეზიური დაკვირვების ხელსაწყო)

საინვ. № დ-154 (3404)



**20. ექვთიმე თაყაიშვილის ბინოკლი (დურბინდი),**
რომელიც მუზეუმს ანდერძით გადმოსცა:
Мой бинокль подаренный мне Григорием Гуриели которым я пользовался во все археологические экспедиции при разборе эпиграфических надписей.

საინვ. № 70-969/2.



**21. თეიმურაზ II-ის ხატი ღვთისმშობლისა და ჯვარცმის გამოსახულებით**

(1760 წ. თეიმურაზ II-ის დავალებით ხატზე დაუწერიათ: „ხატი ესე ეკუთვნოდა მეფეს თეიმურაზს და ოდეს იგი 1760 წელსა განვიდა რუსეთად მან ხატითა ამით მცხეთის ეკლესიასა მიუკურთხა შვილის შვილისა თვსსა გიორგი ქართ") ხე, მოოქრული ჩარჩო

მთლიანი ზომა: 22X15 სმ. ხატის ზომა: 9.7X7.8 სმ.
საინვ. № 4-68/1.



**22. თეიმურაზ II-ის ფინჯანი**

XIX ს. მეისენის ფაიფურის ქარხნის ნაწარმი,

ფაიფური, H- 5 სმ, პირის D-8 სმ, ძირის D-4 სმ

საინვ. № 18-78/2



**23. თეიმურაზ II-ის ჯვარი**

ფინჯანი და ჯვარი აღმოჩენილი იქნა თეიმურაზ II-ის საფლავის გათხრის დროს, რომელიც 1978 წ. გადმოგვცა ასტრახანის ისტორიულ-არქიტექტურულმა მუზეუმმა

ოქრო, თასმა, წონა-1,67 გრ.

საინვ. № 18-78/1



**24. პლატონ ოსელიანის კალმისტრის ბუდე**

XVIII ს.

ძვალი, ხე, მუყაო, L-22 სმ

საინვ. № 79-65/1



**25. პლატონ იოსელიანის საწერი მოწყობილობა**

საინვ. № 79-65/2




**26. რაფაელ ისარლიშვილის მედალი**

(ფრანგული წარწერით: „REPUBLIQUE FRANÇAISE – MERITE AGRICOLE, 1883“, რომელიც გადაეცა პარიზის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს პროდუქციის წარმოჩენისათვის და მიენიჭა დამსახურებული აგრონომის წოდება)

თითბერი.

საინვ. № 37-979/1

**27. კირიონ II-ის ცხვირსახოცის ბუდე**

ქსოვილი, ძაფი, ზომა: 38X32 სმ

საინვ. № 61-58/82






**28. მართა დედოფლის საათი (წარწერით: „დედოფლის მართასი ვარ“).**

XVIII ს. მონოგრამა „MM“ მიუთითებს ლონდონელ მესაათე Markwick-Markham- ზე

საინვ. №4522





**29. მარიამ დედოფლის საყურე**

ოქრო, მინანქარი, მარგალიტები

**30. მარიამ დედოფლის თასი** (წარწერით: „ნიშნად ხსოვნისა დედოფლისა მარიამისა“)

ვერცხლი

საინვ. № 1-56/801



**31. ილია მელიას მედალი**

(წარწერით: „EXSPOZICIONI INTERNATIONALI RIUNITE. ROMA 1912. GRAN PREMIO“).

ბრინჯაო, მინანქარი

საინვ. № 118-1969/1

**32. სერგო (სერგეი) მესხის სამკერდე ნიშანი**

(ორთავიანი არწივის, სკიპტრის, თვითმპყრობელობის სფეროს, გვირგვინისა და საafთიაქო ოქროს ემბლემის გამოსახულებით)

ლითონი, ოქრო, ზომა: 6,5X5 სმ

საინვ. № 75-985/1







**33. მანანა ორბელიანის პორტსიგარი**

ნივთის შემომტან სოფიო გიორგის ასულ ტაბლიაშვილის გადმოცემით პორტსიგარი ეკუთვნოდა მანანა ორბელიანს, რომლის ოჯახს საჩუქრად მიურთმევია სოფიოს მამის, გიორგი ტაბლიაშვილისათვის. მონოგრამა ДИО უნდა აღნიშნავდეს მანანას მეუღლის დავით ივანეს ძე ორბელიანის სახელს.

შავი ლითონი, ალმასები, ბრილიანტები

ზომა: 8,7X6 სმ

საინვ. № 62-968/1



**34. სულხან-საბა ორბელიანის სამაჯური**

სამაჯურის შემომტანის–საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის კ. სალიას გადმოცემით სურათზე გამოსახულია ლუდოვიკო XIV, რომელსაც სამაჯური საჩუქრად გადაუცია სულხან-საბა ორბელიანისათვის.

ფერადი ლითონი, მინა, D-5,4X7 სმ

საინვ. № 72-85/2



**35. ივანე რატიშვილის სამკერდე ნიშანი**

(მიძღვნილი რომანოვების სამეფო დინასტიის დაარსების 300 წლისთავისადმი, 1613-1913)

ვერცხლი, ზომა: 3.5X5 სმ

საინვ. № 5-969/1

ნივთი შემოიტანა ივ. რატიშვილის ქალიშვილმა ოლღა ლვოვამ



**36. ივანე რატიშვილის ბადია(ჯამი)**

XVIII-XIX სს. ჩინეთი

ფაიფური, საღებავი H-13,5 სმ, D-30 სმ

საინვ. № 14-43/1



**37. ივანე რატიშვილის მეუღლის საყურე**

ვერცხლი, მარჯანი

საინვ. № 14-43/2



**38. ივანე რატიშვილის მეუღლის ღილები**

თითბერი

საინვ. № 37-42/13-20



**39. ივანე რატიშვილის ხატი (წმ. ეკატერინე) მოზაიკური**

XIX ს. II ნახ. რუსეთი





**40. გიორგი სააკაძის თეფში**

(წარწერით: „ქ: სააკაძის: გიორგისა: და შიოშისა: არის“)

1915 წლის საომარი მოქმედების დროს სოფლიდან გაქცეულ მოსახლეობას ერზერუმთან ახლოს ორმოში გადამალულ უამრავ ჭურჭელთან ერთად უნახავთ აღნიშნული თეფშიც. ნაწილი ბათუმში გაუყიდიათ

სპილენძი, D- 24,5 სმ

საინვ. № 1-47/581



**41. შამილის სამფეხა სკამი**

ხე, საღებავი

საინვ. № ა-4-81/5 (17-26/118)



**42. ალექსანდრე წუწუნავას პორტსიგარი**

(ჭიათურის ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის საჩუქარი: „ძვირფასო ალექსანდრე რაჟდენის ძევ. თითქმის ერთი წელი სრულდება, რაც ჩვენთან ერთად იღწვი ამ ხელოვნების ტაძარში, თითქმის ერთი წელიწადია, რაც შენი მხნე მუშაობით ჩვენს წრეს სულს უდგამ. ეს ერთი წელიწადი წარუშლელი დარჩება ჩვენი თეატრის მატიანეში, რადგანაც ეს იყო წელიწადი გამარჯვების, ეს იყო წელიწადი, როდესაც აყვავდა იმედი, რომ ჭიათურის თეატრს ბრწყინვალე მომავალი უღიმის, მრავალ დაბრკოლებათა დაძლევა დაგჭირდა შენ, უკულმართობა დაჰგმე შენი ამ მცირე ხნის მოღვაწეობაში“)

ვერცხლი, ზომა: 10X8 სმ

საინვ. № 70-57/1



**43. ალექსანდრე წუწუნავას ჭიქა მონოგრამით: „ა.წ“**

ვერცხლი, H-8 სმ, ძირის D-3,5 სმ

საინვ. № 70-57/2



**44. თამარ ჭავჭავაძის გულსაბნევი**

XVIII-XIX სს.

ერთმანეთში ჩართული ორი ლათინური ასო („T.C.“) აღნიშნავს თამარის სახელს (Tamara Gruzinskaia). გვირგვინით შემკული მონოგრამიანი სამკაულები საიუველირეო ხელოვნების იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენდნენ

ვერცხლი, L-6,5 სმ

საინვ. № 9-46/1



**45. თამარ ჭავჭავაძის მეუღლის ჭადრაკი,**

32 ცალი ფერადი ფიგურებით

პალმის ხე, მუყაო, ტყავი, ყუთის L-24 სმ, H-7,5 სმ, სიგანე-16 სმ

საინვ. № 30-60/1

ყუთში დაცულია შემდეგი შინაარსის ხელნაწერი.

Дорогой Михаил Николаевич Примите от меня на память эти шахматы в знак самой искренной признательности. Душевно преданы и уважаем Вас, Иван Ратиев

აქვეა მიხეილ ვადბოლსკის განმარტებითი ბარათიც:

Представленные мною шахматы со складной доской, стиля «Стиунтон» из палмового корня, подарены мне последным комендантом Зимного Дворца генералом Иваном Дмитриевичем Ратиевым (Ратишвили) в 1950 году. По словам владелца шахматы эти некогда (во II пол. XIX в.) принадлежали тестью его царевичу Грузинскому Ираклию Александровичу (внуку Ираклия II) и находились у Ратиева, со времени брака его с дочерью царевича Екатериной Ираклиевной Грузинской по 1950 г. Желая сохранить ценную по воспоминанию вещь хочу продать её Гос. Музею Грузии вместе с дарственной запиской И.Д.Ратиева.

М. Вадбольский

10.06. 1960 г.



**46. თამარ ჭავჭავაძის საათი**

მოწნული კალათის ფორმის

თითბერი, H-4,5 სმ. სიგანე-2,8 სმ, L-5 სმ.

საინვ. № 5-44/3.



**47. თამარ ჭავჭავაძის მზის ქოლგა**

XIX ს. საფრანგეთი

ივ. რატიშვილის გადმოცემით ერეკლე ბატონიშვილმა ბაბუის (ერეკლე II) ნაჩუქარი ქარვის ყალიონისგან შეამკო ქოლგის ტარი და უსახსოვრა თავისი მეუღლე თამარს. ტარზე იკითხება ფრანგული წარწერა: „DUPUY, 8 RUE DE LA PAIX, PARIS."

ქსოვილი, ხე, ქარვა

საინვ. № 17-45/1



**48. თამარ ჭავჭავაძის საოჯახო სურათების ალბომი**

(ვენეციაში ირაკლი ბატონიშვილის ოჯახის საკუთარი ვილის ინტერიერის ფოტოსურათებით)

ალბომის ზომა: 51X41 სმ, სურათის - 30X10 სმ

საინვ. № 14-43/14

## ბიბლიოგრაფია


**ბერიძე ვ.** 1967: *ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები.* თბილისი.

**ბერძნიშვილი მ.** *1980: მასალები XIX ს-ის I ნახ-ის ქართული საზოგადოებრივი ისტორიისათვის.* ტ. 1-2. თბილისი.

**გვარამაძე ლ.** *მთაწმინდელი მოცეკვავე.* თბილისი.

**გვარამაძე ლ.** *ქართული ხალხური ქორეოგრაფია.* თბილისი.

**კელენჯერიძე მ.** 1913: *გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა.* ქუთაისი.

**კეკელიძე კ.** 1954: *ქართული ლიტედრატურის ისტორია.* ტ I. თბილისი.

**მეუნარგია ი.** 1939: *სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი.* თბილისი.

**მეუნარგია ი.** 1939: *სამეგრელო დავით დადიანის დროს.* თბილისი.

**მენაბდე ლ.** 1953: *სულხან-საბა ორბელიანი.* თბილისი.

**პაპავა თ.** 1990: *დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში.* თბილისი.

**როგავა აპ.** 1950: *სახალხო განათლება ერეკლე II-ის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი.* თბილისი.

**ყიფიანი დ.** 1990: *მემუარები.* თბილისი.

**ჩიხლაძე ნ.** 1976: ღვაწლმოსილი ქართველი ქალები.. თბილისი.

**ჭიჭინაძე ზ.** 1882: *სახსოვარი ბატონიშვილის ალექსანდრეს ძის ირაკლის გარდაცვალებაზე.* თბილისი.

ჟ. *მნათობი.* 1990 № 3, გვ. 147, თაყაიშვილი ექვთიმე, ქართილი სიძველენი ევროპულ ანტიქვარებთან.

გაზ. *ივერია,* 1895, № 195-196, ჯანაშვილი მ. მეფე ერეკლე II-ის ოჯახი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 409-416
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 409-416

**რესტავრაცია-კონსერვაცია**

**ეკატერინე მესხიძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: ekameskhidze@gmail.com

# შიდა ქართლში აღმოჩენილი რიტონების რესტავრაცია-კონსერვაცია

კერამიკის ნაწარმი ყველაზე მეტად გავრცელებული არქეოლოგიური მონაპოვარია. არქეოლოგიური კერამიკის რესტავრაცია ნივთის საკვლევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. რესტავრაციის უმთავრესი ამოცანაა ნივთის ფორმის შენარჩუნება და აღდგენა. რესტავრირებული ნივთის კონსერვაცია კი განაპირობებს გაფუჭებისა და დაშლისაგან მის შემდგომ დაცვას.

კერამიკის განვითარებამ რთული გზა განვლო ნეოლითური ხანიდან (IX-VIII ათასწლეულებიდან, როდესაც ადამიანმა დაიწყო თიხის უხეში დამუშავება, ფორმირება და ნახევრად გამოწვაც კი) დღემდე.

არქეოლოგიური კერამიკის ნედლეული თიხაა. თიხა დანალექი ქანების ერთ-ერთ ძირითადსა და გავრცელებულ ჯგუფს ეკუთვნის. თიხა თავისი განსაკუთრებული თვისების - პლასტიკურობის (ტენიანი თიხის უნარი, წნევის შედეგად მიიღოს გარკვეული ფორმა) გამო მეტად საჭირო ნედლეულია და ფართოდაა გამოყენებული მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ადამიანის ყურადღებას იგი უხსოვარი დროიდან იქცევდა როგორც ადვილად მისაწვდომი მასალა [მორჩაძე თ. 1979: 5].

თიხის გამოწვის წესების დაუფლებამდე ადამიანი თიხისაგან ამზადებდა მაგიური დანიშნულების ქანდაკებებს, ამულეტებს, ჭურჭლად კი იყენებდა ღრუსხეულიან ყოველგვარ საგანს, რომელიც ბუნებაში მზამზარეულად იყო ან რისი დამუშავებაც ეადვილებოდა: ნიჟარები, ზოგიერთი მცენარის ნაყოფის ქერქი, თავის ქალის ზედა ნაწილი, დაწნული და ამოღარული ხის ჭურჭელი და სხვ.

ცეცხლში გამომწვარი თიხის ჭურჭელი ადრენეოლითის ხანაში ჩნდება. მეზოლითიდან ნეოლითზე გარდამავალ ხანასა და ნეოლითის ადრეულ საფეხურზე აღმოსავლეთის ქვეყნებში, ევროპაში და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, შემგროვებელი მეურნეობისა და ადრესამიწათმოქმედო საზოგადოებებში, პირველად გაჩნდა კერამიკის ჭურჭელი, რითაც ადამიანმა მკვეთრად გაიუმჯობესა ცხოვრების პირობები, ისწავლა საკვების ხარშვა, შენახვა და სხვ. თიხის ჭურჭელს ფართოდ იყენებდნენ კულტმსახურებასა და სხვადასხვა რიტუალში. სამარხში ჩასატანებელ ჭურ-

ჭელს ზოგჯერ სპეციალურად ამზადებდნენ. თიხის ჭურჭლის ცეცხლში გამოწვის ტექნიკას წინ უსწრებდა მცენარეული მასალისაგან დაწნული კალათების შიგნიდან თიხით მოლესვის წესი, რის შედეგად წარმოიქმნა, მრგვალძირიანი, წვრილი ორნამენტით შემკული ნეოლითური ჭურჭელი. ცეცხლში წნული იწვოდა და თიხის კედელი მის კვალს ინარჩუნებდა [ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1980: 472-473].

დროთა განმავლობაში თიხის დამუშავების ტექნოლოგია თანდათან იხვეწება. კერამიკის წარმოება საქართველოში განვითარების უმაღლეს საფეხურს ანტიკურ ხანაში (ძვ.წ. VI—ახ.წ. IV სს.) აღწევს, რაც არქეოლოგიური კერამიკის მასალის პეტროგრაფიულმა კვლევამაც დაგვანახა. ჩნდება თხელკედლიანი, მოხატული საღვინე ქვევრები, სხვადასხვა სახის დოქები, ხელადები, ჭინჭილები, ფიალები, რიტონები, რომლებიც საქართველოში მაღალგანვითარებულ მევენახეობაზე მიგვითითებს [მორჩაძე თ. 1979: 9].

სტატიაში განხილული იქნება შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანტიკური პერიოდის (ძვ.წ. IV—III სს.) რიტონების რესტავრაცია-კონსერვაცია.

### რესტავრაცია-კონსერვაცია

რესტავრაციის პრინციპებიდან გამომდინარე, ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში შემოსული არქეოლოგიური კერამიკის დამუშავება იწყება მისი წყალში გარეცხვით, რათა მოშორდეს მიწა ან სხვადასხვა მექანიკური ნადები (ხშირად მოთეთრო—მონაცრისფრო კარბონატების მსხვილი ფენა), ხოლო, თუ კარბონატები წყლით არ ცილდება, კერამიკის ჭურჭელს ან მის ნატეხებს დებენ მარილმჟავას განზავებულ ხსნარში და აყოვნებენ კარბონატების სრულ დაშლამდე [აბესაძე ც., ბახტაძე რ. 1963: 50].

კერამიკა თუ მკვრივი და კარგად გამომწვარია, მის ნატეხებს ათავსებენ წყლიან ჭურჭელში და შემდეგ თითოეულ ნატეხს რეცხავენ რბილი ჯაგრისით. განსაკუთრებით კარგად უნდა გაირეცხოს გადანატეხი ადგილები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასზე დარჩენილი მიწის ნაწილაკები გააძნელებს მათ შეწებებას და მოგვცემს უზუსტობას ნატეხების შეერთებისას.

ცუდად გამომწვარი ფოროვანი კერამიკის გარეცხვა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს (მიწა შორდებაწყალში ჩაძირვის გარეშე, გამოხდილ წყალში დასველებული ტამპონით ან ჯაგრისით. კარბონატების მოსაცილებლად კი ადებენ მარილმჟავაში დასველებულ ტამპონს და შემდეგ სწრაფად რეცხავენ გამოხდილ წყალში დასველებული ჯაგრისით) [Кирьянов А. 1960: 28]. გარეცხილ კერამიკას სპეციალურ თაროებზე ან დაფებზე აწყობენ და აშრობენ ოთახის ტემპერატურაზე. ამის შემდეგ იწყება ჭურჭლის ნატეხების გადარჩევა ფორმისა და ორნამენტების მიხედვით.

სარესტავრაციო სამუშაოებისას შესაწებებლად გამოიყენება მაღალ მოლეკულური ფისები. ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიაში

წარმატებით იყენებენ პოლივინილაცეტატს, რომელიც კარგად იხსნება აცეტონში, შედარებით ძნელად — ეთილის სპირტში. მას ახასიათებს სწრაფად შეწებების უნარი, გაშრობის შემდეგ ნაკერზე კვალს არ ტოვებს, უფერულდება და დროთა განმავლობაში ფერს არ იცვლის. სარესტავრაციო სამუშაოებისათვის გამოყენებულ წებოს უნდა ახასიათებდეს შექცევადობა, ე.ი., თუ საჭიროა, შესაძლებელი უნდა იყოს ნატეხების ერთმანეთისაგან განცალკევება. ეს არის ის ძირითადი მოთხოვნა, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს წებოს შერჩევისას [აბესაძე ც.,ბახტაძე რ. 1963: 52].

აღდგენილ ჭურჭელზე თუ დარჩება ნაკლული ადგილები, მათ ავსებენ თაბაშირით (2 წილი თაბაშირი და 1 წილი წყალი) [Фармаковский М.1947: 48]. თაბაშირით შევსება უზრუნველყოფს ჭურჭლის გამძლეობას გარემო პირობების ზემოქმედების მიმართ. დათაბაშირების შემდეგ ჭურჭელი იწმინდება სველი ტილოთი, საბოლოოდ კი, იფერება საღებავით (აკვარელი, აკრილი).

2010 წელს ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში სარესტავრაციოდ შემოვიდა ანტიკური პერიოდის რიტონები.

უპირველესად, რესტავრაცია ჩაუტარდა კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის განაპირას, მდინარე კავთურას მარცხენა სანაპიროზე (იქ, სადაც პატარა მდინარე შავწყალა ერთვის კავთურას), სახნავ მიწებში არსებულ ნასახლარ ციხიაგორას არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ ხარისთავიან რიტონს (ძვ.წ. IV-III სს.). 1971—1992 წლებში ნასახლარის ტერიტორიაზე გათხრებით დადასტურდა 4 კულტურულ-ქრონოლოგიური ფენა: ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოს, გვიანბრინჯაოსა და ანტიკური ხანებისა. ძვ.წ. VI ს-დან ჭარბი მოსახლეობა იწყებს გორიდან ჩამოსვლასა და გორის გარშემო დასახლებას. დაახლოებით ძვ.წ. IV ს-ის დასასრულსა და III ს-ის დასაწყისში ამ გორაზე აიგო დიდი სატაძრო კომპლექსი, რომელიც შედგებოდა: ტაძრის, ბეღლის, მარნის, საფქველი ოთახის, სათონის, სატრაპეზოსა და საცხოვრებელი ნაგებობებისაგან [ცქიტიშვილი გ. 2003: 7]. არქეოლოგ ზურაბ მახარაძის ინფორმაციით, ლაბორატორიაში რესტავრირებული ხარისთავიანი რიტონის თავის ნაწილი 1985 წელს მარანშია აღმოჩენილი. ხარის ტანის უკანა ნაწილი კი წლების შემდეგ სხვა სათავსოშია ნაპოვნი. მთელი კომპლექსი ხანძრითაა განადგურებული. სწორედ, ამან განაპირობა რიტონის ნატეხების სხვადასხვა ფერი (შავი, მუქი ყავისფერი, მოწითალო—ყავისფერი).

რესტავრაციის თვალსაზრისით, ხარისთავიანი რიტონი განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში იყო. იგი შედგებოდა ორი რესტავრირებული (შეწებება) ნაწილისაგან (ტაბ. I-7). რთული იყო ამ ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება, რადგან შემაკავშირებელი ნატეხები არ არსებობდა. ამისათვის ჯერ ნაკლული ადგილები შეივსო თაბაშირით და ფორმა მიეცა ჭურჭელზე არსებული მთელი ნაწილების (ფეხი, რქა, ყური) მიხედვით (ტაბ. I-2, 3, 4). შემდეგ რიტონის ორი ნაწილი დაფიქსირდა სპეციალური სადგარების გამოყენებით, რამაც საშუალება მოგვცა, მაქსიმალური სიზუსტით აღგვედგინა ნივთის სრული ფორმა. ბოლოს, რიტონი დაიფერა აკვარელის საღებავით. ჭურჭელი ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ძირითად ფონდში (საინვ. № 32-2005:15).

რესტავრაცია ჩაუტარდა ირმისგამოსახულებიან ნაცრისფერ რიტონსაც (ძვ.წ. III ს. საინვ. №32-2005:6), რომელიც აღმოჩენილია თელათგორის არქეოლოგიური გათხრების შედეგად. რიტონს ჩატარებული ჰქონდა პირველადი რესტავრაცია: ფრაგმენტები შეწებებული იყო, შეწებების ადგილებზე არსებული ნაპრალები კი -ამოვსებული თაბაშირის დაუმუშავებელი მასით (ტაბ. II-1, 2, 3, 4). ნაკლული ადგილები შეივსო თაბაშირით, მაგრამ ზოგიერთი ნაწილის (რქები) სრულყოფილად აღდგენა ვერ მოხერხდა, რადგან, დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, არ განირჩეოდა პირვანდელი ფორმა (ტაბ. II-4). რიტონს ერთი ფეხი შენარჩუნებული ჰქონდა, რის მიხედვითაც აღდგა დანარჩენი სამი ფეხის ფორმა. დაიფერა აკვარელით (ტაბ II-5, 6, 7). ნივთი ასევე ინახება არქეოლოგიის განყოფილების ძირითად ფონდში.

შემდეგი აღდგენილი ნივთია რიტონი ცხვრის გამოსახულებით, რომელიც აღმოჩენილია 1996 წელს მცხეთის დასავლეთით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სამადლოს ნაქალაქარზე და ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება [გაგოშიძე ი. 1981: 7]. რიტონი ხასიათდებოდა კარგად გამომწვარი წითელი კეცით, მსხვილი ტანით, მოკლე ფეხებით, პატარა თავით, დაგრაგნილი რქებით (ერთი რქა მოტეხილია). წინა ფეხებს შუა დატანებული ჰქონდა ნახვრეტი, ხოლო ზურგის დიდი ნაწილი, პირი და კუდი ჩამომტვრეული იყო. ირმის გამოსახულებიანი რიტონის ანალოგიურად ცხვრის გამოსახულებიან რიტონსაც ჩატარებული ჰქონდა პირველადი რესტავრაცია: შეწებებული და ნაწილობრივ დათაბაშირებული იყო (ტაბ. III-1, 2, 3). ფეხები და პირი აღდგა მსგავსი რიტონის საფუძველზე, დანარჩენი ნაწილები (რქა, კუდი) კი - ნივთზე შემორჩენილი ფორმების მიხედვით. ნაკლული ადგილები შეივსო თაბაშირით და დაიფერა აკვარელის საღებავით (ტაბ. III-4, 5, 6). ნივთი დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის დედოფლის მინდვრის ფონდში (საინვ. №: 72-314).

რესტავრაცია ჩაუტარდა ცხენისგამოსახულებიან რიტონსაც (ძვ.წ.IV-IIIსს.), რომელიც 1996 წელს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. ტახტიძირის ჩრდილოეთით მრავალფენიან ნამოსახლარზეა აღმოჩენილი. რიტონი წითელკეციანია, ფაფრიანი, გამოკვეთილი თვალებით, ნესტოებზე ნაჭდევებით, ლაგმით, აღვირით, უნაგირის შვერილებით, შეკრული, ახვეული კუდით, ზურგზე ფაფართან ნახვრეტით. რიტონი იყო არასრულყოფილად რესტავრირებული (შეწებებული) (ტაბ. IV-1, 2). მას შერჩენილი ჰქონდა ორი ფეხი, ყური, ფაფრის ნაწილი, უნაგირის ნაწილები. ნაკლული ადგილები შეივსო თაბაშირით ნივთის მთელი ნაწილების მიხედვით (ტაბ. IV- 3, 4, 5) და დაიფერა აკვარელის საღებავით (ტაბ. IV- 6, 7, 8). ამჟამად რიტონი გამოფენილია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის გამოფენაზე.

**Ekaterine Meskhidze**

The Georgian National Museum, Simon Janashia Museum
№3 Rustaveli Ave., 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: ekameskhidze@gmail.com

# Restoration-conservation of Rhytons Discovered in Shida Kartli Region

## Summary

Ceramic product is the most widespread achievement. Restoration practice of archaeological ceramic is one of the important link for the research. The major task of the restoration is to maintain shape of the thing and recover it. Conservation of restored thing is further protection from damaging and disintegration.

In this article it will be discussed restoration-conservation of a bull-headed rhyton, which was discovered during the archaeological expedition in "Tsikhiagora" settlement in Kaspi region, near the village Kavtiskhevi ($4^{th}$-$3^{th}$ cc. BC). Also, there will be reviewed restoration-conservation of a horse-imaged rhyton ($4^{th}$-$3^{th}$ cc. BC), which was discovered in a multilayer settlement in village Takhtisdziri (municipality of Kareli).

A sheep-imaged rhyton, which was discovered in Samadlo, (west side of Mtsketa (B.C IV-III)) will be reviewed as well.

Materials, discovered in Samadlo settlement, allows us to discuss almost all sides of spiritual and material culture of Iberia in the Hellenistic era.

A temple complex "Tsikhiagora" is unique. It was an important monument for research of Georgia's history and culture.

All above mentioned rhytons were fully restored. Especially in the bad condition was the bull-headed rhyton. The middle part of the bull's body practically did not exist. After carried out restoration works, the full form of the vessel was resumed.

These rhytons are kept in the funds of Simon Janashia Georgian Museum and were displayed in various thematic exhibitions several times.

## ბიბლიოგრაფია

**აბესაძე ც., ბახტაძე რ. 1963:** *სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია–კონსერვაცია.* თბილისი.

**გაგოშიძე ი. 1981:** *სამადლო. არქეოლოგიური მასალის კატალოგი.* თბილისი.

**მორჩაძე თ. 1979:** *შიდა ქართლის ანტიკური პერიოდის კერამიკა.* თბილისი.

**ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1980:** ტ.V. გვ. 472-473. თბილისი.
**ცქიტიშვილი გ. 2003:** *ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი*. თბილისი.
**Кирьянов А.В. 1960:** Реставрация археологических предметов. Москва.
ФармаковскийМ. В. 1947: Консервация музейных коллекций. Москва.

### ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. 1.**
**სურ. 1-4.** ციხიაგორას ხარისთავიანი რიტონი რესტავრაციის დროს.
**სურ. 5-6.** ციხიაგორას ხარისთავიანი რიტონი. რესტავრირებული.
**ტაბ. II**
**სურ. 1-4.** ირმის გამოსახულებიანი რიტონი რესტავრაციამდე.
**სურ. 5-7.** ირმის გამოსახულებიანი რიტონი. რესტავრირებული.
**ტაბ. III**
**სურ. 1-3.** ცხვრის გამოსახულებიანი რიტონი რესტავრაციამდე.
**სურ. 4-6.** ცხვრის გამოსახულებიანი რიტონი. რესტავრირებული.
**ტაბ. IV**
**სურ. 1-2.** ცხენის გამოსახულებიანი რიტონი რესტავრაციამდე.
**სურ. 3-5.** ცხენის გამოსახულებიანი რიტონი რესტავრაციის პროცესში.
**სურ. 6-8.** ცხენის გამოსახულებიანი რიტონი. რესტავრირებული.

### LIST OF ILLUSTRATIONS

**Tab. I**
**Fig. 1-4.** Bull-headed rhyton of "Tsikhiagora" during restoration.
**Fig. 5-6.** Bull-headed rhyton of "Tsikhiagora" - restored.
**Tab. II**
**Fig. 1-4.** Deer-imaged rhyton before restoration.
**Fig. 5-7.** Deer-imaged rhyton- restored.
**Tab. III**
**Fig. 1-3.** Sheep-imaged rhyton before restoration.
**Fig. 4-6.** sheep-imaged rhyton - restored.
**Tab. IV**
**Fig. 1-2.** Horse-imaged rhyton before restoration.
**Fig. 3-5.** Horse-imaged rhyton during the restoration.
**Fig. 6-8.** Horse-imaged rhyton -restored.

ტაბ. I **Tab.**



სურ.1 **Fig.**



სურ.2 **Fig.**



სურ.3 **Fig.**



სურ.4 **Fig.**



სურ.5 **Fig.**



სურ.6 **Fig.**



სურ.7 **Fig.**

ტაბ. II **Tab.**



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**

ტაბ. III Tab.



სურ.1 **Fig.**



სურ.2 **Fig.**



სურ.3 **Fig.**



სურ.4 **Fig.**



სურ.5 **Fig.**



სურ.6 **Fig.**

ტაბ. III Tab.



სურ.1 **Fig.**



სურ.2 **Fig.**



სურ.3 **Fig.**



სურ.4 **Fig.**



სურ.5 **Fig.**



სურ.6 **Fig.**



სურ.7 **Fig.**



სურ.8 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 417-424
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 417-424



**მარინე ბოკოჩაძე**

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: marinebokochadze@gmail.com

# სარკინეთის ქედის ფერდობებზე აღმოჩენილი ტერაკოტული ნიღბების რესტავრაცია - კონსერვაცია

რესტავრაცია-კონსერვაცია მჭიდრო კავშირშია არქეოლოგიასთან და ყველა სახის ძეგლთა დაცვას, პირველსაწყისი სახის შესაძლებელ აღდგენას, შენარჩუნებას ეხება. რესტავრაციის პირველი კვალი არქეოლოგიურ აღმოჩენებში დასტურდება. ცნობილია, რომ ადამიანი უძველესი დროიდან იყენებდა შესაწებებელ ნივთიერებებს და ახდენდა დაზიანებული ან გატეხილი ნივთების რესტავრაცია-კონსერვაციას.

რესტავრაციას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. სიტყვა რესტავრაცია წარმოდგება ლათინურ ზმნა restauro-დან, რაც ნიშნავს-*აღვადგენ*, აქედან, restauratio-*აღდგენა*. სიტყვა კონსერვაცია წარმოდგება ლათინურ ზმნა kounservo-დან, რაც ნიშნავს-*შენახვას*. [Фармаковский М. 1947: 5].

ნივთი რესტავრაციამდე ხშირად საჭიროებს გაწმენდას. ეს შეუქცევადი პროცესია. ზედაპირის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, ის დიდი სიფრთხილით იწმინდება.

კერამიკის ნაწარმი არქეოლოგიური გათხრების ყველაზე გავრცელებული მონაპოვარია. რესტავრატორებს, არქეოლოგების მსგავსად, არ მოეთხოვებათ ყველა სახის მოპოვებული მასალის ღრმა ცოდნა. აუცილებელია რესტავრატორისა და არქეოლოგების მჭიდრო თანამშრომლობა. რესტავრატორი მომპოვებელთან ერთად ადასტურებს ყველა ინფორმაციას ნივთის შესახებ.

კერამიკის ნივთების სარესტავრაციო სქემა ითვალისწინებს მასალის დამუშავების შემდეგ ეტაპებს:

1. ნივთის ვიზუალური დათვალიერება. განათხარი თიხის მასალის დამუშავების დროს დიდი ყურადღება ექცევა მისი გამოწვის ხარისხს. კარგად გამომწვარი თიხის ნაწარმი უფრო გამძლეა, ვიდრე ცუდად ან სრულიად გამოუწვარი. ამიტომ მისი შემდგომი დამუშავების დროს განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო.
2. დეტალური ლაბორატორიული დოკუმენტაციის შექმნა, ფოტოფიქსაცია.
3. მასალის გაწმენდა. [ქებულაძე ნ., კალანდაძე ნ. 2012: 409].

არქეოლოგიური კერამიკის ნედლეული თიხაა. მრავალი წლის განმავ-

ლობაში წარმოებდა დავა, თუ რა იყო თიხა–დანალექი მინერალი თუ ქანი, რომელიც შედგება სხვადასხვა მინერალის უმცირესი ნატეხებისაგან და ახასიათებს გარკვეული თვისებები. გაირკვა, რომ თიხა ნამდვილად კრისტალური მიკროელემენტებისაგან შედგება. მათი დანახვა შესაძლებელია მხოლოდ ულტრამიკროსკოპების საშუალებით.

თიხას შეუძლია დიდი რაოდენობით წყლის შთანთქმა. წყალი ჩადის ბზარებსა და კაპილარებში. წყლის შთანთქმის გამო თიხის შეკოწიწება გარკვეულ საზღვრამდე მატულობს და თიხა იძენს წებოვნებას.

წყალგამტარობა თიხებში მცირეა და ზოგჯერ ამ თვისებითაა განპირობებული მიწის ქერქში გაუვალი შრეების წარმოქმნა, მათ შორის, მიწისქვეშა წყლების, გაზის, ნავთისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის დაგროვება.

ჰაერზე გაშრობის ან გამოწვის დროს თიხას აქვს შეკუმშვის უნარი. ამ თვისებას შეიძლება მოჰყვეს გაბზარვა. ეს რომ არ მოხდეს, ახდენენ მათ „განზავებას“ ანუ „გამჭლევებას“, ე.ი. უმატებენ ისეთ მინარევებს, რომლებიც გამოწვისას არ იკუმშებიან. მაგ., ქვიშა.

თიხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება მისი ცეცხლგამძლეობაა, ე.ი. უნარი, გაუღლობლად გაუძლოს მაღალ ტემპერატურას.

თიხა თავისი განსაკუთრებული თვისებების გამო მეტად საჭირო ნედლეულია. ადამიანის ყურადღებას იგი, როგორც ადვილად მისაწვდომი მასალა, უხსოვარი დროიდან იქცევდა.

არქეოლოგიური კერამიკის მასალის პეტროგრაფიულმა კვლევამ დაგვანახა, რომ თიხის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიურმა პროცესებმა ჩვენში და საერთოდ, ყველგან განვითარების რთული გზა განვლო.

თიხის დამუშავების ტექნოლოგია განვითარების მაღალ დონეს აღწევს ანტიკურ პერიოდშივე. ამ დროისათვის დამახასიათებელია წითელკეციანი კერამიკა, წერნაქით შეღებილი, მოხატული, ზედაპირგაპრიალებული ფორმები. კერამიკის წარმოება საქართველოშიც განვითარების უმაღლეს საფეხურს ანტიკურ ხანაში (ძვ.წ. VI - ახ.წ. IV სს.) აღწევს [მორჩაძე თ. 1979].

სწორედ ანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი ტერაკოტული ნიღბები აღმოჩნდა სარკინეთის ქედის ფერდობებზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ტერაკოტა წარმოდგება სიტყვიდან terra-*მიწა*, თიხა და cotta-*გამოწვა*. ტერაკოტა ნიშნავს გამომწვარ მიწას. ტერაკოტულს უწოდებენ გამომწვარი თიხის თითქმის ყველა ნაკეთობას. ეს ნივთები მაგარია და წყალგაუმტარი.

ნაქალაქარი სარკინე მცხეთის დასავლეთით, შიომღვიმის მონასტრისაკენ მიმავალი გზის პირას, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს. სარკინე ქალაქი იხსენიება ქართულ საისტორიო წყაროებში. მისი არქეოლოგიური შესწავლა XX ს-ის 50-იან წლებში დაიწყო და სხვადასხვა ინტენსიურობით 90-იან წლებამდე გრძელდებოდა. გათხრების შედეგად გამოვლინდა ანტიკური ხანის ტაძრის ნაშთები, ტერასულად განლაგებული საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ნაგებობები, რომლებიც წითლად შეღებილი კრამიტით იყო გადახურული. გაითხარა თავდაცვითი სისტემის ნაწილი და კარიბჭე. კარიბჭეში დაფიქსირდა რკინის დიდი ფურცლებით შეჭედილი კარისა და საოქრომჭედლო სახელოსნოს ნაშთები. აქ აღმოჩენილი მასალიდან განსა-

კუთრებულ ინტერესს იწვევს მევენახეობისა და მეღვინეობის მფარველი ღვთაება დიონისესა და მის თანამგზავრ არიადნეს ტერაკოტული ქანდაკებები. ასეთი ქანდაკებები ანტიკური სამყაროსთვისაც კი უნიკალურად ითვლება. აქვეა აღმოჩენილი თიხის ნიღბები, რომლებსაც მეცნიერთა ნაწილი თეატრალურ ნიღბებად მიიჩნევს და, შესაბამისად, ისინი ქალაქ სარკინეში ანტიკური თეატრის არსებობას ვარაუდობენ [http://ambioni.ge].

ნიღაბი ძველთაგანვე ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემებით, ნიღბების არსებობა საქართველოში ძველთაგანვეა დამოწმებული. სარიტუალო ნიღბებს საქართველოში იყენებდნენ საახალწლო, ბერიკაობა-ყეენობა, ლაზარობა-გონჯაობისა და მიცვალებულთა სულებისადმი მიძღვნილ რიტუალებში, აგრეთვე შენობის ინტერიერის სამკაულად.

ვანში აღმოაჩინეს ანტიკური ხანის თეატრალური ნიღაბი, რომლის ერთი მხარე სიცილის გამომხატველია, მეორე კი–სერიოზული გამომეტყველებისა. ამ ნიღბების მსგავსება ძველ ბერძნულ ნიღბებთან მოწმობს, რომ საქართველოში იცნობდნენ ანტიკურ თეატრალურ სანახაობათა კულტურას [http://Ka.Sciencegraph.net].

ანტიკური საბერძნეთის თეატრი და დრამა თეატრალური კულტურაა, რომელიც განვითარებული იყო ძველ საბერძნეთში ძვ.წ. 700 წელს. აქ იმართებოდა ფესტივალი *დიონისია*–ღმერთ დიონისეს პატივსაცემად. სამასამდე თეატრალური ნიღაბი, რომლებიც თარიღდება ძვ.წ. I ს-ით, აღმოჩენილია სიცილიაზე, ქალაქ ლიპარიის სამაროვანში (სურ. 1, 2). ამ უნიკალური ნიღბების კოლექციამ მეცნიერებს საშუალება მისცა, აღედგინათ სრული სურათი ძველი ბერძნული თეატრისა, საიდანაც სათავეს იღებს თანამედროვე ევროპული თეატრი [http://en.m.wikipedia.org.]

სარკინეთის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, თხრილში, გამოვლენილია ხის ნაგებობის მცირე ნაწილი, რომლის ჩალეწილი კრამიტის სახურავის ქვეშ, იატაკის დონეზე, აღმოჩნდა თიხის ნიღბებისა და ქანდაკებების ნატეხები. ნიღბების ნატეხთაგან ექვსი–მეტ-ნაკლები სისრულით, ხოლო ერთი ნაწილობრივ აღდგა.

ყველა ნიღაბი და გამოსახულება დამზადებულია ყალიბში, სუფთა, განლექილი თიხისაგან. შიგნითა მხრიდან ძალიან კარგად ეტყობა ყალიბში ამოყვანის დროს თითების ანაბეჭდი და მუშაობის კვალი. ნიღბების კეცი გამომწვარია არათანაბრად, მოყვითალო-მოწითალო ფერისაა. ყველა ისინი წითელი საღებავით იყო შეღებილი.

ბერძნულ-რომაული სტილით ნაკეთები მამაკაცისა და ქალის ქანდაკებები უნდა იყოს მევენახეობა-მეღვინეობის მფარველი ღვთაების–დიონისესა და მისი მეუღლის–არიადნეს გამოსახულებები (სურ. 3, 4). დანარჩენი ნიღბები, სავარაუდოდ, ადგილობრივი ტიპაჟის გადმოცემის ცდაა. ეს, უპირველესად, ითქმის მამაკაცის ნიღაბზე, რომლის კეხიანსა და შუბლთან ჩაჭყლეტილ ცხვირს, შეჭმუხნილ შუბლს, ფართო სახეს არავითარი საერთო არ უჩანს ბერძნულ-რომაულ სამყაროში გავრცელებულ ნიღბებთან. აქ უნდა გვქონდეს ცდა ელინისტური სამყაროს გავლენის შერწყმისა ადგილობრივ კულტურასთან.

დიონისესა და არიადნეს გამოსახულებათა გარდა, ყველა სხვა გამოსახულე-

ბა-ნიღაბი ასე ვთქვათ, მოძრაობაშია მოცემული და თითქმის ყველა მღერის (სურ. 5, 7, 8) შესაძლოა, გვეფიქრა, რომ, ელინისტური ხანის ნიღბების მსგავსად, სარკინეში აღმოჩენილი ნიღბები, რომლებიც ძლიერ ემოციებსა და მდიდრულ მიმიკებს გადმოსცემენ, მსახიობის ნიღბებია. ასეთ შთაბეჭდილებას გამორიცხავს ის გარემოება, რომ სარკინეში აღმოჩენილ არც ერთ ნიღაბს თვალების ადგილზე ნახვრეტები არა აქვს დატოვებული. ეს ნიღბები ნაგებობაში ინტერიერის დეკორად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ყველა ნიღაბს უკანა მხარეს, კეფის არეში, ორი ნახვრეტი აქვს. ამ ნახვრეტებში გაყრილი ზონრით ნიღბები კედელზე მაგრდებოდა. ნაგებობა კი, რომლის ნანგრევებშიც ნიღბები აღმოჩნდა, ხისა ყოფილა და კულტურულ-ადმინისტრაციული დანიშნულება უნდა ჰქონოდა. მოპოვებული მასალა მოწმობს, რომ განათხარი ელინისტური ხანის გასულისა უნდა იყოს და ძვ. წ. II-I სს-ს მიეკუთვნება [ ბოხოჩაძე ა. 1973:37-44].

სარკინეთის ნაქალაქარში 1950-1990 წლების გათხრების დროს აღმოჩენილი ტერაკოტული ნიღბები ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური დეპარტამენტის ძირითად ფონდში. ექვს, მეტ-ნაკლები სისრულით აღდგენილ, ნიღაბთაგან ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში სამს ჩაუტარდა რესტავრაცია. სრული სახით აღდგა ქალის ორი (საინვ. №№ 48-975:9; 48-975:10) (სურ. 5, 6, 7, 8) და მამაკაცის ერთ ნიღაბი (საინვ. №№ 48-975:11) (სურ. 9, 10).

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სარესტავრაციო ლაბორატორიაში მიმდინარე სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები მიზნად ისახავს ძეგლების როგორც გარეგნული სახის აღდგენას, ისე მათი მასალისა და დამზადების ტექნოლოგიის გამოკვლევა-დადგენას. რესტავრაცია ითვალისწინებს დაზიანებული არტეფაქტების აღდგენა-გამაგრებას მათი ისტორიულ-მხატვრული ღირებულების შენარჩუნების მიზნით.

რესტავრაციის დაწყებამდე ნიღბები გაიწმინდა გამოხდილი წყლით, სველი ნაჭრისა და რბილი ჯაგრისის საშუალებით. სამუშაოს დაწყებამდე შესწავლილ იქნა დაზიანებული ადგილები, რათა სწორად ჩატარებულიყო რესტავრაცია.

მამაკაცის ნიღაბს აღენიშნებოდა დაზიანება პირის, ნიკაპისა და ლოყის მიდამოებში. აგრეთვე პატარა ნაკლული ადგილი თავზე, ე.წ. ქუდზე, ქალის ნიღბებს კი–პირთან, ცხვირსა და ლოყებთან.

ნიღბების მდგომარეობის შესწავლის შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ისინი არ საჭიროებდნენ დაშლასა და ხელახლა შეწებებას. პირველადი რესტავრაცია ჩატარდა კარგად და საფუძვლიანად. უკანა მხარეს, კიდევ უფრო მეტი სიმყარისთვის, მიწებდა მარლა. საჭირო გახდა მხოლოდ ნაკლული ადგილების შევსება, რომლებიც ამოივსო თაბაშირით.

დათაბაშირების პროცესს წინ უსწრებს ცარიელ ადგილებზე სათანადო ფორმის გამოყვანა. ამისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ პლასტელინი ან ალუმინის სქელი ქაღალდი. ისინი მაგრდება ცარიელ ადგილებზე უკანა მხრიდან, ხოლო შემდეგ კოვზის ან შპატელის საშუალებით ესმება თაბაშირის ფაფა. თაბაშირის გამაგრებამდე ოდნავ სველ მდგომარეობაში მყოფს აშორებენ ქვემოდან პლასტელინს ან ალუმინის ქაღალდს, ხოლო ზედმეტ თაბაშირს სათანადო იარაღების დახმარებით აშორებენ და ასწორებენ [ აბესაძე ც., ბახტაძე რ. 1962:54].

ჩვენს შემთხვევაში ქალის ნიღაბზე ცხვირის აღსადგენად საჭირო გახდა ყალიბის დამზადება, რისთვისაც გამოვიყენეთ სქელი ალუმინის ქაღალდი (ე.წ. ფოლგა). ფორმების მისაღებად თაბაშირი დამუშავდა ლანცეტისა და სხვადასხვა ზომის ქლიბისა და საჭრისების საშუალებით. ზედაპირის სიპრიალის მისაღებად გამოვიყენეთ აბრაზივი. სამუშაოს დამთავრების შემდეგ, რასაც საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, ნიღბები ხელახლა გაიწმინდა წყლით თაბაშირის ნარჩენების მოსაცილებლად. ამის შემდეგ აღდგენილი ნაწილები დაიფერა შესაბამისი ფერის აკვარელის საღებავით.

ამჟამად მამაკაცის ნიღაბი გამოფენილია სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის საგამოფენო სივრცეში, ხოლო ქალის ნიღბები ინახება არქეოლოგიური დეპარტამენტის ძირითად ფონდში.

**RESTORATOIN-CONSERVATION**


**Marina Bokochadze**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: marinebokochadze@gmail.com


# Restoration-Conservation of Terracotta Masks Uncovered at Sarkineti Ridge Slope on the Left Bank of the River Mtkvari

## Summary


In the article the restoration-conservation of Terracotta masks uncovered at Sarkineti Ridge Slope on the left bank of the River Mtkvari is reviewed.

Sarkine is a large Mtskheta district. It is located in the west of Kaloubani of Mtskheta-on Savaneti Ridge and Long Field.

According to ancient Georgian historic sources, Sarkine was considered to be a large Mtskheta district or an independent city. Archaeological excavations do not prove the latter supposition. When Sarkine Mtskheta was a capital city, even later in the 70`s, there were found Terracotta masks. Terraced ruins of worshiping and dwelling buildings constructed with terraced stones, mud bricks and wood material, were found in Sarkine. They were roofed with red colored clay tiles. Clay masks, Dionise`s and Ariadne`s statues were uncovered on the floor level on the territory of the old settlement. Besides those objects glassware, red varnish bowls, bone jewelry, gold beads, silver bell and many other artefacts were found there. Obtained material is dated back to the $2^{nd}$-$1^{st}$ centuries BC.

All masks and images were made of pure clay. Masks were burned unevenly

and are of yellowish-reddish color. They were painted with red paint. One mask has been restored completely and six ones - partically.

Later three masks, one of a man and two of women were fully restored. These masks now are exhibited at the special exhibition space in S. Janashia Georgian Museum.

## ბიბლიოგრაფია


**აბესაძე ც., ბახტაძე რ. 1962 :** *სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაცია.* თბილისი

**ბოხოჩაძე ა. 1973 :** ნასტაკისი, სარკინე, ძალისი. *ჟურ. „ძეგლის მეგობარი“* № 33. თბილისი

**მორჩაძე თ. 1979 :** *შიდა ქართლის ანტიკური პერიოდის კერამიკა.* თბილისი

**ქებულაძე ნ., კალანდაძე ნ. 2012 :** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის რესტავრაცია–კონსერვაცია და შემდგომი კვლევის შედეგები. *სემმ.* თბილისი

**Фармаковский М. 1947 :** Консервация и реставрация музейных коллекций**.** Москва

http://children.dsl.ge/istoria/kultura/teatri.htm

http://ambioni.ge/mcxetis-zeglebs-unescos-siidan-amoreba-emuqreba


## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** ბიჭის თეატრალური ნიღაბი. ძვ. წ. I ს. ქ. ლიპარი, სიცილია.

**სურ. 2.** ქალის თეატრალური ნიღაბი. ძვ. წ. I ს. ქ. ლიპარი, სიცილია.

**სურ. 3.** მევენახეობა-მეღვინეობის მფარველი ღვთაება დიონისე, ძვ. წ. II-I სს, სარკინე.

**სურ. 4.** მევენახეობა-მეღვინეობის მფარველი ღვთაების დიონისეს მეუღლე არიადნე ძვ. წ. II-I სს, სარკინე.

**სურ. 5.** ქალის ნიღაბი. ძვ. წ. II-I სს. რესტავრაციამდე. სარკინე.

**სურ. 6.** ქალის ნიღაბი. ძვ. წ. II-I სს. რესტავრაციის შემდეგ. სარკინე.

**სურ. 7.** ქალის ნიღაბი. ძვ. წ. II-I სს. რესტავრაციამდე. სარკინე.

**სურ. 8.** ქალის ნიღაბი. ძვ. წ. II-I სს. რესტავრაციის შემდეგ. სარკინე.

**სურ. 9.** მამაკაცის ნიღაბი. ძვ. წ. II-I სს. რესტავრაციამდე. სარკინე.

**სურ. 10.** მამაკაცის ნიღაბი. ძვ. წ. II-I სს. რესტავრაციის შემდეგ. სარკინე.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Pig. 1.** Boy`s theatrical mask. $1^{st}$ c. BC. Lipari. Sicily.
**Pig. 2.** Woman`s theatrical mask. $1^{st}$ c. BC. Lipari. Sicily.
**Pig. 3.** Wine protecting god Dionysus. $2^{nd}$-$1^{st}$ cc.BC. Sarkine.
**Pig. 4.** Wine protecting god Dionysus wife Ariadne. $2^{nd}$-$1^{st}$ cc. BC. Sarkine.
**Pig. 5.** Woman`s mask. $2^{nd}$-$1^{st}$ cc.BC. before restoration. Sarkine.
**Pig. 6.** Woman`s mask. $2^{nd}$-$1^{st}$ cc.BC. after restoration. Sarkine.
**Pig. 7.** Woman`s mask. $2^{nd}$-$1^{st}$ cc.BC. before restoration. Sarkine.
**Pig. 8.** Woman`s mask. $2^{nd}$-$1^{st}$ cc.BC. after restoration. Sarkine.
**Pig. 9.** Man`s mask. $2^{nd}$-$1^{st}$ cc.BC. before restoration. Sarkine.
**Pig. 10.** Man`s mask. $2^{nd}$-$1^{st}$ cc. BC. after restoration. Sarkine.



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**



სურ. 5 **Fig.**



სურ. 6 **Fig.**



სურ. 7 **Fig.**



სურ. 8 **Fig.**



სურ. 9 **Fig.**



სურ. 10 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 425-432
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 425-432

**რესტავრაცია-კონსერვაცია**

**მანანა პაპიძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიშვილის ქუჩა 1, 0105. თბილისი, საქართველო
ელფოსტა: eka75@ rambler.ru

# საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული მიტრის რესტავრაცია-კონსერვაცია

მუზეუმის თანამშრომელთა ძირითადი საქმიანობა ექსპონატების გამოფენა, მოვლა და დაცვაა. ამიტომ ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლების რესტავრაცია მათი უპირველესი ზრუნვის საგანია.

სამუზეუმო ქსოვილების რესტავრაციის საფუძველია სხვადასხვა პროცესის ერთობლიობა. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამ ძირითად მეთოდს: კონსერვაციულს, ანალიტიკურსა და სინთეტიკურს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპონატის მდგომარეობა საგანგაშოა, წინასწარი გამოკვლევის შემდეგ გადაწყდება მისი კონსერვაციის აუცილებლობა. ამ დროს ხდება ექსპონატის დეტალური ფოტოფიქსაცია, შეისწავლება მის შესახებ არსებული დოკუმენტური წყაროები, დაცულობა, ტექნიკა-ტექნოლოგია, მისი ფოტოსურათები (თუ ასეთი დოკუმენტები არსებობს). ისტორიულად მნიშვნელოვანი ძეგლების გადასარჩენად გამოიყენება კონსერვაციის ის მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა, შენარჩუნდეს ისტორიულ–მხატვრული ღირებულების ფენები (სარჩული, საფენი, ქსოვილი), საგულდაგულოდ გამაგრდება უძველესი ნაწილები. ექსპონატის გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ. სხვადასხვა ტიპის ექსპონატი მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას. კონსერვაციის მიზანი, ნივთის აღდგენის პარალელურად, მისი შემდგომი დაზიანების თავიდან აცილებაა. ამ პროცესის დაჩქარება ან შეჩერება დამოკიდებულია ექსპონატის მდგომარეობაზე.

ანალიტიკური მეთოდის გამოყენებისას ექსპონატი განიხილება როგორც სამეცნიერო დოკუმენტი და ისტორიული წყარო. ამ დროს რესტავრაციის პარალელურად ხდება მისი შესწავლაც, რომლის ძირითადი მიზანია ექსპონატის „წაკითხვა" როგორც ვიზუალურ, ასევე ისტორიულსა და საარქივო მასალაზე დაყრდნობით. ამავე დროს, ხდება მისი გამოკვლევა ტექნიკურადაც სპეციალური ხელსაწყოების დახმარებით. სპეციალისტები შეისწავლიან დაზიანების ხარისხსა და გამომწვევ მიზეზებს, იყენებენ აპრობირებულ მეთოდებს მათს შესაჩერებლად და შემდგომი დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

რაც შეეხება სინთეტიკურ მეთოდს, იგი გამოიყენება გამონაკლის შემთხვევაში და ითვალისწინებს ძეგლის მთლიან რესტავრაცია-

რეკონსტრუქციას. ფიზიკურ-ქიმიური მეთოდის მეშვეობით სარესტავრაციო მასალად შეიძლება შეირჩეს განსხვავებული, მაგრამ გარეგნულად დედნის მასალასთან საკმაოდ მიახლოებული ქსოვილი.

ხშირად ექსპონატების შენახვისა და მათთვის ოპტიმალური პირობების შექმნის საშუალება რესტავრატორთა შესაძლებლობებს აღემატება, რადგან თითოეულ ექსპონატს თავისი "ცხოვრება" აქვს. რესტავრაცია საკმაოდ რთული პროცესია. კლიმატი, დამაბინძურებლები, ტემპერატურისა და ტენიანობის მკვეთრი ცვლილება, ულტრაიისფერი სხივები – გამანადგურებლად მოქმედებს ექსპონატზე. იგი კარგავს ძირითად თვისებებს: სიმყარეს, ელასტიკურობას, სირბილეს. ყველაფერი ეს კი იწვევს ქსოვილის სტრუქტურის რღვევასა და დაზიანებას.

ქსოვილებზე განსაკუთრებით გამანადგურებლად მოქმედებს ობის სოკოები. მათ შესასწავლად და გამოსავლენად ჩატარებულია კვლევითი სამუშაოები სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის თანამშრომელთა მიერ [ცაგარეიშვილი გ. 1988:108]. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ობის სოკოები მრავლდება ჭარბი ტენიანობის პირობებში. მათი ზოგიერთი სახეობა, კერძოდ ასპერგილიუსი, ცნობილია როგორც ადამიანის ბრონქების, ფილტვებისა და სხვა შინაგანი ორგანოების დაავადებათა გამომწვევი [ცაგარეიშვილი გ. 1988: 108]. ამასთანავე, ობის სოკოები იწვევენ ქსოვილის ბოჭკოს დაშლასა და რღვევას, აუარესებენ ქსოვილის ხარისხს, აძლევენ არასასურველ (ლურჯი, მწვანე, მოყვითალო-მოყავისფრო) შეფერილობას, რაც არ შორდება არანაირი მექანიკური საშუალებით. ამ დროს ერთადერთი გამოსავალია რესტავრაციამდე ქსოვილის დამუშავება იმ ქიმიური ხსნარით, რომელიც შეესაბამება ქსოვილს, ე.ი. არ შეუცვლის ფერს და გაამყარებას მას. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ობის სოკოთი დაავადებული ქსოვილის დაუყოვნებლივ იზოლირება სხვა ექსპონატებისაგან. სამუშაო აუცილებლად უნდა შეასრულოს და სათანადო ქიმიური ნივთიერება შეარჩიოს სპეციალისტმა – ქიმიკოსმა (მიკოლოგმა).

მუზეუმში დაცულ ქსოვილებს სხვა მტერიც ჰყავს. ესაა მავნე მწერების მრავალი სახეობა (ჩრჩილი, რკილი, ხოჭო). მათგან მიყენებული ზიანი იმდენად დიდია, რომ ექსპონატი თავდაპირველ იერს კარგავს. სხვა მწერებისაგან განსხვავებით, ჩრჩილები მრავლდებიან მთელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც მათი ცხოვრებისა და გამრავლებისათვის საჭირო ტენი და ტემპერატურაა. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად არსებობს ქიმიურ-ფიზიკური და მექანიკური მეთოდები, რომელთაც ასევე იყენებს შესაბამისი სპეციალისტი.მხოლოდ ამ სამუშაოთა შესრულების შემდეგაა დასაშვები ოპტიმალური რესტავრაცია-კონსერვაციის დაწყება.

სამუზეუმო საქმიანობისას გვხვდება სხვადასხვა ხარისხის დაცულობის ქსოვილები, მათი დაზიანების მიზეზებიც სხვადასხვაგვარია. დაბინძურებულ ქსოვილებზე დაზიანება განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობს. არსებობს სხვადასხვა სახის დაზიანება: მექანიკური, ზედაპირული (ცვილისა და ცხიმის ლაქები), აგრეთვე არასწორი რესტავრაციის შედეგად არასასურველი ხარისხის წებოს გამოყენებით მიღებული დაზიანებები. ამიტომ, თავდაპირველად, აუცილებელია ქსოვილის გაწმენდა-გასუფთავება. არსებობს წმენდის მშრალი, სველი და კომბინირებული მეთოდები.

მშრალად წმენდენ მაშინ, როდესაც ქსოვილი დაბინძურებულია მტვრით. ამ დროს გამოიყენება ჯაგრისი, ფუნჯი ან მტვერსასრუტი (ხალიჩებისათვის). სველი მეთოდი გამოიყენება განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ქსოვილი ზედმეტადაა დაბინძურებული და არცთუ ისე საგანგაშოდ დაზიანებული. წმენდის სველი მეთოდებისას იყენებენ სპეციალურ აბაზანას და იჩენენ მეტ სიფრთხილეს. რეცხავენ მხოლოდ და მხოლოდ სუფთა და რბილი (დისტელირებული) წყლითა და სპეციალური საპნით.

რაც შეეხება კომბინირებულ მეთოდს, იგი გამოიყენება მაშინ, თუ ექსპონატი სხვადასხვა სახის ქსოვილისგანაა შედგენილი და, შესაბამისად, დაცულობითაც განსხვავდება. დალაქავებული ან დაბინძურებული ქსოვილის გასაწმენდად უნდა გამოვიყენოთ ის საშუალებები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება როგორც ქსოვილის, ასევე მისი დაბინძურების ხარისხს.

ბევრი ექსპონატი ხანდაზმულობის ან არასწორი შენახვის გამო ზიანდება. ამ დროს კონსერვაციასთან ერთად ხდება მისი რესტავრაციაც – ნივთის გარეგნული სახის აღდგენა. აღსანიშნავია, რომ ქსოვილების რესტავრაცია-კონსერვაციის დროს წებოს, ე. წ. კლეისტერს ფართოდ იყენებდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მუზეუმში. ამ მეთოდის მომხრე იყო ნ. სემენოვიჩი, რომელიც რესტავრაციის ყველაზე ეფექტურ მეთოდად თვლიდა ტულის ქსოვილზე ექსპონატის დუბლირებას (დამაგრებას) წებოს მეშვეობით. მან თეორიულად დაასაბუთა ეს მეთოდი და დაამტკიცა მისი უპირატესობა [Семенович Н. 1961: 47]. ამ მეთოდით რესტავრირებული ქსოვილები ჩვენს მუზეუმშიცაა, თუმცა, როგორც შემდგომ გაირკვა, დროთა განმავლობაში წებომ ქსოვილი გამოაშრო და მისი სტრუქტურა დაშალა. სწორედ ამ მიზეზის გამო სემენოვიჩის მეთოდი ჩვენთან არ დაინერგა.

რესტავრაციის დროს გასათვალისწინებელია აგრეთვე ქსოვილისა და გარემო პირობებისადმი მისი მდგრადობის ხარისხი, ასევე ნივთის პირველსახე. მუშაობის დროს გამორიცხულია რაიმე გაუთვალისწინებელი შეცდომის დაშვება. სწორედ ამიტომ რესტავრაცია სამუზეუმო ექსპონატებისადმი სერიოზულ მიდგომას მოითხოვს. საჭიროა ამა თუ იმ მეთოდის სწორად შერჩევა და გამოყენება.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების კოლექციების ფონდში ქართული მხატვრული ქარგვის მრავალფეროვანი ნიმუშებია დაცული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა ტიპის ექსპონატი რესტავრაციის ინდივიდუალურ მეთოდს მოითხოვს. ასე მოხდა, როდესაც გადმომეცა სამღვდელმთავრო მიტრა (სხმ/ნ 4456), ის უკავშირდება როსტომ მეფის თანამეცხედრის - მარიამ დადიანის (1632 - 1682 წწ.) სახელს.

მიტრა სამღვდელმთავრო შესამოსლის ერთ-ერთი ნაწილია. ღვთისმსახურებაში კი სამოსელს უდიდესი სულიერ-სიმბოლური დატვირთვა აქვს. მიტრა ღვთისმსახურებაში ქრისტიანობის გავრცელების პირველი საუკუნეებიდანვე ჩნდება. მისი ფორმა და გამოყენების წესი მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიის განმავლობაში იცვლებოდა. იოანე ღვთისმეტყველი და იაკობი ძველი სჯულის სამღვდელოთა კიდარის მსგავსად იხურავდნენ გვირგვინის მაგვარ მოქსოვილ, ანუ შეგრეხილ თავსაბურავს. მიტრა სამეფო გვირგვინის სახეს IV ს-ში იღებს, ხოლო მისი

ქარგულობით შემკობა პირველად კონსტანტინეპოლის პატრიარქმა იოანე კაბადოკიელმა სცადა.

„მიტრა არს ნიში დიდებისა უფლისა და ხელმწიფება მის მიერ მოცემული მსახურთა თვისთათვის განსანათლებლად დიდებისათვის მისისა“, - განმარტავს იოანე ბატონიშვილი [ბატონიშვილი ი. 1991: 539].

მიტრის დამკვიდრებას სამღდელმთავრო შესამოსელში უკავშირებენ კეთილმორწმუნე მეფის - კონსტანტინეს სახელსაც, რომელმაც „გვირგვინის სახედ ქმნილი ოქროითა და თვლებითა მოოჭვილი მიტრა“ უბოძა რომის პაპს, სილიბისტროს, სამეფო ტახტის ახალ რომში, ანუ კონსტანტინეპოლში გადმოტანასთან დაკავშირებით. [ბატონიშვილი 1991: 539]. ამ მოვლენის შემდეგ ალექსანდრიის პატრიარქ კირილესა და სხვა ეპისკოპოსებსაც მიეცათ მიტრის ტარების უფლება.

XVII ს-დან მიტრამ შუბლის ვიწრო სარტყელზე დაფუძნებული და ზედა მხარეს გაფართოებული სფერული ქუდის ფორმა მიიღო. ამგვარი ქუდები რუსულ ეკლესიაში XVIII ს-დან ჩნდება და ამჟამად მთელ მართლმადიდებლურ სამყაროშია გავრცელებული. ისინი ინარჩუნებენ ძველაღთქმისეული მღვდელმთავრის თავსამკაულის ფორმას, ხოლო მათზე გამოსახული კომპოზიციები ხსნიან მიტრის სიმბოლურ მნიშვნელობას.

რაც შეეხება ჩვენთვის სარესტავრაციოდ გადმოცემულ მიტრას, რესტავრაცია დავიწყეთ ექსპონატის ფოტოფიქსაციით. იგი ცარგვალის მიმართულებით ოდნავ გაშლილი, ცილინდრული ფორმისაა. შედარებით უკეთ იყო შემონახული მისი ძირითადი ნაწილი, სადაც წარმოდგენილია „ხარების“ კომპოზიცია (სურ.1), რომელიც იშლება ვერცხლმკედით ნაქარგ მიწარზე. წინა პლანზე მოცემულია ფეხზე მდგომი წმინდა მარიამის ფიგურა თითისტარით ხელში. უკან მოჩანს ტახტრევანი. ღვთისმშობლის შარავანდთან მკაფიოდ იკითხება ასომთავრული წარწერა: “ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ა“.

სასურათე სიბრტყეზე, ღვთისმშობლის საპირისპიროდ, გამოსახულია ოდნავ ფრთებგაშლილი მახარებელი გაბრიელ მთავარანგელოზი, რომელიც ღვთისმშობლისაკენ მიემართება წინ გაწვდილი მარჯვენითა და მარცხენა ხელში შროშანით. ფიგურას ახლავს ასომთავრული წარწერა- „გ(აბრიე)ლ“, რომელიც ასევე კარგადაა შემონახული. წმინდა მარიამსა და მახარებელ ანგელოზს შორის გამოსახულია ცის სეგმენტიდან დაშვებული სულიწმიდა მტრედის სახით. ეს გამოსახულება, ისევე, როგორც მახარებლის ფერხთით მდგარი ლარნაკი ყვავილით, ნაქარგია ოქროს თმით და გაწყობილია სხმული მარგალიტით. ვერცხლმკედით ნაქარგ ფონზე ფიგურები შესრულებულია ოქროს თმით. ნაქარგობა კარგადაა შემონახული და რესტავრაციას არ საჭიროებდა. სხმული მარგალიტები ხაზს უსვამენ სამოსის ნაოჭებსა და დრაპირებას. ისინი გამოყენებულია ფიგურის კონტურების გამოსაკვეთად. ცალკეულ ადგილებში მარგალიტები აკლია. მიტრაზე მოცემული ყველა პერსონაჟის სახე და ხელები ზეზითაა ნაქარგი. ამავე ტექნიკითაა შესრულებული „ხარების“ კომპოზიცია, ოქროს თმით ნაქარგ მიწარზე წარმოდგენილი დეკორი და ოთხფრთედები. ნაქარგობის ყველა სახე მიტრის ძირითად ნაწილზე კარგადაა შემონახული. რაც შეეხება სხმულ მარგალიტებს, რესტავრაციისას მათი შევსება ვერ მოხერხდა სათანადო მასალის უქონლობის გამო.

ზედა მხარე, რომელსაც მიტრის ცარგვალს უწოდებენ, დაშლილი ქსოვილის მცირე ნაწილია - ცენტრში შედარებით უკეთ შემონახული და წრეში

ჩაწერილი მაცხოვრის გამოსახულებით (სურ. 2). ნაქარგობა ამ ადგილას კარგი იყო და რესტავრაციას არ საჭიროებდა. გამოსახულია მაცხოვრის ნახევარფიგურა, გრძელი ყავისფერი თმა-წვერითა და მაკურთხებელი ხელებით.გამოსახულებისკონტურებისხმულიმარგალიტებითააგაწყობილი. მიწარი შესრულებულია ვერცხლის თმით, მაცხოვრის სამოსი კი - ოქროს თმით. საბედნიეროდ, ნაქარგობა დაზიანებას გადაურჩა.ქსოვილი, რომელიც მიტრის ცარგვალზეა გადაჭიმული, საკმაოდ განსხვავდება ძირითადისგან. როგორც რესტავრაციისას გაირკვა, ეს ქსოვილი დამაგრებული ყოფილა წებოს საშუალებით. სწორედ ამან გამოიწვია მასში ტენიანობის შემცირება, გამოშრობა და დეფორმირება. ამიტომ გამოვიყენეთ ექსპონატის გაწმენდის კომბინირებული მეთოდი. ქსოვილი დიდი სიფრთხილით გაიწმინდა გამოხდილ წყალში დასველებული დოლბანდით, მოსცილდა წებოს ნარჩენები, დამაგრდა შესაბამის საფენ ქსოვილზე და შეძლებისდაგვარად აღდგა მისი მთლიანობა. თუმცა, ძირითადი ქსოვილი სიძველისა და წებოს ზემოქმედების გამო კვლავ იშლება.

მაცხოვრის ფიგურა გარშემორტყმული იყო ვერცხლის თვალბუდეებში ჩასმული ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვების რკალით. ასეთივე რკალით ყოფილა გაწყობილი მიტრის ცარგვალის კიდე და ქვედა სარტყელი. რკალების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ექსპონატზე შემორჩენილი, დანარჩენი კი ახლდა. ჩვენ შევეცადეთ ზუსტად და თანმიმდევრულად აღგვედგინა აღნიშნული რკალები და დავამაგრეთ თავდაპირველადგილზე.

ცნობილია, რომ რესტავრაციისას ბევრი რამ ნათელი ხდება და ნივთის ახლებურად დანახვის შესაძლებლობა ეძლევა რესტავრატორს. როგორც გაირკვა, ეს მასალა, თავდაპირველად, მიტრისთვის არ ყოფილა გათვალისწინებული, რაზეც მიუთითებდა რამდენიმე დეტალი, კერძოდ, მახარებლის გამოსახულებიანი ქვედა ჰორიზონტალური კიდის აცდენა რკალიდან და მაცხოვრის გამოსახვისას ცენტრალური ღერძის გადაადგილება, რითაც ქსოვილის მთლიანობა იყო დარღვეული. ქსოვილის სხვადასხვა ნაწილზე ნაქარგობა შესრულებულია განსხვავებული ტექნიკითა და ხარისხით. ოქრომკედითა და ვერცხლმკედით ნაქარგი კარგად იყო შემონახული და რესტავრაციას არ საჭიროებდა. მიწარი, რომელზედაც ამოქარგულია ძირითადი კომპოზიცია ტრაპეციულია, რაც გვაგონებს საეკლესიო სამოსელის დეტალის – საბუხარისათვის ტრადიციულ ფორმას. ნაქარგობის ერთი ნიმუშისთვის განკუთვნილი კომპოზიცია ან ფიგურები ხშირად გამოიყენებოდა სხვა ნივთის აღსადგენად ან შესაქმნელად. ამის მაგალითები ქართული მხატვრული ქარგვის ისტორიაში არაერთია.

სავარაუდოა, რომ მიტრის ტრადიციული ზომის მისაღწევად ოსტატმა ნაქარგობის “ამაღლების“ მიზნით, ქვედა ნაწილზე მთლიანად შემოავლო სტილიზებული ორნამენტული ოლე, რომელიც ყავისფერ აბრეშუმზე ვერცხლმკედითაა ამოქარგული. აღნიშნული ოლე საკმაოდ დაზიანებული იყო. შიდა მხარე გაიწმინდა გამოხდილ წყალში დასველებული დოლბანდით, მოსცილდა დაშლილი სარჩულის ნარჩენები, დაკვირვებით შეირჩა შესაფერისი საფენი ქსოვილი და აღდგა ორნამენტებს შორის დაზიანებული ადგილები. უნდა აღინიშნოს, რომ ვერცხლმკედი აქაც კარგადაა შემონახული. რესტავრირებულ ოლეს შემოევლო ვერცხლის თვალბუდეებში ჩასმული თვლების რკალი, რომელიც, ისევე, როგორც ცარგვალის კიდეზე, თანმიმდევრულად აღდგა. ორნამენტულმა ოლემ უწინდელი სახე მიიღო.

ძლიერ იყო დაზიანებული მიტრის შიდა მხარე (სურ.3). სარჩულის ნარჩენები მოიხსნა, სადაც დაგროვებული იყო მტვრის ქვიშისებური მასა. როგორც რესტავრაციისას გაირკვა, მიტრის შექმნისას გამოუყენებიათ წებო. ამიტომ მტვრის ამგვარი წარმონაქმნი მივიჩნიეთ წებოსა და დაშლილი ქსოვილის ნარჩენებად. შესაძლებელია, მიტრა, განსაკუთრებით მისი ცარგვალი, სწორედ წებოს გამო დაზიანდა, რადგან მისი მეშვეობით ქსოვილმა დაკარგა ელასტიკურობა და გამოშრა, რამაც გამოიწვია მისი დაშლა.

რესტავრაციისას ექსპონატების გასაწმენდად იყენებენ ქიმიურ ნივთიერებებსაც, რომლებიც ხშირად ქსოვილის შემდგომი დაზიანების კიდევ ერთი მიზეზი ხდება. ამიტომ ხელოვნების მუზეუმის რესტავრატორები იყენებენ შედარებით უსაფრთხო ნივთიერებებს (გამოხდილი წყალი, სპირტი).

ცნობილია, რომ ეფექტური რესტავრაცია ყოველთვის შეიცავს კონსერვაციის ელემენტებს. პირვანდელი ფორმის დასაბრუნებლად და სიმყარისათვის მიტრას მთლიანად გაუკეთდა მუყაოს კარკასი. შიდა მხარეს დამაგრდა ახალი, შესაბამისი ქსოვილის სარჩული.

რესტავრაციამდე მიტრას ახლდა ლითონის ექვსი ქერუბინი, რომლებიც, როგორც, ნ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის აღწერილობიდან ირკვევა, თავდაპირველად, რვა ყოფილა და ამ მიტრაზე მოგვიანებით სხვა ნივთიდან გადმოუტანიათ [Кондаковъ Н., Бакрадзе Д. 1890: 38 ]. მიტრის ძირითად ნაწილზე დამაგრებული იყო ლითონის თვალბუდეებში ჩასმული თეთრი, გამჭვირვალე მინერალებისაგან შემდგარი (სამი შვიდთვლიანი და ერთი ოთხთვლიანი) ვარდულები, რომლებიც ფარავდნენ კომპოზიციის აუცილებელ დეტალებს. მიტრას აგრეთვე ახლდა ლითონის სამი ჯვარი. როგორც გაირკვა, ისინი გვიანდელი შეწირულობა იყო. რესტავრატორები და ქსოვილებისა და ნაქარგობის კოლექციის თანამშრომლები კვლევის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული დეტალები, გარდა იმისა, რომ არღვევენ იკონოგრაფიულ სქემას, იწვევენ მიტრის გადატვირთვასა და ქსოვილის ხელახალ დაზიანებას. ნივთის პირვანდელი სახის შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით, გადაწყდა, რომ რესტავრაციის შემდგომ ლითონის ვარდულები და ჯვრები არ დამაგრდეს მიტრაზე, თუმცა, დაერთოს მას და გაფორმდეს სათანადო დოკუმენტაციით. სარესტავრაციო სამუშაოები დასრულდა მიტრის საბოლოო გაწმენდით. რესტავრაციაში აპრობირებული მეთოდის მიხედვით, ვერცხლმკედი და ოქრომკედი გაიწმინდა დოლბანდში გახვეული ბამბით, სამედიცინო სპირტისა და გამოხდილი წყლის ნაზავით (სურ. 4). ბამბა დავასველეთ მიღებულ ნაჯერში, ნაქარგი ფრთხილად და გულმოდგინედ გავწმინდეთ. ეფექტი შესამჩნევი აღმოჩნდა.

რესტავრაციის შემდგომ მიტრამ, როგორც ქართული მხატვრული ქარგვის ერთ-ერთმა თვალსაჩინო ნიმუშმა, ღირსეული ადგილი დაიკავა ეროვნული მუზეუმის საგანძურში.

**Manana Papidze**

The Georgian National Museum,
Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts
1 Gudiashvili st, 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: eka75@ rambler.ru

# Conservation of the Priestly Mitre from Sh. Amiranashvili Fine Art Museum Collection Georgian National Museum

## Summary

This paper is focused on the recently restored textile item - a mitre from Georgian National Museum collection. This study aims to establish and design effective methods for conservation of the mitre keptin Sh. Amiranashvili Fine Art Museum in order to improve its physical condition and to optimize its long-term chances of survival. The processes that were used during conservation work of the selected object can be used as a guide for conservators to conserve other similar textile objects. Visual investigations showed that the mitre was damaged. It had wrinkles and creases, fiber damages which were caused from the previous conservation treatment (damage might be due the use of glue).

The mitre was cleaned by using dry and wet cleaning methods that improved the physical and mechanical properties and its original face wasd returned. All damaged parts were restored the mitre was mounted and supported far with a cardboard construction.

The restored mitre, as one of the distinguished sample of Georgian embroidery art, got its worthy place in the Treasury of the Georgian national Museum.

## ბიბლიოგრაფია

**ბატონიშვილი ი. 1991:** *კალმასობა.* II თბილისი.

**ცაგარეიშვილი გ. 1988:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატებზე (ქსოვილები) აღმოჩენილი ობის სოკოების შესწავლა. კრ.: *სამუზეუმო ექსპონატთა რესტავრაცია, კონსერვაცია, ტექნოლოგია.* თბილისი.

**Кондаковъ Н., Бакрадзе Д. 1890:** *Опись памятниковъ древности въ нѣкоторыхъ храмахъ и монастыряхъ Грузии.* Санкт-Петербург.

**Семенович Н. 1961:** *Реставрация музейних тканей,* I. Ленинград .

### ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** მიტრა. ძირითადი ნაწილი რესტავრაციამდე
**სურ. 2.** მიტრა. ცარგვალი რესტავრაციამდე
**სურ. 3.** მიტრა. შიდა მხარე რესტავრაციამდე
**სურ. 4.** მიტრა და მოსართავები რესტავრაციის შემდეგ

### LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Mitre. Main part of Mitre before restoration
**Fig. 2.** Mitre. Detail of Mitre before restoration
**Fig. 3.** Mitre. Inside part of Mitre before restoration
**Fig. 4.** Mitre after restoration



სურ. 1 **Fig.**



სურ. 2 **Fig.**



სურ. 3 **Fig.**



სურ. 4 **Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია VI (51-B), 2015, 433-448
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences VI (51-B), 2015, 433-448

**რესტავრაცია-კონსერვაცია**

**ეველინა კარსელი*, ეკატერინე კიკნაძე**, ნუნუ მანაგაძე*, თეა ყველაშვილი***

* საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქუჩა 1, 0105 თბილისი, საქართველო
ელფოსტა: rest-muz1@hotmail.com
** საქართველოს ეროვნული მუზეუმი
დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
რუსთაველის გამზირი 11, 0105 თბილისი, საქართველო
ekakiknadze@yahoo.com

# ნიკო ფიროსმანაშვილის „ნადირობა ინდოეთში“ გზა დუქან „კარდანახიდან“ — ექსპოზიციამდე

ნიკო ფიროსმანაშვილის, როგორც უდიდესი სიმართლის მხატვრის საუკეთესო ნამუშევრების რიცხვს მიეკუთვნება სურათები, რომლებზეც ასახულნი არიან მის მიერ ორგანულად განცდილი, კარგად ნაცნობი ადამიანები და სცენები – ქეიფი ორთაჭალის ბაღებში, წმინდა გიორგის დღესასწაული, ტფილისურ დუქნებსა თუ კახეთში ყურძნის კრეფის შემდეგ მონადიმე ადამიანები, მოცეკვავე მარგარიტა, მეეზოვე, მეთევზე მტკვარში ახალდაჭერილი თევზითა და სხვ. ის სურათები კი, რომელთაც („რუსეთ-იაპონიის ომი“, „დათვებზე ნადირობა“, „ტუნგუსის მდინარე ემუტი“, თამარ მეფისა თუ შოთა რუსთაველის პორტრეტები) ფიროსმანაშვილი წარმოსახვის მეშვეობით ქმნის, უმეტესად, მისი შემოქმედების სხვა კატეგორიას ეკუთვნის.

ამ თვალსაზრისით, „ნადირობა ინდოეთში“, გარკვეულწილად, ახალი რაკურსით ხსნის ფიროსმანაშვილის შემოქმედებას. მან სურათზე საოცარი დამაჯერებლობით აღწერა დრამატიზმით სავსე სცენა, რომელიც, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, არასდროს უნახავს. საკმაოდ დიდი ზომის (111x243) სურათზე მაყურებელი შეხედვისთანავე ხედავს დიდ სპილოს და მასზე შემხტარ ვეფხვს, რომელსაც მალე სპილოს ზურგზე ჩასაფრებული შეიარაღებული მონადირეები მოკლავენ, განრისხებული მეორე ვეფხვი საფრთხეს გაურბის და ღრიალებს, ხის ქვეშ შავი, თეთრეშვიანი ტახი დგას და ხეზე ამძვრალ დაჭრილ დათვს დარაჯობს, რათა თავს დაესხას. მათ მიღმა კი, ოკეანეში, ჩალმიანი მამაკაცები მიცურავენ ნავით, ზემოთ დიდი, ფრთებგაშლილი ფრინველი მოფრინავს ბარტყების გადასარჩენად მის ბუდეზე მონადირე ადამიანებისგან, რომელთაგან ერთ-ერთი, ზემოდან თოკით დაშვებული, ბარტყებს იპარავს, ხოლო მეორე ჯოხით იგერიებს მოახლოებულ ფრინველს ღრუბლიანი ცისა და

კლდეების ფონზე. ფიროსმანაშვილი, რომლისთვისაც მთელი სამყარო საქართველოა, შორეული ქვეყნის — ინდოეთის უძველეს ტრადიციულ გასართობს — მტაცებელ ცხოველებზე რისკიან ნადირობას ისეთივე დინჯი დამაჯერებლობით ხატავს, როგორც სადგურის ქუჩაზე მდებარე რომელიმე დუქნის სარეკლამო აბრას და ჩვეული გენიალური ინტუიციურობის წყალობით ვირტუოზულად „თამაშობს“ სურათის ზედაპირზე ფერადოვანი აქცენტების უზუსტესი გადანაწილებით, ერთდროული სტატიკითა და დინამიკით, თუ ფიგურათა მასშტაბებით.
საიდან „მოვიდა“ მასთან ეს სიუჟეტი, ამაზე ზუსტი პასუხი არ გვაქვს. შესაძლოა, მრავალეთნიკური ტფილისის რომელიმე ხმაურიანი ბაზრის დახლზე ან სავაჭრო ქუჩის რიგში ევროპელი მოგზაურის მიერ ინდოეთში შესრულებული ნადირობის ამსახველი გრავიურა ჩაუვარდა ხელთ. ეს მხოლოდ ვარაუდია. დანამდვილებით კი ვიცით, რომ 1913 წელს სურათი მას უკვე დახატული ჰქონდა, ვინაიდან პირველად „ნადირობა ინდოეთში“ გვხვდება მხატვარ ილია ზდანევიჩის ამავე წლის დღიურში, რომელშიც ფიროსმანაშვილთან რამდენიმე შეხვედრაა აღწერილი.
ილია ზდანევიჩმა ფიროსმანაშვილის შესახებ ძმის – კირილ ზდანევიჩისა და მეგობრის – მიშელ ლე დანტიუსგან შეიტყო. 1913 წელს კი მან, პეტერბურგიდან ტფილისში არდადეგებზე ჩამოსულმა, ბევრი ძიების შემდეგ მხატვარს გოგოლის ქუჩაზე მიაგნო. ზდანევიჩმა მას პორტრეტის დახატვა სთხოვა. შეხვედრა 27 იანვარს დანიშნეს. ამ შეხვედრამდე ილია ზდანევიჩმა შეიძინა შავი წიგნაკი, რომელსაც „ნიკო ფიროსმანაშვილის რვეული“ დაარქვა და მასში 27 იანვრიდან 1 თებერვლამდე გამართული რამდენიმე შეხვედრა აღწერა.
უაღრესად საინტერესო სხვა ცნობებთან ერთად ამავე წიგნაკში ილია ზდანევიჩმა შეიტანა ჩამონათვალი ფიროსმანაშვილის სურათებისა, რომლებიც მან ტფილისის სხვადასხვა დუქანში ნახა. მათ შორის, ზდანევიჩს აღნუსხული აქვს მოლოკნების N 23-ში მდებარე სანდრო კოჭლაშვილის დუქან „კარდანახში“ ნანახი სურათები. მათს ჩამონათვალში, მეცხრე ნომრის გასწვრივ, ვკითხულობთ: „სპილო, პირები, ტახი და დათვი“ [სემხმსკ. 1913:21]. პირ(ებ)ი (پیر) - სპარსული სიტყვაა და ნიშნავს მხცოვანს, წმინდანს, ან წმინდა ადგილს. როგორც ჩანს, ასე განსაზღვრა ილია ზდანევიჩმა სურათზე გამოსახული ჩალმიანი მამაკაცების ვინაობა.
იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ არ ვიცნობთ ფიროსმანაშვილის სხვა სურათს, რომელშიც ერთადაა გამოსახული სპილო, ტახი და დათვი, უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ილია ზდანევიჩის დღიურშია პირველად აღწერილი სურათი „ნადირობა ინდოეთში“.
ჩვენთვის უცნობია, რა ბედი ეწია სურათს დუქან „კარდანახიდან“ კერძო კოლექციაში მოხვედრამდე. მუზეუმში „ნადირობა ინდოეთში“ ძალზე დაზიანებული, დაჭრილი სახით შემოვიდა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის თანამედროვე ქართული ფერწერის საინვენტარო წიგნში 229-ე ექსპონატად გატარებულია: „ნადირობა ინდოეთში“, დეტალი. მასალა–ზეთი, მუშამბა. აღწერა–სურათი გაჭუჭყიანებულია, მუშამბა დაკრულია ფიცარზე“ (მფლობელის ვინაობა და შემოსვლის თარიღი მითითებული არ არის). სურათიდან ამოჭრილი ეს ფრაგმენტი სწორედ იმ მამაკაცის გამოსახ-

ულებაა, ჯოხით რომ იგერიებს ფრინველს. ხოლო 1930 წელს მუზეუმმა შეიძინა სურათის ძირითადი ნაწილი, ექსპონატი N1358 - „ნადირობა ინდოეთში“. საინვენტარო წიგნში, მოცემული სურათის აღწერაში, ვკითხულობთ: „ძალიან დაზიანებულია. ამოჭრილია. 40 მანეთად შეძენილია სერგო კლდიაშვილისგან“.

სერგო კლდიაშვილი, დიდი ქართველი მწერლის, დავით კლდიაშვილის ვაჟი, თავადაც მწერალი, „ცისფერყანწელი“, იყო წევრი 10-20-იანი წლების ტფილისის ახალგაზრდა არტისტების წრისა. ისინი გაცნობისთანავე მოიხიბლნენ ფიროსმანაშვილის შემოქმედებით. განსხვავებით უფროსი თაობისგან, ახალგაზრდა მხატვრები, მწერლები და პოეტები ფიროსმანაშვილში შუა საუკუნეების ფრესკისა და მოდერნიზმის დამაკავშირებელ ხიდსა და ახალი ქართული მხატვრული ფორმის დასაყრდენს ხედავდნენ. დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ტიციან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი ლეონიძე და სხვანი მაშინ ქართველ ხელოვანთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის, მოგვიანებით კი, სურათების ეროვნული გალერეის დირექტორის, დიმიტრი შევარდნაძის, მეთაურობით მთელ ტფილისში ეძებდნენ ფიროსმანაშვილის სურათებსა და ცნობებს მისი ცხოვრების შესახებ. მათ შორის იყო სერგო კლდიაშვილიც. გიორგი ლეონიძის 1922 წლის 24 აგვისტოს ჩანაწერის მიხედვით, სადაც იგი ფიროსმანაშვილის მეზობელთან, მეჩექმე არჩილ მაისურაძესთან, საუბარს აღწერს, ამ შეხვედრას ლეონიძესა და ტიციან ტაბიძესთან ერთად სერგო კლდიაშვილიც ესწრებოდა [ლეონიძე გ. გაზ.„ბახტრიონი“. 1922N8]. სერგო კლდიაშვილის სახელი 1926 წელს გამოცემულ ფიროსმანაშვილის კატალოგშიც გვხვდება. იგი აქ მოხსენიებულია მფლობელად 1913 წლით დათარიღებული სურათისა „ვეფხვებზე და არწივებზე ნადირობა. ყინულის ოკეანე და ესკიმოსები“. ფიროსმანაშვილის მხატვრობის მიმართ მისი ინტერესის გათვალისწინებით, არაა გასაკვირი, რომ „ნადირობა ინდოეთში“ სწორედ მისგან მოხვდა მუზეუმში.

1930 წელი, როდესაც „ნადირობა ინდოეთში“ მუზეუმის ექსპონატი გახდა (მაშინ სურათების ეროვნული გალერეა), უმნიშვნელოვანესი თარიღია ფიროსმანაშვილის კოლექციის შექმნის თვალსაზრისით. დღეს კოლექციაში არსებული 150 სურათიდან 74 ნამუშევარი, ანუ ნახევარზე მეტი სწორედ 1930 წელსაა შემოსული მუზეუმში. დ. შევარდნაძე 1930 წლის გალერეის საქმიანობის ანგარიშში წერს: „70 ცალი ნ. ფიროსმანაშვილი სურათებიდან შეძენილია 1930 წლის განმავლობაში (4 სურათი ამავე წელს, მოგვიანებით, დაემატა), რისთვისაც გალერეამ განათლების სახალხო კომისარიატის მეცნიერებისგან მიიღო სპეციალურად ამ მიზნისთვის 6.769 მ. და 20კ.“ [სემხმსკ. ფ.2 1930:2.]. სწორედ ამ თანხით შეძლო დიმიტრი შევარდნაძემ მოსკოვში კირილ ზდანევიჩის ფიროსმანაშვილის კოლექციის უდიდესი ნაწილის გამოსყიდვა და ტფილისში ჩამოტანა. შევარდნაძის მიერ გამოსყიდულ სურათებს შორისაა: „ჟირაფი“, „აქტრისა მარგარიტა“, „მეეზოვე“ „დათვი მთვარიან ღამეს“ და სხვ. სულ 39 ნამუშევარი. ამავე წელს სხვადასხვა მფლობელისგან მუზეუმი იძენს ფიროსმანაშვილის მნიშვნელოვან ნამუშევრებს: „გიორგობა ბოლნისში“, „გლეხის ქალი ბავშვებით წყალზე მიმავალი“, „ვირის ხიდი“, ხოლო თავად დიმიტრი შევარდნაძის მიერ შემოწირულია „თეთრი დათვი ბელებით“. სულ 1930

წელს ფიროსმანაშვილის სამუზეუმო კოლექცია 105 სურათს მოიცავდა.

დიმიტრი შევარდნაძის მიერ ამგვარი აქტიურობა კოლექციის შესავსებად, მის მიერ ფიროსმანაშვილის შემოქმედების უმაღლეს შეფასებასთან ერთად გამოწვეული იყო სურვილით, ფიროსმანაშვილის გამოფენა გერმანიაში, დრეზდენის თანამედროვე ხელოვნების გალერეაში, მოეწყო. 1930 წელს საბჭოთა კავშირში უკვე მოქმედებდა გარე სამყაროსგან „რკინის ფარდით" იზოლაციის პოლიტიკა. ამიტომ დრეზდენის გამოფენის პროექტი ვერ განხორციელდა. თუმცა, ფიროსმანაშვილის გამოფენამ 1930-1931 წლებში დიდი წარმატებით იმოგზაურა საბჭოთა კავშირის 5 ქალაქში – მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხარკოვსა და ოდესაში. ამ გამოფენებზე სხვა სურათებთან ერთად იფინებოდა ფრაგმენტი სურათისა „ნადირობა ინდოეთში". ფრაგმენტი უკანასკნელად 1938 წელს უკვე „მეტეხის" მუზეუმში, ფიროსმანაშვილის გამოფენაზე, იყო ექსპონირებული. სურათის ძირითადი ნაწილი დაზიანებების გამო არ იფინებოდა.

ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრის „ნადირობა ინდოეთში" სარესტავრაციო პროცესების ისტორია XX ს-ის სამოცდაათიანი წლებიდან იწყება. ერასტ კუზნეცოვის მიერ, 1977-1978 წლებში მზადდებოდა ნიკო ფიროსმანიშვილის ნამუშევრების სრული კატალოგი, რის გამოც გაჩნდა აუცილებლობა ფიროსმანიშვილის სურათის „ნადირობა ინდოეთში" ფოტოფიქსაციისა, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან სურათი მრავალი წლის განმავლობაში დაკეცილად ინახებოდა(ფოტო 1, 2, 4-5, 6). ნამუშევრის ამგვარად შენახვამ გამოიწვია მუშამბის ნაკეცებში ჩახევა, საფუძვლის დეფორმაცია და მრავლობითი ბზარები. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა პირველი პროფესიული სარესტავრაციო ჩარევა, კერძოდ, ნახატის გაშლის აუცილებლობის გამო საჭირო გახდა მცირემასშტაბიანი სარესტავრაციო პროცესების წარმართვა. იმ მომენტისთვის რესტავრატორების ერთადერთი მიზანი იყო ნამუშევრის გაშლა და ამ მდგომარეობაში ფიქსირება. სათანადო პირობების უქონლობის გამო ნამუშევრის სრული რესტავრაცია არ იგეგმებოდა. სწორედ ამიტომ ამ პერიოდში მხოლოდ ჩახევები დამაგრდა პაპიროსის ქაღალდისა და თევზის წებოს მეშვეობით და გადაჭიმა სამუშაო ქვეჩარჩოზე, რამაც შესაძლებელი გახადა ნამუშევრის შენახვა გაშლილ მდგომარეობაში. შემდგომი 25 წლის განმავლობაში ნამუშევარი ასეთი სახით ინახებოდა, რამაც სურათის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ ფერწერული ნამუშევრებისა და სხვა ორგანული წარმოშობის ძეგლთა კონსერვაცია ითვალისწინებს სამუზეუმო კონსერვაციის შემდგომ პერიოდში ექპონატის შენახვისა და დაცვის ოპტიმალური პირობების შექმნას [http://www.getty.edu/conservation/publications_resources/newsletters/19_1/; Andrew H. 2006:73-92].

ამდენად, შენახვის არასწორმა პირობებმა გააგრძელა ნამუშევრის დაზიანება. 2004 წელს მისი ვიზუალური შესწავლის დროს შემდეგი დაზიანებები: ჩახევის ადგილას პაპიროსის ქაღალდის გასკდომა, ჩახევების ზომის მომატება, ახალი ბზარებისა და ფერწერული ფენის ჩამოცვენის ახალი კერების გაჩენა, მუშამბის კიდე უფრო გამყიფება და დეფორმაციის ახალი კერების წარმოშობა (ფოტო 7-10). ამავე წელს სარესტავრაციო საბჭოზე გადაწყდა, დაწყებულიყო ნამუშევრის საფუძვლიანი რესტავრაცია.

ყოველი მეცნიერი, მხატვარი თუ მოყვარული ხაზგასმით აღნიშ-

ნავს ფიროსმანაშვილის მხატვრული სახეების წარმოსადეგ ბუნებას, მის მკაფიოობას, ზომიერებას, უბრალოებას [ბერიძე ვ. 2007:83; სირაძე რ. 1982:114]. ისინი განსაკუთრებით უთითებენ შემოქმედის მიერ მიღწეულ დამაჯერებლობაზე, მხატვრულ სიმართლეზე. ნიკო ფიროსმანაშვილის სიდიდე და მხატვრული ნიჭი, უმთავრესად, ფერთა მშენებლობით აშკარავდება. ფიროსმანაშვილის ფერთა მშენებლობა იმდენად ახალია, თავისებური და მხატვრული გემოვნების გამომხატველი, რომ ფორმათა მშენებლობის მისეული დიდოსტატობა ამ ფერთა შეხამების ოსტატობასთან შედარებით იჩრდილება [რურუა ვ. 20015:36]. ამ მოსაზრებათა კვალად იკვეთება, მისი ნამუშევრების ტექნიკური შეუსწავლელობისაგან მომდინარე, სიცარიელე, რომელიც, უთუოდ, უნდა შეივსოს თანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენებით დადგენილი უმნიშვნელოვანესი და ანგარიშგასაწევი მონაცემებით. თანამედროვე რესტავრაციის თეორია და პრაქტიკა ითვალისწინებს რესტავრირების მეთოდის ყველა პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოს დიფერენცირებას, მათი სრულფასოვანი გამოყენების შესაძლებლობას. სურათის „ნადირობა ინდოეთში“ რესტავრაცია მიზნად ისახავდა როგორც გარეგნული სახის აღდგენას, ისე მისი მასალისა და დამზადების ტექნოლოგიური სქემის გამოკვლევა—დადგენას. ამ მიმართულებით რესტავრაციისას ჩატარდა მიკროსკოპული, ქიმიური და მიკრორენტგენოსპექტრული კვლევები[1]. შედეგად დადგინდა ავტორის მიერ გამოყენებული ლურჯი, წითელი და თეთრი საღებავების შემადგენლობა[1], რომელიც მოცემულია ცხრილის სახით.

| ლურჯი | წითელი | თეთრი |
|---|---|---|
| თუთიის თეთრა | წითელი ორგანული პიგმენტი | თუთიის თეთრა |
| ხელოვნური ულტრამარინი | სურინჯი | თაბაშირი |
| თაბაშირი | ბარიტი | ხელოვნური ულტრამარინი |
| | თაბაშირი | |

როგორც ტექნიკური კვლევებიდან ნათლად ჩანს, ნიკო ფიროსმანაშვილმა ამ ნამუშევრის შექმნისას გამოიყენა როგორც ხელოვნური (მზა) საღებავები, ასევე ბუნებრივი საშუალებები. ალბათ სწორედ ეს სინთეზი ხსნის ავტორის მიერ მიღწეულ ფერთა სრულ განსხვავებულობას, რასაც არაერთი მკვლევარი აღნიშნავს.

ტექნიკური კვლევების პარალელურად დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოები. რადგან საქმე ეხებოდა ნიკო ფიროსმანაშვილის ძლიერ დაზიანებულ ნამუშევარს, სარესტავრაციო პროცესებში მუდმივად იყო ჩართული დროებითი კომისია, რომელიც რესტავრატორებთან ერთად მონაწ-

1 მადლობას ვუხდით ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ ნ. პისარევას კვლევების ჩატარებისთვის.

[2]შესწავლილი ფერის ადგილმდებარობა აღნიშნულია ფოტოზე N11

ილეობდა მათს განხილვასა და დაგეგმვაში. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ როგორც მუზეუმის თანამშრომლები, ასევე მოწვეული სპეციალისტები.

**რესტავრაციის ეტაპები**

- ზედაპირული გაწმენდა

მტვრისა და სხვა მექანიკური ნადებისაგან სრულიად გათავისუფლდა როგორც ნამუშევრის ზურგის მხარე, ასევე ფერწერული ზედაპირი (ფოტო 15-16).

დათხელდა არათანაბარი ლაქის ფენა (ადგილ-ადგილ გვხვდებოდა ნაღვენთის სახით).

ჰაერის დამაბინძურებლები რისკს უქმნიდნენ ფერწერულ ნამუშევარს. ცნობილია, რომ დაზიანებას აჩქარებს მტვერი, რომელიც ნივთის ზედაპირს არა მარტო აჭუჭყიანებს, არამედ იერსახესაც უცვლის. დაბინძურებული ჰაერი და ტენიანობა იწვევს ქიმიურ რეაქციას, რომელიც თავისთავად ფერწერულ ზედაპირს შლის [Hatchfield P. B. 2002:203].

- **კონსოლიდაცია**

ფერწერული ფენა პროფილაქტიკურად დამაგრდა, სურათის ზურგის მხრიდან მოიხსნა ძველი საკერებლები, რომლებიც ადრეულ პერიოდში (სურათის მუზეუმში შემოსვლამდე) გაკეთდა (ფოტო №17). საყურადღებოა, რომ საკერებლებად იყო გამოყენებული ნამუშევრის გვერდიდან მოჭრილი ფრაგმენტი, რაც სრულებით დაუშვებელია. სამწუხაროდ, მათი დაუზიანებლად მოხსნა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ძალიან გამომშრალი, გამყიფებული საკერებლები დაფიქსირებული იყო შეუქცევადი წებოს საშუალებით. მათი მოხსნა მხოლოდ პატარ-პატარა მონაკვეთებით იყო შესაძლებელი (ფოტო 12-14, 17).

- გამაგრდა ჩახევები და გასწორდა უსწორმასწორო კიდეები, მათ დაუბრუნდათ პირვანდელი ადგილმდებარეობა. აღდგა მუშამბის ძაფების ქსოვის სტრუქტურა (ფოტო 18).

**სტრუქტურული დამუშავება:**

- სურათის ზურგის მხარე მომზადდა სადუბლირებოდ (ფოტო 19).
- მომზადდა სადუბლირებო ტილო და განხორციელდა ავტორისეული მუშამბის დუბლირება (დაკვრა) სადუბლირებო სელის ტილოზე (ფოტო 20).
- დუბლირების შემდეგ ავტორისეულმა ძლიერ ჩახეულმა და დაბზარულმა მუშამბამ მიიღო საყრდენი. სურათი გადაიჭიმა ქვეჩარჩოზე.
- ჩახევები და ბზარები დაფიქსირდა სადუბლირებო ტილოზე.

**დაკარგული ადგილების აღდგენა:**

- ფრაგმენტი, რომელიც აკლდა ნამუშევარს, მუზეუმმა შეიძინა შედარებით ადრე და განიხილებოდა როგორც დამოუკიდებელი ნამუშევარი. ეს ფრაგმენტი დაკრული იყო ფირფიცარზე. დროთა განმავლობაში ფრაგმენტი მოიხსნა ფირფიცრიდან და დაუბრუნდა თავდაპირველ ადგილს (ფოტო 1-3, 23-24).
- დიდი ზომის დანაკარგები (სურათის კიდეების გასწვრივ) შეივსო

ტილოს საკერებლებით. ფერწერული ფენის დანაკარგები შეივსო სარესტავრაციო გრუნტით (ფოტო 25-26).

- სარესტავრაციო გრუნტით შეივსო ფერწერის დანაკარგები (ფოტო 27).
- დაიფერა მუშამბა შესაბამისი ფერით, გაკეთდა ტონირება (ფოტო 28).
- ფერწერული ფენის მოხეხილი ადგილები დარჩა ხელუხლებელი.

ნამუშევრის დიდი ზომის საფუძვლის დანაკარგის შემდგომი დამუშავებისთვის გამოიკვეთა სამი შესაძლებლობა:

ხელუხლებლად დატოვება (არ დაიფაროს ფერით);

ნეიტრალური ფერით დაფერვა;

ავტორისეული ფერისა და ნახატის სრული რეკონსტრუქცია.

კომისიისა და რესტავრატორების ერთობლივი გადაწყვეტილებით, არჩევანი მეორე ვარიანტზე შეჩერდა. მსგავსი მიდგომით შესაძლებელი გახდა, არ დარღვეულიყო კომპოზიციური აღქმა და, ამავე დროს, გარკვეულიყო განსხვავება ავტორისეულ ფერწერასა და ტონირებას შორის (ფოტო 28-29).

**კონსერვაცია**

სარესტავრაციო პროცესების დასასრულ ფერწერული ზედაპირი დაიფარა დამარის ლაქის დამცავი თხელი ფენით, რომელიც იცავს სურათს გარემოს არასასურველი ზემოქმედებისგან, ფერწერას ანიჭებს ბზინვარებას, სიღრმესა და ელასტიკურობას, აძლევს სურათს საგამოფენო სახეს. ფერწერულ ნამუშევარზე ძალზე უარყოფითად მოქმედებს ტემპერატურისა და ტენიანობის დასაშვებზე მკვეთრი მომეტება, მაგ., თავდაპირველად, ხდება საფუძვლის დაზიანება, დეფორმაცია, რაც, თავის მხრივ, იწვევს გრუნტსა და შემდგომ ფერწერულ ფენაში მიკრობზარების გაჩენას, რომლებიც, თავის მხრივ, კროკელურების გაჩენის წინა პირობაა [Киплинг Д.И. 2002:193-195]. თანამედროვე ლაქათაგან გამოყოფენ: დამარის, აკრილისა და სხვა ლაქებს. დამარის ლაქი ყველაზე მეტადაა მიღებული რესტავრაციაში. მისი ღირსებაა გამჭვირვალობა, ელასტიკურობა, სურათის დაცვა მზის სხივებისაგან. დამარის ლაქი, სხვა ლაქებთან შედარებით, ნაკლებად იცვლის ფერს.

2015 წლის იანვარში, თითქმის ათწლიანი სარესტავრაციო სამუშაოს დასრულების შემდეგ, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ნიკო ფიროსმანაშვილის სურათის „ნადირობა ინდოეთში" პრეზენტაცია მოეწყო. პრეზენტაცია რამდენიმე თვალსაზრისით იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე: როგორც ფიროსმანაშვილის ძალზე საინტერესო ნამუშევრის ახალი სიცოცხლის დასაწყისი და, ამავე დროს, როგორც მრავალეტაპიანი, ურთულესი სარესტავრაციო პროცესის შედეგი, რომელმაც კიდევ ერთხელ გაამახვილა საზოგადოების ყურადღება მხატვარსა და მისი მემკვიდრეობის შენარჩუნების მნიშვნელობაზე.

**Nino Kalandadze*, Evelina karseli*, Eka Kiknadze*, Nunu Managadze*, Tea Kvelashvili*.**

***Georgian National museum**
**Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts.**
**1 L. Gudiashvili St. 0105, Tbilisi, Georgia**
**E-mail: rest-muz1@hotmail.com**
****Georgian National museum**
**Dimitri Shevardnadze National Gallery**
**Rustaveli ave., 0105, Tbilisi, Georgia**
**E-mail:** ekakiknadze@yahoo.com

# Niko PirosmaiSvili painting "Hunting in India" way from store " kardanakhi" to Exhibition

**Summary**

Paintings of Niko Pirosmanashvili for a long time were the object of a many research. Many times was noticed, that in the XIX-XX centuries born in Mirzaani and self-taught artist art work was appeared in the rich traditions of Georgian art., Niko Pirosmanashvili painting gives a large specter of material for further research. That's why each new data, received from new research is very important for understanding and promote our cultural heritage. More research is necessary to study a self-taught master of craftsmanship, which occupies an honorable place in the history of the art of Georgia and the world. All of these make us obliged for deep study of his heritage. Indeed in this context is very important to conduct the technical study of work N. PirosmaniSvili, which still remains unexplored, and even today is unstudied and that is why we are so limited to talk over technique and technology – of the great artist. Every scientist, and artist designated Pirosmanishvili emphasizes, the nature of its sharpness, moderation, simplicity. They are especially indicated credibility achieved by the Artist, the artistic truth, and come again to this thought crossed his works unstudied from a gap of the information about the technique and technology, that must be filled with the use modern technical possibilities, for receiving the important data.

The restoration process of the Niko PirosmaiSvili painting "Hunting in India". (Oil on Oilcloth. 111X243) started in 1977-1978. The aim of the small scale restoration processes was photo fixation for upcoming catalogues of Niko PirsmaniSvili works. Due the lack of the conservation material and special conservation laboratory inventory, after this small restoration artwork was stored in storage.

Only after 25 year the stared restoration process was continuing. During the restoration process was conducted technical study of the used materials. The study shows that Niko Pirosmanishvili was using the synthetic dyes as well natural products(Berlin azure, artificial ultramarine, zinc white, Barite, Minium, Gypsum, Chalk).

In the article **are brief descriptions of the conservation treatments that were undertaken on the painting** "Hunting in India".

## ბიბლიოგრაფია


**აბესაძე ც., ბახტაძე რ. 1963:** სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაცია. თბილისი
**ბერიძე ვ. 2007:** ნიკო ფიროსმანიშვილი. თბილისი
**ლეონიძე გ. 1922:** გაზ. „ბახტრიონი“ 8
**რურუა ვ. 2015:** ფიროსმანი. თბილისი.
**სირაძე რ. 1982:** თბილისი. სახისმეტყველება.
**სემხმსკ. ილია ზდანევიჩის არქივი ფ. 1013:** საქმე 31. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმის საინფორმაციო კოლექციები. ფ-2; აღ-2; საქმე-48
**Киплинг Д.И. 2002: Техника живописи**. Москва
**Andrew H**. *Guidelines for the care of East Asian paintings: display, storage and handling* .In: The paper conservator, Vol. 30. 2006.
**Hatchfield P. B. 2002;** Pollutants in the museum environment: practical strategies for problem solving, exhibition and storage, London: Archetype Publications, XI
http://www.getty.edu/conservation/publications_resources/newsletters/19_1/
http://www.restoreforum.ru/books/arhiv/knigi-po-restavratii-kartin/529-nanesenie-pokrovnogo-laka-kak-zakljuchitelnyj-etap-restavratsii


## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ.1.** სურათის წინა მხარე, პაპიროსის ქაღალდით დამაგრებული ჩახევები
**სურ.2.** სურათის ამოჭრილი ფრაგმენტის წინა მხარე
სურ. 3.(ფირფიცარი) ამოჭრილი ფრაგმენტის ზურგის მხარე
სურ. 4. ფრაგმენტი დაზიანებებით
სურ. 5. ფრაგმენტი დაზიანებებით
სურ. 6. სურათის ფრაგმენტი დაზიანებებით
სურ.7.სურათის ზურგის მხარე. დაზიანებები: დეფორმაცია, ამოჭრილი ფრაგმენტი,
საკერებლებით დამაგრებული ადგილები
სურ. 8. სურათის ზურგის მხარის ფრაგმენტი. საკერებლები
სურ.9.სურათის ზურგის მხარის ფრაგმენტი. ნახევები დასაკერებლები
სურ.10. სურათის ზურგის მხარის ფრაგმენტი. დეფორმაცია და საკერებლები
სურ.11. კვლევების ჩასატარებლად აღებული სინჯების მითითების ადგილები
სურ.12. სურათის ზურგის მხარე
სურ. 13-14.მუშამბის ფრაგმენტები, ზურგის მხარის საკერებლები
სურ.15. ზურგის მხარე, გაწმენდის პროცესი
სურ. 16. ფერწერული ფენის გაწმენდის პროცესი
სურ.17. ზურგის მხარის საკერებლების ფრაგმენტები

სურ.18. ფერწერული ფენისა და ნახევების დამაგრება პაპიროსის ქაღალდით
სურ. 19. სურათის ზურგის მხარის მომზადება სადუბლირებოდ
სურ. 20. დუბლირება
სურ. 21. მუდმივი დასაშლელი ქვეჩარჩოს მომზადება
სურ. 22. დუბლირებული ტილოს მუდმივ დასაშლელ ქვეჩარჩოზე გადატანა
სურ. 23. დიდი ზომის დანაკარგების ჩასმების გაკეთება და გრუნტით დაფარვა
სურ.24. ცალკე დამოუკიდებელ ექსპონატად შეძენილი ფრაგმენტი
სურ. 25. სამუშაო პროცესი. დაკარგულ ადგილებში ტილოს ჩასმა
სურ.26. დაკარგული ადგილების ჩასმა
სურ. 27. სამუშაო პროცესი, გრუნტის შეტანა
სურ.28. სარესტავრაციო გრუნტის დაფერვა მუშამბის შესაბამისი შავი ფერით
სურ. 29. ფერწერული ფენის დიდი დანაკარგების შევსება

## LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. The front part of the picture, cigarette paper attached torn.
Fig. 2. Cut part of painting from the front part
Fig. 3. (Plywood) cut out fragment from the back side.
Fig. 4. Condition of the cut fragment
Fig. 5. Condition of the cut fragment
Fig. 6. Condition of the fragment of the Painting
Fig. 7. Back side of the Painting, deformation, cut parts
Fig. 8. Part of fragment from the back side.
Fig. 9. Part of fragment from the back side, tears and patches.
Fig. 10. Part of fragment from the back side. Deformation and patches
Fig. 11. Location of the studied samples.
Fig. 12. Back side of the painting.
Fig. 13.14. Fragments of Oilcloths, patches of the back side.
Fig. 15. Back side of the Painting, the cleaning process.
Fig. 16. Cleaning of the painting.
Fig. 17. Fragments of Patches from the back side.
Fig. 18.Consolidation of the painting surface
Fig. 19.Preparation for duplicates
Fig. 20. Duplication
Fig. 21. Preparation of the permanent dismantling subframe
Fig. 22. Removal of the duplicated canvas on subframe
Fig. 23.Gap filling
Fig. 24. Fragment from painting.
Fig. 25. Working process. Gap filling
Fig. 26. Gap filling
Fig. 27, 28, 29.working process and conservation



სურ. 1. Fig.



სურ. 2 Fig.



სურ .3. Fig.



სურ 4. Fig.



სურ 5. Fig.



სურ 6. Fig.



სურ. 7. Fig.


სურ. 8. Fig.


სურ. 9. Fig.


სურ. 10. Fig.


სურ. 11. Fig.

ლურჯი - ცა, ნამუშევრის ზედა ნაწილი

წითელი - ნამუშევრისმარცხენაკიდე , უნაგირისქვეშ  საგები .

თეთრი -  ღრუბელი, ნამუშევრის ზედა ნაწილი .



სურ. 12. Fig.



სურ. 13. Fig.



სურ. 14. Fig.



სურ. 15. Fig.



სურ. 16. Fig.





სურ. 17. Fig.



სურ. 18. Fig.



სურ. 19. Fig.



სურ. 20. Fig.


სურ. 21. Fig..


სურ. 22. Fig.


სურ. 23. Fig.


სურ. 24. Fig.


სურ. 25. Fig.


სურ. 26. Fig.


სურ. 27. Fig.


სურ. 28. Fig.


სურ. 29. Fig.

# ქრონიკა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის „მოამბის“ 2015 წლის გამოცემაში წარმოგიდგენთ 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ნოემბრის ჩათვლით მუზეუმის მიერ ორგანიზებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენების, საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო კონფერენციებისა და ექსპედიციების, აგრეთვე მუზეუმის თანამშრომელთა ავტორობით გამოცემული წიგნების, კატალოგების, ნაშრომების ნუსხას.

## დროებითი გამოფენები

| | | | |
|---|---|---|---|
| № | გამოფენა | ჩატარების ადგილი | თარიღი |
| 1 | ლორეტა აბაშიძე-შენგელიას გამოფენა: „...დან-დღემდე“ | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 04-23.11.2014 |
| 2 | „არტისტერიუმი 2014“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 07-17.11.2014 |
| 3 | „სტამბოლი და პოეტური აბსტრაქციები“ | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 07-21.11.2014 |
| 4 | ბეჟან შველიძის პერსონალური გამოფენა | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 20.11-01.12.2014 |
| 5 | „პოსტსტალინური ლიბერალიზაცია ქართულ მხატვრობაში“ | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 24.11.2014-15.04.2015 |
| 6 | „იმედის ფერები“ | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 27.11-04.12.2014 |
| 7 | „თბილისის თვითმმართველობა 1875-1917 წლებში“ | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 28.11-28.12.2014 |
| 8 | „აღმოსავლური მოტივები“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 03-07.12.2014 |
| 9 | მანანა თუმანიშვილის ნამუშევრების გამოფენა | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 09.12.2014-12.01.2015 |
| 10 | „საქართველოს ქალები ხუროთმოძღვრებაში“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 12-14.12.2014 |
| 11 | „საქართველოს ოკუპაცია და ემიგრანტები“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 24.12.2014-10.01.2015 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | „ზღაპარი, ემოცია და ადამიანი“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 09-20.01.2015 |
| 13 | ნიკო ფიროსმანი „ნადირობა ინდოეთში“ | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 15.01-01.04.2015 |
| 14 | „დრო მიქრის“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 16-25.01.2015 |
| 15 | „ვნებები“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 18-30.01.2015 |
| 16 | სინთეზური ხელოვნება – მხატვრის წიგნი “ვეფხისტყაოსანი“ | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 26.01-28.04.2015 |
| 17 | როლანდ დუმბაძის ნამუშევრების რეტროსპექტული გამოფენა | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 27.01-03.02.2015 |
| | „მეორე სივრცე“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 06-19.02.2015 |
| | „დროის ექსტაზები“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 18-28.02.2015 |
| | „ქალაქი ნავთობის შემდეგ – ქალაქის მომავლის ისტორია“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 05-30.03.2015 |
| | “ბავშვებისთვის“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 17-24.03.2015 |
| | „ძველი თბილისი - სურათები ქალაქის ცხოვრებიდან - MARGINALIA“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 01-27.04.2015 |
| | „საქართველოს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება მხატვრობაში“ | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 08-28.04.2015 |
| | „ორი უცნაურას ნაფიქრალი“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 17-28.04.2015 |
| | ჟანრი ლოლაშვილის პერსონალური გამოფენა | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 22-30.04.2015 |
| | „ჩვეულებრივის მიღმა“ – ქოლგა თბილისი ფოტო 2015 | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 02-14.05.2015 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | „ისტორიები ამერიკიდან“ – ქოლგა თბილისი ფოტო 2015 | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 02-14.05.2015 |
| | შახ აივაზოვის ფოტოგამოფენა „ომის ხაზი“- ქოლგა თბილისი ფოტო 2015 | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 02-14.05.2015 |
| | ინსტალაცია „ქოლგის ქრონიკები V“ - ქოლგა თბილისი ფოტო 2015 | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 02-22.10.2015 |
| | „ურბანული ლაბირინთი – გალერეა კოპელმანი“ - ქოლგა თბილისი ფოტო 2015 | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 02-14.05.2015 |
| | „ბავშვები. მომავალი დღეს“- ქოლგა თბილისი ფოტო 2015 | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 02-14.05.2015 |
| | გურამ თიკანაძე „უცნობი კადრები“ – ქოლგა თბილისი ფოტო 2015 | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 03-14.05.2015 |
| | National Geographic საქართველო - „2014 წლის საუკეთესო კადრები“- ქოლგა თბილისი ფოტო 2015 | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 03-14.05.2015 |
| | „დონბასი; უკრაინელი ქალები: მშვიდობა და ომი“ | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 05-20.05.2015 |
| | „ურთიერთობა, რომელმაც გაუძლო დროს“ | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 10-27.05.2015 |
| | მუზეუმის კვირეული: ვიტალი კაპანაძის საიუბილეო გამოფენა | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 17.05-07.06.2015 |
| | მუზეუმის კვირეული:<br><br>„სერგო ფარაჯანოვი – XXI საუკუნის სიზმარი“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 18.05-16.06.2015 |
| | არქიტექტორ-რესტავრატორ ზინაიდა ქუფარაშვილის ნამუშევრების გამოფენა-ინკრუსტაცია | სიღნაღის მუზეუმი | 18.05.2015 |
| | „მხოლოდ ინტუიცია“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 20.05-04.06.2015 |
| | Art ფესტივალი „ხატე საქართველოსთვის“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 27.05-05.06.2015 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | „მალშტრემი: ფრანც მარკი, გერმანული ექსპრესიონიზმი და მოდ-ერნიზმი საქართველოში | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 03-17.06.2015 |
| | „წინათგრძნობა“ | ი. გრიშაშვილის სახელო-ბის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 09-19.06.2015 |
| | თანამედროვე მხატვარ-თა გამოფენა | შ. ამირანაშვილის სახელო-ბის ხელოვნების მუზეუმი | 10-28.06.2015 |
| | „თბილისი – ჩემი სიყვარ-ული“ | შ. ამირანაშვილის სახელო-ბის ხელოვნების მუზეუმი | 12-28.06.2015 |
| | „სარკის უკანა მხარე“ | ი. გრიშაშვილის სახელო-ბის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 19.06-04.07.2015 |
| | „ქართველები მეორე მსოფლიო ომში“ | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 26.06-31.09.2015 |
| | „კავკასიის ფრონტი ნინო ჯორჯაჯის ფოტოობიექ-ტივში“ | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 17.06-26.08.2015 |
| | ქეთევან გორდეზიანის ნამუშევრების პერსონ-ალური გამოფენა | სიღნაღის მუზეუმი | 04.07-02.08.2015 |
| | „10 წელი მეთოდის შეს-ახებ“ | შ. ამირანაშვილის სახელო-ბის ხელოვნების მუზეუმი | 05-30.07.2015 |
| | „UNTITLED“ | ი. გრიშაშვილის სახელო-ბის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 08.07-20.08.2015 |
| | ნიკო ფიროსმანაშვილის „არსენალის მთა ღამით“ | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 21.07.2015 |
| | გურამ თიკანაძის ფო-ტოგამოფენა | სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი | 29.07.2015 |
| | ჯავახეთის ფლორისა და ფაუნის ამსახველი გამოფენა | ჯავახეთის დაცული ტერ-იტორიების ვიზიტორთა ცენტრი | 30.07.2015 |
| | „დამზადებულია კალინ-ინგრადში“ | შ. ამირანაშვილის სახელო-ბის ხელოვნების მუზეუმი | 07-31.08.2015 |
| | საერთაშორისო ფესტი-ვალი ANIMA MUNDI 2015 | ი. გრიშაშვილის სახელო-ბის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 03-09.09.2015 |
| | ვახო ბუღაძის პერ-სონალური გამოფენა „გარეუბანი“ | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 10.09-09.10.2015 |
| | ურაინელი ხელოვანის გამოფენა „ნენკა“ | შ. ამირანაშვილის სახელო-ბის ხელოვნების მუზეუმი | 18-25.09.2015 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | „უნებლიე ღიმილი“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 18-29.09.2015 |
| | „ჩვენი თბილისი და საქართველო“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 01-10.10.2015 |
| | ამირან კუპრავას პერსონალური გამოფენა | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 06-27.10.2015 |
| | „მუზეუმი ფოკუსში“ | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 06-18.10.2015 |
| | „უდაბნო, ქვები, ქალაქები“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 15-27.10.2015 |
| | „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 12-31.10.2015 |
| | არა გულერის ფოტოგამოფენა | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 16-31.10.2015 |
| | „სხეულის ობიექტები – ხელოვნების ეკოლოგია“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 21-26.10.2015 |
| | „ურთიერთობა, რომელმაც გაუძლო დროს“ | სიღნაღის მუზეუმი | 04.11-04.12.2015 |
| | თანამედროვე იაპონელი ხელოვანის შუ კუბოს პერსონალური გამოფენა | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 04-11.11.2015 |
| | მალხაზ კუხაშვილის პერსონალური გამოფენა | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 05-23.11.2015 |
| | „რას ფიქრობ დღეს?“ – არტისტერიუმი 2015 | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 06-16.11.2015 |
| | „სამეულის სცენოგრაფია“ – ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 07.11–06.12.2015 |
| | დმანისში აღმოჩენილი მეხუთე თავის ქალის მიხედვით შექმნილი ქანდაკების გამოფენა | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 14.11.2015 |
| | ალექსანდრე ქართველი – ამერიკული ავიაციის ქართველი გენიოსი | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 17.11.2015 |
| | „ქაღალდის ინოვაციები“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 20.11-04.12.2015 |

| № | გამოფენები | ჩატარების ადგილი | თარიღი |
|---|---|---|---|
| | დმანისში აღმოჩენილი უძველესი ადამიანის ნაშთების ასლების გამოფენა | გალილეის მუზეუმი, ისრაელი | 21.01.2015 |
| | „ძალაუფლება და პათოსი – ელინისტური სამყაროს ბრინჯაოს ქანდაკებები“ | პალაცო სტროცი, ფლორენცია | 14.03.-21.06.2015 |
| | „ძალაუფლება და პათოსი – ელინისტური ბრინჯაოს ქანდაკებები“ | ჟან-პოლ გეტის მუზეუმი, ლოს ანჯელესი | 28.07-01.11.2015 |
| | „გაფართოებული მსოფლიო“ | ჰენესის მხარის დარმშტატის მუზეუმი | 08.10.2015 – 22.11.2015 |
| | მუდმივმოქმედ ექსპოზიციაზე ქართული მეღვინეობის ამსახველი გამოფენა | ევროპის ხმელთაშუაზღვის ცივილიზაციათა მუზეუმი მარსელი, საფრანგეთი | დეკემბერი, 2015 |

# საერთაშორისო გამოფენები

## წიგნები, კატალოგები, ბროშურები

| № | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა/სტამბა |
|---|---|---|---|
| | ნ. შოშიტაშვილი, ა. ფალკი, ჰ. მარამსრუდი, ვ. ხოშტარია, ი. ბაქრაძე | ხითხუროობის ტრადიციული ხერხები და სამუზეუმო რესტავრაცია-კონსერვაციის პრაქტიკა | სტამბა „ფავორიტ+“ |
| | ვ. ჩიხლაძე | ჟინვალის სამაროვანი | მწიგნობარი |
| | ალ. ორჯონიკიძე | ადრეული ყორღანები საქართველოში | მწიგნობარი |
| | გ. ჩიქოვანი, ჯ. აბულაძე, დ. ჟვანია. სამეცნიერო რედაქტორი გ.მირცხულავა | ქვემო ქართლის (არუხლოს) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესწავლილი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარები | საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა |
| | ლ. მამაცაშვილი | პირველი ქართველი მესურათხატე ალექსანდრე როინაშვილი და მისი მუზეუმი | სტამბა „დამანი“ |
| | ლ. მამაცაშვილი,<br><br>თ. ლორთქიფანიძე | ნინო ჯორჯაძე<br><br>ქართველი ქალის თვალით დანახული პირველი მსოფლიო ომი | „სეზანი“ |
| | საქართველოს ეროვნული მუზეუმი | სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის გზამკვლევი | სტამბა „ფავორიტ+“ |

## კრებულები და პერიოდული გამოცემები

| № | სახელწოდება | ნომერი | რედაქტორი |
|---|---|---|---|
| | საერთაშორისო კონფერენცია: „კავკასიისა და ანატოლიის ადრე-ლითონების ხანის არქეოლოგიის პრობლემები“<br><br>International Conference: PROBLEMS OF EARLY METAL AGE ARCHAEOLOGY OF CAUCASUS AND ANATOLIA | კონფერენციის მასალები<br><br>Proceedings of Conference | გ. ნარიმანიშვილი<br>მ. კვაჭაძე<br>მ. ფუთურიძე<br>ნ. შანშაშვილი |
| | საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე | VI (51-B) | ზ. თვალჭრელიძე |
| | იბერია-კოლხეთი | № 11 | გ. გამყრელიძე |
| | ძიებანი საქართველოს არქეოლოგი-აში | № 22 | გ. კვირკველია |
| | ჟურნალი „მუზეუმი“ | № 3 | დ. ლორთქიფანიძე |
| | ჟურნალი „მუზეუმი“ (ინგლისურ ენაზე) | № 2 | დ. ლორთქიფანიძე |

## სამეცნიერო კონფერენციები, სესიები, საჯარო ლექციები, საუბრები, სხდომები

| № | მომხსენებელი/ თემა | ჩატარების ადგილი | თარიღი |
|---|---|---|---|
| | საერთაშორისო კონფერენცია „კავკასიისა და ანატოლიის ადრელითონების ხანის არ-ქეოლოგიის პრობლემები“: მტკვარ-არაქსის კულტურაზე გარდამავალი ეტაპის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში - გ. მირცხუ-ლავა, გ. ჩიქოვანი | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 20-22.11.2014<br><br>20.11.2014 |
| | საყდრისის ოქროს მაღარო და ადრეული სამთო წარმოება და მეტალურგია ტრანსკა-ვკასიასა და მტკვრის ხეობის სისტემაში - ირ. ღამბაშიძე, თ. შტოლნერი | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 20.11.2014 |
| | ძვლისა და რქის იარაღები საყდრისის ოქროს საბადოდან - ქ. თამაზაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 20.11.2014 |
| | აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები და მათი შესწავლის პერსპექტივები – გ. გოგოჭური | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 20.11.2014 |
| | ბედენის კულტურა და ბერიკლდეების ნამო-სახლარი - მ. ჯალაბაძე | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 20.11.2014 |
| | ადრებრინჯაოს ხანის ფინალური ეტაპი საქართველოში - ზ. მახარაძე | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 20.11.2014 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | გარემო და საცხოვრისი ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში - ნ. შანშაშვილი, გ. ნარიმანიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 20.11.2014 |
| | შუა ბრინჯაოს ხანის ლითონის ჭურჭელი სამხრეთ კავკასიიდან - დ. ნარიმანიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 21.11.2014 |
| | ფერადი ლითონების დამუშავების რამდენიმე ასპექტი კავკასიასა და წინა აზიაში (ძვ.წ. III-II ათასწლეულები) - გ. ინანიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 21.11.2014 |
| | მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურათა შეხვედრის ზოგიერთი მომენტი სამხრეთ კავკასიაში - ალ. ორჯონიკიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 21.11.2014 |
| | მტკვარ-არაქსული მასალა გუდაბერტყას ნამოსახლარიდან – გ. მინდიაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 22.11.2014 |
| | საჯარო ლექცია: მიგრაციის შედეგები -მტკვარ-არაქსის კულტურის მიგრაციის გავლენა მახლობელ აღმოსავლეთში – ს. ბატიუკი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 10.12.2014 |
| | საჯარო ლექცია: არქეოლოგიური გათხრები ისაიას „კერპთა სამეფოში“: ტორონტოს უნივერსიტეტის უახლესი კვლევები ტელ-ტაინატში (უძველესი კინალია) – ს. ბატიუკი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 11.12.2014 |
| | საჯარო ლექცია: „ ხელოვნება ტოტალიტარული რეჟიმის დროს: სტალინის საბჭოთა კავშირი, ჰიტლერის გერმანია, მუსოლინის იტალია“ – ლ. ბაქრაძე. გამოფენის „პოსტსტალინური ლიბერალიზაცია ქართულ მხატვრობაში“ ფარგლებში | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 19.12.2014 |
| | აკადემიკოს ანდრია აფაქიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 22.12.2014 |
| | საჯარო ლექცია: „საბჭოთა კავშირის უკანასკნელი პოლიტპატიმრები“ – ლ. ბერძენიშვილი. გამოფენის „პოსტსტალინური ლიბერალიზაცია ქართულ მხატვრობაში“ ფარგლებში | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 18.01.2015 |
| | საჯარო ლექცია: „ფიროსმანის ნადირობა ინდოეთში საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ინდოსტანის სინამდვილიდან ქართულ წარმოსახვამდე“– ივ. მენთეშაშვილი | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 03.02.2015 |
| | საჯარო ლექცია: „მეხსიერება – სამყარო, ადამიანი და საზოგადოება“ – გ. დვალი, ზ. კოკაია, დ. ლორთქიფანიძე | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 07.02.2015 |
| | საჯარო ლექცია: „მოგზაურობა და მეხსიერება“ – პ. სალოპეკი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 09.02.2015 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | საჯარო ლექცია: „ქანდაკების ბუნებისათვის“ – გ. ოჩიაური. გამოფენის „პოსტსტალინური ლიბერალიზაცია ქართულ მხატვრობაში“ ფარგლებში | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 21.02.2015 |
| | საჯარო პრეზენტაცია - „მუზეუმი – 21-ე საუკუნის საგანმანათლებლო ცენტრი“ | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.02.2015 |
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: საქართველოში ოქროს ფოთლოვანი გვირგვინების გავრცელების შესახებ – ან. ჭყონია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.03.2015 |
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების სინქრონიზაციის საკითხი – ლ. ჯიბლაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.03.2015 |
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: ალექსანდრე მეფის საბეჭდავი – ქ. რამიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.03.2015 |
| | საჯარო ლექცია „სამუზეუმო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებები საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში ძველად და ახლა“ – ნ. სატკოევა | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 01.04.2015 |
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: ადრე ბრინჯაოს ხანის კერამიკული ნაწარმი საყდრისსა და ბალიჭი-ძეძვების ნამოსახლარზე – ნ. ოთხვანი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 01.04.2015 |
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: ოქრო ურეკის ადრერკინის ხანის სამაროვნიდან – ნ. ქობალია, რ. პაპუაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 01.04.2015 |
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: ძველი თბილისის საფორთიფიკაციო სისტემის კვლევისათვის – მ. ძნელაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 01.04.2015 |
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი: კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (პროექტის პრეზენტაცია) – ნ. სულავა, ნ. ოქრუაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 8.04.2015 |
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: უძველესი ლითონწარმოების პრობლემები საქართველოში – ირ. ღამბაშიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 8.04.2015 |
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: თრიალეთის კულტურა (საკვალიფიკაციო ნაშრომის განხილვა) – ლ. ჭაბაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 8.04.2015 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: ქვემო ქართლის (არუხლოს) არქეოლოგიური ექსპედიციის (1966-1988 წწ.) მუშაობის ძირითადი შედეგები – გ. მირცხულავა, გ. ჩიქოვანი, ჯ. აბულაძე, დ. ჟვანია | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 15.04.2015 |
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: არუხლო I-ის ნამოსახლარზე გამოვლენილი თხრილების თავისებურება — გ. ჩიქოვანი, დ. ჟვანია ჯ. აბულაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 15.04.2015 |
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: სამხრეთ საქართველოს ციკლოპური სიმაგრეები (შესწავლის პერსპექტივა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით) | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 15.04.2015 |
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: კოლხური ბრინჯაოს კულტურის ეპოქის სამკაული და რელიგიური რწმენა-წარმოდგენები – ნ. ლორთქიფანიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 22.04.2015 |
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: ქართული საბრძოლო იარაღის შესახებ (ვორქშოფი *Kunst Historische* Museum-ში) – ირ. ბაქრაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 22.04.2015 |
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: ლითონის ქიმიური და მექანიკური გაწმენდა-კონსერვაციის შესახებ – გ. ლაღიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 22.04.2015 |
| | საჯარო ლექცია: „პოსტსტალინური ლიბერალიზაცია ქართულ მხატვრობაში“ – ე. კიკნაძე. გამოფენის „პოსტსტალინური ლიბერალიზაცია ქართულ მხატვრობაში“ ფარგლებში | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 15.04.2015 |
| | საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრის 2014 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სესია: არქეოლოგიის ცენტრის 2014 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები - ზ. მახარაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 28-30.04.2015<br>28.04.2015 |
| | საწურბლიას მღვიმესა და ჭერულას ეხში ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგები - თ. მეშველიანი, ი. პინჰაზი, ნ. ჯაყელი, ერ. ქორიძე, შ. ბეზარაშვილი, ელ. ყვავაძე, რ. ჩაგელიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 28.04.2015 |
| | არქეოლოგიური სამუშაოები გადაჭრილ გორაზე (მარნეულის მუნიციპალიტეტი) - მ. ჯალაბაძე, ერ. ქორიძე, თ. აღაპიშვილი, ნ. ჯანაშვილი, ელ. ყვავაძე, ნ. რუსიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 28.04.2015 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ქვემო ქართლის (არუხლოს) ქართულ -გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები - გ. მირცხულავა, ს. ჰანსენი, კ. ბასტერტ-ლამპრისი, მ. ულრიხი, ვ. იოსელიანი, გ. ჩიქოვანი, ჯ. აბულაძე, დ. ჟვანია | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 28.04.2015 |
| | არქეოლოგიური გათხრები ბალიჭი-ძეძ-ვების ნამოსახლარზე - ირ. ღამბაშიძე, თ. შტოლნერი, ბ. მურვანიძე, გ. გოგოჭური, გ. მინდიაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 28.04.2015 |
| | გათხრები ჭობარეთის ნამოსახლარზე - კ. კახიანი, ან. საგონა, კ. საგონა, ელ. ყვავაძე | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 28.04.2015 |
| | არქეოლოგიური სამუშაოები დმანისის მუ-ნიციპალიტეტის ტერიტორიაზე - კ. კახიანი, ელ. ღლიღვაშვილი, გ. კილაძე | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 28.04.2015 |
| | საველე სამუშაოები ბეშთაშენის სამარო-ვანზე - დ. ნარიმანიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 28.04.2015 |
| | ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (ბავრა-აბლარის და ფარავნის ეხი) - ან. მგელაძე, კ. შატენიე, მ. გაბუნია, ერ. ქორიძე, თ. აღაპიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 29.04.2015 |
| | არქეოლოგიური გათხრები არმაზციხეზე - <br><br> ვ. ნიკოლაიშვილი, გ. ნარიმანიშვილი, გ. გი-უნაშვილი, გ. მანჯგალაძე, ნ. გობეჯიშვილი, ლ. ფავლენიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 29.04.2015 |
| | არქეოლოგიური გათხრები არმაზისხევში - გ. ნარიმანიშვილი | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 29.04.2015 |
| | არქეოლოგიური გათხრები დედოფლის გორაზე - იულ. გაგოშიძე, ელ. როვა | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 29.04.2015 |
| | საველე სამუშაოები დედოფლის მინდორზე - იულ. გაგოშიძე | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 29.04.2015 |
| | ნოქალაქევის საერთაშორისო არქეოლოგიუ-რი ექსპედიციის 2013-2014 წლების ანგარიში - ნ. მურღულია | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 29.04.2015 |
| | არქეოლოგიური გათხრები სოფ. საკირის ნამოსახლარსა და ხიხანის ციხეზე - დ. მინდ-ორაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 29.04.2015 |
| | არქეოლოგიური გათხრები სამშვილდეში (წმ. გიორგის ეკლესია, „პალატის ეკლესია) - დ. ბერიკაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 29.04.2015 |
| | ბოლნისის მუნიციპალიტეტის თედორეწმი-დას ეკლესიის არქეოლოგიური გათხრები - მ. ძნელაძე, ვ. სადრაძე | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 29.04.2015 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | თბილისის ნორაშენის ეკლესიის არქეოლო-გიური გათხრები - მ. ძნელაძე, ქ. აბაშიძე, ქ. ჩიხაძე, ვ. სადრაძე | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 29.04.2015 |
| | ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე წარ-მოებული გათხრების ანგარიში - ნ. მათიაშ-ვილი | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 29.04.2015 |
| | ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ბრინ-ჯაოს მეტალურგიის უძველესი კერების შესწავლისათვის საქართველოში (აჭარა) - ამ. კახიძე | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 30.04.2015 |
| | ფიჭვნარის სამაროვნების არქეოლოგიური კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები - ამ. კახიძე, თ. შალიკაძე, თ. ფარტენაძე, მ. თურ-მანიძე | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 30.04.2015 |
| | სოფელ სიმონეთში (ხელვაჩაურის მუნიციპ.) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები - შ. მამულაძე, კ. ქამადაძე | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 30.04.2015 |
| | საქართველო-პოლონეთის ერთობლივი არ-ქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აფსაროსის აკროპოლისის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები - შ. მამულაძე, მ. ხალვაში, ნ. სურმანიძე, თ. შალიკაძე, რ. სიპიორსკი (პოლონეთი) | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 30.04.2015 |
| | არქეოლოგიური კვლევები გელათსა და ქუთაისში - ომ. ლანჩავა, რ. ისაკაძე, შ. ბუაძე | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 30.04.2015 |
| | არქეოლოგიური სამუშაოები ზუგდიდსა და ხობში - რ. პაპუაშვილი | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 30.04.2015 |
| | ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლოგიუ-რი ექსპედიციის მიერ 2014 წელს ჩატარებუ-ლი არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში ცხეთის ნასახლარზე - ნ. სულავა, რ. პაპუ-აშვილი | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 30.04.2015 |
| | ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლო-გიური ექსპედიციის მიერ ახვლედიანების გორაზე 2014 წელს ჩატარებული სამუშაოე-ბის ანგარიში - რ. ისაკაძე, შ. ბუაძე | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 30.04.2015 |
| | პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლები მთიანი კოლხეთიდან (ლეჩხუმი) (2011-2014 წლების დაზვერვები - შედეგები და პერსპექ-ტივები) - ნ. სულავა, რ. ჩაგელიშვილი, თ. ბერიძე, ნ. რეზესიძე, ბ. გილმორი (ოქსფორ-დი) | საქართველოს ეროვნული მუზე-უმის აუდიტორია | 30.04.2015 |
| | ლექცია „საგანმანათლებლო მუშაობა საქა-რთველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში“ | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილი-სის ისტორიის მუზეუმი | 10.06.2015 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ლექცია „როგორ დავიცვათ და გავუფრთხილდეთ ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნებს“ | სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის აუდიტორია | 11.07.2015 |
| | საჯარო ლექცია: „ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშები: გამოფენა და გამოცდილება“ – გ. პირსი | სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის აუდიტორია | 27.07.2015 |
| | საჯარო ლექცია: „რაზე მოგვითხრობენ სვანეთში აღმოჩენილი მონეტები“ – მ. პატარიძე | სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის აუდიტორია | 29.07.2015 |
| | საჯარო ლექცია: „ხითხუროობის ტრადიციული ხერხები და სამუზეუმო რესტავრაცია-კონსერვაციის პრაქტიკა“ – ვ. ხოშტარია | სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის აუდიტორია | 04.08.2015 |
| | საერთაშორისო კონფერენცია - „ლიტერატურა, მუსიკა და კულტურული მემკვიდრეობა“ | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25-28.09.2015 |
| | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების მუზეუმების პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“ | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 7-9.11.2015 |
| | მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული - საჯარო ლექცია: „დმანისის უახლესი აღმოჩენები“ – დ. ლორთქიფანიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 10.11.2015 |
| | მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული - საჯარო ლექცია: „კოლხური ხუფიდან შუა საუკუნეების ტიხროვანი მინანქრის ტექნოლოგიამდე“- ე. მაღრაძე | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო კაფე | 11.11.2015 |
| | მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული - საჯარო ლექცია: „მდიდრული ყორღანი დაგოდეხიდან“ – ზ. მახარაძე | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო კაფე | 12.11.2015 |
| | მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული - საჯარო ლექცია: „კოლხური თავსამკაული“ – დ. კაჭარავა | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო კაფე | 13.11.2015 |
| | მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული - საჯარო ლექცია: „სამყარო და სიცოცხლე, რეკონსტრუქცია და მოდელირება“ – ჯ. ა. გურჩი, ზ. კოკაია, დ. ლორთქიფანიძე | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 15.11.2015 |
| | მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული - საჯარო ლექცია: „ვანში აღმოჩენილი ბრინჯაოს განძის რესტავრაცია და ტექნიკური კვლევა“ – ნ. კალანდაძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 16.11.2015 |
| | საჯარო ლექცია: „უსაზღვრო შესაძლებლობები – კვლევის 25 წელი“ – ი. ე. ნილსონი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 18.11.2015 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | რეგიონალური ვორქშოფი „ფანდრეიზინგი, მარკეტინგი და კომერციული აქტივობები მუზეუმში" – ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25-27.11.2015 |
| | საჯარო ლექცია: „მუზეუმების სოციალური როლი" – დ. ფლემინგი. რეგიონალური ვორქშოფის „ფანდრეიზინგი, მარკეტინგი და კომერციული აქტივობები მუზეუმში" ფარგლებში | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 27.10.2015 |
| | საჯარო ლექცია: „კულტურათა კავშირი: ჰომინიდი, ადამიანი და მუზეუმი" – ფ. შრენკი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 30.11.2015 |

# ექსპედიციები

| № | დასახელება/<br>დამფინანსებელი კომპანია | თარიღი | ადგილი | ხელმძღვანელი |
|---|---|---|---|---|
| | საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ფრანკფურტის ზენკენბერგის კვლევითი ინსტიტუტის ერთობლივი პალეონტოლოგიური დაზვერვითი ექსპედიცია | 24.02-01.03.2015 | გარე კახეთი; მდინარე იორისა და ალაზნის ხეობა | დ. ლორთქიფანიძე |
| | საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების ერთობლივი საერთაშორისო ექსპედიცია | 12.08-15.09.2015 | ბოლნისის რაიონის სოფ. ხიდისთავში, არუხლოს ნამოსახლარი | გ. მირცხულავა<br>ს. ჰანსენი |
| | საქართველოს ეროვნული მუზეუმი | 28.09-15.11.2015 | თბილისი, დიღომი, თრელიგორები | მ. აბრამიშვილი |
| | საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ასოციაცია „ქართული ღვინოს" ერთობლივი საერთაშორისო პროექტის „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა" ფარგლებში განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოები | 05-17.10.2015 | ქვემო ქართლი, სოფ. იმირი | მ. ჯალაბაძე |
| | დმანისის საერთაშორისო ექსპედიცია | 20.06-30.08.2015 | დმანისი, საქართველო | დ. ლორთქიფანიძე |
| | ქუვეითურ-ქართული არქეოლოგიური მისია კუნძულ ფაილაკაზე | 01.03-17.04.2015 | ქუვეითი, კუნძული ფაილაკა | დ. ლორთქიფანიძე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ნოქალაქევის საერთაშორი-სო არქეოლოგიური ექს-პედიცია | 15.06-26.09.2015 | სენაკის მუნიცი-პალიტეტი, სოფე-ლი ნოქალაქევი, ნოქალაქევის ქვედა ტერასა | ნ. მურღულია |
| | ხაიშის არქეოლოგიური ექსპედიცია | 30.04-15.07.2015 | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ხაიში | მ. მურვანიძე |
| | სსიპ საქართველოს კულ-ტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენ-ტო | 04.05-19.06.2015 | მცხეთა, არ-მაზციხე-ბაგინე-თის კომპლექსი | გ. ნარიმანიშ-ვილი |
| | სსიპ საქართველოს კულ-ტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენ-ტო | 22.06-07.08.2015 | მცხეთა, არმა-ზისხევის კომპ-ლექსი | გ. ნარიმანიშ-ვილი |
| | სს „ნამახვანი“ | 06.04-02.05.2015 | ნამახვან ჰესის საპროექტო ტერი-ტორია | დ. მინდორაშ-ვილი |
| | შპს „საქართველოს მე-ლიორაცია“ | 15.06-16.07.2015 | დმანისი, სოფლე-ბი განთიადი და ბოსლები | კ. კახიანი |
| | შპს „ჩაინა ნუქლეარ ინ-დასტს 23 ქონთრაქშენ კო“ | 20.06-15.07.2015 | ქარელი, სოფ. დოღლაური | იულ. გაგოშიძე |
| | ცაგერის მუნიციპალიტეტის ააიპ ისტორიული მუზეუმი | 15-25.08.2015 | ცაგერი, ცხე-თა-დეხვირი | ნ. სულავა |
| | ცაგერის მუნიციპალიტეტის ააიპ ისტორიული მუზეუმი | 15-25.08.2015 | ცაგერი, დეხვირის ციხე, ახვლედი-ანების გორა | რ. ისაკაძე |
| | ონის მუნიციპალიტეტის ააიპ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი | 17.09-04.10.2015 | ონი, სოფ. ჯოი-სუბნი, გვიანბრინ-ჯაო-ადრერკინის ხანის „გორიმოს“ სამაროვანი | რ. პაპუაშვილი |
| | სამხრეთ კავკასიის მილსად-ენის კომპანია, SCPX | 27.04-17.06.2015 | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. ხაიში | ბ. მურვანიძე |
| | სამხრეთ კავკასიის მილსად-ენის კომპანია, SCPX | 08.05-19.06.2015 | მარნეულის მუ-ნიციპალიტეტი, ნარლი-დარა | დ. ჟვანია |
| | სამხრეთ კავკასიის მილსად-ენის კომპანია, SCPX | 09-30.07.2015 | გარდაბნის მუნიც-იპალიტეტი, KP 28 | გ. ბედიანაშ-ვილი |
| | სამხრეთ კავკასიის მილსად-ენის კომპანია, SCPX | 06-20.07.2015 | მარნეულის მუ-ნიციპალიტეტი, ნარლი-დარა | დ. მინდორაშ-ვილი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სამხრეთ კავკასიის მილსად-ენის კომპანია, SCPX | 21.09-20.12.2015 | ახალციხის მუ-ნიციპალიტეტი, ორჭოსანი | ირ. ღამბაშიძე |
| | სამხრეთ კავკასიის მილსად-ენის კომპანია, SCPX | 13.10-30.11.2015 | მარნეული, KP 51 | გ. კვირკველია |
| | საქართველოს მილსადენის კომპანია | 03-29.08.2015 | იგოეთი, WREP – KP 109 | გ. კვირკველია |
| | დედოფლის გორის არ-ქეოლოგიური ექსპედიცია ვენეციის კაფოსკარის უნი-ვერსიტეტთან ერთად | 17.06-05.08.2015 | ქარელის მუ-ნიციპალიტეტი, დედოფლის გორა | იულ. გაგოშიძე<br>ელ. როვა |
| | DFG, CNRS | 05.07-10.08.2015 | ბოლნისის მუ-ნიციპალიტეტი, ბალიჭი-ძეძვები | ირ. ღამბაშიძე<br>თ. შტოლნერი |
| | საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და დუბლინ-ის ტრინიტის კოლეჯის (ირლანდია) ერთობლივი ექსპედიცია; (რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით) | 15.06-01.08.2015 | წყალტუბო, სოფ. ყუმისთავი საწურ-ბლიას მღვიმე | თ. მეშველიანი<br>ი. პინჰასი |
| | საქართველოს ეროვნუ-ლი მუზეუმის ექსპედიცია (რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხ-არდაჭერით) | 25.08-28.09.2015 | ჭიათურა; საველე კლდის მღვიმე, ჭერულას ეხი | თ. მეშველიანი |
| | CNRS | 20.07-17.08.2015 | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ბავრა-აბლარის ეხი | ან. მგელაძე |

## ღონისძიებები, პრეზენტაციები

| № | დასახელება | ჩატარების ადგილი | თარიღი |
|---|---|---|---|
| | 24 ტომეულის "საქართველოს ილუსტრირებული ისტორია" პრეზენტაცია | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 03.11.2014 |
| | ძვ.წ. VII-VII საუკუნეების უმნიშ-ვნელოვანესი აღმოჩენა | დმანისის რაიონი, სოფელი განთიადი | 09.11.2014 |
| | დოკუმენტური ფილმის "ერმიტა-ჟი" ჩვენება | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 13.11.2014 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | სხდომა-კონფერენციები „არქეოლოგიური ოთხშაბათობები“: ჟურნალი „იბერია-კოლხეთი“ № 10 (პრეზენტაცია) – გ. გამყრელიძე | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 25.03.2015 |
| | უძველესი მეღვინეობის კერა საქართველოში – არქეოლოგიური აღმოჩენა | ქვემო ქართლი (სოფელი იმირი) | 27.04.2015 |
| | დოკუმენტური ფილმის ჩვენება - „ველური და საოცარი ასმათის ტომი: კანიბალები ახალ გვინეაში“ | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 30.04.2015 |
| | მუზეუმის კვირეული: საქართველოს ეროვნული მუზეუმის წლიური ანგარიშის პრეზენტაცია | ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 22.05.2015 |
| | იბერიის სამეფოს დროინდელი მარნისა და ტაძრის ნაშთები თრელიგორებზე | დიღომი, უძველესი ნასახლარის ტერიტორია | 27.05.2015 |
| | მუზეუმის კვირეული: „ნიკო ფიროსმანის დღე“ | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 20.05.2015 |
| | ნიკო ფიროსმანის ახალი ალბომ-კატალოგის პრეზენტაცია | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 23.05.2015 |
| | თურქი საბავშვო მწერლის ბეჰიჩ აქის და ქართველი მოსწავლეების შეხვედრა | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 01.06.2015 |
| | ეროვნული გალერეის საკვირაო სკოლის საანგარიშო გამოფენა | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 14.06.2015 |
| | წიგნის პრეზენტაცია - „ხითხუროობის ტრადიციული ხერხები და სამუზეუმო რესტავრაცია-კონსერვაციის პრაქტიკა“ | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 04.07.2015 |
| | სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“ | სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ეზო | 14.07.2015 |
| | ირინა გაბიანის ვიდეო არტი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 17.07.2015 |
| | საგანმანათლებლო ცენტრის გახსნა | სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი | 29.07.2015 |
| | მედიათეკის გახსნა | სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი | 29.07.2015 |
| | ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრის გახსნა | სამცხე-ჯავახეთის დაცული ტერიტორიები | 30.07.2015 |
| | ლიტერატურული სპექტაკლი „მთების ბალადა“ | სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი | 31.07.2015 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | მშვიდობის საერთაშორისო დღე ეროვნულ მუზეუმში | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 22.09.2015 |
| | აკადემიკოს აბესალომ ვეკუას 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია და მისი სახელობის კაბინეტის გახსნა | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 02.10.2015 |
| | „მუზეუმი ფოკუსში" – საქართველოს ეროვნული მუზეუმის Instagram გვერდის პრეზენტაცია | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ეზო | 06.10.2015 |
| | ხელოვნების სტუდიის პროგრამების პრეზენტაცია | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 10.10.2015 |

# საგანმანათლებლო პროგრამები

## სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

- „გამოსვლა ედემიდან"
- „აღდგომა და სააღდგომო ტრადიციები"
- „არქეოლოგია ყველასთვის"
- „ვაზი და ღვინო საქართველოში"
- „ყორღანების საიდუმლო"
- „ოქრომრავალი კოლხეთი"
- „ქართლის სამეფოს სათავეებთან"
- „აღმოაჩინე ცხოველთა გამოსახულებები ოქროს ფონდში"
- „წარმოიდგინე წარჩინებული კოლხი ქალი"
- „მითოლოგიური პერსონაჟები არქეოლოგიურ საგანძურში: დიონისე"
- „მითოლოგიური პერსონაჟები არქეოლოგიურ საგანძურში: აქტეონი"
- „დამოუკიდებლობის წლები"
- „შეფიცულები"
- „დაკარგული თაობა?"
- „ულმერთო სახელმწიფო"
- „ახალ სამშობლოში"
- „ბუნების მრავალფეროვნება"

- „საბრძოლო იარაღის ისტორია“
- „საუბრები ეკოლოგიაზე“
- „მონეტები და მათი ისტორია“
- „ისტორიის ლაბირინთი“
- „როგორ დავიცვათ და გავუფრთხილდეთ ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნებს“
- „როგორ ცხოვრობდნენ ქართველები“

## დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

- საზაფხულო სკოლა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში
- „ფიროსმანი და მისი ეპოქა“
- „ხელოვნების ისტორია, თავისუფალი ნავიგაციის პრინციპით“
- „მსოფლიოს დიდი მხატვრები“
- „იმერეთი – დედაჩემი“
- „თავსატეხის საიდუმლო“
- „აღმოაჩინე პოეზია მხატვრობაში“
- „მხატვარი და ავტოპორტრეტი“
- „სამყაროს თემატური აღქმა ფერისა და ფორმის მეშვეობით“

## გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ

- ხალხური რეწვის გაკვეთილები
- „საუბრები ეკოლოგიაზე“
- „უძველესი ადამიანი და მისი იარაღები“
- „სახალისო არქეოლოგია“

## იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი

- „თბილისის თვითმმართველობა 1875-1917 წლებში“
- „თბილისის ყოფა XIX საუკუნეში“
- „ძველი თბილისი და ფიროსმანი“
- „... და აღმოცენდა თბილისი“
- „ბრწყინვალე მეფეები“

**შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი**

- ახალი სიცოცხლე – ფიროსმანის „ნადირობა ინდოეთში“
- „გზა ამაღლებამდე“
- „იაპონია –სიმბოლოების ქვეყანა“
- „წმინდა გიორგის სახე ხელოვნებასა და ლიტერატურაში“
- „სამკაულის ხელოვნება“
- „საუფლო დღესასწაულები“
- „ღვთისმსახურებისთვის საჭირო ნივთები“
- „მრავალფეროვანი მინანქარი“

**სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი**

- „მრავალკულტურული საქართველო“
- „ვაზი და საქართველო“
- „კერამიკის რესტავრაცია“
- „მოვუაროთ ბუნებას“
- „ქართული მონეტები“


ანა ვერულაშვილი

ანა დავარაშვილი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ელ-ფოსტა**: info@museum.ge**

## თეიმურაზ ბერიძე
## (1932-2015)



საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა და ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 2015 წლის 1 აპრილს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მუზეუმის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ ბერიძე.

თ.ბერიძე დაიბადა ქ.თბილისში 1932 წ. 24 თებერვალს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1952-1957 წლებში სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. შემდეგ დაიწყო მისი უაღრესად საინტერესო და ნაყოფიერი შრომითი მოღვაწეობა. 1958-1962 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად; 1964-65 წლებში საქართველოს რადიომაუწყებლობის და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში რეჟისორის თანაშემწედ; 1966-68 წლებში გამომცემლობის „ლიტერატურა და ხელოვნება" უმცროს რედაქტორად; 1968 წლიდან თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა დაუკავშირა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმს, სადაც ჯერ უმცროსი, 1974 წლიდან კი უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე მუშაობდა. 1980-1987 წლებში იგი ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმის დირექტორია. შემდეგ კვლავ ს.ჯანაშიას სახელობის მუზეუმშია უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1989-2006 წლებში სათავეში ედგა მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებას, 2009 წლიდან კი მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტი იყო.

1998-2002 წლებში ენციკლოპედია „თბილისის" სამუშაო ჯგუფის წევრიც იყო და აქვე გამოაქვეყნა თბილისის ისტორიისა და ყოფის ამსახველი 180 სტატია. წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის საპატრიარქოსთან არსებულ ხელოვნების, არქიტექტურისა და რესტავრაციის საბჭოს მუშაობაში.

თეიმურაზ ბერიძის უმთავრესი საკვლევი პრობლემა იყო შუა საუკუნეების ქართლის ქალაქების ისტორია. მან უზარმაზარი წვლილი შეიტანა ძველი თბილისის ისტორიის შესწავლის საქმეში. იგი ავტორია თბილისისადმი მიძღვნილ მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და რამდენიმე მონოგრაფიისა, ასევე ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მრავალი პოპულარული სტატიისა. ამ მიმართულებით მისი კვლევის ძირითადი შედეგები თავმოყრილია 1971 წელს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაშრომში „ქა-

ლაქისპირა სოფლების ისტორია (გვიანი შუა საუკუნეების თბილისი)“ და 1990 წელს დაცულ სადოქტორო დისერტაციაში „საქართველოს დედაქალაქის აგრომერაციური გარემოს ფორმირების ისტორიული პროცესი (ძვ. თბილისის გარეუბნების ისტორია).“ ამ ნაშრომებში ახლებურად, სრულიად ორგინალურადაა წარმოჩენილი თბილისში საქალაქო ცხოვრების განვითარების მრავალი ეტაპი.

შუა საუკუნეების არქეოლოგიური განყოფილების თანამშრომლებს კარგად გვახსოვს, წლების მანძილზე თემო (ასე ვეძახდით მას ახლობლები) გამადიდებელი შუშით ხელში როგორ ჩაჰკირკიტებდა ძველი თბილისის ისტორიულ რუქებს, როგორ უსადაგებდა ქართული, სომხური, სპარსული და არაბული წყაროების მონაცემებს ერთმანეთს, როგორი ბედნიერი იყო, როცა ამა თუ იმ ხუროთმოძღვრული ძეგლის ზუსტ ლოკალიზაციას მოახდენდა და სხვათა მცდარ მოსაზრებას გაასწორებდა. ასეთ მიგნებებს მრავლად ვხვდებით მის ნაშრომებში.

ძველი თბილისის ისტორიის, ყოფის, ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ თუ ვინმეს რამე აინტერესებდა მასზე უკეთეს მცოდნეს ვერ ნახავდა. არაერთხელ ჰქონდა ფეხდაფეხ მოვლილი ძველი ქალაქის ყოველი კუთხე-კუნჭული; ზედმიწევნით იცოდა თითოეული უბნის, ქუჩის, შენობის თავგადასავალი, აქ მცხოვრები მრავალეროვანი მოსახლეობის წეს-ჩვეულებანი. პრესის, რადიოს, ტელევიზიის კორესპონდენტები მუდმივად მისგან იღებდნენ ინტერვიუებს ძველ თბილისთან დაკავშირებულ ამა თუ იმ მოვლენებზე.

მიუხედავად დატვირთული სამუშაო გრაფიკისა, თ. ბერიძე ამ პრიორიტეტულ კვლევებს ხშირად უთავსებდა პრაქტიკულ საველე-არქეოლოგიურ მუშაობას: 1965 წლიდან მოყოლებული, მონაწილეობა აქვს მიღებული მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური განყოფილების მიერ წარმოებულ გრემის, დმანისის, შენაქოს, კაზრეთისა და ნეკრესის ექსპედიციებში. ასევე, დიდი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის ამსახველი გამოფენების მოწყობაში; ასრულებდა საფონდო სამუშაოებსაც. 2006 წლიდან იყო შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების „განჯისკარის“ ფონდის მცველი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თ.ბერიძის დამსახურება ე.წ. „თბილისის ომის დროს“ მუზეუმის გადარჩენის საქმეში. იგი თანამშრომლებთან ერთად ტყვიების ზუზუნის ქვეშ იცავდა გამოფენებსა და საცავებს.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, მუზეუმის ექსპოზიციისა და ფონდების დაცვაში შეტანილი პირადი წვლილის, სამეცნიერო, პრაქტიკული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის თ.ბერიძე 2002 წლის 23 მაისს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა ღირსების მედლით. 2008 წელს მას მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

თემო საოცარი პიროვნული ხიბლით იყო დაჯილდოებული. მიუხედავად ჭარმაგი ასაკისა, ბოლომდე ახალგაზრდული სული შერჩა. მუდმივად უმცროსი კოლეგების გარემოცვაში იმყოფებოდა, უშურველად ეხმარებოდა მათ სამეცნიერო და ყოფითი საკითხების გადაწყვეტაში. მას განსაკუთრებული იუმორის გრძნობაც გააჩნდა. მის გვერდით ვერ მოიწყენდი - სადაც ის იყო, ხალისი და სასიამოვნო განწყობა სუფევდა. იმდენად ორიგინალურად ჰქონდა გაწყობილი თვალსაჩინო მასალით სამუშაო ოთახი მუზეუმში, რომ ცნობილმა რეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა

1981 წელს გადაღებულ ფილმში „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, მთავარი გმირის, არქეოლოგის სამუშაო ოთახის კადრებისთვის თემოს კაბინეტი აირჩია. თავადაც, კოლორიტული გარეგნობით და არტისტული ბუნებით დაჯილდოვებული, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ქართველ რეჟისორებს. თემო ბერიძემ ეპიზოდური, თუმცა დასამახსოვრებელი როლები შეასრულა გ. შენგელაიას ფილმში „ფიროსმანი“ და „ქვიშანი დარჩებიან“, მ. ჭიაურელის ფილმში „ჭიდაობას რა უნდა“.

მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, თეიმურაზ ბერიძე სიცოცხლის ბოლომდე ინტენსიურად მუშაობდა ახალ მონოგრაფიაზე, რომელშიც გიორგი III-ის მოღვაწეობის შესახებ სრულიად ახალი მოსაზრებები უნდა წარმოეჩინა. სამწუხაროდ მისი დასრულება ვერ მოასწრო.

თემომ საინტერესო ცხოვრების გზა განვლო და ჭარმაგ ასაკში ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. ჩვენ კი დაგვიტოვა მასთან განშორების ტკივილი და საუკეთესო მოგონებები.

**ლუიზა გვრიტიშვილი**

## გულნარა კიკნაძე
## (1932-2015)



საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის თანამშრომელთა რიგებს კიდევ ერთი ღვაწლმოსილი მეცნიერი გამოაკლდა - გარდაიცვალა ცნობილი არქეოლოგი, ყველასთვის საყვარელი და პატივსაცემი პიროვნება, გულნარა (გულიკო) ალექსანდრეს ასული კიკნაძე.

გულიკო კიკნაძე დაიბადა 1932 წლის 15 მაისს, თეატრალურ წრეებში ცნობილი პედაგოგის, ალექსანდრე (საშა) კიკნაძის ოჯახში. 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1957 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველის სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად და, მას შემდეგ, მთელი მისი საინტერესო ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ამ ერთ-ერთ უპირველეს ეროვნულ დაწესებულებაში მოღვაწეობას დაუკავშირა. ის იმთავითვე თანაბარი ინტერესითა და გულმოდგინებით ჩაერთო როგორც ჩვენი მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების საველე სამუშაოებში, ისე მუზეუმის ფონდებში დაუნჯებული ქართული მატერიალური კულტურის ამსახველი ექსპონატების მოვლა-პატრონობისა და მეცნიერული კვლევის საქმეში. მისი პირველი 15 წლის ნაღვაწიდან, გამორჩეულად აღსანიშნავია მუზეუმში დაცული ლითონის ჭურჭლის ისტორიულ-სტილისტური კუთხით კლასიფიცირება და მიღებული შედეგების მონოგრაფიულად პუბლიკაცია. ამავე თემას ეძღვნება გულიკო კიკნაძის მიერ ისტორიის მეცნიერებათ კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული დისერტაცია, რომელიც მან 1972 წელს დაიცვა.

1975 წლიდან, თითქმის 40 წლის განმავლობაში ქალბატონი გულიკო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერ თანამშრომლის პოზიციაზე მუშაობდა. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო გ. კიკნაძის როლი კახეთისა და ქსნის ხეობის შუა საუკუნეების ძეგლების შემსწავლელი ექსპედიციების წარმატებულად წარმართვაში. გრემის, გავაზის და არეშის ნაქალაქარების შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციების შემადგენლობაში მუშაობისას (ხელმძღვანელი აკადემიკოსი ლევან ჭილაშვილი), იგი დიდ ძალისხმევას ახმარდა როგორც საველე კვლევებს, ისე მოპოვებული მრავალფეროვანი ნივთიერი მასალის აღნუსხვა-შესწავლას. შემდეგ კი, ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, განგებამ მას განსაკუთრებული მისია დააკისრა: ყოფილიყო მთავარი საყრდენი ძალა, თანახელმძღვანელიც და ბრწყინვალე აღმსრულებელიც იმ უმნიშვნელოვანესი

არქეოლოგიური კვლევებისა, რომელსაც ქსნის ხეობაში, ახალგორის რაიონში დიდი წარმატებით ანხორციელებდა მისი სათაყვანებელი მეუღლე, გამორჩეულად ნიჭიერი არქეოლოგი ნოე (ბაჩანა) აფხაზავა. შეუძლებელია არ დავაფასოთ ის ჭეშმარიტად პატრიოტული ნიშნით გამსჭვალული, თავდაუზოგავი შრომა და ხანდახან ბრძოლაც კი, რომელიც ქალბატონ გულიკოს ბაჩანა აფხაზავასთან ერთად უწევდა საქართველოს ამ ძირძველი, ულამაზესი ქართული სულის მატარებელი კუთხის ჭეშმარიტი ისტორიის წარმოსაჩენად (სადაც, სამწუხაროდ, უკვე 1980-იანი წლებიდანვე, მტრული ძალების წაქეზებით, მოსახლეობის ერთ ნაწილში ხელოვნურად ღვივდებოდა სეპარატისტული ღვარძლი). ამ ძალისხმევას, სამეცნიერო თვალსაზრისით ამაოდ არ ჩაუვლია: ქართულ ისტორიოგრაფიას გარდა ნ. აფხაზავას საყოველთაოდ ცნობილი მონოგრაფიებისა, შემორჩა გ. კიკნაძის მიერ მეუღლესთან თანაავტორობით თუ პირადად შესრულებული საუცხოო, მეტად საინტერესო სამეცნიერო სტატიებიც: ქართველ აზნაურთა რეზიდენციების გენეზისი (ქსნის ხეობის მასალების მიხედვით); აფსილთა და მათ ზოგ მეზობელ ეთნოსთა შესახებ (ნარატულ წყაროთა მიხედვით); სირიული საცეცხლური ბალაანიდან (ქსნის ხეობა) და სხვა მრავალი.

ცალკე უნდა აღინიშნოს გ. კიკნაძის ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის საფონდო სექტორში. 1972 წლიდან 30-ზე მეტი ხნის განმავლობაში ის იყო ურბნის-ალევის არქეოლოგიური ფონდის მცველი, შემდეგ კი მას ებარა კახეთის არქეოლოგიური კოლექციებიც. ის საქმის ცოდნითა და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ამ ფონდებში დაუნჯებული სამუზეუმო ფასეულობების კლასიფიცირებას, ინვენტარიზაციას, შეჯერებას თუ პასპორტიზირება-კატალოგიზაციას. მისთვის ჩვეული გულისყურით უწევდა დახმარებას ამ ფონდებით დაინტერესებულ სპეციალისტებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა კოლეგებს.

გ. კიკნაძე სულ ბოლო პერიოდამდე ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდა მუზეუმს და თავისი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეჰქონდა შუა საუკუნეების ქართული არქეოლოგიის განვითარებაში. 2003 წელს დაჯილდოვდა მუზეუმის ვერცხლის მედლით ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის. მის ცოდნას, გამოცდილებას და არაჩვეულებრივ სიკეთესთან შეზავებულ მტკიცე, პრინციპულ ხასიათს დიდად აფასებდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთელი კოლექტივი, ქართული საისტორიო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი.

უკეთილშობილესი, გამორჩეულად გულისხმიერი კოლეგისა და მეგობრის, გულიკო კიკნაძეს ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენ გულებში.

**კოლეგები**

# სარჩევი
# CONTENTS

## არქეოლოგია
## ARCHAEOLOGY

**ნინო სულავა**
ბრინჯაოს ქანდაკების ფრაგმენტი გონიო-აფსაროსიდან ........................ 6
**Nino Sulava**
The Fragment of Bronze Statuette from Gonio-Apsaros

**ნინო ოთხვანი, ირინე ღამბაშიძე, თომას შტოლნერი, მორის იანსენი**
ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა საყდრისის მაღაროსა და ძეძვების ნამოსახლარიდან ........................ 14
**Nino Otkhvani, Ir. Gambashidze, Thomas Stöllner, Moritz Jansen**
Early Bronze Age Pottery from Sakdrisi Mine and Dzedzvebi Settlement

## ნუმიზმატიკა
## NUMISMATICS

**მედეა შეროზია**
რომაული აურეუსები და მათი მინაბაძები იბერიის ფულად მიმოქცევაში........38
**Medea Sherozia**
Roman Aurei and Their Imitations in Money Circulation of Iberia

**მედეა შეროზია, მარიამ ქორიძე**
XII - XIII საუკუნეების სპილენძის მონეტების წითელი ხიდის განძი ....................62
**Medea Sherozia, Mariam Koridze**
The 12th-13th cc Hoard of Silver Coins from Tsiteli Khidi

**მაია პატარიძე**
არაეკონომიკური დანიშნულების მონეტები (მესტიისა და უშგულის მუზეუმებში დაცული ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით)...............................82
**Maia Pataridze**
Coins with Non-Monetary Functions (According to Mestia and Ushguli Museum Numismatic Materials)

**ციალა ღვაბერიძე**
სოფელ ჯანდარის განძი........................96
**Tsiala Gvaberidze**
Djandari Hoard

## გლიპტიკა
## GLYPTICS

**ანა გაბუნია**
ელინისტური პორტრეტის ისტორიისათვის.......................................... 101
**Ana Gabunia**
To the History of Hellenistic Portrait

**ქეთევან რამიშვილი**
ალექსანდრე მეფის გუმბათისებური საბეჭდავი .................................. 107
**Ketevan Ramishvili**
Cupola-shaped Seal of King Alexander

## ეთნოგრაფია/ეთნოლოგია
## ETHNOGRAPHY/ETHNOLOGY

**მარინა ბოკუჩავა**
ირანული კერამიკა ........................................................................... 121
**Marine Bokuchava**
Iranian Ceramics

**გულნარა კვანტიძე**
დიდგვაროვანი ქალის ჩაცმულობა XVII-XVIII საუკუნეების
აღმოსავლეთ საქართველოში................................................................ 138
**Gulnara Kvantidze**
Clothes of Noblewoman in the 17th-18th cc. East Georgia

**მანანა აბაშიძე, მამუკა ქაფიანიძე**
ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის შეწირული ვერცხლის
თასები.................................................................................................. 162
**Manana Abashidze, Mamuka Kapianidze**
Silver Cups Donated to Lomisi St. George Church

**თამარ გელაძე, ნინო დათუნაშვილი**
კავკასიის ხალხთა კოსტიუმების ისტორიიდან...................................... 177
**Tamar Geladze, Nino Datunashvili**
From the History of National Caucasian People's Costumes

## ისტორია
## HISTORY

**ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ მურღულია**
„ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი" .................................... 202
**Besik Lortkifanidze, Nikoloz Murgulia**
The Three-walled Fortress Tsikhegoji

**მარინე ბულეიშვილი**
მეფე ერეკლე II აღმოსავლეთ საქართველოს მოსაზღვრე სახანოებისა და სამ-
ფლობელოების შესახებ........................................................................ 214
**Marine Buleishvili**
King Erekle II about Eastern Khanates and Kingdoms

**ივანე მენთეშაშვილი**
ფიროსმანის „ნადირობა ინდოეთში“ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში
ინდოსტანის სინამდვილიდან ქართულ წარმოსახვამდე .................................222
**Ivane Menteshashvili**
"Hunting in India~ by Pirosmani in Georgian National Museum. From Indian
Reality to Georgian Imagination.

**ქეთევან მუშკუდიანი, ნინო დათუნაშვილი**
ევროპული მოდის დამკვიდრება XIX საუკუნის თბილისის საქალაქო
ცხოვრებაში...........................................................................................232
**Ketevan Mushkudiani, Nino Datunashvili**
European Fashion Establishment in Tbilisi City Life in the 19th Century

**ლია ქიტიაშვილი**
„ვინმე მესხის“ (ივანე გვარამაძის) პიროვნებისათვის ........................... 272
**Lia Khitiashvili**
"Vinme Meskhi~ (for Ivane Gvaramadze`s Personality)

**ნატო ყრუაშვილი**
სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანისა და სტამბოლელი
ქართველების ურთიერთობის შესწავლისათვის ..................................... 284
**Nato Kruashvili**
To Study the Relations between the Istanbul Georgians and Georgian
Catholic Fathers' Monastery of Istanbul

**ნონა ხარატიშვილი**
შალვა ამირანაშვილი და საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი
ისტორიულ ფასეულობათა დაბრუნება ...............................................297
**Kharatishvili Nona**
Shalva Amiranashvili and Returning of Historical Values Taken out from
Georgia in Different Times

## ხელოვნებათმცოდნეობა
## ART CRITICISM

**გიორგი ჯავახიშვილი**
ქართული ქანდაკების ისტორიისათვის ................................................ 309
**Giorgi Javakhishvili**
On the History of Georgian Sculpture

**ნატალია მოძმანაშვილი**
იშხნის საკათედრო ტაძარი XI საუკუნის 20-იან წლებში ....................... 325
**Natalia Modzmanashvili**
For Subordination of Ishkhani Cathedral in 20s of the 11th c

**მანანა ალფენიძე**
უილიამ ჰოგარტის პორტრეტისათვის .................................................. 337
**Manana Alpenidze**
For Willam Hogart's Portrait

**ირინა გუგუნავა**
ყაჯარული პერიოდის ლითონმქანდაკებლობა
(ფოლადის ნაკეთობათა ერთი ჯგუფის მიხედვით) ................................ 346
**Irina Gugunava**
Qajar Period Metalwork from the Georgian National Museum. (According to Steel Ware Group)

**მარინე აბრამიშვილი**
თანამედროვე ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება
(ეროვნულ გალერეაში დაცული ხის ექსპონანტების მიხედვით) ......... 355
**Marina Abramishvili**
Modern Georgian Decorative-Applied Art (According to Wood Art Exhibits kept in the Georgian National Gallery)

**ლილი გიორგობიანი**
ამირან კუპრავას მხატვრული სამყარო .................................................. 364
**Lili Giorgobiani**
Amiran Kuprava's Art World

## სამუზეუმო საქმე
## MUSEOLOGY

**თემურ შარიქაძე**
მემორიალური ექსპონატების კვლევისათვის (მესამე ნაწილი)............ 380
**Temur Sharikadze**
For Studying of Memoriable Exhibits

## რესტავრაცია-კონსერვაცია
## RESTORATION-CONSERVATION

**ეკატერინე მესხიძე**
შიდა ქართლში აღმოჩენილი რიტონების რესტავრაცია-კონსერვაცია ...........409
**Ekaterine Meskhidze**
Restoration-conservation of Rhytons Discovered in Shida Kartli Region

**მარინე ბოყოჩაძე**
სარკინეთის ქედის ფერდობებზე აღმოჩენილი ტერაკოტული ილბების რესტავრაცია - კონსერვაცია ....... 417
**Marina Bokochadze**
Restoration-Conservation of Terracotta Masks Uncovered at Sarkineti ღიდგე. Slope on the Left Bank of the River Mtkvari

**მანანა პაპიძე**
საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული მიტრის რესტავრაცია-კონსერვაცია ....... 425
**Manana Papidze**
Conservation of the Priestly Mitre from Sh. Amiranashvili Fine Art Museum Collection Georgian National Museum

**ეველინა კარსელი, ეკატერინე კიკნაძე, ნუნუ მანაგაძე, თეა ყველაშვილი**
ნიკო ფიროსმანაშვილის „ნადირობა ინდოეთში" გზა დუქან „კარდანახიდან" — ექსპოზიციამდე ....... 433
**Nino Kalandadze, Evelina karseli, Eka Kiknadze, Nunu Managadze, Tea Kvelashvili.**
Niko PirosmaiSvili painting "Hunting in India" way from store "Kkardanakhi" to Exhibition

**ქრონიკა** ....... 449

## მოგონებები
## MEMORIES

თეიმურაზ ბერიძე ....... 469
გულნარა კიკნაძე ....... 472

## შემოკლებათა განმარტება

**ან.** - ანაწერი

**აღ.** - აღწერილობა

**გაზ.** - გაზეთი

**გვ**. - გვერდი

**გფ** - განძების ფონდი

**გფ** - გლიპტიკის ფონდი

**კლ.მ.ფ.** – კლასიკური მონეტების ფონდი

**საგ** - საგანძური

**საინვ**. - საინვენტარო

**მსმკი** - მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის

**მსსა** - მოსკოვის საგარეო საქმეთა არქივი

**პფ** - პირადი ფონდი

**საქ**. - საქმე

**სეასცა** - საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი

**სემ** - საქართველოს ეროვნული მუზეუმი

**სემმ** - საქართველოს ეროვნული მუზეუმის „მოამბე“

**სეცსა** - საქართველოს ეროვნული ცენტრალური საისტორიო არქივი

**სსმ** - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

**სსმმ** - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“

**სუია** -საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი

**სუიცა** - საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი

**სურ** - სურათი

**სქკმსფა** - სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის ფონდ-არქივი

**სხსმ** - საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

**სხსმა** - საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქივი

**სჯიმხფ** - სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი

**ფ**. - ფონდი

**ფურც** - ფურცელი

**ქე** - ქართული ენციკლოპედია

**ქელ** - ქართული ეთნოგრაფიული ლექსიკონი

**ქმკელ** - ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი

**ქმძ ფ**- ქართული მონეტების ძირითადი ფონდი

**ქსე** - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

**ქც** - ქართლის ცხოვრება

**შ** - შემოსულობათა (ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი)

**ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში** - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრის ჟურნალი

**АКАК** – Акты, собранные Кавказской археографической комиссией

**ВДИ** – Вестник древней истории

**ГАИМК** - Известия Государственной академии истории материальной культуры

**КОИРГО** – Кавказскии отдел императорского русского географичесского общества

**МАК** – Материалы по археологии Кавказа

**МИА** – Материалы и исследования по археологии СССР. Институт археологии АН СССР

**СА** – Советская археология

**ТОНГЭ** – Труды отдела нумизматики государственного Эрмитажа

**BAR** – British Archaeological Reports

**კოორდინატორი** ვახტანგ ცინცაძე
**Coordinater** Vakhtang Tsintsadze

**სტილისტ-რედაქტორი** ნინო ნადარაია
**Editor** Nino Nadaraia

**მთარგმნელი** მედეა წოწელია
**Translator** Medea Tsotselia

**კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი:** ირაკლი დევდარიანი, ირაკლი ხუციშვილი
**Computer and graphic design:** Irakli Devdariani, Irakli Khutsishvili

**ტექნიკური ჯგუფის უფროსი:** ცისნამი სიდამონიძე
**Chief of technical stuff:** Tsisnami Sidamonidze

**ტექნიკური ჯგუფი:** ალექსანდრე ჩხაიძე, ქეთევან სახვაძე
**Technical stuff:** Alexsandre Chxaidze, Ketevan Sakhvadze

ISSN 1512-1895

9 789941 938078 >